



ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც 150 წლის წინათ ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და ქველმოქმედმა ანტონ ლორთქიფანიძემ (1847-1894) დააფუძნა, უაღრესად ფასეულ როლს ასრულებს ქუთაისის და, ზოგადად, ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო და კულტურულ ცხოვრებაში. ის არის მნიშვნელოვანი სივრცე ჩვენი საზოგადოების, უპირველეს ყოვლისა, კი ახალგაზრდების, საგანმანათლებლო თვალსაწიერის გასაფართოებლად. ბიბლიოთეკა ღირსეულად აგრძელებს საუკუნუნახევრიან ტრადიციას და თანამედროვე ეპოქის მოთხოვნების/გამოწვევების შესაბამისად ნერგავს საინტერესო სიახლეებს საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო მიმართულებით.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი



**ქუთაისის ილია ჭავჭავაძის  
სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა  
KUTAISI ILIA CHAVCHAVADZE PUBLIC LIBRARY**

# **წელიწადი**

**XV**

**ე ძ ღ ვ ნ ე ბ ა**  
ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის  
საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების 150 წლის იუბილეს

-  
Dedicated to  
the 150th Anniversary of the Foundation of  
Ilia Chavchavadze Public Library

**ქუთაისი  
2023  
Kutaisi**

001(479.22)(058)

ქ. 84

„წელიწდეულში“ იბეჭდება ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის XV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, ასევე, რეცენზირებული ქართველოლოგიური (ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ფოლკლორული, ისტორიოგრაფიული, კულტუროლოგიური, ეთნოლოგიური...) გამოკვლევები.

### სარედაქციო საბჭო:

ნოზადი ბართია, ლევან ბაბურიშვილი, მერაბ ბერიძე, მერაბ გვაზავა, თაიშურაზ გვანცელაძე, ეპა დადიანი (მთავარი რედაქტორი), ლუკა დვალისხელი, როლანდ თოფჩიშვილი, ეთარ ინჯირაძე, ჯამალ კარალიძე, რუსუდან კაშია, მერაბ კახავაძე, მარია მიქაშაძე (რედაქტორი), ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ოთარ ნიკოლეიშვილი, საად აბდ ალ-რაჰიმი, რუსუდან სალინაძე, ნათია სვინტრაძე, გიორგი სოსიაშვილი, ნინო უგულავა (ინგლისური ტექსტის რედაქტორი), ლალი ურდულაშვილი, ნათია ფუტყარაძე, ლილია ქველიძე, გრიგოლ ჟობალიანი, დავით შავიანიძე, რეზა შეროშია, ფაფვი ჩელაბი, ჰარუნ ჩიქაძე, მალხაზ ჩოხრაძე, მერაბ ჩუხუა, რიტა წაქაძე (პასუხისმგებელი მდივანი), მამდა ჭიქაბერიძე, ლუიზა ხაჭაპურიძე, სტივენ ჯონსი.

პროექტის დირექტორი  
**გრიგოლ ჟობალიანი**



ფინანსური მხარდამჭერი: ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო



ინტელექტუალური მხარდამჭერი: ა(ა)იპ „ტარიელ ფუტყარაძის ქართველოლოგიის საერთაშორისო საზოგადოება“

ISSN 1987-9288  
E-ISSN 2720-8311

რედაქციის მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, ლ. ნუცუბიძის ქ. N1  
ელფოსტა: [k.library1873@gmail.com](mailto:k.library1873@gmail.com)  
ჟურნალის ელვერსია იხ.: <https://yearbook.openjournals.ge/index.php/kly>  
<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/164105>

© საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი“, 2023

**Annual** publishes the papers of the Kutaisi Ilia Chavchavadze public library XIV International Scientific Conference and other reviewed research papers in Kartvelology (linguistics, literary studies, folklore, historiography, culture studies, ethnology, etc.).

### **EDITORIAL BOARD:**

**Nomadi Bartaia, Levan Beburishvili, Merab Beridze, Merab Gvazava, Teimuraz Gvantseladze, Eka Dadiani** (Editor - in chief), **Luka Dvalishvili, Roland Topchishvili, Eter Intskirveli, Jemal Karalidze, Rusudan Kashia, Merab Kezevadze, Maia Mikautadze** (editor), **Avtandil Nikoleishvili, Otar Nikoleishvili, Saad Abd Al-Rahim, Rusudan Saginadze, Natia Svintradze, Giorgi Sosiashvili, Nino Ugulava** (editor of the English texts), **Lali Urdulashvili, Natia Putkaradze, Leila Kvelidze, Grigol Kobaliani, Davit Shavianidze, Revaz Sherozia, Fevzi Chelebi, Harun Chimke, Malkhaz Chokharadze, Merab Chukhua, Rita Tsakadze** (Secretary responsible), **Magda Chikaberidze, Luiza Khachapuridze, Stephen Jones.**

Project Director

**GRIGOL KOBALIANI**



**Financial supporter: Kutaisi Municipality City Hall and City Council**



**Intellectual supporter: N(N)LE „Tariel Putkaradze International Society of Kartvelology“**

**Address of the Editorial Office: #1, L. Nutsubidze str., Kutaisi, 4600**

**Email: k.library1873@gmail.com**

E-version of the Journal: **<https://yearbook.openjournals.ge/index.php/kly>**  
**<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/164105>**

**© Publishing Centre „Kutaisi“, 2023**

## შინაარსი – Contents

<b>რიტა წაქაძე</b> – საუკუნე-ნახევრის ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა <b>Rita Tsakadze</b> -Kutaisi Public Library, named after Ilia Chavchavadze for over a century and a half .....	9
<b>ნანა აბულაძე</b> – გაბრიელ ეპისკოპოსის წერილები გრიგოლ დადიანთან <b>Nana Abuladze</b> – Letters of Bishop Gabriel to Grigol Dadiani .....	19
<b>მანანა ბანძელაძე, დარეჯან ჩხიროძე</b> – შალვა ნუცუბიძის მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტი <b>Manana Bandzeladze Darejan Chkhirodze</b> – Some aspects of the creativity of Shalva Nutsubidze .....	27
<b>დალი ბეთხოშვილი</b> – ორი ლექსი აკაკი წერეთლის პოეზიაში („იმერული ნანინა“, „იმერული სიმღერა“) <b>Dali Betkhoshvili</b> – Two poems in Akaki Tsereteli’s poetry („Imeretian Nanina“, „Imeretian Song“) .....	34
<b>ომარ გვეტაძე</b> – იმერეთის თემა ძველ ქართულ მწერლობაში <b>Omar Gvetadze</b> – The theme of Imereti in ancient Georgian writing .....	43
<b>თამარ გოგოლაძე</b> – მწერლის „ფიქრით ნახატი“ იმერეთი (დავით კლდიაშვილის შემოქმედების მიხედვით) <b>Tamar Gogoladze</b> – Writer’s “Think Painting” Imereti (According to Davit Kldiashvili’s Work) .....	49
<b>ლალი გოჩიტაშვილი, თორნიკე დვალი</b> – ნიკო და გიორგი ნიკოლაძეების ინოვაციური ტექნოლოგიური პროექტები საქართველოში <b>Lali Gochitashvili, Tornike Dvali</b> – Innovative Technological Projects of Niko and Giorgi Nikoladze in Georgia .....	54
<b>ეკა დადიანი</b> – ანთროპონიმები ქვემოიმერულში (ოკრიბული მეტყველების მიხედვით) <b>Eka Dadiani</b> – Anthroponyms in Lower Imereti (According to Ocribian Speech) .....	70
<b>ვაჟა დანელია</b> – იმერიზმები ზურაბ კუხიანიძის პოეზიაში <b>Vaja Danelia</b> – Imerisms in Zurab Kukhianidze’s Poetry.....	81

<p><b>ლაშა დეისაძე-შარვაშიძე</b> – საბჭოთა რეჟიმის მიერ რეპრესირებული ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ვარლაამი (მახარაძე) - დაბადებიდან 150 წელი  <b>Lasha Deisadze-Sharvashidze</b> – Metropolitan Varlaam (Makharadze) Kutatel-Gaenateli, repressed by the Soviet regime - 150 years since his birth .....</p>	89
<p><b>იამზე ვაშაკიძე</b> – პროფ. ტარიელ ფუტკარაძის ბიოგრაფიიდან (ქუთაისში მოღვაწეობის პერიოდი)  <b>Iamze Vashakidze</b>– From the biography of Professor Tariel Putkaradze (period of work in Kutaisi).....</p>	97
<p><b>ნინო ვახანი</b> – ალექსანდრე ორბელიანი და იმერეთი  <b>Nino Vakhania</b> – Imereti and Alexander Orbeliani .....</p>	105
<p><b>თამილა ზვიადაძე</b> – ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული რომანი „თოვლი მკათათვეში“  <b>Tamila Zviadadze</b> – Elguja Tavberidze’s biographical novel „Snow in the Month of the Harvest“ Linguistic-Creative World .....</p>	113
<p><b>თამილა ზვიადაძე, მარინა კაკაჩია, ქეთევან მარგიანი, მარინა ჯარკავა</b> – ინტერფერენციის საკითხები იმერეთში მცხოვრებ დევნილთა მეტყველების მიხედვით  <b>Tamla Zviadadze, Marine Kakachia, Ketevan Margiani, Marina Jgarkava</b> – Interference Issues in the Speech of IDPs Living in Imereti.....</p>	120
<p><b>მარიკა თედორაძე, თეონა მაჭავარიანი</b> – იმერული ლექსიკისათვის (ოკრიბული მეტყველების მიხედვით)  <b>Marika Tedoradze, Teona Machavariani</b> - On Imeretian Vocabulary (According to Okribian speech) .....</p>	131
<p><b>ეთერ ინსკირველი</b> – კომუნიზმის მსხვერპლთა ასახვის სპეციფიკა საბჭოთა ფოლკლორში (იმერული ზეპირსიტყვიერი მასალის მიხედვით)  <b>Eter Intskirveli</b> – Specifics of Depiction of Victims of Communism in Soviet Folklore (According to Imerian Oral Material) .....</p>	140
<p><b>სალომე კაპანაძე</b> – იმერეთი ელგუჯა თავბერიძის მხატვრულ ქრონიკებში (რომანის „ქარის ფრთების“ მიხედვით)  <b>Salome Kapanadze</b> – Imereti in the artistic chronicles of Elguja Tavberidze (according to the novel „Wings of the Wind“) .....</p>	154
<p><b>ჯემალ კარალიძე</b> – სოლომონ I-ის ბრძოლა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისათვის  <b>Jemal Karalidze</b> – Solomon I’s struggle for the unification of Western Georgia .....</p>	164



<b>მარიამ კობერიძე</b> - ზმნისწინთა ფონეტიკური ნაირსახეობები ზემოიმერულში <b>Mariam Koberidze</b> - Phonetic Varieties of Verb Prefixes in Upper Imeretian .....	176
<b>ირაკლი ლორთქიფანიძე</b> - იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი (ალადაშვილი) <b>Irakli Lortkipanidze</b> - Giorgi (Aladashvili), Bishop of Imereti .....	184
<b>მარიამ მარჯანიშვილი</b> - XIX საუკუნეში მოღვაწე ქართველი ქალი - დომინიკა ერისთავი <b>Mariam Marjanishvili</b> - The 19 <sup>th</sup> - century public woman - Dominika Eristavi.....	198
<b>გუბაზ მეგრელიძე</b> - კოტე მარჯანიშვილის პირველი საბავშვო ოპერა ქუთაისში <b>Gubaz Megrelidze</b> – The First Children’s Opera in Kutaisi by Kote Marjanishvili .....	207
<b>მაია მიქაუტაძე</b> - -ობ და -ებ თემის ნიშანთა შენაცვლებისათვის იმერულში <b>Maia Mikautadze</b> - The suffixes -ob and -eb replace thematic markers in Imeretian .....	213
<b>რუსუდან მიქაუტაძე</b> - მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედის ქუთაისის პრესა ქართველთა ეთნიკური და კულტურული იდენტობის დაცვის აუცილებლობის შესახებ <b>Rusudan Mikautadze</b> – In the first quarter of the 20th century, the Kutaisi press emphasized the necessity of protecting the ethnic and cultural identity of Georgians .....	218
<b>თინათინ მშვიდობაძე</b> - ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია კულტურული მემკვიდრეობის აღდგენისა და შენარჩუნებისათვის <b>Tinatin Mshvidobadze</b> – Artificial Intelligence Technology for Restoration and Preservation of Cultural Heritage.....	225
<b>მარინა მწყერაშვილი</b> - ზემოიმერულ კილოკავში არსებული გასტრონომიული სალექსიკონო მასალის ზოგადი მიმოხილვა <b>Marina Mtskerashvili</b> – A general review of the gastronomic dictionary material in Upper Imeretian sub-dialect .....	233
<b>ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე</b> - ზეპირსიტყვიერი რეალიები შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში <b>Nora Nikoladze-Lomsianidze</b> – Verbal realities in Shota Nishnianidze’s poetry .....	241



<b>ავთანდილ ნიკოლაიშვილი</b> – ნიკო ნიკოლაძის ეროვნული მრწამსის ევოლუცია <b>Avtandil Nikoleishvili</b> – Evolution of Niko Nikoladze’s National Belief....	249
<b>ოთარ ნიკოლაიშვილი</b> – ბრიტანელი მოგზაური და მწერალი ჯონ ბუჩან ტელფერი იმერეთის შესახებ <b>Otar Nikoleishvili</b> – British Traveler and Writer John Buchan Telfer about Imereti .....	259
<b>ლევან ტყეშელაშვილი</b> – იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) – ქართული ენის დამცველი <b>Levan Tkeshelashvili</b> – Bishop Gabriel (Kikodze) of Imereti - defender of the Georgian language.....	271
<b>ლალი ურდულაშვილი</b> – ვიკტორ ნოზაძე და „ვეფხისტყაოსანი“ <b>Lali Urdulashvili</b> – Viktor Nozadze and „Vepkhistkaosani“ (The Knight in the Panther Skin).....	281
<b>ნესტან ფიფია</b> – ცრურწმენა - დავით კლდიაშვილის მოთხრობების ფაბულა (ელგუჯა თავბერიძის „ექვსი პერანგის“ მიხედვით) <b>Nestan Pipia</b> – Superstition - plot of Davit Kldiashvili’s stories (according to Elguja Tavberidze’s „The Shirt of Doubt“) .....	287
<b>მანანა ქაჯაია</b> – ზემო იმერეთი და აკაკი და გიორგი წერეთლები <b>Manana Kajaia</b> – Upper Imereti and Akaki and Giorgi Tsereteli .....	295
<b>დავით შავიანიძე</b> – გვარსახელით გადმოცემული ისტორიული და ტრადიციული ყოფის ზოგიერთი საკითხი (იმერეთში და იმერეთიდან მიგრირებულ გვართა ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით) <b>David Shavianidze</b> – Some Issues of Historical and Traditional Existence Conveyed by Surnames (According to the Ethnographic Material of Surnames that Migrated from Imereti and to Imereti).....	302
<b>მალხაზ ჩოხარაძე, მურმან გორგოშაძე</b> – ფრიდონ ხალვაშის „სამი სიმონეთი“ და რამდენიმე ფრაგმენტი საქართველოს ისტორიიდან <b>Malkhaz Chokharadze, Murman Gorgoshadze</b> – Fridon Khalvashi’s „Sami Simoneti (Three Simoneti)“ and Some Fragments from the History of Georgia .....	314
<b>მაგდა ჭიჭაბერიძე, ეკატერინე შაკიაშვილი</b> – გიორგი წერეთელი სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებებში <b>Magda Chikaberidze, Ekaterine Shakiashvili</b> – Giorgi Tsereteli in the Memories of Soprom Mgaloblishvili .....	324

<b>სოფიკო ჭუმბურიძე</b> – ქართული სინამდვილე და გენდერული საკითხი იმერეთის მაგალითზე (დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერების“ მიხედვით)	
<b>Sophiko Chumburidze</b> – Georgian reality and gender issue on the example of Imereti (According to „Irine’s happiness“ by Davit Kldiashvili) .....	330
<b>ლუიზა ხაჭაპურიძე</b> – იმერული ლექსიკა თენგიზ თოფურიძის წიგნში „ეთნოგრაფიული ჩანაწერები“	
<b>Luiza Khachapuridze</b> – Imer vocabulary in Tengiz Topuridze’s book „Ethnographic Notes“ .....	336
<b>მანანა ხვიციანი</b> – მუხრან მაჭავარიანის პოეზიის ენისათვის (სიტყვაწარმოება, დიალექტიზმები, ჟარგონები)	
<b>Manana Khvingia</b> – On the Mukhran Machavariani’s language of poetry (word formation, dialectisms, slang) .....	345
<b>მზია ხოსიტაშვილი</b> – გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის პრინციპები და რიკოტის ავტომაგისტრალის მშენებლობა	
<b>Mzia Khositashvili</b> – Principles of Environmental Responsibility and the Construction of the Ricoti Highway.....	354
<b>ავტორთა მონაცემები</b> .....	362
<b>CONTRIBUTORS</b> .....	369

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8026>

**საუკუნე-ნახევრის ქუთაისის ილია ჭავჭავაძის  
სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა**

**Kutaisi Public Library,  
named after Ili Chavchavadze  
for over a century and a half**

**რიტა წაქაძე**

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა  
საქართველო, ქუთაისი

**Rita Tsakadze**

Kutaisi Public Library  
Georgia, Kutaisi

**აბსტრაქტი**

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი წიგნსაცავია. იგი ფლობს მილიონზე მეტ საბიბლიოთეკო დოკუმენტს: წიგნებს, პერიოდულ გამოცემებს, CD-DVD კოლექციებს. ფონდში დაცულია როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი ლიტერატურა. ბიბლიოთეკის სიმდიდრეა უნიკალური და იშვიათი გამოცემები, რაც ეროვნულ საგანძურს წარმოადგენს.

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა 1873 წელს დააარსა ანტონ ლორთქიფანიძემ. წელს ბიბლიოთეკა საუკუნე-ნახევრის გახდა.

გახსნის პირველი დღეებიდანვე ბიბლიოთეკა იქცა ქუთაისის მოაზროვნე საზოგადოების თავშესაყარ ადგილად. მან თითქმის 20 წელი იარსება, ხოლო 1893 წელს, როცა ქალაქის მმართველობამ გადაწყვიტა ქალაქში საზოგადო საჯარო ბიბლიოთეკა დაეარსებინა, ანტონ ლორთქიფანიძემ, ყოველგვარი საფასურის გარეშე, საკუთარი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი გადასცა ქალაქის გამგეობას, რითაც ფაქტობრივად საძირკველი ჩაუყარა ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკას.

1930 წელს ბიბლიოთეკას ქუთაისის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ეწოდა და მის პირველ დირექტორად კოსტა თავბერიძე დაინიშნა.

შენობა, რომელშიც დღეს ბიბლიოთეკა არის განთავსებული, მას 1934 წელს გადაეცა. თავდაპირველად ეს შენობა კომერსანტ გიორგი სტეფანეს ძე აკოფოვის საცხოვრებელი სახლი იყო.

1914-1915 წლებში შენობას, ინჟინერ ე. ფრიკეს პროექტით, დაამატეს მესამე სართული და ასეთივე სახე აქვს დღესაც.

1957 წელს ქუთაისის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – ილია ჭავჭავაძის სახელი მიეკუთვნა.

1974 წელს ქუთაისში, საჯარო ბიბლიოთეკის ბაზაზე, განხორციელდა ქალაქის ბიბლიოთეკების ცენტრალიზაცია. დღემდე ყველა საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკა სტრუქტურულად ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკას ექვემდებარება.

ამრიგად, დღეისთვის ქუთაისში მოქმედებს ქალაქის თვით-მმართველობის დაქვემდებარებაში მყოფი ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა 12 ფილიალით: 10 საქალაქო და 2 საბავშვო, ასევე, ბიბლიოთეკასთან არსებობს ანდრია სინაურის სახელობის ლიტერატურული სახლი და ამერიკული კუთხე, რომელიც ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით დაფუძნდა 2012 წელს. ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა არის სამხარეო-საკოორდინაციო მეთოდური ცენტრი; ამდენად, იგი უფლებამოსილი და ვალდებულია, მეთოდური დახმარება გაუწიოს იმერეთის რეგიონისა და ქალაქის ყველა უწყებისა და ტიპის ბიბლიოთეკას. ამჟამად ბიბლიოთეკაში 17 განყოფილება მოქმედებს.

ბიბლიოთეკა ემსახურება მკითხველთა ყველა კატეგორიას. სამეცნიერო მუშაობა წარმოადგენს ბიბლიოთეკის საქმიანობის მთავარ პრიორიტეტს.

2009 წლიდან ბიბლიოთეკაში ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები:

- ყოველწლიურად ტარდება ქართველოლოგიური და ბიბლიოთეკამცოდნობითი მიმართულების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებები (დასწრებული და დაუსწრებელი მონაწილეებისა) იბეჭდება ბიბლიოთეკის სამეცნიერო ჟურნალ „წელიწდეულში“. უკვე გამოცემულია „წელიწდეულის“ 14 ტომი. ჟურნალს აქვს ვებგვერდი: <https://yearbook.openjournals.ge/index.php/kly>; ელვერსია განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა ივერიელში: <https://dspace.nplg.gov.ge/Weliwdeuli>;

- მუშავდება და გამოიცემა იმერეთის მხარის პერიოდული გამოცემების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიათა კრებულები.

გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში დაფუძნებულია სამი საავტორო კონკურსი:

- 2013 წელი – საერთაშორისო ფოტოკონკურსი „წიგნი ობიექტივიდან“ (მე-13 საქალაქო ბიბლიოთეკა);

- 2015 წელი – ლიტერატურული კონკურსი „ჭადრის ოქროსფერი ფოთოლი“;

- 2022 წელი – კალიგრაფიის კონკურსი;

- 2022 წელი – დაფუძნდა ჟურნალი „თეთრი ხიდი“. დღეისათვის გამოცემულია 4 ნომერი.



ფონდებისა და თავად ბიბლიოთეკის სიძველის მიუხედავად, დღეს თანამედროვე ბიბლიოთეკაზე საუბარი შეუძლებელია ელექტრონული რესურსების გარეშე. ამიტომ ბიბლიოთეკა გამუდმებით ცდილობს, გამოიყენოს ყველა საშუალება ელექტრონული რესურსების განვითარებისთვის. ამისათვის იგი არა მხოლოდ იძენს ელექტრონულ საინფორმაციო ბაზებს, არამედ თვითონაც ქმნის. წელს დასრულდა ქართული წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგიზაციის პროცესი (<http://opacqutaisi.gela.org.ge/>). ბიბლიოთეკათა ნაწილი უკვე შეუდგა უცხოენოვანი წიგნადი ფონდის ელკატალოგიზაციას. ბიბლიოთეკა 2015 წლიდან ჩართულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და ჯეოსელის ერთობლივ პროექტში „ციფრული ფოტომატიანი“ (<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/104502>). პროექტის მიზანია, გააცოცხლოს იმერეთის რეგიონის, ჩვენი ქალაქის ისტორია; აღმოაჩინოს და შეაგროვოს ოჯახებში დაცული, საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი ფოტოკოლექციების ციფრული ვერსიები. ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა წელს შეუდგა ციფრული ბიბლიოთეკა „უქიმე-რიონის“ შექმნას. მიმდინარეობს ბიბლიოთეკის როგორც წიგნადი ფონდის, ასევე პერიოდული გამოცემების ელვერსიების შექმნა და მათი განთავსება ზემოაღნიშნულ ციფრულ ბაზაში.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა არის ქუთაისელი საზოგადოების საყვარელი თავშესაფრელი ადგილი. წლიდან წლამდე აქ უამრავი ღონისძიება იმართება: წიგნის წარდგინებები, კონფერენციები, საჯარო ლექციები, პოეზიის საღამოები, კონკურსები, დისკუსიები აქტუალურ საკითხებზე, შემოქმედებითი საღამოები, იუბილეები, შეხვედრები და სხვა.

ბიბლიოთეკა სამართლიანად ამაცობს უნიკალური და იშვიათი გამოცემების ფონდით. მათ შორის აღსანიშნავია: 1498 წელს გამოცემული ინკუნაბულა – დომიციუს კალდერონის „მარციალისის ორიოდე კომენტარისათვის“; დიონისე ლამბინის „ჰორაციუსი“ (1595); „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ (1828) და სხვა მრავალი.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა დეპოზიტარული, გაცვლითი ფონდის საშუალებით ეხმარება საქართველოს სხვადასხვა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკას წიგნადი ფონდების გაძლიერებაში, ასევე, რეგიონებს სასოფლო ბიბლიოთეკების დაფუძნებაში.

ბიბლიოთეკა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმის წევრია.

საკვანძო სიტყვები: ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა, ანტონ ლორთქიფანიძე, საბიბლიოთეკო პროექტები, საბიბლიოთეკო ელექტრონული რესურსები.

---

**ABSTRACT**

Kutaisi Iliia Chavchavadze Public Library is one of the oldest libraries in Georgia, boasting a collection of over a million library documents including books, periodicals, and CD-DVD collections. Its collection spans both Georgian and foreign language literature, encompassing unique and rare publications that are considered national treasures.

Founded in 1873 by Anton Lortkipanidze, the library celebrated its 150th anniversary recently. From its inception, it has been a gathering place for the intellectual community of Kutaisi. In 1893, Anton Lortkipanidze donated his book collection to establish the city's public library, laying the foundation for its growth.

Over the years, the library underwent several transformations. In 1930, it was renamed Kutaisi State Public Library with Kosta Tavberidze appointed as its first director. The library moved to its current location in 1934, originally the residence of merchant Giorgi Stefanese dze Akofov, and expanded in 1914-1915 to include a third floor based on engineer E. Fricke's design.

In 1957, the library was named after Iliia Chavchavadze, a prominent Georgian writer and public figure. By 1974, all city and children's libraries in Kutaisi were centralized under its administration. Today, the Kutaisi Iliia Chavchavadze Public Library operates under the city's self-government with 12 branches, including 10 city branches, 2 children's branches, a literary house named after Andria Sinauri, and an American Corner established in 2012 with support from the American Embassy.

The library serves as a regional coordination and methodological center for the Imereti region, providing methodological assistance to various libraries. Currently, it operates with 17 departments, with a strong emphasis on scientific work as its main priority. The library caters to all categories of readers, maintaining its role as a cornerstone of cultural and educational life in Kutaisi and beyond.

Since 2009, important projects have been implemented in the library:

- Every year, an international scientific conference on Georgian and librarianship is held. Reports (from both present and absent participants) are published in the library's scientific collection „Yearbook“. Fourteen volumes of the „Yearbook“ have already been published. The collection has a website: <https://yearbook.openjournals.ge/index.php/kly>. The digital version is also available in the digital library of the National Library of the Parliament of Georgia, Iverieli: <https://dspace.nplg.gov.ge/Weliwdeuli>.

Collections of analytical bibliographies of periodicals from the Imereti region are developed and published.

Additionally, three author competitions are organized by the library:

- 2013 - International photo competition „Book through the Lens“ (13th City Library).

- 2015 - Literary competition „Golden Leaf of Chadri“.

- 2022 - Calligraphy competition.

In 2022, the „White Bridge“ magazine was founded. To date, four issues have been published.

Despite the age of its funds and the library itself, it is impossible to discuss a



modern library today without electronic resources. Therefore, the library constantly strives to utilize all means to develop its electronic resources. To achieve this, it not only acquires electronic information databases but also creates its own. This year, the electronic cataloging process of the Georgian book fund was completed at <http://opacqutaisi.gela.org.ge/>. Some libraries have already begun electronic cataloging of their foreign language book collections. Since 2015, the library has participated in a joint project with the National Library of the Parliament of Georgia and Geocell, titled „Digital Photo Chronicle“ (<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/104502>). The project aims to preserve the history of the Imereti region and our city by discovering and collecting digital versions of photo collections held in private families and unknown to the public. This year, the Kutaisi Public Library launched the digital library „Uchimerion“. Work is underway to digitize the library's book collections and periodicals and place them in the aforementioned digital database.

The Kutaisi Public Library serves as a beloved meeting place for the Kutaisi community. Numerous events are held here annually, including book presentations, conferences, public lectures, poetry evenings, competitions, discussions on current issues, creative sessions, anniversaries, meetings, and more.

The library rightfully takes pride in its collection of unique and rare publications. Noteworthy among them are incunabula such as Domitius Calderon's „Commentary of Martialis“ (1498), Dionysius Lambini's „Horace“ (1595), and „Law of Batonishvili's Vakhtang“ (1828), among others.

Through its depository-exchange fund, the Kutaisi Public Library supports libraries of various types and agencies throughout Georgia, as well as in rural areas, in strengthening their book collections.

The library is an active member of the Georgian Library Association and the Consortium of Georgian Libraries.

**Keywords:** Kutaisi Public Library, Anton Lortkipanidze, library projects, library electronic resources.

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი წიგნსაცავია. იგი ფლობს მილიონზე მეტ საბიბლიოთეკო დოკუმენტს: წიგნებს, პერიოდულ გამოცემებს, CD-DVD კოლექციებს. ფონდში დაცულია როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი ლიტერატურა. ბიბლიოთეკის სიმდიდრეა უნიკალური და იშვიათი გამოცემები, რაც ეროვნულ საგანძურს წარმოადგენს.

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა 1873 წელს დააარსა ანტონ ლორთქიფანიძემ. წელს ბიბლიოთეკა საუკუნე-ნახევრის გახდა.

ანტონ ლორთქიფანიძე ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო. იგი დაიბადა 1847 წელს ქუთაისის მაზრაში, სოფელ გოჩა ჯიხაიშში.

სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1872 წელს დაასრულა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ანტონის თაოსნობით ქუთაისში ჩამოყალიბდა სცენისმოყვარეთა საზოგადოება და ხშირად იმართებოდა ქართული წარმოდგენები. ანტონი აქტიურად მონაწილეობდა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა კომიტეტის საქმიანობაში, რომელსაც თავმჯდომარეობდა მისი მეუღლე ელენე ყიფიანი (დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილი). ანტონ ლორთქიფანიძე იყო ქუთაისის საბჭოს ხმოსანი დეპუტატი და ქალაქისთავის მოადგილე. ეროვნული მსოფლმხედველობის გამო მას მუდმივი თვალთვალისა და დევნის პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა. მიუხედავად ამისა, თავისი მოქალაქეობრივი და მამულიშვილური ვალი პირნათლად მოიხადა. გარდაიცვალა 1894 წელს. ანტონ და ელენე ლორთქიფანიძეები დაკრძალული არიან ქუთაისის წმინდა გიორგის ეკლესიაში, გორაზე.

1873 წლის 6 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში ანტონი კირილე ლორთქიფანიძეს წერდა:

„ძმაო კირილე,

კატალოლი უნდა წარვადგინო და გახსნის ნებას იმ დღესვე მომცემენ. წიგნებს გლახას და კარგს ფრანციზულს და რუსულს შეუყარე თავი ოთხი ათასამდის. ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკის დანარჩენი ვიყიდე, სახლი ვიქირავე, ბიბლიოთეკარებიც მყავს, ჟურნალებიც არის და მებელიც მაქვს; ერთის სიტყვით ყოვლისფერათ მზათ ვარ. ახლა თუ დრო გექნება, გაისარჯე და ბიბლიოთეკის პრავილოები (წესდება) გამოგვიგზავნე, აგრეთვე პატარა ბლანკები, რომელიც წიგნების წამღებს მიეცემა; ერთის სიტყვით ყოველივე რაც კი შეეხება ბიბლიოთეკის პრავილოებს გამომიგზავნე საჩქაროთ. ამ ბიბლიოთეკას ვხსნი ჩემს სახელზედ. არას კაციდგან არაფერს შემწეობას არ ვნახულობ, რადგან ვიცი რომ ბევრი პატრონების ჯოგს ხშირად სჭამს მგლები“ (ქსიმ, ფ. №2173/487).

1873 წლის 16 ნოემბერს გაზეთი „დროება“ (№42) იუწყებოდა:

„ისეთ მიყრუებულს და რკინის გზისგან დაჩაგრულს ქალაქში, როგორც ქუთაისია, მართლა რომ მოვლინებათ ჩაითვლება ა. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკის დაბადება.

ა. ლორთქიფანიძემ პირველად დაანახა ქუთაისელებს, რომ შესაძლებელია კაცმა ისეთ საქმესაც მოჰკიდოს ხელი, რომლისგან შემოსავალი კი არა, ცხადი ზარალიც მოელის. მაგრამ საზოგადო სიკეთისთვის კი საჭიროა ამ ნაირი საქმის დაწყება.

ჩვენ მადლობით მიულოცავთ ა. ლორთქიფანიძეს ამ მშვენიერი განზრახვისათვის გასჯას და ვისურვებთ, რომ იმერეთის სატახტო ქალაქმა გამოიყენოს გონების გასაზღველად ის საშუალებები, რომელსაც მისცემს მას ბიბლიოთეკა“ (დროება 1873).

გახსნის პირველი დღეებიდანვე ბიბლიოთეკა იქცა ქუთაისის მოაზროვნე საზოგადოების თავშესაყარ ადგილად. მან თითქმის 20 წელი იარსება, ხოლო 1893 წელს, როცა ქალაქის მმართველობამ გადაწყვიტა, ქალაქში საზოგადო საჯარო ბიბლიოთეკა დაეარსებინა, ანტონ ლორთქიფანიძემ, ყოველგვარი საფასურის გარეშე, საკუთარი

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი გადასცა ქალაქის გამგეობას, რითაც ფაქტობრივად საპირკველი ჩაუყარა ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკას:

„... ამის საბუთი ამ დღეებში თავ. ან. ნიკ. ლორთქიფანიძემ დაგვანახვა, რომელმაც მომავალის ბიბლიოთეკისათვის ათას ხუთასიოდე ცალი წიგნი უსასყიდლოდ დაუთმო და სამუდამოდ შესწირა ქალაქს. ეს ისეთი შესაწირავია, რომ მკვიდრს საპირკველს დაუდებს ბიბლიოთეკას; ამ ათას ხუთას წიგნში, როგორც ნამდვილად ვიცით, ბევრი იშვიათი და თვალსაჩინო წიგნი იპოვება - როგორც რუსულის მწერლობისა, ისე ფრანგულისა. რასაკვირველია, თავ. ან. ნიკ. ლორთქიფანიძე ამ შესაწირავისთვის დიდის მადლობის ღირსია და, სრული იმედია, ამ ამბავს ქალაქი არ დაივიწყებს (ივერია 1893).

საჯარო ბიბლიოთეკისათვის თავდაპირველად ქალაქის სამმართველოს შენობაში გამოუყვიათ ორი პატარა ოთახი: ერთი - საცავის, მეორე - სამკითხველო დარბაზისათვის. ქუთაისელი საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვედრია ამ ფაქტს. ბიბლიოთეკისათვის წიგნები შეუწირავთ: კირილე ლორთქიფანიძეს, სერგო ბახტაძეს, რიგით მოქალაქეებს. თუმცა საბიბლიოთეკო საქმიანობაში ბევრი ხარვეზიც ყოფილა. ამის შესახებ 1909 წელს გაზეთი „ფონი“ წერდა: „ნეტავ როდის იქნება, ჩვენი „დუმა“ წიგნის სამკითხველოსთვისაც იფიქრებს და როდის იქნება, ჩვენი საზოგადოება სამკითხველოში ჯდომას ისწავლის“ (ქსზ - 110 1984: 6).

1910 წელს ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის გამოძებნეს უკეთესი შენობა ქალაქის სამმართველოს კლუბში, ხოლო 1911 წელს, ქალაქისთვის - ჩიქოვანის მოწვევით, ბიბლიოთეკის გამგედ დაინიშნა პედაგოგი და მწიგნობარი ქალი, პელაგია ლორია. მისი ინიციატივითა და ენერგიული ხელმძღვანელობით ბევრი რამ გაკეთდა ბიბლიოთეკის მუშაობის გარდასაქმნელად.

1930 წელს ბიბლიოთეკას ქუთაისის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ეწოდა და მის პირველ დირექტორად კოსტა თავბერიძე დაინიშნა.

შენობა, რომელშიც დღეს ბიბლიოთეკა არის განთავსებული, მას 1934 წელს გადაეცა. თავდაპირველად ეს შენობა კომერსანტ გიორგი სტეფანეს ძე აკოფოვის საცხოვრებელი სახლი იყო. რამდენადაც ნაგებობა იმდროინდელ ქუთაისში გამოირჩეოდა თავისი არქიტექტურით, ფართით და მოხერხებული მდებარეობით, ამიტომ შემთხვევით არ იყო, რომ 1875 წლის დეკემბერში დაფუძნებულმა ქალაქის თვითმმართველობამ და სათათბირომ სწორედ ამ შენობაში დაიდეს ბინა (მესხი 1971: 4).

1896 წელს სახლის პატრონმა, გიორგი აკოფოვმა, შენობა დააგირავა ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკში, საიდანაც ის მოგვიანებით არონ ელიგულაშვილმა შეიძინა.

1909 წელს შენობის მეორე სართულზე მოთავსებული იყო აზოგდონის კომერციული ბანკის ქუთაისის განყოფილება, ქვედა სართულზე კი - სხვადასხვა სავაჭრო.

1914-1915 წლებში შენობას, ინჟინერ ე. ფრიკეს პროექტით, დაამატეს მესამე სართული და ასეთივე სახე აქვს დღესაც.

1957 წელს ქუთაისის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის - ილია ჭავჭავაძის სახელი მიეკუთვნა.



1974 წელს ქუთაისში, საჯარო ბიბლიოთეკის ბაზაზე, განხორციელდა ქალაქის ბიბლიოთეკების ცენტრალიზაცია. დღემდე ყველა საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკა სტრუქტურულად ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკას ექვემდებარება.

1997 წელს საჯარო ბიბლიოთეკას შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკა, ხოლო საქართველოს მთავრობის 2007 წლის 3 ივლისის დადგენილების საფუძველზე ბიბლიოთეკის სტატუსი შემდეგნაირად განისაზღვრა: კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის 07 აგვისტოს №876 ბრძანების საფუძველზე ბიბლიოთეკას კვლავ შეეცვალა სახელწოდება და გახდა საჯარო ბიბლიოთეკა.

ამრიგად, დღეისთვის ქუთაისში მოქმედებს ქალაქის თვით-მმართველობის დაქვემდებარებაში მყოფი ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა 12 ფილიალით: 10 საქალაქო და 2 საბავშვო, ასევე, ბიბლიოთეკასთან არსებობს ანდრია სინაურის სახელობის ლიტერატურული სახლი და ამერიკული კუთხე, რომელიც ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით, დაფუძნდა 2012 წელს. ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა არის სამხარეო-საკოორდინაციო მეთოდური ცენტრი; ამდენად, იგი უფლებამოსილი და ვალდებულია, მეთოდური დახმარება გაუწიოს იმერეთის რეგიონისა და ქალაქის ყველა უწყებისა და ტიპის ბიბლიოთეკას.

სხვადასხვა დროს ტარდებოდა გარკვეული ღონისძიებები სტრუქტურის სრულყოფის თვალსაზრისით. ამჟამად ბიბლიოთეკაში 17 განყოფილება მოქმედებს.

ბიბლიოთეკა ემსახურებამკითხველთა ყველა კატეგორიას. სამეცნიერო მუშაობა წარმოადგენს ბიბლიოთეკის საქმიანობის მთავარ პრიორიტეტს. ამიტომ ბიბლიოთეკაში დაფუძნდა სამეცნიერო საბჭო, რომელშიც გაერთიანებული არიან არა მარტო ბიბლიოთეკის თანამშრომლები, არამედ ქალაქის სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლები. საბჭოს უმთავრესი ფუნქციაა, განსაზღვროს ბიბლიოთეკის სამეცნიერო მუშაობის ძირითადი მიმართულებები.

2009 წლიდან ბიბლიოთეკაში ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები:

- ყოველწლიურად ტარდება ქართველოლოგიური და ბიბლიოთეკათმცოდნეობითი მიმართულების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებები (დასწრებული და დაუსწრებელი მონაწილეებისა) იბეჭდება ბიბლიოთეკის სამეცნიერო ჟურნალ „წელიწდეულში“. უკვე გამოცემულია „წელიწდეულის“ 14 ტომი. ჟურნალს აქვს ვებგვერდი: <https://yearbook.openjournals.ge/index.php/kly>; ელვერსია, ასევე, განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა ივერიელში: <https://dSPACE.nplg.gov.ge/Weliwdeuli>;

• მუშავდება და გამოიცემა იმერეთის მხარის პერიოდული გამოცემების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიათა კრებულები.

გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში დაფუძნებულია სამი საავტორო კონკურსი:

• 2013 წელი – საერთაშორისო ფოტოკონკურსი „წიგნი ობიექტივიდან“ (მე-13 საქალაქო ბიბლიოთეკა);

• 2015 წელი – ლიტერატურული კონკურსი „ჭადრის ოქროსფერი ფოთოლი“;

• 2022 წელი – კალიგრაფიის კონკურსი.

• 2022 წელი – დაფუძნდა ჟურნალი „თეთრი ხიდი“. დღეისათვის გამოცემულია 4 ნომერი.

ფონდებისა და თავად ბიბლიოთეკის სიძველის მიუხედავად, დღეს თანამედროვე ბიბლიოთეკაზე საუბარი შეუძლებელია ელექტრონული რესურსების გარეშე. ამიტომ ბიბლიოთეკა გამუდმებით ცდილობს, გამოიყენოს ყველა საშუალება ელექტრონული რესურსების განვითარებისთვის. ამისათვის იგი არა მხოლოდ იძენს ელექტრონულ საინფორმაციო ბაზებს, არამედ თვითონაც ქმნის. წელს დასრულდა ქართული წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგიზაციის პროცესი (<http://opacqutaisi.gela.org.ge/>). ბიბლიოთეკათა ნაწილი უკვე შეუდგა უცხოენოვანი წიგნადი ფონდის ელკატალოგიზაციას. ბიბლიოთეკა 2015 წლიდან ჩართულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და ჯეოსელის ერთობლივ პროექტში „ციფრული ფოტომატიანი“ (<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/104502>). პროექტის მიზანია, გააცოცხლოს იმერეთის რეგიონის, ჩვენი ქალაქის ისტორია, აღმოაჩინოს და შეაგროვოს ოჯახებში დაცული, საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი ფოტოკოლექციების ციფრული ვერსიები. ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა წელს შეუდგა ციფრული ბიბლიოთეკა „უქმერიონის“ შექმნას. მიმდინარეობს ბიბლიოთეკის როგორც წიგნადი ფონდის, ასევე პერიოდული გამოცემების ელვერსიების შექმნა და მათი განთავსება ზემოაღნიშნულ ციფრულ ბაზაში.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა ნამდვილად არის ქუთაისელი საზოგადოების საყვარელი თავშესაყრელი ადგილი. წლიდან წლამდე აქ უამრავი ღონისძიება იმართება: წიგნის წარდგინებები, კონფერენციები, საჯარო ლექციები, პოეზიის საღამოები, კონკურსები, დისკუსიები აქტუალურ საკითხებზე, შემოქმედებითი საღამოები, იუბილეები, შეხვედრები და სხვა. განსაკუთრებული ხალხმრავლობაა საბიბლიოთეკო კვირეულის დღეებში. საბიბლიოთეკო კვირეული ნამდვილი ზეიმია. მთელი კვირის განმავლობაში გრძელდება ღონისძიებები საჯარო ბიბლიოთეკასა და საქალაქო ფილიალებში, რაც ბიბლიოთეკასა და საზოგადოებას კიდევ უფრო აახლოებს ერთმანეთთან.

ბიბლიოთეკა სამართლიანად ამაცობს უნიკალური და იშვიათი გამოცემების ფონდით. მათ შორის აღსანიშნავია: 1498 წელს გამოცემული ინკუნაბულა – დომიციუს კალდერონის „მარციალისის ორიოდე კომენტარისათვის“; დიონისე ლამბინის „ჰორაციუსი“ (1595 წ.); „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ (1828 წ.) და სხვა მრავალი.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა დეპოზიტარული, გაცვლითი ფონდის საშუალებით ეხმარება საქართველოს სხვადასხვა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკებს წიგნადი ფონდების გაძლიერებაში. ასევე, რეგიონებს სასოფლო ბიბლიოთეკების დაფუძნებაში.

ბიბლიოთეკა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმის წევრია. ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციები არიან: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თსუ საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ალ. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი, თბილისის გოეთეს ინსტიტუტი, ამერიკის საელჩო, ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო, პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი და მრავალი სხვა.

#### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

დროება 1973: გაზეთი „დროება“, 16 ნოემბერი, №42, 1873.

ივერია 1893: გაზეთი „ივერია“, 7 აპრილი, №69, 1893.

მესხი 1971: მესხი ლ., ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკა, გაზეთი „ქუთაისი“, №6, 1971.

ქსზ-110 1984: ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა-110 (1873-1983), შემდგენლები: ლ. ნუცუბიძე, ს. არველაძე. თბილისი, 1984.

ქსიმ: ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ფონდი №2173/487.



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8027>

**გაბრიელ ეპისკოპოსის წერილები  
გრიგოლ დადიანთან**

**Letters of Bishop Gabriel to Grigol Dadiani**

**ნანა აბულაძე**

დადიანების სასახლეთა  
ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი  
საქართველო, ზუგდიდი

**Nana Abuladze**  
Dadiani Palaces History and  
Architectural Museum  
Georgia, Zugdidi

**აბსტრაქტი**

მღვდელმთავარმა გაბრიელმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა XIX საუკუნის ქართული საზოგადოების სულიერი ცხოვრების განვითარებასა და განმტკიცებაში.

გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობას არაერთი მონოგრაფია თუ სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა. სტატიაში გაანალიზებულია დადიანების ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის საფონდო-საარქივო მასალა, რომელიც იმერეთის ეპისკოპოსისა და გრიგოლ დადიანის ურთიერთობის ისტორიაა.

ეპისკოპოს გაბრიელის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა პერიოდს, როდესაც ქართველი ერის სასიცოცხლო ენერჯია გაცრეცის გზაზე იდგა. იგულისხმება ისტორიული სიტუაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, კერძოდ, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმება და მზაკვრული გეგმები, რომელიც ქართველ ერს გადაგვარებას უქადდა.

მღვდლის ოჯახში გაზრდილი გაბრიელის შინაგანი სამყარო გაცისკროვნებულია ღვთისა და სამშობლოს უპირობო სიყვარულით. ამ ენერჯიით დატვირთული ეპისკოპოსი ყოველგვარი უმსგავსობის წინააღმდეგ იბრძოდა.

მნიშვნელოვანია მღვდელმთავარ გაბრიელის კეთილგანწყობილი ურთიერთობა სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის მმასთან – გრიგოლ დადიანთან. დადიანების მუზეუმის ფონდსაცავში დაცული წერილები მეტად საყურადღებოა, რადგანაც ამ მიმოწერაში ნათლად იკვეთება

გრიგოლის განათლება და წიგნიერება. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ეპისკოპოსი გაბრიელი ანგარიშს უწევდა გრიგოლის აზრს, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი ეკავა XIX საუკუნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ის გახლდათ პოეტი (ცნობილია ფსევდონიმით „კოლხიდელი“, „გეგეჭკორი“), მთარგმნელი, მეცენატი ქართული კულტურისა.

ეპისკოპოსი მტკიცედ იცავდა ქართულ ენას, რადგანაც მას ბრწყინვალედ ჰქონდა გასიგრძელებული, რომ ერის თვითმყოფადობა ენაშია განივთებული, მამულთან და სარწმუნოებასთან ერთად. ესაა ბრძოლის იარაღი, ამიტომაც გაბრიელ ეპისკოპოსი მთელი არსებით იცავდა ქართულ ენას, რომელიც ქართველობის უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენდა. ერის თვითმყოფადობისთვის მშობლიურ ენაზე მოაზრონე ადამიანი არის ქვაკუთხედი და ამავედროულად ის ნოყიერი ნიადაგი, რომელზედაც დგას ერი.

ამდენად, იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისა და სამეგრელოს თავად გრიგოლ დადიანის მიმოწერა დასტურია იმ ურთიერთობის ისტორიისა, რომელსაც მოცემულ ისტორიულ პერიოდში ჰქონდა ადგილი. წერილები მრავალმხრივ საინტერესოა, რადგანაც აქედან მოედინება მწიგნობრობისა და განათლების პატივისცემა, თავმდაბლობა, სიყვარული, ურთიერთობათა სიფაქიზე და მოწიწება, რაც აუცილებელი და მნიშვნელოვანია.

**საკვანძო სიტყვები:** იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის მოღვაწეობა, გაბრიელ ეპისკოპოსისა და გრიგოლ დადიანის ურთიერთობა, მიმოწერა.

#### ABSTRACT

Bishop Gabrieli played a significant role in the development and reinforcement of the spiritual life of Georgian society in the 19th century. Numerous monographs and scientific works have been prepared to describe the life and achievements of Bishop Gabrieli. The document below aims to present archival materials preserved in the fund of the Dadiani Palaces History and Architectural Museum, which demonstrate the historical relationship between the Bishop of Imereti and Grigol Dadiani.

Bishop Gabrieli began his public life during a period when the strong spirit of Georgian society was waning, amidst the historical developments of the first half of the 19th century. Specifically, this was when the Russian Empire abolished Georgia's statehood and aimed to assimilate the Georgian nation.

Gabrieli grew up in a clergyman's family, and his inner world was filled with love for God and his homeland, leading him to fight against injustice.

It is worth mentioning that Bishop Gabrieli had a warm relationship with Grigol Dadiani, the brother of the ruler of Samegrelo region, David Dadiani. The letters preserved in the Dadiani Museum's collection are significant as they illustrate Grigol Dadiani's education and literacy. It's also important to note that Bishop Gabrieli

respected Grigol's views; Grigol played an active role in 19th-century public life as a poet using pen names 'Kolkhideli' and 'Gegechkori,' as well as a translator who contributed to Georgian culture.

The Bishop actively defended the Georgian language, believing that it safeguarded the homeland's statehood and religion. For him, the Georgian language was a weapon in his struggle, crucial for every Georgian person. Thinking in one's native language was a cornerstone of the homeland and fertile soil nourishing the nation.

In this context, the correspondence between Bishop Gabrieli and the nobleman of Samegrelo, Grigol Dadiani, confirms their relationship during that specific period. These letters are intriguing and important as they reflect respect for literacy and education, modesty, love, a positive relationship, and mutual respect, all of which are highly valued.

**Keywords:** Works of Bishop Gabriel, relationship between Bishop Gabriel and Grigol Dadiani, correspondence.

მღვდელმთავარმა გაბრიელმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა XIX საუკუნის ქართული საზოგადოების სულიერი ცხოვრების განვითარებასა და განმტკიცებაში.

გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობას არაერთი მონოგრაფია თუ სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა. წარმოდგენილ სტატიაში განვიხილავთ დადიანების ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის საფონდო-საარქივო მასალას, რომელიც იმერეთის ეპისკოპოსისა და გრიგოლ დადიანის ურთიერთობის ისტორიას.

ეპისკოპოს გაბრიელის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა პერიოდს, როდესაც ქართველი ერის სასიცოცხლო ენერჯია გაცრეცის გზაზე იდგა. ვგულისხმობთ ისტორიულ სიტუაციას, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში კერძოდ, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებას და მზაკვრულ გეგმებს, რომელიც ქართველ ერს გადაგვარებას უქადდა. სწორად შენიშნავს მეცნიერი ავთანდილ ნიკოლეიშვილი: „იმ პერიოდის ბევრი ქართველისათვის გაბრიელ ეპისკოპოსი ადამიანის ზნეობრივი სრულყოფილების იდეალურ მაგალითადაა მიჩნეული. ამიტომაც ისმენდა მის ქადაგებებს უდიდესი გულისყურით ფართო საზოგადოება; ისმენდა წიგნიერიცა და უწიგნურიც, ისმენდა გლეხიცა და ინტელიგენტიც... მის სიტყვას ხომ ზემოქმედების უდიდესი ძალა ჰქონდა შეძენილი“ (ნიკოლეიშვილი 1990: 5).

მღვდლის ოჯახში გაზრდილი გაბრიელის შინაგანი სამყარო გაცისკროვნებულია ღვთისა და სამშობლოს უპირობო სიყვარულით. ამ ენერჯიით დატვირთული ეპისკოპოსი იბრძოდა ყოველგვარი უმსგავსოების

წინააღმდეგ. აღნიშვნის ღირსია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის – პ. იანოვსკის მზაკვრული ჩანაფიქრი, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა ქართული ენის გაძევებას სასწავლებლიდან. ამ საკითხთან დაკავშირებით ეპისკოპოსი გაბრიელი ერთმნიშვნელოვნად ითვლება ილია ჭავჭავაძისა და მისი თაობის იდეის გამგრძელებლად.

მღვდელმთავარი გვევლინება მშობლიური ენის მტკიცე დამცველად. ის არ უშინდება რუსი კოლონიზატორების დაპირისპირებას, რადგანაც მას ძალიან კარგად ესმის, რომ ერის თვითმყოფადობისთვის მშობლიურ ენაზე მოაზრონე ადამიანი ის ქვაკუთხედი და ამავდროულად ის ნოყიერი ნიადაგია, რომელზედაც დგას ერი.

გაბრიელ ეპისკოპოსის ხანგრძლივი და მრავამხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან განსაკუთრებით ნაყოფიერი ხანა იმერეთის ეპარქიაში მღვდელმთავრობის წლები იყო. ამ პერიოდში იმერეთის ეპარქია მთელს დასავლეთ საქართველოს აერთიანებდა. სხვადასხვა დროს იგი მოიცავდა სამეგრელოს, გურიას, აფხაზეთს, სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმს (ნიკოლეიშვილი 1990: 16 -17).

მნიშვნელოვანია მღვდელმთავარ გაბრიელის კეთილგანწყობილი ურთიერთობა სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის ძმასთან – გრიგოლ დადიანთან. დადიანების მუზეუმის ფონდსაცავში დაცული წერილები მეტად საყურადღებოა, რადგანაც ამ მიმოწერაში ხაზგასმულია გრიგოლის განათლება და წიგნიერება. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ეპისკოპოსი გაბრიელი ანგარიშს უწევდა გრიგოლის აზრს, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი ეკავა მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ის გახლდათ პოეტი, რომელიც ცნობილია ფსევდონიმით „კოლხიდელი“, „გეგეჭკორი“, ასევე, მთარგმნელი, მეცენატი ქართული კულტურისა. შინაარსიანი ცხოვრებით ღრმა კვალი დატოვა და გარკვეული წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიაში და ქართულ მწერლობაში (ქობალია 1991: 3-4).

გრიგოლის დედა მართა დედოფალი, ასული ზურაბ წერეთლისა, იყო და დავით მიტროპოლიტისა და გრიგოლ წერეთლისა (მეუნარგია 1954: 296). ყველაფერთან ერთად, გრიგოლ დადიანი გამორჩეული სამხედრო მოღვაწეც გახლდათ. გრიგოლმა რუსეთში გურიის მთავარ მამია გურიელის ასული ტერეზია შეირთო ცოლად – იგი იმპერატორის კარზე სეფექალი იყო (კალანდია 2001: 15).

დადიანების მუზეუმის საგამოფენო სივრცეს ამშვენებს გრ. დადიანის ფერწერული პორტრეტი, სადაც გამოსახულია უკვე ჭადარა გენერალი, სავარძელში მჯდომი სამუშაო მაგიდასთან (იზორია 2001: 8-9).

1871 წელს გარდაიცვალა მისი მეუღლე ტერეზია – გურიელის ასული. ამის შემდეგ გრიგოლ დადიანმა დატოვა თბილისი და ქუთაისში გადმოსახლდა. ცხოვრობდა ბალახვანის (ამჟამად აკაკი წერეთლის) ქუჩაზე. იგი გვიან შემოდგომასა და ზამთრის თვეებს ქუთაისში ატარებდა, წლის დანარჩენ დროს – ლეჩხუმში, საკურორტო სოფელ სურმუშში (პაჭკორია 1996: 10-11).



ზემოთ დავინახეთ, რომ გრიგოლ დადიანი ისტორიული და ლიტერატურული პიროვნებაა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეცხრამეტე საუკუნეში.

გრიგოლ დადიანის პიროვნებას ღირსებას, ჩვენი აზრით, სძენს გაბრიელ ეპისკოპოსის წერილები, რომელთა ხაზგასმასაც ჩვენ ვაპირებთ:

კერძოდ, 1865 წლით დათარიღებული მეტად საინტერესო წერილი:

„თქუენო უგანათლებულესობანო  
მოწყალეო ხელმწიფენო  
გრიგოლ და ტერეზია!

თფილისში, წარსულს დეკემბერს დაიბეჭდა წიგნი ჩემთა ქადაგებათა, ერთი ბუელი ჩემი ამხანაგი, ჩინოვნიკი ცაგარელი მოგართმევს თქუენ თითო ეკუმპლიარს, რომელიც გთხოვთ მიიღოთ ნიშნად ჩემისა უღრმესისა სიყვარულისა და პატივისცემისა გთხოვთ, ბატონო გრიგოლ ვ~ ა (როგორც-ხაზი ჩემია ნ.ა.) ქართული ენის ზედმიწევნის მცოდნესა, რაც შენიშნოთ ენის, ანუ სხვის, ნაკლულევანება ყოუელი პირმოუთმენად მიბრძანოთ, რომ მომავლის დროებისათვის ვიქმნე გამოცთილ და გაფრთხილებულ.

ვხედავ ცხადათ თქუენისა წერილისაგან რომ არ დავგიწყებოვარ და გულითადს მადლობას მოგახსენებთ. მე გთხოვთ მაგიერად თქვენი გამომიგზავნოთ.

თქუენი უგანათლებულესობის მორჩილი მოსამსახურე და ღვთის მლოცველი გაბრიელ ეპისკ. იმერეთისა.

1965 წლის 28 იანვარი.

(დადიანების მუზეუმის ლიტერატურული არქივი, 1243).

წერილიდან ნათლად იკვეთება გაბრიელ ეპისკოპოსის საოცარი თავმდაბლობა და პატივისცემა გრიგოლ დადიანის განსწავლულობისადმი. აქ გვახსენდება ი. მეუნარგიას სიტყვები: „ძველი ქართული ენის ცოდნით ეგზომ ქებული და ღრმად განათლებული გრიგოლ დადიანი, რომელიც აკად. სიმონ ჯანაშიას თქმით „საინტერესო კულტურული ჰაბიტუსის პატრონია“ (მეუნარგია 2002: 142). უდავოდ, ძნელია არ დაეთანხმო ამ მიმოწერის გაცნობის შემდეგ. იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, ჩვენი სასიქადულო მქადაგებელი, რომელსაც რამდენიმე შემთხვევა მიეცა გაეგონა განიცადეზე მისი ქადაგებანი დადიანისაგან წაკითხული, იტყოდა: ჩემი ქადაგება მე ვერ ვცანიო. ეს ფაქტი ადასტურებს იმ რეალობას, რომ გრიგოლ დადიანი ხელოვანი მკითხველი იყო ქართული ენისა (მეუნარგია 1954: 336-337).

საყურადღებოა მორიგი წერილი, დათარიღებული 1869 წლით, სადაც წერილის ავტორი გაბრიელ ეპისკოპოსი ულოცავს გრიგოლ დადიანს ქრისტეშობასა და ახალ წელს. მოიკითხავს კნენა ტერეზიას და შემდეგ განაგრძობს: „...მე შეუდექი ახლა მომზადებას მეორე გამოცემისა ჩემის სიტყვების. 75 ახალ სიტყვებს მოუმატებ და ძუელად დაბეჭდილებს ერთიანად დავაბეჭვდინებ. საშინლად ძვირად კი მიჯდება, მაგრამ რა გაეწყობა; იქნებ თავნი მაინც დამიბრუნოს, როდესაც დაბეჭდავენ ერთ ეგუმპლიარს მოგართმევენ. ეს საქმე მივანდვე სასულიერო უჩილიშიის

სმოტრიტელს უფ. (უფალ – ხაზი ჩვენია – ნ.ა.) გოგებაშვილს, რომელმაც ამის წინეთ კარგი წიგნი დაბეჭდა ქართულით „ბუნების კარი“ (დადიანების მუზეუმის ლიტერატურული არქივი, 1251).

წერილის დასასრულს დღესასწაულს ულოცავს მთავრინასა და კნიაზ ნიკოს და ანდრიას.

წერილი მეტად საყურადღებო და საინტერესო ინფორმაციის შემცველია და ამავდროულად მათი საქმიანი და კეთილგანწყობილი დამოკიდებულების დასტური გახლავთ.

მორიგ წერილში, რომელიც დაცულია ლ.ა. 1315 ნომრით, გაბრიელ ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანს ამცნობს, რომ „... ჯერემ ლეჩხუმს გამოვივლი და ბლალოჩინებს კენჭით აღმოვარჩევინებ. მერე რაჭისკენ წავალ. ნეტავი თქვენ იქნებით მაშინ სურმუშს თუ არა...“

წერილის დასასრულს ეპისკოპოსი გამოთქვამს იმედს, როცა შეხვდება, მაშინ მრავალი ზაასი ექნებათ.

ხელნაწერთა ფონდში დაცულ წერილებს შორის საყურადღებოდ ჩავთვალეთ ქუთაისიდან გამოგზავნილი, 1877 წლის 15 თებერვლით დათარღებული შემდეგი წერილი, რომელიც ასე იწყება: „უსაყვარლესო მეგობარო გრიგოლ! რა არის რომ ამდენი ხანია ერთი ტრიქონით არ შემატყობინე შენი ამბავი? მხოლოდ სიმონ აბაშიძემ მითხრა ავით არისო იმედი მაქვს ახლა მაინც, კარგათ ხართ! შენი თხოვნა შესახებ ღვდელი კუხალაშვილისა ავასრულე. პირველ დრუჟინაში ღვდლათ განვაწესე, კარგი ადგილი, კარგი ჯამაგირი. ... თუ შენ არ გეთხოვა იმას ვინ მისცემდა ამისთანა ადგილს.“

საბრალო ჩვენი გიორგი მუხრანსკი! რა უდროთ გადიცვალა და უადგილოთ! რა კაცი დაგვეკარგა ჩვენ ქართველებს! იმის ტოლი არა ვინ დაგვრჩა ჭკუით, კეთილობით, კეთილშობილობით.

პაშას ლოცვა, კურთხევას მოვახსენებ.

შენი ერთგული გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა (დადიანების მუზეუმის ლიტერატურული არქივი, 1254).

ლ.ა. 1255 პირადი ბარათი, ქუთაისი 1878 წელი. იმერეთის ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანს უწონებს წიგნების კითხვით თავის შექცევას. თან ატყობინებს, რომ უგზავნის ერთ წიგნს, რომელიც მას რუსეთიდან გამოუგზავნეს. მოკლე დროში აპირებს რაჭაში ჩასვლას ეკლესიების საკურთხელებლად.

(დადიანების მუზეუმის ლიტერატურული არქივი, 1247, პირადი ბარათი, 1867 წელი. წერილის მოკლე შინაარსი შემდეგი გახლავთ: ბოდიშს ითხოვს წერილის დაგვიანებით გამოგზავნისათვის ავადმყოფობის გამო. წერს გადაუღებელ წვიმაზე და ქუთაისიდან ცოლ-ქმარ ლევაშოვებისა და გრაფის ყირიმში გამგზავრების შესახებ. ნიკოლაძეს აღარ დასჭირდება ალბათ ჩემი თხოვნა, რადგან მის სიმართლეში ლევაშოვი თვითონ დარწმუნდება.

(დადიანების მუზეუმის ლიტერატურული არქივი, 1253. ავტორი ბოდიშს უხდის გრიგოლს თხოვნის შეუსრულებლობის გამო, მისი მოძღვრის



სიძის ნოლის ეკლესიის მღვდლად კურთხევას რომ ვერ ახერხებს, რადგანაც, აგრძელებს ეპისკოპოსი, „... ამაზედ თუ არ დაგავიწყდა შენივე თხოვნით იყო ადგენილი მიწერმოწერა კანტორაში რომ ის სოფლის ნოლის ეკლესია დაემტკიცებია შტატათ კანტორას და ჯერ არაფერი გადაწყვეტილება არ მოსულა. თუ შტატათ არ დამტკიცდა ის ეკლესია როგორ შეიძლება იქ ღვდლის კურთხევა მე დარწმუნებული ვარ რომ შენ ჩემგან არ მოითხოვ იმისთანა საქმეს რომ უკანონო იყოს და არ გიამება რომ მე უმაღლესის მთავრობისაგან საყვედური მექმნეს უკანონოთ კურთხევისათვის ღვდლად. ხომ იგი რანაირად მიმზერს კანტორა და ექსარხი რომ მიზეზი რაიმე მიპოვნონ თუ კი სიცრუითაც იგონებენ ჩემთვის ცილისწამებას რომ დამაშავონ წინაშე სინოდისა რა საკვირველია უფრო აღარ დამზოგავენ რომ რაიმე უწესო განკარგულება ვქმნა. არა მაქვს ეჭვი რომ ჩვეულებრივი გონიერებით შეხედავთ ამა გარემოებათა და არ დამემდურები რომ ვერ ავასრულე ეს შენი თხოვნა.

შენი ერთგული გაბრიელ ეპისკ. იმერეთისა  
1876 წ. 23 თებერვალი

ცნობილია, რომ გაბრიელ ეპისკოპოსს დიდი უთანხმოება ჰქონდა ეგზარქოს ევსევისთან ეროვნულ ნიადაგზე. მთავრობა ჩასაფრებული იყო და ეს დამოკიდებულება წერილიდანაც კარგად იგრძნობა. თავად მღვდელმთავარიც არავითარ შემთხვევაში არ იკადრებდა უკანონოს. აღსანიშნავია, რომ დროდადრო ეპისკოპოსზე საიდუმლო მეთვალყურეობაც ყოფილა დანიშნული, რადგანაც მთავრობისთვის არასაიმედო კაცად იყო მიჩნეული. ეპისკოპოსი მტკიცედ იცავდა ქართულ ენას, რადგანაც მას ბრწინვალედ ჰქონდა გასიგრძეგანებული, რომ ერის თვითმყოფადობა ენაშია განივთებული მამულთან და სარწმუნეობასთან ერთად. ესაა ბრძოლის იარაღი, ამიტომაც გაბრიელ ეპისკოპოსი მთელი არსებით იცავდა ქართულ ენას, რომელიც ქართველთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

აღნიშვნის ღირსია გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლ დადიანის სიტყვა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის ცხედართან: „ლამპარო საქართველოს ეკლესიისაო, დიდებო ქართველთაო, მოძღვარო ოქროპირო გაბრიელ!“ (თავბერიძე 2006: 235). მიმართვაში უდავოდ გადმოცემულია დიდი პატივისცემა და დაფასება მისი ღვაწლისა. უზომოდ დიდი იყო თანამედროვეთა სიყვარული და პატივისცემა იმერეთის ეპისკოპოსისადმი. გამოსათხოვარ მიტინგზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, რომლებიც პატივს მიაგებდნენ ეპისკოპოსის ღვაწლს.

ამდენად, იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისა და სამეგრელოს თავად გრიგოლ დადიანის მიმოწერა დასტურია იმ ურთიერთობის ისტორიისა, რომელსაც მოცემულ ისტორიულ პერიოდში ჰქონდა ადგილი. წერილები მრავალმხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანია, რადგანაც აქედან მოედინება მწიგნობრობისა და განათლების პატივისცემა, თავმდაბლობა, სიყვარული, ურთიერთობათა სიფაქიზე და მოწიწება, რაც აუცილებელი და მნიშვნელოვანია.

---

**გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები**

- გამახარია 2007: გამახარია ჯ., წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი და აფხაზეთი. თბილისი, 2007.
- დადიანების მუზეუმის ლიტერატურული არქივი: დადიანების ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ლიტერატურული არქივი. 1243; 1247; 1251; 1253; 1254; 1255; 1315.
- თავბერიძე 2006: თავბერიძე ი., წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა. თბილისი, 2006.
- იზორია 2001: იზორია ი., ზუგდიდის სახელმწიფო-ისტორიულ მუზეუმში დადიანისეული მემორიალური ექსპონატების შესახებ. ზუგდიდი, 2001.
- კალანდია 2001: კალანდია გ., ვფურცლავ დადიანების უნიკალურ ფოტოკოლექციას. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 6-12 აგვისტო, 2001.
- მეუნარგია 1954: მეუნარგია ი., ქართველი მწერლები. თბილისი, 1954.
- მეუნარგია 2002: მეუნარგია ი., დავით დადიანი და მისი დრო. თბილისი, 2002.
- ნიკოლეიშვილი 1990: ნიკოლეიშვილი ა., გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე). თბილისი, 1990.
- პაჭკორია 1996: პაჭკორია მ., დადიანები და მიურატები. ზუგდიდი, 1996.
- ქობალია 1991: ქობალია მ., გრიგოლ დადიანის საქველმოქმედო საქმიანობა. გაზეთი „ჯიხა“, 18 თებერვალი, 1991.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8028>

**შალვა ნუსუბიძის მოღვაწეობის  
ზოგიერთი ასპექტი**

**Some aspects of the creativity  
of Shalva Nutsbidze**

**მანანა ბანძელაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი  
**დარეჯან ჩხიროძე**  
ქუთაისის უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Manana Bandzeladze**  
Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi  
**Darejan Chkhirodze**  
Kutaisi University  
Georgia, Kutaisi

**აბსტრაქტი**

ქართველი ერი კაცობრიობის ისტორიაში მუდამ გამოირჩეოდა კულტურის, ისტორიის, ლიტერატურის, ფილოსოფიის განვითარების მაღალი დონით. ამ კუთხით და განსაკუთრებით ფილოსოფიის განვითარების მხრივ მნიშვნელოვანია მე-20 საუკუნის ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის შალვა ნუსუბიძის როლი. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხი, ქართული რენესანსის ცნების დადგენა და, საერთოდ, ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების მნიშვნელოვანი მომენტები. აღსანიშნავია ისიც, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ფარცხანაყანევის (სადაც დაიბადა შალვა ნუსუბიძე) პირველ სკოლას შორის არსებობს გარკვეული ურთიერთობა.

ნაშრომის სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ახლებურადაა წარმოდგენილი იმერეთისა და შალვა ნუსუბიძის ურთიერთობის საკითხი; ყურადღება გამახვილებულია შალვა ნუსუბიძისა და საქართველოს ამ ერთ-ერთი ულამაზესი მხარის დამოკიდებულებაზე. ბიოგრაფიული მომენტებიდან მოტანილია ისეთი ფაქტები, რომლებიც ხაზს უსვამს მეცნიერისა და იმერეთის ურთიერთკავშირს.

შალვა ნუცუბიძის მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად ითვლება ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარება, ხაზგასმამ იმისა, რომ ცნობილი არეოპაგიული წიგნების ავტორი იყო მე-5 საუკუნის მოღვაწე პეტრე იბერი და არა პირველი საუკუნის მკვლევარი დიონისე არეოპაგელი. ამ კუთხით საინტერესოა შალვა ნუცუბიძის ნაშრომი „დიონისე არეოპაგელის საიდუმლოება“. ნაშრომში შალვა ნუცუბიძე ასაბუთებს, რომ არეოპაგული წიგნების ავტორი იყო პეტრე იბერი, რომელიც შემდგომში გახდა წყარო შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა. შალვა ნუცუბიძის მოღვაწეობის დამაგვირგვინებელი გახდა აღმოსავლური რენესანსის თეორია, რომელსაც დასაწყისში ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან აღიარება მოიპოვა არა მარტო ამ თეორიამ, არამედ მისმა ავტორმაც. თეორია ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ აღმოსავლური რენესანსი წინ უსწრებდა დასავლური რენესანსის განვითარებას. უფრო მეტიც, ეს წინსწრება რამდენიმე საუკუნითაც კი შეიძლება განისაზღვროს. აღსანიშნავია ისიც, რომ შალვა ნუცუბიძე აღმოსავლურ რენესანსს აღიარებდა, მაგრამ მას მხოლოდ ევროპულ მოვლენად მიიჩნევდა. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლურ რენესანსზე მინიშნება სხვა ქართველ მეცნიერებსაც ჰქონდათ, მაგრამ თვით ფაქტი აღმოსავლური რენესანსის თეორიისა სწორედ შალვა ნუცუბიძის სახელთან ასოცირდება.

ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ შალვა ნუცუბიძის არეოპაგული საიდუმლოს ამოხსნა საფუძველი გახდა აღმოსავლური რენესანსის ცნების დადგენისა და იგი წინ უსწრებდა დასავლურ რენესანსს.

საკვანძო სიტყვები: ქართული ფილოსოფიური აზროვნება, შალვა ნუცუბიძის მოღვაწეობა.

#### ABSTRACT

Throughout history, the Georgian nation has consistently distinguished itself with a high level of cultural, historical, literary, and philosophical development. In this context, the contributions of the renowned 20th-century Georgian philosopher, Shalva Nutsubidze, stand out prominently. He played a pivotal role in the establishment of Georgian University, the conceptualization of the Georgian Renaissance, and significant advancements in Georgian philosophical thought.

It is noteworthy that there exists a notable connection between Kutaisi Tsereteli University and the Parskhanakanevi First School.

The novelty of this paper lies in its unique exploration of the relationship between Imereti and Shalva Nutsubidze. Given the conference's theme on Imereti, particular attention is given to Nutsubidze's relationship with this picturesque region of Georgia. Biographical insights underscore the scientist's deep ties with Imereti.

One of the key contributions of Shalva Nutsubidze is his development of Georgian philosophical thought. Notably, he argued convincingly in his work „The



Secret of Dionysius the Areopagite“ that the author of the Areopagian books was Petre Iberi from the 5th century, rather than the 1st-century scholar Dionysius the Areopagite. This insight greatly influenced Shota Rustaveli’s worldview.

Another significant achievement in Nutsubidze’s career was his theory of the Oriental Renaissance, which had several precursors. Since the 1970s, this theory, along with its author, has gained widespread recognition. The theory posits that the Eastern Renaissance preceded and influenced the Western Renaissance by several centuries.

Furthermore, while other Georgian scholars also referenced the Oriental Renaissance, the theory itself is primarily associated with Shalva Nutsubidze.

In conclusion, Shalva Nutsubidze’s reinterpretation of the Areopagus writings laid the groundwork for the concept of the Eastern Renaissance, asserting its precedence over the Western Renaissance.

**Keywords:** Georgian philosophical thought, work of Shalva Nutsubidze.

შალვა ნუცუბიძის მოღვაწეობა უამრავი დადებითი ნიუანსით გამოირჩევა. ნაშრომში განხილული საკითხი ახლებურადაა წარმოდგენილი. ვინაიდან კონფერენციის თემა იმერეთია, მეტი ყურადღება გადატანილია შალვა ნუცუბიძის დამოკიდებულებაზე საქართველოს ამ მხარესთან. ბიოგრაფიული მომენტებიდან მოტანილია ისეთი ელემენტები, რომლებიც ხაზს უსვამს მეცნიერისა და იმერეთის ურთიერთკავშირს. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია–ფსიქოლოგიის დეპარტამენტსა და ფარცხანაყანევის პირველ სკოლას შორის არსებობს მიზანმიმართული ურთიერთობა ამ კუთხით.

შალვა ნუცუბიძის სახელს უკავშირდება ქართული უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელოვანი მომენტი, ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარება, ქართული რენესანსის ცნების დადგენა, ალეთოლოგიური რეალიზმის იდეა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს ფილოსოფიური პრობლემა გლობალური ხასიათისაა, მასში ყოველთვის იგრძნობოდა მინიშნებები ეროვნულ მახასიათებლებზე.

ქართველი ერი კაცობრიობის განვითარების წინაშე ყოველთვის იწონებდა თავს კულტურის, ლიტერატურის, ფილოსოფიის მაღალი დონით. ამ უკანასკნელის განვითარებაში, ცხადია, დიდია შალვა ნუცუბიძის როლი. საკმაო პერიოდის განმავლობაში ამშვენებდა შალვა ნუცუბიძე ქართულ საზოგადოებას, გამოირჩეოდა მრავალმხრივი ნიჭით, მახვილგონიერებით, მოსწრებული სიტყვა–პასუხით და განსაკუთრებული ორატორული უნარებით. ეს თვისებები ხელს უწყობდა იმას, რომ მუდამ ყურადღების ცენტრში იყო და აღაფრთოვანებდა მსმენელს. ცნობილია, რომ როცა შალვა ნუცუბიძის ლექციები ტარდებოდა იმდროინდელ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სხვადასხვა ფაკულტეტებიდან მოდიოდნენ სტუდენტები და ტევა არ იყო აუდიტორიებში, რაც ზოგჯერ მავანთა გულისწყრომასაც

იწვევდა. უნივერსიტეტის დაარსების დღიდანვე მან მიზნად დაისახა ფილოსოფიური აზროვნების ძველი ეროვნული ტრადიციების აღდგენა. სწორედ ამ მიზნით დაარსდა პეტრიწის სახელობის ფილოსოფიური საზოგადოება. მის მიერვე შეიქმნა სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები აღნიშნული იდეის სრულყოფისთვის. თითქმის არ დარჩენილა ფილოსოფიის არცერთი დარგი, სადაც მას თავისი სიტყვა არ უთქვამს. შალვა ნუცუბიძის შრომებმა ხელი შეუწყო ლოგიკის, ფილოსოფიის ისტორიის, ხელოვნების ისტორიის, ესთეტიკის, რუსთველოლოგიის, პედაგოგიკის განვითარებას.

შალვა ნუცუბიძე 1888 წელს დაიბადა წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანევში. 1897 წელს შევიდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ იყო გზა პეტერბურგის უნივერსიტეტისკენ, სადაც იმთავითვე მიიქცია ყურადღება, როგორც მრავალმხრივ განვითარებულმა სტუდენტმა. აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტობის პერიოდში იგი ხშირად სტუმრობდა ქუთაისს და კითხულობდა საჯარო ლექციებს. ცნობილია, რომ სწორედ ქუთაისში მოეწყო საჯარო დისპუტი თემაზე: „მარქსიზმი და პიროვნება“, სადაც კიდევ ერთხელ დაამახსოვრა თავი საზოგადოებას განსწავლულობითა და ორატორული ხელოვნებით.

პეტერბურგის შემდეგ იგი ხშირად ჩადიოდა გერმანიაში, იმალეზდა კვალიფიკაციას ფილოსოფიის კუთხით, ჩაება ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ სემინარიაში. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ 23 წლისა ლაიფციგის უნივერსიტეტში გერმანულ ენაზე კითხულობს მოხსენებას ალეთოლოგიური პრინციპების შესახებ, მისით ინტერესდება რუსი მეცნიერი ვედენსკი, წააკითხეს პეტერბურგში საცდელი ლექციები და მიენიჭა პრივატ-დოცენტის წოდება.

იმდენად მრავალმხრივია შალვა ნუცუბიძის მოღვაწეობა, რომ ერთი სტატიის ფორმატი, ბუნებრივია, მას ვრცლად ვერ მოიცავს. სტატიის მიზანია მისი მოღვაწეობის უმთავრესი ასპექტების ხაზგასმა. ერთ-ერთ უდიდეს მეცნიერულ მიღწევად ითვლება ქართული ფილოსოფიის ისტორიის განვითარება, რომელსაც მეცნიერმა ორტომეული მიუძღვნა. ამავე პერიოდში მან ფარდა ახადა თხუთმეტსაუკუნოვან საიდუმლოს და დაასაბუთა, რომ ცნობილი არეოპაგეტული წიგნების ავტორი იყო მე-5 საუკუნის მოღვაწე ქართველი პეტრე იბერი. საუკუნეების განმავლობაში ამ შრომების ავტორად აღიარებდნენ I საუკუნის მოღვაწეს დიონისე არეოპაგელს. შალვა ნუცუბიძის ნაშრომმა „დიონისე არეოპაგელის საიდუმლოება“ ფაქტიურად გადატრიალება მოახდინა ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიაში. ეს ჰიპოთეზა ნუცუბიძის მიერ შემუშავდა 1942 წელს. ცოტა მოგვიანებით, 1952 წელს, მისგან დამოუკიდებლად ანალოგიური დასკვნა გააკეთა ბელგიელმა მეცნიერმა ერნესტ ჰონიგმანმა. ასე შეიქმნა ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ფილოსოფიის ისტორიული განვითარების გზაზე. შალვა ნუცუბიძემ ჩამოაყალიბა რამდენიმე არგუმენტი, რომლითაც ასაბუთებდა, რომ არეოპაგელი წიგნების ავტორი იყო წარმოშობით ქართველი პეტრე იბერი. სწორედ ამ აზრის გაგრძელება არის იმის დასაბუთება, რომ პეტრე



იბერის შეხედულებები იყო ერთ–ერთი წყარო შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის. „ვეფხისტყაოსანი“ იქცა აღმოსავლური რენესანსის ნიშანსვეტად. ამდენად, შალვა ნუცუბიძის მთელი მოღვაწეობა კვლევებიდან კვლევაზე წიაღსვლაა, რომლის დამაგვირგვინებელიც გახდა აღმოსავლური რენესანსის თეორია. ამ თეორიას დასაწყისში ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, თუმცა თანდათან მომრავლდნენ თეორიის მომხრენი და უკვე XX საუკუნის 70-იანი წლებიდან აღიარება ჰპოვა არა მარტო თეორიამ, არამედ მისმა ავტორმაც. თეორიის მნიშვნელობა ისაა, რომ იგი ჯერ კიდევ ორმოციან წლებში ჩამოყალიბდა და ხაზს უსვამდა იმას, რომ აღმოსავლური რენესანსი წინ უსწრებდა დასავლური რენესანსის განვითარებას. შალვა ნუცუბიძემ შეძლო იმის დამტკიცება, რომ ქართველმა მოაზროვნეებმა რამდენიმე საუკუნით დაასწრეს ევროპას. ეს დასკვნები ემყარება იოანე პეტრიწის, შემდეგ კი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, რომლის ერთ–ერთი იდეური წყაროც იყო პეტრე იბერი. ამ განცხადებამ დაანგრია სისტემა. ევროპოცენტრიზმის თვალსაზრისს ნუცუბიძემ დაუპირისპირა აღმოსავლური რენესანსის ცნება და სულ სხვანაირად წარმოაჩინა ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები. რენესანსის ერთ–ერთი საფუძველი არეოპაგიტიკაა. სწორედ აქ მოხერხდა მიწისა და ზეცის დუალიზმის გაუქმება, გაცხადდა სამყაროს ერთიანობის პრინციპი, რომელიც სათავეს იღებს ნეოპლატონიზმიდან, სადაც შერწყმულია ერთმანეთთან ანტიკური ფილოსოფიური მოძღვრება და ქრისტიანული რელიგია. რენესანსის საფუძველად შალვა ნუცუბიძე მიიჩნევდა ნეოპლატონურ ფილოსოფიას. რენესანსის ერთ–ერთ ასპექტად მიიჩნევა სინამდვილისადმი ღირებულებების მინიჭება. ნეოპლატონიზმის დასაყრდენი დებულებაა ღმერთისა და სამყაროს ერთიანობის იდეა. ფაქტიურად ნეოპლატონიზმი ის თეორიაა, რომელიც ხილულ სინამდვილეს გარკვეულ ღირებულებას ანიჭებს. ნეოპლატონიზმის მიხედვით, ღმერთი ყველგანაა, ღმერთი და სამყარო ერთი მთლიანობაა.

შალვა ნუცუბიძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართული კულტურის პრობლემატიკის საფუძვლიან განხილვას. საინტერესოა, რომ 1997 წელს აღინიშნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილე. სწორედ ამ დროისთვის იგი იწყებს პოემის თარგმნას რუსულ ენაზე, რაც საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმე აღმოჩნდა, თუმცა ამასაც მან ბრწყინვალედ გაართვა თავი. ასევე, მან რუსულ ენაზე თარგმნა ჩახრუხადის „თამარიანი“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილი ლექსი „მერანი“.

შალვა ნუცუბიძემდე არსებული თეორიები რენესანსს აღიარებდა, მაგრამ მას მხოლოდ ევროპულ მოვლენად მიიჩნევდა. ნუცუბიძის თეორიის მიხედვით, რენესანსი გაცილებით ადრე წარმოიშვა ქრისტიანულ აღმოსავლეთში. კერძოდ კი, ეს მოვლენა საქართველოს წიაღში იშვა. ამ საკითხზე მინიშნებები სხვა მოაზროვნეებსაც ჰქონდათ. აღმოსავლურ რენესანსზე მინიშნებები ჰქონდათ ივანე ჯავახიშვილს და კონსტანტინე გამსახურდიას, თუმცა თვითონ ფაქტი აღმოსავლური რენესანსის

თეორია, როგორც გარკვეული სისტემა, შალვა ნუცუბიდის სახელთანაა დაკავშირებული.

თეორია იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მისი ნიშანსვეტია ქართული კულტურის აღორძინების იდეა. შალვა ნუცუბიძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ აღმოსავლური რენესანსი ვრცელდება ქრისტიანულ აღმოსავლეთზე, კერძოდ კი XI-XII საუკუნეების საქართველოსა და მის კულტურაზე.

რენესანსის როგორც მოვლენის საფუძვლად შალვა ნუცუბიძე მიიჩნევს არეოპაგიტიკულ მოძღვრებას. სწორედ აქ გაჟღერდა ღმერთისა და სამყაროს ერთიანობის იდეა, რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს შემდეგ ძირითად ასპექტებს: ღმერთიდან არსებათა აუცილებლობით წარმოიშვება ადამიანის განღმერთების შესაძლებლობა, ღმერთთან უშუალო შეერთების დაშვება. ეს ტენდენციები განსაკუთრებით კარგადაა გამოკვეთილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. პოემაში აშკარაა არეოპაგიტიკული მოძღვრების გავლენა (მახარაძე 2013:114).

აღსანიშნავია, რომ შალვა ნუცუბიდის მოღვაწეობა დაკავშირებულია იმერეთთან, კერძოდ ქუთაისთან. მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ ის იმერეთის ულამაზეს სოფელში დაიბადა, ახალგაზრდობის წლებში კი ქუთაისის კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად იყო ჩართული. იგი მხარს უჭერდა 1933 წელს ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გახსნას. შემდეგ კი აქტიურად მოღვაწეობდა ახლადშექმნილ ინსტიტუტში და ლექციების ციკლს კითხულობდა დანტეზე, რუსთაველზე.

ფარცხანაყანევიდან არის კიდევ ერთი ქართველი ფილოსოფოსი იაკობ კუჭუხიძე, რომელიც ბატონი შალვას მოწაფე გახლდათ. ბატონი იაშა ხშირად იხსენებდა ბატონ შალვასთან შეხვედრის დეტალებს. 1926-31 წლებში გერმანიაში გამოცემულ ბატონ შალვა ნუცუბიდის წიგნებში, სადაც მოკლე ბიოგრაფია იყო საჭირო, ბატონი შალვა იუმორით აღნიშნავდა, რომ ბიოგრაფიაში ჩაწერა: „გებორენ ინ ფარცხანაყანევიო“, – იუმორით უყურებდა იმ ფაქტს, რომ არცერთმა გერმანელმა არ იცოდა, სად იყო ფარცხანაყანევი (კუჭუხიძე 2022:86).

აღსანიშნავია, რომ ფარცხანაყანევის პირველ სკოლაზე დღემდე შემორჩენილია ბატონი შალვას ბიუსტი. წლების განმავლობაში სკოლა მის სახელსაც ატარებდა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია–ფსიქოლოგიის დეპარტამენტი და ფილოსოფიის სპეციალობის სტუდენტები ყოველწლიურ შეხვედრას აწყობენ სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან, საუბრობენ ბატონი შალვას დამსახურების შესახებ ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში. 2022 წელს ფარცხანაყანევის ადმინისტრაციული ერთეულის ეზოში გაკეთდა ქართველი ფილოსოფოსის, შალვა ნუცუბიდის სახელობის სკვერი და ბიუსტი.

ყოველივე ზემოთქმული მცირეა იმასთან შედარებით, რაც შალვა ნუცუბიძემ გააკეთა ფილოსოფიისა და ქართული კულტურის განვითარებისათვის. სტატიის მიზანი იყო წარმოეჩინა შალვა ნუცუბიდის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ასპექტები.

---

გამოყენებული ლიტერატურა

კუჭუხიძე 2002: კუჭუხიძე ი., წერილები ფილოსოფიასა და ფილოსოფოსებზე. ქუთაისი, 2002.

მახარაძე 2013: მახარაძე მ., ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია. ბათუმი, 2013.

მახარაძე 1990: მახარაძე მ., წერილები ქართულ ფილოსოფიაზე. თბილისი, 1990.

მახარაძე 2022: მახარაძე მ., შალვა ნუცუბიძე სხვა რაკურსით. თბილისი, 2022.

ნუცუბიძე 2022: ნუცუბიძე ქ., შალვა ნუცუბიძე, თბილისი. 1990.

ხასაია 2000: ხასაია ზ., ფილოსოფია. ქუთაისი, 2000.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8029>

**ორი ლექსი აკაკი წერეთლის პოეზიაში  
(„იმერული ნანინა“, „იმერული სიმღერა“)**

**Two poems in Akaki Tsereteli's poetry  
(„Imeretian Nanina“, „Imeretian Song“)**

**დალი ბეთხოშვილი**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ახალციხე

**Dali Betkoshvili**

Samtskhe-Javakheti State University  
Georgia, Akhaltsikhe

**აბსტრაქტი**

ნაშრომში წარმოჩენილია აკაკი წერეთლის შეხედულებები განსხვავებული საკითხების გააზრების ჭრილში. კვლევის მიზანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მწერლის მსოფლმხედველობა ნაჩვენები იყოს არა მარტო თავისი თანადროული, არამედ დღევანდელი ეროვნული და გლობალური ეპოქის გადასახედიდან და ამ კონტექსტით წარმოჩნდეს მის ლექსებში ასახული პრობლემების ღირებულება და მნიშვნელობა.

აკაკი წერეთლის შემოქმედება გამოირჩევა არა მარტო ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, არამედ თემატიკის თვალსაზრისითაც. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის გადასახედიდან მისი სულიერი თვალის მიღმა არ დარჩენილა არც ერთი საკითხი, რომელიც ქვეყნისა და ერის ტკივილად იყო გადაქცეული. პოეტმა ყოველი პრობლემის შესახებ თავისი საყურადღებო ანალიზი მიაწოდა ქართველ საზოგადოებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს საკითხები დღევანდელი საზოგადოებასაც სწვდება და არანაკლებ ყურადღებასა და განხილვას საჭიროებს.

აკაკი წერეთლის ლექსი „იმერული ნანინა“ ერთ დრო-სივრცეში აქცევს აწმყოს, წარსულსა და მომავალს, ნათლად ასახავს იმ სულისკვეთებას, რაც იყო წარსულში, აწმყოში რომ ისევ ის საფუძვლები ჩანს და მომავალში უკეთესი ცხოვრება უნდა დაისახოს. აღნიშნულ ლექსში რამდენიმე პრობლემის (პიროვნული თავისუფლების ძიება, სოციალური თანასწორობა, საყოველთაო განათლება...) წინ წამოწევით, რასაკვირველია, ემსახურება ქვეყნის უკეთესი მომავლის დასახვას, რადგან ეს არის ის მთავარი საფუძვლები, რაზე დაყრდნობითაც შენდება სამშობლოს, ერის მომავალი, რომელიც აკაკის მუდმივ ტკივილადაა გადაქცეული არა მარტო მატერიალური, არამედ სულიერი თვალსაზრისითაც, რამეთუ განცალკევებულად და გახლეჩილად ქვეყნის მომავალი უპერსპექტივოა.



აკაკი წერეთლის ლექსში „იმერული ნანინა“ ქართველი ქალის, მისი სახით კი სამშობლოს ხატებაა გადმოცემული. დედა-მშობელი, დედა-სამშობლო მომავალი თაობის გამჩენი, მისი მზრდელი და მკვებავია, რომელმაც ყოველ თაობას უკეთესი მომავალი ცხოვრების გზა უნდა უჩვენოს და დააყენოს მასზე. ამ მისიის აღსრულებაში ქალს, დედას მარიამ ღვთისმშობელი შეეწევა და ეხმარება, მისი ღვთაებრივი კალთის ძალით დაფარული და გაძლიერებული, დედასამშობლო შობს და გამოზრდის ახალ თაობას, ისევე დედისა და დედასამშობლოს საკეთილდღეოდ;

ზემოთ აღნიშნული დიდი სოციალური საკითხის გვერდით, ლექსში „იმერული ნანინა“ განუყოფლად მოიაზრება პიროვნების თავისუფლების პრობლემა, რომლის განხორციელების გარეშე სამყაროს წესრიგის აღსრულება ვერ ხერხდება. აკაკი წერეთლის ეპოქის გადასახედიდან და დღევანდელი გლობალური სამყაროს თვალთახედვითაც, პიროვნების თავისუფლების მოპოვებას თუ დამყარებას ბატონი არ სჭირდება, ადამიანი უნდა იყოს თავისუფალი და მის ნებას, უფლებრივ მდგომარეობას მარწუხები კი არა, არამედ ღვთის გზაზე სიკეთით დგომა განსაზღვრავს.

აკაკი წერეთლის ლექსის „იმერული ნანინას“ სათქმელი, გარკვეულწილად, გრძელდება პოეტის მეორე ლექსში „იმერული სიმღერა“ (დაწერილია 1876 წელს), რომელშიც ავტორი გამოხატავს არა მარტო ამ კუთხისთვის ნიშანდობლივ სულისკვეთებას, არამედ ზოგადქართულ ეროვნულ სულს აქსოვს, რომელიც ერთად იტევს: სიყვარულს, სევდას, ტკივილს, იმედგაცრუებას, იმედს... აკაკი წერეთლის შემოქმედებას თუ კარგად ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ მისი ნააზრვეისთვის დამახასიათებელია იმედი და უიმედობა, ღრმა სიყვარულიც და მისი ნაკლებობაც, დაფასების გრძნობა და დაუფასებლობა... ეს პრობლემები მუდამ აწუხებდა მას და ამიტომაცაა ამ სულისკვეთებით გაჯერებული მისი შემოქმედება.

საკვანძო სიტყვები: XX საუკუნის ქართული პოეზია, აკაკი წერეთლის ლექსები: „იმერული ნანინა“, „იმერული სიმღერა“.

#### ABSTRACT

This study investigates the lasting significance of Akaki Tsereteli's poetry, focusing on „Imeretian Nanina“ and „Imeretian Song“. It delves into the poet's worldview, exploring how it surpasses the limitations of the 19th century and connects with contemporary national and global concerns.

Akaki Tsereteli's prolific and varied body of work tackles a wide range of themes. Notably, he confronts the social and political realities of his era head-on. With a sharp eye for societal issues, he analyzes problems that remain relevant today.

„Imeretian Nanina“ exemplifies this. The poem seamlessly blends past, present, and future. It reflects the Georgian spirit of a bygone era, with echoes still present, urging the reader to focus on building a brighter future. Importantly, the poem

champions core values like individual liberty, social equality, and universal education – all essential ingredients for a nation's well-being. These concerns, which deeply troubled Akaki Tsereteli, continue to be central to national and global discourse in the present day.

The poem also elevates the Georgian woman as a symbol of the motherland. It emphasizes her role in nurturing future generations and guiding them towards a brighter future. This nurturing spirit, compared to the Virgin Mary, is depicted as a source of strength and hope for the nation.

Furthermore, „Imeretian Nanina“ underscores the importance of individual freedom. It argues that a just social order necessitates individual liberty, free from oppression and defined by one's own will and moral compass. This concept resonates not only with Akaki Tsereteli's time but also with the ideals of a free and just society in our interconnected world.

The exploration of themes continues in „Imeretian Song“, composed in 1876. Here, Akaki Tsereteli captures the essence of Georgian national identity. He weaves a complex tapestry of emotions – love, sadness, pain, disappointment, and hope – that reflect the historical experiences of the Georgian people. Akaki Tsereteli's own internal struggles with hope and despair, love and loss, imbue his work with a poignant depth that continues to resonate with readers.

**Keywords:** 20th-century Georgian poetry, Akaki Tsereteli's poems: „Imeretian Nanina“, „Imeretian Song“.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე ისაა, რომ აკაკი წერეთლის ლექსები „იმერული ნანინა“ და „იმერული სიმღერა“ ნაკლებად არის შესწავლილი და კვლევის დონეზე გაანალიზებული, ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ მისი სიღრმისეულად გამოკვლევა და სამსჯავროზე გამოტანა. აღნიშნული ლირიკული ნიმუშები ისეთ დაფარულ შრეებს მოიცავს, რომელთა გამომზეურების გარეშე ვერ შეიძლება ის მთავარი არსი, რომელიც კვებავს მათში განხორციელებულ სათქმელს.

აკაკი წერეთლის შემოქმედება გამოირჩევა არა მარტო ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, არამედ თემატიკის თვალსაზრისითაც. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის გადასახედიდან მისი სულიერი თვალის მიღმა არ დარჩენილა არცერთი საკითხი, რომელიც ქვეყნისა და ერის ტკივილად იყო გადაქცეული და ყოველი პრობლემის შესახებ თავისი საყურადღებო ანალიზი მიაწოდა ქართველ საზოგადოებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს საკითხები დღევანდლობასაც სწვდება და არანაკლებ ყურადღებას და განხილვას საჭიროებს.

„აკაკი წერეთლის შემოქმედების ღრმა იდეურობა შემოქმედის განსაკუთრებულობას გამოკვეთს, რაც ნათლად იგრძნობა მის ლირიკაშიც. აკაკი წერეთლის პოეზიის ნათელი სხივი ბნელის განმფანტველია, როგორც

ღვთაება წუთისოფელში და რელიგიური სამოსით დაფარული პოეტის მხატვრული სიტყვა ამქვეყნიური ტკივილებით აღბეჭდილი მთელ რიგ წუთისოფლურ ტკივილებს მოიცავს“ (ბეთხოშვილი 2022: 17).

ამჯერად ჩვენს ნაშრომში გავაანალიზებთ იმერეთის საკითხს აკაკი წერეთლის ორი ლექსის მიხედვით: „იმერული ნანინა“ და „იმერული სიმღერა“<sup>1</sup>, სადაც გადმოცემულია პოეტის მძიმე სულიერი მდგომარეობა ქვეყანაში არსებული რთული გარემოების გამო და ეს პრობლემები, კერძოდ, სოციალური, განათლების და სხვ., რა თქმა უნდა, ზოგად ქართულ ჭრილშია წარმოდგენილი.

ქართული ლიტერატურის ისტორიის მიხედვით, „სამშობლოში დაბრუნებისთანავე პოეტი თავის შემოქმედებითი მუშაობის ცენტრში აყენებს ეროვნულსა და სოციალურ თემას. ბატონყმობის გაუქმებას, რომელიც საქართველოში 1864 წელს მოხდა, აკაკი წერეთელი აღფრთოვანებით მიიგება. მან განთავისუფლებული გლეხის შვილს უმღერა გრძნობით სავსე ლექსი „იმერული ნანინა“. გლეხის შვილის შესამკობად მან ხალხის შემოქმედების წიაღიდან ამოკრიფა უნაზესი მხატვრული სახეები („პაწაწინა იადონო და ვარდის კონაო“). ყრმობისას მოსმენილი გლეხი ქალის ძილისპირულის მელოდიური ხმები პოეტმა ორგანულად ჩააქსოვა თავის შედეგში „იმერული ნანინა“ (ქართული ლიტერატურის ისტორია 1974: 143-144).

აკაკი წერეთლის ლექსი „იმერული ნანინა“<sup>2</sup> (დაწერილია 1864 წელს) საკითხების მრავალპლანიანობით გამოირჩევა. სათქმელი, უპირველესად, ბატონყმობის მძიმე სოციალური ფონის ამსახველია, რომელშიც წარმოჩენილია მომავალი თაობის აღზრდის, განათლების საკითხი, მაგრამ პირველ რიგში ეს ეხება საყოველთაო განათლების, უბრალო, ღარიბ-ღატაკი, ერთ დროს უუფლებო სოციალური ფენის ადამიანთა შვილების მომავლის გზების ჩვენებას, რომ მათაც აქვთ უფლება მიიღონ სწავლა-განათლება და არ ჩამორჩნენ ბატონების შვილებს. განსაკუთრებით აქტუალურად დგას პიროვნების თავისუფლების საკითხი აკაკის მიერ და წინასწარმეტყველებს ყველა ფენის ადამიანთა სოციალურ თანასწორუფლებიანობას. ამ ბრძოლაში მას მომეზინილი აქვს „იმერული ნანინა“, რომელშიც სათქმელს სიმღერის (მისამღერის: „იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინა!) ელფერით აშინაარსებს, რაც საინტერესოს ხდის და აღსაქმელადაც ლაღია, ტკივილის შემამსუბუქებელი, მაგრამ მეტად ემოციურია და დამაფიქრებელი; უკეთესი მომავლის დამკვიდრებისათვის პოეტი წარმოაჩენს სოციალური უთანასწორობის უფსკრულის ამოვსების შესაძლებლობას და ამით პერსპექტივაში საიმედო მარცვალს თესავს.

აკაკი წერეთლის ლექსი „იმერული ნანინა“ ერთ დრო-სივრცეში აქცევს აწმყოს, წარსულსა და მომავალს, ნათლად ასახავს იმ სულისკვეთებას, რაც იყო წარსულში, აწმყოში რომ ისევ ის საფუძვლები ჩანს და მომავალში უკეთესი ცხოვრება უნდა დაისახოს. აღნიშნულ

<sup>1</sup> აღნიშნული ლექსების კვლევა მწირია, ამიტომ ძირითადად ად ჩემეული გააზრებით იქნება წარმოდგენილი.

<sup>2</sup> „იმერულ ნანინას“ ფრჩხილებში ავტორს მიწერილი აქვს: „ვუმღვნი საბატონო ყმების ახალშობილ შვილებს“, რითაც აჩვენებს პრობლემის სიღრმეს და ლექსის დაწერის დანიშნულებას.



ლექსში რამდენიმე პრობლემის (პიროვნული თავისუფლების ძიების, სოციალური თანასწორობის, საყოველთაო განათლების...) წინ წამოწევით რასაკვირველია, ემსახურება ქვეყნის უკეთესი მომავლის დასახვას, რადგან ეს არის ის მთავარი საფუძვლები, რაზე დაყრდნობითაც შენდება სამშობლოს, ერის მომავალი, რომელიც აკაკის მუდმივ ტკივილადაა გადაქცეული არა მარტო მატერიალური, არამედ სულიერი თვალსაზრისითაც, რამეთუ განცალკევებული და გახლეჩილი ქვეყნის მომავალი უპერსპექტივოა.

ილია ჭავჭავაძის მსგავსად, აკაკი წერეთელსაც გლებთა მომავალი თაობის ძილი მიუღებლად მიაჩნია და მიმართავს მათ, რომ დროა გაიღვიძონ, იმოძრაონ და იმოქმედონ, რადგან ისინიც ისეთივე ჯანსაღი და ქმედითუნარიანი ნაწილი არიან მთელი ერის, როგორც დანარჩენი მაღალი ფენის მომავალი თაობა; აკაკი მათ გამოფხიზლებისაკენ მოუწოდებს, თითქოს მათი თავშესაფარი მარტო დედის მკერდია, სადაც უდარდელად, ტკბილად ცხოვრობენ, მაგრამ ეს ძილი გამოფხიზლების წინა საფეხურია.

აკაკი წერეთლის ლექსში „იმერული ნანინა“ ქართველი ქალის, მისი სახით კი სამშობლოს ხატებაა გადმოცემული. დედა-მშობელი, დედა-სამშობლო მომავალი თაობის გამჩენი, მისი მზრდელი და მკვებავია, რომელმაც ყოველ თაობას უკეთესი მომავალი ცხოვრების გზა უნდა უჩვენოს და დააყენოს მასზე. ამ მისიის აღსრულებაში ქალს, დედას მარიამ ღვთისმშობელი შეეწევა და ეხმარება, მისი ღვთაებრივი კალთის ძალით დაფარული და გაძლიერებული დედასამშობლო შობს და გამოზრდის ახალ თაობას ისევ დედისა და დედასამშობლოს საკეთილდღეოდ:

„...შენს ვაჟკაცობას მომასწრებს მე ღვთისმშობელიო!

მამიშენის ბედის არ ხარ, შენ სხვა ბედს ელიო“ (წერეთელი 1977: 15).

დამოწმებულ სტრიქონებში, უპირველეს ყოვლისა, სულიერ-მატერიალური სივრცეა ნაჩვენები: ქალი-დედა და მარიამ ღვთისმშობელი ერთ დრო-სივრცულ განზომილებაშია წარმოჩენილი ავტორის მხრიდან და ამით შეაგრძნობინებს მოკვდავთ მარიამ ღვთისმშობლის მუდმივ არსებობას, მის ძალმოსილებას, რომ მისი თანაშეწევნით ხდება ქალი-დედის, დედა-სამშობლოს მისიის აღსრულება და განსრულება; ამავე დროს აკაკი წერეთელი დედას ასაუბრებს დიდ სოციალურ ტკივილზე, კერძოდ, წინარე თაობების, მამების ბედი განსხვავებული, რთული იყო, სირთულემ კი მომავალი ცხოვრების გზა თავისუფლებისაკენ შეცვალა, ბედს, ბედისწერას თაობათა მიერ გაწეული, განვლილი ცხოვრების გზაც ქმნის ღვთის განგებასთან ერთად.

ლექსის „იმერული ნანინას“ მესამე სტროფში ავტორი ერთად აქცევს ზეცისა და ამა ქვეყნის ერთიანობის საკითხებს: ღმერთის ყოვლისშემძლებლობის, მისი განგების ძალის არდავიწყებას, ღვთის განგებით განსაზღვრულ ბედს, ბედნიერებას სიკეთით სავსეს, რომელსაც ამქვეყნიურ სივრცეში განგენს, რადგან წუთისოფლის სივრცეში გაბნეულ ცოდვის ქმნას და მისით მოსილებას, რაც ძალიან მძიმეა, განელება, შემსუბუქება სჭირდება წუთისოფელში დასამკვიდრებლად; ღმერთის სახიერების, სიკეთის განგენის გარეშე ვერ მოგვარდება ადამიანის მისიის განსაზღვრულობა, აგრეთვე, თანასწორობა და სამართლიანობა ადამიანთა სოციალურ ფენებს შორის დამკვიდრებული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად...



ბატონისა და ყმის ურთიერთობა ყველაზე მძიმე და რთული საკითხი იყო აკაკის ეპოქაში. ამ პრობლემის გადაჭრისათვის უამრავ შეხედულებას სთავაზობენ საზოგადოებას ამ დროის მოაზროვნენი. აღნიშნული პრობლემის მოგვარება დაკავშირებულია სამშობლოს სიყვარულთან, იმ დიდ ეროვნულ განცდასთან, რისთვისაც იზადებოდა ქართველი და ეწირებოდა კიდეც. ამ სულისკვეთით ზრდიდა, უპირველესად, ქართველი ქალი შვილს და მოუწოდებდა არა ავის, არამედ სიკეთის ქმნისაკენ, შვილის ბედნიერება სამშობლოსადმი სიყვარულში, მის მსახურებაში უნდა გალესულიყო, რომელიც ღმერთისადმი გაწეული ვალის ტოლფასად აღიქმება. დედას, მისი სახით სამშობლოს, იმედი აქვს შვილის უკეთესი მომავლისა, რომელიც იხილვება ამ ეპოქის უდიდესი პრობლემის – ბატონყმობის გაუქმებასა და სოციალურად ადამიანთა ფენათა შორის უთანასწორობის აღმოფხვრაში, შენელებაში მაინც. სხვაგვარად ჯანსაღი მომავალი თაობის ბედი ვერ დაიწერება, სამშობლოს უკეთესი ცხოვრება ბედნიერებას ვერ ეზიარება; დედის სიტყვებში გაცხადებულია ეს დიდი სურვილი – შვილის სახით ერის ახალ თაობას, ქვეყნის მომავალ ცხოვრებას ბატონი აღარ ჰყავს და აღარ ეყოლება. ეს აზრი მსჭვალავს აკაკი წერეთლის, დიდი მოაზროვნისა და ქვეყნისათვის მზრუნველი შემოქმედის, იმედით ნავსე ლექსის „იმერული ნანინას“ სტრიქონებს:

„ღმერთს შენი ბედნიერება წინეთ უსახავსო,  
შენც მის ნაცვლად ემსახურე, ნურას იზამ ავსო,  
დედას თმებს ნუ მაწეწინებ, ნუ ჩამაცმევ შავსო!  
სხვებ რა გიჭირს, ხომ შეიტყვე, ბატონი არ გყავსო!“

(წერეთელი 1977: 15).

დედის შეხედულებით, მისი ყრმის სახით, ზოგადად ახალი მომავალი თაობის, მანათობელი ვარსკვლავი ანუ ხვალისდელი ცხოვრების ახალი გზა სხვა ვარსკვლავით არის მოფენილი:

„შენი ვარსკვლავი სხვა არის – ბედმა გიცინაო!“ (იქვე).

მომავალი ახალგაზრდა გაცვებით, მოულოდნელი დაბნეულობით, მაგრამ სიხარულით ხვდება დედის წინასწარმეტყველებასა თუ რეალურად მომხდარ მოვლენას – დიდი სოციალური პრობლემის გარდაქმნას, საკუთარი, მაგრამ ეჭვის თვალთ ხედავს დედის გაცხადებულ ფაქტს, რაც დაუჯერებელ, სიმართლეს მოკლებულ მოვლენად მიაჩნია, ამიტომ მიმართავს დედა შვილს:

„რისთვის შეკრთი? მართალია! რამ შეგაშინაო?!“ (იქვე).

ზემოთ აღნიშნული დიდი სოციალური საკითხის გვერდით ლექსში „იმერული ნანინა“ განუყოფლად მოიაზრება პიროვნების თავისუფლების პრობლემა, რომლის განხორციელების გარეშე სამყაროს წესრიგის აღსრულება ვერ ხერხდება. აკაკი წერეთლის ეპოქის გადასახედიდან და დღევანდელი გლობალური სამყაროს თვალთახედვითაც, პიროვნების თავისუფლების მოპოვებას თუ დამყარებას ბატონი არ სჭირდება, ადამიანი უნდა იყოს თავისუფალი და მის ნებას, უფლებრივ მდგომარეობას მარწუხები კი არა, არამედ ღვთის გზაზე სიკეთით დგომა განსაზღვრავს... სიკეთის ქმნა „ვალთა“ ღმერთის, ერის, ქვეყნის წინაშე და მისი არსი არასწორხაზობრივია, იმ პირდაპირი შინაარსის მიღმა, რაც, ლექსის

მიხედვით, სიტყვაში „ვალი“ დასტურდება, უფრო მეტი შინაარსი იკითხება. აღნიშნული ლექსის მიხედვით, აღმზრდელი დედის ამაგის დაფასება, „ვალი“ სამშობლოს საკეთილდღეო საქმიანობის აღსრულებაა და, რაც მთავარია, შემოქმედი ღმერთისადმი გაწეული მსახურებაა – მონება, რაც თითოეული მოკვდავი ადამიანის უპირველესი მოვალეობაა, იმ სიკეთის საპასუხოდ, რომელიც სახიერმა ღმერთმა ადამიანს უბოძა. ეს სულისკვეთება წითელი ხაზით გასდევს ლექსის სტრიქონებს, რომელშიც დედის, დედა-სამშობლოს სიყვარულის განცდა, უკეთესი არსებობის სურვილია გაცხადებული:

„გაიზრდები, გენაცვალე, თავისუფალიო,  
ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერც გაგტეხს ვალიო;  
შენს მტერსა და მოშურნესა დაუდგეს თვალიო;  
ჭირისა და ავ თვალისგან გიხსნის უფალიო!“ (წერეთელი 1977: 15).

ქართული ლიტერატურის ისტორიაში ვეცნობით, რომ „აკაკი, ისევე როგორც ქვეყნის ყველა მოწინავე ადამიანი, „საგლებო რეფორმით უკმაყოფილო დარჩა. ამ „რეფორმამ“ ვერ გაამართლა პოეტის პირვანდელი იმედი, გამოხატული გლეხი ქალის სიტყვებში“ (დამოწმებულია მოტანილი სტროფის პირველი ორი სტრიქონი – დ. ბ.) (ქართული ლიტერატურის ისტორია 1974: 144).

ამ ლექსის მიხედვით, პიროვნების თავისუფლების პრობლემასთან ერთად მოიაზრება განათლების საკითხის გადაჭრაც, რადგან მომავალი თაობის განათლების საკითხის გადაჭრა უმთავრესი ფაქტორია სამყაროს განვითარებისა და მისი მოწესრიგებისა. განათლება არის მხსნელი, ადამიანის არდაჩაგვრის საფუძველი და, რაც მთავარია, საკუთარი თავის შეცნობის, საკუთარი „მეს“ გაცნობიერების მთავარი საყრდენი... იმ არსებობის შეგრძნების მძლავრი საშუალება, რომელიც სამყაროს შემადგენელ ნაწილად შეაგრძნობინებს ადამიანს საკუთარ თავს, რომელიც ხშირად პიროვნების თავისუფლების, ღირსების შეგრძნებისა და შემეცნების თავი და თავია ერთიან, მთლიან სამყაროში:

„რომ ველარ დაგიბრიყვებენ, თუ რომ თავი სცნაო!“ – ვკითხულობთ ლექსის სტრიქონებში.

მომავალი, თავისუფალი, განათლებული პიროვნება აკაკი წერეთელს მიაჩნია „დაჩაგრული ძმების“, ერის დაჩაგრული ნაწილის მხსნელად, სამშვიდობოზე გამყვანად და მათი უკეთესი სამომავლო ცხოვრების დამსახველად; ასეთი გმირები გადაარჩენენ ერს და ქვეყანას:

„შენი დაჩაგრული ძმები შენ უნდა იხსნაო“ (წერეთელი 1977: 16),

საკუთარი თავის შეცნობა კი წინაპირობაა საკუთარი სამშობლოს, ერის სიყვარულის შეცნობა-გათავისებისა, რომელიც ღვთაებრივი მისია და ვალია ღმერთისა და ქვეყნის წინაშე მოსახდელი... სამყაროს შეცნობის ეს საჭირბოროტო საკითხები მსჭვალავს ლექსის „იმერული ნანინას“ სტრიქონებს.

მხოლოდ საკუთარი თავის შეცნობით, პიროვნული თავისუფლებით, რომელსაც აშინაარსებს განათლების მოგვარება და, რაც მთავარია, ღვთის განგებით განსაზღვრული, არის შესაძლებელი გამოფხიზლება, გამოღვიძება იმ ნისლიდან, რომელშიც იმყოფებოდა ამ დროის ქართველი

და საჭირო იყო მოქმედების განხორციელება – საკუთარი პიროვნების გაცნობიერებიდან ქვეყნისა და ღმერთის წინაშე მოვალეობის გაცდის დამკვიდრება; ლექსის სტრიქონებში გაცხადებული ყოველი სათქმელი, რომელიც არსობრივად კვებავს ლექსს, აჩვენებს მწერლის ჩანაფიქრს, სათქმელის მიზანს და ის საკითხები, რომელზეც ვამახვილებთ ყურადღებას, ნათელს ჰყენს, რომ მომავალი ყრმაც, რომელმაც ქვეყანა, ერი უნდა გამოსტაცოს გაურკვევლობასა და უსამართლობას, მოწოდებულია ამ მისიის აღსრულებისათვის. ეს აღიბეჭდა „იმერულ ნანინაში“ დახატული ყრმის მხატვრულ სახეში, რომელიც სახისმეტყველებითია, რადგან იგი შედარებულია იადონთან და ვარდის კონასთან<sup>3</sup>, ბოლო სტრიქონებით წარმოდგენილი.

მომავალი ყრმის, მისი სახით მომავალი თაობის ცხოვრების არსებობის გამართლება სოფლის, წუთისოფლის გამოცანის შეცნობაა, სიკეთისა და ბოროტების, კარგისა და ავის, სიცოცხლისა და სიკვდილის... შეცნობაა, რომლითაც არსებობს და ბრუნავს სამყარო თავისი ცოდვითა და მაღლით, სიყვარულის სავსეობით თუ დაკლებით, ღვთის განგებითა და ცოდვის ჩამდენი ადამიანის სხვადასხვა გზებით. მთავარია, წუთისოფლის ამ ფილოსოფიური გამოცანის გათავისება და მისი ამოხსნა უნდა შეძლოს ყოველმა მომავალმა თაობამ საკუთარი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. აკაკის სიტყვებით:

„შენც შეიტყვე ამა სოფლის ცრუ გამოცანაო!“ (წერეთელი 1977: 16).

წუთისოფლის გამოცანის ამოხსნა არც ისე იოლია, მას სხვაგვარი, განსხვავებული შინაგანი სულიერი თვალი სჭირდება, განათლებული, მაღალი იდეალებისა და აზროვნების პიროვნება, როგორც აკაკი წარმოიდგენს და იმედიანად სახავს ერისა და ქვეყნის მომავალი ცხოვრების წარმართვისას.

აკაკი წერეთლის ლექსის „იმერული ნანინას“ სათქმელი, გარკვეულწილად, გრძელდება პოეტის მეორე ლექსში „იმერული სიმღერა“ (დაწერილია 1876 წელს), რომელშიც ავტორი გამოხატავს არა მარტო ამ კუთხისთვის ნიშანდობლივ სულისკვეთებას, არამედ ზოგადქართულ ეროვნულ სულს აქსოვს, რომელიც ერთად იტევს სიყვარულს, სევდას, ტკივილს, იმედგაცრუებას, იმედს... აკაკი წერეთლის შემოქმედებას თუ კარგად ჩავუღრმავებთ, დავინახავთ, რომ მისი ნააზრვისთვის დამახასიათებელია იმედი და უიმედობა, ღრმა სიყვარულიც და მისი მოკლებაც, დაფასების გრძნობა და დაუფასებლობა... ეს პრობლემები მუდამ აწუხებს მას და ამიტომაცაა ამ სულისკვეთებით გაჯერებული მისი შემოქმედება.

აღნიშნული ლექსიც ზემოთ თქმულის დასტურია. ერთი მხრივ, ლექსის „იმერული სიმღერას“ სათქმელი შესაძლებელია მივიჩნიოთ, როგორც ზემოთ ვთქვით, „იმერული ნანინას“ სათქმელის გაგრძელებად, მაგრამ, მეორე მხრივ, განცალკევებითაც შეიძლება დავსახოთ; ლექსი „იმერული სიმღერა“ მიმართვის მხატვრული ხერხით არის დაწერილი, ავტორი ესაუბრება მეორე (ზოგადად, ყველა დანარჩენს – თაობებს თუ ეპოქებს) და შეახსენებს არსებობის, მყოფობის ხასიათს; ამ ლექსშიც დგას

<sup>3</sup> აღნიშნული ცალკეა გასაანალიზებელი სახისმეტყველებითი თვალსაზრისით.



ის საკითხები, როგორცაა სოციალური, განათლების და სხვა, მაგრამ ჩვენი აზრით, ასევე, გამოკვეთილია რუსეთის მიერ დატყვევებული, „გალიაში“ მყოფი, უფლებამწიფი საშობლო საქართველო, რომლის მდგომარეობა ყოველთვის იყო მძიმე და დამცირებული, მაგრამ შეუდრეკელი ცეცხლივით ენთო ყოველი ქართველის გულში, რომელსაც მუდმივი წვა და განელევა სჭირდებოდა, რისთვისაც ბრძოლა ბევრჯერ დიდ ტანჯვასთან, ტკივილთან, იმედგაცრუებასთან იყო დაკავშირებული. ამ ტკივილს კი პოეტი ყოველთვის უძღვნიდა გულმხურვალე გულს, ლოცვით გაჯერებულსა და სიმღერით ანთებულს:

„გული შენ მოგიძღვენი,

სულიც ხომ შემოგწირე!

პატარა საყვარელო,

შენ რაღად დამამცირე?“ (წერეთელი 1977: 38).

მოტანილ სტრიქონებში ხაზგასმულია ის დაუცხრომელი და გაუნელელებელი ღვაწლი, რომელიც აკაკიმ გასწია თავისი ერისა და ქვეყნისათვის, მაგრამ მიაჩნია, რომ არ დააფასა, დაგმო და სხვაში გასცვალა. მიუხედავად ამისა, ქვეყნისათვის გაღებული მსხვერპლია, მისადმი უანგარო სიყვარულს, შრომას, წვას, ერისათვის დაკისრებული შემოქმედის მისიას ქადაგებს და ტვირთულობს, რომელიც მძიმეცაა და მსუბუქიც, ტკივილიანიც და სიხარულის მომგვრელიც, რაც გაერთიანებულად ერისა და ქვეყნის სამსახურში დგომას მოიაზრებს და პოეტის მისიის მარადიულ სიცოცხლეს ამკვიდრებს.

#### გამოყენებული ლიტერატურა

ბეთხოშვილი 2022: ბეთხოშვილი, დ., აკაკი წერეთლის შემოქმედების მსოფლმხედველობრივი პრობლემები (პოეზია: ლექსები, პოემები, დრამატული პოემები, სამი მოთხრობა), მონოგრაფია, ტომი I. თბილისი, 2022.

ქართული ლიტერატურის ისტორია 1974: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი IV (XIX საუკუნის მეორე ნახევარი). თბილისი, 1974.

წერეთელი 1977: წერეთელი ა., რჩეული ორ წიგნად, წიგნი I, ლექსები, პოემები. თბილისი, 1977.



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8030>

**იმერეთის თემა  
ძველ ქართულ მწერლობაში**

**The theme of Imereti  
in ancient Georgian writing**

**ომარ გვეტაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Omar Gvetadze**

Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

**აბსტრაქტი**

ძველ ქართულ მწერლობაში ხშირად არის ძირითად თემად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მომხდარი ამბები. განსაკუთრებით ეს ეხება აღმოსავლეთ საქართველოს – კახეთი, თბილისი, ქვემო ქართლი, მცხეთა (აზოს წამება, ევსტათი მცხეთელის წამება, გობრონის წამება და სხვა). იმერეთზე ამ კუთხით ნაკლებადაა ყურადღება გამახვილებული, თუმცა აღორძინების ხანაში დაიწერა რამდენიმე ისეთი ნაწარმოები, რომელშიც ავტორები ამჟღავნებენ თავიანთ დამოკიდებულებას იმერეთისადმი, საუბარია აქ მცხოვრები ადამიანების ყოფის, საფიქრალისა და საზრუნავის შესახებ.

აღორძინების ხანის მწერალთა პოემები, რომლებიც ეძღვნება მეფეებს, ცნობილ პიროვნებებს, ფაქტობრივად არის ისტორიული მოვლენების გალექსვა. ისეთი მხატვრული სამკაულები, როგორცაა მეტაფორა, ეპითეტი და გამოსახვის სხვა ხერხები, ამ პოემებში გამოყენებული არ არის. სათქმელი გადმოცემულია რუსთველური თექვსმეტმარცვლიანი შაირით. თუმცა იგრძნობა დაპირისპირება „სპარსულ ნაჭორ“ ამბებთან და ეროვნულ თემატიკაზე ყურადღების გამახვილება, რაც ნაციონალური ეპოსის დამკვიდრების ნიშანი იყო.

ფეშანგის შემოქმედების შესახებ ქართული ლიტერატურის ისტორიაში არ არის საუბარი გამოწველივით, ძირითადად გადმოცემენ პოემის შინაარსს. ზოგადად მითითებულია, რომ იგი ამახინჯებს ისტორიულ სინამდვილეს, არის სახოტბო პანეგირიკის ავტორი და, რაც მთავარია, ავლენს კუთხურ პატრიოტიზმს. ეს შეხედულებანი გადახედვას საჭიროებს. ჯერ ერთი, მხატვრულ ნაწარმოებს არ მოეთხოვება ისტორიული რეალობის დეტალურად გადმოცემა, არ შეიძლება მას შევხედოთ როგორც მათიანეს. მეორეც, ფეშანგი თავის პოემაში საქართველოს გაერთიანების მომხრეა,

ყოველ შემთხვევაში, იგი აქებს რა შაჰნავაზს და არჩილს, მიზანი ერთი აქვს: მეფისადმი პატივისცემა და ხალხის ერთიანობა, მათი ერთგულება მეფისადმი. იმერეთი პოემაში ნახსენებია 27-ჯერ, ხოლო ქუთაისი – 6-ჯერ.

ნაშრომში პოემის ტექსტიდან მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ფეშანგი არ არის კუთხური პატრიოტიზმის გამომხატველი, არამედ ეროვნული თვალთახედვით და ობიექტურად აფასებს იმერეთში განვითარებულ ისტორიულ მოვლენებს.

საკვანძო სიტყვები: ძველი ქართული მწერლობა, იმერეთის თემა, ფეშანგის შემოქმედება.

#### ABSTRACT

In ancient Georgian literature, the predominant themes often revolve around events occurring in various regions of Georgia. Notably, Eastern Georgia's regions like Kakheti, Tbilisi, Kvemo Kartli, and Mtskheta frequently depict events such as the torture of Abo, Estatica Mtskheli, and Gobroni. However, Imereti has received comparatively less attention until the Renaissance, when several works emerged shedding light on this region. Authors of these works expressed their perspectives on Imereti, delving into the lives, thoughts, and concerns of its inhabitants.

Renaissance poets dedicated their verses to kings and renowned figures, offering a narrative of historical events rather than employing elaborate literary devices like metaphor or epithet. The use of the sixteen-syllable Rustaveli „shairi“ is common in these poems. However, there exists a subtle contradiction with „Persian rumors“, while the emphasis on national themes hints at the emergence of a national epic.

In the realm of Georgian literary history, Peshang's contributions are often overlooked. It is commonly asserted that Peshang distorts historical reality, crafts panegyrics, and exhibits narrow patriotism. These perspectives require reevaluation. Firstly, a work of art is not obligated to meticulously reflect historical reality; it transcends mere chronicle. Secondly, Peshang advocates for the unification of Georgia in his poem, praising figures like Shahnawaz and Archil, emphasizing respect for the king and unity among the people. Notably, Imereti is mentioned 27 times and Kutaisi six times in the poem. Analysis of the examples presented in the article suggests that Peshang's work does not merely reflect narrow patriotism. Rather, he evaluates historical events unfolding in Imereti from a national standpoint with objectivity and insight.

**Keywords:** Ancient Georgian writing, Imereti theme, Peshang's creativity.

ძველ ქართულ მწერლობაში ხშირადაა აღწერილი ძირითად თემად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მომხდარი ამბები. განსაკუთრებით ეს ეხება აღმოსავლეთ საქართველოს – კახეთი, თბილისი, ქვემო ქართლი, მცხეთა (აზოს წამება, ევსტათი მცხეთელის წამება, გობრონის წამება და სხვა). იმერეთზე ამ კუთხით ნაკლებადაა ყურადღება გამახვილებული, თუმცა აღორძინების ხანაში დაიწერა რამდენიმე ისეთი ნაწარმოები, რომელშიც ავტორები ამჟღავნებენ თავიანთ დამოკიდებულებას იმერეთისადმი, საუბარი აქ მცხოვრები ადამიანების ყოფის, საფიქრალისა და საზრუნავის შესახებ.

აღორძინების ხანის მწერალთა პოემები, რომლებიც ეძღვნება მეფეებს, ცნობილ პიროვნებებს, ფაქტიურად არის ისტორიული მოვლენების გალექსვა. ისეთი მხატვრული სამკაულები, როგორცაა: მეტაფორა, ეპითეტი და გამოსახვის სხვა ხერხები, ამ პოემებში გამოყენებული არ არის. სათქმელი გადმოცემულია რუსთველური თექვსმეტმარცვლიანი შაირით, თუმცა იგრძნობა დაპირისპირება „სპარსულ ნაჭორ“ ამბებთან და ეროვნულ თემატიკაზე ყურადღების გამახვილება, რაც ნაციონალური ეპოსის დამკვიდრების ნიშანი იყო. აღნიშნავენ, რომ ფეშანგი ერთ–ერთი მკვეთრი გამოხატველია იმ „რეალიზმისა“, რომელსაც მწერლობისაგან მოითხოვენ აღორძინების ხანაში (კეკელიძე 1981: 512). ფეშანგის დროს ლიტერატურაში ეროვნული მოტივი ჯერ კიდევ არ ქცეულა მწერლის მსოფლმხედველობად, შემოქმედებით მეთოდად. სხვა ვითარებაა დავით გურამიშვილთან, – მართლის თქმა მისი შემოქმედებითი პრინციპია.

ფეშანგის შემოქმედების შესახებ ქართული ლიტერატურის ისტორიაში არ არის საუბარი გამოწვლილვით, ძირითადად გადმოსცემენ პოემის შინაარსს. ზოგადად მითითებულია, რომ იგი ამახინჯებს ისტორიულ სინამდვილეს, არის სახოტბო პანეგირიკის ავტორი და, რაც მთავარია, ავლენს კუთხურ პატრიოტიზმს. აღნიშნულია, რომ „პოემის ავტორი, ერთი შეხედვით, თითქოს საქართველოს გაერთიანების დიდი მოტრფიალეა, მაგრამ მისი კონცეფცია აქ არაჯანსაღ საფუძველზეა დაყრდნობილი. სპარსოფილურ ტენდენციებთან ერთად, ფეშანგი აშკარად ამჟღავნებს ერთგვარ კუთხურ პატრიოტიზმს. მისი გაკვილვის საგანი გამხდარა არამარტო იმერული დიდკაცობა, არამედ იმერეთის მთელი მოსახლეობა (ქართული ლიტერატურის ისტორია 1966: 416). ასევე ხაზს უსვამენ „შაჰნავაზიანის“ მრავალი ადგილის შეუსაბამობას ისტორიულ სინამდვილესთან. ეს შეხედულებანი გადახედვას საჭიროებს. ჯერ ერთი, მხატვრულ ნაწარმოებს არ მოეთხოვება ისტორიული რელობის დეტალურად გადმოცემა, არ შეიძლება მას შევხედოთ როგორც მათიანეს; მეორეც, ფეშანგი თავის პოემაში საქართველოს გაერთიანების მომხრეა, ყოველ შემთხვევაში, იგი აქებს რა შაჰნავაზს და არჩილს, მიზანი ერთი აქვს: მეფისადმი პატივისცემა და ხალხის ერთიანობა, მათი ერთგულება მეფისადმი. მართებულია კ. კეკელიძის მოსაზრება, რომ „თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით ფეშანგი მოტრფიალეა გაერთიანებული საქართველოსი... მთლიანი, განუყოფელი სამშობლო – პატრიოტი პოეტის იდეალი“ (კეკელიძე 1981: 512).



აღორძინების ხანაში განახლდა საკარო პოეზია, რომლის ტრადიციები დაკარგული იყო. აღარ იყო შეკვეთა და არც ძლიერი პიროვნება – ქების ობიექტი. როგორც ცნობილია, ამ კუთხით აღორძინების ხანის პოეზიაში გამორჩეული ნაწარმოებია პოემა „შაჰნავაზიანი“.

ცნობილია, რომ მდივან–მწიგნობრები და მეხოტბეები, რომლებიც ნაწარმოებში შექების სანაცვლოდ საჩუქარს, წყალობას ითხოვდნენ მეფისაგან, ძირითადად დაბალი სოციალური წრიდან არიან გამოსულნი (ფეშანგი 1935: XXXVI). ფეშანგიც ხომ გორელი ვაჭრის შვილი იყო. ამიტომ მათ ცნობილი მაღალი არისტოკრატიული წრის წარმომადგენლები ზემოდან, ხშირად დაცინვით, უყურებდნენ. ცნობილია თეიმურაზ II–ის ირონია:

„ვინ არის ჩემზე მეტყველი, შეტყობა დია მსურისა,  
... არამც რომ დამკვრელი იყოს სტვირსა, ჭიანურისა.“

ზედან უმღერდეს შაირებს, ნათქვამს ბისტიკის ცრუისა“.

აგრეთვე, იოსებ თბილელიც, ცნობილი მოღვაწე და „დიდმოურავიანი“ ავტორი, ფეშანგის თანამედროვე, ასეთ მეხოტბეებს დასცინოდა: „რომე კაცმა ბევრი რამ თქვას ხოტბა, ბევრი სიტყვის თხრობა თვისტომს თავსა მოაძაგებს, მას მიხვდების ცუდი შრომა.“

ფეშანგი წერს: „რაც მენახა, ვიუბენ“–ო. ყველაფერს, რასაც აღწერს, მხოლოდ საკუთარი დაკვირვების შთაბეჭდილებები უდევს საფუძვლად გვინდა აქ მოკლედ შევხვით ფეშანგის „კუთხური პატრიოტიზმის“ გამოვლინებას. მის დამოკიდებულებას იმერთა მიმართ.

იმერეთი პოემაში ნახსენებია 27–ჯერ, ხოლო ქუთაისი – 6–ჯერ. ბაგრატის თვალის დათხრა დედოფალ დარეჯანის მიერ, იმერთაგან, პოემაში შეფასებულია უარყოფითად:

„რა მიესმა იმერელთა, მათ შეექნათ დიდი წყენა,  
თქვეს: დავრჩითო უპატრონოდ, რა გვმართებსო ნეტა ჩვენა?  
ქალმან მისი სირეგნითა რისხვა ჩვენზე მოაყენა,  
მოაოხრა სახელმწიფო, ვინ აუბნა ტყუილად ენა“ (ფეშანგი 1935).

იმერლებმა თხოვეს დადიანს, რომ ამ გასაჭირიდან ეხსნა ისინი. ფეშანგი ქებას არ იშურებს იმერლების მიმართ:

„გამოელაშქრა, მოვიდა სადაცა საზღვარი ხონია...  
იმერელთაგან სიფრთხილე ძველთაგან გაგვიგონია.“

იმერეთში აღმოსავლეთიდან გადმოსულ მეფე შაჰნავაზს იმერელი თავადები მუხლმოყრილი შეხვდნენ:

„მოვიდენ იმერელნი, თავადები ვინცა ვინა  
მუხლმოყრილნი სახვეწარად ირჯებოდნენ მეფის წინა,  
ერთგულთ მისცა საბომგარი, ორგულებსა მოაწყინა,  
თემი შანით დააწყენარა, არა სადით არ იწყინა.“

აქაც არ ჩანს, რომ ფეშანგი იმერელ თავადებს აკრიტიკებს, პირიქით, მათი ქცევა სავსებით ადეკვატურია მოვლენებისა.

პოემის ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ დედოფლის ვერაგულმა მოქმედებამ იმერეთი ცუდ დღეში ჩააგდო:

„აწ შეიქნა იმერეთი უპატრონოდ, ასრე ოხრად,  
ქალი დარჩა უიმედოდ, ვისგან დაჯდა ასრე ოხრად,  
დაუბრუნდა სვიანობა მას, დაეწყო ძველთა მოსვრად  
ტახტიდან ჩამოაგდო, წაიყვანა ხორცა მტრისად.“



ვახტანგ შაჰნავაზი პოემაში წარმოჩენილია ყველასგან პატივსაცემ პიროვნებად. იმერეთის ჯარის ერთგულებას მეფე უხვი მოწყალებით აფასებს:

„იმერთა ჯარი გვერდს ახლავს, დიდი ვინ, ანუ წვლილია,  
რაც დაიჭირა ქვეყანა, არიან მასთან ვლილია,  
ხალათი მისცა ყველასა, კაცთაგან დაუცველია,  
ბევრს შეკაზმული ცხენები, ვინ რამ თავადიშვილია“.

მეფე შაჰნავაზს, პოემის მიხედვით, იმერელთა ჯარის დახმარების იმედი აქვს:

„კაცი გაგზავნა იმერეთს, შესთვალა სიტყვა ასეები,  
მივალ მტრებზედა საბრძოლოდ, სისხლით ავუვსო თასეები.  
მზა დამხვდით, მოვალ ლაშქართა, თქვენ დიდებითა ხასეები ,  
ერთგულთა მოგცე წყალობა, აღარ გინდოდეთ ფლასეები“.

იმერთა საქებრად უნდა ითქვას, რომ მათ ბრძანების მოსვლისთანავე დაიწყეს შეკრებისათვის მზადება.

„წიგნი მოვიდა, მაშინვე შექნეს იმერელთ მზადება,  
თქვეს ყმანი ვართო მეფისა, ვინ ლომსა დაექადება“.

იმერთა ჯარმა დაპირება შეასრულა. მათ მეფეს გვერდით დგომა შეჰფიცეს:

„იმერთა ჯარი იქ დახვდა, ჰგავს არ არიან ძალია,  
სული მიაართვეს არმადნად, ვით დაიშურონ ძალია...“

პოემაში შექებულია ქუთაისში არსებული მეფეთა სადგომი, მათი სამყოფელი. ფეშანგი არ იშურებს ამ შემთხვევაში „ოქროს ჩარდახის“ შექებისათვის სტრიქონებს, მეტიც, ქუთაისს დედაქალაქს უწოდებს.

„ქუთაისს დედაქალაქსა დადგა უკადრი, ლაღია,  
დიდთა მეფეთა სამყოფი ნახა იქ ტურფა ბაღია.

სრა და საწოლი დახჩული, კარი ჩანს არსადა ღია.

თქვა: „უპატრონოდ ქნისათვის შემქმნია გულსა დაღია“.

პოემაში „შაჰნავაზიანი“ ფეშანგი ასაბუთებს და რეალურ პირობებს უძებნის შაჰნავაზის მიერ შვილის, არჩილის მეფედ მოთხოვნას იმერელთაგან:

„შექნეს ხვეწნა და მუდარა, არ ვიყო მათზე ზიანად,  
მათ არჩილ მთხოვეს სამეფოდ, ადრე არათუ გვიანად“.

არჩილის მეფობა იმერეთში პოემაში საერთო თანხმობად არის წარმოდგენილი. ამ მოვლენაში ფეშანგი ხედავს საქართველოს გაერთიანების იდეას.

„შვილი გახლავს არჩილ მეფეთ, იმერთა მიაზარე,  
ტახტი მიეც სახელმწიფო, დაამშვენოს ყოვლი არე,  
საქართველო გააერთე, ვინ მამაცობ, ვითა მთვარე...!

...„თქვენ თბილისს ქალაქს მობრძანდით,

ტახტმან იხაროს შენითა...“

ფეშანგი არჩილის იმერეთში გამეფებას უკავშირებს ამ კუთხის კეთილდღეობას, მის წინსვლას და გამარჯვებას:

„მოვიდა შეხვდა იმერეთს ვის ტანი უგავს საროსა,  
ეგზომ უებრო ყვავილი, ვეჭვობ სამოთხეს ხარობსა...“

...შექმნა ქვეყანა მდიდარი, მას სხვა არ დაედაროსა“.

იმერელთა სიხარული ჰიპერბოლიზებულიად არის აღწერილი ფეშანგისთან.

შაჰნავაზმა არჩილი დასვა იმერეთის ტახტზე და თვითონ კი დაბრუნდა თბილისში. პოემაში გრანდიოზული სურათია დახატული, თუ როგორ აცილებენ იმერელი დიდებულები მეფე შაჰნავაზს:

„მივიდა და მისდევს ხელმწიფეს იმერეთს დიდებულები,

ტირილით ესალმებიან, ჰკადრეს: თქვენ გაგყვით გულები:“

არჩილის იმერეთში გამეფებამ ხონთქრის უკმაყოფილება გამოიწვია.

„ხუანთქარს რა ჰკადრეს იმერეთს არჩილისაგან მეფობა,

მეტმა წყენამან შეშალა, დაიწყო მაღლად მყეფება.“

არჩილს ურჩევენ, რომ იმერეთის სამეფო მისთვის შეუფერებელია, ურგებია, კახეთია შენი, მოუცია ბენფის ყაენს, იმერეთის მეფობა შენტვის შეუფერებელიაო:

„ეგე სამეფო ნუ გინდა, არ შენი შესაფერია,

არის მცირე და ურგები მეფობის, არაფერია,

ეტლმა სამისოდ დაგბადა, სიდიდე დაიფერია,

კახეთი მოგცა ყაენმა, ხელმწიფე არ უფერია...“

ფეშანგის პოემაში არის სტროფები, სადაც არჩილის სულიერი განწყობა მის პიროვნულ სიდიადეზე მიუთითებს; არჩილს არ ეთმობა იმერეთი, მისი მოსახლეობა, მისი არისტოკრატია. იგი განიცდის იმერეთიდან წამოსვლას, მას არ ეთმობა ეს მხარე და მისი ადამიანები:

„თქვა თუ ეგ ზომნი მოყმენი ადვილად გადავყაროა?

ანუ სრა დიდთა მეფეთა საოხრად რად დავჰყაროა?“

როცა შაჰნავაზის ძეზე, არჩილზე, უნდათ გავლენა მოახდინონ, მაშინ კახეთს უქებენ და იმერეთის საწინააღმდეგო აზრებს გამოთქვამენ. ეს მართლაც ბუნებრივია, რადგან არჩილისა და შაჰნავაზის მომხრეებს სურთ, რეალური საფუძველი მოუძებნონ მეფის ძალაუფლებას. პირდაპირ არ არის ნათქვამი, რომ ოსმალეთს არ სურს იმერეთში აღმოსავლეთ საქართველოს მეფე იყოს, გაერთიანდეს საქართველო და ამიტომ უპირატესობას ანიჭებენ აღმოსავლეთ საქართველოს.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ფეშანგი არ არის კუთხური პატრიოტიზმის გამომხატველი, არამედ ერთიანი ეროვნული ცნობიერებით და ობიექტურად აფასებს იმერეთს.

### გამოყენებული ლიტერატურა

კეკელიძე 1981: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II. თბილისი, 1981.

ფეშანგი 1935: ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გიორგი ლეონიძისა და სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, მხატვარი ლ. გუდიაშვილი. თბილისი, 1935.

ქართული ლიტერატურის ისტორია 1966: ქართული ლიტერატურის ისტორია, ექვს ტომად, ტ. II. თბილისი, 1966.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8032>

**მწერლის „ფიქრით ნახატი“ იმერეთი  
(დავით კლდიაშვილის შემოქმედების მიხედვით)**

**Writer's „Think Painting“ Imereti  
(According to Davit Kldiashvili's Work)**

**თამარ გოგოლაძე**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, გორი

**Tamar Gogoladze**  
Gori State University  
Georgia, Gori

**აბსტრაქტი**

დავით კლდიაშვილის (1862-1931) ცხოვრება და შემოქმედება იმერეთს, საქართველოს ამ მშვენიერ კუთხეს, უკავშირდება. სტატიის მიზანია, წარმოაჩინოს, როგორ ასახა იმერეთი დავით კლდიაშვილმა თავის შემოქმედებაში, ასევე, როგორ განიხილავს გრიგოლ რობაქიძე დავით კლდიაშვილის ნააზრევს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის უნიკალურობა ჰარმონიულად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და, რაღა თქმა უნდა, საერთო ქართულთან. საკითხი, როგორია იმერეთი თავისი ორიგინალობით, ქართულ ლიტერატურაში ძირითადად XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იკვეთება. დავით კლდიაშვილი, თვით წარმოშობით იმერელი მწერალი, შემოქმედი, ამას აფიქსირებს როგორც თავის მხატვრულ ტექსტებში, ისე მემუარ-მოგონებებში. სტატიაში ნაჩვენებია დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში გარდასახული პორტრეტი იმერული ხასიათებისა. ასევე ამ კუთხეში დაბადებული მწერალი და ლიტერატურათმცოდნე გრიგოლ რობაქიძე თავის ნარკვევში – „დავით კლდიაშვილი“ აღნიშნავს, რომ, მიუხედავად მწერლის მკაცრი რეალისტური მანერისა, მის მიერ შექმნილი სახეები მაინც ატარებენ მეტ-ნაკლებად განსხვავებულ იერს. თუ დავით კლდიაშვილი თავის ახლობლებს, ნათესავ-მეგობრებს ახასიათებს და მათ განწყობას აკვირდება („ჩემი ცხოვრების გზაზე“), გრ. რობაქიძე მწერალსა და მის შემოქმედებას აკვირდება, აანალიზებს და ასე ხსნის დავით კლდიაშვილის იმერულ ფენომენს. გრ. რობაქიძე თავისი ნარკვევის მეორე ქვეთავში დასკვნის სახით განმარტავს: „უცნაურობით რომ დაფასდეს რომელიმე მხარე, პირველ ჯილდოს იმერეთი მიიღებდაო უთუოდ“ (გრ.

რობაქიძე). ამით იგი ერთგვარად ხაზს უსვამს იმ განუმეორებლობას, რაც ამ კუთხეს და მის მცხოვრებთ ახასიათებთ. განუმეორებლობას იგი ხედავს ბუნებაშიც, ცხოველებშიც, მაგრამ განსაკუთრებულად ადამიანებში, რაც დავით კლდიაშვილმა, ერთი შეხედვით, მარტივად, სადად, იუმორით (ცრემლნარევი იუმორით) წარმოსახა თავის შემოქმედებაში იმდროინდელი საქართველოს სოციალური სიდუხჭირის ფონზე.

სტატიაში წარმოჩენილია ამ ორი მწერლის ფიქრიანი მიდგომის განუმეორებლობა, რაც ერთ საგანს – მშობლიურ კუთხეს უკავშირდება და ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს იმერეთის ხასიათის გახსნის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: დავით კლდიაშვილის შემოქმედება, იმერეთი და იმერიზმები მხატვრულ ტექსტში.

#### ABSTRACT

Davit Kldiashvili (1862-1931) dedicated his entire life and literary career to Imereti, a picturesque region of Georgia. This article aims to explore how Kldiashvili portrayed Imereti in his works and how Grigol Robakidze analyzed Kldiashvili's literary contributions.

Since the 1860s, Georgian literature has grappled with the question of Imereti's distinctiveness within the broader Georgian cultural landscape. Davit Kldiashvili, himself a native son of Imereti and a prolific writer, articulated this uniqueness both in his artistic creations and memoirs. This article seeks to depict the portrait of Imeretian characters as portrayed by Kldiashvili.

Grigol Robakidze, another prominent writer and literary critic born in Imereti, reflects on Kldiashvili's artistic style in his essay „Davit Kldiashvili“. Robakidze notes that despite Kldiashvili's strict adherence to realism, the characters he created possess a distinctive aura. While Kldiashvili observes the moods and nuances of his relatives and acquaintances in works like „On the Road of My Life“, Robakidze critically examines Kldiashvili's oeuvre to elucidate his artistic genius.

In the concluding section of his essay, Robakidze emphasizes, „If uniqueness were to be rewarded, Imereti would undoubtedly claim the prize first“. This statement underscores the exceptional nature of Imereti and its inhabitants, as perceived by Robakidze. He finds irreproducibility in the region's landscapes, fauna, and most significantly, its people, whom Kldiashvili portrays with simplicity, ease, and a touch of humorous melancholy against the backdrop of Georgia's societal challenges during that era.

Ultimately, this article aims to highlight the distinctive perspectives of these two writers, both deeply connected to their native Imereti. Their writings serve as keys to unlocking the essence of Imereti and its people, enriching Georgian literature with their nuanced portrayals and keen observations.

Keywords: Davit Kldiashvili's creativity, Imereti and Imerisms in artistic texts.



ქართული ლიტერატურის ისტორია მხატვრული ტექსტების კომპოზიციური არქიტექტონიკის შესწავლის გარდა ხშირად ამახვილებდა ყურადღებას იმ ენობრივ სარჩულზეც, რაც შეინიშნებოდა ამა თუ იმ ნაწარმოებში, მაგრამ სალიტერატურო ქართულის პრინციპების დამკვიდრებისათვის ბრძოლასთან დაკავშირებით შეინიშნება ამა თუ იმ კუთხის წარმომადგენელ მწერალთა სწრაფვა, სალიტერატურო ქართულით წარმოადგინონ ძირითადი ტექსტი, დიალოგებში კი დასაშვებად ითვლება პერსონაჟის კუთხურობის დასახასიათებლად, სახის სრულყოფის მიზნით დიალექტური ფორმების გამოყენებაც. XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწე პოეტები თუ პროზაიკოსები აქტიურობენ, 60-იანი წლებიდან კი, როდესაც მწერლობის დიდ ნაკადს შეუერთდნენ თერგდალეულები: აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვ., უკვე სხვადასხვა კუთხის ყოფა აისახება მათ შემოქმედებაში. დავით კლდიაშვილი თავის მემუარულ ნაწარმოებში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ იხსენებს ერთ ფაქტს თავისი ცხოვრებიდან: „როცა „სამანიშვილის დედინაცვალი-ს“ ბეჭდვა დასრულდა ჟურნალში, პეტრე უმიკაშვილი შემხვდა ბათუმის ბულვარში. მასთან იყო არტურ ლეისტი.

– მე შენ ხმას არ გცემ! – შემომიტია პეტრემ – როგორი კაცი მეგონე, თურმე კი ზარმაცი, უხეირო ყოფილხარ.

– რატომ, ბატონო პეტრე, რატომ? – შევეკითხე.

– რატომ და იმიტომ, რომ ასე მალე დაამთავრე სამანიშვილის „მოგზაურობა!“ გადმოვიყვანდი ქართლში, იქიდან კახეთში... რა სურათი იქნებოდა, რა იქნებოდა, შენ კი ასე მალე მოახახვიე დედინაცვალი!

– არ ვიცნობ ქართლსა და კახეთს!“ (კლდიაშვილი 1961: 241).

მოყვანილი ამონარიდი ცხადყოფს რეალისტი მწერლის გულწრფელი აღიარების ჭეშმარიტებას: ეწერა იმაზე, რასაც კარგად იცნობდა, აღწერდა იმას, რაც მისთვისვე იყო მტკივნეული. ამიტომ მიანიშნებენ დავით კლდიაშვილის ნაწარმოებების მანერაზე, რომ ესააო „ცრემლიანი სიცილი“, ამიტომ უყვართ მისი პერსონაჟები, რომლებიც ისე არიან ჩამოქანდაკებული, ვერ გაგიგია, რატომ ეხმიანებიან ყველა ქართველის სულს. ერთი მათგანი მთლიანში და მთლიანი ერთში“ (მარადიული მასპინძელი... 2015) – ასე წარმოდგება დ. კლდიაშვილის მთელი შემოქმედება. ამიტომ უჭირდათ მათი დადგმა ქართულ სცენაზე, რომ კუთხის კოლორიტზე ამახვილებდნენ ყურადღებას და არა ხასიათებზე. დავითის ვაჟი, მწერალი სერგო კლდიაშვილიც თავის მოგონებებში აღნიშნავს: „დავით კლდიაშვილის მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“ წარსულში რამდენჯერმე გადაამუშავეს სცენისათვის. პიესად გადაკეთებული მოთხრობა იდგმებოდა როგორც თბილისში, ისე ქუთაისში, ჭიათურაში და სხვა რაიონულ თეატრებში. მაყურებელიც ინტერესით ხვდებოდა ყოველ ახალ დადგმას. რეჟისორები მაშინ ცდილობდნენ დაეცვათ კოლორიტი, რომელიც, მათი აზრით, იმერეთის თავისებურებების გამომხატველი იყო (ხაზი ჩვენია – თ.გ.). მსახიობებს აცმევდნენ ჩოხა-ახალუხს, ცდილობდნენ ვითომდა იმერული გამოთქმა ჰქონოდათ და დეკორაციებიც თითქოსდა იმერულ პერსონაჟებს წარმოგვადგინდნენ. სხვაგვარად ვერც წარმოედგინათ, მაშ,

როგორ ეჩვენებათ დავით კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურების“ ცხოვრება“ (კლდიაშვილი 2000: 49), სამაგიეროდ, რუსთაველის თეატრის დადგმაში (თ. ჩხეიძისა და რ. სტურუას რეჟისორობით) დადგმულ სპექტაკლში, ს. კლდიაშვილის აზრით, „ბრწყინვალედ გაიხსნა ნაწარმოები, მსახიობებს ეცვათ თანამედროვე ტანსაცმელი (არავითარი ჩოხა-ახალუხი და სხვა ვითომდა იმერული აქსესუარები) და უგრძობიროდაც იყვნენ“ (იქვე: 50). თუმცა იმერული კოლორიტი აუცილებელი აქსესუარი იყო თავად მოთხრობისათვის, სადაც ბეკინას, პლატონის, არისტოს, კირილეს სახითაა იმერული და ზოგადი ქართული ხასიათი შესწავლილი ბევრი ლიტერატურათმცოდნის მიერ. ამიტომაც, რომ მკვლევარნი იშვიათად თუ ამახვილებენ ყურადღებას იმერულსა თუ იმერეთზე დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში. მაგალითისათვის მოგვყავს ამონარიდი გრიგოლ კვიციანიძის ნაშრომიდან, რომელშიც იგი ეხება სატირასა და იუმორს დ. კლდიაშვილის მოთხრობებში. მიუხედავად იმისა, რომ დავით კლდიაშვილის სახელი უფრო დაკავშირებულია იმერეთის აზნაურთა ყოფის ამსახველ თხზულებებთან, რასაკვირველია, სრულიად შეუწყნარებელი იქნებოდა მისი მთელი შემოქმედების შემოფარგვლა მხოლოდ ამგვარი ინტერესით. დავით კლდიაშვილის თხზულებათა საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა ეხება გლეხთა ცხოვრების („შერისხვა“, „მრევლში“, „მიქელა“), ხოლო ზოგიერთი კი ქალაქის სურათსაც გვიხატავს („წრფელი გული“, „მშობლის ნუგეში“). ეს გარემოება უკვე თავისთავად მოწმობს, რომ დ. კლდიაშვილის შემოქმედება საკმაოდ მრავალფეროვანია თემატიკურად“ (კვიციანიძე 1953: 398). აქ ამკარაა, მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს მწერლის დიდ ოსტატობაზე, რომელიც მხოლოდ იმერეთის გაღარიბებული აზნაურების ყოფას არ ასახავს. სამაგიეროდ, მწერალი, თავად იმერეთში დაბადებული გრიგოლ რობაქიძე, საოცარ ესსეს უძღვნის სწორედ იმერულს, იმ საუცხოო კოლორიტულ მანერას, რაც დ. კლდიაშვილმა აიღო თავისი კუთხის ადამიანთა ხასიათებიდან, პეიზაჟებიდან თუ ყოფითი დეტალებიდან, თვითონ გრიგოლ რობაქიძე ლექციებს თურმე რუსულ ენაზე კითხულობდა თავდაპირველად და სწორედ დავით კლდიაშვილის რჩევით შეუცვლია გამოსვლების ენა:

„გრიგოლ რობაქიძეც უმაღვე შეუსრულებს თხოვნას მისი გზნებისა და ტალანტის დამფასებელ დავითს, სულ მალე ქართულად წაიკითხავს თავბრუდამხვევ ლექციებს „გველის მჭამელოზე“, „აკაკიზე“ (მარადიული მასპინძელი... 2015: 14).

გრ. რობაქიძე სწორედ დავით კლდიაშვილის იმერული კილოს ერთი სიტყვით იწყებს თავის ესსეს: „უცნოურია“ – ამბობს დავითი რომელიმე ამბავზე (ამ სიტყვას იგი იმერული გამოთქმით ამბობს). შენც უსმენ ამ „უცნოურსა“ (იქვე: 19). აქვე აგრძელებს ავტორი „უცნაურობით რომ დაფასდეს რომელიმე მხარე, პირველ ჯილდოს იმერეთი მიიღებდა უთუოდ“ (იქვე).

ასე მიჰყვება ნაბიჯ-ნაბიჯ დ. კლდიაშვილის მიერ ასახული სამყაროს „გაშიფვრას“: „მართლაც უცნაური“, „ეკალასავით ჩხუბობენ“, „ღორები“, „ნატურალიზმი“, „უდავო შედეგრი“, „მარტო სიცილი?“, „პორტრეტი გაგრძელებული“ – ასე ასათაურებს მწერალი თავისი ესსეს ნაწილებს,

მოჰყავს თეატრალური მაგალითი, რაც მხატვრულად აისახა დ. კლდიაშვილთან, ჩვეული ამბავი. თანახსიათებს მწერალს, თანსიღრმისაკენ იყურება. მოჰყავს ციტატები ტექსტიდან, ხანდახან ასკვნის: „მოდი და იცინე – ასეთი გაჭირვების შემდეგ! მაგრამ სხვა რა გამოსავალია? სიცილი ცოტად მაინც გააქარვებს კუჭის პრეტენზიებს“ (მარადიული მასპინძელი... 2015: 23). „სამანიშვილის დედინაცვალი“ შედეგია, უდავო შედეგია, რასაც ამტკიცებს კიდევ გრ. რობაქიძე. ეს არის დავით კლდიაშვილის იუმორის პირველი შეფასება. რასაც ესსეს ავტორი უფრო მეტი ყურადღებით, თანაც ძალზე მარტივად, მხოლოდ ტექსტის მეშვეობით ხსნის. დიდოსტატს დიდოსტატური შეფასება სჭირდება და ეს მოჩანს გრიგოლ რობაქიძის ესსედან. აქ არაა როგორც იმერელი კაცის იმერელი მწერლის დახასიათება, ესაა ნიმუში, როგორ უნდა ჩაწვდე მწერლის ნაწარმოებს, მის მანერას, როგორ მოიძიო და მოიშველიო მაგალითები (მაგ., კუსიას ეპიზოდზე „ქამუშაძის გაჭირვებიდან“). დამატებით სერგო კლდიაშვილმაც დაწერა: „ქართული კლასიკური მწერლობა ყოველთვის იყო გამოხატულება ჩვენი ხალხის ცხოვრებისა, მისი სულიერი ცხოვრებისა. მხატვრული მწერლობის უმთავრესი, ერთადერთი მიზანია ადამიანის ჩვენება, ადამიანთა ვნებების ხატვა“ (კლდიაშვილი 2000: 28).

დავით კლდიაშვილის იმერეთი „ფიქრში ნახატი“ სურათია, რომელიც სრულიად საქართველოს რუკაზე გაიშალა ერთ ნიშნად, ერთ სახედ, რასაც საოცარი „სურნელი“ ახლავს, თითქოს „სურნელი“ მშობლიური მიწისა. მარადიულია მისი ბეკინა, სოლომანი, კაროჟნა, მარადიულია სოლომანის ჯორიც, მორჩილების, სათნოების, მიმტევებლობის ბიბლიური ფერი რომ დაადო დიდმა მწერალმა...

ეს ყველაფერი შეიქმნა და დარჩება სამარადჟამოდ მანამ, სანამ ქართული ენა იარსებებს, მანამ, სანამ იმერეთის ფერდობებზე ასკილი არ გადაშენდება“ (ჯოხაძე 2015: 15).

### გამოყენებული ლიტერატურა

კიკნაძე 1953: კიკნაძე, გრ., ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის. თბილისი, 1953.

კლდიაშვილი 1961: კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, მოთხრობები. თბილისი, 1961.

კლდიაშვილი 2000: კლდიაშვილი ს., უბის წიგნაკი. თბილისი, 2000.

მარადიული მასპინძელი... 2015: მარადიული მასპინძელი დავით კლდიაშვილი. თბილისი, 2015.

ჯოხაძე 2012: ჯოხაძე მ., ჩემი დავით კლდიაშვილი. თბილისი, 2012.



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8033>

**ნიკო და გიორგი ნიკოლაძეების  
ინოვაციური ტექნოლოგიური პროექტები  
საქართველოში**

**Innovative Technological Projects of  
Niko and Giorgi Nikoladze in Georgia**

**ლალი გოჩიტაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი  
**თორნიკე დვალი**  
თიბისი ბანკი  
საქართველო, თბილისი

**Lali Gochitashvili**

Georgian Technical University  
Georgia, Tbilisi  
**Tornike Dvali**  
TBC Bank  
Georgia, Tbilisi

**აბსტრაქტი**

ნიკო ნიკოლაძისა და მისი ვაჟის – გიორგი ნიკოლაძის სახელები ღირსეულ ადგილს იკავებენ ჩვენი სახელოვანი წინაპრების გვერდით. მამა-შვილის ნიკო და გიორგი ნიკოლაძეების ოჯახისნაირი მრავალმხრივ ნიჭიერი, პატრიოტი, საქმიანი და სანიმუშო ოჯახი ძნელად მოიძებნება არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, მსოფლიოშიც კი. გენიოსი მამის არანაკლებ ნიჭიერმა შვილებმა ღირსეულად გააგრძელეს და განახორციელეს მამის დაწყებული ჩანაფიქრები და ბევრი ახალიც შემატეს სამშობლოსა და ქართულ საქმეს. ნიკო და გიორგი ნიკოლაძეები მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, მართლაც, ევროპული მასშტაბის მოაზროვნე და დიდად საქმიანი ადამიანები იყვნენ, მათ ევროპიდან საქართველოში ახალი ტექნოლოგიები შემოჰქონდათ და სამშობლოში წერგავდნენ. ამასთანავე, აღსანიშნავია მათი პატრიოტული დამოკიდებულება ყოველი წამოწყებისადმი;



ნიკო და გიორგი ნიკოლაძეები ბევრს მოგზაურობდნენ, სწავლობდნენ სხვადასხვა ქვეყნის სიახლეებსა და მიღწევებს და ეს ცოდნა საქართველოში ჩამოჰქონდათ, ქართულ რეალობას უსადაგებდნენ, შემდეგ მოსახლეობაში ავრცელებდნენ და ამგვარად ქვეყნის საკეთილდღეოდ იყენებდნენ. დიდია მათი ღვაწლი როგორც მეცნიერების, ისე ტექნიკურ, სამშენებლო, სოფლის მეურნეობის, მეტალურგიის, რკინიგზის, სატრანსპორტო თუ საბანკო საქმის, ქვეყნის ელექტროფიკაციის, საგანმანათლებლო, სპორტის სხვადასხვა სახეობის შემოტანისა და დანერგვის, მათემატიკური თუ სპორტული ქართული ტერმინოლოგიის შექმნის, პირველი გამომთვლელი მანქანის მოდელირებისა და კიდევ მრავალი იდეის განხორციელების საქმეში. ქვეყნისთვის სასიკეთოდ მათი ნაღვაწის ზუსტი ჩამოთვლა ნამდვილად შეუძლებელია, მაგრამ ერთი კი ხაზგასმით არის აღსანიშნავი – ნიკო და გიორგი ნიკოლაძეებს უზომოდ უყვარდათ სამშობლო, საკუთარ ნიჭსა და ენერჯიას სამშობლოს საკეთილდღეოდ იყენებდნენ. დიდ ჯიხაიში, დღეს უკვე ნიკოლაძეების სახლ-მუზეუმად წარმოდგენილ მათ მამულში, არსებული ნიკოლაძეების სახლ-კარი და ეზო-მიდამო არის ნათელი მაგალითი იმისა, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი სოფელში ევროპულად.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ საჭიროა და მომავალი თაობისთვის მეტად სასარგებლო იქნება ნიკო და გიორგი ნიკოლაძეების, როგორც განსაკუთრებული და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, ნოვატორული იდეებით სავსე და უაღრესად პატრიოტი ქართველების მემკვიდრეობის უფრო ღრმად შესწავლა, მათი ინოვაციური ტექნოლოგიური პროექტებისთვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობა და გავრცელება, მათი განხორციელებული საქმეების პოპულარიზაცია და ამ ყველაფრის ქვეყნის სამსახურში ჩაყენება საქართველოს ევროპული მომავლის ასაშენებლად.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური ტექნოლოგიური პროექტები, ნიკო ნიკოლაძის პროექტები საქართველოში, გიორგი ნიკოლაძის ღვაწლი.

## ABSTRACT

The names of Niko Nikoladze and his son Giorgi Nikoladze hold a distinguished place alongside our renowned ancestors. It is rare to find a family as multi-talented, patriotic, entrepreneurial, and exemplary as father and son Niko and Giorgi Nikoladze, not just in our country, but worldwide.

The equally talented children of the brilliant father continued and expanded upon their father's ideas, contributing significantly to their homeland and Georgian industry. The prominent Georgians Niko and Giorgi were blessed with diverse talents, deeply European-minded, and astute businessmen. They imported modern innovations and technologies from Europe to Georgia, adapting them to local conditions and

disseminating them among the populace for the country's benefit.

Their contributions spanned science, engineering, construction, agriculture, metallurgy, railways, transportation, banking, electrification, educational reforms, sports, mathematics, and the introduction of Georgian terminology. They even pioneered the first calculating machine and numerous other innovations that greatly benefited the country. Their achievements are countless, but one thing stands out—they possessed an immense love for their homeland and dedicated all their talents and energy to its advancement.

In Didi Jikhaishi village, the Nikoladze family estate, now a museum, exemplifies how one can live a European lifestyle in a village setting.

The authors of this work firmly believe that it is crucial for our country's future generations to delve deeper into the legacy of Niko and Giorgi Nikoladze. As exceptionally talented, innovative, and fiercely patriotic Georgians, their technological projects deserve special attention and widespread dissemination. By promoting their accomplishments and utilizing their works, we can pave the way for Georgia's European future.

**Keywords:** Innovative technological projects, Niko Nikoladze's projects in Georgia, Giorgi Nikoladze's achievements.

ნიკო და გიორგი ნიკოლაძეების ოჯახისნაირი მრავალმხრივ ნიჭიერი, პატრიოტი, საქმიანი და სანიმუშო ოჯახი ძნელად მოიძებნება არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, მსოფლიოშიც კი. გამორჩეულია იმითაც, რომ ამ ოჯახის თითოეული წევრი – ნიკო ნიკოლაძე, მისი მეუღლე და შვილები – დაჯილდოებული იყვნენ უზადო ნიჭით, ცოდნისადმი დაუოკებელი სწრაფვით, შრომისმოყვარეობით, პატრიოტიზმით და კიდევ მრავალი დადებითი თვისებით. გენიოსი მამის არანაკლებ ნიჭიერმა შვილებმა ღირსეულად გააგრძელეს მამის დაწყებული საქმეები და ბევრი ახალიც შემატესსამშობლოს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, გამოჩენილი ქართველი მამა-შვილი ნიკო და გიორგი ნიკოლაძეები, ისინი იყვნენ მრავალმხრივ განათლებული, ნიჭიერი და სამშობლოს მოყვარული ადამიანები, ბევრს მოგზაურობდნენ ევროპაში და ცდილობდნენ იქიდან ჩამოტანილი იდეები და ახალი ტექნოლოგიები საქართველოს რეალობისთვის მიესადაგებინათ და საკუთარ ქვეყანაში დაენერგათ.



ნიკო ნიკოლაძის ოჯახი: ნიკო, მისი მეუღლე ოლგა გურამიშვილი და შვილები  
(საოჯახო არქივიდან)

ნიკო და გიორგი ნიკოლაძეები მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, მართლაც, ევროპული მასშტაბის მოაზროვნე და დიდად საქმიანი ადამიანები იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ ქართველ შთამომავლობას მათი არაერთი ნაშრომი და მათთვის მიძღვნილი ბევრი წიგნი თუ სტატია აქვს, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია და ცალკე გამოცემას იმსახურებს ნიკო და გიორგი ნიკოლაძეების ნოვატორული იდეები, ის ინოვაციური ტექნოლოგიური პროექტები და კვლევები, რომლებიც ამ ორმა დიდმა მეცნიერმა შეიმუშავა. ამ მიმართულებით გამოცემული მასალები კარგი სახელმძღვანელო იქნება მომავალი თაობებისთვის, როგორ უნდა ემსახურონ სამშობლოს. ნიკო და გიორგი ნიკოლაძეები მუდმივად და დიდი ინტერესით სწავლობდნენ სხვადასხვა ქვეყნის მოდელებს, ტექნოლოგიურ სიახლეებსა და მიღწევებს, რათა საქართველოში დაენერგათ, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოეყენებინათ. ბევრი ამ იდეებიდან და მოდელებიდან დღესაც აქტუალურია და მათი პოპულარიზაციით შეიძლება ახალგაზრდებისთვის დიდი ბიძგის მიცემა, ბევრი სასიკეთო საქმის წამოწყება და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა. საჭიროა ნიკო და გიორგი ნიკოლაძის ინოვაციურ-ტექნოლოგიური პროექტებისადმი მეტი ყურადღების გამოჩენა და მათი საქმიანობის მეტად პოპულარიზაცია.

უდიდესი ქართველი მოაზროვნის, ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და ფილოსოფიური თვალთახედვა, მისი ღვაწლი საქართველოს ასაღორძინებლად ჩვენი ქვეყნის გათანამედროვეობისთვის დიდი და შეუფასებელია. მან იცხოვრა ოთხ პერიოდში: დაიბადა ბატონყმობისას, 1843 წლის 27 სექტემბერს, ქუთაისში; მოღვაწეობდა მაშინ, როცა საქართველო რუსეთის გუბერნიას წარმოადგენდა; აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის პირველი რესპუბლიკის შექმნაში; აღსანიშნავია, რომ ნიკო ნიკოლაძის სახელი დაკავშირებულია 1918 წელს



საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნასთან. დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი ნიკოლაძემ შეადგინა (გაიპარაშვილი 2018: 301). სიცოცხლის ბოლო წლები კი საბჭოთა საქართველოში გაატარა. ნიკო ნიკოლაძე ცხოვრების ოთხივე პერიოდში იყო პროგრესული, ევროპულად მოაზროვნე, თავისი ქვეყნის ერთგული და მისი წარმატებისთვის დაუცხრომლად მებრძოლი ადამიანი. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი უდიდესი ორგანიზატორული ნიჭი ბიზნესში და მისი ნოვატორული ბიზნეს-პროექტები ქართული საქმის განსახორციელებლად: თანამედროვე ტიპის ბანკების დაარსება, ჭიათურის მანგანუმისა და ტყიბულის ქვანახშირის საბადოების სამრეწველო ათვისება, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, რკინიგზის გაყვანის ორგანიზება და სწორი სტრატეგიული დაგეგმვა, თბილისისა და ქუთაისის წყალსადენების ორგანიზება, ქვეყნის ელექტროფიკაცია, რიკოთის გვირაბის მშენებლობა და გრანდიოზული მრავალმხრივი პროექტები ფოთის აღმშენებლობისთვის – ევროპასთან პირდაპირი კავშირის დასამყარებლად, საქართველოში პირველი ბეტონის შემოტანა და გამოყენება, ლატარიის შექმნა და ბილეთების დაბეჭდვა, პირველი საბაჟო გადასახადი ფოთის პორტში, ზრუნვა ხალხის საგანმანათლებლო საკითხებზე, უნიკალური მეურნეობის შექმნა დიდ ჯიხაიში, სარწყავი არხის გაყვანა და მცენარეებისა და ცხოველების ახალი ჯიშების საქართველოში ჩამოყვანა და გამრავლება და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი რამ... 50 წლის განმავლობაში საქართველოში არცერთი მნიშვნელოვანი საქმე გაკეთებულა მისი აქტიური მონაწილეობის გარეშე. ის, რომ დღეს თბილისში წყალმომარაგება, კანალიზაცია, მუნიციპალური ტრანსპორტი, მთაწმინდის პანთეონი გვაქვს. სწორედ მისი მოღვაწეობის შედეგია... (შუბითიძე 2013: 5).

ნიკო ნიკოლაძისთვის განათლებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და მიაჩნდა, რომ ცოდნის გარეშე ადამიანი მონაა, რომ „სიღარიბე კაცის უმეცრების შედეგია“ და მხოლოდ ცოდნით არის შესაძლებელი წინსვლა და პროგრესი (ნიკოლაძე 1997: 55). ნიკო ყველანაირად ხელს უწყობდა ქვეყანაში განათლების გავრცელებას და დიდად ეხმარებოდა ქალებსა და ხელმოკლე მოსახლეობას. „ჩვენი გზა ევროპაშია, ხსნა კი განათლებასა და წიგნიერებაში“ – წერდა ნიკო ნიკოლაძე. მისი ხელშეწყობით პირველად წავიდნენ ქართველი ქალები უცხოეთში სასწავლებლად; ესენი იყვნენ მისი დები, ოლგა გურამიშვილი (მომავალში მისი მეუღლე), ეკატერინე მიქელაძე, რომელიც ქართული ფემინისტური მოძრაობის ლიდერი გახდა. ნიკო ნიკოლაძე, როგორც ფემინისტი, იბრძოდა ქალთა უფლებებისთვის და ეძებდა მიზეზს მათი წარუმატებლობის დასამარცხებლად. ეძიებდა და ცვლიდა სოციალურ მიზეზებს ქალთა უუფლებობის შესაცვლელად (შუბითიძე 2013: 13).

ნიკოლაძეები წარმოშობით იყვნენ სოფელ სკანდიდან. ნიკო ნიკოლაძის დედა ელისაბედ ლორთქიფანიძე დიდი ჯიხაიშიდან იყო, ნიკომ და მისმა მეუღლემ ოლგა გურამიშვილმა 1886 წელს, როცა დაიბადა მათი პირველი ქალიშვილი რუსუდანი, გადაწყვიტეს, რომ ბავშვი მიწასთან ახლოს, ბუნებაში აღეზარდათ, ამიტომ 20 ჰა სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთი შეიძინეს დედულეთში და დაიწყეს ევროპული სახლის მშენებლობა ცნობილი გერმანელი არქიტექტორის ედმუნდ ფრიკის პროექტით.





ნიკო ნიკოლაძის სახლი დიდ ჯიხაიში  
(საოჯახო არქივიდან)

სახლი განსაკუთრებული იყო იმით, რომ გარედან კომპაქტური, შიგნით კი სივრცითი, მოცულობითი და საცხოვრებლად ძალიან მოსახერხებელი იყო. დღეს იქ ნიკოლაძეების სახლ-მუზეუმია. ამ სახლის მშენებლობაში გამოიყენა პირველად საქართველოში ნიკო ნიკოლაძემ ცემენტი, რომელიც დღესაც ინარჩუნებს პირვანდელ სახეს. ამ სახლში მეორე სართულზე, ბიბლიოთეკაში, გამოიყენა ნიკომ ბუნებრივი განათება სახურავში ჩაყოლებული ფანჯრებით.



ნიკო ნიკოლაძის მიერ გამოყენებული ბუნებრივი განათება  
(საოჯახო არქივიდან)

ამ სახლის აივანზე დღესაც არის ლამფა, რომელშიც ნიკო ნიკოლაძის მემკვიდრეობით პირველად გამოიყენეს. საქართველოში პირველად აინთო

ელექტრონათურა, ასევე, აქ პირველად გამოიყენეს რკინის საწოლები, ფერადი ვიტრაჟული ფანჯრები, სხვადასხვა საოჯახო ტექნიკა, რომელიც ნიკოსუცხოეთიდან ჩამოჰქონდა, დღეს კიმისის სახლ-მუზეუმის ექსპონატებს წარმოადგენს. ესენია: პირველი სამოვარი საქართველოში, რომელიც ნიკო ნიკოლაძის ოჯახში იყო, ასევე, პირველი შეშის ღუმელი, პირველი ეტლი, პირველი ნავთქურა, საქართველოსთვის სიახლე – ევროპიდან ჩამოტანილი საოჯახო პირობების გასაუმჯობესებელი ნივთები: თეთრეულის სარეცხი მექანიკური მანქანა, სიმინდის საღერლი, რძის სათქვეფი აპარატი, ყურძნის საპრესი მანქანა, გოგირდის შესაფრქვევი აპარატი, მექანიკური მაცივარი, სხვადასხვანაირი ლამფები, რკინის საწოლები, სპილენძის აბაზანა, თივის საპრესი აპარატი, ყავის საფქვავე და მოსადუღებელი აპარატი და სხვ. დღეს ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში შემონახულია 156 მემორიალური ნივთი და 500-ზე მეტი ფოტომასალა.

ნიკო ნიკოლაძეს ჰქონდა პირველად საქართველოში კოდაკის ფირმის ფოტოაპარატი. პირველი სელფის ავტორიც თვითონაა – სარკეში გადაიღო. ფოტოებს, ასევე, იღებდნენ ოჯახის სხვა წევრებიც: მეუღლე ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძისა, შვილი გიორგი ნიკოლაძე და მძახალი ვახტანგ ღამბაშიძე – საზოგადო მოღვაწე და პარიზის ქართული სათვისტომოს რიგით მეორე თავმჯდომარე (<https://www.radiotavisupleba.ge/a/29863004.html>).



ნიკო ნიკოლაძის მიერ სარკეში გადაღებული პირველი სელფი  
კოდაკის ფირმის ფოტოკამერით  
(საოჯახო არქივიდან)

ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნის საქართველოში პირველი სხვადასხვა ენაზე მბეჭდავი საბეჭდი მანქანა, პირველი საათი.



ნიკო ნიკოლაძის სამუშაო მაგიდა, საათი, საბეჭდი მანქანა  
(საოჯახო არქივიდან)

განახლებადი ენერჯიების განვითარება და გამოყენება მსოფლიოში ბოლო წლებში გააქტიურდა და დღეს ჩვენს ქვეყანაში მეტად აქტუალურია, ნიკო ნიკოლაძეს კი ქარის ელექტროსადგური საკუთარ ეზოში, დიდ ჯიხაიში, საუკუნის წინ ჰქონდა დამონტაჟებული. რიონის ხეობა ქარიანი ადგილია, რაც ხელს უწყობდა ქარის ძრავას ჭიდან ამოეტუმბა წყალი, რომელიც სახლის სახურავზე რეზერვუარში გროვდებოდა და საჭიროებისამებრ გამოიყენებოდა სამზარეულოში, საბაზანოში, თავლაშიც კი.



ნიკო ნიკოლაძის ჭა და განახლებადი ენერჯიის წყარო  
ქარის ელექტროსადგური  
(საოჯახო არქივიდან)

ნიკო ნიკოლაძის სახლში გამოიყენებოდა საქართველოში პირველი აბაზანა, სადაც წყალი სახურავზე დამონტაჟებული რეზერვუარიდან მიეწოდებოდა და საჭიროების შემთხვევაში შეშის ღუმელით ცხელდებოდა.



პირველი აბაზანა საქართველოში, რომელიც ნიკო ნიკოლაძემ დაამონტაჟა საკუთარ სახლში (საოჯახო არქივიდან)

ენციკლოპედიური განათლების მქონე მამულიშვილის ოჯახის დასახლება დიდ ჯიხაიშში იქაური გლეხებისთვის ძალიან სასარგებლო იყო. ნიკოს ოჯახი ერთგვარ უნივერსიტეტს წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის. მისი მეუღლე ოლგა გურამიშვილი, ასევე, უცხოეთში მიღებული განათლებით, გვერდში ედგა ნიკო ნიკოლაძეს მამულიშვილურ საქმიანობაში. მან თავისი განათლება შესანიშნავად გამოიყენა შვილების აღზრდაში. ნიკო ნიკოლაძე და ოლგა გურამიშვილი აარსებდნენ საგანმანათლებლო კერებს და ხელს უწყობდნენ მოსახლეობას ცოდნის მიღებაში. მათ დააარსეს პირველი ქალთა გიმნაზია დიდ ჯიხაიშში, სადაც საფუძველი ჩაუყარეს ქალთა პოლიტექნიკურ სწავლებას და პრაქტიკული ცოდნის მიღებას. იქ ასწავლიდნენ პირველად საქართველოში მეაბრეშუმეობასა და სხვა საჭირო დარგებს. ნიკო ნიკოლაძემ პარიზიდან სპეციალურად ჩამოიტანა აბრეშუმის საპენტი მანქანა ამ სკოლისთვის, რათა მეტი ინტერესი გაეჩინა მოსახლეობისთვის. ნიკო ნიკოლაძე ცხოვრების დიდი ნაწილი საზღვარგარეთ იყო, მაგრამ ყოველთვის ბრუნდებოდა შინ, რომ ევროპაში მიღებული ცოდნა სამშობლოს კეთილდღეობისთვის გამოეყენებინა.

ნიკო ნიკოლაძე იყო ილია ჭავჭავაძესა და დიმიტრი ყიფიანთან ერთად საბანკო საქმის სულისჩამდგმელი, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შემქმნელი. მან დიდ ჯიხაიშშიც დააარსა



შემნახველი სალარო ბატონყმობიდან განთავისუფლებული გლეხების ეკონომიკურად გასაძლიერებლად. აძლევდა გლეხებს გრძელვადიან, სახელმწიფოსთან შედარებით ბევრად შეღავათიან სესხს, სიმბოლური მოგების ფასად, არა საკუთარი მოგების, არამედ გლეხების სოლიდარობის მიზნით. მოსახლეობამ დაიწყო ამ სესხის გამოყენებით მიწების გამოსყიდვა, შვილებისთვის განათლების მიცემა, განვითარება, გაძლიერდნენ ეკონომიკურად.

ვაჭრობის განვითარებისთვის ნიკო ნიკოლაძემ დააწესა ოთხშაბათობით ბაზრობა დიდ ჯიხაიში. ამით მან შექმნა ეკონომიკური სივრცე, სადაც მეზობელი სოფლებიდან იკრიბებოდა მოსახლეობა, გლეხებს შეეძლოთ ეყიდათ და გაეყიდათ სხვადასხვა საქონელი. რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა ეს სოფელი.

ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით გავიდა საქართველოში პირველი რკინიგზის მაგისტრალები. სამტრედიიაში, რომელიც მანამდე უინტერესო ადგილს წარმოადგენდა, გაიხსნა რკინიგზის საკვანძო წერტილი. ეს გახდა სამტრედიის მამოძრავებელი ძალა. რკინიგზის ბაქანს ხალხმა ნიკოლაძის პლატფორმა შეარქვა. ნიკომ ხალხის კომფორტზეც იზრუნა – აქ მგზავრებს ელოდნენ ეტლები შემდგომი გადაადგილებისთვის.

რეკრეაციული სივრცეების გაშენება-გამშენება დღეს ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიოში, საქართველოც ამ მხრივ ბოლო წლებში გაიზარდა ინტერესი. ნიკო ნიკოლაძემ კი საუკუნის წინ საკუთარ ეზოში დიდ ჯიხაიში ჩამოიტანა უნიკალური მცენარეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და ულამაზეს კოლექციად გააშენა. ამრავლებდა ნერგებს, განსაკუთრებით იშვიათ სახეობებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია: სექვოია – სამი ძირია ნიკო ნიკოლაძის ეზოში. იგი სამხრეთ-ამერიკული ენდემური ჯიშის მცენარეა და ბაობაბის შემდეგ ყველაზე დიდხანს ცოცხლობს, ნიკოლაძეების ეზოში ეს ხეები 140 წლისაა; ძელქვა, წითელ წიგნშია შეტანილი, ნიკოლაძეების პარკში კი მთელი ხეივანია გაშენებული; ოსმანუსი იშვიათი ჯიშის ხეა, იგი პარფიუმერიაში გამოიყენება, ნიკო ნიკოლაძემ იგი უცხოეთიდან ჩამოიტანა და გაავრცელა, ასევე, საპნის ხე, კარაქის ხე, ულამაზესი მაგნოლია, ქართული ჭადარი, გლიცინიები, ტრიფოლიატი, ჰიმალაის კედრები, კვიპარისები, ბამბუკები - სულ 100-ზე მეტი უნიკალური ჯიშის მცენარეა ბაღში გაშენებული.

ნიკო ნიკოლაძე და მისი მეუღლე იყვნენ ინოვატორ-ექსპერიმენტატორები. მათ მცენარეებისა და ცხოველების უნიკალური უცხოური ჯიშებიდან გამოყავდათ ქართულ პირობებზე მორგებული ახალი ეგზემპლარები და უსასყიდლოდ ავრცელებდნენ მოსახლეობაში. ნიკო ნიკოლაძე ძალიან იყო დაინტერესებული მეღვინეობითაც. მან პირველმა იმერეთში შექმნა მეღვინეობის ცენტრები, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოჰქონდა სხვადასხვა ჯიშის ყურძენი, ატარებდა მათზე ექსპერიმენტს და წარმატების შემთხვევაში ცოდნას და ნერგებს უზიარებდა მოსახლეობას. ნიკო ნიკოლაძემ პირველმა დაიწყო ღვინის დამზადება ხილისგან. ეს ტექნოლოგია მან საფრანგეთში აითვისა. მიღებული ღვინო გამოფენებზე გაჰქონდა უცხოეთში და დიდ მოწონებას იმსახურებდა.

ნიკოლაძეების ოჯახს უნიკალური ჯიშის ცხოველები და ფრინველებიც ჰყავდა. მაგალითად, საქართველოში პირველად ნიკო ნიკოლაძეს ჰყავდა თეთრი ვირი, რომელსაც ნიკო ეტლში აბამდა და სტუმრებს საკუთარ დენდროპარკში ასეირნებდა. ასევე, ნიკოს ჰყავდა პირველად საქართველოში პონი, თხა, სერბერნარის ჯიშის ძაღლი, შავი ქათმები... ნიკო ნიკოლაძე ქვეყნის მომავალს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებასა და განათლებაში ხედავდა. მიაჩნდა, რომ ქვეყანა, სადაც თითქმის ყველაფერი შემოაქვთ და თავად არ ქმნის პროდუქტს, ვერ განვითარდება. ნიკო ნიკოლაძემ შექმნა და დაგვიტოვა რეალური მოდელი, როგორ შეიძლება ვიცხოვროთ სოფლად ევროპულად.

ნიკო ნიკოლაძის სახელს უკავშირდება ტყიბულის ქვანახშირის საბადოს განვითარება. მისი წილის მფლობელი ნიკო ნიკოლაძე მამის გარდაცვალების შემდეგ გახდა. ნიკოს მამამ იაკობმა ეს მიწა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით იყიდა და აღმოჩნდა „შავი ქვის“ საბადო. ნიკო სპეციალურად წავიდა პარიზში, რათა უცხოელ ფინანსისტებთან ერთად დეტალურად შეესწავლა ეს საქმე. 1880-იან წლებში ევროპელები ჩამოვიდნენ საქართველოში და დაიწყეს ქვანახშირის დამუშავება. ამ საქმეში გლეხობაც ჩაება, თუმცა საქმეს უგზოობა ართულებდა. ქუთაისის ქალაქის საბჭომ ტყიბულში გასაცემი რკინიგზის რწმუნებულად ნიკო ნიკოლაძე აირჩია და საბოლოოდ, რკინიგზა ამოქმედდა 1887 წელს. ორი წლის შემდეგ კი შეიქმნა საზოგადოება „ნახშირი“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ნიკო ნიკოლაძეც იყო (<https://eprc.ge/news/ucqhveth-traditsiith-evropisken-niko-nikoladze>).

ნიკო ნიკოლაძემ დააარსა ფოსტა-ტელეგრაფი. მის სახელთანაა, ასევე, დაკავშირებული ავჭალის წყაროებზე წყალსადენის მოწყობა, 1886 წელს თბილისში სანიტარული ექიმის დანიშვნა და მადათოვის კუნძულზე სადღეზინფექციო კამერის აშენება. ნიკოს ეკუთვნის დედაქალაქში კანალიზაციის ქსელის მოწყობის იდეა, ცხენის ტრამვაის შემოღება, ვერის ხიდის აშენება, ბორჯომ-ბაკურიანის ხიდის აშენება, რომელიც ფრანგმა კონსტრუქტორმა, ეიფელის კომპის ავტორმა, გიუსტავ ეიფელმა დააგეგმარა, მადლიერმა ნიკო ნიკოლაძის მიერ პარიზში ეიფელის კომპის განათებაში შეტანილი წვლილისთვის და, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი არაა. ნიკო ნიკოლაძე იყო პირველი ქართველი, ვინც სადოქტორო დისერტაცია ევროპაში დაიცვა. ჟენევაში 1868 წელს გამოქვეყნებული მისი სადიპლომო ნაშრომი, როგორც მაშინ „სადოქტოროს“ უწოდებდნენ, „განიარლება და მისი ეკონომიკურ-სოციალური შედეგები“ დღესაც დიდ ინტერესს იწვევს (შუბითიძე 2013: 15).

1894 წელს 52 წლის ნიკო ნიკოლაძე ფოთში ქალაქის თავად აირჩიეს. (შუბითიძე 2013: 149). იმხანად ფოთს, როგორც ზღვისპირა ქალაქს, უამრავი პრობლემა ჰქონდა. ნიკო ნიკოლაძემ უპირველესად ფოთის გარშემო გააკეთა სპეციალური არხი, რომლითაც წვიმის წყალი ქალაქიდან ზღვაში ჩადიოდა, რაც სტიქიისგან იცავდა ქალაქს. გარდა ამისა, ააშენა 2 ხიდი და დააგო ქვაფენილი. მან მიზნად დაისახა, აეშენებინა ქალაქის ცენტრში ტაძარი, რომელიც იქნებოდა აია სოფიას მსგავსი და შეასრულა კიდევ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, რაც ფოთში ნიკო ნიკოლაძის

სახელს უკავშირდება, ნავსადგურის მშენებლობის დასრულებაა. ნიკო ნიკოლაძემ მიზანმიმართულად, 8-ჯერ იმოგზაურა ევროპაში, რათა მშენებარე ან ახლად აშენებული პორტის შესახებ ყველაფერი გაეგო და ეფექტურად ემოქმედა. მან დაათვალიერა ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის მნიშვნელოვანი საპორტო ქალაქები, შეისწავლა და გააანალიზა მათი სრტუქტურა და ტვირთბრუნვის მექანიკა. ფოთში დაბრუნებისას კი მიღებული გამოცდილება ფოთის ადგილობრივ პირობებს მიუსადაგა და სასიკეთოდ მოარგო. ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით და ხელმძღვანელობით განხორციელდა ფოთის პორტის ელექტროფიკაცია და მექანიზაცია.

ნიკო ნიკოლაძე ფოთის განაშენიანების გეგმას მტკიცედ იცავდა და ყოველი ახალი მშენებლობა ქალაქში ამ გეგმის გათვალისწინებით ხდებოდა. ამან ქალაქს ძალზე მოხდენილი და ლამაზი იერი მისცა (ფოთი ერთადერთი ქალაქია საქართველოში, რომელიც გეგმის მიხედვით აშენდა). ნიკო ნიკოლაძემ ფოთში ააშენა ახალი ხიდები და გააუქმა საბაჟო გადასახადი ხიდებზე. ააშენა ბიზანტიური სტილის საკათედრო ტაძარი. დააწესა ნახევარკაპიანი საფუთო გადასახადი და შემოსული თანხა მთლიანად ქალაქს მოახმარა. საქართველოში პირველად ნიკო ნიკოლაძემ შექმნა და დაბეჭდა ლატარია და ობლიგაციები და მთელი შემოსავალი ქალაქს მოახმარა. მნიშვნელოვანია ფოტოები, რომლებიც ნიკო ნიკოლაძის სამეურნეო საქმიანობას უკავშირდება, რადგანაც ნიკო ნიკოლაძე ასევე იყო ტყიბულის, ჭიათურის სამთომრეწველობის, ფოთის პორტის ფუძემდებელიც, ფოთის თავკაცი მრავალი წლის განმავლობაში და თვითონ იღიებდა ფოთის განვითარების ამსახველ ფოტოებს, რაც დღეს შესანიშნავი დოკუმენტური მასალაა.

ფოთის პორტის ამოქმედებით ნიკო ნიკოლაძემ ფანჯარა გაჭრა ევროპაში. მომავლის საქართველოსა და მისი ახალი გეოპოლიტიკური ფუნქციისათვის აღსანიშნავია, რომ ნიკო ნიკოლაძემ არა მარტო დააგეგმარა და აღაშენა ფოთი და ნამდვილ ქალაქს დაამსგავსა, არამედ 1905 წლის რევოლუციის შემდეგ გადაწვისა და დანგრევისაგან იხსნა რუსების გენერალ ალიხანოვ-ავარსკისგან საკუთარი გონებამახვილობით, დიპლომატიური ნიჭით და გამბედაობით (<https://bfm.ge/news/blog/niko-nikoladze-da-chveneburi-umaduroba>). საქართველოს ახალ ისტორიას დღემდე არ მოსწრებია ნიკო ნიკოლაძისნაირი ყოველმხრივ ნიჭიერი, სანიმუშო, გონიერი, წინდახედული და ენერგიული ქალაქისთავი.

დაუსრულებლად შეიძლება ნიკო ნიკოლაძის საქმიანობასა და მიღწევებზე საუბარი, როგორც თვითონ ამბობს, „საფლავშიაც რომ ვიდო, ჩემი ღვაწლი და ნაწერი იქიდანაც ამოსმახებდა ყველას, ვისაც კი სმენა არ დახმვიაო“ (<https://www.radiotavisupleba.ge/a/29863004.html>)





ნიკო და გიორგი ნიკოლაძეები  
(საოჯახო არქივიდან)



ნიკო ნიკოლაძის ერთადერთი ვაჟი, გიორგი ნიკოლაძე, დიდი ქართველი მეცნიერი, უმაღლესი მათემატიკური სკოლის ფუძემდებელი, მრავალმხრივ წარმატებული ადამიანი, მეცნიერი და სპორტსმენი, სახელოვანი მამის ღირსეული მემკვიდრეა. მეტალურგი, გეომეტრი, ტერმინოლოგი, გამომგონებელი, ტანმოვარჯიშე და მთამსვლელი კიდეც იმით არის ცნობილი, რომ მან შექმნა პირველი გამომთვლელი მანქანა, რომელიც იმ პერიოდში ევროპაში არსებულ გამომთვლელ მანქანებთან უპირატესი იყო იმით, რომ თუ ისინი იყენებდნენ ორი მათემატიკური მოქმედების პრინციპს, ეს მანქანა იყენებდა ოთხივე მათემატიკურ მოქმედებას.

1928 წლის მარტში თავისი დის – პროფესორ რუსუდან ნიკოლაძისადმი მიწერილ წერილში წერს, რომ მისი გამოგონებული არითმომეტრი საბოლოოდ გადაჭრის ავტომატური მექანიზმების პრობლემას, მაგრამ უსახსრობის გამო გიორგი ნიკოლაძემ ვერ შეძლო თეორიიდან საქმეზე გადასვლა. პატენტის აღება და მოდელის აგება პარიზში გიორგიმ ვეღარ შეძლო სახსრების უქონლობის გამო. სამშობლოში დაბრუნებულს არც მაშინდელი ხელისულება არ დაეხმარა. მოდელი, როგორც იქნა, ააგო და პოლიტექნიკურ მუზეუმს გადაეცა მოსკოვში და იქ იყო გამოფენილი ერთ-ერთ ექსპოზიციაზე. 1936 წელს მოდელი დაიკარგა და აქამდე ვერ მოხერხდა მისი აღმოჩენა. ამ მოდელის აღწერა და ნახაზებიც უკვალოდ გაქრა. გიორგი ნიკოლაძის შექმნილი გამომთვლელი მანქანის აღმწერი ერთადერთი დოკუმენტი ავტორის მიერ პარიზში შედგენილი საპატენტო აღწერა იყო, რომელიც ამ მანქანის მოქმედების პრინციპს გადმოსცემდა,



როგორც ტექნიკის ისტორიაში პირველ ცდას – სათვლელი მანქანა აგებულებულია სრულიად ახალ პრინციპებზე – ელექტრომაგნიტური კავშირების გამოყენებით. გიორგი ნიკოლაძის მიერ გამოგონებული „პირდაპირი გამრავლების ელექტრო არითმომეტრი“, როგორც ავტორი უწოდებდა, შეიცავს მხოლოდ უკიდურესად მარტივ და მტკიცე ორგანოებს, მოკლებულია მრავალრიცხოვანი კლავიშებიანი კლავიატურის კბილანა თვლებს და სხვ.,– გვიამბობს ნიკოლაძეების მკვლევარი და სახლ-მუზეუმის დირექტორი ლია ბიბილეიშვილი.

გიორგი ნიკოლაძის სურვილი განხორციელდა 21-ე საუკუნეში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის ფაკულტეტის პროფესორთა მიერ და შეიქმნა გიორგი ნიკოლაძის ელექტროგამომთვლელი მანქანის პირველი მოდელი, რომელიც შემდგომ სტუ-ს ინფორმატიკის ფაკულტეტმა საინჟინრო აკადემიას საჩუქრად გადასცა.



გიორგი ნიკოლაძის მიერ შექმნილი არითმომეტრი დამზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის ფაკულტეტის პროფესორთა მიერ (ფოტო სტატიის ავტორისა)

გიორგი ნიკოლაძე თვლიდა, რომ ადამიანი სულიერ განვითარებასთან ერთად ჰარმონიულად უნდა ვითარდებოდეს ფიზიკურადაც. მართლაც, გიორგი ნიკოლაძე მხოლოდ ნიკო ნიკოლაძის შვილობით როდი დაიკვებინდა, მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად იგი იყო დამაარსებელი ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებისა, ინოვაციური სპორტის მრავალ სახეობაში; გიორგი ნიკოლაძემ ჩამოაყალიბა ტანმოვარჯიშეთა საზოგადოება „შევარდენი“, რომელსაც დევიზად დედის სიტყვები წარუმძღვარა: – „გუშაგობ ერს? – მარად!“ დედა შვილს ხშირად ასე ეხმიანებოდა: „გუშაგობ ერს?“ გიორგი პასუხობდა – „მარად!“ გიორგი ნიკოლაძე დიდ ჯიხაიშიში აწყობდა სპორტულ

ასპარეზობებს, რითაც დიდ პოპულარიზაციას უწევდა სპორტს, იყო ქართული ალპინიზმის ფუძემდებელი, მყინვარწვერზე ლაშქრობისას მის ჯგუფში ქალებიც იყვნენ – პირველი ალპინისტები საქართველოში. გარდა სპორტული წარმატებებისა, გიორგი ნიკოლაძე პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსების სათავეში იყო, კითხულობდა ლექციებს მხაზველობით გეომეტრიაში, ნომოგრაფიაში და სხვ. გიორგი ნიკოლაძე ქმნიდა ქართულ სახელმძღვანელოებს მაშინ, როცა არ იყო ლიტერატურა ქართულ ენაზე, მან დაწერა „ინტეგრალური აღრიცხვის კურსი“. 1924 წელს თავის დასთან რუსუდანთან ერთად გიორგი ნიკოლაძე იკვლევდა ქართული თვლის სისტემის რეფორმის საკითხებს. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ქართული თვლა უსისტემოა, ის არც ათობითია და არც ოცობითი და შეუთავსებელია ათობით ნუმერაციასა და არითმეტიკასთან, და შემოგვთავაზეს ახალი სისტემა 20-დან 90-მდე ოცის ნაცვლად გვეთქვა ორათი, ოთხმოცდაათის ნაცვლად – ცხრა ათი და ა.შ. ამ მოსაზრებამ ფეხი ვერ მოიკიდა, მაგრამ თავისთავად საინტერესო კონცეფციას წარმოადგენდა. გ. ნიკოლაძე 43 წლის ასაკში გარდაიცვალა, გიორგის რომ დასცლოდა სიცოცხლე, მეცნიერებაში, ტექნიკასა თუ სპორტში, ვინ იცის, რა სიმალეებს დაიპყრობდა!



გიორგი ნიკოლაძე  
(საოჯახო არქივიდან)

1918 წელს გიორგი ნიკოლაძემ შექმნა ტექნიკური და სპორტული ტერმინოლოგია არჩილ ხარაძესთან, ნიკო მუსხელიშვილთან და დასთან – რუსუდანთან ერთად და დაამკვიდრა იმ დროისთვის ახალი ტერმინები ტექნიკურ მეცნიერებაში: წერტილი, წრფე, მოკლე ჩართვა, ნათურა, ძაბვა

და სხვ. ასევე, სპორტშიც: ფეხბურთი, ფრემბურთი, მთამსვლელობა, მგზავროსნობა და სხვ. გიორგი ნიკოლაძეს ეკუთვნის დიფერენციალურ გეომეტრიაში პირველი ქართული სახელმძღვანელო „დიფერენციალური გეომეტრიის ელემენტები.“

დიდი დამსახურებისა და მადლიერების ნიშნად საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გვაქვს ნიკო ნიკოლაძის სახელობის ულამაზესი სააქტო დარბაზი, სადაც ტარდება სამეცნიერო ღონისძიებები. ასევე, გვაქვს გიორგი ნიკოლაძის სახელობის შეხვედრების ოთახიც. იგეგმება გიორგი ნიკოლაძის ნეშტის გადმოსვენება ტექნიკური უნივერსიტეტის ეზოში და მისი ბიუსტის დადგმა. ჩვენი უნივერსიტეტის თითოეული აკადემიური პერსონალი ვცდილობთ გავაცნოთ დიდი მამულიშვილების – ნიკო და გიორგი ნიკოლაძეების ღვაწლი და შთავაგონოთ სტუდენტებს, მომავალ თაობას, ნიკო ნიკოლაძის სიტყვები: „ჩვენი გზა ევროპაშია, ხსნა კი განათლებასა და წიგნიერებაში.“

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ სამშობლოს წინაშე დიდია ნიკო და გიორგი ნიკოლაძეების დამსახურება. სახელოვანი ქართველი მოღვაწეების ცხოვრება სათანადო ყურადღებას იმსახურებს, მეტად უნდა იყოს კვლევადიების საგანი და სკოლასა და უნივერსიტეტებში პროგრამულ ნაწილში შევიდეს მათი ღვაწლისა წარმოაჩინად. საჭიროა და მეტად სასარგებლო იქნება ნიკოლაძეების მემკვიდრეობის უფრო საფუძვლიანად შესწავლა და მათი იდეების გაცნობა, რომლებიც დღესაც არ კარგავენ აქტუალობას.

#### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

გაიპარაშვილი 2018: გაიპარაშვილი ზ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი. გამოცემის რედაქტორი ზ. გაიპარაშვილი. თბილისი, 2018.

გამეზარდაშვილი 1983: გამეზარდაშვილი დ., ნიკო ნიკოლაძე. თბილისი, 1983.

გორგილაძე 1948: გორგილაძე ლ., ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობის-თვის. ჟურნ. „მნათობი“, 1948.

ნიკოლაძე 1873: ნიკოლაძე ნ., ახალი ახალგაზრდობა. ჟურნალი „კრებული“, №1, 1873.

ნიკოლაძე 1914: ნიკოლაძე ნ., რჩეული ნაწერები, წიგნი 2, მამულის სიყვარული და მსახურება. ქუთაისი, 1914.

სიგუა 1997: სიგუა ა., შეხვედრები ნიკო ნიკოლაძესთან. თბილისი, 1997.

შუბითიძე 1999: შუბითიძე ვ., ნიკო ნიკოლაძე - ყველაზე თანამედროვე ქართველი, გაზეთი „მესამე ნაპირი“, 1 სექტემბერი, 1999.

შუბითიძე 2013: შუბითიძე ვ., ნიკო ნიკოლაძე – კაცი-სახელმწიფო. თბილისი, 2013.

[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/22269/1/Nikoladze\\_Niko.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/22269/1/Nikoladze_Niko.pdf) (დამოწმება: 20.07.2023).

<https://www.radiotavisupleba.ge/a/29863004.html> (დამოწმება: 22.01.2023)

<https://eprc.ge/news/ucqhveti-traditsiith-evropisken-niko-nikoladze/> (დამოწმება: 17.07.2023).



**ანთროპონიმები ქვემოიმერულში  
(ოკრიბული მეტყველების მიხედვით)**

**Anthroponyms in Lower Imereti  
(According to Ocribian Speech)**

**ეკა დადიანი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Eka Dadiani**

Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

**აბსტრაქტი**

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია ანთროპონიმთა ფორმა-წარმოებისა და სიტყვაწარმოების თავისებურებები ქვემოიმერულში, კერძოდ, ოკრიბულ მეტყველებაში. საანალიზოდ აღებულია აწსუ-ს პროფ. ტარიელ ფუტყარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში დაცული დიალექტური მასალა, რომელიც ჩაწერილია XX საუკუნის 90-იან წლებში ოკრიბის თემის სოფლებში (ორპირი, კურსები, ჭყეპი).

1. ოკრიბულ მეტყველებაში თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები ძირითადად ი-ხმოვანფუძიანი სახელთა მსგავსად იწარმოება: ტარასი-მ, ჯიმშერი-მ, ნოდარი-ს, ემზარი-ს... წოდებით ბრუნვაში გვხვდება როგორც ი დაბოლოებით (გრამიტონი, ეთერი), ასევე შეიძლება დაირთოს -ო ფორმანტი: გრამიტონო, ეთერო...

შედარებით იშვიათად დასტურდება საპირისპირო ტენდენცია, როდესაც ი-ხმოვანფუძიანი სახელები თანხმოვანფუძიანთა მსგავსად იწარმოება; შელოცვის ტექსტებში შეგვხვდა წმინდა გიორგო!

ორივე ტენდენცია ქართულის ნიადაგზე არის აღმოცენებული და ენის (დიალექტის) შინაგანვითარების კანონის ნიმუშს წარმოადგენს (კ. კუბლაშვილი).

თავისებურებას გვიჩვენებს ა-ხმოვანფუძიანი პირის სახელები, რომლებიც ე დაბოლოებით არის წარმოდგენილი: ყულიეტე, ნათელე.

2. ანთროპონიმები გაფორმებულია სიტყვაწარმოებელი აფიქსებით.

-ა: გრამიტონა, რაჟდენა... ციურია, დომენტია. ბოლოკიდური -ა > -ე: ტრიფონე, ტარიელე.



-ია: თენგიზია, რაჟდენია... შოთაია, კაკოია. -ია > -იე (ნაწილობრივი ასიმილაცია): კიკილიე, დათოიე. იშვიათად -ია > -იი (სრული ასიმილაცია): ლაშის ამბავი.

-იკ-ო: ვალიკო, დათიკო; -იკ-ა / -უკ-ა: ივანიკა, ბერუკა; -უნ-ა: დათუნა; -ელ-ა / -ილ-ე (<-ილ-ა): კაციელა. კოსტაილე; -ილ-ო: კიკილო, ბაბილო; -ოულ: შოთოული; -უც-ა: გოგუცა, ცუცა.

3. საინტერესოა ზოგი საკუთარი სახელის ფონეტიკური ცვლილება: ნოე > ნო-ვ-ე (ვ ბგერის განვითარება), იესო > იოსე (მეტათეზისი), მარგარიტა < მარგალიტა (დისიმილაცია).

4. ოკრიბელთა მეტყველებაში საკმაო რაოდენობით გამოიყენება რუსული წარმომავლობისა თუ გაფორმების საკუთარი სახელები: სონიკა, ანიკა, ალიოშა, შურა, ჟორა...

5. ოკრიბულ ტექსტებში შეგვხვდა განსხვავებული სახელები, მეტსახელები: ალიმი, აპოლი, ბულული, ბუჯგი, მასტრედია, მირონია...

ოკრიბულ მეტყველებაში ანთროპონიმთა ცვლილების ძირითადი ტენდენციები საერთოქართულია. განსხვავება უმთავრესად ცალკეულ სახელებთან გამოვლინდა და ზოგად წესებს შეესაბამება.

საკვანძო სიტყვები: იმერული დიალექტი, ოკრიბული მეტყველება, ანთროპონიმთა წარმოება.

## ABSTRACT

This article explores the formation and word structure of anthroponyms in sub-Imerian, specifically Ocribian speech. The analysis is based on dialectal material preserved at the Tariel Futkaradze Scientific-Research Center of Kartvelology, recorded in the 1990s in villages of the Okrib community (Orpiri, Kursebi, Chkepi).

1. In Ocribian speech, proper nouns with a consonant base predominantly exhibit names ending in -i vowels: Tarasi-m, Jimsheri-m, Nodari-s, Emzari-s... These are alternated with forms ending in -o (Gramiton-o, Eter-o).

Conversely, a less common trend reverses this pattern, producing names ending in -i from consonant-based forms; for instance, St. Georg-o appears in spell texts. Both trends emerge from Georgian soil and exemplify the internal linguistic development laws (dialect) (K. Kublashvili).

A peculiarity is noted in names ending with -a vowel, which are represented with an -e ending: Juliete, Natele.

2. Anthroponyms are formed using word-forming affixes: -A: Gramitona, Razdena... Ciuria, Domentia. Endings such as -a > -e: Triphone, Tariate. -ia: Tengizia, Razdenia... Shotaia, Kakoia. -ia > -ie (partial assimilation): kikilie, datoie. Rarely -ia > -ii (complete assimilation): as seen in the case of Lashi.

Names like Ik-o: Valiko, Datiko; -ik-a / -uk-a: Ivanika, Beruka; -un-a: Datuna; -el-a / -il-e (>-il-a): Kaciela. -il-o in words such as Kikilo, Babilo; -Oul: Shotouli; -Uts-A: Gogutsa, Tsutsa.

3. Interesting phonetic changes in some proper names include: Noah > No-v-e (development of v sound), Ieso > Iose (metathesis), Margarita < Margalita (dissimilation).

4. Ocribian speech notably includes a considerable usage of proper names of Russian origin or influence: Sonichka, Anichka, Alyosha, Shura, Zhora...

5. Written texts also feature various names and nicknames: Alim, Apoli, Bululi, Bujgi, Mastredia, Mironia...

The primary tendencies in the evolution of anthroponyms in Ocribian speech are consistent with Georgian norms, with differences primarily observed in individual names that adhere to general rules.

**Keywords:** Imeretian dialect, Ocribian speech, production of anthroponyms.

ანთროპონიმთა წარმოების თავისებურებები ქართულ სალიტერატურო ენასა და კილოებში მეტ-ნაკლებად გაშუქებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული იმერულ დიალექტში პირის სახელთა ფორმა- და სიტყვაწარმოების შესახებ (ქ. ძოწენიძე, კ. კუბლაშვილი, თ. უთურგაიძე, ბ. ჯორბენაძე...).

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია ანთროპონიმთა ფორმაწარმოებისა და სიტყვაწარმოების საკითხები ქვემოიმერულში, კერძოდ, ოკრიბულ მეტყველებაში. საკვლევად ავიღეთ აწსუ-ს პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში დაცული ქვემოიმერული კილოკავის მასალა, რომელიც ჩაწერილია გასული საუკუნის 90-იან წლებში ოკრიბის თემის სოფლებში (ორპირი, კურსები, ჭყეპი).

ქართული პირსახელებისათვის დამახასიათებელია როგორც ზოგადი თავისებურებები, ასევე სპეციფიკური წარმოების შემთხვევები. პირველი რიგის თავისებურებანი სამეცნიერო ლიტერატურაში სოციალური ვითარებით არის ახსნილი (მათი ახსნა ვერ მოხერხდება ფონემატური და მორფოლოგიური მიზეზებით), ცალკეული დიალექტებისათვის სპეციფიკური ფაქტები კი მორფონოლოგიური ხასიათისაა (უთურგაიძე 1986:99-101).

#### I. თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმები

1. ქვემოიმერულში, მათ შორის ოკრიბულ მეტყველებაში, თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები ძირითადად ი-ხმოვანფუძიან (აკაკი... ტიპის) სახელთა მსგავსად იწარმოება; კერძოდ, ნოდარი, ლევანი... ტიპის სახელებში სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი ფუძის ორგანულ ნაწილად არის გააზრებული, შესაბამისად, თანხმოვანფუძიანი სახელი ხმოვანფუძიანი ხდება. ეს კარგად ჩანს მოთხრობითის, მიცემითისა და წოდებითის ფორმებში. საილუსტრაციო ნიმუშები:

მოთხრობითი: ჯიმშერიმ გოგო გაათხოვა; ხელობა ტარასიმ მასწავლა;

რას ლაპარაკოფ შენო, იორამიმ ახლა საქმე მოქუცა ჩუენო; ამ კაცმა, იობიმ იცოდა ის, რომ დეიქცეოდა ქუეყანა.

მიცემითი: მე ნოდარის რო უთხარი; მე არც ზუიადის ვიცნოფ; როგორ წამოყვეი რაჟდენისო? ემზარის და ჭაბუკას შოუთქუით მოზუერი; მანონის აქ ჩახედული.

წოდებითის ფუნქციით ხშირად სახელობითის ფორმა გამოიყენება, რომელიც ფუძედ არის გაგებული: არ მოგერგება, გრიგოლი, შენ ჩემი პალტო; თავედომარემ ნახა და უთხრა: გრიგოლი, რა ამბავია, ბიჭო, ეს?

თანხმოვანფუძიანი პირსახელი -ი დაბოლოებით (უნიშნო, გაუფორმებელი ფუძის ნაცვლად) გვევლინება მაშინაც, როდესაც გვართან ერთად არის წარმოდგენილი:

გრიგოლი დოლონადის შუილიშუილია ეგერ; აქანა ეთერი კვიზელაძე იყო; გალაქტიონი ჩიტძე.

მსგავსი ვითარება გვაქვს მაშინაც, როდესაც სახელს ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვა ახლავს:

გამარჯობა, გრიგოლი ბიძია! კაი, ოთარი ბიძია, ჩაიზე გვითხარით; ნუ გეშინია, ანტონი ბიძიაო; ეთერი ბიცოლა შემხვდა ქუჩაში; ვარლამი ბიძიამ იცის თქმა.

განხილულ შემთხვევებში პირსახელთა ი დაბოლოება ფუძისეულ ელემენტად არის ქცეული.

წოდებით ბრუნვაში თანხმოვანზე დაბოლოებული პირსახელები იმ მხრივაც ავლენენ თავისებურებას, რომ, საზოგადო სახელთა მსგავსად, შეიძლება დაირთონ -ო ფორმანტი:

ახლა გამედუინძე, გრამიტონო, ჩუენ რო აღარ დაჭრჩითო, მერეთო?!

შდრ.: დავითო, ვახტანგო, ეთერო... (კუბლაშვილი 1985: 101); მარიამო, გურგენო (გაჩეილაძე 1956: 127).

2. ქართული ენის კილოებში, მათ შორის ქვემოიმერულში, შედარებით იშვიათად დასტურდება საპირისპირო ტენდენცია, როდესაც ი-ხმოვანფუძიანი სახელები თანხმოვანფუძიანთა მსგავსად იწარმოება; კერძოდ, ფუძისეული ი ხმოვანი სახელობითის სუფიქსად გაიზარება. ამას მოწმობს მოთხრობითის, მიცემითისა და წოდებითის ფორმები. ამგვარი ფაქტები დაფიქსირებულია ქვემოიმერულში: აქვსენტ-ი, აქვსენტ-მა... ამბერკ-მა, ამბერკ-ს (კუბლაშვილი 1985: 100); გივ-მა (გაჩეილაძე 1956: 126); ლეჩხუმურში: აკაკ-მა, აკაკ-ო (ჯორბენაძე 1989: 501).

ჩვენს საკვლევ მასალაში შესაბამისი ნიმუშები იშვიათია. დადასტურდა ანთროპონიმ გიორგი'ს წოდებითის ფორმასთან (ისიც შელოცვის ტექსტებში):

ღმერთო, წმინდა გიორგო, არგე ლოცუა ამ ადამიანს! წმინდა გიორგო, შენ მუარჩინე მშუიდობით, კარქათ! წმინდა გიორგო, შეუკარი კპილები და ფეხები ჩემი ქათმის და ჩემი საქონლის შემჭმელს!

ი-ხმოვანფუძიან სახელთა თანხმოვანფუძიანად ქცევის ნიმუშები დასტურდება ძველ ქართულში. გვხვდება გარკვეულ პოზიციებში, კერძოდ, „იმ შემთხვევაში, თუ -ი-ს წინ მიუძღოდა ხმოვნის მომდევნო სონორი თანხმოვანი (-ლ, -რ, -მ, -ნ), ე. ი. მაშინ, თუ ძველ ქართულში ფუძისეული -ი



დასტურდებოდა  $VC_s - \#$  პოზიციაში“ (შანიძე 1969: 132).

სხვა პოზიციაში ( $VC_N - \#$  ან  $CC - \#$ ) აკაკი, ამბროსი, ალექსი, ირაკლი... ტიპის საკუთარი სახელები ფუძისეულ -ი-ს ინარჩუნებს (იქვე: 132).

ორივე სახის ფაქტები (სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსის ფუძესთან შეხორცება და ფუძისეული ი დაბოლოების სახელობითის ბრუნვის ნიშნად გააზრება) ძირითადად დასავლეთ საქართველოს დიალექტებში გვხვდება, აღმოსავლურ კილოებში შედარებით იშვიათად იჩენს თავს. კ. კუბლაშვილის აზრით, „შიძელეა ითქვას, ორივე ეს ტენდენცია საუცხოოდ ეგუება დიალექტის საზღვრებს გარეთ მდებარე თანამედროვე ქართული სასაუბრო მეტყველების განვითარების ბუნებრივ ხაზს, რის გამოც ხშირად ისმის ნოდარიმ, ნოდარის, გურამიმ, გურამის... გვერდით აქვსენტმა, აქვსენტს, ამბერკმა, ამბერკს და მისთ. (ზოგჯერ წიგნის ენაშიც კი გვხვდება მსგავსი შემთხვევები)“ (კუბლაშვილი 1985: 100).

სპეციალურ ლიტერატურაში საინტერესო მოსაზრებები გამოითქვა ნოდარი ტიპის სახელთა ფორმაწარმოების შესახებ.

შ. ძიძიგურის მოსაზრებით, ნოდარი, ვახტანგი ტიპის სახელებს სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანი პირის სახელებს სხვა ბრუნვებშიც გადაყვებათ გიორგი, აკაკი და მსგავსი სახელების ანალოგიით, რაკი ასეთ სახელებს -ი შენარჩუნებული აქვთ ყველა ბრუნვაში (ძიძიგური 1959: 72).

კ. კუბლაშვილი წარმოდგენილ მსჯელობას არ ეთანხმება: „ეს მოსაზრება სწორია იმ ენობრივი გარემოს მიმართ, რომელშიც -ი, როგორც ფუძისეული მასალა, ყველა ბრუნვაში გადაჰყვება სახელებს: გიორგიმ, აკაკიმ, ამბერკის და ა.შ. მაგრამ ქვემოთმეორულის მონაცემებით შეუძლებელია ნოდარიმ, ვახტანგიმ და სხვა მისთ. ფორმები ზემოდასახელებული -ი ხმოვანფუძიანი სახელების ანალოგიით ავხსნათ, რადგან თვით -ი ხმოვანფუძიანი სახელები ქვემოთმეორელთა მეტყველებაში, ჩვეულებრივ, თანხმოვანფუძიანად არის ქცეული: გიორგ-მა, გიორგ-ს... აკაკ-მა, აკაკ-ს...“ (კუბლაშვილი 1985: 100).

მზ. შანიძის დაკვირვებით, თანხმოვანფუძიანი პირის სახელთა ხმოვანფუძიანად ქცევა დასავლური კილოებიდან მომდინარეობს, ხოლო დასავლურ კილოებში მისი დამკვიდრება მეგრულის გავლენის შედეგია (შანიძე 1969: 143).

შდრ.: „საპირისპირო ტენდენციის ინტენსიურად მოქმედების პირობებში, რაც ხმოვანფუძიანი სახელების თანხმოვანფუძიანებად ქცევაში ვლინდება (ამბერკი, ამბერკმა, ამბერკს), პირის სახელების განხმოვანფუძიანება (გურამი, გურამიმ, გურამის) მეგრულის გავლენის შედეგი არ უნდა იყოს“ (კუბლაშვილი 1985: 101).

თ. უთურგაიძე ი-ს შეხორცებას ფუძესთან მორფონოლოგიურ პროცესს უკავშირებს: ფონემატური თვალსაზრისით მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს ბუნებრივია ფუძისეული ფ, ქ, ჯ თანხმოვნების მომდევნოდ. სხვა თანხმოვნების მომდევნოდ კი სიტყვის ბოლოს არაბუნებრივია. შესაბამისად, ვითარდება სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილება: იკარგება -ს ნიშანი ან ფუძისეული თანხმოვანი, ან კიდევ ი ხმოვნის შეხორცება ხდება. ი-ს შეხორცება ფუძესთან ინტენსიურად წარიმართა ადამიანთა რქმევის



სახელებში როგორც დიალექტებში, ისე სალიტერატურო ქვესისტემაშიც. „ფატმანი-ს, გურამი-ს, ეთერი-ს მიცემით ბრუნვაში კანონზომიერი მორფონოლოგიური ცვლილების შედეგია ქართულ ენაში. მიცემითი ბრუნვის ფუძე განზოგადებულია სხვა ბრუნვებშიც, რის შედეგადაც მოთხრობითში მივიღებთ ფატმანი-მ, გურამი-მ, ეთერი-მ... ხოლო წოდებითში – ფატმანი-0, გურამი-0, ეთერი-0“ (უთურგაიძე 1986: 117).

„სახელობითის -ი სუფიქსის მიხორცება ქართულ ანთროპონიმთა ფუძეებში კანონზომიერი მორფონოლოგიური პროცესია. იგი ქართულთან ერთად ფართოდ არის გავრცელებული სხვა ქართველურ ენებშიც“ (იქვე: 120).

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქვემოიმერულში, კერძოდ, ვანურ თქმაში თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელებიც მიცემითში ი დაბოლოებით იხმარება:

შენი ძმაი ქალის თხოულოფს; ანწლის წიკავს იქინე; კარ კლავს ის ქურდის; ისლის უმახოდენ; შოუერთტენ სხვა ჯარის... (მოწენიძე 1973: 286); ვყიდულოზ სახლის; ჭამს კიტრის; გლეხის რა ჰქონდა უწინ, შვილო (კუბლაშვილი 1985: 92);

„ჩანს, ქვემოიმერული სალიტერატურო ქართულთან შედარებით უფრო დასრულებული სახით წარმოგვიდგენს ენაში მომხარ ცვლილებას პირის სახელების საზოგადო სახელებთან ბრუნების გათანაბრების თვალსაზრისით“ (იქვე: 102).

ვფიქრობთ, მართებულია კუბლაშვილის მოსაზრება: „ორივე ეს ტენდენცია, ქართულისავე ნიადაგზე აღმოცენებული, ენის (resp. დიალექტის) შინაგანვითარების კანონის ნიმუშად შეიძლება მიგვეჩნია“ (იქვე: 101).

ზოგადად ცნობილია, რომ ენაში / დიალექტში საპირისპირო ფორმათა არსებობა ჩვეულებრივი მოვლენაა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ანალოგიის კანონის მოქმედება.

საპირისპირო ფუძეები ერთიმეორის გვერდით იხმარება ძველ ძეგლებშიც: გრიგოლი / გრიგოლ, უშანგი / უშანგ... (უთურგაიძე 1986: 106).

3. ქვემოიმერულში თავისებურებას გვიჩვენებს -ა ხმოვანზე დაბოლოებული პირის სახელები, რომლებიც რიგ ბრუნვებში (სახელობითი, ნათესაობითი, მოქმედებითი) ე დაბოლოებით არის წარმოდგენილი. ივარაუდება შემდეგი ფონეტიკური ცვლილება: აი > ეი > ემ > ე (ალავიძე 1941: 232; კახაძე 1953: 184; ძიძიგური 1954: 176; გაჩეჩილაძე 1956: 125; მოწენიძე 1973: 52).

ეგი კითხულოფს: ვისია აწი ე ჟულიეტეო? რავა თქჟა: ვისია ე ჟულიეტეო; ნადიე ჩემი რძალიავო.

ამგვარი ფორმები დაფიქსირებული აქვს კ. კუბლაშვილს: აგრაფინე, ნათელე... (კუბლაშვილი 1985: 101).

შდრ. მსგავსი წარმოება ქვემოიმერულში დასტურდება საზოგადო სახელებთანაც: ბიძიე, ბიძიეს, ბიძიეთ... ტომარე, ბიცოლე, მამიდე, დეიდე...

საზოგადო სახელებში -ე ხმოვნის ფუძესთან შეხორცების პროცესი უკვე დაწყებულია, იგი ფუძისეულად არის გაგებული, რის გამოც ყველა ბრუნვაში სახელები, ჩვეულებრივ, ხელმეორედ დაირთავენ ბრუნვის ნიშანს

(მამიდეი, მამიდეი, მამიდეი, მამიდეი...).

კ. კუბლაშვილი: საზოგადო სახელებთან შედარებით ეს ცვლილება უფრო მეტად პირის სახელებისათვის ჩანს დამახასიათებელი: მაყვალეი, მაყვალემ, მაყვალეს, მაყვალეის, მაყვალეით, მაყვალეთ... ასე რომ, არსებობს ტენდენცია, ბრუნების განსხვავებული ვარიანტის დასრულებული სახით ჩამოყალიბებისა საერთოდ სახელებში (კუბლაშვილი 1985: 101).

ანალოგიური ფაქტები შენიშნულია ზანურსა და სვანურში: მეგრ. ბამბე, ჭინკე, ტომარე, ქვიჯე, კართე. სვან. მარე... (თოფურია 1954: 448-450).

## II. ანთროპონიმთა სიტყვაწარმოების მოდელები

ანთროპონიმები გაფორმებულია სიტყვაწარმოებელი აფიქსებით, რომლებიც რიგ შემთხვევებში ფონეტიკური ვარიანტითაც გვხვდება.

1. ოკრიბულ მეტყველებაში პირის სახელებს დაერთვის -ა, -ია, -იკ-ო, -იკ, -ელ-ა, -იკ-ელ-ა... სუფიქსები, რომლებიც ზოგადად კნინობითის მაწარმოებელ ფორმანტებად განიხილება.

-ა: ხშირად დაერთვის თანხმოვანფუძიან სახელებს:

შეპირდათ მაშინ გრამიტონა; ისთე მელიტონა კაი არ იყო და არ უნდა დეერქმია; ბიქტორა რო წერაჟდა; იოსება დინჯათ მივიდა საპჭოში; იოსება იყო სამუშაოთ სამეგრელოში; ახლა ამას ხელმძღვანელოფს ისმაილა ბუხაიძე, ჯონიელი იყო; მაგალითათ, რუბენა ლანჩავა ჭიშკართან მოკჭტა; ერთი კუპრაშვილი იყო იქინა, არჩილა კუპრაშვილი; სოფრომა ერქუა; ჩუენთან რემონოზა იყო ერთი მეარღანე; მიხეილა რო იყო მორჩაძე, ის რო კედებოდა კიდე; ამ გრამიტონამ გააკეთა მულამი; თამარამ გადამარჩინა მაშინ; ვასილამ ასე თქვა, აგრონომია ის კაცი და; დიდი სურათი იყო ნიკოლოზასი; სადაც გინდა, რაჟდენა ბიძია, სამოსახლო, ე იქინა მოქცემთო; ზოგჯერ ფუძისეული ი ხმოვანი მოკვეცილია: ბუხუტა შეილება ქე გაქ გაგონილი.

ა-ს უკავშირებენ კნინობითობას (შანიძე 1973: 120). შდრ. არჩილ-ა, ბეჟან-ა... ფორმები დღეს აღარ გამოხატავენ კნინობითის შინაარსს ქართულ კილოებში. ა ხმოვანი, ისევე როგორც ი, ე, ო დაბოლოებები, თავდაპირველად სხვა ფუნქციით იყვნენ აღჭურვილი და შემდეგ გახდნენ უფუნქციო და შეერწყნენ ფუძეს (უთურგაიძე 1986: 104).

ბოლოკიდური ა-ს ადგილას ე ხმოვანიც იჩენს თავს:

ტრიფონემ რო ქალი მეიტაცა, თუ გახსოვს მაგი?

შდრ. ლეჩხ.: იასონე, კოლიე, ვასილე, სოლომონე, ტარიელე... ტარიელაი > ტარიელეი > ტარიელე... (ალავიძე 1941: 232).

ზ.გურ.: ვახტანგა/ე, ოთარა/ე... (ყლენტი 1936: 45).

ა > ე ცვლილება ორგვარად შეიძლება აიხსნას: 1. -აი > -ეი (ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია) > ე (იკარგება ი ნიშანი); 2. ა/ე შენაცვლება, დაკარგული -ი სუფიქსის საკომპენსაციოდ (ჯორბენაძე 1989: 459).

-ია: სუფიქსიც დაერთვის როგორც თანხმოვანფუძიან, ისე ხმოვანფუძიან ანთროპონიმებს:

თანხმოვანფუძიანი:

ჩუენ აკუანში გაზარდა ბოჟში, ე, გურამიას ბოჟში კიდო; იგიო დავითიას ბიჭი და გოგუაო ბატონებით მიღებულიო; ეზოზე რო გამეიარდა მურადია; მურადია რუა, მაგის სახში შევიტანეთ სადგური; თენგიზია

ხუჯაძე იყო ჩემთან; საწყალი სამსონია მორჩაძე იტყოდა; არ წეიყუანოს რაჟდენიამ იქინა; ასტიონას მამა იყო იი, ტარასია; გეცოდინება შენ, ვასილია ლოსაზბერიძე; ისაკიამ მისესხა.

ხმოვანფუძიანი:

აღარცეთი ბიჭები აქანე აღარაა, არც შოთაია; მამაჩემი იყო და მინაია იყო; ინახავს ის ძალიან, ე ჟორაია რუა; კაკოია ჩიტბე იყო ერთი; მასე რეზოიამაც ქე გაასჟენა ბებიაშისი გარეთ.

ზოგი ხმოვანფუძიანი სახელი -ია სუფიქსის დართვისას ფუძისეულ ხმოვანს იკარგავს:

გიგიამ იცოდა; ლეჟანტია რა კარგი მახსოვს; ჩემი ციურია რო მყავდა; სამი ათასი მანათი მასესხა აგერ დომენტია ქირათელიძემ; მკულელი ამბროსია იყო; ამბროსია ლომთამე რო იყო; კოდრატია გჟეტამე იყო; სერგია შალიკიანი; ცხადაძე იყო ის, ეგნატია; ვასია რო იყო შოფერი.

-იასუფიქსი ქვემოიმერულში ორი ფონეტიკური ვარიანტით გვხვდება:

ა) -ია > -იე: კიკილიე გვეტამე რო ცხოვრობდა; დათოიემ ჩეიარა ამასწინებზე; დათუნიეს უთქჟია აგერ.

განხილული სახელები ორმაგი სუფიქსითაა გაფორმებული: ილ + ია, ო + ია, უნ + ია.

მსგავსი წარმოების ფორმები დადასტურებული აქვს ნ. შარაშენიძეს საჩინოს მეტყველებაში (ვანის რაიონი):

გირგოლიე, ლენაიას, პაჭაიამ, თენგიზიეს, ვაჟაიეც, ზურიკიე, ასინეთე, დათიკოს, მარუსამ, ციალიეს, ტარიელას, თენგოიეს, ნათელიამ, მარიკელამ... ლენაიე (ლენაიამ, ლენაიას, ლენაიეს, ლენაიათ, ლენაიეთ, ლენაია), ნიხეილე (ნიხეილამ, ნიხეილას, ნიხეილეს, ნიხეილათ, ნიხეილათ, ნიხეილა), მარუსე (მარუსამ, მარუსას, მარუსეს, მარუსათი, მარუსეთი, მარუსა), ოთარი (ოთარი-მ, ოთარი-ს, ოთარი-ს, ოტარი-თ, ოთარ-ათ, ოთარი) (შარაშენიძე 2008: 75).

გურული: კოსტა-ია/ე, ესმა-ია/ე, ზაქრო-ია/ე, ნინო-ია/ე, დომენტ-ია/ე... (ჟდენტი 1936: 65). -ია/-ა დაბოლოებიანი ფორმები ქვემოგურულში არის გავრცელებული, -იე/-ე სუფიქსიანი ფორმები კი ზემოგურულისთვის არის ნიშანდობლივი.

-ა/-ე და -ია/-იე დაბოლოება სახელებს სხვა ბრუნვებშიც შეიძლება გადაყვეს:

ნესტორამ, მართაიემ... გენევანას, ნუცაიეს... ესმაიას ბიჭის, ილიეს ქალი (ძოწენიძე 1973: 291).

-ია > -იე ცვლილების ახსნა: 1. ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით: კოწიაი > კოწიეი > კოწიემ > კოწიე; 2. პროგრესული ასიმილაციით: კოწია > კოწიე (გაჩეჩილაძე 1956: 125).

ბ) სახელთა ბოლოკიდურად იშვიათად წარმოდგენილია -იი დაბოლოება: ლაშის ამბავი რაფერ იყო. შდრ. ლაშია დაღარიბდა იმის გულიზა.

გვხვდება სოფ. უხუთის მეტყველებაში: გიორგის ეზოზე, მართაიის



ვალი, სერგის ცოლმა... ფილიპი რაზმადის ბრიგადები, ილიი ჯანელიძის ბიჭი... (მოწენიძე 1973: 292). ილია > ილიეი> ილიი ცვლილება ახსნილია სრული ასიმილაციით (იქვე: 291).

ო. კახაძე მსგავს ფორმებს ადასტურებს სამტრედიის რაიონის მეტყველებაში: პელანგი, მოსი, გოგოი... (კახაძე 1953: 190). მეცნიერის აზრით, იი დაბოლოება ორგვარად შეიძლება აიხსნას: 1. ბაჭიეი > \*ბაჭიი > \*ბაჭიიდი > ბაჭიი, 2. ბაჭიეი > ბაჭიედი > ბაჭიე > ბაჭიი (იქვე: 186).

ბ. ჯორბენაძეც ცვლილების ორგვარ გზას ვარაუდობს: 1. რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე იაი > იეი > იე > იი; 2. პროგრესული ასიმილაციით ია > იე > იი (ჯორბენაძე 1998: 197).

წოდებითის -ო სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით გამოიყენება – იწარმოება კნინობოთ-საალერსო ფორმები: ივანე > ვანო, დიმიტრი > დიტო (დიტო-მ, დიტო-ს...), დავითო (დავითომ...) (ჯორბენაძე 1998: 561).

მაგალითები ოკრიბული მეტყველებიდან:

იმას ვეკითხებოდით, დათო, სულეფს; ვანო, დათო ახლაც ბეურია; აგერ დაზგა რუა, ასეთი, ამხელა, მარო, საუთოო; აქანა იყო ადგილობრივი ხალხი, კაკო ხეთერელი; ლადოს დავარქმევ სახელათ; იქედან მოჩანდა, ლექსო არსენიძის სახლიდან; ქეთოსთან მიდიოდა.

-იკ-ო ორმაგი სუფიქსით გაფორმებული პირსახელები არცთუ იშვიათია საანალიზო ტექსტებში:

წახანა ვეუნებოდი იმას, ილიკო მასწაებელს გზაში; ილიკო იყო, ილიკო თედორიჩი; ახლა აგერ კაცი ჟის აგერ, ეს მიშიკო; რუსიკო არი იმაში, ძუელი ის რო იყო, მოედანი; თალიკო ბუხაიძე რავა არ იცი შენ; ჯანიკო ქუია იმას; თუითონ მოხუცი იყო ეს ვალიკო; დღეს სულიკო დეიდა მიყვებოდა; დათიკომ გამოუთქვა ასე; თურმე შალიკოს აყენებენ იმის ნაჭერში; შალიკო ჩიხლაძეს აყენებდენ მის მაგიურათ; იმისი ბაბუა იყო ვასიკო ხუადაგიანი; მშიერი ვარო, კაცო, დარიკოსო ყუელაფერი დოუტოვეო.

-იკო-ში „ო თავდაპირველად წოდებითის ნიშანი უნდა ყოფილიყო (მამ-იკ-ო, დედ-იკ-ო), მაგრამ შემდეგ იგი ფუძეს შეზრდია...“ (შანიძე 1973: 21).

-იკ-ა / -უკ-ა: მას ივანიკა ქუიებია; ბერუკა იყო ჩუენი ძუელი; გიშერსაც აკეთებდა ჭაბუკა; მარა ჭაბუკამ მითხრაო.

-უნ-ა: ეგ დათუნას გაეხარდა.

-ელ-ა / -ილ-ე (> -ილ-ა): კაციელას მელას უმახოდენ; რა ქუია, კოსტაილე მორჩაძე.

-ელ-ა / -ილ-ა ზოგადად დამამცირებელი შინაარსის გამოსახატავად გამოიყენება: სონიელა, გივიელა, ბიჭიელა... დასტურდება უხუთის (ვანის რაიონი) მეტყველებაში: კოლიელა, მისიელა, გოგიელა, სონიელა... (მოწენიძე 1985: 292).

-ილ-ო: აგერ კიკილო მოკუტა საწყალი, კიკილო; ბაბილო ცირეკიძის დელეში გევიარეთო; ბაბილო ცირეკიძესო იქინა ღომი აქ საცეხუელშიო.

-ოულ: მოკუტა შოთოული?

-უც-ა: მეზობელი მე გოგუცა თლა მირჩენია ყუელას; ცუცა დეიდა, რა უნდა ჩააყოლო, სულერთია; ტყუილი ჟარ ცუცა?

2. საინტერესოა ზოგი საკუთარი სახელის ფონეტიკური ცვლილება.



მაგალითად, პირსახელში ნოე ვითარდება ვ თანხმოვანი: ნო-ვ-ე.

ნოვე ხუჯადე იყო კილო აგერ, ნოვე, ნადიას ქმარი რუა; ნოვე მორჩაძესთან მოხთა მასთე; ჟიჩილა ჩაატანესო ნოვეს.

მეტათეზისის საფუძველზე იცვლება იესო > იოსე;

ჩამევიდა იოსე ქრისტე და დადის ახლა; ამ კაცს იმან, იოსე ქრისტემ უთხრა; წითელ პარასკეჟს იოსე, იოსეს წამების დღეა.

მსგავსი ფორმები დასტურდება მეგრულში.

პირსახელი მარგარიტა < მარგალიტა (დისიმილაციით: რ-რ > რ-ლ).

დიალექტებში, ზეპირ მეტყველებაში ხშირი ხმარების გამო ზოგი ანთროპონიმი ფონეტიკურად მარტივდება: გიორგი > გიო, ლევანი > ლევა... შდრ.: ბიჭო > ჭო, გოგო > გო, დედა > დე... (ჯორბენაძე 1998: 561).

ტყიბულში ცხოვრობდა კოსტა კაკაურიძე (კოსტა < კონსტანტინე); აგერ იულო დოღონაძის ცოლია (იულო < იულონი); იზო იყო, იზო აქეთ (იზო < იზოლდა).

თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმები ფუძის ბოლოს კარგავენ მარცვალს / მარცვლებს და იღებენ ო დაბოლოებას, რომელიც ფუძეს უხორცდება: ავთანდილ > ავთო, გაბრიელ > გაბრო, ეთერ > ეთო, მიხეილ > მიხო, ვახტანგ > ვახტო... -ო დაბოლოება წარმოშობით წოდებითი ბრუნვისაა, როგორც ეთერო, დავითო... სახელებში (უთურგაძე 1986: 102).

3. ოკრიბულ მეტყველებაში საკმაო რაოდენობით გვხვდება რუსული წარმომავლობისა თუ გაფორმების საკუთარი სახელები, მაგალითად:

მისი და – სონიჩკა ხო იყო იმაში გათხოჟილი; ანიჩკას უძახოდენ; ქსენია და ასთე, ძჟელი სახელები; მაგას ყავდა მამიდა, ჩემი შილი იყო, მარუსია; მაგას ყაჟდა გოგო – ოლია ლოსაზერიძე; ნადეჟდა რო ცხოვრობდა; შურას დედა კაი ხნის კუტარია; ეს გრიშას დედას ვამზოფ მჲ; ალიოშა რო იყო კეთილაძე; მიშა გელაძე კუბოს ყიდის; ახლაც დაკლექკილი აქ იაშას; ჟორა რუა ბერეჩიკიძე, ის, სამი წლის სიმიდი აქ იმას.

4. ოკრიბულ ტექსტებში შეგვხვდა განსხვავებული სახელები, მეტსახელები:

ბუჯგის ბაბუა იყო; აპოლი ის იყო, ჯინჯიხაძე; კაპია გახსოფს? აპოლის კაპია, მერკულიაძე? ჭუკა ჟორჟოლაძე არის ერთი; მასტრედია დალალიშვილი-გვეტაძე; მომკიდა ხელი ამ მირონიამ; ამ მირონიამ დაკრა ფეხი იმაზე; ალიმი ჩემი ბიძაშჟილია; მარტჟა ორი მყავდა ლალი და ბულული; დოუძახა ბახუტის, დოუქნია ხელი და – მემართოს, ბახუტი, მემართოსო!

განაალიზებული მასალიდან ჩანს, ქვემოიმერულში, კერძოდ, ოკრიბულ მეტყველებაში ანთროპონიმთა ფორმა- და სიტყვაწარმოების მოდელები მრავალფეროვანია. ამ თვალსაზრისით ოკრიბული უმთავრესად ქვემოიმერული კილოკავის მონაცემებს გვიჩვენებს. პირსახელთა ცვლილების ძირითადი ტენდენციები საერთოქართულია. განსხვავება უმთავრესად ცალკეულ სახელებთან გამოვლინდება და ზოგად წესებს შეესაბამება.

---

 გამოყენებული ლიტერატურა
 

---

- ალავიძე 1941: ალავიძე მ., ლეჩხუმურის თავისებურებანი. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1941
- გაჩეჩილაძე 1956: გაჩეჩილაძე ა., იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება. იკე, VIII, 1956.
- თოფურია 1954: თოფურია ვ., გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში. იკე, VI, 1954.
- კახაძე 1953: კახაძე ო., ა-ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელის ბრუნებისათვის ქვემოიმერულში. იკე, V, თბილისი, 1953.
- კუბლაშვილი 1985: კუბლაშვილი კ., ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი. თბილისი, 1985.
- ჟღენტი 1936: ჟღენტი ს., გურული კილო, თბილისი, 1936.
- უთურგაძე 1986: უთურგაძე თ., ქართული ენის სახელის მორფო-ნოლოგიური ანალიზი. თბილისი, 1986.
- შანიძე 1973: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი, 1973.
- შანიძე 1969: შანიძე მ., -ი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ბრუნების ისტორიისათვის ქართულში. კრებულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანის დაბადების 80 წლისთავზე. თბილისი, 1969.
- შარაშენიძე 2008: შარაშენიძე ნ., საჩინოური ქართული. თბილისი, 2008.
- ძიძიგური 1954: ძიძიგური შ., ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბილისი, 1954.
- ძიძიგური 1959: ძიძიგური შ., „ნოდარმა“, „ვახტანგმა“ და არა „ნოდარი“, „ვახტანგი“. გაზეთი „თბილისი“, 1959, 21 ნოემბერი.
- ძოწენიძე 1973: ძოწენიძე ქ., ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება, წიგნში: ზემოიმერული კილოკავი, თბილისი, 1973.
- ჯორბენაძე 1989: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I. თბილისი, 1989.
- ჯორბენაძე 1998: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, II. თბილისი, 1998.
- ქვემოიმერული (ოკრიბული) დიალექტური ტექსტები, ჩაწერილია XX საუკუნის 90-იან წლებში ოკრიბის თემის სოფლებში (ორპირი, კურსები, ჭყვი). ჩამწერები: დ. შავიანიძე, დ. ბაკურაძე, ი. ხურციძე. მასალა დაცულია აწსუ-ს პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8040>

**იმერიზმები  
ზურაბ კუხიანიძის პოეზიაში**

**Imerisms in Zurab Kukhianidze's Poetry**

**ვაჟა დანელია**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Vaja Danelia**

Georgian Technical University  
Georgia, Tbilisi

**აბსტრაქტი**

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში აქტიურად იყენებენ ხალხის სალაროდან შეთვისებულ ლექსიკურ მარაგს, აცოცხლებენ მივიწყებულ სიტყვებს, ქმნიან საავტორო ნეოლოგიზმებს, რითაც ამდიდრებენ სალიტერატურო ენას. ამ სიტყვების გამოყენებით ძლიერდება ექსპრესია, ემოციურობა. ასეა საქართველოშიც.

ამ მხრივ საინტერესო შემოქმედი გახლავთ ქუთაისელი ზურაბ კუხიანიძე, რომლის პოეტური ენა თანაბრად ხიბლავს სხვადასხვა თაობისა თუ გემოვნების მკითხველს, ამიტომ ის მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

ნაშრომის მიზანია, შეძლებისდაგვარად გაარკვიოს, ზურაბ კუხიანიძის პოეტურ სამყაროში რა როლს თამაშობს და რა მიზნით არის გამოყენებული დიალექტიზმები, კერძოდ, იმერიზმები, რომელთა მეშვეობითაც, ზოგადად, ბუნებრივი ელფერი ეძლევა თხრობას, იქმნება არა მხოლოდ მშობლიური კუთხის ეთნოკოლორიტი და წარმოჩინდება ადგილობრივი რეალიები, რაც უდიდეს მხატვრულ ეფექტს იძლევა და ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს, არამედ აშკარავდება მწერლის ჩანაფიქრი და განცდები. როგორც პოეტი ოთარ მამფორია შენიშნავს: „ლექსებს სულის საგზალივით დაატარებს და მათს დაცვარულ სტრიქონებში ქართული მიწის ფეთქვა მესმის“.

ზურაბ კუხიანიძის ლექსებში ჩანაფიქრის უფრო ნათლად წარმოსაჩენად მნიშვნელოვანი ფუნქცია სწორედ კუთხურ მეტყველებას

ეკისრება, უმთავრესად – იმერიზმებს, და ეს არც არის გასაკვირი, რადგან მწერლის პოეზია ნასაზრდოებია იმ მიწის სიყვარულით, სადაც ის დაიბადა და გაიზარდა. ეს იმერეთია. როგორც თავად აღნიშნავს, იმერელ გლეხთან საუბრისას, „იმე, ერთია!... მაინც რომელი? იმერეთია“. ამიტომაც მის შემოქმედებაში იმერიზმები ბუნებრივი მოვლენაა – ამ კუთხის დიალექტისთვის „კარის გაღებით“ ლექსიკური მრავალფეროვნებაა უზრუნველყოფილი.

საკვანძო სიტყვები: ზურაბ კუხიანიძის შემოქმედება, იმერიზმები, დიალექტური ლექსიკა.

#### ABSTRACT

In literature worldwide, authors often draw from the rich reservoir of colloquial language, resurrecting forgotten terms and inventing new ones, thereby enriching the tapestry of their literary expression. This holds true for Georgia as well.

Zurab Kukhianidze, hailing from Kutaisi, emerges as a fascinating creator whose poetic language resonates across different generations and tastes, thus piquing the keen interest of researchers.

This paper aims to delve into the role of dialectical elements in Zurab Kukhianidze's poetic universe, particularly focusing on Imerisms. These linguistic elements not only infuse a natural cadence into the narrative, evoking the ethnic hues of his native region and portraying local realities with profound artistic effect, but they also serve as windows into the writer's innermost thoughts and emotions. As poet Otar Mamforia beautifully reflects, „His poems are akin to paths of the soul, where through their protective verses, one can hear the echoes of Georgian soil.“

Within Zurab Kukhianidze's poetry, a significant role is bestowed upon angular speech, predominantly through Imerisms. This emphasis is unsurprising given that the essence of his poetry is deeply rooted in his love for the land of his birth and upbringing — Imereti. As he muses in conversation with an Imeretian peasant, „There is one 'Ime'!... But which one? 'I'm here.“ Hence, Imerisms organically permeate his work, ensuring lexical diversity and authentically capturing the dialectical essence of this distinctive region.

Keywords: Zurab Kukhianidze's work, Imerisms, dialect vocabulary's.



ზურაბ კუხიანიძე უმთავრესად ქართული პოეტური ტრადიციების მიმდევარია. მის შემოქმედებაში ნათლად ჩანს მშობლიური კუთხის სილამაზე, ლექსთა პწკარებში მეტაფორებად ლაღად ჩაწნული, რაც ამდიდრებს მწერლის ენას, ხელს უწყობს ფრაზების მნიშვნელობის უკეთ გააზრებასა და შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებას. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, პოეტის შემოქმედებაში უხვადაა გამოყენებული დიალექტიზმები. დასტურად რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ, უპირველესად ამონარიდს ლექსიდან „ავტობიოგრაფია“:

„იმერეთის ტყემლებია,  
ჩემში თუკი ანთია,  
მადლობა ღმერთს, ჩემთვის ბევრჯერ  
თეთრად უკიანთიათ“ (კუხიანიძე 2013: 8).

პოეტმა ლექსში შეგნებულად აუარა გვერდი ჩვეულებრივ ლიტერატურულ, მაგრამ პოეზიისთვის ერთგვარად გაცვეთილ სიტყვას უელვარიათ და იმერული ელფერის გასაძლიერებლად მის ნაცვლად გამოიყენა დიალექტური უკიანთიათ, რამაც სხვა ლაზათი შემატა პოეტურ სტრიქონებს. კიანთი იმერულად ძლიერ ნათებას, ელვარებას ნიშნავს. კიანთობს (კუთხური – იმერ., გურ.) – კიანთი გააქვს (ქეგლ 1955), ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს უკუნში ანთია (უკიანთია) და ძლიერ კაშკაშებს.

ძალიან საინტერესოა მურმან ლებანიძისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელსაც თავის დროზე ბევრმა კრიტიკოსმა მიაქცია ყურადღება.

„უყ მიწაზე  
ხარის ქედით  
გააქვს თავის სვრელი...  
თმა –  
თეთნულდმა თუ აჩუქა  
თოვლისფერი ქუდი.  
ხმა -  
თითქოსდა ჭურისთავზე  
ხაპით ღვინოს სცლიდეს...  
და თითები –  
ფიჩხის კონა,  
იმნაირად უთრთის,  
თითქოს ძუის წვრილ მახიდან  
გულწითელას ხსნიდეს“ (იქვე: 40).

ავტორმა ცნობილი ქართველი პოეტის პორტრეტი მეტაფორულად – შთამბეჭდავი სახეებით შექმნა. ცხადია, ამგვარი სტრიქონების ჩამოძერწვას ნიჭთან ერთად უდიდესი სიყვარულიც სჭირდება და მწერალიც სავსეა სიყვარულითა და სულიერებით.

ზურაბ კუხიანიძე, პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ახერხებს „პოეტურ სახეში ერთმანეთს შეურწყას აზრობრივი მიზანსწრაფვა და განცდის ემოციური ეფექტი“ (ნიკოლეიშვილი 1979: 139). მისი პოეტური სახეები ხიბლავს მკითხველს და დიდ სიამოვნებას ანიჭებს მას.

თხზულების პროეტური სახეების შექმნაში გარკვეულ როლს თამაშობს დიალექტური ლექსიკა – იმერიზმები, თუმცა ეს სიტყვები მეზობელ გურიაშიც აქტიურად გამოიყენება. ესენია:

უყი (გურ., იმერ.) – მიწა, ყამირი, დიდხანს დასვენებული, დაუმუშავებელი მიწა (დლონტი 1984).

უყის გატეხვა (ქვ. იმერ.) – ყამირის გატეხვა, უხნავი ადგილის დამუშავება.

ჭური (გურ., იმერ., აჭარ.), ანუ ქვევრი (იქვე).

ხაპი (იმერ., რაჭ.) – ჯოხზე დამაგრებული ფართოპირიანი ხრიკის მსგავსი ხელსაწყო ღვინის ამოსაღებად. იგივეა, რაც გოგრა, კვახი, მწარე ხაპი ან ორშიმო (იმერ.) – ჭურიდან ღვინის ამოსაღები ჭურჭელი, რომელსაც მწარე კვახისგან აკეთებენ (იქვე).

„ვინც ეწვევა ჩემი ზოსლის ლაფაროს,

ვინც მახსენებს ალალ სიტყვის ღაღანით –

ღმერთმა თავის კალთა გადააფაროს,

რომ საფლავზე დამიგუდონ არღანი“ (კუხიანიძე 2013: 88).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ლაფარო, ლაფარე, ლაფარა ადგილია შენობის ირგვლივ, რომელსაც სახურავის გამოშვებული ნაწილი ფარავს. ეს კუთხური სიტყვა გამოიყენება სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში (ქეგლ 1986).

პროფესორ ალექსანდრე დლონტის მიერ შედგენილ „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ სამივე სიტყვა ცალ-ცალკეა ახსნილი:

ლაფარა (ზ. იმერეთი) – ლაფერი – ფქვილის ამოსაღები ალაოდან წისქვილში.

ლაფარე (იმერული) – სახლის გვერდზე გადმოხურული კედლის სიმშრალის დასაცავად.

ლაფარო (გურ. ლეჩხ.) – მანძილი საწვეთელსა და კედელს შორის (დლონტი 1984).

ალბათ, ეს სიტყვა უფრო ზანიზმია, ვიდრე – გურული და იმერული.

„ზოგი ძუნწია,

ზოგი ლოთია,

ზოგი ბრიყვი და ობროდია“ (კუხიანიძე 1994: 80).

ობროდი, ალ. დლონტის ლექსიკონის მიხედვით, ზემოიმერული და ლეჩხუმური სიტყვაა, რომელიც უცნაურს, ახირებულს, ჩერჩეტს, ლენჩს ნიშნავს.

ალექსანდრე ნეიმანის (ნეიმანი 1978), ალექსანდრე ელერდაშვილისა (ელერდაშვილი 2006) და ილია ჭყონიას (ჭყონია 1910) ლექსიკონების მიხედვითაც, ობროდი უცნარი, უჭკუო და ჩერჩეტია.

როგორც დიალექტოლოგი ბ. ჯორბენაძე წერს, „ეროვნული ენა ის ბალავარია, რომლის მიხედვითაც მწერალი თავისეულ ენობრივ სამყაროს ქმნის. მწერლის მიზანია, ხორცი შეასხას მხატვრულ სახეს, შექმნას შესაბამისი განწყობა, კოლორიტი და მას სრული უფლება აქვს, ამ მიზნით გამოიყენოს ენის ნებისმიერი შესაძლებლობა“ (ჯორბენაძე 1989: 213).

ზურაბ კუხიანიძე იმერულ დიალექტონ ერთად სხვა კილოთა მონაცემებსაც იყენებს. არც ეს არის შემთხვევითი, რადგან ისეთი

დიალექტი არ არსებობს, სხვა კილოებთან რომ არ იყოს დაკავშირებული ან არ განიცდიდეს მათს გავლენას, ამიტომაც მეგრულ-გურული სიტყვები აქტიურად გამოიყენება პოეტის შემოქმედებაში და ეს მისი პოეზიის ერთ-ერთი სტილური თავისებურებაა – ამა თუ იმ კუთხის კოლორიტის შექმნის ფუნქცია აკისრია.

„რაც არ უნდა მომიწამლონ წამები,  
შენი ცისკრით შემოშრება ცრემლები,  
მარტში თეთრი საქორწილო კაბებით  
ტკარცალობენ შენი ცეტი ატმები“ (კუხიანიძე 1982: 158-159).

ტკარცალი – მაღალი, მკვეთრი ხმით სიცილი, კისკისი, ტკრციალი (ქეგლ 1986), რაც, ვფიქრობთ, იმერულ დიალექტში მეგრულიდან უნდა იყოს შემოსული. მეგრულშიც ტკარცალი სწორედ ხმამაღლა სიცილს ნიშნავს.

„მწვანე ბალახი ამოვიდა მერე კიბეზე,  
რომლის მორყეულ საფეხურებზე  
დასარსალებენ მწვანე ხვლიკები“ (კუხიანიძე 1994: 192).

უპატრონოდ დარჩენილი სახლის გულისამაჩუყებელ სურათს ხატავს ავტორი მეტაფორულად კიბეზე ამოსული მწვანე ბალახითა და მორყეულ საფეხურებზე ხვლიკების სარსალით. დასარსალებენ არის ნაწარმოები მეგრული სიტყვიდან სარსალი, რაც ენის, უფრო გველის ენის სწრაფ მოძრაობას ნიშნავს. მას გადატანითი მნიშვნელობაც აქვს – ყბედობა, ლაქლაქი, ენატანობა (ქეგლ 1986).

„ვიღაცა მღერის გაბმულად გზაზე:

„ია-უაო, ია-უაო“,

მე კი ვაგრძელებ სიმღერას ასე:

„თოვლი წავა და ია მუაო!“ (კუხიანიძე 1994: 135).

მუა გურული ფორმაა, გულისხმობს – მოვაო.

მსგავსი დიალექტიზმები სხვადასხვა კილოდან ქუთაისელი პოეტის შემოქმედებაში მრავლადაა.

ზემოთაც აღინიშნა, რომ მწერლები თავიანთ თხზულებებში მივიწყებულ სიტყვებს აცოცხლებენ. ამ მხრივ არც ზურაბ კუხიანიძის შემოქმედებაა გამონაკლისი:

„უხილაგი სილამაზე,

რასაც ვეძებ ფრთაგაშლით –

სადღაც საქართველოშია,

კალმახების დარანში“ (კუხიანიძე 2013: 46).

დარანი არის გამოქვაბული კლდეში ან მიწაში, ან თევზის სამალავი (ბოლათი, ჯილე), (ქეგლ 1986).

ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი გზაა სახელებისგან მოქმედების გამომხატველი სიტყვების წარმოება. ეს პროცესი იმით არის საინტერესო, რომ მკითხველი აქ გრძნობს ემოციური ზემოქმედების ძალას და სრულიად განსხვავებულად აღიქვამს მწერლის ნააზრევს, რადგან იმ ერთი სიტყვით, ფაქტობრივად, მთელი გამონათქვამია წარმოდგენილი.



„ცაო, ცაო, ნათელო,  
ეს დღე შენი მზის არი;  
ლამით ციციანათელო  
და ლურჯ სიზმრებს გვიგზავნი“ (კუხიანიძე 2013: 33).

„მომწონს კაცი,

როცა დღიურ

ყანას გაამოროდებს (იქვე: 8).

მოროდი (კუთხ., იმერ.) – სიმინდის მეორედ გათოხნა (ქეგლ 1986).

„ოცდაექვსის როცა გავხდი,

გული გავიაბედე“ (კუხიანიძე 2013: 8).

აბედი – საგანგებოდ დამუშავებული ხის (უმთავრესად წიფლის) სოკო. უძველესი დროიდანვე იყენებდნენ ცეცხლის დასანთებად. ტალ-კვესის ნაპერწკლით ადვილად ინთება. იწვის უალოდ (ქეგლ 1986). ავტორის გულიც ქვეყნისა და ერის სიყვარულით იწვის და ანათებს.

სახელებისგან ზმნათა წარმოსაქმნელად იმერულ მეტყველებაში ხშირად გამოიყენება უცხოური ლექსიკა, სიტყვაწარმოების წესების შესაბამისად, მათს ფუძეებზე დართული ქართული აფიქსებით. უცხო ძირზე ქართული მაწარმოებლების დამატების ტრადიციის ნიმუშია ზურაბ კუხიანიძის ლექს „ქუთაისში“ გამოყენებული სიტყვა აკინობ, რომლითაც ავტორმა ეფექტური ფორმა მოძებნა აზრის უფრო ზუსტად გამოსახატავად. ნათლად თქვა სათქმელი:

ქალაქებში, რა ვქნათ, რომ ვერ ბელადობ,

მველებურად ღიღინებ და აკინობ...

ნეტავი მას, ვინაც რამე შეგმატოს,

და ვაი მას, ვინაც გული გატკინოს!“ (კუხიანიძე 1982: 158-159).

აკინი სახალხო მგოსანია, მომღერალ-იმპროვიზატორი ყაზახეთსა და ყირგიზეთში. იგი თავად თხზავდა ლექსებს, უწყობდა ჰანგს და ამღერებდა დომბრაზე (ყაზახური ხალხური გრძელყელიანი ორსიმინი (არის სამსიმინი) საკრავი, ქართული ფანდურის მსგავსი); ამხელდა ცხოვრების ნაკლოვან მხარეებს, უმღეროდა ხალხის საყვარელ გმირებს (ქსე 1975: 250).

ყოფილ საბჭოეთში აკინი გახლდათ სულეიმან სტალსკი (ნამდვილი გვარი ჰასანბეკოვი) – ლეზგი პოეტი, ლეზგიური პოეზიის ფუძემდებელი, დაღესტნის სახალხო მგოსანი, ლენინის ორდენოსანი; დაიბადა აულ აშაგა-სტალში (აქედან ფსევდონიმი სტალსკი).

მწერლის მიერ ნაწარმოებ ლექსებში აკინ-ობ ნათლად ჩანს უცხო სიტყვის გაქართულების, მისთვის ქართული შინაარსის მინიჭების ტრადიციის მოდური გამოძახილი. ამაში თითქოს განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ, როგორც პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი ერთ-ერთ ნაშრომში შენიშნავს, „საოცარი აქ სხვაა – კერძოდ, ჩვენი ენის შინაგანი მზაობა და ღიაობა უცხო სიტყვათა სამასპინძლოდ და მათთვის კარის გაღების ინერციის ძალა (როგორც ქართველი კაცი – მასპინძელი) – ეს ძალა იმდენად დიდია, რომ რუსიზმები წიგნიერ ენაშიც იკაფავენ გზას“ (ჯაგოდნიშვილი 2016: 421).

ქართული ენა გრამატიკული სტრუქტურით ძალიან ძლიერია და ნეოლოგიზაციის პროცესში უცხო წარმომავლობის სიტყვებს ქართული ენის გრამატიკის წესებს უქვემდებარებს.



ზურაბ კუხიანიძის შემოქმედებაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მის პოეზიაში აქტიურადაა გამოყენებული არაბიზმები, სპარსიზმები, თურქიზმები, რუსიციზმები, რომლებიც ქართულ ენაში, მით უმეტეს - იმერულ დიალექტში არის დამკვიდრებული და ჩვეულებრივ სასაუბრო ენაში გამოიყენება. ეს არის ზემოაღნიშნული ქვეყნების დასავლეთ საქართველოზე გავლენის მაჩვენებელი, უფრო სემანტიკის გამოსავლენად.

„ოცნებებს ვლოკავ, როგორც ქვამარილს,  
წყურვილისაგან ყელი მიშრება,  
წელზე მარტყია ღვლერჭის ქამარი,  
გულს სითბო აღარ ეზარნიშება“ (კუხიანიძე 1994: 83).

აღ. ღლონტის ლექსიკონის მიხედვით (ღლონტი 1984: 588) ღვლერჭი რაჭულია, ხოლო ღვლეჭი - ქვემომერული, ლეჩხუმური, ქიზიყური და დაგრებილ წნელს აღნიშნავს. ღულარჭნილი - ღვლარჭნილი - მიგრებილ-მოგრებილი (გაჩეჩილაძე 1976: 143). ღვლერჭი (ღვლენჭი) დაგრებილი წნელია, საბას მიხედვითაც ღულერჭი წნელია (ორბელიანი 1993: 259),

სპარსული ზარნიში ლითონის ნივთებზე ამოჭრილი სხვადასხვა სახეა, ოქროთი ან ვერცხლით ამოვსებული. ქართულ ყალიბში მოქცეული ეს სპარსული სიტყვა ნათლად ესადაგება პოეტის სულიერ მდგომარეობას.

„ვერ შეეგუა ქესატად ყოფას  
და ზოგჯერ მთვარეს უყეფდა ცაში“ (კუხიანიძე 1994: 191).

არაბული ქესატი უფულო ადამიანია, სასაუბრო ენაში ქესატად ნიშნავს - უფულოდ (ქეგლ 1986).

„მერე,  
ვით მზეზე აგდია ძაღლი  
და ყარაულობს ფხიზლად ალაჩოლს“ (კუხიანიძე 1982: 190).

თურქული ალაჩოყი დროებით გამართული სადგომია [ნაზდისა, ხისა] - კარავი (ქეგლ 1986).

პატრიოტული სულისკვეთებითაა გამსჭვალული ლექსი „მამაო“. სამშობლოს ბედით შეძრული პოეტი აშკარად გრძნობს მის მაჯისცემას:

ყომრალ ღრუბელთა ჯანლი დაიდრა...  
თუ ჩემი რწმენა არ არს ამაო,  
თუ არ ამზადებს ეშმა აწწუხებს -  
ჩემს საქართველოს, მითხარ, მამაო,  
ხანდახან გული რატომ აწწუხებს“ (კუხიანიძე 2013: 41).

ამ ნაწყვეტში თურქული სიტყვა ყომრალი (თურქ. ყომრალ; მუქი ნაცრისფერი; საბას მიხედვით - „ლეგა“, ქეგლ 1986) და ქართული აწწუხი (წვეტიანი ისარი) ნათლად გვიჩვენებს თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული მწერლის გულისტკივილს. მართებულად ბრძანებს პოეტი მიხეილ ქვლივიძე: „მე მიყვარს ზურაბ კუხიანიძის ლექსები, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ მათში მის პიროვნებას - მთელი ქვეყნის, მთელი კაცობრიობის ბედ-იღბალზე ჩაფიქრებულ კაცს ვხედავ!“ (კუხიანიძე 2013: 3).

პატრიოტი მწერალია ზურაბ კუხიანიძე. მისი პოეტური სამყარო ფრიად საინტერესო, ერთობ ამაღლებელი და იშვიათი ფენომენია. მგოსნის ლალ და მადლიან სტრიქონებში ნებისმიერი ადამიანი იპოვის მისთვის მნიშვნელოვანსა და სასიამოვნოს. მის პოეზიაში გამოყენებული დიალექტური ფორმები – იმერიზმები მშობლიური კუთხის კოლორიტს ქმნის და მკითხველის გულსა თუ გონებას ერთნაირად იპყრობს.

### გამოყენებული ლიტერატურა

გაჩეჩილაძე 1976: გაჩეჩილაძე პ., იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა. თბილისი, 1976.

ელერდაშვილი 2006: ელერდაშვილი ა., უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი 3 ტომად, შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა, I გამოცემა. თბილისი, 2006.

კუხიანიძე 1977: კუხიანიძე ზ., როცა სისხლი ლაპარაკობს. თბილისი, 1977.

კუხიანიძე 1982: კუხიანიძე ზ., ერთტომეული. თბილისი, 1982.

კუხიანიძე 1994: კუხიანიძე ზ., საით, გულო (ლექსები, ზალადები, პოემები). ქუთაისი, 1994.

კუხიანიძე 2013: კუხიანიძე ზ., ასი ლექსი. შემდგენელი ქეთევან კუხიანიძე. თბილისი, 2013.

ნეიმანი 1978: ნეიმანი ა., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, მე-3 გამოცემა. თბილისი, 1978.

ნიკოლეიშვილი 1979: ნიკოლეიშვილი ა., ნედლი სტრიქონების სურნელი, „განთიადი“, საქართველოს მწერალთა კავშირისა და ქუთაისის განყოფილების ლიტერატურული ალმანახი, №4. ქუთაისი, 1979.

ორბელიანი 1993: ორბელიანი ს.-ს., ქართული ლექსიკონი, ტ. II, ავტორგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1993.

ქეგლ 1986: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, რედაქტორი არნ. ჩიქობავა, თბილისი, 1986.

ქეგლ 1955: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტომი IV. თბილისი, 1955.

ქსე 1975: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, თბილისი, 1975.

ღლონტი 1984: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი, მეორე გამოცემა. თბილისი, 1984.

ჯაგოდნიშვილი 2016: ჯაგოდნიშვილი თ., ისევ სუნთქავენ ქართულ ოცნებით მესხეთის მთებზე დიდი ტაძრები. თბილისი, 2016.

ჯორბენაძე 1989: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I. თბილისი, 1989;

ჭყონია 1910: ჭყონია ი., სიტყვის კონა, სულხან-საბა ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები. Грузинский глосарій. С-ПЕТЕРБУРГЪ типографія императорской академіи наукъ, 1910.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8041>

**საბჭოთა რეჟიმის მიერ რეპრესირებული  
ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი  
ვარლაამი (მახარაძე) – დაბადებიდან 150 წელი**

**Metropolitan Varlaam (Makharadze) Kutatel-Gaenateli,  
repressed by the Soviet regime –  
150 years since his birth**

**ლაშა დეისაძე-შარვაშიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Lasha Deisadze-Sharvashidze**  
Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

**აბსტრაქტი**

ჩვენი სამშობლოსა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ახალი წელთაღრიცხვის ისტორიის მანძილზე წარმოადგენს საერთო სივრცეს. საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს ეკლესიის წიაღიდან მრავალმა ღირსეულმა მღვდელმთავარმა თუ მღვდელმსახურმა გამოიჩინა თავი განსაკუთრებული მოღვაწეობით, რომელთა შორის არაერთმა მათგანმა გმირულად და მოწამეობრივად დაასრულა თავისი ამქვეყნიური სიცოცხლე, თავი გაწირა სამშობლოსა და ეკლესიის კეთილდღეობისა და უკეთესი მომავლისათვის და შეუერთდა გმირებისა და მოწამეების ზეციურ დასს.

ხსენებულ გამოჩენილ და გმირულად აღსრულებულ მღვდელმთავართა შორის, საისტორიო თვალსაზრისით, ერთ-ერთ განსაკუთრებულ ადგილზე, სრულიად სამართლიანად, ბრძანდება ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ვარლაამი (მახარაძე) – საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისა და მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე და მღვდელმთავარი.

მიტროპოლიტ ვარლაამის მოღვაწეობა ჯერ მღვდლის ხარისხში დაემთხვა რუსეთის იმპერიის კოლონიური მმართველობის პერიოდს

საქართველოში, ხოლო შემდგომ მას მღვდელმთავრობა მოუწია საბჭოთა რუსული რეჟიმის მიერ ანექსირებულ საქართველოში. ორივე შემთხვევაში მეუფე ვარლამი განსაკუთრებული რუდუნებითა და შემართებით მოღვაწეობდა ღმერთის, ეკლესიისა და სამშობლოს სათნოდ და მისი სიტყვა და საქმე ყოველთვის ჯეროვანი სიმაღლისა იყო. 1937 წელს ის საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლად იქცა. მისი საფლავი, სამწუხაროდ უცნობია.

2023 წელს ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ვარლამის დაბადებიდან 150, ხოლო გარდაცვალებიდან (ოფიციალური ცნობით) შესრულდა 80 წელი.

საკვანძო სიტყვები: ქუთაის-გაენათის ეპარქია, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ვარლამი (მახარაძე), საბჭოთა რეპრესიები.

#### ABSTRACT

The history of our motherland and the Apostolic Orthodox Church of Georgia, without exaggeration, represents a shared journey throughout the modern era. Over the centuries, numerous honorable high priests and deacons of the Georgian Church have distinguished themselves through exceptional work, many ending their lives heroically as martyrs, sacrificing themselves for the welfare and future of their homeland and church, joining the heavenly ranks of heroes and martyrs.

Among these eminent figures who met heroic ends, Metropolitan Varlaam (Makharadze) of Kutatel-Gaenateli holds a special place from a historical perspective. He was one of the prominent high priests of the Apostolic Orthodox Church of Georgia during the late 19th and early 20th centuries.

Metropolitan Varlaam's ministry began during the colonial rule of the Russian Empire in Georgia and continued through the Soviet annexation of Georgia. Throughout, Reverend Varlaam tirelessly served God, the Church, and the country with unwavering dedication and principle, maintaining the highest standards in his words and actions. Tragically, he fell victim to Soviet repression in 1937, and his final resting place remains unknown.

In 2023, we marked 150 years since the birth and 80 years since the death of Metropolitan Varlaam of Kutatel-Gaenateli, according to official records.

**Keywords:** Kutaisi-Gaenati Eparchy, Metropolitan Varlaam (Makharadze) of Kutaisi-Gaenati, Soviet repressions.



ქუთაის-გაენათის სამღვდელმთავრო კათედრა არა მხოლოდ საქართველოს ადგილობრივი ეკლესიის, არამედ მსოფლიო ეკლესიის ერთ-



ერთი უმველესი კათედრაა, რომლის საწყისი ახალი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულიდან იღებს სათავეს. ქუთაის-გაენათის კათედრაზე არაერთი მართლმკვეთელი და ღირსეული მღვდელმთავარი მოღვაწეობდა, რომელთა შორის არიან წმიდანებიც თუ სხვადასხვა ფორმით ჩვენს ერისა და ეკლესიის კეთილდღეობისათვის შეწირულებიც.

1937 წელს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე) ლოცვა-კურთხევითა და საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით,

ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველ მღვდელმთავრად დადგინდა მიტროპოლიტი ვარლაამი.

2023 წელს მაღალყოვლადუსამღვდელოესი ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის ვარლაამის დაბადებიდან 150 და გარდაცვალებიდან 80 წელი შესრულდა. სწორედ მიტროპოლიტ ვარლაამის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიმოვიხილავთ წარმოდგენილ პუბლიკაციაში, რომელშიც სხვადასხვა ისტორიოგრაფიულ გამოცემასთან ერთად გამოყენებულია მონაცემები სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო სინოდის მიერ გამოცემული საქართველოს ეკლესიის 1928 და 1929 წლების კალენდრებიდან, რომლებიც დღესდღეობით ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, საიდანაც მოტანილია ცნობები საბჭოთა ოკუპაციის პირველ წლებში საქართველოს ეკლესიის ეპარქიათა და მმართველ მღვდელმთავართა რაოდენობრივი მდგომარეობის შესახებ, რაც კიდევ ერთხელ ნათელს ხდის საქართველოს ეკლესიის იმჟამინდელი ვითარების უმძიმეს ყოფას.

ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ვარლაამი (ერში ვარლამ ნესტორის ძე მახარაძე) დაიბადა 1873 წლის ძვ. სტ. 26 მარტს (ახ. სტ. 8 აპრილი) მედავითნის ოჯახში. 1895 წელს დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია. 1895-1897 წლებში ის მედავითნეობდა თბილისის ყაზანის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში. 1897 წელს საქართველოს ეგზარქოსის, მიტროპოლიტ ვლადიმერის (ბოგოიაველენსკი) მიერ ვარლაამ მახარაძე ხელდასხმულ იქნა ჯერ დიაკვნად, ხოლო იმავე წლის მაისში – მღვდლად. ერთ-ერთი ცნობით, მას ხელი დაასხეს მღვდლად გორის მაზრის კობტისხევის (კავთისხევი) წმიდა

გიორგის სახელობის ტაძარში (ჟვანია 1994: 72). სხვა ცნობით, ის 1897 წლის 7 ივნისს დაადგინეს კავთისხევის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვრად (ვარდოსანიძე 2010: 169).

მღვდელი ვარლამი საქართველოს ეკლესიის სხვადასხვა ეპარქიის ტაძრებში მოღვაწეობდა. ასევე, ის წლების განმავლობაში სხვადასხვა სასწავლებელში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, როგორც საქართველოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ, კონკრეტულად: თბილისის დიდუბის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში, კავთისხევის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში, ფოთის ორწლიან სამრევლო-საეკლესიო სკოლაში, ფოთის საზღვაო სკოლაში, სამეგრელოს ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებელში, ერევნის საოსტატო სემინარიასა და ქალთა მეორე გიმნაზიაში, თბილისის №1 საქალაქო გიმნაზიასა და №7 ვაჟთა გიმნაზიაში, ოზურგეთის ვაჟთა პროგიმნაზიასა და პირველ დაწყებით სასწავლებელში. მამა ვარლამს ეკავა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა როგორც სასულიერო, ისე ადმინისტრაციული კუთხით გურია-სამეგრელოს ეპარქიაში. 1906-1908 წლებში ის იყო ფოთის ეკლესიების მთავარბუცესი. 1914 წლიდან მღვდელი ვარლამი იყო ერევნის სასულიერო სემინარიის კარის ტაძრის წინამძღვარი, 1915 წლიდან მოღვაწეობდა ყარსის ციხის №1 სამხედრო ჰოსპიტლის ტაძარში. 1919 წლის 12 აპრილს მას მიენიჭა დეკანოზის წოდება. 1922 წლის 27 აპრილიდან დეკანოზი ვარლამი გახლდათ ოზურგეთის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი.

1926 წლის 22 იანვარს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭომ დეკანოზი ვარლამ მახარაძე გამოარჩია ეპისკოპოსად – მარგვეთის ეპარქიის მმართველ მღვდელმთავრად. იმავე წლის 7 მარტს თბილისის ყოვლაწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის სიონის საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ (ხელაია) და ნინოწმინდელმა მიტროპოლიტმა (შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) კალისტრატემ (ცინცაძე) მას ხელი დაასხეს ეპისკოპოსად. ახალნაკურთხი ეპისკოპოსი ვარლამი ერთი თვით დატოვეს თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში ღმრთისმსახურების აღსავლენად, რათა სამღვდელმთავრო მსახურების აღსრულების მხრივ გარკვეული გამოცდილება მიეღო.

1921 წლიდან საქართველოში საბჭოთა ათეისტური საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა, რომელიც აგრესიული ათეისტური ხასიათისა იყო. ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა ეკლესიას და უმძიმეს ვითარებაში ამყოფებდა სასულიერო დასასა და მრევლს.

საბჭოთა პერიოდის პირველი წლების პერიოდის საქართველოს ეკლესიის უმძიმეს ყოფას ასევე ცხად-ჰყოფს მღვდელმთავართა იმჟამინდელი რაოდენობის სიმწირე. არაერთი ეპარქია მმართველი მღვდელმთავრის გარეშე იყო დარჩენილი. მაგ., 1928 წლისათვის საქართველოს ეკლესიაში არსებობდა თხუთმეტი ეპარქია, რომელთაგან ხუთს არ ჰყავდა მმართველი მღვდელმთავარი, ხოლო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-

პატრიარქ ქრისტეფორეს გარდა საქართველოს ეკლესიაში მოღვაწეობდა ცხრა მღვდელმთავარი, რომელთა შორის ვკითხულობთ: „არგვეთის ეპარქია – მარგველი ეპისკოპოზი ვარლამი“ (საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1928 წლისათვის, 1928). 1929 წლისათვის საქართველოს ეკლესიაში კვლავ კათოლიკოს-პატრიარქი და ცხრა მღვდელმთავარი მოღვაწეობდა. მმართველი მღვდელმთავრები არ ჰყავდა აგარაკ-წალკის, აწყურის, ბათომ-შემოქმედის, ნიკორწმინდის, ცაგერის, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიებს (საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1929 წლისათვის, 1929).

ეპისკოპოსად ხელდასხმიდან ზუსტად ერთი თვის შემდგომ, 1926 წლის 7 აპრილს, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხარების დღესასწაულზე, მეუფე ვარლამი გაემგზავრა მარგვეთის ეპარქიაში, კერძოდ, საჩხერეში, სადაც ჩავიდა 8 აპრილს. სადგურში მას დახვედრა მოუწყვეს, რომელშიც მონაწილეობდნენ მომწყობი კომისიის წევრები, ადგილობრივი სამღვდლოება და მორწმუნეები. აღსანიშნავია, რომ მეუფე ვარლამის დახვედრაში, ასევე, მონაწილეობდნენ ადგილობრივი სომხები თავიანთ მოძღვართან ერთად. იმავე დღეს მარგველმა ეპისკოპოსმა ვარლამმა მოილოცა საჩხერის წმიდა მოციქულთასწორ ნინო ქართველთა განმანათლებლის სახელობის საკათედრო ტაძარი, სადაც აღავლინა პარაკლისი, წარმოითქვა მისასალმებელი სიტყვები. 1926 წლის 12 აპრილს მარგველმა ეპისკოპოსმა ვარლამმა პირველი წირვა აღავლინა საჩხერის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში. აღნიშნული ტაძარი ნაკურთხია 1910 წელს (კეზევაძე 2008: 29). მეუფე ვარლამმა, ასევე, პანაშვიდი გადაუხადა დიდ ქართველ პოეტსა და მგოსანს აკაკი წერეთელს, რომელიც საჩხერიდან იყო.

საჩხერის წმიდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში 1927 წლის 26 და 27 თებერვალს მარგველმა ეპისკოპოსმა ვარლამმა დიაკვნად და მღვდლად დაასხა ხელი ხარიტონ დევდარიანს (შემდგომში უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით მეხუთე).

ეპისკოპოსი ვარლამი გახლდათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ერთგული თანამოაზრე. ეპისკოპოსმა ვარლამმა მონაწილეობა არ მიიღო წმიდა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის წინააღმდეგ მოწყობილ შიდასაეკლესიო შეთქმულებაში, რომელიც საბჭოთა რეჟიმის მიერ იყო მართული.

აღსანიშნავია, რომ მარგველი ეპისკოპოსი ვარლამი მონაწილეობდა საქართველოს ეკლესიის 1927 წლის ადგილობრივ კრებაში, რომელმაც იმავე წლის 24 ივნისს დაადგინა: „შემოღებული იქნეს საქართველოს ეკლესიაში ახალი სტილი ამა 1927 წლის 14 ნოემბრიდან – მთლიანად უძრავ-მოძრავ დღესასწაულებზე გავრცელებით“ (ჯაფარიძე 2017: 721).

1929 წლის 12 თებერვლიდან ეპისკოპოსი ვარლამი დადგინდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველ მღვდელმთავრად. 1930 წლის 25 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორე მესამემ, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოს ვარლამს მიანიჭა მიტროპოლიტის წოდება.



1932 წელს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ვარლაამს მიენიჭა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდო – სკუფიაზე ზრილიანტის ჯვრის ტარების უფლება.

კომუნისტური ხელისუფლება თავისთვის მიუღებელ პერსონად მიიჩნევდა მიტროპოლიტ ვარლაამს და ამიტომ ის 1934 წელს ათეისტურმა მთავრობამ გამოაძევა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიიდან. 1934-1937 წლებში მიტროპოლიტი ვარლაამი ეპარქიის მმართველობის გარეშე იყო.

მას შემდგომ, რაც 1935 წლის 13 ნოემბერს ღმრთივმიცვალა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი სვიმეონი (ჭელიძე), ქუთაის-გაენათის ეპარქიას 1937 წლამდე არ ჰყავდა მმართველი მღვდელმთავარი და ამ ეპარქიის მართვა შეთავსებული ჰქონდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს.

1937 წლის 7 ივლისს მიტროპოლიტი ვარლაამი დაადგინეს ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველ მღვდელმთავრად. იმჟამად ქუთაის-გაენათის ეპარქიის საკათედრო ტაძარი იყო ქუთაისის მწვანეყვავილას წმიდა მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარი, რომლის წინამძღვრადაც, ასევე, დადგინდა მიტროპოლიტი ვარლაამი.

იმ ფონზე, როდესაც საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას საბჭოთა ათეისტური ხელისუფლების მიერ დაწესებულ ურთულეს მარწუხებში უხდებოდა ბრძოლა ფიზიკური გადარჩენისათვის, ვერ ხერხდებოდა მღვდელმთავართა საკმარისი რაოდენობით გამორჩევა და ხელდასხმა. ამ ვითარებაში, ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ვარლაამს შეთავსებით ასევე დაევალა ჭყონდიდის, მარგვეთის, ცაგერის, ნიკორწმინდის ეპარქიების მართვა.

მიტროპოლიტ ვარლაამს საბჭოთა კომუნისტური რეჟიმი ყოველთვის თავისთვის არასაიმედოდ მიიჩნევდა. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის დამყარებამდეც მიტროპოლიტი ვარლაამი გამოირჩეოდა სამართლიანი ანტირუსული განწყობით... ჯერ კიდევ ფოთის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი ვარლაამ მახარაძე (ის ფოთის საკათედრო ტაძარში მოღვაწეობდა 1899-1914 წლებში) დაუპირისპირდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს დიმიტრის (აბაშიძე), რომელიც რუსეთის სასარგებლო ანტიქართული საქმიანობით გამოირჩეოდა.

მიტროპოლიტი ვარლაამი ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველ მღვდელმთავრად, სამწუხაროდ, დიდხანს არ მოღვაწეობდა. 1937 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ იმხანად არსებული სამთავრობო ტერორისა და უკანონობის პირობებში ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ვარლაამი დააპატიმრა. მეუფე ვარლაამი სრულიად ცილისმწამებლური და აბსურდული ბრალდებით სამშობლოდან გადაასახლეს. საქართველოს უმაღლესი სასამართლოს მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ვარლაამი გადასახლებაში გარდაიცვალა 1943 წელს (მჭედლიძე... 2008: 459).



ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ვარლამის საბოლოო ხვედრის შესახებ ისტორიკოსები გიორგი მჭედლიძე და მერაბ კეზევაძე თავიანთ წიგნში „ქუთაის-გაენათის ეპარქია (ისტორია და თანამედროვეობა)“ აღნიშნავენ: „ასეთი იყო პოლიტიკურ რეპრესირებულთა მიმართ რეაბილიტაციის შესახებ შემუშავებული ტრაფარეტი. არ არის გამორიცხული, მიტროპოლიტი ვარლამი გადასახლებაში არც ყოფილა და ადგილზე დახვრიტეს ან ციხის აუტანელი პირობების გამო გარდაიცვალა. ასეთი ბედი ხვდა წილად იმ დროს პოლიტიკურ პატიმართა უმრავლესობას“ (მჭედლიძე... 2008: 459)

პუბლიკაციის ავტორთან საუბრისას, 1972-1978 წლებში საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის წევრმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების ქორეპისკოპოსმა, წილკნელმა და ურბნელმა მიტროპოლიტმა გაიოზმა (კერატიშვილი) გაიხსენა, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით მეხუთე პირად საუბრებში აცხადებდა, რომ მისი დიაკვნად და მღვდლად ხელდასმხმელი მღვდელმთავარი, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ვარლამი ნამდვილად გადასახლეს ციმბირში, საიდანაც ვეღარ დაბრუნდა და იქვე გარდაიცვალა. მიტროპოლიტი ვარლამის საფლავი არ არის ცნობილი (ჟვანია 1994: 72).

სამწუხაროდ, 1937 წლისათვის, სრულიად უუფლებო მდგომარეობაში მყოფმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ ვერაფერი გააწყო, რათა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ვარლამი გამოეხსნა საბჭოთა რეჟიმის უსამართლო „მართლმსაჯულებისაგან“. სამწუხაროდ, „ქვეყანაში გამეფებულმა ტერორმა, დასმენებმა თავისი გაიტანა... მიტროპოლიტი ვარლამი დააპატიმრეს და გადასახლებაში გარდაიცვალა 1943 წელს. მისი საფლავი დაკარგულია“ (ვარდოსანიძე 2017:541).

მიტროპოლიტ ვარლამის დაპატიმრების შემდგომ ქუთაის-გაენათის ეპარქიას მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში არ ჰყავდა მმართველი მღვდელმთავარი...

ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ვარლამის წმიდა და ნატანჯი სხეული მადლიერი სამწყსოსაგან პატივმიუგებლად დარჩა, თუმცა, ღმერთისადმი სასოებით, იმედი გვაქვს, რომ უფლის მრავალმოწყალებამ ცათა სასუფეველი დაუმკვიდრა მიტროპოლიტ ვარლამს.

მაღალყოვლადუსამღვდელოესი ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ვარლამი ერთ-ერთი ქართველი გამორჩეული და ღვაწლმოსილი მაღალიერარქი და მამულიშვილი და, ასევე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მოწამე მღვდელმთავარი გახლავთ, რომელიც შეეწირა საბჭოთა ათეისტური რეჟიმის სისხლიან ვერაგობას. მიტროპოლიტ ვარლამის სახელი და მოღვაწეობა აუცილებლად იმსახურებს ჯეროვან პატივგებას.

---

**გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები**

ვარდოსანიძე 2010: ვარდოსანიძე ს., ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები). თბილისი, 2010.

ვარდოსანიძე 2017: ვარდოსანიძე ს., საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატთანე (1917-2017 წწ.). თბილისი, 2017.

კეზევაძე 2008: კეზევაძე მ., ეგზარქოსობის დროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები. ქუთაისი, 2008.

მჭედლიძე... 2008: მჭედლიძე გ., კეზევაძე მ., ქუთაის-გაენათის ეპარქია. ქუთაისი, 2008.

ჟვანია 1994: ჟვანია ზ. (ამჟამად დეკანოზი ზინობი), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან. ქუთაისი, 1994.

სეკ 1928: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1928 წლისათვის, გამოცემა სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო სინოდისა. ტფილისი, 1928.

სეკ 1929: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1929 წლისათვის, გამოცემა სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო სინოდისა. ტფილისი, 1929.

ჯაფარიძე 2017: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული. თბილისი, 2017.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8042>

**პროფ. ტარიელ ფუტკარაძის ბიოგრაფიიდან  
(ქუთაისში მოღვაწეობის პერიოდი)**

**From the biography of Professor Tariel Putkaradze  
(period of work in Kutaisi)**

**იამზე ვაშაკიძე**

კავკასიის უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Iamze Vashakidze**

University of Caucasus  
Georgia, Tbilisi

**აბსტრაქტი**

ჩვენი მიზანია პროფ. ტარიელ ფუტკარაძის ზოგიერთი ბიოგრაფიული ეპიზოდის წარმოჩენა და დაზუსტება სოციალურ ქსელში გავრცელებული მისივე წერილებისა და ჩანაწერების მიხედვით. ეს მასალები საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ მათში თავს იჩენს საზოგადოებრივი ყოფისთვის ჩვეული წინააღმდეგობანი, ასევე – ის პიროვნული მახასიათებლები, რომლებმაც მეტ-ნაკლებად განსაზღვრეს პროფ. ტარიელ ფუტკარაძის დაძაბული, მოუსვენარი და ამავე დროს საინტერესო ცხოვრება.

ჩანაწერების ავტორის მთავარი ამოცანაა სიმართლის დაცვა როგორც ერის, ისე პიროვნული ისტორიის წარმოჩენისას, „რომ გამყალბებლებმა ამჟამინდელი თუ მომავალი თაობები არ დააბრკოლონ“. ქუთაისში მოღვაწეობის პერიოდთან დაკავშირებით ის ასევე გვაწვდის ინფორმაციას თანამედროვეებზეც, კერძოდ: ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორზე – პროფ. მაგალი თოდუაზე, რომელმაც ახალგაზსნილი დიალექტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად დანიშნა და ხელი შეუწყო ინსტიტუტის საქმიანობასა და, ზოგადად, ქართველოლოგიური კვლევის განვითარებაში; მეგობარ კოლეგებზე, რომელთა წრეშიც იბადებოდა ახალი იდეები სამეცნიერო სფეროში, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელზე, რომელთანაც, განსხვავებული პოლიტიკური პლატფორმის მიუხედავად, აკავშირებდა ეროვნული მნიშვნელობის მქონე კულტურულ-საგანმანათლებლო საქმის ინტერესები და სხვ.

ტ. ფუტკარაძისათვის ყველაზე დიდი და სასარგებლო პოლიტიკაა

ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, საქართველოს მოქალაქეთა კონსოლიდაციისათვის, სწორი, მეცნიერულად არგუმენტირებული ორიენტირების დამკვიდრებისათვის. მას ახალი ძალით ავსებს უანგარო მხარდაჭერა საერთო ეროვნულ საქმეში, ურთიერთობა ღირსეულ ადამიანებთან, რომლებიც თავიანთი პირადი ცხოვრებით ქმნიან „ეროვნულ უტეხ სულს“.

ქუთაისი პროფ. ტარიელ ფუტკარაძის ცხოვრების საუკეთესო ნაწილია; ქუთაისური სამეგობრო ის „ტკივილიანი სიყვარულით შედუღებული“ გარემოა, სადაც შესაძლებელია დასვენებაც და შემოქმედებითი მუშაობისათვის ძალების მოკრებაც. მთავარი ორიენტირი ქუთაისის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ტრადიციებია, რომელთაც ქმნიდნენ „ქართველური ენობრივი სამყაროს დანაწევრების“ იმპერიული „მცდელობის“ წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. თავისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობით პროფ. ტარიელ ფუტკარაძე ამ ტრადიციის გამგრძელებელთა რიგში დგას.

საკვანძო სიტყვები: პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის მოღვაწეობა ქუთაისში, აწსუ დიალექტოლოგიის ინსტიტუტი.

#### ABSTRACT

Our goal is to present and elucidate certain biographical episodes of Prof. Tariel Putkaradze based on his own letters and notes shared on social networks. These materials are noteworthy because they reveal both the typical challenges of public life and the personal traits that largely defined the tense, restless, and intriguing life of Prof. Tariel Putkaradze.

The primary responsibility of the author of these notes is to uphold truth in recounting both national and personal history, “so that fabricators do not hinder current or future generations.” Regarding his tenure in Kutaisi, Putkaradze also provides insights into his contemporaries, particularly Professor M. Todua of Akaki Tsereteli State University, who appointed him as director of the newly established Institute of Dialectology. Todua significantly contributed to the institute’s activities and to the broader development of Georgian research. Putkaradze’s notes also discuss his friendships and collaborations, the birth of new scientific ideas, and his interactions with local government representatives, despite differing political platforms, to advance cultural and educational interests of national importance.

For Prof. T. Putkaradze, the paramount and most constructive endeavor is the struggle for Georgia’s independence, uniting Georgian citizens, and promoting a sound, scientifically grounded orientation. His dedication to the common national



cause is invigorated by selfless support and relationships with individuals who embody a „strong national spirit“ through their personal lives.

Kutaisi City represents the most cherished period of Prof. Putkaradze's life; its friendly environment is a place „imbued with tender love,“ where he finds solace and gathers strength for creative work. His guiding principle is the scientific and educational traditions of Kutaisi, established by the finest minds of Georgian intelligentsia who fought against imperial attempts to fragment the Georgian linguistic community. Through his scientific and pedagogical work, Prof. Taniel Putkaradze proudly continues this tradition.

**Keywords:** Professor Taniel Futkaradze's work in Kutaisi, Institute of Dialectology at ATSU.

ჩვენი მიზანია პროფ. ტარიელ ფუტკარაძის ზოგიერთი ბიოგრაფიული ეპიზოდის დაზუსტება სოციალურ ქსელში გავრცელებული მისივე წერილებისა და ჩანაწერების მიხედვით. ეს მასალები საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ მათში თავს იჩენს საზოგადოებრივი ყოფისთვის ჩვეული წინააღმდეგობანი, ასევე – ის პიროვნული მახასიათებლები, რომლებმაც მეტნაკლებად განსაზღვრეს პროფ. ტარიელ ფუტკარაძის დამაბული, მოუსვენარი და ამავე დროს საინტერესო ცხოვრება.

წერილი „ვის ინტერესებშია?“ არის პასუხი ოპონენტებისადმი იმ დამოკიდებულებისათვის, რომელსაც წერილის ავტორი უწოდებს პიროვნების „პირადი ისტორიის“ გაყალბების მცდელობას; როგორც თავადვე მიუთითებს, იყვნენ, ერთი მხრივ, „ძალიან ახლობლები“, რომლებიც წერილის ავტორისაგან ყურადღების სინაკლულეს ხსნიდნენ მისი ქუთაისში წასვლით „სამეცნიერო კარიერის გამო“; მეორე მხრივ, უფრო მძიმე იყო მეცნიერული თუ მოქალაქეობრივი პოზიციის მოწინააღმდეგეთა მიზანმიმართული სიცრუე, თითქოს ტ. ფუტკარაძე „შევარდნაძემ დანიშნა“ ინსტიტუტის დირექტორად, ან თითქოს ეს ინსტიტუტი „შაშიაშვილმა პირადად მას გაუხსნა“ /29 ივლისი, 2017 წელი/ და სხვ.

პროფ. ტარიელ ფუტკარაძე კატეგორიულად ემიჯნება სოციალურ ქსელში სხვათა ლანძღვით საკუთარი თავის დამკვიდრებაზე ორიენტირებულ ჭორის გამავრცელებელთ, მაგრამ, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ხაზგასმით მიუთითებს სიმართლის დაცვის აუცილებლობაზე; მისი სიტყვებით, „ყველანი ვალდებულნი ვართ, ჩვენი ქვეყნის / ერის რეალური ისტორიაც წარმოვაჩინოთ და ჩვენი პიროვნულიც, რომ გამყალბებლებმა ამჟამინდელი თუ მომავალი თაობები არ დააბრკოლონ (საინფორმაციო ომის კონტექსტი!)“ /„ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ინტერპრეტაცია და რეალობა“, 9 იანვარი, 2017 წელი /.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ პროფ. ტარიელ

ფუტკარაძე თავის ჩანაწერებში არაერთგზის უბრუნდება ქუთაისში მოღვაწეობის საწყის პერიოდს და ასევე გვაწვდის ინფორმაციას თანამედროვეებზეც. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პროფ. მაგალი თოდუას; მაგ., შენიშნავს, რომ ის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დანიშნული იყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ; ერთ-ერთ ჩანაწერში იხსენებს მის მონათბრობს: „ღიმილით უყვარდა თქმა: „კაცო, ერთხელ ერთ მეგობართან ვთქვი, რექტორი რომ ვიყო, რამდენ კარგ საქმეს გავაკეთებდი-მეთქი“ და ეს ამბავი მაშინვე მიუტანეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას; მან კი მალევე დამიძახა და დამნიშნა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორად...“ /„აკადემიკოს მაგალი თოდუას ახალი სიცოცხლე“, 2 მაისი, 2016 წელი/.

ჩანაწერის ავტორი აღნიშნულ ფაქტს განიხილავს შესაბამის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ კონტექსტში: „პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია... გახარებული იყო იმის გამო, რომ... პროფესორმა ...მაგალი თოდუამ თანხმობა განაცხადა რექტორობაზე; იმ პერიოდში ეს... იყო ეროვნული ხელისუფლებისადმი ღია მხარდაჭერა, რასაც ვერ ბედავდა ბევრი ცნობილი მწერალი, პროფესორი თუ აკადემიკოსი, იმიტომ რომ დავალებული იყო რუსეთის საბჭოთა იმპერიისგან...“ /„აკადემიკოს მაგალი თოდუას ახალი სიცოცხლე“, 2 მაისი, 2016 წელი/.

პროფ. მაგალი თოდუამ, „უკანონო ხელისუფლების მომხრეთა“ საწინააღმდეგოდ, ტარიელ ფუტკარაძე ახალშექმნილი დიალექტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად დანიშნა, ითვალისწინებდა რა ცნობილ ენათმეცნიერთა – პროფ. თედო უთურგაძისა და აკად. ქეთევან ლომთათიძის – რეკომენდაციას /„ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ინტერპრეტაცია და რეალობა“, 9 იანვარი, 2017 წელი /.

თავის ახალ სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, პროფ. ტარიელ ფუტკარაძე წერს, რომ „მაშინ იძულებული გახდა, ქუთაისში წასულიყო, რამდენადაც თბილისში პუტჩისტებისაგან იყო დევნილი და უსამსახუროდ დარჩენილი, ბათუმში კი – ასლან აბაშიძის რეჟიმისაგან“, შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა კი აჩვენა, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი არჩევანი, რომელმაც შეაძლებინა ფიზიკურადაც გადარჩენილიყო და ამავდროულად – თავისი ენერგია მიემართა ქართველოლოგიის განვითარებისაკენ; ის წერს: „ქუთაისში ამ იძულებითი გადასვლით ულუკმაპუროდ დარჩენილი ოჯახიც გადავარჩინე... საკუთარი სამეცნიერო პერსპექტივაც და, იმხანად, ქართველოლოგიაც, როგორც მეცნიერების დარგი („ქუთაისურმა საუბრებმა“ – საერთაშორისო კონფერენციამ და სამეცნიერო კრებულმა „ქართველური მემკვიდრეობა“, ფაქტობრივად, ააღორძინა საბჭოთა პერიოდში განადგურებული მეცნიერული ქართველოლოგია!)“ /„ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ინტერპრეტაცია და რეალობა“, 9 იანვარი, 2017 წელი/.

ჩანაწერების ავტორი არაერთგზის აღნიშნავს, რომ ამ დიდ საქმეში განუზომელია უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის ღვაწლი; ასევე იხსენებს, როგორ იკრიბებოდნენ საღამოობით ის და მისი მეგობარი

კოლეგები (სერგო ჭეიშვილი, მიხეილ ქურდიანი, ნესტან კვეციანი, ნომადი ბართაია და სოსო ასათიანი) ბ-ნი მაგალის ოჯახში, სადაც „ბუნებრივად აიწყობოდა ხოლმე ძალიან საინტერესო საუბრები... ბევრ სხვა იდეასთან ერთად, სწორედ ამ საღამოებზე იშვა „ქუთაისური საუბრებისა“ და ასევე „გელათის მეცნიერებათა აკადემიის აღორძინების იდეები...“ /„აკადემიკოს მაგალი თოდუას ახალი სიცოცხლე“, 2 მაისი, 2016 წელი/.

სიმბოლურია პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სიტყვები უკვე გარდაცვლილ პროფ. მ. თოდუასადმი: „ვალდებული ვართ, ხშირად ...დავუნთოთ სანთელი გარდაცვლილ ჩვენს წინაპარს, ჩვენს მშობელს, ჩვენთვის გზის გამკვალავსა თუ დევნილობის დროს ჩვენს თანამდგომს. წინაპართა სულებს უხარიათ მათი დაწყებული კარგი საქმეების გაგრძელება...“ / „მაგალი თოდუას წუხანდელი საუბარი“, 14 თებერვალი, 2017 წელი/.

პროფ. ტარიელ ფუტკარაძე ჩანაწერებში საუბრობს თავისი ცხოვრების ნაწილად ქვეული დიალექტოლოგიის ინსტიტუტის „დიდ და შთამბეჭდავ ისტორიაზე“, კერძოდ, როგორ იქცა „ნულიდან შექმნილი“ ინსტიტუტი „1993 წლიდანვე... 90-იან წლებში ჩამკვდარი ქართველოლოგიური მეცნიერების ოაზისად“ და გაფართოვდა მისი კვლევის სფერო; ამას, გარდა სამეცნიერო სიმპოზიუმებისა და ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის“ ტომებისა, მოწმობს სტამბოლის ქართული სავანის შემსწავლელი ცენტრის – პ. და ს. ზაზაძეების სახელობის კაბინეტის გახსნაც (2007 წლის 23 ოქტომბერს), ასევე – წმ. ამბროსი ხელაიას სახელობის სამეცნიერო ცენტრის დაარსება (2008 წლის 29 მარტს), რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებად განისაზღვრა: ა) ქართული სამწიგნობრო ენის სარეკომენდაციო ლექსიკონის შექმნა; ბ) ქართველური დიალექტების სალექსიკონო მასალის მომზადება; გ) ქართული სამწიგნობრო ენის ისტორიის შესახებ საჯარო-პოპულარული ხასიათის ლექციების ორგანიზება და სხვ.

ჩანაწერების ავტორი პროფ. მ. თოდუასა და პროფ. ა. ნიკოლეიშვილის რექტორობის პერიოდთან აკავშირებს ინსტიტუტის განსაკუთრებულ წინსვლას, რაც შეაფერხა 2010 წლიდან განვითარებულმა მოვლენებმა (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული სტრუქტურული რეორგანიზაცია); შემდეგ, პროფ. ეკა დადიანთან ერთად, იყო ბრძოლა ქართველოლოგიის ინსტიტუტის აღსადგენად, რაც წარმატებით დასრულდა 2017 წელს რექტორის, პროფ. გ. ლავთაძის თანადგომით; ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელად, პროფ. ტ. ფუტკარაძის წინადადებით, დაინიშნა პროფ. ეკა დადიანი („მაგალი თოდუას წუხანდელი საუბარი“, 14 თებერვალი, 2017).

ცალკე მსჯელობის თემაა ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. წერილი სახელწოდებით – „პირველ რიგში აუცილებელია დეოკუპაცია!“ /6 მარტი, 2018 წელი/ მიემდგვნა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ქუთაისის მერსა და იმერეთის გუბერნატორთან, ბ-ნ თემურ შაშიაშვილთან ურთიერთობას; კერძოდ, წერილიდან ირკვევა, რომ:

– თ. შაშიაშვილი „აქტიურად უჭერდა მხარს“ ქუთაისის უნივერსი-



ტეტში აკაკი ბაქრაძის მიწვევას, მაგრამ წინააღმდეგი იყო ტარიელ ფუტკარაძის – დევნილი უზენაესი საბჭოს დეპუტატის – კანდიდატურისა, რამდენადაც ეს მიუღებელი იქნებოდა „აქტიური პუტჩისტებისათვის“; მიუხედავად ამისა, „ბატონმა მაგალიმ თავისი გაიტანა“ იმიტომ, რომ ბ-ნი თ. შაშიაშვილი „მას პატივს სცემდა“ და არ უნდოდა უნივერსიტეტთან დაპირისპირება;

– თავიდან ცივად დაწყებული ურთიერთობის მიუხედავად, როცა ბ-ნი თ. შაშიაშვილი დარწმუნდა დიალექტოლოგიის ინსტიტუტის, როგორც „მაღალი დონის სამეცნიერო ცენტრის“ მნიშვნელობასა და პერსპექტივებში, ქუთაისის მერიამ „დაიწყო... კონფერენციებისა და ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის“ დაფინანსება“. ამ პერიოდთან იწყება ტ. ფუტკარაძისა და თ. შაშიაშვილს შორის „უშუალო კომუნიკაცია“ და თანადგომა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმეში.

– თ. შაშიაშვილმა ასევე დაუჭირა მხარი პროფ. ტ. ფუტკარაძის იდეას, ქუთაისში დაეარსებინა „ქართული ენის სამსახური“, რომელიც ქუთაისის მერიასთან ფუნქციონირებდა და გამოსცემდა გაზეთ „ქართულს“.

– თ. შაშიაშვილი შეეწინააღმდეგა პუტჩისტური რეჟიმის წარმომადგენელთა მიერ ტ. ფუტკარაძისა და სხვა ეროვნულად მოაზროვნე ქართველთა დახვრეტის მცდელობასაც და სხვ.

პროფ. ტ. ფუტკარაძე არ მალავს განსხვავებული პოლიტიკური პლატფორმის წარმომადგენელთან დაახლოებას და „თავდაპირველი მიზნე ურთიერთობიდან“ „მეგობრულ დიალოგებამდე მისული საუბრების“ ფონზე მას სთავაზობს თავის უცვლელ მოქალაქეობრივ პოზიციას: „აუცილებელია ...ვაღიაროთ წარსულში დაშვებული შეცდომები, რომ სამომავლო... ბრძოლებში მაინც შევძლოთ მთავარი ღირებულებების გარშემო გაერთიანება და საქართველოს მოქალაქეთა კონსოლიდაცია... 1992-93 წლებში განხორციელებული სახელმწიფო დანაშაულის – პუტჩისა და პრეზიდენტის მკვლელობის – გამოძიება და სამართლებრივი შეფასება... საქართველოს მოსახლეობის ისტორიული ფასეულობების დაცვაზე ორიენტირებული ...პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბება“.

წერილში „ვის ინტერესებშია?“ /29 ივლისი, 2017 წელი/ ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველაზე დიდი და სასარგებლო პოლიტიკაა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, ქვეყნისა და ერისათვის სწორი /მეცნიერულად არგუმენტირებული!/ ორიენტირების დამკვიდრება.

პროფ. ტარიელ ფუტკარაძის აზრით, „სოციალური ქსელი კეთილშობილური საქმეების საკეთებლად უსაზღვრო სივრცეა წესიერი ადამიანის ხელში“. მან წერილი „კონსოლიდაცია“ /16, სექტემბერი, 2019 წელი/ მიუძღვნა 400 წლის წინ ირანში იძულებით გადასახლებულ ქართველთა შთამომავლების სამშობლოში ფეხით დაბრუნებასა და სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლებთან შეხვედრას; ეს თემა სწორედ სოციალური ქსელის საშუალებით გაასაჯაროვა და დროის იმ კონკრეტულ მონაკვეთში შეძლო საზოგადოების ერთიანი ეროვნული სულისკვეთებით კონცენტრირება: „ჩვენ ეროვნული (ეთნიკური) ღირსება



გვიქმნის ურთიერთვალდებულებითი (მავასხელობითი) სიყვარულის საფუძველს ...და რაც ხდება ამ დღეებში, არის ქართული ეროვნული ღირსების ზეიმი! ნამდვილად შესაძლებელია ქართველთა კონსოლიდაცია!“

პროფ. ტარიელ ფუტკარაძეს ახალი ძალით ავსებს უანგარო მხარდაჭერა საერთო ეროვნულ საქმეში. ამის მაგალითია 2020 წლის 14 თებერვლის წერილი, რომელშიც საუბარია მეგობრებთან ერთად ქუთაისში „ჰელსინკის კავშირის“ პარტიული ორგანიზაციის ორგანოს – გაზეთ „ქუჯის“ – გამოცემაზე 2000-2002 წლებში. როგორც თავად შენიშნავს, გაზეთის სახელი („ქუჯი“) შემთხვევით არ იყო შერჩეული, არამედ – განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად სამეგრელოს ქართველობისადმი, რომელმაც „1992-93 წლებში, რუსეთის მიერ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის აგზებით ჟამს, საქართველოს კანონიერი ხელისუფლება გამორჩეულად დაიცვა“.

ჩანაწერების ავტორს ახარებს ის ფაქტი, რომ იმ მძიმე წლებში, სრულიად უსახსროდ, შეძლეს ასეთი „მართალი“ გაზეთის გამოცემა, ამჯერად კი გაზეთს ახალი სიცოცხლე მიანიჭეს მისმა მეგობრებმა: რიტა წაქაძემ და ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის სხვა თანამშრომლებმა, რომელთა ძალისხმევითაც მომზადდა გაზეთ „ქუჯის“ ელექტრონული ვერსია და ინტერნეტში აიტვირთა /„გაზეთი „ქუჯი“, 14 თებერვალი, 2020 წელი/.

ამაღლებულ განწყობას აგვირგვინებს შეხვედრა ალექო (აკაკი) ბაკურაძესთან; როგორც შენიშნულია ჩანაწერებში, ის ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც აიტაცა 1999 წლის ზოლოს პროფ. ტარიელ ფუტკარაძის მიერ დაარსებული ორგანიზაციის: „ქართველთა ენა და კულტურა საზღვრებს გარეშე“ ბაზაზე გაზეთ „ქუჯის“ გამოცემის იდეა. გაზეთის ინტერნეტვერსიის შესახებ ინფორმაციის შეტყობისთანავე მან ტარიელ ფუტკარაძეს აჩვენა გაზეთ „ქუჯის“ დირექტორის მოწმობა, რომელიც მუდამ ჯიბით დაჰქონდა. მრავლისმთქმელია, ამ ფაქტთან დაკავშირებით, ტარიელ ფუტკარაძის ჩანაწერი: „დავყურებდი ამ მოწმობის ორივე გვერდს და გული სიამაყით მეფებოდა ... ჩვენ მიერ დაფუძნებული გაზეთის – „ქუჯის“ გამო, რომელმაც დროს გაუძლო... ალექო (აკაკი) ბაკურაძის მსგავსი კაცები ქმნიან ჩვენს ეროვნულ უტეხ სულს, ზოგადად, ღირსეული კაცის სახეს...“ /„აკაკი ბაკურაძე“, 3 მარტი, 2020 წელი/.

მართალია, წლების წინ, გარემოებათა გამო, „იძულებით გადმოსვლა“ მოუწია ქუთაისში, მაგრამ შემდეგ, როგორც თავად წერს, „უთბილესი და უქართულესი“, „მუდამგაზაფხულოვანი“ ქალაქი ქუთაისი მისი ცხოვრების საუკეთესო ნაწილად იქცა; არ რჩება ყურადღების მიღმა ქალაქის ცხოვრებაში მომხდარი არცერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ კულტურული მოვლენა, იქნება ეს ქუთაისისათვის საპარლამენტო ქალაქის ოფიციალური სტატუსის მინიჭება /26 მაისი, 2012 წელი/, ბოტანიკური ბაღის თავშეყრისა და გართობა-შემეცნებით კერად გაცოცხლება /30 ივნისი, 2015 წელი/ თუ „ხელოვნების ახალი სივრცის“ გახსნა / „ოთარ ქანდარია – ღვთიური სხივი“, 10 დეკემბერი, 2017/.

ქუთაისური სამეგობრო – ეს ის ტკივილიანი სიყვარულით შედუ-

ღაბებული გარემოა, სადაც შესაძლებელია დასვენებაც და შემოქმედებითი მუშაობისათვის ძალების მოკრებაც. ამის მაგალითია 2014 წლის 24 ივლისის ჩანაწერი: „ჩემი მეგობრის (მურად ჯიშკარიანის) ლამაზი ოჯახი აღმოჩნდა ის ადგილი, სადაც შევძელი დროისა თუ ფიქრების მობილიზება და ...ერთი თვის წინანდელ ირანულ-ფერეიდნულ ფრაგმენტულ ჩანაწერებს მთლიან მონათხრობად ჩამოვყალიბებ...“

მთავარი ორიენტირი ქუთაისის სამეცნიერო და საგანმანათლებლო ტრადიციებია; აქ თავიდანვე „სწორად აფასებდნენ“ და ებრძოდნენ „ქართველური ენობრივი სამყაროს დანაწევრების“ იმპერიულ „მცდელობას“, სადაც ს. ხუნდაძისა და მოწინავე ინტელიგენციის სხვა წარმომადგენელთა ძალისხმევით დაარსდა ღირსეული მომავალი თაობის (ნ. ლორთქიფანიძის, შ. ნუცუბიძის, კ. გამსახურდიას, ვ. ნოზაძის, ა.ჩიქობავას, გ. ახვლედიანის...) აღმზრდელი პირველი ქართული გიმნაზია (ამჟამინდელი ქუთაისის მეორე საჯარო სკოლა) და შემდეგ – (1917 წლის 17 მაისს) „თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოება“ /„ვინ მოკლა ილია?“ – სილოვან ხუნდაძის ვერდიქტი, 12 იანვარი, 2016 წელი /.

თავისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობით პროფ. ტარიელ ფუტკარაძე ამ ტრადიციის გამგრძელებელთა რიგში დგას, რასაც მოწმობს მისი თაოსნობით ორგანიზებული სამეცნიერო ფორუმები ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში.

სოციალურ ქსელში გაბნეულმა ჩანაწერებმა ახლა გაცილებით მეტი ძალა შეიძინეს მათი ავტორის პიროვნული სახის ასამეტყველებლად; მათში ისევ ძველებური შემართებით ცხოვრობს და იღვწის პროფ. ტარიელ ფუტკარაძე.

#### გამოყენებული წყარო

პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სოციალური ქსელის წერილები და ჩანაწერები (2013-2020 წწ.).

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8043>

**ალექსანდრე ორბელიანი და იმერეთი**  
**Imereti and Alexander Orbeliani**

**ნინო ვახანია**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Nino Vakhania**  
Sokhumi State University  
Georgia, Tbilisi

**აბსტრაქტი**

ალექსანდრე ორბელიანი ჩვენი მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. 1832 წლის შეთქმულების მეთაურსა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მგზნებარე მებრძოლს აკაკი წერეთელი ფანატიკოს პატრიოტად მოიხსენიებს. „ძალიან მომწონს იმერეთი და მიყვარს იმერლებიო“, – უთქვამს ალექსანდრე ორბელიანს ახალგაზრდა აკაკისთვის. რომანტიკოს მწერალს მიაჩნდა, რომ ქართული სული უფრო კარგად იყო შემონახული იმერეთში, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში.

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი და სხვა ქართველი 60-იანელები დიდი სითბოთი და გულწრფელი პატივისცემით მოიხსენიებენ ალექსანდრე ორბელიანს.

მწერლის შემოქმედებაში იმერეთი სამ ასპექტშია ნაჩვენები: ერთი, როგორც იმერული (ნამდვილქართული) სიმღერების (დიდინების) შემქმნელ-შემომნახველი კუთხე, მეორე, პოლიტიკურ ასპექტში – მოთხოვნილია კრწანისის ომში იმერეთის მონაწილეობის პერიპეტიები და მესამე, იმერეთსა და იმერლებს ვხედავთ დაკითხვის ოქმებში, რომლებიდანაც შესაძლებელია დაახლოებითი სიზუსტით გაირკვეს იმერეთის როლი 1832 წლის შეთქმულებაში.

ალექსანდრე ორბელიანი სანდო და მართალი მთხრობელია. მან იცის სიმართლე წარსულის შესახებ ცოცხალი ინფორმატორების მონათხრობითაც. მაშასადამე, მისი თხზულებები თანამედროვე მკითხველისათვის მრავალმხრივად საყურადღებო, მათ შორის – მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებებში იმერეთის ცხოვრების ასახვით.

საკვანძო სიტყვები: XIX საუკუნის ქართული მწერლობა, ალექსანდრე ორბელიანი, 1832 წლის შეთქმულება.



---

**ABSTRACT**

Alexander Orbeliani is one of the important representatives of our literature. Akaki Tsereteli refers to him as a „fanatic“ patriot, known for leading the conspiracy of 1832 and tirelessly fighting for Georgia’s independence. „I like Imereti and I love you, Imerlebi“, Alexander Orbeliani said to a young Akaki. The romantic writer believed that the Georgian spirit was better preserved in Imereti than in Eastern Georgia.

Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Kirile Lortkifanidze, Sergey Meskhi, and other Georgians of the 19th century spoke of Alexander Orbeliani with great warmth and sincere respect.

In the writer’s literary legacy, Imereti is depicted from three perspectives. Firstly, as a bastion of Georgian (Imerian) folk songs and laughter. Secondly, from a political standpoint – the author acquaints us with the role of the Imereti army in the Krtsanisi War. And thirdly, through interrogation protocols (specifically, Alexander Orbeliani’s responses to the investigative commission’s questions), we can discern Imereti’s role in the 1832 conspiracy. Alexander Orbeliani is a reliable and truthful storyteller, drawing on firsthand accounts to reveal the truth about historical events. Therefore, his works are highly significant for modern readers, particularly in portraying the life of Imereti through both journalistic and artistic-documentary narratives.

**Keywords:** Georgian writing in the 19th century, Alexander Orbeliani, conspiracy of 1832.

XIX საუკუნის საქართველოში ერთ-ერთი მტკივნეული თემა გახლდათ საქართველოს ერთიანობის საკითხი. დამპყრობელმა შემოსვლისთანავე მოიმარჯვა „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკა და საქართველოს ცალკეულ კუთხეებში გააჩაღა სეპარატიზმის აგიტაცია. ყველაზე ხელსაყრელი ამ მხრივ ის კუთხეები აღმოჩნდა, რომელთაც თავიანთი ენა ჰქონდათ (სამეგრელო და სვანეთი), თუმცა არც სხვა მხარეებს მორიდებია მტერი. ალექსანდრე ორბელიანი ერთ-ერთი პირველთაგანია ქართველ მოღვაწეთაგან, რომელიც მთლიანი საქართველოს გულშემატკივარია და ერთიანობის პროპაგანდისტი. იმერეთი მისთვის დასავლეთ საქართველოსთან ასოცირდება. ამიტომაც იმერეთთან განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებს, ნამდვილ-ქართველებად სწორედ იმერლებს მიიჩნევს. ამ ჭრილში ალექსანდრე ორბელიანი ნაკლებადაა შესწავლილი. შევეცადე წარმომეჩინა ის ძირითადი ეპიზოდები, რომლებშიც ასახულია რომანტიკოსი მწერლის დამოკიდებულება იმერეთთან.

აკაკი წერეთელი, რომელიც ფანატიკოს პატრიოტს უწოდებდა ალექსანდრე ორბელიანს, თავის პუბლიცისტურ წერილებში დაუფარავი სიმპათიითა და სიყვარულით იხსენებს 1832 წლის შეთქმულების მეთაურს.

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი, სხვა ქართველი სამოციანელები უაღრესად გულთბილად, გულწრფელი პატივისცემით მოიხსენიებენ ალექსანდრე ორბელიანს.

როცა 1869 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა ალექსანდრე ორბელიანის „ასპინძის ომი“, კირილე ლორთქიფანიძე ქუთაისში სწერდა ერთ მეგობარს: „ძალიან მომეწონა ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის სტატია „ასპინძის ომზედ“. უდრტვინველად ვერ წაიკითხავს კაცი ამ სტატიას. მარტო ამ სტატიის წაკითხვისთვისაც გამოიწერდა კაცი მნათობს“ (ქსიმ, ფონდი №569).

რუსეთიდან ახალდაბრუნებული აკაკი წერეთელი და ალექსანდრე ორბელიანი პირველად ერთმანეთს 1862 წელს, „ცისკრის“ რედაქტორის, ივანე კერესელიძის ოჯახში შეხვდნენ. სწორედ მაშინ უთქვამს საქართველოს ერთიანობის მქადაგებელ მწერალს ახალგაზრდა პოეტისთვის: „ძალიან მომწონს იმერეთი და მიყვარს იმერლები! ქართველობა ჯერ კიდევ იქ უფრო წმინდად არის შენახული. აქ კი ყველაფერი: ენა, ზნე, ჩვეულება, თითქმის გადასხვაფერებული გვაქვს. ასე გასინჯეთ, რომ სიმღერასაც ვეღარ ვახერხებთ ქართულად... ბაიათებსა და შიქასტებს გაეპკვიეთ“ (წერეთელი 2023: 20). იმერული ჩანგური და ზე დლილინი სულ სხვა არისო...

აკაკი წერეთელი და ივანე კერესელიძე მერე ალექსანდრე ორბელიანს სტუმრებიან შინ. მხიარულად მიმიღო დიდის პატივით, – იგონებს აკაკი, – ის ძალიან საყვარელი ვინმე იყო და საქართველოც განსხვავებულად უყვარდა. ხოლო როცა მხცოვანმა მწერალმა კვლავ მიიწვია შინ ჭაბუკი პოეტი (რათა სტუმარს თავისი ზღაპარი „სნეული და მკურნალი“ წაეკითხა მასპინძლისთვის), მაშინაც კიბის თავზე მიჰგებებია, ჩვეულებრივი სიყვარულითა და ალერსით მიუღია. აკაკის არასოდეს დავიწყებია „ეგზარხოსის მოედანზე სვეტებიანი სახლი“ (წერეთელი 2023: 213), სადაც ალექსანდრე ორბელიანი ცხოვრობდა.

სტატიაში „ფიქრები ბუხრის წინ“ აკაკი წერეთელი ალექსანდრე ორბელიანთან სხვა, რამდენიმე წლის შემდეგდროინდელ შეხვედრას იხსენებს. განსაკუთრებით აღნიშნავს მხცოვანი მოღვაწის პატრიოტიზმს, ერთიანი საქართველოს სიყვარულსა და გულშემატკივრობას. „მის დროში ძვირათ სადმე მოიპოვებოდა ჩვენში მისთანა სამშობლოს მოყვარული კაცი! მისი გულის თქმა და მისი სულის დგმა საქართველო იყო. ყოველი კუთხე ჩვენის ქვეყნისა და ყოველი თემი, გინდ შორეულიც ყოფილიყოს, მისთვის გაურჩევლათ, ერთნაირათ საფიქრებელი, საზრუნველი და საყვარელი იყო“ (წერეთელი 2023: 251).

ალექსანდრე ორბელიანი, როგორც „ძველი ქართველი, წმინდა, პატიოსანი“, დახატულია აკაკის პოემა „ვორონცოვშიც“.

უნდა ითქვას, რომ ხელშესახებად ჩანს ალექსანდრე ორბელიანისა და აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობის, სხვადასხვა საკითხზე შეხედულებათა მსგავსება. ცალკეული მიგნებები თუ მინიშნებები ამ თემაზე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს საკითხი საგანგებოდაა საკვლევი.

ბველის, თავისთავადობის, საკუთარი იდენტობის მოტრფიალე მწერალს არ გამორჩენია ჩვენი, „ქართული მუსიკის სპეციფიკა“ (ევგენიძე 1982: 117). ალექსანდრე ორბელიანმა მოითხოვა ქართული მუსიკის დაცვა უცხოური, უფრო – აღმოსავლური გავლენებისგან. ქართული მუსიკისთვის ნიშანდობლივი თვისებები, მწერლის აზრით, დასავლეთ საქართველოში უფრო იყო შენარჩუნებული, ვიდრე აღმოსავლეთში (ჯაგოდნიშვილი 1986: 19-24). 1861 წლის „ცისკრის“ №1-ში გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში „ივერიანელების გალობა, სიმღერა და ღიღინი“, რომელიც ზაქარია ჭიჭინაძემაც შეიტანა 1879 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის-ძის ორბელიანისა“, ავტორი არაორაზროვნად ამბობს: „სხუათა შორის, ჩუენი გალობა, ანუ სოფლების სიმღერის ხმები სხუა ქუეყნებისას არ მიემსგავსება“ (ორბელიანი 2023: 100). მგონი, ამ „სხვა ქვეყნებში“ უშუალოდ დამპყრობლებს, რუსებს და მათ სიმღერას უნდა გულისხმობდეს. იქვე მწერალი გულისტკივილით შენიშნავს, რომ თანდათან ვივიწყებთ ორიგინალურს, გამორჩეულს, მხოლოდ ჩვენი კულტურის გამომხატველს: „რად დავივიწყეთ ეს ჩვენი მამაპაპების კარგი გალობა, სადაც გნებავდათ, ის ხელად სათქმელი?“ (ორბელიანი 2023: 100). ეს წუხილიც ჩრდილოელთა დამპყრობლური პოლიტიკის შედეგად მიგვაჩნია.

იმოწმებს და მკითხველს შეახსენებს რა გალობის სულხან-საბა ორბელიანისეულ განმარტებას, დიდი ლექსიკოგრაფის შორეული შთამომავალი ხაზს უსვამს, გამოკვეთს გალობის საეკლესიო, საღვთისმეტყველო წარმომავლობასა და დანიშნულებას. სტატიის სათაურშივე გამიჯნულია ერთმანეთისგან გალობა, სიმღერა და ღიღინი. გალობა, ავტორის აზრით, ეკლესიაში შესასრულებელი ხმაა, რომელშიც ღვთის დიდება და სამადლობელია გამოხატული.

მართლმადიდებლური ღვთისმსახურების ეს უმნიშვნელოვანესი რიტუალი დამდგარა გადასხვაფერების საფრთხის წინაშე. თუმც კონკრეტულად არაფერია ნათქვამი მართლმადიდებელ დამპყრობელზე, მაგრამ სტრიქონებს შორის იკითხება შიში იმისა, რომ ძალა მოერევა „გაბეჩავებულ სიმართლეს“ (ვაჟა).

დასავლეთში, კერძოდ გურიაში, შეუნარჩუნებიათ ქართული გალობის თვისებურებები და ალექსანდრე ორბელიანს აუცილებლობად მიაჩნია, შეახსენოს გურულებს, რომ მათი მოვალეობაა ფხიზლად ყოფნა, რათა გაუძღონ ყოველგვარ ზეგავლენას და არ დაკარგონ ორიგინალური ქართული გალობა. საყურადღებოა, რომ ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში წერია: „გამიგონია გურიელები კიდევ თურმე გალობდნენ მამაპაპის გალობასა? ღვთის გულისათვის გურიელებო, ჩუენი დიდი ხელმწიფის სადღეგრძელოთ, თქუენ მაინც ნუ დაივიწყებთ თქუენი მამაპაპის ეკლესიების გალობასა: იმ ღვთის საიამოვნოს, წყნარსა და მშვიდობიანსა გალობასა, რომელიცა ის ხმა მოგვაგონებს, ჩუენსა კეთილსა ქრისტაიანობრივსა ნამდვილსა“ (ორბელიანი 2023: 100). ხოლო ზაქარია



ჭიჭინამის მიერ გამოქვეყნებულ კრებულში სიტყვების „ჩუენი დიდი ხელმწიფის სადღეგრძელოდ“ ნაცვლად ვკითხულობთ: „ჩუენი სამშობლოს და ენის სადღეგრძელოდ“. არ ვიცით, გამომცემელმა თვითნებურად შეცვალა ტექსტი თუ ხელთ ჰქონდა განსხვავებული ხელნაწერი (ხელნაწერს ჩვენამდე არ მოუღწევია). როგორც უნდა იყოს, ეს ცვლილება ორივე შემთხვევაში მაინც ალექსანდრე თრბელიანის საზოგადო განწყობის მანიშნებელი და ცხადად ამრეკლავია.

აქვე მწერალი იხსენებს ოცდაათი წლის წინანდელ შემთხვევას, როცა შობის წინა ღამეს ქუჩიდან საუცხოო სიმღერა შემოესმათ და თეკლა ბატონიშვილი მიხვდა, რომ მომღერლები იმერლები იქნებოდნენ. ამოიყვანეს მომღერალ-მგალობლები და, მართლაც, იმერლები აღმოჩნდნენ: „კარგა ხანი აღარ გაუშვით. ბევრი კარგი სიმღერები და ღიღინები ვათქმევინეთ იმერული. იმათმა მშუენიერმა სხუა და სხუა სიმღერებმა და ღიღინებმა დიდად გვასიამოვნეს...“ (თრბელიანი 2023: 107). მწერალი ერთმანეთისგან განარჩევს სიმღერასა და ღიღინსაც და მიიჩნევს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ხმები სიმღერებია, იმერული ხმები კი – ღიღინები. აი, რას წერს ავტორი: „საკვირველია, რომ არაფერში არ მიემსგავსება იმერული ხმები საქართველოს ხმებსა (ქართლ-კახეთისას – ნ. ვ.), რომელნიცა იმერულსა ხმებსა ღიღინებად უხმობთ და საქართველოს ხმებთა სიმღერად“ (თრბელიანი 2023: 107).

მწერალი ყველა ქართული ხმის (აღმოსვლურ-დასავლურის) ერთად შეკრებისა და ნოტებზე გადაღებისკენ მოუწოდებს მცოდნეთ და შესაძლებლობას არ უშვებს ხელიდან, კვლავ საქართველოს ერთიანობა იქადაგოს, ამით კი დაუპირისპირდეს ყველას, ვისაც ქვეყნის დაშლა-დანაკუწება სურს.

„...რა შეედრება ჩუენს მამაპაპის სიმღერისა ხმებსა, რომელიცა ჩუენი ამდენი ათასობით წლების ხმოვანება, მხოლოდ ჩუენი კუთვნილი საკუთარი გალობანი, სიმღერები და ღიღინები დაგვიმტკიცებს, რომ ჩუენი საქართველოს და იმერეთის ერნი არიან ძველი ივერიანელების შვილის შვილები, ვითარცა პიტალოს ოქროდგან, პიტალო ოქრო გამომდნარი და ამის შემდეგ გვმართებს თავის მოწონება თუ როგორ?“ (თრბელიანი 2023: 108).

ავტობიოგრაფიული ნაწერებიდან ვიგებთ, რომ თეკლა ბატონიშვილის განთქმულ ბაღში (დაახლოებით, დღევანდელი ბოტანიკური ბაღი) ოჯახს ჰყოლია იმერელი მებაღეები, რომელთა ღიღინებსაც სიამოვნებით უსმენდნენ ხოლმე გასართობად თავშეყრილი ახალგაზრდებიც.

არანაკლებ საყურადღებოა იმერეთის დახატვა ალექსანდრე თრბელიანის მიერ პოლიტიკის ჭრილში. ამ თვალსაზრისით უაღრესად საგულისხმო თხზულებაა „აღამამადხანის შემოსვლა ქ. ტფილისში“. საუბარია იმაზე, რომ ერეკლემ კრწანისის ომამდე იმერეთიც გაიერთა. როგორც ცნობილია, ოფიციალურად იმერეთი ქართლ-კახეთის სამეფოს არ შეერთებია, ამ „გაერთებაში“ იგულისხმება ის სამხედრო გადატრიალება,



რომელიც იმერეთის სამეფო კარზე მოეწყო და რომლის ძალითაც 1790 წელს იმერეთში ერეკლე II-ის შვილიშვილი, სოლომონ II-დ წოდებული, დავით არჩილის ძე გამეფდა. სხვათა შორის, იმავე წელს იმერეთიდან დესპანები მოსვლია ქართლ-კახეთის მეფეს და დაიდო კიდევ „ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“, რომელიც ითვალისწინებდა ქართლის, კახეთის, იმერეთის, ოდიშისა და გურიის გაერთიანებას საერთო მტრის წინააღმდეგ. ექვსი მუხლისგან შემდგარ ტრაქტატს ხელს აწერდნენ მეფე ერეკლე, დედოფალი დარეჯანი, კათალიკოსი ანტონი და ვიცე-კანცლერი სოლომონ ლიონიძე. ამ დესპანებზე საუბრობს ალექსანდრე ორბელიანი სხვა თხზულებაში („დალისტნიდგან ლეკების გამოსვლა ახალციხეში“).

„აღამამადხანის შემოსვლაში“ ომის წინ მეფე გამოთქვამს იმედს, რომ სოლომონი იმერეთიდან 10 000 მებრძოლს შემოაშველებს. ალექსანდრე ორბელიანის თქმით, ათი ათასი ვერა, მაგრამ სამი ათასი კაცი ნამდვილად ჩამოვიდა იმერეთიდან საბრძოლველად. ისინი გადამწყვეტ ჟამს ჩაერთნენ ომში, თავდადებით იბრძოლეს, დიდი ერთგულება გამოიჩინეს და ერეკლეს იმედი გაამართლეს თურმე. მეფეს უბრძანებია:

„ჩემო სოლომონ! რაც შენ და შენმა იმერლებმა ვაჟკაცობა გამოიჩინეთ, მეტი ვაჟკაცობა აღარ იქნება. მართალია, კარგა იმერლები დაგვაკლდა, მაგრამ საუკუნო სახელი კი დაგრჩათ“ (ორბელიანი 2023: 29). ამ სიტყვებით, ამ მაძლობით გამოუსტუმრებია მეფეს შვილიშვილი ქალაქში, თუმცა სიფრთხილით მაინც აყრის ბრძანება დაუბარებია დედოფალთან და ქალაქელებთან. დიდი ოსტატობით არის აღწერილი, როგორ არ იჯერებენ თბილისში დარჩენილები აყრის აუცილებლობას, როგორი იმედი აქვთ მეფის უძლეველობისა.

საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ, ნაწარმოების მიხედვით, სოლომონ მეფე მხოლოდ მოტყუებითა და მზაკვრობით გააბრუნეს იმერეთში. საქართველოს მტრებმა კი ხალხში ხმა გაავრცელეს, „იმერლებმა გვიღალატეს, თორემ ამ დილით მახარობელი არ მოგვივიდა, რომ აღამამადხან აიყარა და საჩქაროთ წავიდაო?“ (ორბელიანი 2023: 34). მწერალი დასაბუთებულად უარყოფს ამ ბრალდებას. იმერელთა ერთი ნაწილის ღალატია ნაჩვენები აკაკი წერეთლის პოემაში „კიკოლას ნაამბობი“. ალექსანდრე ორბელიანის მტკიცებით კი, იმერეთს ერეკლე მეფისთვის და, მაშასადამე, საქართველოსთვის, არ უღალატია. მოხდა სამწუხარო გაუგებრობა. ამინდმაც (საშინელი ნისლი ყოფილა იმ დღეს, 11 სექტემბერს თბილისში) თითქოს საგანგებოდ ქართველთა საწინააღმდეგოდ, მტრის გამარჯვებას შეუწყო ხელი.

იმერეთის (საქართველოს სხვა კუთხეებისა) განსაკუთრებული იმედი ჰქონდათ 1832 წლის შეთქმულებს. თეიმურაზ ლორთქიფანიძე, ძმები ჩიჯავაძეები, წერეთელი... ალექსანდრე ორბელიანმა დაიახლოვა, გაანდო მათ მომავალი აჯანყების გეგმა და ისინიც აქტიურად ჩაერთნენ ბრძოლისათვის სამზადისში.

სავარაუდოდ, იმერეთის როლი და ადგილი შეთქმულებაში და შემდეგ დაგეგმილ, მაგრამ განუხორციელებელ აჯანყებაში გაცილებით უფრო

მასშტაბური უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეს დაკითხვის მასალებიდან ჩანს. „როგორც სხვა ბევრი რამის დაფარვა მოახერხეს შეთქმულთ, უეჭველია, რომ აქაც ბევრი რამ დამალეს“ (გოზალიშვილი 1935: 71). იმერეთის შეთქმულებს, როგორც ჩანს, თეიმურაზ ლორთქიფანიძე მეთაურობდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა 1819-20 წლების იმერეთის აჯანყებაში, ხოლო დამარცხების შემდეგ გაქცეულა. 1831 წელს თბილისში მყოფს გაუცნია შეთქმულების მეთაური ალექსანდრე ორბელიანი და მისგან დავალებებიც მიუღია. ამის შესახებ დაწვრილებით წერს თამაზ ჯოლოგუა (ჯოლოგუა 2023: 313).

უფრო ნაკლები ვიცით ძმები ჩიჯავაძეებისა და წერეთლის შესახებ, თუმცა დაკითხვის ოქმებში მათი გვარების გაელვებაც მრავლისმთქმელია.

1820 წელს ახალგაზრდა ალექსანდრე თავის ბატალიონთან ერთად გაემგზავრა იმერეთის „დასამშვიდებლად“, – როგორც თვითონ წერს. ჯერ კიდევ იუნკერი, ემორჩილებოდა, ცხადია, მეთაურის ბრძანებას. თუმცა, როგორც ჩანს, რამე განსაკუთრებული აქტიურობა ბრძოლაში არ გამოუჩენია. აკი ამ აჯანყების მონაწილე ლორთქიფანიძეს უმეგობრდებდა 10-11 წლის შემდეგ და ანდობს შეთქმულთა საიდუმლოს. ამ ადამიანების სულიერი კავშირი შეუძლებელი გახდებოდა, ალექსანდრე ორბელიანს რომ იმერლები ჰყოლოდა დახოცილი.

ავტობიოგრაფიულ თხზულებებში, ჩვეულებრივ, დაწვრილებით აღწერს ხოლმე ლაშქრობებში მონაწილეობას. მხოლოდ იმერეთში ყოფნას იხსენებს ერთი წინადადებით. უფრო ის ეჩქარება, მოყვეს, დაბრუნებულს რა სასიყვარულო თავგადასავლები გადახდა. მგრძნობიარე გულის პატრონი მთლიანად სიყვარულს შეუპყრია. ფაქიზი სულიერი სამყარო იმითაც მყდავნდება, რომ მთელი სიცოცხლე აწუხებდა, უდიდეს ცოდვად მიიჩნევდა და ინანიებდა იმას, ერთხელ, ომში ერთი ჩეჩენი რომ შემოაკვდა. იმერეთიდან დაბრუნების შემდეგ მალე ცოლი შეირთო და საერთოდ უარი თქვა სამხედრო სამსახურზე. არ იყო კაცის კვლა ალექსანდრე ორბელიანის საქმე. გზნებასა და აღფრთოვანებას მხოლოდ სამშობლოს მტრის წინააღმდეგ ომი თუ მოჰგვრიდა...

და უყვარდა ფანატიკურად ერთიანი საქართველო, გამორჩეულად მაინც იმერეთი. იმერეთის ხსენებაზე სიამოვნების ღიმილი მოერეოდა, „ძალიან მომწონს იმერეთი და მიყვარს იმერლები! ქართველობა ჯერ კიდევ იქ უფრო წმინდად არის შენახული“, – წრფელად უმჟღავნებდა აკაკი წერეთელს გულისნადებს...

---

**დამოწმებული ლიტერატურა**

- გოზალიშვილი 1935: გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტომი I. თბილისი, 1935.
- ევგენიძე 1982: ევგენიძე ი., ქართული რომანტიზმის საკითხები. თბილისი, 1982.
- ორბელიანი 2023 ა: ორბელიანი ა., ადამაჰმადხანის შემოსვლა ქ. ტფილისში, თხზ. სრ. კრებ. ხუთ ტომად, ტომი III. თბილისი, 2023.
- ორბელიანი 2023 ბ: ორბელიანი ა., ივერიანელების გალობა, სიმღერა და ლიდინი, თხზ. სრ. კრებ. ხუთ ტომად, ტომი II. თბილისი, 2023.
- ქსიმ: ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, №569
- წერეთელი 2023 ა: წერეთელი ა., ფიქრები ბუხრის წინ, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი XIII. თბილისი, 2023.
- წერეთელი 2023 ბ: წერეთელი ა., უკანასკნელი პასუხი, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი XIII. თბილისი, 2023.
- წერეთელი 2023 გ: წერეთელი ა., ორი შეხვედრა, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი XIII. თბილისი, 2023.
- ჯაგოდნიშვილი 1986: ჯაგოდნიშვილი თ., ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან. თბილისი, 1986.
- ჯოლოგუა 2023: ჯოლოგუა თ., შენიშვნები და კომენტარები, ა. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტომი V, თბილისი, 2023.



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8044>

ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული რომანის  
„თოვლი მკათათვეში“  
ენობრივ-შემოქმედებითი სამყარო

**Elguja Tavberidze's biographical novel  
„Snow in the Month of the Harvest“ Linguistic-Creative**

**თამილა ზვიადაძე**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Tamila Zviadadze**

Sokhumi State University  
Georgia, Tbilisi

**აბსტრაქტი**

მხატვრული ტექსტის ღირებულება მასში ვერბალიზებული იდეის მკითხველისათვის ადეკვატური მიწოდების ეფექტურობით განისაზღვრება. ეფექტურობის საფუძველი კი ენაა.

ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული რომანები საინტერესოა არა მხოლოდ იდეურ-მხატვრული კონცეფციის, ავტორისეული ხედვის თვალსაზრისით, არამედ იმ ენობრივ-სტილისტიკური თავისებურებებით, რაც ქმნის ავტორის ინდივიდუალურ ხელწერას.

რომანი „თოვლი მკათათვეში“ თავდა აშორდას მიერ მეგრული ანბანის შესაქმნელად გაწეულ „ღვაწლზე“ მოგვითხრობს. მასში წარმოდგენილია მეტად საინტერესო დოკუმენტური მასალა – ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილის, თედო ჟორდანიასა და სხვათა პუბლიცისტური წერილები, პამფლეტები. წიგნის ავტორს მიზნად აქვს საზოგადოებრივი აზრის განვითარების ჩვენება და დანახვა იმ წინააღმდეგობისა, რაც თავდა აშორდასა და ძმათა მისთა უკუღმართობამ წარმოშვა.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რა ენობრივი რესურსით ახერხებს მწერალი საკმაოდ რთული ეპოქის დახატვას, ცნობილ ადამიანთა წარმოჩენას ისე, რომ საინტერესო მხატვრული სახეები შექმნას, დოკუმენტური მასალა რომანად შეკრას და მკითხველზე გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინოს.

კვლევამ აჩვენა, რომ ელგუჯა თავბერიძის ენობრივი სტილისათვის დამახასიათებელია:

- ზეპირსიტყვიერებისათვისნიშანდობლივფორმათავარიანტულობა, ბუნებრივი, სალაპარაკო ენასთან მაქსიმალურად მიახლოებული, მაგრამ აზრობრივი აქცენტების გადანაწილებით გამდიდრებული ენა;

- გამოთქმათა მოდელის კონსტრუირება, რაც უზრუნველყოფს კონტექსტის შესაბამისად აღქმას;

- მრავალფეროვანი ირონიის ლინგვისტური მახასიათებლები: ორიგინალური შედარებები, რომლებიც იქმნება -ვით თანდებულისან სახელთა საშუალებით, მეტაფორულად გადააზრებული ფრაზები, განსხვავებულად აგებული წინადადებათა კონსტრუქციები.

მნიშვნელოვანია მათი არა მხოლოდ აღნუსხვა, არამედ სტილისტიკური ფუნქციის დადგენა.

საკვანძო სიტყვები: ელგუჯა თავბერიძის რომანი „თოვლი მკათათვეში“, მწერლის ენობრივი სამყარო, ლექსიკა-ფრაზეოლოგია.

#### ABSTRACT

The value of an artistic text is determined by its ability to effectively convey the verbalized idea to the reader. The foundation of this effectiveness lies in language.

Elguja Tavberidze's biographical novels are intriguing not only from an ideological-artistic standpoint and the author's vision but also due to their linguistic-stylistic features that define the author's unique style.

The novel «Snow in the Month of the Harvest» chronicles the contributions made by Tada Ashordia to the creation of the Megrelian alphabet. It presents compelling documentary material such as publicist letters and pamphlets from figures like Ilia, Akaki, Jacob Gogebashvili, Tedo Jordania, and others. The author's aim is to illustrate the evolution of public opinion and the opposition stirred by Tada Ashordia and his associates.

It is crucial to examine the linguistic resources employed by the writer to depict a challenging historical era, to portray prominent figures in a manner that brings out their artistic depth, to integrate documentary material seamlessly into a novel, and to captivate the reader.

Research has shown that Elguja Tavberidze's linguistic style is characterized by:

- Varied significant forms of oral communication, utilizing language that is as natural and spoken as possible, yet enriched with a redistribution of conceptual emphasis.

- Construction of utterances that ensure the appropriate perception of context.
- Linguistic features incorporating diverse irony: original similes created through adverbial nouns, metaphorically nuanced phrases, and uniquely structured sentence constructions. Understanding these features is essential not only for recognition but also for determining their stylistic function

**Keywords:** „Snow in the Month of Harvest“, a novel by Elguja Tavberidze, the writer’s linguistic world, vocabulary-phraseology.

ბიოგრაფიული რომანი დოკუმენტურ პროზას განეკუთვნება და თავისი სპეციფიკა გააჩნია. როგორც პ. ჩხეიძე შენიშნავს: „აქ მწერლის წარმოსახვა ფართოდ ვერ გაშლის ფრთებს, სიზუსტე მოეთხოვება და, რაც უფრო ბევრი რამაა ცნობილი პროტაგონისტზე, რაც უფრო ახლოსაა ჩვენს დროსთან, მით უფრო ეზღუდება ავტორს წარმოსახვა. სწორედ აქ ცდილობს მწერალი მწერლად დარჩეს და ისტორიკოსად არ გადაიქცეს“ (ჩხეიძე 2017ა).

ელგუჯა თავბერიძე შენანიშნავი მთხრობელია. მახვილგონივრულია მისი ფრაზები, დასკვნები, ქვეტექსტები. ბევრი ცოდნა, განცდა, მოგონებაა ჩადებული წიგნში. ვერ ვიტყვით, რომ ყოველთვის სიმშვიდით გადმოსცემს ამბავს – ზოგჯერ ცხარედ, ექსპრესიულად, მაგრამ თანმიმდევრულად, უამრავი ნიუანსის გათვალისწინებით გვამცნობს ცალკეულ დეტალს. თავმოყრილი ინფორმაციის ერთი მისხალიც არ ემეტება დასაკარგავად, ამიტომაც არის წიგნი ინფორმაციული, საინტერესო, უამრავი სიახლის მაცნე.

მწერლის მიზანი გასაგებია – მხატვრულ ქმნილებად უნდა აქციოს ის, რაც შეიძლება მხოლოდ „ისტორია ყოფილიყო, დროებითი ცოდვა-დანაშაული, ტრაგიკული ეპოქის ერთ-ერთი ამრეკლავი და მხოლოდ მწარე ღიმილით მოგვეგონებინა რუსეთის იმპერიის ეს გავემებული და მიზანსწრაფული მცდელობა ქართული ენობრივი ცნობიერების დარღვევისა, სამეგრელოს მოგლეჯას რომ მოინდომებდნენ სამშობლოსაგან, ამ ღრმადქართული მხარისა, მისი ისტორიული ფესვები ქართული მოდგმის დასაბამშივე რომ დამკვიდრებულა მტკიცედ და მძლავრად“ (ჩხეიძე 2017ბ);

ავტორს საკუთარი ენობრივი სპეციფიკა გააჩნია. იმ ენობრივ რესურსს ეყრდნობა, რომელიც მხატვრული ეფექტის მისაღწევად სჭირდება, სხვაგვარად ვერ დააინტერესებს მკითხველს – მშრალად მოწოდებული დოკუმენტური მასალა არ აღიქმება მხატვრულ ნაწარმოებად. ბიოგრაფიული რომანის ავტორის მისია ამადაც არის რთული.

ელგუჯა თავბერიძის რომანი ისეთი სტილური ექსპრესიითაა შესრულებული, რომ ერთი შეხედვით მოსაწყენი ამბებიც საინტერესოდ იკითხება, რადგან ავტორს არასოდეს ღალატობს იუმორის გრძნობა. მისი



ენა ლაღი, ბუნებრივი, სალაპარაკო ენასთან მაქსიმალურად მიახლოებული, მაგრამ აზრობრივი აქცენტების გადანაწილებით გამდიდრებული ენაა. სტილური თავისებურებები იმაშიც მჟღავნდება, როგორ შეუძლია ავტორს ამბავი ხან აღმატებულად, ხანაც ირონიით შეაფასოს და ცოცხალი, შეიძლება ითქვას, ცინცხალი სასაუბრო ენის მასალა გამოიყენოს ამისათვის.

მწერალი განწყობილების შექმნას იწყებს სათაურიდან, რომელსაც ევალება ნაწარმოების არა მხოლოდ თემაზე, არამედ ავტორის პოზიციაზე, ჟანრის თავისთავადობაზე მინიშნება.

ქართველთა შორის ცქირის მოძებნა არ გასჭირვებია მტერს. აშორდია რუსეთის იმპერიის მიერ დაფინანსებული და შეგულიანებული, იანოვსკის საგანმანათლებლო პოლიტიკის განმახორციელებელი გახლდათ. იანოვსკი მეგრელთა მოსარჩლედ, ვითომდა მათზე გაბატონებული ქართველების მოწინააღმდეგედ ასაღებდა თავს. სინამდვილეში „გაქნილ პოლიტიკოსს, საქართველოს დაქუცმაცებით რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების განხრციელება უნდოდაო, – გვამცნობს მწერალი, – გარედან მოსულმა მტერმა შინაური მოძებნა, წრე შეიკრა და თადას შედგენილი მეგრული ანბანი რუსული იმპერიული პოლიტიკის გამტარებლებმა სათავისოდ გამოიყენეს – მეგრელები დანარჩენ ქართველთაგან განსხვავებულ ხალხად გამოაცხადეს“.

აშორდია ეშმაკს სულმიყიდული, ხალხისა და ქვეყნის მოღალატე იყო, მისი ანბანიც მთავრობის ხარჯით გამოიცა და მთავარმართებლის სტამბაში დაიბეჭდა. ბუნების მახინჯმა ქმნილებამ მზის სინათლე იხილაო, – წერს ბატონი ელგუჯა და ეს აღრვეის, ბუნების წესის გაუკუღმართებად მიაჩნია, ამადაც მიუცია წიგნისთვის სახელწოდება – „თოვლი მკათათვეში“. როგორც შესავალში აღნიშნავს: „ათასში ერთხელ ხდება, ქვეყნიერებას გზაკვალი აერევა, მკათათვეში გათოვდებაო“.

ეს არის რომანი-პამფლეტი, რომელიც მამხილებელი ფორმით დასცინის იმ საზოგადოებრივ მანკიერებას, უკუღმართობას რომ უწოდებს ავტორი და, რა თქმა უნდა, კონკრეტულ პირებს, მათ შორის მთავარს – თადა აშორდიას, რომელიც თავისი საქმეებით მართლაც ჰგავდა მკათათვეში მოსულ თოვლს.

საინტერესოა ქვეთავთა სახელწოდებებიც:

„ზეობითი აზარმაცი“, „რომლითაც უძრავი იძვრის, ურყევი ირყევა და უშენი შენდება“, „ეშმაკის გზა“, რომელიც თადა აშორდიას უკუღმართობაზე მიგვანიშნებს. რომანის სტილი ჟანრიდან გამომდინარეობს. ეს არის გამჭვირვალე ირონია, რომელიც გასდევს მთელს ნაწარმოებს. ცხადია, ირონია აღწერილი სიტუაციებიდან ამოიზარდება, ეს სიტუაციები კი განსაკუთრებით მრავლადაა წიგნში. ირონიის ენობრივი გამოხატულება ძირითადად ლექსიკა-ფრაზეოლოგიით ხორციელდება. ნიშანდობლივია ცნობილი სახელების სტრუქტურული მოდელების ნიუანსობრივი ცვლილებებით, სიტყვათა თუ ბგერათა ჩანაცვლების საშუალებით მიღებული ლექსიკური ერთეულები. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მეტსახელები, რომელთა შორისაა ე. წ. ანტიგამონათქვამები. მაგალითად, თადაწავაზი (ფარნავაზის ანალოგიით) – აშორდიას მეტსახელი. მეგრელებს

ახალ ფარნავაზად, ახალ მესროპად მოველინაო, – დასცინის ავტორი. ეს თაღნაგავი იგივე ქვიშის თოკის მგრეხავია, ჭკუით გლახა, ჭაობის ვირთხა, მიწის ლუკმა, ქვებუდანა...

შინაარსობრივი მხარის გამოკვეთის, ემოციური ზემოქმედების გაძლიერების მიზნით მოხმობილი ცნობილი გამონათქვამებით შეზავებული მეტყველება უფრო ემოციურია, აძლიერებს ირონიას და ექსპრესიულობისათვის გამოიყენება.

„ყოველ ალფაბეტს მხოლოდ მაშინ ექნება აზრი და მნიშვნელობა, როდესაც იგი სასულიერო და საერო ლიტერატურის გასაღებს წარმოადგენს... სხვაგვარად რომ ვთქვათ, ალფაბეტი გასაღებია, ხოლო ლიტერატურა – ბოქლომი. რა საჭიროა გასაღები, თუ ბოქლომი არ არსებობს?!“ – კარგად იცოდა ეს იაკობ გოგებაშვილმა, იცოდნენ სხვებმაც, მაგრამ ისიც არ ავიწყდებოდათ, „არაერთი ეკალი რომ დათესილა ეშმაკის ხელით“. ეშმაკის გამონახვა კი არც ახლა გასჭირვებიათ. თადა ამორდია თავს არ ზოგავდა მეგრული ანბანის შესაქმნელად – „ეშმაკის გზაზე ახტომ-ჩახტომა ქუდბედად დაჰყოლოდა“.

მხატვრული სახეების გამოხატვაში უდიდესი მნიშვნელობისაა – ვით თანდებულნიან სახელების როლი, როცა ხდება რომელიმე თვისებაზე ხაზგასმა: „ქანდარაზე ფარშევანგივით შემოსკუპებული გაფუყული ინდაურივით იმზირებოდა“; „უცებ მოვარდილ წვიმასავით თუ ტყიდან გამოვარდნილი ნადირივით გამოტყვრა“; „რას მიყურებ ატუჩასავით“, „ორშაბათის ყენივით დავაჭერინებ ხელში ხმალს“ და სხვ.

ასევე, სემანტიკურად გადააზრებული ფრაზებიც: „სანამ გინდა ცარიელი აკვანი არწიო“; „ჩამოსახრჩობ თოკს არ ანდობს კაცი“; „ჭინჭარი შენს თონეში“; „ახოს ბოლოში გასვლა“; „იმპერია გვექარბორბლება“ ...

ამორდიას უვიცობას, გაუნათლებლობას, სიბრიყვეს რომ ხაზი გაუსვას, ავტორი მას „ბრძნულად“ ამეტყველებს: „მეგრელები ქართველებზე მრავალრიცხოვანი ერიაო – იჭაჭებოდა თურმე. ისტორიული უკულმართობაა, რამდენიმე მილიონ მეგრელს ერთი მუჭა ხალხი გვაჯდეს თავზე. ქართველებიც მშვენივრად ხვდებიან ჩვენს სხვადასხვაობას, მაგრამ ზღვაზე ვერ ამბობენ უარსო, ქართველებმა დაგვივიწროვეს მოქმედების ფარგალი, ზღვას არ გვითმობენ, ხმელეთს გვეცილებიან. მეგრული ენა დამოუკიდებელი და ქართულზე ძველი ენაა, ამის გამო მას მეტი უპირატესობა უნდა ჰქონდეს, ვიდრე ქართულს“...

უფრო მეტიც: „ხმას თუ არ ამოვიღებთ, მეგრელობასა და სამეგრელოს ფარზე არ ავზიდავთ, გაგვაქართველებენო“; „ენა გვაქვს, დამწერლობა რატომ არ უნდა გვექონდესო?“

ბევრი ასეთი ბრიყვული აზრი ხმიანდება თადას პირით.

ეშმაკის გზაზე შედგომაა, აბა რა!

მაგალითები ისეთი მოჰყავს ამორდიას, გამეორება რომ შეგრცხვება. ავტორი კი რაც შეიძლება მეტს ალაპარაკებს. მიზანი გასაგებია – უფრო კარგად უნდა წარმოჩნდეს სიბრიყვე და უგუნურობა, გამოაშკარავდეს მისი აზრის უკულმართობა.

გვამშვიდებს ის, რომ უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავდა თადა აშორდიას თვით სამეგრელოში. დასცინოდნენ, ემუქრებოდნენ, წყევლიდნენ, სცემდნენ კიდეც. ლავრენტი წულაძემ დაუწერა: ცნობილი „ლინგვისტი“ აშორდია აპირებს მეგრულ ენაზე მეგრული ასოებით გამოსცეს გაზეთი, რომელსაც „ნაყოფი უვიცობისა“ ერქმევაო. ყოველდღიურად გამოვა მხოლოდ ერთი ცალი, რამეთუ რედაქტორი, გამომცემელი, თანამშრომელი და მკითხველიც თვითონ იქნებაო.

აშორდიას უკუღმართობა კერძო მოვლენა იყო და არა საყოველთაო. ნიკო დადიანს ამადაც დაუწუნებია სამსონ ყიფიანის პათოსი: „ვინმე გადაგვარებული ოდიშარინახა და ყველა მეგრელი მითანა მახინჯის წბილის ნიმუშით აგვწონაო“. ზღვრის დადება აუცილებელია და შესანიშნავად ესმის ეს ავტორს, ამიტომაც არაერთხელ იმეორებს სამეგრელოს მკვიდრთა სად და გონივრულ მოსაზრებებს, აჩვენებს მათ დამოკიდებულებას.

ცხადია, ირონია აღწერილი სიტუაციებიდან ამოიზრდება, ეს სიტუაციები კი განსაკუთრებით მრავლადაა წიგნის იმ ნაწილში, სადაც ავტორი ე. წ. მუნჯური მეთოდის შესახებ გვიყვება. იმგვარ ეპიზოდებს ურთავს, რომლითაც ხაზი ესმება სახასიათო შტრიხებს ისე, რომ შეუძლებელია, ცხადად არ წარმოიდგინო და დაინახო. არაერთგზის გვსმენია სწავლების ამ მეთოდის შესახებ, თუმცა მწერალი ისეთი ექსპრესიით გადმოგვცემს გრიგოლ აბაშიძის (იგივე შროშანის) მონათხრობს ამ სიბრიყვეზე, ვერცერთი მეცნიერული დასაბუთება ვერ შეედრება. ვგულისხმობთ მუნჯური მეთოდის თავგადაკლული გუშაგის – თევდორე თევდოროვის ცდებს. ერთ-ერთი ასეთი ცდის დროს სიტყვები: „დედა“, „გზა“, ვირი“ უნდა აეხსნა თურმე მუნჯურად. ამ უკანასკნელის მისახვედრად ჯერ ხელებით დიდი ყურები გამოუსახავს, მერე დაუყოყნებია და ტლინკებიც აუყრია.

„ყოყნაობა შვენივლია, ტლინკებიც უხდებოდაო“, – დასცინის ავტორი, თან ბავშვებს თანაუგრძნობს – მიხვდნენ, მაგრამ მოერიდათ თქმა, როგორია, ვირს ვირი რომ დაუძახო, არადა ცოდნაც როგორი მისაჩქმალა?

საოცრად მეტყველ მაგალითებში სათანადო ქვეტექსტიც იკითხება: სამივე სიტყვა ერთგვარ რკალს ჰკრავს – ვირებისა და დედაუბედურებისათვის გზა უნდა ეჩვენებინათ!

თევდოროვისა და ძმათა მისათვის გზის ჩვენება გასაგებია, მაგრამ შინაური სად გაეშვათ? და წიგნის ერთ-ერთი თავის სათაურად კოწია დადიანის ფრაზა ხმიანდება: „წადით, შორს წადით!“ სად უშვებდა, თვითონაც არ იცოდაო, – ამბობს ავტორი. არადა, როგორ ოცნებობდა კოწია, ვირზე უკუღმა შეესვა და მოუსავლეთში მიებრძანებინა აშორდია: „როგორ ვერ წავაწყდები მეგრელების ამომგდებ თადას, რამდენი თვეა, ვდარაჯობ. ვნახავ, ორშაბათის ყეენივით დავაჭერინებ ხელში ხმალს (თუმცა მამაპაპისეული ხმალი წასაბილწად არ ემეტება), ჯორზე შევსვამ, ხმლის წვერზე ვაშლს წამოვაგებ, ჯორს მის დამქაშ ჯოტო კორტახიას წავუძმლოლებ



და მთელ სამეგრელოს შემოვატარებო.“ და აქ გვახსენდება კოწია დადიანის კიდევ ერთი სურვილი, რომელიც ელგუჯა თავბერიძის სხვა ბიოგრაფიულ რომანში („მარშალი და მარშლის შვილი“) ხმიანდება: სტუმრად მოსულთა და მასპინძლადქცეულთა თავიდან მოსაცილებლად „გოთურმანის“ თამაში რომ ეოცნებება: „თათრებთან მათამაშა და იმ მინუტში გამცხებია სულიო“ (თათრებს ამბობს და რუსებს გულისხმობს) (თავბერიძე 2016: 10).

„გოთურმანის“ გახსენებას „აუხდენელი ნატვრა და პასიური სევდა მოჰყვება“. სიტყვა სტილისტიკურად მარკირებულია – მისი სიმბოლური კოდი, ცხადია, თავისუფლებასთან ასოცირდება და ჟღერს, როგორც ლაიტმოტივი, რომელმაც უნდა გადაანაწილოს სიმბოლური ინფორმაცია.

წიგნი სოციოლინგვისტიკისთვისაც საინტერესო მასალას შეიცავს, რადგან თვალნათლივ აჩვენებს, როგორი იყო ენობრივი პოლიტიკა მაშინდელ საქართველოში.

ასე რომ, ელგუჯა თავბერიძის რომანი საინტერესოა როგორც თემატიკის თვალსაზრისით, ასევე, ენობრივად. აქ ნებისმიერი სიტყვათშეთანხმება თუ დიალოგი ბუნებრივი, სასაუბრო ენითაა გადმოცემული და თავისი გულახდილობით შთამბეჭდავი. ცოცხალი ენობრივი წიაღიდან მწერალი საოცრად ლაკონურ, ემოციური შეფერილობითა თუ აზრობრივი დატვირთვით გამორჩეულ ნიმუშებს ირჩევს და ოსტატურად იყენებს მათ მხატვრულ პოტენციალს. მწერალი ქმნის ეთნოკოლორიტს. ცოცხალი სასაუბრო ენისათვის დამახასიათებელი ლექსიკური თუ ფრაზეოლოგიური ერთეულებით, რომელიც დიალექტს შემოუნახავს, ექსპრესიულად გადმოიცემა მთავარი სათქმელი. იმერული დიალექტისათვის დამახასიათებელ „სიტყვა-გამოთქმათა თანწყობაში ჩნდება გასაოცარი სტილური მომხიბვლელობა“.

#### დამოწმებული ლიტერატურა

ზვიადაძე 2017: ზვიადაძე თ., „სჯანი“. თბილისი, 2017.

თავბერიძე 2016: თავბერიძე ე., მარშალი და მარშლის შვილი. ქუთაისი, 2016.

თავბერიძე 2017: თავბერიძე ე., თოვლი მკათათვეში. ქუთაისი, 2017.

ჩხეიძე 2017 ა: ჩხეიძე პ., ნოველები რომანისათვის,

<https://luarsabi.wordpress.com/2017/09/26> (დამოწმება 12.01.2024).

ჩხეიძე 2017 ბ: ჩხეიძე რ., წინათქმა ელგუჯა თავბერიძის წიგნისა „თოვლი მკათათვეში“. ქუთაისი, 2017.



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8045>

**ინტერფერენციის საკითხები იმერეთში მცხოვრებ  
დევნილთა მეტყველების მიხედვით**

**Interference Issues in the Speech  
of IDPs Living in Imereti**

**თამილა ზვიადაძე**

**მარინა კაკაჩია**

**ქეთევან მარგიანი**

სოხუმის ახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

**მარინა ჭღარაკაძე**

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

**Tamila Zviadadze**

**Marina Kakachia**

**Ketevan Margiani**

Sokhumi State University

Georgia, Tbilisi

**Marina Jgharkava**

TSU Arnold Chikobava

Institute of Linguistics

Georgia, Tbilisi

**აბსტრაქტი**

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მეტყველებამ ოცდაათი წლის განმავლობაში ცვლილებები განიცადა. ჩვენი კვლევის საგანს სწორედ ინტერფერენციის საკითხების შესწავლა წარმოადგენს. აფხაზეთიდან დევნილთა მეტყველების თავისებურებათა დაფიქსირება, აღნუსხვანალიზი ასეთი მასშტაბით ჯერ არ ჩატარებულა. კვლევები ხორციელდება საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც დევნილთა მეტი რაოდენობაა კომპაქტურად ჩასახლებული. ამჯერად იმერეთში, კერძოდ, წყალტუბოში მცხოვრებ დევნილთა მეტყველების თავისებურებებზე შევამჩერეთ ყურადღება.

აღსანიშნავია, რომ წყალტუბოში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილთა უმრავლესობა თავის დროზე ლეჩხუმიდან იყვნენ გადასახლებულები, ამიტომაც მათ, ბუნებრივია, თან მოჰყვა ლეჩხუმური კილოსთვის დამახასიათებელი სამეტყველო თავისებურებები.

აფხაზეთის ლეჩხუმელთა მეტყველებაში უხვადაა წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დარგობრივი ლექსიკის დიალექტური ნაირსახეობანი. გამოიყოფა არქაული ფენაც (დიალექტიზმებად გააზრებული), ეთნოგრაფიული თავისებურებების ამსახველი ლექსიკა, რუსული ენის ზეგავლენით დამკვიდრებული ფორმები, ზანიზმები. ეს ყველაფერი კი მეტად საინტერესო სურათს იძლევა. რა თქმა უნდა, მოსახლეობამ ლეჩხუმური დიალექტი შეინარჩუნა, ასევე, შეისისხლხორცა აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი ნიუანსებიც; დევნილობისას კი ამას დაემატა თავისებურებები, რომლებიც გაჩნდა იმერულთან ურთიერთობისას.

ინტერფერენციულობით ხასიათდება აფხაზეთიდან დევნილ სვანთა მეტყველებაც, რომელზეც დაკვირვებამ ცხადყო, რომ ერგატივს აქ ისევე, როგორც ენგურის ხეობის სვანურში, ახასიათებს როგორც ოდენ საკუთრივ მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტებით წარმოება, ასევე ორ- და სამფუძიანობაც კი.

აფხაზეთიდან დევნილთა მეტყველების აღნუსხვა და ენათმეცნიერული კვლევა აქტუალურია სახელმწიფოებრივად, ფასეულია ლინგვისტურად, საინტერესოა მეცნიერული (ქართველოლოგიური) ასპექტით. აღსანიშნავია, რომ ჩაწერილი ტექსტები შეიცავს ენობრივი ანალიზისათვის მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას. ზოგიერთი ფორმა არ დასტურდება ძირ დიალექტში. ტექსტების შეკრება და ყველა იმ ცვლილების აღნუსხვა, რაც დიალექტში დროის გარკვეულ მონაკვეთში გაჩნდება, შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს დიალექტის ცვლილებების შინაგანი ტენდენციები.

გაირკვა, რომ აფხაზეთიდან დევნილთა მეტყველებაში ერთმანეთს ერწყმის სხვადასხვა ენობრივ-დიალექტური მოვლენა, რაც მეტყველებას ინტერფერენციული იერსახის მატარებელს ხდის. განსხვავებული ენობრივ-დიალექტური კოდისათვის დამახასიათებელი ნიშნების ზედდება ანუ ინტერფერენცია – ერთი რომელიმე ენის ან დიალექტის მეორეზე ნებისმიერი ზემოქმედება ხშირად არაკონტროლირებადი პროცესია. რა თქმა უნდა, აქტიურად გამოყენებული ენა თუ დიალექტი უფრო ადვილად მოქმედებს მეორეზე.

ემპირიული ენობრივი (დიალექტური) მასალის ანალიზის საფუძველზე პუბლიკაციაში მეტ-ნაკლები სრულყოფილებით არის წარმოდგენილი კვლევის შედეგები და პასუხები შემდეგ კითხვებზე:

1. რა განაპირობებს ინტერფერენციულ ცვლილებებს, რა ფაქტორები იწვევს პროცესს;
2. როგორია ინტერფერენციის მასშტაბები;
3. რა გზით, როგორი ფორმით მკვიდრდება დევნილთა მეტყველებაში ლექსიკური და გრამატიკული ნასესხობები;

4. როგორია ინტერფერენციული თუ სხვა ტიპის ენობრივი ცვლილებების დინამიკა.

საკვანძო სიტყვები: იმერეთში მცხოვრებ დევნილთა მეტყველება, აფხაზეთიდან დევნილთა ენობრივი ინტერფერენცია, დიალექტური ლექსიკა.

#### ABSTRACT

Over the past thirty years, significant changes have been observed in the speech of the population displaced from Abkhazia. Our research focuses on studying interference issues, a topic that has not been extensively researched before in terms of recording and analyzing the speech peculiarities of IDPs from Abkhazia. The research was conducted in regions of Georgia where a large number of IDPs are densely settled. This study specifically investigates the speech characteristics of IDPs living in Imereti, particularly in Tskaltubo.

It is important to note that the majority of displaced persons from Abkhazia now residing in Tskaltubo were originally from Lechkhum, bringing with them the distinct speech peculiarities typical of the Lechkhum dialect. The speech of Lechkhum people from Abkhazia prominently features dialectal variations in household and economic sector vocabulary. Additionally, it includes an archaic layer (understood as dialectal archaisms), vocabulary reflecting ethnographic features, forms influenced by the Russian language, and local idioms, painting a fascinating linguistic portrait. Over time, these IDPs have preserved the Lechkhum dialect while incorporating nuances characteristic of the speech of Georgians living in Abkhazia. During their displacement, further peculiarities emerged through interaction with the Imereti region.

The speech of Svans displaced from Abkhazia also exhibits interference characteristics. Observations reveal that the ergative structure, similar to that found in Svan dialects of the Enguri valley, manifests with its own narrative style and formants, including bi- and even tri-basicality.

The study of the speech of IDPs from Abkhazia and its linguistic analysis holds national significance, provides valuable insights from a linguistic perspective, and is scientifically intriguing from a Georgian standpoint. Notably, the recorded texts contain crucial information for linguistic analysis, revealing forms not attested in the root dialect. The collection and analysis of such texts over time enable the identification of internal dialectal trends.

It is evident that the speech of displaced individuals from Abkhazia integrates various linguistic and dialectal elements, resulting in a distinct interference phenomenon. This overlay of characteristics from different language and dialectal codes represents an often uncontrolled process of influence, where one language or dialect can easily influence another.

Based on the analysis of empirical linguistic (dialectal) material, this publication presents research findings that address the following questions comprehensively:



1. What factors contribute to interference changes?
2. What are the levels of interference?
3. How do lexical and grammatical borrowings manifest in the speech of IDPs?
4. What are the dynamics of interference and other types of language changes?

**Keywords:** Speech of refugees living in Imereti, language interference of refugees from Abkhazia, dialect vocabulary.

უკვე 30 წელია, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა გაფანტულია საქართველოს კუთხეებში. ბუნებრივია, ამ ხნის განმავლობაში იძულებით გადაადგილებულთა მეტყველებამ განიცადა ოდნავი ან მნიშვნელოვანი ცვლილებები. პროექტი, რომელზეც ჩვენი ჯგუფი მუშაობს, მიზნად ისახავს ამ ცვლილებების დაფიქსირებას, აღნუსხვასა და ანალიზს, რაც ჯერ მასშტაბურად არავის გაუკეთებია.

კვლევები ტარდება საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც დევნილთა მეტი რაოდენობაა კომპაქტურად ჩასახლებული. ამჯერად იმერეთში, კერძოდ, წყალტუბოში მცხოვრებ დევნილთა მეტყველების თავისებურებებზე შევჩერებთ ყურადღებას.

ქვემოიმერული დიალექტი, რომელიც იმერულის განშტოებას წარმოადგენს, მოიცავს წყალტუბოს, სამტრედიის, ხონისა და ვანის რაიონებს. ქვემო იმერეთის მოსახლეობა ეროვნული შემადგენლობით შედარებით უფრო ერთფეროვანია, რადგან ამ კუთხეს არც ადგილობრივების, არც უცხო ტომების მასობრივი მიგრაცია არ შეხებია.

აღსანიშნავია, რომ წყალტუბოში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილთა უმრავლესობა თავის დროზე ლეჩხუმიდან გადასახლებულები იყვნენ.

როგორც ბ. ჯორბენაძე მიუთითებს – წმინდა გეოგრაფიული პრინციპით, ლეჩხუმური, რა თქმა უნდა, ზემო ზონაში მოექცეოდა (რაჭულთან ერთად), მაგრამ არსებითი მნიშვნელობა აქვს საკუთრივ დიალექტოლოგიურ პრინციპს. ამ თვალსაზრისით კი ლეჩხუმური (ისტორიულადაც და ამჟამადაც) მეტ სახლოვეს იმერულთან (უპირატესად კი ქვემოიმერულთან) ამჟღავნებს (ჯორბენაძე, 1989: 494).

ლეჩხუმის მეტყველების განვითარება ორი ქართველური ენის (სვანური და ზანური) და ორი დიალექტის (ქვემოიმერული და რაჭული) მეზობლობაში, რა თქმა უნდა, განაპირობებს მის თავისებურებას, რაც აღნიშნული დიალექტური ერთეულის შესწავლის საკითხს ქართული დიალექტოლოგიის უმნიშვნელოვანეს ამოცანათა რიგში აყენებს. საინტერესო იყო დიალექტის შესწავლა არა მხოლოდ ლეჩხუმში, არამედ ახალშენებშიც, სადაც ლეჩხუმიდან გადასახლებულები ცხოვრობდნენ. სამწუხაროდ, როგორც იყო მათი მეტყველება ენობრივი გავლენების, ინტერფერენციის, დიგლოსია-ბილინგვიზმის მოვლენების თვალსაზრისით, შესწავლილი არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით პროფესორ

ოთარ მიქიაშვილის მიერ სოჭელი (პლასტუნკელი) ქართველების მეტყველებაზე დაკვირვებას, რომელიც აისახა კიდევ მის ნაშრომში (მიქიაშვილი 1986); აფხაზეთში მცხოვრებ ლეჩხუმელთა მეტყველების შესახებ კი სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ აქაურმა ქართველებმა შეინარჩუნეს ქართული ენა და რომ აქ ახალი დიალექტური ერთეული არ წარმოქმნილა (თოფურია 1963: 165).

ჩვენ პროექტის ფარგლებში ჩავიწერეთ იმერეთში მცხოვრებ დევნილთა მეტყველების ნიმუშები და შევეცადეთ გამოგვევლინა, თუ როგორ ერწყმის ერთმანეთს სხვადასხვა ენობრივ-დიალექტური მოვლენა, რაც მეტყველებას ინტერფერენციული იერსახის მატარებელს ხდის. განსხვავებული ენობრივ-დიალექტური კოდისათვის დამახასიათებელი ნიშნების ზედდება ანუ ინტერფერენცია – ერთი რომელიმე ენის ან დიალექტის მეორეზე ნებისმიერი ზემოქმედება ხშირად არაკონტროლირებადი პროცესია. რა თქმა უნდა, აქტიურად გამოყენებული ენა თუ დიალექტი უფრო ადვილად მოქმედებს მეორეზე.

წარმოვადგინოთ რამდენიმე ნაწყვეტს გაბმული თხრობის სახით ჩაწერილი ტექსტებიდან:

ნ. ჯ. – 57 წლის, სოფელი არადუ (ოჩამჩირე):

„არადუ ძირითადად ლეჩხუმიდან ჩამოსახლებულ მოსახლეობას ეკავა. ჩემები ცაგერის რაიონის სოფელ ზუმიდან გადმოუსახლებიათ. ჯანელიძეები იმერლები ყოფილან, წარმოშობით სოფელ გორდიდან. შემდეგ გადასულან სოფელ ზუმში. ცხოვრების თავიდან დაწყება ადვილი როდია, მაგრამ დასახლებულან, გამრავლებულან... გაუჭირდათ იქიდან წამოსვლა, თვალზე ცრემლით დაუტოვებიათ ლეჩხუმი.

ბეზიას ოჯახი უფრო ადრე ჩაუსახლებიათ აფხაზეთში. სიამაყით ამბობდა ხოლმე: მე 1915 წელს სოხუმში დაბადებული ქალი ვარო. ბეზიას მამა – დიდი ბაბუა ანტონი მღვდელი ყოფილა, მის შტოს ხუცისანებს ეძახდნენ თურმე. ნახევრად გაუვალი ტყე დახვედრიათ არადუში ჩამოსახლებულებს, მგლებითა და ტურებით სავსე... გაჩეხეს, იშრომეს, იწვალეს... ბევრი ჭირი ნახეს, სანამ წელს წამოიდგამდნენ.

კომფაქტურად იყო დასახლებაული ლეჩხუმლებით არადუ, ახალდაბა, ცაგერა, ლინდავა, კოჩარაც ნაწილობრივ. ცხოვრობდნენ კოპალიანები, ჩაკვეტაძეები, მამარდაშვილები, ცვარიანები, ასლანიკაშვილები, სალინაძეები, თუთისანები, ბენიძეები, ყურაშვილები, გოლეთიანები, კუხალაშვილები, ჯანელიძეები – ნაკლებად...

რა თქმა უნდა, მოსახლეობამ ლეჩხუმური დიალექტი შეინარჩუნა. ეს ისე იყო გამჯდარი ძვალ-რბილში, თუ გინდა, სისხლში, რა დაავიწყებდათ?! თვითმყოფადობა შეინარჩუნეს, თუმცა დიალექტმა სხვა ენების (რუსული, აფხაზური), ასევე მეგრულის გავლენა მაინც განიცადა. ამას მაშინ მივხვდი, როცა ლეჩხუმში ავედი, სოფელ ზუმში, სადაც ჩემი წინაპრები ცხოვრობდნენ. ტკბილად ჩამესმოდა იქაური დიალექტი, რომელიც გაცილებით ლამაზი აღმოჩნდა, ვიდრე – ჩვენი. ინტონაციაც სხვანაირი ჰქონდათ თითქოს... მივხვდი, რომ ჩვენთან, აფხაზეთში, ბევრი რამ უკვე შეცვლილი იყო. ახლა

აქ, წყალტუბოში ვცხოვრობთ და ისევ ავირიეთ – ლეჩხუმურ-იმერულით ვსაუბრობთ“.

ნ. მ. - 83 წლის:

„ჩემი დედიდან ვიცი ლეჩხუმური სიტყვები. მახსოვს ბევრი. ახალგაზდები არ ლაპარაკობენ ამ სიტყვებით, ჩვენ თუ შემოგვჩა. ლეჩხუმიდან აფხაზეთში რო ჩასულან, სხოკან ცხოვრება ძაან გაჭირებიათ – მიყობოდა დედაჩემი. სულ საქნარობდა, რაც მახსოვს. ეზო დაწკრიანლებული ქონდა, ბალახს რაღა გააჩერებდა, ხვართქლას ძირიანად ამოაკვანკვალეზდა, მორეთ ამოდება რო არ დაჭირებოდა. იმისანე გაჩისტული ქონდა ეზო-გარემო, ბდღვერსაც ვერ ნახავდი. უთენია დგებოდა, ეზოს ბოლოში, სახლის უკან ქონდა გადაღობილი, იქ იყო საქათმე, აქით რაღა გამოუშობდა ფრინველს! მოვსებულ ქათამს საბუდრეში შეიყვანდა, რო კვერცხი დაედო, პოპოცებს ფრთებს აჭრიდა, წიწილებს თხიპის წამალს დააღვევიებდა – აფერი არ ავიწყდებოდა. პურტყვი არ გვყავდა მაინდამაინ. ყველიზა კი გვყოფნიდა რძე. საგვაჯილეს ინახავდა დედაჩემი, გვიყვარდა ჩვენ გვაჯილი. ეგი იცით, რაია? – უმარილო, ფუმფულა ყველია, გადაზილული. ცოტას კი მოანცროვდა მარილს, თლა ცოტას, წყუთე არ უნდა იყოს. პური ჩვენ ქარხნული გვქონდა, მარა ბებეი კი იხსენებდა რაცხა კოტოტიან პურს, გომიჯებს ჯობდაო. მე არ ვიცი მაი რანაირია. დედაჩემი საჭმელსაც კაის აკეთებდა, კაი ბაჭბაჭას, აფერს არ დააკლებდა. ქერო ვატატყი ქალებია, იმათ კი არ გავდა! ბოსტანიც გქონდა, აპა? ლობიეც, ა, იმნაირი, აშენებულ ლობიოს რო ეძახიან, ხარდანზე როა. კოკორაჭა ლობიო -ბებეი ეძახოდა ასე. შავი და თეთრი როა -ჭრელი კიდო. მეიცა, რას უძახოდენ? – ფარდელიო. მე გოუქნელი მიყვარდა ლობიო, ახლაც მასე ვარ, პირშილი ქვია მაგას, ქერო მოხარშავ და არ გაქნი, ნიგოზი უხდება.“

მამაჩემიც კაი მშრომელი კაცი იყო. ცოტა ღვინო უყვარდა, მარა არავის აფერს უშავებდა. ხმას არ ოუწვევდა არავის. პატარა ვენახი ქონდა, ვენახი არ ერქვა თლა, მარა, კი ახარებდა თავის ჭიას. ჯიშები? კი არ მახსოვს ყველე. არა, უსახელოური არ იყო, მაგას სხვანეირი ადგილი და მიწა ჭირდება. ადესა გვქონდა, ცოლიკოური, კიდო ნაკუთნოური? არ ვიცი ზუსტად, შავი ყურძენი იყო, მრგვალი მარცვლები ქონდა. კაბისტონი გამიგონია მე ძველებიდან, ფაჩხატაც - თეთრი ყურძენია, მარა ჩვენ არ გვქონდა. ახლა იმდონი არ იყო ყურძენი, წიკვა რო დაჭირვებოდა, ისე კი ეხმარებოდენ ერთმანეთს მეზობლები. ლეჩხუმში ბურულიანი სახლი გვქონდაო, ყობოდენ ძველები, რომე და — წუმმა რო არ ჩამოსვლოდათ. აბა, თუ სახლიზა არ ვარგინხარ, ცოლი და შვილი მშიერი და ტიტველი გყავს და შენ ქე დაწიწინოფ აქით-იქით, რანაირი ოჯახის კაცი გქვია? დიდი ბაბუეი იმისანე მარჯვე კაცი ყოფილა, რომე ყიში არ გოუვიდოდა, სასახელო ნამდვილად, გზას გოუწალდავდა ადამიანს, იმისანე კი არა, ზოგს საქნარი რო ეზარება და გაგდებული აქვს კვინიხი თელი დღე. გაჭირვებიათ იქიდან წამოსვლა, მარა მერეთ კი იყვენ კმაყოფილი. ნეტაი ე ომი და უბედურება არ ყოფილიყო და...“

რ. კ. – 78 წლის:

სოხუმში რომ გადმოვედით, ჯერ ბინად ვიყავით, მერე შევიძინეთ



სახლი, მე-4 მიკრორაიონი ერქვა. აი, საბჭოს ქუჩა რო იყო, მერე კარლ-მარქსი დაერქვა, იმის იქით არაფერი არ იყო და 4 ახალი ქუჩა გაკეთდა: პერვია ნოვია - ჯგუზურის ქუჩა; ვტარაია ნოვია - მაიაკოსკის ქუჩა; ტრეტაია ნოვია - შერვაშიძის ქუჩა; ჩეტვიორტაია ნოვია - თარხნიშვილის ქუჩა. მე ვტარაია ნოვიაზე ვცხოვრობდი, ჯერ იყო ნომერ პიატ, მერე №12. ტურბაზაში ვმუშაობდი სოხუმში. რუსეთში მაშინ იყო ტურისტისთვის პროფსაიზები. ტურისტები სხვადასხვა კატეგორიის იყვნენ. ერთი წყება კანონიერად მოდიოდნენ. მეორე ჯგუფი იყო „დიკარი“, არავის არ უთანხმდებოდნენ იქ და აქ რო ჩამევიდოდნენ, მერე გვიკავშირდებოდნენ და მესამე - „სავსემ დიკარი“. ეგენი შეიკრიბებოდნენ, წამევიდოდნენ და მისით დადიოდნენ, სადაც უნდოდათ.

ერთხელაც ასე შეკრებილან ასულან მთაზე. დიდი ჩანჩქერია იქ, მერე - პატარა ტბა. ერთს უთქვამს, ზემოდან უნდა მოვუაროო და ასულა. იქ აშხეფებს წყალი, დოუცურდა ფეხი და კი ჩავარდა. დაიკარგა კაცი. გაგვაგებიეს ჩვენ. წევდით. მდინარე არ იყო ადიდებული, მორევში კარმანჩიკებია, აქ ხომ არის-მეთქი, ძლივს ვნახეთ. გაგმახე იმგენს, იქით რო იყვენ. ვქაჩაობთ, ვქაჩაობთ, ამოვქაჩეთ ძლივს...“

წყალტუბოში მცხოვრებ დევნილთა მეტყველებაში თავჩენილი მოვლენების საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რა შეინარჩუნა დიალექტმა და რა შეითვისა ახალი. ფაქტია, რომ დევნილთა მეტყველებაში შეიმჩნევა როგორც ლეჩხუმური დიალექტის, ასევე ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელი ფორმები, როგორც გრამატიკული, ასევე ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ხასიათისა. ამჯერად ლექსიკა-ფრაზეოლოგიაზე შევაჩერებთ ყურადღებას.

აფხაზეთის ლეჩხუმელთა მეტყველებაში უხვადაა წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დარგობრივი ლექსიკის დიალექტური ნაირსახეობანი. გამოიყოფა არქაული ფენაც (დიალექტიზმებად გააზრებული), ეთნოგრაფიული თავისებურებების ამსახველი ლექსიკა, რუსული ენის ზეგავლენით დამკვიდრებული ფორმები... რაც მეტად საინტერესო სურათს იძლევა. მაგალითად:

#### 1. დიალექტურად გააზრებული არქაიზმები:

ბადიმი - ორმოს პირი მოდებული; ლეჩაქი (ლაჩაქი) - თავსაბურავი; აკინჭილება - ცუდი საქმის დაჟინება; ბავლი - ქორისაგან პირველ-დაჭერილი ფრინველი, გამოიყენებენ ფრაზეოლოგიზმში: „ბავლი არ გაასხმევია“ - თავისუფლება არ მისცა, შებოჭა; ტოულო - ცხენის ფეხის მისაბმელი; გოროხი - გამხმარი, გამაგრებული მიწა, ბელტი; ბუჯერი - ქართული ენის კილოებში გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით. გურულში აღნიშნავს ცომის მოსაზელ დიდ გობს, ლეჩხუმურში - სახლის კუთხეში დატანებულ თაროს (მ. ალავიძე), შინაურ ფრინველთა ბუდის სახელიცაა, ქეგლ-ში განმარტებულია როგორც ჭურჭლეულობის დასაწყობი თარო სამზარეულო სახლში. ქ. მოწენიძის მიხედვით, ბუჯერი სამზარეულოში ნამზადის შესანახავია (მოწენიძე 1974: 63).

#### 2. ზანიზმები:

ბუნჩხა (ფუნჩხას) - ნამცეცი, ნაფშენი, ნაფხენი; ფურჩხოლუნს -

დამტვრევა, დამსხვრევა, დანამცეცება, დაფშვნა: „ხემა ქუსით ქიდოთანსინი, ირფელს დოფუნჩხოლუნს“ – ხელში რასაც ჩაიგდებს, ყველაფერს დაფშვნის (დამტვრევს). შდრ. ფინჩხა (გურ., იმერ.) – გამომცხვარი პურეულის ან ღომის ნაფშვენი, ფხვნილი, ნამცეცი (ლლონტი 1984: 544): ფინჩხა რაოდენობასაც (ძალიან ცოტას შეესაბამება) აღნიშნავს: ერთი ფინჩხა მჭადი; აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის თვალსაზრისით, ფუნჩხ//ფინჩხ ფუძე მეგრულში ნასესხებია აფხაზური ენიდან; ოჩკოჩე – ტყის კაცი; ოპორტყილე – სულელი; ოფორთხილე – მოუხერხებელი; ოჯმაჯური – უშნო საქციელის ადამიანი; ოხმახური – დიდი და მოუქნელი; ოზორდლილე – ტლანქი, მოუქნელი; ოროშა – ჭამით გაუმადლარი; ოძგვამბიე – უშნოდ მჭამელი და სხვ.

3. ლეჩხუმური დიალექტისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები:

ასაზია – გათხოვილი ქალის თავისახლობა (ლლონტი 1984: 41). გამოიყენებენ ზოგადად ოჯახის სინონიმად; ღუნწაპი – ძუნწი; ბაბანოური – თბილი; ბარძლი – უშნოდ სიარულის, დგომის, მოქმედების ადამიანი; ბაური (დათვი) – დიდი, რომ არ დაგზოგავს; ბაღლო – მსუქანი, მაგრამ ლამაზი; ბაღუნჩალა – ბუთქუნა; ბაჭბაჭა – გემრიელი, მსუყე, კარგად გაჯერებული; ბეთქეშა – დიდი და მსუქანი ადამიანი; ბლაყვი – მოუხერხებელი, უუნარო; ბოჟოლია – ტილი; ბოღოღიე – ობობა (ყველაფერი, რაც დალოღავს), ბოჟოჟოე – ჭიანჭველა; ბუსკუტი დარანა – მაღალი სიცხე; დაწილაკება – დაცალკეება; დახაშხაშება – კარგად გარეცხვა, გაქათქათება; მურთხი – შეუხედავი, მაგრამ მოხერხებული; ნაგერე – ნაწილი; ჩინჩილოზა – ჩია, პატარა, გალეული და სხვ.

4. რუსიზმები: ატკაზი – უარი; პერევაროტი – გადატრიალება; მინიმალი – მცირედი; ნააბაროტ – პირიქით; კადრაფი – საკადრო; ფროლაგოდი – მეფუტკრე; ვადაპადი – ჩანჩქერი; რომელი გოდა ხარ? – რომელ წელს დაიბადე? სვინაფერმა – ღორების ფერმა; ლაგერი – ბანაკი; ვეჩნი – სამუდამო; კანეშნა – რა თქმა უნდა, პასუდა – ჭურჭელი; დაჩნიკი – დამსვენებელი; ვიეზდნოი – სამგზავრო; რეგულიარნი ვაისკა – მუდმივი ჯარი; პრაგულკა – გასეირნება...

5. ფრაზეოლოგიზმები:

ერთი დაჯდომა მიწა – ძალიან პატარა ადგილი; ჭაჭების ჩაწყვეტა – დაღლა; ყვიცი ეტაკა – ძალიან მოენატრა; ოშოშეს დადება – ვინმეს დანაშაულის პირის გამომშვენება; ტიპარიკი ამოიკრა – უეცრად წავიდა, აიბარგა; ნაქი ამოიღო – დაიღალა, ძალა ბოლომდე დახარჯა და ბევრი სხვა...

6. ლექსიკური ერთეულები, რომლებიც აღარ იხმარებოდა აფხაზეთში მცხოვრებ დევნილთა მეტყველებაში, მაგრამ გაჩნდა იმერულთან ურთიერთობისას:

ოფსალო (ოფსილო) – ჭიდან წყლის ამოსაშრობი ტილო, ჯოხზე წამოცმული.

ხვინჭკა – წვრილი კენჭი. განმარტებულია სულხან-საბასთან: ხვინჭკა – წყალთ კენჭი (ორბელიანი 1993: 285); ღვინჭკა – წურილოვანი ქვა, კენჭი: „შთააგდის ბუდესა მას შინა ღვინჭკა ერთი მცირე (აბულაძე 1974: 601). დასავლურ დიალექტებში ძველი მნიშვნელობით გამოიყენება: ხვინჭკი (რაჭ.) – ქვის წვრილი ნატეხი (ლლონტი 1984: 751): ზემოიმერულში გვაქვს

ხვინჭკარო – ხვინჭკიანი: ქვიშა-შერეული მიწა (ძოწენიძე 1974: 511); ქობუდანი – ქვებუდანი (იმერ.) – ქვეშქვეშა;

ხინჩალი – ნაკლი, ზადი, ხინჯი (ძოწენიძე 1974: 514). ქვემოიმერულში იტყვიან, როცა გაწევ-გამოწევია, ხელჩართული ჩხუბი; ქიჩმაჩი – ფაცური; დაქიჩმაჩება – გადაჭარბებული მონდომებით საქმის დაწყება, დაფაცურება (იმერ.): ჟიჟმატი – ნიშნავს პატარას, წვრილს (მაგალითად, მარცვალი), იტყვიან წვიმაზე, როცა წვრილად ცრის (ქეგლ); გათარანება – გაცხელება, გაგარვარება; შიშხათი – იტყვიან წიწაკიან, კარგად შეზავებულ შეჭამანდზე, ძლიერ წვიმასა თუ ქარზე; კიზინი (დაკიზინება) – ცეცხლის ნელ-ნელა გაღვივება, დანთება (ღლონტი 1984: 290). კიზილი – ნელი ცეცხლი (ლექს.), კიზინობელა – მოკიაფე;

ფრაზეოლოგიზმები:

ჩიტი ვერ წამეისვენებს – ადგილი, სადაც არც ხეა, არც ბუჩქი; ჩიტი კურკანტელს ვერ გეიტანს – დაბურული, გაუვალი ადგილი; სამოყვრო გზა – დიდი მანძილია, შორსაა; თავში ყვაჭიჭე ამომიყვანა – მომაბეზრა თავი ამდენი ლაპარაკით; ჩემს ჭირს მიწაზე არ აგდებს – პატივს მცემს. ზრუნავს; ერთი შეწვი, მეორე მოხარშე – არცერთი არ უქნია ღმერთს; არ გავიდა უკანა კარში – გამოუსადეგარია, ვერ დაეყრდნობი; ააყუდა ყალიონი – მოკვდა; დაბმულ ქაჯს ააწყვეტინებს – შეუხედავია; თავის მობიძგვა – ზევიდან გაშრობა, მოხმობა; წინა კარში შევედი და უკანა კარში გამოვედი – წუთისოფელი ძალიან მალე გავლიე და სხვ.

ინტერფერენციულობით ხასიათდება აფხაზეთიდან დევნილთა სვანური მეტყველება.

სვანური ენის არქაულობისა და სირთულის შესახებ არაერთხელ მიუთითებიათ ქართველ თუ უცხოელ მკვლევართ. ეს სირთულე უკავშირდება როგორც თავად სისტემას, ისე ბრუნვის ნიშანთა მრავალფეროვნებას. მოთხრობითი ბრუნვა სვანურში გამოირჩევა ალომორფთა სიმრავლით და მათი განაწილების წესების სირთულით (ჭუმბურიძე 2007: 92). აფხაზეთიდან დევნილთა სვანურ მეტყველებაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ერგატის აქ, ისევე როგორც ენგურის ხეობის სვანურში, ახასიათებს როგორც ოდენ საკუთრივ მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტებით (-დ, -ემ) წარმოება, ასევე, ორ- (ვ-ემ, -ნ-ემ, -ა-დ) და სამფუძიანობაც კი (-ემ-ნ-ემ, -ემ-ნ-ემ-დ).

მხოლოდ ერთეულების სახით შეგვხვდა მუხვბე-მ-ნ-ემ („მმამ“), მარე-მ-ნ-ემ („კაცმა“) ტიპის მაგალითები. ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოდ გვეჩვენება ი. ჩანტლაძის თვალსაზრისი: ამ ტიპის მასალა სვანური ენის განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ქრონოლოგიურ სიბრტყეთა ამსახველი უნდა იყოს, რადგანაც იგი წარმოგვიდგება ნაირ-ნაირ პარადიგმატულ სისტემაში შემავალ კომპონენტთა ნაერთად (ჩანტლაძე 1998: 124).

აფხაზეთის სვანურ მეტყველებაში, კოდორულ ტექსტებში ვხვდებით თავად ერგატისეულ ორმაგ აფიქსაციას (-ემ-დ), რაც ენგურის ხეობის ზემოსვანურში დღეს შედარებით იშვიათია ნაცვალსახელთან და თითქმის უჩვეულოა არსებით სახელთან; სვანურში ეს მოვლენა შეიძლება არქაულობის გამოვლენადაც ჩაითვალოს, თუმცა ინტერფერენციულობაც



დასაშვებია:

ჩი-ემ-დ „ყველამ“ (შდრ. ჩი-ემ): ლიმზუბაზლ – ადუ, ჩიემდ ჟ'ოხსყედ (შდრ. ჩი-ემ) – „ძმობა“ (საძმო) – კი, ყველამ ჩამოვაყალიბეთ („გავაკეთეთ“);

ღერთ-ემ-დ „ღმერთმა“: ღერთემდ მაქდის, ლიმზირ-ლინჯრალ მამ მალტგნდღდს! (შდრ. ღერთ-ემ) – „ღმერთმა მაშოროს, ლოცვა-ვედრება [რომ] არ მიყვარდეს!“

როგორც ტენდენცია, შეიძლება შევნიშნოთ, რომ აფხაზეთიდან დევნილ სვანთა მემკვიდრეების (როგორც ბალსზემოური, ისე ბალს-ქვემოური კილოს წარმომადგენელთა) მეტყველებაში ბრუნების I ტიპი ცდილობს გაბატონებას. ფორმანტთა და ალომორფთა მრავალფეროვნების მიუხედავად, მოთხრობითი ბრუნვის დონიან ფორმებს აქ თითქმის ცალსახად ირჩევენ ორივე დიალექტის წარმომადგენლები. აფხაზეთური სვანური მეტყველების მიხედვით -დ ფორმანტიანი ერგატივი გვხვდება თითქმის ყველა ტიპის არსებით სახელთან, ზედსართავებთან (მეშხე-დ „შავმა“, კვლთხი-დ „მაღალმა“), რიცხვითებთან (სემი-დ „სამმა“, მე[ჭ] სგჟე-დ „მეექვსემ“), სახელზმნასთან (ლიჭჟდანი-დ „კითხვამ“, ლიმზირ-დ „ლოცვამ“, ლგგე-დ „აშენებულმა“, მგგემ-დ „ამშენებელმა“...

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აფხაზეთიდან დევნილთა სვანურში -ემ ფორმანტიანი მოთხრობითი, თუმცა ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება (ძირითადად ბალსქვემოური წარმოშობის რესპონდენტთა მეტყველებაში).

უთუოდ საყურადღებოა გარემოება, რომ, დონიანი ფორმების გაბატონების ტენდენციის მიუხედავად, -ემ ფორმანტი მყარად არის შემორჩენილი იდიომატურ გამოთქმებში: ღერთ-ემ მაქდის! – „ღმერთმა მაშოროს!“ ღერთ-ემ ჯასარგინას! – „ღმერთმა გაპატიოს!“ (შდრ. ღწრბეთ-დ ეჯას ძალა ლახვემ – „ღმერთმა იმას ძალა მისცა“), რაც მის არქაულობაზე მეტყველებს.

ინტერფერენციის თვალსაზრისით საინტერესოდ გვეჩვენება განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა მხოლოდ სვანურ მასალებში გამოვლენილი შემდეგი ფორმები: ერდვამ (შდრ. ერდვად) „ვინც“ („ვინცმა“), ერდ-ვა-ლ-ა-შ-ემ (შდრ. ერ-ვა-ლ-ე-დ) „ვიღაცამ“.

ინტერფერენციის თვალსაზრისით საინტერესოა გეოგრაფიულ სახელთა ანალიზი.

აფხაზეთიდან დევნილთა მეტყველების აღნუსხვა და ენათმეცნიერული კვლევა აქტუალურია სახელმწიფოებრივად, ფასეულია ლინგვისტურად, საინტერესოა მეცნიერული (ქართველოლოგიური) ასპექტით. აღსანიშნავია, რომ ჩაწერილი ტექსტები შეიცავს ენობრივი ანალიზისათვის მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას. ზოგიერთი ფორმა არ დასტურდება ძირ დიალექტში. ტექსტების შეკრება და ყველა იმ ცვლილების აღნუსხვა, რაც დიალექტში დროის გარკვეულ მონაკვეთში დაჩნდება, შესაძლებლობას იძლევა, განისაზღვროს დიალექტის ცვლილებების შინაგანი ტენდენციები.

### გამოყენებული ლიტერატურა

- აბულაძე 1972: აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი, 1974.
- თოფურია 1963: თოფურია ვ., ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები. თბილისი, 1963.
- მიზჩუანი 1989: მიზჩუანი თ., დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბილისი, 1989.
- მარგიანი 2010-2011: მარგიანი ქ., დალის ხეობის ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. VIII. თბილისი, 2010-2011.
- მარგიანი 2012: მარგიანი ქ., სვანეთის მიკროტოპონიმის ლექსიკური ანალიზი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართველური ონომასტიკა, ტ. V. თბილისი, 2012.
- მიქიაშვილი 1986: მიქიაშვილი ო., ქართული ენის დიალექტების ურთიერთშერევისა და ინტერფერენციის საკითხები. თბილისი, 1986.
- ქალდანი 1970: ქალდანი მ., დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში. იკე, ტ. XVII. თბილისი, 1970.
- ქეგლ 1950-1965: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბილისი, 1950-1965.
- ღლონტი 1884: ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.
- ჩანტლაძე 1998: ჩანტლაძე ი., ქართველოლოგიური ძიებანი. თბილისი, 1998.
- ცხადაია 1986: ცხადაია პ., სვანური სუბსტრატის საკითხისათვის სამეგრელოს ტოპონიმიაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი №122. თბილისი, 1986.
- ძოწენიძე 1974: ძოწენიძე ქ., ზემომერული ლექსიკონი, ქუთაისი, 1974.
- ხვისტანი 2018: ხვისტანი რ., კულტურული მემკვიდრეობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (მდინარე კოდორის ზემო წელი – ისტორიული მისიმიანეთი). თბილისი, 2018.
- ჯორბენაძე 1989: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I. თბილისი, 1989.
- Margiani 2018: Margiani K., Dali Gorge Linguoculturology, Interference, Ethnolinguistics (according to the speech of Kodori Gorge population) Materials of the III International Scientific-Practical Conference “Integration of the Scientific Community to the Global Challenges of our Time”, Volume I, Kyoto, Japan, 2018.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8048>

**იმერული ლექსიკონისათვის  
(ოკრიბული მეტყველების მიხედვით)**

**On Imeretian Vocabulary  
(According to Okribian speech)**

**მარიკა თედორაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი  
**თეონა მაჭავარიანი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Marika Tedoradze**

Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

**Teona Machavariani**

Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

**აბსტრაქტი**

სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის შესწავლისათვის მნიშვნელოვანია დიალექტებში დავანებული სიტყვაფორმების აღნუსხვა და შესწავლა. მით უფრო, დროთა განმავლობაში თანდათან დავიწყებას ეძლევა გარკვეული სიტყვები, რომლებიც ჩვენი ყოფა-ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

სტატიაში განვიხილავთ იმერეთში, კერძოდ, ორპირის თემში შემავალ სოფლებში ჩაწერილ საინტერესო სიტყვაფორმებს. მასალა ჩაწერილია აწუს-ს ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ამჟამად პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის) თანამშრომელთა მიერ 1993-1998 წლებში.

საანალიზო ლექსიკური ერთეულები შევუდარეთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა და სხვადასხვა დიალექტურ ლექსიკონებს. გაანალიზებული სიტყვების ნაწილი არ არის დაფიქსირებული ლექსიკონებში. მაგ.: აცხოკი (პატარა, მცირე); სამპორტყალა (სამწვერა, ერთგვარი ჯოხი); ფახუცა (ძლიერ დაკოჭლებული); ყურზა-მურზა (სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვები); წაჭინჭყალეული (შეზარბო-



შეზღუდილი); ნაწილი კი შეიძლება იყოს დადასტურებული ლექსიკონებში, მაგრამ განსხვავებული ფორმით ან სემანტიკით. მაგ.: გაღაღანებული (გამთბარი, გახურებული); გაბგრილებული (გაწვრილებული, კარგად მოწყობილი); დეიყურყუნა (ფრინველის ხმიანობა); კონტლები (პატარები, ერთმანეთის მიყოლებით); მორკოლავ (დაგეგმავ, შემოხაზავ)...

ცალკე გამოვყავით სიტყვები, რომლებიც დასტურდება სხვა კილოებში, თუმცა იმერულ დიალექტურ ლექსიკონებში არ არის აღნიშნული. მაგ.: მოჟღლიმო (მოსრესა, მოჭყლეტა); ნაკლე (ნაკლის მქონე); ნახო (ღომის ნარჩენი, ჩენჩო); სარაყუდა (მაღალი ადამიანი); ყვინტილოფს (თვლემს, ყვინთავს).

შედარებით ნაკლები რაოდენობით დადასტურდა უცხოენოვანი სიტყვაფორმები. ხშირია რუსული წარმომავლობის სიტყვები: პლატუკი (ცხვირსახოცი); რედისკა (ბოლოკი); ყუმუსი (თურქ.) (ნემომპალა).

საკვანძო სიტყვები: იმერული დიალექტი, ოკრიბული მეტყველება, დიალექტური ლექსიკა

#### ABSTRACT

Studying the lexical richness of the literary language necessitates identifying and analyzing word forms found in dialects. Moreover, with time, certain words gradually fade from memory, despite being integral to our daily lives.

This article explores intriguing word forms documented in Imereti, specifically within the Orpiri community. The data was collected by researchers from ATSU Kartvelian Dialectology Scientific-Research Institute (now known as the Scientific Research Center of Kartvelology named after Tariel Putkaradze) during 1993-1998. Analytical lexical units were compared with the explanatory dictionary of the Georgian language and various dialectological dictionaries.

Some of the analyzed words are absent from dictionaries, such as „atskhoki“ (small, tiny), „samportqala“ (three-headed, a kind of stick), „pakhutsa“ (heavily lame), „kurza-murza“ (various kinds of pebbles), and „tsachinkhalebuli“ (drunk). Some may be recorded in dictionaries but with different forms or meanings, like „gaghaghanebuli“ (warmed up, heated), „gadzgrialebuli“ (cleaned, arranged), „deiqurquna“ (sound of a bird), „kontlebi“ (small, equal to each other), and „morkolav“ (you plan, you circle).

We identified words confirmed in other dialects, though not mentioned in Imeretian dialectological dictionaries, such as «mozhlimo» (crushing, squashing), „nakle“ (faulty), „nakho“ (husks of ghomi, pods), «saraquda» (a tall person), and „qvintilofs“ (is sleepy, drowsy).

Foreign word forms were relatively scarce. Russian loanwords are notable, including „platuki“ (handkerchief) and „rediska“ (radish), and Turkish „qumusi“ (humus).

**Keywords:** Imeretian dialect, Okribian speech, dialect vocabulary.

სტატიაში განვიხილავთ იმერეთში, კერძოდ, ორპირის თემში შემავალ სოფლებში გამოყენებულ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც არ გვხვდება ლექსიკონებში, ან კიდევ განსხვავებული ფორმით თუ სემანტიკით დასტურდება. მასალა ჩაწერილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ამჟამად პროფ. ტარიელ ფუტყარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის) თანამშრომელთა მიერ 1993-98 წლებში. საანალიზო სიტყვები შევუდარეთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებსა და სხვადასხვა დიალექტურ ლექსიკონებს.

ჩვენ მიერ გაანალიზებული ლექსიკური ერთეულები პირობითად ოთხ ჯგუფში გავაერთიანეთ.

I. სიტყვები, რომლებიც გამოქვეყნებულ ლექსიკონებში არ ფიქსირდება. მაგალითად:

აცხოკი – პატარა, მცირე ზომის. „სად მუშაობდით, რას ვაკეთებდით, კაცო, სად გუქონდა ადგილები, აცხოკი ადგილები იყო პატარა“.

თითაფი – ფართო ფიცარი, რომელზედაც ახალდაბადებულ ბავშვს აწვენდნენ. „ჯერ აკვანში არ ჩააწვენდენ, ასე თითაფი იყო, ასე ამხელა ის, დააწუენდენ იმაზე და გარაკრავდენ. ფართე ფიცარი იყო ასეთე. თითაფს უძახოთ ჩვენ“.

სამპორტყალა – სამწვერა, ერთგვარი ჯოხი. „ჯერ უბრათ უნდა ადგე, უნდა დეიკავო სამპორტყალა ჯოხი ხელში. თან ძაფი უნდა ახვიო ზეთ“.

ფახუცა – ძლიერ დაკოჭლებული. „ძალიან რო დიდი კოჭლია და ძლივს მიაქუს ფეხი, იმას ფახუცა ქვია“.

ფეცეცხები – იგულისხმება ფრინველის (ქათამი, იხვი, ბატი...) ფეხები, ფრთები, თავი, კისერი. „ქე რო მართლა გამეიყვან ხელში, ასეთნაირა თუარა იქა ფეცეცხების და მერე ფეხების და ამგენის და იმგენის შეყოლება არ ვიცი არაფრის“.

ქოთქინოფს – წრიალებს, მოუსვენრობს. „ექვსი კვირა მარხვა იყო-და. მღვდელს ჭამა უნდა, ქოთქინოფს, მაჭმევს რაღაცასო“.

ყურზა-მურზა – სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვები. „მარტვე გარდანა აქ ასე ქვა და ა მეორე კედლიდან კიდო ქვა და შით ყრია ყურზა-მურზა ქვა და იგენი“.

შლამა-შლუმით – შხუილით. „ღელე იყო და წვეიდა თურმე შლამა-შლუმით ი, ხმაურით, იმისანა ხმაურით, რო ასე გეგონებოდა ღელე მიდის და მიაქ ქუეყანაო“.

ჩირილო – „საღორეს ირგვლივ ჩირილუები იყო, ჩირილოს ეძახდენ მას. ასე ახლა, ქუსლი რო მუატრიალო ტალახში, ხო ჩავა ის, იმას ქუიოდა ჩირილო“.

წაჭინჭყალეული – შეზარხოშებული. „ქალები აქეთ იყვენ, თავისი წადებული, წაჭინჭყალეული პატარა, ცოტა ღვინოთი“.

მოქხსნიტა – დაგაუძლურა, ძალა გამოგაცალა. „ალბათ გლახა თვალით შემოქხედა ვინმე და მოქხსნიტა“.

ხიხორი – აღნიშნავს შერეულ ფერს, კერძოდ, თეთრისა და ნაცრისფერის შერწყმას. „არი თეთრი და ნაცრისფერი. შეიძლება იქნეს

თეთრსა და ხიხორში გადასული“.

II. სიტყვები, რომლებიც დასტურდება სხვა კილოებში, თუმცა იმერულ დიალექტურ ლექსიკონებში არ არის ასახული:

მოჟღელმა – მოსრესა, მოჰყლეტა. „მაყვალა რომაა, თოთო მაყვალს, მოჟღელიმავ იმას, დაადევი იმას. ის ძაან უნდა მოჟღელიმო“. აღნიშნული ლექსიკური ერთეული ამავე მნიშვნელობით დადასტურებულია გურულში. შდრ.: ჟღელმა (გურ.) – სრესა „ამოჟღელმა სარეცხისა აგდებულად, უგულოდ ან უღონოდ გარეცხვა (ღლონტი 1974); სულხან-საბასთან გვხვდება ჟღულემა (ჟღვლემა), რომელიც „ავად ზელას“ ნიშნავს (ორბელიანი 1991); მოჟღელემ „სრესის, მოთელვის“ მნიშვნელობით დადასტურებული აქვს შ. ფუტკარაძეს „ჩვენებურების ქართულში“ (ფუტკარაძე 1993).

ნაკლე – ნაკლის მქონე. „თურმე ნაკლე შვილი გამოუდითო მერეო. ნაკლე შვილი, ნაკლე რაიმე, მიზეზიანი შვილი გამოუვაო“. ამავე ფორმით ფიქსირდება რაჭულ დიალექტში „უჭკუოს“ მნიშვნელობით (ვ. ბერ.) (ღლონტი 1974).

ნახო – ღომის ნარჩენი, ჩენჩო. „ამ ღომს მერე მოაშორებდენ ნახოს და ჩააბრუნებდენ ხელახლა ისევე იმ საცეხველ ქუაფში“. გურულსა და ხევსურულში ამავე მნიშვნელობით გვხვდება ნახორი. ხევს. ნახორი / ნაფხვერი – პურის ნამუსრევი; ნახორი (გურ.) – ღომის გაცეხვის შემდეგ დარჩენილი ქერცლები მარცვლისა (ს. ჟღ.) ნაცეხვის ანაბერტყი (სულხან-საბა) (ღლონტი 1984).

სარაყუდა – მაღალი ადამიანი (სარივით). „მაღალი ადამიანი, ზედმეტათ მაღალი, ესეი, სარაყუდა, ნორმაზე მაღალი“. შდრ. სარაყუდელა (ლეჩხ.) – უშნო, მაღალი კაცი, აყლაყუდა (ღლონტი 1974); სარაყუდა (ქართლ.) – აყლაყუდა (ბეროზაშვილი... 1981); სულხან-საბასთან აყლაყუდა განმარტებულია, როგორც ცხოელი, უშვერად მაღალი.

ყვინტილოფს – თვლემს, ყვინთავს „ზოქს ჩამეყვინთება, ზოქს – სკამზე და ზოქს – სტოლზე. ყვინტილოფს და ე, იციენ: როგორ ყვინტილოფს, ადექი, ქე მაინც დეიძინე ნორმალურათო“. შდრ. ყვინტილი (ზ.რაჭული) – თვლემა, ძილის მორევა (ღლონტი 1974); ყუნტალი (ზ.იმერ.) – აქეთ-იქით ქანაობა (მოწინიძე 1974).

III. ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც განსხვავებული ფორმა ან მნიშვნელობა უდასტურდება:

ამობუმბულდებოდა – ამოფუვდებოდა, ბუმბულივით გახდებოდა (ცომი). „მოვცომავედით თავარ ცომს მითი და ვაცხოზდით იმითი. ამობუმბულდებოდა პური“. შდრ. ბუმბულა – ბუმბულივით მსუბუქი/ამჩატებული (ქეგლ 1950).

გაღაღანებული – გამთბარი, გახურებული. „აქ ჩვენ ფერი გვიდგია ზამთარში, გამთფარია ეს, გაღაღანებულია ისე, რო ტიტველი მუშაოფს აქანა მუშა“. შდრ.: იმერულში ფიქსირდება ღაღანოფს, რაც „წითლად ელვარებას“ ნიშნავს (მოწინიძე 1974). სხვა ლექსიკონებში ღაღანი სხვადასხვა სემანტიკით გვხვდება. ღაღანი – ფერადი ციმციმი, ფერის ელვარება, ბზინვა, ხასხასი (ქეგლ 1962); ღაღანი (ქიზ.) – ღია, კაშკაშა ფერის გამოცემა (ს. მენტეშ.); ღაღანი (გურ.) – ქათმის კაკანი კვერცხის მოწყების წინ (გ. შარაშ.) (ღლონტი



1974).

**გამგრიალებული** – გაწკრივებული, კარგად მოწყობილი. დიდი სახლი გამგრიალებული სახლი არი“. ძგრიალი ლექსიკონებში განსხვავებული სემანტიკით გვხვდება. ძირითადად გამოხატავს რისამე ხმას. შდრ.: ძგრიალი მაგარ საგანთა (ქვის, რკინის...) ერთიმეორეზე ძლიერად მოხვედრის ხმა (ქეგლ 1964); ძგრიალი (გურ.) – ხმაური, გრიალი, ხრიალი; ვაშლის, მსხლისა და სხვ. ხიდან ნაყოფის ერთად ცვენა და მათი ხმა (ლლონტი 1974).

**დაილინდლება** – დარბილდება, დამწიფდება. „რო დაუწყებ აქიმობას, არ უნდა გადააცილო, შემდეგ დაილინდლება ის კარგად, დამწიფდება (ყურმენი)“. შდრ.: ღინდილი დასტურდება ინგილოურში „ღინცილის, უშნო, უგვანო ლაპარაკის, ლაზღანდარობის“ სემანტიკით (ქდვ: ღამბაშიძე 1988).

**დეიყურყუნა** – ფრინველის ხმიანობა (ხმაბაძვითი ლექსიკა). „მოლალური დევიანახე აგერ ი ჩემთან სხალზე და დეიყურყუნა და იმ წელიწად, თქენ ჯვარი ქწერიათ, შვილიშვილი დამელუპა ე ოჯახის; „ყუ! ყუ!“ ე, ასე იძახის“.

**დეგელალღოს/დეილიღება** – გაიღუნება/დაიღუნება. „ყურეფში დოუჭედეფ და დროებით, მიტან-მოტანის დროს არ დეგელალღოს, და ის კაი ჩაჯენილი თუ გაქ შიგ, ზუსტათ, მაინც არ დეილიღება ის“. საანალიზო ლექსიკური ერთეული ლექსიკონებში სხვადასხვა ფორმითა და მნიშვნელობით გვხვდება: ღლაღნა (გურ.) – ნელა, აუჩქარებლად ლაპარაკი (ლლონტი 1974); ღლაღნია (კახ.) – ჩანჩურა ადამიანი (ქდვ: მენთეშაშვილი 1943).

**დოუჯგუტიაყე** – დაუჩხვლეტიათ. „იმი ბოვშს დარიგვინებოდა კბილები, კვტებოდიო და... დოუჯგუტიაყე თლათ“. შდრ. დაჯგვენტა (ლეჩხ.) – დაჩხვლეტა; დაჯგენტული – დაჩხვლეტილი (ლლონტი 1974); ჯგუტური (იმერ.) – მომაბეზრებელი ღრიტინი (მოწენიძე 1974).

**კონტლები** – პატარები, ერთმანეთის მიყოლებით. „ეა, ამხელა ბოვშები მყავს ახლა, სუყველა ერთნაირი კონტლები, ამის ტოლები, ხო, შვილთაშვილები“. სიტყვაფორმა სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით გვხვდება იმერულ, ლეჩხუმურ და გურულ კილოებში. კონტილა (იმერ.) – ფიცრის პატარა ნაჭრები (მოწენიძე 1974); კანტი (ლეჩხ.) – კნაჭა, თხელი, გამხდარი, მჭლე (ლლონტი 1974); სულხან-საბასთან კანტი – მომცრო და მჭლე (ორბელიანი 1991).

**საინტერესო ლექსიკური ერთეულია მეკრებერი, იგივე მეკარე ბერი. მთქმელის განმარტებით, აღნიშნავს სამოთხის კართან მდგარ მთავარანგელოზებს: მიქაელსა და გაბრიელს. სიტყვაფორმას ოკრიბულ მეტყველებაში გამოიყენებდნენ საკურთხის დროს, როცა ოჯახის წევრი გარდაცვლილთა სულებს შეავედრებდა მთავარანგელოზებს: „მეკრებერიო იქო დაქვთებო და ის გაარჩევს ტყუილ-მართალსო, ასე გამიგონია; ღმერთო და მიქელ-გაბრიელ თავარანგელოზო, სამოთხის კართან მდგარო მეკრებერო, ბერის კოკორი ხუა ეგი, გეხვეწები და გევედრები, შეიწყალე და მიეხსენიე ამ ფუძეზე გარდაცხალებული“. შდრ.: მეკრე – კარის მცველი,**

მეკარე (ორბელიანი 1991); მეკარე, მეკრე – კარის მცველი (აბულაძე 1973).

შდრ.: ქ. მოწენიძე მეკრე-მეზაჟის პურს ასე განმარტავს: საკურთხის წინ გასაკეთებელი თავშეკრული ხაჭაპური, რომელიც დაუკურთხებლად უნდა იქნეს შეჭმული. საკურთხისათვის თავღია ხაჭაპურს სანამ გააკეთებ, მანამ უნდა გააკეთო თავდახურული ხაჭაპური, რასაც ეძახიან მეკრე-მეზაჟის პურს (მოწენიძე 1974). მეცნიერი ლექსიკონში ცალკე ერთეულად მეკრე-მეზაჟეს არ გამოყოფს და, შესაბამისად, არც განმარტავს.

მოტკვერა – მოჭყლეტა, მოსრისა. „კაკალი ლობიო იმავსქენით, მოვხრაკეთ გინდა ქინძი, გინდა ზეთში, კარგათ მოვტკვირეთ იმითინ“. ტკვერა ქეგლ-ის მიხედვით გამოიყენება „კვნიტის“ მნიშვნელობით (ქეგლ 1960); ტკვერა ამავე სემანტიკით დასტურდება იმერულსა და გურულში: ძალი ტკვერს ძვალს (ღლონტი 1974); ლეჩხუმურში გამოვლინდა სხვა ფონეტიკური ვარიანტითა და მნიშვნელობით. შდრ.: მოტკვეარვა (ლეჩხ.) – კვახის თესლის ან სხვა მარცვლის კეცზე შეწვა (ღლონტი 1974).

მორკოლვა – დაგეგმვა, შემოხაზვა. „სახს რო მორკოლავ პირველათ, ისეც კაი დღეზე უნდა მორკოლო. ესე იგი, რკოლეფს დაასოფ, მოგეგმავ და მერე ბალავერს გაჭრი“. ქეგლ-ის მიხედვით რკალვა სიტყვაფორმას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. რკალივით მოლუნვა. 2. გარს შემორტყმა, შემოზღუდვა (ქეგლ 1960).

ჟინჟღურა – ანთებული ჩირაღდანია. „ღამე მერე ჟინჟღურა ვიცოდით, თხილის ჯოხი, თხილის ჯოხი იყო დაგრეხილი, გამხმარი. ეს მარანში იყო დაკიდებული და მოუკიდებდენ ჟინჟღურას და მითინ გავაცილებდით გოგუფს“. შდრ. ჟინჟღი (იმერ.) – ანთებული კვარი (გაჩეჩილაძე 1976); ჟინჟღი (გურ.) = ჟინჟღი – ცოტა ოფლი; ჟინჟღილი (რაჭ.) – გულ-მკერდის შესამკობი; (ლეჩხ.) – ჩირაღდანია (ღლონტი 1984); სულხან-საბასთან ჟინჟღილი – სხვილი წნელი ორბელიანი 1991).

ტუნტური – უშნოდ ხელის ჩაყოფა რამეში. „შენი შეხებული სხვას ვის რათ უნდა, ან ჩემი შეხებული. ჩანგლები კი არა, ხელით ტუნტურობენ შით“. შდრ. რაჭული: ტუნტურავს – უეცრად ჩაკრავს ფეხს, ხელს რამეში (კობახიძე 1987); ტუნტული (ქართლ., იმერ., ქიზიყ.) – სიარული უდროო დროთი; ტანტალი, წანწალი; ძუნძული, გამუდმებით სიარული; ტუნტური (ფშ.) – 1. ხეტიალი, წანწალი, 2. მუშტის ქნევა მუქარით (ღლონტი 1974).

ჩოპანა – ტანდაბალი კაცი. „დაბალი, დაბალი კაცი ქჷია. ეე, ეგი, ჩოპანა ქვია. ჩოპანა კაციო. დაბალი კაცი – ჩოპანა კაცი“. შდრ. გურული ჩოფანო – უსახო, უტალკვესო, უფხო კაცი, მოუხეშავი, საბრალო, მოუხერხებელი კაცი, უქნარა, ლენჩი, ჩანჩურა, გაუთლელი (ღლონტი 1975).

წიმწიმი – რხევა, რწევა. „ასთე ასავალი და არი ბეწვი გამბული, რო გახედავ, მარა რამდონზე, ვორპირში რო გახვიდე, და წიმწიმოფს ასთე, წიმწიმოფს ასთე“. შდრ.: წინწილი (იმერ., გურ.) – გაწინწილებული, წვეტიანი; წინწილა (იმერ.) – მეტად ცივი, სუსხიანი, გამყინავი (ღლონტი 1974).

ხიოტი – მშრალი (იტყვიან ამინდზე). „ზამთარი თუ მოდის, წაბლი ბეჩრია და სოკო. თუ ესენი არ არი, ცოტა არი, ცოტა, ხიოტი ზამთარი იცის,

ესე იგი, შრალი“. შდრ.: ხიხოტი ფიქსირდება ქართლურში და ნიშნავს „მწირ, უნაყოფო ადგილს: (ქეგლ 1964); იმერ. ხიოჭი – გამხდარი, მჭლე (მოწენიძე 1974); ხიოჭი (იმერ.) – გამხდარი, ხორცშეუსხმელი; სუსტი (გაჩეჩილაძე 1976).

IV. შედარებით იშვიათად გვხვდება უცხოენოვანი სიტყვაფორმები. ხშირია რუსული წარმომავლობის სიტყვები:

პლატუკი (< *платок*) – ცხვირსახოცი (რუსულ-ქართული ლექსიკონი 1983). „ე ჯიხვის ყანწი ამხელაა, ტურზე რაფერ მიიყუდებდი, პლატუკი ჩეეგდო, პლატუკი შით“.

სტაქანი (< *стакан*) – ჭიქა (რუსულ-ქართული ლექსიკონი 1983). „ეხლა, სტაქანს ნახევარზე დეიყვანდა ხანდებან“.

სტუჩნი//შტუჩნი (< *штучный*) – ცალობით, ცალეული, ნაჭრობრივი (რუსულ-ქართული ლექსიკონი 1983). „ესე იგი, სტუჩნი პურის გული, ნაყიდი პურის გული უნდა ათქვიფო იმაში“.

რედისკა (< *Редиска*) – ბოლოკი (რუსულ-ქართული ლექსიკონი 1983). „ოხრახუში და სხვა რამე, რედისკა და იგენი კი და პრასი არა“. აღნიშნული ლექსიკური ერთეული იმავე მნიშვნელობით დადასტურებულია მეგრულში: რედისკა – ბოლოკი (ქაჯაია 2002).

თურქული წარმომავლობის სიტყვაა ყუმუსი – ნეშომპალა. „სილა უნდა იქნეს აუცილებლათ ყუმუსიანი. ყველა მდინარის სილა არ ვარგა. ყველა მდინარეების სილა არ ვარგა. ყუმუსი ნეშომპალაა ამაში უფრო და ამავე დროს ნალექიანი მიწა“. ყუმუსი თურქული წარმომავლობისაა: *Humus* – მპალა, ნეშომპალა, ჰუმუსი (თურქულ-ქართული ლექსიკონი 2001).

განხილული ქვემოთმეორული დიალექტური ლექსიკა ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ დიალექტებში, როგორც ცოცხალ, ბუნებრივ მეტყველებაში, დავანებულია საინტერესო სიტყვაფორმები, რომლებიც ლექსიკონებში არ არის აღნუსხული და სამეცნიერო საზოგადოებისათვის უცნობია. ასეთი მასალის მოძიება-აღნუსხვა და კვლევა უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ენის ლექსიკური ფონდის სრულყოფილი შესწავლისათვის.

#### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

აბულაძე 1973: აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი, 1973.

ალავიძე 1938: ალავიძე მ., ლექსუმური ლექსიკონი. ქართველურ ენათა ლექსიკა, I. თბილისი, 1938.

ალავიძე 1955: ალავიძე მ., მასალები ლექსუმური ლექსიკონისათვის. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XIII. ქუთაისი, 1955.

ახვლედიანი... 1959: ახვლედიანი გ., დათიკაშვილი ქ., ვაჩნაძე ს., თოფურია ვ., ლომთათიძე ქ., დოლობერიძე ნ., შანიძე ა., ჩიქობავა არნ., წერეთელი გ.,



- ქართულ-რუსული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი, 1959.
- ახვლედიანი... 1959: ახვლედიანი გ., დათიკაშვილი ქ., ვაჩნაძე ს., თოფურია ვ., ლომთათიძე ქ., ლოლობერიძე ნ., შანიძე ა., ჩიქობავა არნ., წერეთელი გ., ქართულ-რუსული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი, 1956
- ბერიძე 1912: ბერიძე ვ., სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. თბილისი, 1912.
- ბეროზაშვილი... 1981: ბეროზაშვილი თ., მესხიშვილი მ., ნოზაძე ლ., ქართლური დიალექტის ლექსიკონი. თბილისი, 1981.
- გაჩეჩილაძე 1976: გაჩეჩილაძე პ., იმერული სალექსიკონო მასალა. თბილისი, 1976.
- თურქულ-ქართული ლექსიკონი 2001: თურქულ ქართული ლექსიკონი, ლია ჩლაიძის რედაქციით, სტამბოლი, 2001.
- კობახიძე 1987: კობახიძე ალ., რაჭული დიალექტის ლექსიკონი. თბილისი, 1987.
- კუბლაშვილი 1985: კუბლაშვილი კ., ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი. თბილისი, 1985.
- მენტეშაშვილი 1943: მენტეშაშვილი ს., ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, 1943.
- ორბელიანი 1991: ორბელიანის.-ს., ლექსიკონი ქართული. ტ. I, თბილისი, 1991.
- ორბელიანი 1993: ორბელიანის.-ს., ლექსიკონი ქართული. ტ. II, თბილისი, 1993.
- ჟღენტი 1936: ჟღენტი ს., გურული კილო. თბილისი, 1936.
- როსტიაშვილი 1978: როსტიაშვილი ნ., ინგილოური ლექსიკონი. თბილისი, 1978.
- რუსულ-ქართული ლექსიკონი 1983: რუსულ-ქართული ლექსიკონი, სარედაქციო კომისია: გაგუა რ., ვაჩნაძე ნ., კაიშაური ლ., კობახიძე ა., ლომთათიძე ქ., მრევლიშვილი მ., საყვარელიძე ნ., თბილისი, 1983.
- სარჯველაძე 1955: სარჯველაძე ზ., ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი, 1955.
- სახოკია 1979: სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი, 1979.
- ფეიქრიშვილი 1992: ფეიქრიშვილი ჟ., მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა. ქუთაისი, 1992.
- ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი I, ბათუმი, 1993.
- ქართული ლექსიკონები: <https://www.ice.ge/liv/liv/kartlur.php> (დამოწმება: 15.09.2023).
- ქაჯაია 2002: ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II. თბილისი, 2002.
- ქეგლ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 8 ტომად. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი, 1950-1964.
- ღამბაშიძე 1988: ღამბაშიძე რ., ქართული ენის ინგილოური კილოს

ლექსიკონი. თბილისი, 1988.

დლონტი 1974: დლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. ტ. I, თბილისი, 1974.

დლონტი 1975: დლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. ტ. II, თბილისი, 1975.

დლონტი 1984: დლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. მეორე გამოცემა. თბილისი, 1984.

შარაშენიძე 1938: შარაშენიძე გ., გურული ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა, I. თბილისი, 1938.

ძოწენიძე 1974: ძოწენიძე ე., ზემოიმერული ლექსიკონი. თბილისი, 1974.

წერეთელი 1938: ზემოიმერული ლექსიკონი. ქართველურ ენათა ლექსიკა, I. თბილისი, 1938.

ხუბუტია 1969: ხუბუტია პ., თუშური კილო. თბილისი, 1969.

ჯაჯანიძე 1977: ჯაჯანიძე პ., გურული დიალექტი ტექსტები და ლექსიკონის მასალები, I. თბილისი, 1977.

იმერული მასალა: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 1993-1998 წლებში იმერეთის სოფლებში ჩაწერილი დიალექტური მასალა.

ქდვ: ქართული დიალექტური კორპუსი <http://www.corpora.co/#/> (დამოწმება: 10.09.2023).

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8047>

**კომუნიზმის მსხვერპლთა ასახვის სპეციფიკა  
საბჭოთა ფოლკლორში  
(იბერული ზეპირსიტყვიერი მასალის მიხედვით)**

**Specifics of Depiction of Victims of Communism  
in Soviet Folklore  
(According to Imerian Oral Material)**

**ეთერ ინსკირველი**

კავკასიის უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Eter Intskirveli**

Caucasus University  
Georgia, Tbilisi

**აბსტრაქტი**

საბჭოთა ხელისუფლებამ სათავეში მოსვლისთანავე სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ტრადიციულ საზოგადოებრივ წყობას და მასთან დაკავშირებულ ყველა სოციალურ ჯგუფს „კლასობრივი მტრის“ ბრალდებით ასამართლებდა. მტერი იყო ყველა, ვინც ანტისაბჭოთა და კონტრრევოლუციურ ელემენტად მიიჩნია საბჭოთა მთავრობამ. თავდაპირველად ამ ჯგუფში უყოყმანოდ მოხვდა სამეფო კართან დაახლოებული თავადაზნაურობა და სამღვდელოება; პოლიტიკური მარგინალიზაციის მომდევნო ჯგუფს სოციალ-დემოკრატების მენშევიკური ფრთა წარმოადგენდა და ბოლოს ხალხის მტრის ძიება ბოლშევიკებმა საკუთარ წრეებშიც დაიწყეს უკლონისტების სახით. პიროვნულ-პოლიტიკური შიდადაპირისპირებების პარალელურად გაღვივდა პოლარიზაცია გლეხობაში, რაც ე.წ. კულაკებისა და პროლეტარების კონფლიქტში გამოიხატა. ეს პრობლემა უშუალოდ ეხებოდა სოფელს და გლეხებს, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ თავისებური ასახვა ჰპოვა ზეპირსიტყვიერებაში.

ფოლკლორში კომუნიზმის მსხვერპლთა ასახვის სპეციფიკის კვლევამ გამოავლინა, რომ პროლეტარულმა საზოგადოებამ გაიზიარა სოციალისტური სამართლიანობის აღდგენის იდეა და წითელი ტერორის



მთავარი თეზისი. შედეგად, საბჭოთა ფოლკლორში გავრცელებულია „კლასობრივი მტრების“ მიმართ სიძულვილი. თუმცა ფოლკლორში თითქმის არ გვხვდება „ხალხის მტრები“, და თუ გვხვდება, ისიც მხოლოდ „კლასობრივი მტრის“ მნიშვნელობით. როგორც ჩანს, საზოგადოებისთვის ბოლომდე გაუგებარი გახდა სტალინური რეპრესიების არსი და არაპერსონიფიცირებული „ხალხის მტრების“ ცნება.

საკვანძო სიტყვები: ქართული საბჭოთა ფოლკლორი, იმერული ზეპირსიტყვიერება, „წითელი“ ტერორი.

#### ABSTRACT

As soon as the Soviet government came to power, it declared a fierce fight against the traditional social order and condemned all social groups connected with it as „class enemies“. The enemy was everyone whom the Soviet government considered an anti-Soviet and counter-revolutionary element. At first, the nobility and clergy close to the royal court fell into this group without hesitation. The next group to face political marginalization was represented by the Menshevik wing of the Social-Democrats. Finally, the Bolsheviks began to search for «enemies of the people» within their own ranks, labeling dissenters as Uklonists. Parallel to these personal-political internal conflicts, polarization was stirred up among the peasantry, manifesting in the conflict between the kulaks and the proletarians. This problem was directly related to the village and the peasants, so it is not surprising that it found expression in oral traditions.

The study of the specifics of the depiction of the victims of communism in folklore revealed that proletarian society shared the idea of restoring socialist justice and the main thesis of the Red Terror. As a result, hatred of «class enemies» is widespread in Soviet folklore. However, there are almost no depictions of «enemies of the people» in folklore, and if they do appear, it is only in the sense of class enemies. It seems that the essence of Stalinist repressions and the concept of impersonal «enemies of the people» became completely unclear to the public.

Keywords: Georgian Soviet folklore, Imeretian oral tradition, „Red“ terror.

როცა დამოუკიდებელ საქართველოში თანდათან საბჭოთა ეპოქის გადაფასება დაიწყო, ჰუმანიტარული მეცნიერებების მთავარი საზრუნავი ნაციონალური, ეროვნული იდენტობის მარკერების მონიშვნა და მათი წინა პლანზე გადმოწევა გახდა; კვლევებში მარქს-ენგელსისა და ლენინ-სტალინის შრომების მითითების ვალდებულება აღარ იყო და სოციალისტური რეალიზმის შესწავლაც სირცხვილად ითვლებოდა. ვითარება შეიცვალა 2000-იანი წლებიდან, რადგან ქართული მეცნიერების ყურადღების ცენტრში კვლავ მოექცა საბჭოთა ეპოქის კვლევები, როგორც საქართველოს უახლესი წარსულისა და ქართველი ერის მნიშვნელოვანი გამოცდილება. საბჭოთა ფოლკლორი კი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში დღემდე არ გამხდარა ფუნდამენტური შესწავლის საგანი. ნაშრომში საბჭოთა რეპრესიების პროპაგანდისტული დისკურსის კვალდაკვალ შესწავლილია საბჭოთა ფოლკლორში კომუნიზმის მსხვერპლთა ასახვის სპეციფიკა.

1917 წლის 25 ოქტომბრის გადატრიალების დღეს ხელისუფლების სათავეში მოსულმა მუშათა და გლეხთა დროებითმა მთავრობამ „სახალხო კომისართა საბჭოს“ (CHK PCΦCP) სახელწოდებით დაიწყო ქვეყნის მართვა. ის პეტროგრადში, სმოლნის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის შენობაში განთავსდა და საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფერო მოიცვა; სახალხო განათლებას, სოფლის მეურნეობას, შინაგან და საგარეო საქმეებს, ჯანდაცვას, თავდაცვას, რელიგიას და ა.შ. – ყველა დარგს თავისი სახალხო კომისარი (როგორც მინისტრი) ჰყავდა.

სახკომსაბჭოს საქმე და საფრთხე აურაცხელი ჰქონდა: პირველი მსოფლიო ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა; მენშევიკები და ესერები დანებებას არ აპირებდნენ; ადამიანები ქუჩაში კვლავ პურს ითხოვდნენ; ბედნიერი ცხოვრება არა და არ დადგა არც ხალხისთვის და არც ხელისუფლებისთვის. შინ თუ გარეთ კრიზისი მწვავედებოდა და ძალაუფლების დაკარგვის შიშიც ძლიერდებოდა, რადგან სმოლნის კაბინეტებში რუსეთის ყოველი მხრიდან შემოსული ზარები ანტისაბჭოთა პროტესტის შესახებ აუწყებდა მთავრობას. სწორედ ამიტომ 1917 წლის 7(20) დეკემბერს გადაწყდა, დროებით შექმნილიყო „სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია კონტრრევოლუციასთან და საბოტაჟთან ბრძოლაში“, რომელსაც დაევალა რუსეთის ტერიტორიაზე კონტრრევოლუციისა და დივერსიის მცდელობების ჩახშობა და აღმოფხვრა, დივერსანტებისა და კონტრრევოლუციონერების რევოლუციური ტრიბუნალისთვის გადაცემა, მათთან ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავება და ყველა განსახილველი საქმის წინასწარი გამოძიება (<https://specsluzhby-all.ru/sssr/vchk/?fbclid=IwAR0Tk0wvjdAcaS-UBCiHw6rZqTxTFWUZB98OfRHaBMlogQc cLRsUw0ewXe4>). ეს საქმე „რევოლუციის ცეცხლსა და მახვილს“ – ფელიქს ძერჟინსკის მიანდეს. კომისიის გრძელი სათაური კი მის ნამდვილ არსს რომ ნიღბავდა, მალე შემოკლდა და ხალხში ის დღემდე „ჩეკას“ სახელითაა ცნობილი.

თავიდან კონტრრევოლუციონერებად ძირითადად თავადაზნა-ურობა და ანტისაბჭოთა პარტიების წარმომადგენლები – მენშევიკები

და ესერები მოიაზრებოდნენ. ბოლშევიკების მთავრობის საშინაო პოლიტიკის გატარების შედეგად კი მათ რიცხვს სასულიერო პირები და კულაკებიც შეემატა. 1918 წლის 30 აგვისტოს ლენინზე თავდასხმის შემდეგ „მაგნე ელემენტების“ დიაპაზონიც გაფართოვდა და, შესაბამისად, ჩეკას ფუნქციებიც: ჩეკისტები უთვალთვალდნენ ყველას, ვისაც ერთხელ მაინც გადაეკვეთა საზღვარი, მოვაჭრეებს, თანამდებობის პირებს, რათა მათი დანაშაული გამოეაშკარავებინათ; შეიქმნა საიდუმლო განყოფილებები წითელ არმიასა და ფლოტში; მოწმდებოდა ყველა წერილი და დეპეშა, რკინიგზა და ხომალდი; ჩეკისტი უფლებამოსილი იყო, წინააღმდეგობის შემთხვევაში საეჭვო პირი ადგილზე დაეხვრიტა ან დაეკავებინა და რევოლუციური ტრიბუნალისთვის გადაეცა. სოფლად და ქალაქად სპეციალურად კონტრევოლუციონერებისა და დივერსანტების გასასამართლებლად შექმნილ სახელდახელო სასამართლოში, რომელთაც მუშათა და გლეხთა რევტრიბუნალებსაც უწოდებდნენ, ქვეყნის ყველაზე „საშიშ დამნაშავეებს“ 1917 წლის 22 ნოემბრიდან, ჩეკას შექმნამდე ორი კვირით ადრე, საჯაროდ ასამართლებდა რევტრიბუნალის კოლეგია - ადგილობრივი საბჭოს მიერ შერჩეული სამი პირი.

რუსეთის სამოქალაქო ომის (1917-1921)<sup>1</sup> დროს ბოლშევიკური მთავრობის უკიდურესად რადიკალური შიდაპოლიტიკური კურსი – „სამხედრო კომუნიზმი“ გულისხმობდა ეკონომიკის მართვის უკიდურეს ცენტრალიზაციას, მრეწველობისა და საბანკო სექტორის ნაციონალიზაციას, სახელმწიფო მონოპოლიას სოფლის მეურნეობის მრავალ პროდუქტზე, განსაკუთრებით პურზე, კერძო ვაჭრობის აკრძალვას, სამრეწველო მეურნეობის მილიტარიზაციას, პრინციპით – „ვინც არ მუშაობს, არ ჭამს“ – ბურჟუაზიისა და სასულიერო პირების იძულებით ფიზიკურ სამუშაოზე გაყვანას და სხვ. ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, მაინც „სასურსათო დიქტატურა“ იყო. გლეხობისგან ამოღებული პროდუქტით ხელისუფლება წითელი არმიის, წითელი ფლოტისა და ქალაქის მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფას გეგმავდა, მაგრამ მის ამ ნაბიჯს მკვეთრი წინააღმდეგობა მოჰყვა გლეხებისგან, რომლებსაც ერჩიათ, თვითონ გაეყიდათ საკუთარი მოწეული დოვლათი, ან დაემაღათ, ვიდრე სახელმწიფოსთვის ჩაებარებინათ მეხუთედ (1920 წ.) ან თუნდაც ნახევარ (1919 წ.) ფასად. „სასურსათო დიქტატურა“ სამოქალაქო ომის პერიოდში ქალაქსა და სოფელს შორის სავაჭრო ბრუნვის მკვეთრმა ვარდნამ გამოიწვია. ქალაქი ფაქტობრივად შიმშილობდა. ქალაქებისთვის საკვები პროდუქტების მიწოდების შემცირებამ კი ის შედეგი გამოიღო, რომ მშვიერი მოქალაქეების ხარჯზე ხელის მოთბობის მსურველმა მოვაჭრეებმა იმატა. შავ ბაზარზე ხორბალს ცეცხლის ფასი ედო. ჩნდებოდა განცდა, რომ შიმშილისგან თავის დაღწევა მიწასთან სიახლოვეთ იყო შესაძლებელი; ამიტომ ქალაქების

<sup>1</sup> რუსეთის სამოქალაქო ომს ზოგი მეცნიერი უშუალოდ საბრძოლო შეტაკებების მიხედვით ათარიღებს, რაც 1918 წლის გაზაფხულზე დაიწყო. ჩვენი აზრით, სამოქალაქო ომი დაიწყო ოქტომბრის რევოლუციისთანავე, როდესაც ანტისაბჭოთა პარტიები ჯერ მხოლოდ პოლიტიკურად იბრძოდნენ.



მკვიდრთსოფლებს მიაშურეს. თუმცა სოფლის მოსახლეობის მდგომარეობაც არასახარბიელო იყო: შეძლებული გლეხების მაკონტროლებლად შექმნილი რაზმები, ასევე უპოვართა კომიტეტები არა მხოლოდ უთვალთვალებდნენ, არამედ ძალისმიერი გზებით ასრულებდნენ დავალებებს და ტერორით მოიპოვებდნენ ხორბლეულს შეძლებული და საშუალო გლეხებისგან. უცებ სოფელში თავი მოიყარა ქალაქს გამორიდებულმა ბურჟუაზიამ, პირველი მსოფლიო ომიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა, ასევე, მილიციას გამოქცეულმა თეთრგვარდიელებმა და ანტისაბჭოთა პარტიების წევრებმა. აქ მათ დახვდა ბოლშევიკებზე განაწყენებული გლეხობა და სამღვდელოება. სახელისუფლო კრიზისმა ქალაქიდან სოფლადაც გადმოინაცვლა. მასთან გამოჰყვა „ჩეკა“ და შინსახკომი, მთელი თავისი აპარატით, სახალხო მილიციის და რევოლუციური ტრიბუნალის ჩათვლით. რუსეთში წითელი ტერორი დაიწყო (ოფიციალურად 1918 წლის 5 სექტემბერი).

წითელი ტერორის ინსტიტუციონალიზაციიდან რამდენიმე დღეში, 1918 წლის 22 სექტემბრიდან, კვირაში ერთხელ რუსეთის მოსახლეობა წითელი ტერორის სიახლეებს უშუალოდ ჩეკას პერიოდული ორგანოს საშუალებით იღებდა. სინამდვილეში „კონტრრევოლუციასთან და სპეკულაციასთან ბრძოლის საგანგებო კომისიის“ ყოველკვირეული, თითქოს საჯაროობისთვის განკუთვნილი ეს ჟურნალი ნამდვილ ტერორს ქმნიდა და შიშს აფუძნებდა ხალხში, რომელიც თავისი თვალთვლით კითხულობდა ჩეკას დადგენილებებსა და მოწოდებებს; ყველა ნომერში იბეჭდებოდა დახვრეტილი „კლასობრივი მტრების“ სია, პროპაგანდისტული სტატიები ე.წ. თეთრი ტერორის მავნებლობის შესახებ – კონტრრევოლუციონერთა მიერ ხიდების აფეთქების, შენობა-ნაგებობების გადაწვისა და უდანაშაულო ხალხის დახოცვის შესახებ... ჟურნალის დისკურსი მთლიანად მიმართული იყო ბოლშევიკების ვალდებულებასა და პასუხისმგებლობაზე, რომ თეთრი ტერორისგან დაეცვათ მოსახლეობა: „...ჩვენი ძვირფასი ბელადის, ამბ. ლენინის, დაჭრის შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ, ეს ტერორი გაგვხადა ნამდვილი და არ დაგვეტოვებინა ის ქალაქდზე. <...> ნუთუ გგონიათ, რომ ადამიანის საშინელი წამება უფრო არაადამიანურია, ვიდრე ხიდებისა და სურსათის საწყობების აფეთქება იმ მიზნით, რომ ამ მტანჯველ შიმშილობაში საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად მოკავშირე იპოვო?“ (Еженедельник №3/1918).

ჩეკას ჟურნალი კი მალე დახურეს (სულ ექვსი ნომერი გამოვიდა), მაგრამ ტერორი ამით არ დასრულებულა და სულ უფრო იდეოლოგიზებულ სახეს იღებდა. სამთავრობო გაზეთები პერიოდულად ახსენებდა ხალხს, რომ წითელი ტერორი პროლეტარიატის კეთილდღეობას ემსახურებოდა და ხელისუფლებასთან ტანდემში მყოფი საბჭოთა ხალხი თვითონ იყო მისი თანაშემოქმედი: „ჩეხოსლოვაკიის ფრონტის დროს ჩვენი ბელადების მიმართ მემარცხენე ესერებისა და თეთრი ტერორის აჯანყებისას საჭირო იყო მთელი მოსახლეობისთვის მოგვეწოდებინა, რომ იმათი თეთრი ტერორისთვის გვეპასუხა წითელი ტერორით. წითელი ტერორი სხვა არაფერი იყო, თუ არა უღარიბესი გლეხობის და პროლეტარიატის შეუდრეკელი ნების გამოხატულება, გაენადგურებინა ყოველგვარი ამბოხება ჩვენ წინააღმდეგ“ (Дзержинский 1947: 120).

საინფორმაციო ტერორი 1919-1920 წლებშიც გაგრძელდა. სამთავრობო პრესაში პერიოდულად ქვეყნდებოდა პირველი ჩეკისტის, ფელიქს ძერჟინსკის, ხელმოწერილი გადაწყვეტილებები შესაბამისი პროპაგანდისტული ახსნა-განმარტებებით: მაგალითად, დენიკინის, კოლჩაკისა და მათი „მოკავშირეების“ შეთქმულების გამოაშკარავების გამო 1919 წლის 2 აპრილს გაზ. „იზვესტიაში“ წერს: „პეტროგრადისა და მოსკოვის შიმშილისგან ხსნის სახელით, ასობით და ათასობით უდანაშაულო მსხვერპლის გადარჩენის სახელით, რუსეთის საგანგებო კომისია იძულებული იქნება, მიიღოს სასჯელის ყველაზე პირქუში ზომები ყველას წინააღმდეგ, ვინც დაკავშირებული იქნება თეთრგვარდიელთა გამოსვლებთან და მათ შეიარაღებული ამბოხებების მცდელობასთან (იქვე: 122); იმავე წლის გაზ. „პრავდას“ 2 ივლისის ნომერში „რევოლუციის რაინდად“ წოდებული ძერჟინსკი სრულიად რუსეთს გააფრთხილებს და სხვადასხვა მხარეში მუშებისა და გლეხების მონაწილეობით მოწყობილ კონტრრევოლუციურ ამბოხებებს მათივე წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებად წარმოაჩენს, ხოლო დალატსა და ჯაშუშობას არა მხოლოდ თეთრგვარდიელებს დასწამებს, არამედ მათ მოკავშირეებსაც: „არავითარი დანდობა არ ექნება მათ, ვინც მხილებული იქნება თეთრგვარდიელების შეთქმულებასა და ორგანიზაციაში. <...> სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია აცხადებს, რომ დგას რა რევოლუციის სადარაჯოზე, ის ყოველგვარი დანდობის გარეშე გაუსწორდება მსგავსი ორგანიზაციის ყველა მონაწილეს. <...> თეთრგვარდიელებთან კავშირი და ყველაზე ზედაპირული ურთიერთობაც კი გამოიწვევს სასჯელის უმაღლეს ზომას – დახვრეტას, ქონების კონფისკაციას, ოჯახის უფროსი წევრების ბანაკში დატყვევებას“ (იქვე: 123-125).

საინფორმაციო ტერორმა თავისი ფუნქცია მარტივად შეასრულა და ხალხის ცნობიერებაში შიში და მორჩილება დათესა. მან მოწყვლადი გახადა ყველა სოციალური ჯგუფი: „კლასობრივი მტრებიც“, როგორც მსხვერპლი; „ინტელიგენციაც“, რომელსაც გამოხატვის თავისუფლების წართმევით თავისი ნამდვილი ფუნქცია დაუკარგა; კულტურაც, რომელიც გააპარტიულა და ყველაზე მეტად მუშათა კლასი, რომელსაც დააჯერა, რომ გამარჯვებული კლასი იყო და სწორედ ამით დაიმორჩილა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კომუნისტური რეპრესიების სამიზნე მათი მსხვერპლი კი არა, თვითონ ხალხია, რომელსაც ტერორის გზით დააშინებს, დაადუმებს და დაიმორჩილებს, რათა პეტროგრადული საზოგადოება ჰომოგენურ მასად გადააქციოს.

ოფიციალურად, როგორც ბოლშევიკური „სამხედრო კომუნიზმის“ (1918-1921) პოლიტიკის ნაწილი, წითელი ტერორი მასთან ერთად დასრულდა. მენშევიკური საქართველო ამ პერიოდში პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას აშენებდა და რუსულ-ქართული სოციალ-დემოკრატიული გზებიც ერთმანეთს დასცილდა. თუმცა ჩეკა თანდათან აფართოვებდა თავის ჯაშუშურ ქსელს და მთელი რუსეთი რომ დაფარა, გარე დაზვერვაზეც გადავიდა. კავკასიაში ძერჟინსკის საკონტაქტო პირი

სტალინის ნდობით აღჭურვილი სერგო ორჯონიკიძე იყო. 1921 წლის მარტიდან კი ჩეკა ლეგალური ორგანო გახდა თბილისში და რუსეთში აპრობირებული მეთოდების დანერგვა საქართველოშიც დაიწყო. „წითელი ტერორი“ ქალაქებზე აღარ ეწერა, მაგრამ კლასობრივ მტრებს ახლა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ებმოდნენ ბოლშევიკები. ჩეკამ თავისი მუშაობა საქართველოში მოქალაქეთა შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის შეგროვებით და დაარქივებით, აგრეთვე სოციალური ჯგუფების (სამეგობრო, სანათესაო, სამეზობლო და ა.შ.) შესწავლით დაიწყო. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უშიშროების არქივში დიდი ტერორის (1937-1938) მსხვერპლთა პირად საქმეებში უმეტესწილად ამა თუ იმ პირის შესახებ 1921 წლიდან შეგროვებული ინფორმაციაა თავმოყრილი, მაგალითად, ძველი ურთიერთობა მენშევიკების პარტიასთან ან მის წევრებთან, პირდაპირი ან ირიბი კავშირი 1924 წლის აჯანყებასთან და წინააღმდეგობის მოძრობასთან. ინფორმაცია არის ყველაზე – გლეხებზე, მუშებზე, მასწავლებლებზე, მეზღვაურებზე, ყოფილ წითელგვარდიელებზე და არა მხოლოდ კლასობრივ მტრებზე.

გასაბჭოებისთანავე საქართველო ბოლშევიკურ ფერხულში ჩაერთო, ხოლო როცა 1920-იანი წლებიდან ხელისუფლებამ ფოლკლორის ინსტრუმენტალიზაციის პროცესი დაიწყო, ყველგან, მათ შორის იმერეთშიც, წარმოიშვა სპეციფიკური ხალხური ლექსები, რომელთა თემატიკა, პათოსი და ხშირად ლექსიკაც კი იმეორებს სამთავრობო პროპაგანდას, მის გალექსილ ვარიანტს წარმოადგენს. ფოლკლორში საბჭოთა პოლიტიკის თითქმის ყველა თემამ შეაღწია; მათ შორის განსაკუთრებით გავრცელებულია „კლასობრივი ბრძოლის“ და „კლასობრივი მტრების“ საკითხი, იმდენადაც კი, რომ 1935-37 წლებში, როცა საბჭოთა ფოლკლორული კრებულების გამოცემა პიკს მიაღწევს, მას ცალკე ბლოკს დაუთმობს თითქმის ყველა გამოცემა. მანამდე, 1934 წლის მეორე ნახევრიდან, კომპარტიის ცენტრალური ორგანოს გაზ. „კოლექტივიზაციის“ მოწოდებით, გაზეთის რედაქციაში თავი მოიყარა ხალხური მთქმელების მიერ გაგზავნილი ათასობით ტექსტმა.

ასე გაჩნდა გაზ. „კოლექტივიზაციის“ ფურცლებზე ვანის რაიონის სოფ. ციხესულორში ჩაწერილი ლექსი. ლირიკული გმირი გადმოგვცემს ძველად კულაკებთან მუშაობის მძიმე გამოცდილებას, რომელიც, სტალინის წყალობით, ძმური, კოლექტიური მუშაობით შეიცვალა. მთქმელი არ მალავს სიამაყეს კოლექტივის გამო და განახლებული ყოფის სიხარულს:

ღარიბი გლეხი ვიყავი, ცხრად გახრილი წელშია,  
კულაკებთან ვმუშაობდი ათშაურად დღეშია.  
დღეს კი მეზობლებთან ვარ ძმებთან კოლექტივშია.  
მზე და მთვარე გვახარებს, კალამს ვიღებ ხელშია,  
ესე მიყო სტალინმა, ვენაცვალე ყელშია.

—

დღეს ჭალაში ვიყავი, ხვალ კი წავალ ეწერში,  
კულაკების ჯინიზა ხუთას ფუთს ვყრი ბელღში.  
კოლექტივში ვმუშაობ, მით ვამაყობ ეხლა მე.  
ძროხა დამიკონტრაქტეს, გამიახლთა ყოფნა მე.  
ვინაც ეს მოიგონა, მისი თავის ჭირიმე (კოლექტივიზაცია №291/1934).



ზუსტად ასეთი უკუკავშირის მიღება სურდა ხელისუფლებას ხალხისგან, როცა ფოლკლორი თავისი იდეოლოგიის ინსტრუმენტად აქცია. გაზ. „კოლექტივიზაციის“ რედაქციამ საბოლოოდ ხალხური პოეზიის ნიმუშები ლიტერატურის მუზეუმის არქივს გადასცა, სადაც ინახება კიდევ ერთი ლექსი „სამეულის ჩივილი“. მიქმელი – ტყიბულის რაიონის სოფ. მუხურას მკვიდრი არკადი პარტენის ძე ბოჭორიშვილია. 1935 წელს ჩაწერილი ლექსი ყურადღებას იპყრობს იმით, რომ მასში სამი კლასობრივი მტერი – კულაკი, ვაჭარი და ყოფილი მღვდელი – ერთმანეთს თავიანთ ცხოვრებაზე უყვებიან ისე, რომ შეიქმნას კონტრასტი ძველ და ახალ ცხოვრებას შორის. ანტითეზა – „ადრე/ახლა“ საბჭოური პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი საშუალება გახდა რევოლუციამდელი ეპოქის დაკნინების ფონზე ახალი ცხოვრების კეთილდღეობის წარმოსაჩენად. ბუნებრივია, ხალხურ პოეზიაში ის პოლიტიკური მიზნით მოხვდა, ამიტომ სტილისტურ ხერხად ნაკლებად აღიქმება. არც მიუღია საბჭოთა ფოლკლორში მას რამე განსაკუთრებული მხატვრული ღირებულება. ლექსის მიქმელს სჭირდება „კლასობრივი მტრების“ უკანონობისა და უზნეობის ილუსტრირება, რათა მათი მარგინალიზაცია სამართლიანობის აღდგენად იქნეს აღქმული.

კულაკმა სთქვა: ეს დროება ჩემსა ჭირად დამყარდაო,

რაც რომ გლეხებს ტყავი ვაძრე, ბოლოს ყველა დამწარდაო.

დავიღუპე, გავნადგურდი, თავზე მეხი დამეცაო,

მოჯამაგირე ბიჭები აღარ დადგა, გამეცაო (პოეზია 1980: 151).

ლექსი დეტალურად მოგვითხრობს კულაკთა რეალურ ისტორიას და საინტერესოა ზუსტად იმითაა, რომ კულაკების ახლანდელი ყოფა მასში სულაც არ არის გაზვიადებული. კულაკი განიცდის, რომ მას ადგილები ჩამოართვეს და ღარიბ გლეხებს გადასცეს, რომელთაც მისი აღარც შიში აქვთ და აღარც ხათრი; სახნავ-სათესის გარეშე დარჩენილს ცოლ-შვილის გამოსაკვები პური აღარ აქვს; აღარც მოჯამაგირე ჰყავს და აღარც ლურჯა ცხენი; ლექსში გამოკვეთილია კულაკის მტრული დამოკიდებულება კოლექტივის მიმართ, მას გულს მახვილივით დაეცა გლეხების შეკავშირების ამბავი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც სცადა კოლექტივში „შეძვრომა“:

ვცადე, მაგრამ ვერ ვახერხე, ვერ შევძვერი კოლექტივში.

ღარიბ გლეხებს ახლა ჩემი არც ხათრი აქვთ, აღარც შიში.

შემდეგ სხვა ხრიკებს მივმართე კოლექტივის დასაშლელად,

მაგრამ კოლექტივის დაშლას არაფერი არ ეშველა (პოეზია 1980: 151).

მნიშვნელოვანი ფრაზა – „სხვა ხრიკებს მივმართე“ – არის გამომახილი წინააღმდეგობის მოძრაობისა, რომელიც კულაკებისგან შეხვდა საბჭოთა კავშირის კოლექტივიზაციის პროცესში. გაზ. „კოლექტივიზაცია“ კულაკების მავნებლობის შესახებ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან აქვეყნებდა წერილებს. მათ შორის, მაგალითად, წყალტუბოს შესახებ ვკითხულობთ, რომ აქ ჩამოყალიბებულა ოთხი კოლექტივი, რომელშიც 1500 მეურნეობა გაერთიანდა. ამ მიზეზით „გაბოროტებულ“ კულაკებს 1930 წლის 6 მარტს პროკლამაციები გაუკრავთ ღამით ქუჩაში: „ჩვენ ვხედავთ, რომ თანდათან გვაერთიანებენ, ეს იმისთვის, რომ თვითონ კომუნისტებმა იბატონონ ჩვენზე და ჩვენ გავხდეთ მათი ყმები. მაგრამ ამხანაგებო, ჩვენ მათ წინააღმდეგ დანა უნდა გავლესოთ, მალე ჩვენი ჯარი, რომელიც ტყეში იმალება –

ამოქმედდება.“ „კულაკებო! ნუ გეშინიათ, მალე ვნახავთ კომუნისტების სირბილსაც. ძირს მატყუარა ხელისუფლება, გაუმარჯოს მენშევიკებსო“. „გლეხებო, უშველეთ თავს, თორემ ვიღუპებით, კომუნისტებს თქვენი გაერთიანება კოლექტივში იმიტომ უნდათ, რომ მათ იბატონონ თქვენზე, მოითხოვეთ კოლექტივების დაშლა – გამოდით კოლექტივებიდანო“. აი, სანამდე მივიდა კულაკების თავხედობა, დროა, აილაგმონ ეს ვაჟბატონები! (კოლექტივიზაცია №17/1930, დამატება „კოლექტივიზაციის ფრონტი“, რაზმი №3 – იმერეთი).

1930 წელს საბჭოთა კავშირი ცნობილი „საყოველთაო კოლექტივიზაციის“ პროგრამით შეხვდა. კულაკების ნაწილი 1920-იან წლებში სხვადასხვა მიზეზით (მათ შორის ნაციონალური და მენშევიკებთან კავშირის გამო) უკვე რეპრესირებული იყო. მართალია, სოფლებში ისევ იყო კულაკობა, მაგრამ იმდენად დასუსტებული, რომ თვითორგანიზებისა და წინააღმდეგობის რესურსს ნაკლებად ფლობდა. მაგრამ მათი უმრავლესობა ისევ აპროტესტებდა კერძო საკუთრების დათმობის პოლიტიკას. 1930 წლიდან კი სახელმწიფო პოლიტიკა შეიცვალა: თუ მანამდე კულაკობის შეზღუდვაზე იყო საუბარი (მაგალითად, საარჩევნო ხმის წართმევა), 1930 წლიდან კულაკების, როგორც კლასის, ლიკვიდაციის კანონმდებლობა მიიღეს. ცხადია, ამას ეხმიანება კომპარტიის გაზეთში კულაკების შესახებ ხალხის დასაშინებლად გამოქვეყნებული სტატია. ამ პერიოდიდან კულაკი თითქოს რეალური პერსონაჟი კი არა, მითოსური პერსონაჟია, ბოროტი, შავბნელი ძალა, რომელსაც მთავრობასთან ერთად ხალხიც უნდა შეებრძოლოს და კლასობრივი მტრის მიმართ მხოლოდ სიძულვილი და სისასტიკე გამოხატოს. ამაში კი ხელისუფლებამ ბავშვებიც აიყოლია.

ლიტერატურის მუზეუმში, გაზეთ „კოლექტივიზაციის“ არქივში, არის ერთი 1935 წლით დათარიღებული ხელნაწერი, რომელსაც ხელს აწერს 13 წლის ჟორა ჭუმბურიძე ჭიათურიდან. გაზეთის რედაქციას ის თავისი ლექსების დაბეჭდვას სთხოვს, მათ შორის კულაკებზე:

ჩვენ ერთობით სულსა ვიდგამთ, გვემატება სიცოცხლე;

მოგვახსენით, კულაკებო, დაგამარცხებთ იცოდეთ“ (ლმა, 2008, გვ. 1).

ლექსი არსად არ დაბეჭდილა და მხოლოდ არქივს შემორჩა, როგორც ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ ჩართო საკუთარ ფერხულში მთავრობამ ახალგაზრდობა, რომელზეც განსაკუთრებული ფსონი დადო ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, როცა 1920 წლის 20 ივნისს „უწიგნურობის ლიკვიდაცია“ (Ликвидация) გამოაცხადა, მოამრავლა სკოლები, მასწავლებლებს კი პარტმუშაკის ფუნქციებიც მიანიჭა და კომპარტიის პროპაგანდისტებად აქცია. ლექსი აჩვენებს, როგორ ცდილობს 13 წლის ბავშვი საკუთარი იდენტობა იმ სიმრავლესთან ერთობაში იგრძნოს, რომელსაც სიცოცხლე კულაკებისგან იზოლირებაში ემატება და რომლის მთავარი მიზანი მათი დამარცხებაა. „ნორჩ პიონერთა კანონებზე“ გაზრდილმა ჟორა ჭუმბურიძემ იცის, რომ „პიონერი კულაკების და ბურჟუების მტერია“ (ოქტომბრელი 1/1930: 14). კანონი ბავშვებს განემარტება იმით, თუ როგორ აიძულებენ კულაკები ბავშვებს მიიმე შრომას, როგორ ხოცავენ იმ ადამიანებს, ვინც გლეხებისა და მუშების კულტურული ცხოვრებისთვის იბრძვის, ბურჟუები

კი ქალაქად ავრცელებენ ჭორებს საბჭოთა ხელისუფლებაზე. ამიტომ, კანონი ავალდებულებს ყველა პიონერს: „კულაკების და, ბურჟუების ოინბაზობას პიონერმა თვალყური უნდა ადევნოს და შეატყობინოს ხოლმე თავის უფროს ამხანაგებს № კომკავშირელებსა და კომუნისტებს“ (იქვე).

პერსონიფიცირებულ ზოროტ ძალასთან ორთაბრძოლის მსოფლიო მოტივებში ხშირად ეშმაკის დამარცხება მისი დატყვევებით გამოიხატება, რომელსაც გმირი სამშენებლო მიზნით იყენებს (ამ სქემაზეა აგებული გელათის მშენებლობის მითოსი დავით აღმაშენებლის მიერ). სატანის დამანგრეველი ძალის გაუვნებელყოფა მხოლოდ მის განადგურებაში კი არ ვლინდება, არამედ მის დამორჩილებასა და შრომის იძულებაში. მშრომელთა კლასის გამარჯვების ნიშნად აღიქმება „სამეულის ჩივილში“ ხაზგასმული აზრი, რომ ახალ დროებას მოჰყვა კოლექტივის მიღმა დარჩენილი კლასობრივი მტრების იძულებითი მუშაობა. კულაკი იძულებულია, ფიზიკურ შრომას მიჰყოს ხელი. მის მსგავსად, თანამედროვე ყოფის გამო მეჩისტე გახდა ვაჭარიც, რომელიც თავისი ამბის თხრობას კულაკის მსგავსად იწყებს:

ვაჭარმა სთქვა: ძველებურად აღარც მე მწყალობს ბედიო,

ახალმა დრომ დამაქცია, თავზე დამესხა რეტიო.

მენატრება გროში ფული, საქმე ისე წამიხდაო.

ლამით ნახული სიზმარი დღისით ცუდად ამიხდაო (პოეზია 1980: 151).

ვაჭარს ჩამოერთვა მაღაზია და გადასცეს კოოპერატივს, თვითონ კი პანდურის ამოკვრით კარში გააგდეს. გაღარიბებული და გადატაკებული ვაჭრის ყოფა კულაკის ყოფას ჰგავს და კომპოზიციის თვალსაზრისითაც მის მონათხრობში არაფერს არ ცვლის მთქმელი, განსხვავებულია მხოლოდ კულაკისა და ვაჭრის საქმიანობასთან დაკავშირებული ლექსიკა, მუშაობის იძულებაზე მიმანიშნებელი სიტყვათშეთანხმებაც კი აბსოლუტურად იდენტურია: „სხვა რომ ვერა ვახერხე რა, ბოლოს შრომას მივყავ ხელი“, შდრ. „სხვა რომ ვერა ვახერხე რა, ეხლა გავხდი მეჩისტეო“.

ლექსის მესამე ნაწილი უფრო ვრცელია, ვიდრე წინა ორი, თუმცა კომპოზიციურად ისიც „ადრე/ახლა“ დაპირისპირებაზეა აგებული. მასში გადმოცემულია ახალი დროებით დაღონებული ყოფილი მღვდლის („ნამღვდებმა თქვა...“) ჩივილი, მაგრამ თხრობა გავრცობილია იმით, რომ მხოლოდ მღვდლების ცხოვრებას კი არ გვიხატავს, არამედ ზოგადად საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკის გავლენასაც აჩვენებს საზოგადოებაზე. ლექსში მღვდლის პერსპექტივიდან არის დანახული ახალი ყოფა: „ხალხი ისე გაურჯულდა“, რომ არავის სჭირდება საეკლესიო და რელიგიური რიტუალები: ჯვრისწერა, ნათლობა და ქელები; აღარავინ ფიქრობს მიცვალებულის ცხოვებაზე და, შესაბამისად, აღარც საკურთხს აკეთებს ხალხი. მღვდელი მისტირის ძველ დროს, როცა ქეიფობდა, ხარხარებდა, ყველაფერი ბლომად ჰქონდა, სხვის ცოლებს ყვარობდა, ახლა კი საკუთარი ცოლიც არ იკარებს:

სამუდამოდ გამიფრინდა სანეტარი ის დრო ძველი,

როცა მქონდა ყოველ მხარეს უხვად სახრავ-სამარცველი.



პარიკმახერს მივაშურე, გავიპარსე თმა და წვერი.

დავიხურე „ჟოკის“ ქუდი, ანაფორა შემოვჭერი.

რომ ვიცხოვრო ჩემი შრომით, ახლა ჩემზედ მოდგა ჯერი

(პოეზია 1980: 152).

საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკის შედეგად მართლაც მრავალმა მღვდელმა გაიხადა კაბა და საერო ცხოვრებას დაუბრუნდა, მაგრამ მათი ინტეგრაცია სოციალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ მომხდარა. განსაკუთრებით ეკრძალებოდათ მათ სკოლის მასწავლებლობა. ყოფილი მღვდლები და კულაკები სამუდამოდ განწირულნი იყვნენ მარგინალიზაციისთვის. ამას მოწმობს 1930 წლის გაზ. „კოლექტივიზაციის“ არაერთი პროპაგანდისტული მოწოდებაც, მათ შორის იმერეთიდან: „შავსიელები მასწავლებლებად. ქუთაისის ოლქის გომისთემის შვიდწლედის გამგე ა. ცინცაძე დიდ მფარველობას უწევს შავსიელ მასწავლებლებს, სოფ. მტერჩაულის ოთხწლედში მასწავლებლად არის ყოფილი მღვდელი ს. ცინცაძე, სოფ. ოფეთის ოთხწლედში – კულაკის შვილი ხუნდაძე და სხვ. რკინის ცოცხი ამ დახავსებულებს!“ (კოლექტივიზაცია №18 / 1930: 8).

რა თქმა უნდა, იყვნენ ისეთებიც, ვინც ბოლომდე უერთგულა ეკლესიას, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ერთეულები გადაურჩნენ რეპრესიულ რეჟიმს. მაგალითად, სინოდისა და პატრიარქის მდივანი, ეპისკოპოსი ბენიამინ კანდელაკი 1938 წელს დააპატიმრეს კონტრრევოლუციური და ანტისაბჭოთა აგიტაციისთვის. მასთან ერთად დაკავებული იყო ქუთაისის მიტროპოლიტი ვარლამ მახარაძე. მათ ერთად ბრალდებოდა კავშირი ფაშისტურ ორგანიზაციასთან, რომელსაც გერმანია მფარველობდა. ბენიამინ კანდელაკი თავიდან არ აღიარებს არც ერთ ბრალდებას, მაგრამ ბოლოს, როგორც ჩანს, მრავალი წამებისა და ტანჯვის შემდეგ, ტროიკას განუცხადებს: „დამნაშავე ვარ, რომ ვავრცელებდი სულიერებას“ (შსსუა, 38841, გვ. 104); „მე ჩემს თავს დამნაშავედ ვთვლი მხოლოდ მასში, რომ მე ღვდლებას თავი არ დავანებე და დავრჩი ასე...“ (შსსუა, 38841, გვ. 180).

ლიტერატურის მუზეუმის არქივში, ასევე, ინახება ხარაგაულის რაიონის სოფ. ხუნევის მკვიდრის ისიდორე ბულულის მიერ გამოთქმული ლექსი, რომელიც ზაქარია ბლიაძეს ჩაუწერია 1935 წელს. ჩამწერის კომენტარის მიხედვით, ლექსი 1905 წლის ამბებს გადმოგვცემს, თუმცა მასში გადმოცემული მოვლენები ასახავს არა 1907-1910 წლების მემარცხენე პარტიების რეაქციას, არამედ ანტიბოლშევიკურ წინააღმდეგობას:

ერთობამ რომ ხუცეს (sic!) ავნო, რა თქმა უნდა, არის ცხადი;

უსაკუთრხოდ ვიტანჯებით აგრე ორი წელიწადი.

მაგრამ როცა რეაქციამ ხალხს დაარტყა მძლავრი თათი;

მაშინ ვსთქვით: ჩვენც აგვიდგა ძველი წესი და ადათი...

მაგრამ ვატყობთ, ერთობის დრო ხალხს ჭკუაში დაჯდომიათ,

ბიჭ-ბუჭების ლაპარაკი ძვალს და რბილში გაჯდომიათ...

(ლმა, 20005-ბ, გვ. 55).

მღვდლის მონოლოგში სიტყვა ერთობა კოლექტივის მნიშვნელობით გამოიყენება, რაც არის კიდევ ამ ტერმინის ქართული შესატყვისი. ლექსში ნაჩვენებია, რომ სასულიერო პირები ვერ ახორციელებენ თავიანთ

საზოგადოებრივ ფუნქციას, რადგან საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკით აიკრძალა ყველა რელიგიური რიტუალი; სასულიერო პირების ფიზიკური გადარჩენის საფრთხე გამოხატულია მათი ტანჯვით, შიმშილით, რის გამოც ისინი თანაუგრძნობენ წინააღმდეგობის მოძრაობას დამისი იმედი აქვთ. მაგრამ აქვე ჩნდება ხალხი, რომელიც კოლექტივს უჭერს მხარს, გლეხობა, რომელიც დასცინის სამღვდელოებას, რადგან აღარ სჯერა, რომ საკურთხე და შესაწირავი მიცვალებულის სულის საცხონებლად და არა მღვდლის გასაძღომად. „ერთობისგან“ მარგინალიზებულ, ცარიელი ხურჯინით შინდაბრუნებულ ხუცესს თავისი მურა ძაღლიც კი ემდურის, რითაც მინიშნებულია სამღვდელოების უსარგებლობა არათუ პროლეტარული საზოგადოებისთვის, არამედ ცხოველთა სამყაროსთვისაც კი.

აღსანიშნავია, რომ ტერმინი „ხალხის მტერი“ დიდ ტერორამდე თითქმის არ გვხვდება. მანამდე მტერი მხოლოდ „კლასობრივი“ იყო, შესაბამისად, გლეხად დაბადებულს საფრთხე ნაკლებად ემუქრებოდა. მაგრამ მენშევიკებისა და თავდაზნაურობის მარგინალიზაციის შემდეგ ხელისუფლებამ ფარული მტრების ძიება საკუთარ წიაღში დაიწყო. შესაბამისად, 1930-იან წლებში პროპაგანდისტულ ნარატივშიც წამოტივტივდა შინაური მტრის სახე. თავისი შიდადაპირისპირება ბოლშევიკურმა პარტიამ ხალხზეც გაავრცელა.

ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირი გამუდმებით მტრის ხატის აქტუალიზაციით იყო დაკავებული. მტერი ხან აშკარა იყო, ხან – ფარული, ხან – კლასობრივი, ხან – ხალხის. როგორც ჩანს, მოსახლეობის განწყობების შესწავლით ხელისუფლება ხვდებოდა, რომ მხოლოდ პოზიტიური პოლიტიკით (რაც სოციალისტურ აღმშენებლობას გულისხმობდა, თავისი კოლექტივიზაცია-ინდუსტრიალიზაციით, განათლებისა და ინფრასტრუქტურული პროგრამებით), ძალაუფლების შენარჩუნება გაუჭირდებოდა, რადგან მთლიანობაში ხალხის ცხოვრება არ გაუმჯობესებულა. კოლექტივი მხოლოდ გაზეთების ფურცლებზე ყვაოდა და ფაბრიკა-ქარხნების მუშებზე მხოლოდ პარტიულ შეკრებებზე იყვნენ ბედნიერი. და რაკი ოფიციალურად უკლასო საბჭოთა კავშირში კლასობრივი მტრის ძიება, ფაქტობრივად, საბჭოთა პოლიტიკის მარცხის აღიარებას ნიშნავდა, ხელისუფლებამ „ხალხის მტრების“ დევნა დაიწყო. იყო კიდევაც დიდი ტერორი საბჭოთა კავშირის მარცხი: ძალადობრივ-რეპრესიული შიდაპოლიტიკა სახელისუფლო სისუსტისა და კრიზისის გამოვლინებაა; მიუხედავად იმისა, რომ 1937-38 წლების რეპრესიებმა რაოდენობრივად ბევრად გადააჭარბა წითელ ტერორს, სტალინ-ეჟოვის დუეტს იდეის თვალსაზრისით ახალი არაფერი გამოუგონებია, მათ მხოლოდ ლენინ-მერჟინსკის მიდგომები განავრცეს და დაატირაჟეს; მარცხი იყო იმიტომაც, რომ ხალხისთვის ბოლომდე გაუგებარი დარჩა პრინციპი, რის გამოც მათი ახლობლები, მეზობლები და ნაცნობები თვალსა და ხელს შუა ქრებოდნენ, განსხვავებით წინა წლებისგან, როცა მუშათა კლასი სოციალისტური სამართლიანობის აღდგენისთვის ებრძოდა ელიტას – პერსონიფიცირებულ გაბატონებულ კლასს.

ჩვენ მიერ შესწავლილი ზეპირსიტყვიერი ნიმუშების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხალხმა გაიზიარა წითელი ტერორის ბრძოლა კლასობრივ მტრებთან, მაგრამ მისთვის ბოლომდე ბუნდოვანი და ამოუცნობი დარჩა დიდი ტერორის მასობრივი რეპრესიები, როცა ნებისმიერი ადამიანი შეიძლება ადმოჩენილიყო „ხალხის მტერი“. თვითონ ეს სიტყვათშეთანხმება ფოლკლორში არ დამკვიდრებულა და თუ გვხვდება, ისიც კლასობრივი მტრის მნიშვნელობით:

სოფელში ხდება ყრილობა საბჭოებისაო,

ხალხის მტრებსა და კულაკებს აღარ მივცეთ ხმაო,

ვინც რომ წინათ ჩვენ გლახობას მათარხს უქნევდაო (პოეზია 1980: 15).

არ არსებობდა სოციალური ცხოვრების არც ერთი სფერო – ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო და სხვ., რომელსაც არ შეეხო დიდი ტერორის მასობრივი დაპატიმრება ან სიკვდილით დასჯა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს იყო ტერორი ტერორისთვის საყოველთაო შიშის გასააქტიურებლად და დასანერგად. ეს იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დოქტრინა – შინაურ მტრებზე ნადირობა. მღვდლების, ბურჟუაზიისა და კულაკების ექსპლოატატორებად და კლასობრივ მტრად წარმოჩენა საუკეთესო საშუალება იყო მათი ნამდვილი, ნაციონალური ღირებულების დასაკნინებლად და გადასაფარად. მეორე მსოფლიო ომამდე ამ იდეით უპირისპირდებოდა საბჭოეთი თავის ფარგლებში თავმოყრილი ქვეყნების ყველა მნიშვნელოვან საყრდენს, ყველა სოციალურ ჯგუფს: ბურჟუაზიის მარგინალიზაციით ქვეყნის ინტელექტუალურ და ეროვნულ ცნობიერებას გამოუთხარა ძირი, სამღვდელოების უგულვებლყოფით – სულიერს, ხოლო კულაკობასთან ბრძოლით ეკონომიკური განვითარების საფუძველი გამოაცალა ხალხს; საზოგადოება დაშალა, ეჭვებითა და უნდობლობით აავსო, გაერთიანებისა და თვითორგანიზების საშუალება მოუსპო, რათა უსასრულოდ გაგრძელებულიყო „აღთქმული კომუნისმი“ შენება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სულზე მოუსწრო მეორე მსოფლიო ომმა საბჭოთა კავშირის მთავრობასაც და მოსახლეობასაც, რადგან ქვეყანას ნამდვილი, უცხო მტერი გაუჩნდა – „სამშობლოს მტერი“; თუმცა ქვეყნის მოღალატეებზე ნადირობა თავისი არსებობის ბოლო დღემდე არ შეწყვეტილა საბჭოეთში და, შესაბამისად, გამუდმებით რეპრესიების მომლოდინე ტრავმირებული ხალხის მდუმარე უმრავლესობად გადაქცევა.

ამგვარად, იმერული ზეპირსიტყვიერი ნიმუშების მაგალითზე, ჩვენ ვნახეთ, რომ საბჭოთა ეპოქაში ფოლკლორის პროგრამირება ხელისუფლების ინტერესების მიხედვით ხდება. სახელმწიფო დოქტრინის ლეგიტიმაციისთვის ბოლშევიკურმა ელიტამ გადაწყვიტა, დაემორჩილებინა და მოეთვინებინა ხალხური სიტყვიერება, რათა საკუთარი პროპაგანდა გაესაღებინა როგორც „ხალხის ხმა“. ხალხურ ლექსებში დაუფარავად არის გადმოცემული ის სისასტიკე, რასაც მთავრობა „კლასობრივი მტრების“ მიმართ იჩენდა, ამავდროულად კი მათი სახე უკიდურესად ნეგატიურად არის წარმოჩენილი, რომ ადამიანს არავითარი ემპათია არ გასჩენოდა მათ მიმართ. ლექსებში ჩანს, რომ საბჭოთა ხალხი მიესალმება სახელმწიფო რეპრესიულ პოლიტიკას კლასობრივი მტრების



მიმართ, მათ იძულებით ფიზიკურ შრომას, ქონებისა და მიწების ჩამორთმევას, მათ მარგინალიზაციას და საზოგადოებისგან გარიყვას, შურისძიებას მათზე... ერთი სიტყვით, ხალხი მიესალმება „სოციალისტური სამართლიანობის“ აღდგენასა და ჰომოგენური საზოგადოების შექმნას, მაგრამ თავს არიდებს დახვრეტილ ან გადასახლებულ მსხვერპლებზე საუბარს. საბჭოეთში ხალხის მტრებზე არ ლაპარაკობდნენ. ეს თემა ტაბუდადებულია ფოლკლორშიც.

#### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

კოლექტივიზაცია 1930-1935: გაზეთი „კოლექტივიზაცია“, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საგლახო გაზეთი, 1930-1935.

ლმა: ლიტერატურის მუზეუმის არქივი.

ოქტომბრელი 1930: ჟურნალი მცირეწლოვან ბავშვთათვის, საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის ცენტრალური ბიუროს განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარ-მმართველობის ორგანო. 1930.

პოეზია 1980: ქართული ხალხური პოეზია, ტ. XII, თანამედროვე ლექსები. თბილისი, 1980.

შსსუა: შინაგან საქმეთა სამინისტროს უშიშროების არქივი.

Дзержинский 1947: Дзержинский Ф.Э. Избранные Статьи и речи 1908-1926. Москва, ОГИЗ, 1947.

Еженедельник 1918: Еженедельник Чрезвычайных Комиссий по борьбе с контрреволюцией и спекуляцией N. 1-6/1918. <https://istmat.org/node/25307> (დამოწმება 17.02.2024). <https://viewer.rsl.ru/ru/rsl01005788893?page=130&rotat e=0&theme=white>

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8049>

**იმერეთი ელგუჯა თავბერიძის  
მხატვრულ ქრონიკაებში  
(რომანის „ქარის ფრთების“ მიხედვით)**

**Imereti in the artistic chronicles  
of Elguja Tavberidze  
(according to the novel „Wings of the Wind“)**

**სალომე კაპანაძე**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

Salome Kapanadze  
Grigol Robakidze University  
Georgia, Tbilisi

**აბსტრაქტი**

ბგელი ამბების მხატვრულ ქსოვილში მოქცევა მწერლობის მნიშვნელოვანი ფუნქციაა. დოკუმენტურობას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, როცა ქართული კულტურის უპირობო ლიდერზე – ქართულ ლიტერატურაზე გვიწევს საუბარი. ჩვენი ნაციონალური ყოფა მეხსიერებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, კულტურათა ასიმილაციის გარდაუვალ პროცესებში განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს. ელგუჯა თავბერიძე იმერეთთან ასოცირებული მწერალია. იგი დავით კლდიაშვილის, რეზო ჭეიშვილის, ოტია იოსელიანის სივრცეში თანაარსებობს, ქმნის და იღვწის, რათა თანამედროვე საინფორმაციო-საოკუპაციო ომში მეხსიერებიდან არ ამოიშალოს ის, რაც გლობალიზაციის ეპოქაში სასიცოცხლოდ გვჭირდება.

ელგუჯა თავბერიძეს, როგორც მწერალს, აქვს შესანიშნავი ინტუიცია. იგი ყოველთვის გრძნობს ეროვნულ მაჯისცემას და როგორც შემოქმედი ყოველთვის აქტიურია, როცა ნაციონალურ ყოფაში საჭირო მნიშვნელობების აღქმა სუსტდება. ელგუჯა თავბერიძის მხატვრული სამყარო თავისი დინამიური ნარატივებით, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით, ზუსტად მიგნებული ნაციონალური აქცენტებით და, რაც მთავარია, დოკუმენტურობით სწორედ ასეთი მნიშვნელობების შემცველია. ამასთან,

დოკუმენტურობა მწერლის ერთ-ერთი სარწმუნო, სანდო არგუმენტია. მისი წიგნები – „ხეზე ასვლა“ და „ქარის ფრთები“ – ძველი ამბების ქრონიკებია, რომელთა შეფასებისას მხოლოდ მხატვრული მნიშვნელობით ვერ შემოვიფარგლებით, რადგან ქუთაისელთა მეხსიერებას შემორჩენილი იღბლიანი ამბების გამხატვრულებას თავისი ისტორიული მნიშვნელობა გააჩნია. მწერლისთვის დამახასიათებელი სტილური ექსპრესია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები ამ ამბებს იმ შთამბეჭდაობას ანიჭებს, რომელიც ჩვენს ისტორიულ-კულტურულ მოცემულობაში ელგუჯა თავბერიძის, როგორც მწერლის, თვითმყოფადობას უზრუნველყოფს.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ქართული მწერლობა, იმერეთი ელგუჯა თავბერიძის შემოქმედებაში, რომანი „ქარის ფრთები“.

#### ABSTRACT

Turning old news into artistic fabric is a crucial function of writing. Documentation carries significant weight when discussing the paramount figure in Georgian culture - Georgian literature. Our national identity is intricately linked to memory, necessitating careful preservation amidst the ongoing processes of cultural assimilation. Elguja Tavberidze, a writer associated with Imereti, exists, creates, and perseveres within the realm inhabited by Davit Kldiashvili, Rezo Cheishvili, and Otia Ioselian. This ensures that in the contemporary landscape of globalized information and occupational conflicts, essential facets of our heritage remain indelibly etched in memory.

As a writer, Elguja Tavberidze exhibits keen intuition, consistently attuned to the national pulse, and remains proactive in safeguarding values crucial to our national existence, particularly during periods of weakened societal perception. This paper aims to demonstrate that Tavberidze's artistic realm, characterized by dynamic narratives and artistic representation, precise national accents, and crucially, meticulous documentation, encapsulates profound meanings. Documentation stands as a reliable cornerstone of his work, bolstering his arguments. His works "Climbing a Tree" and "Wings of the Wind" serve as chronicles of ancient tales, their evaluation extending beyond artistic merit to encompass historical significance. Tavberidze's distinctive stylistic expression, linguistic finesse, and evocative techniques imbue these stories with an enduring impression, anchoring his identity within our historical and cultural situation

**Keywords:** Modern Georgian writing, Imereti in the works of Elguja Tavberidze, the novel „Wings of the Wind“.



ძველი ამბების მხატვრულ ქსოვილში მოქცევა მწერლობის მნიშვნელოვანი ფუნქციაა. დოკუმენტურობას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, როცა ჩვენი კულტურის უპირობო ლიდერზე – ქართულ ლიტერატურაზე გვიწევს საუბარი. ნაციონალური ყოფა მეხსიერებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ეს ქმნის იდენტობის შენარჩუნებისა და მისი შემდგომი ფორმირებისთვის მყარ დასაყრდენს. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, კულტურათა ასიმილაციის გარდაუვალ პროცესებში საქართველოს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს. ისტორიული მოვლენების თხრობას ქართულ მწერლობაში გარკვეული პოზიცია გააჩნია და ყოველთვის ასოცირებულია ეროვნულ და მორალურ კონტექსტთან. ასე იქმნება სამყაროს ნაციონალური ხატი, რომლის გარეშე შეუძლებელია ზოგადად კულტურის შეცნობა. ელგუჯა თავბერიძე სწორედ ამ ხატმწერებს განეკუთვნება. იგი იმერეთთან ასოცირებული მწერალია და დავით კლდიაშვილის, რეზო ჭეიშვილის, ოტია იოსელიანის სივრცეში თანაარსებობს, ქმნის და იღვწის, რათა საჭირო დროს თავისი ეროვნული პოზიცია მონიშნოს. თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ომში ყოველთვის არსებობს საფრთხეები იმისა, რომ მეხსიერებიდან არ ამოიშალოს ძალიან მნიშვნელოვანი, რაც გლობალიზაციის ეპოქაში ჩვენს ეროვნულ ყოფას სასიცოცხლოდ სჭირდება.

ელგუჯა თავბერიძეს, როგორც მწერალს, აქვს შესანიშნავი ინტუიცია. იგი გრძნობს ეროვნულ საფრთხეებს და ამიტომაც ყოველთვის აქტიურია, როცა ნაციონალური ყოფაში საჭირო მნიშვნელობების აღქმა სუსტდება. მისი მხატვრული სამყარო თავისი დინამიური ნარატივებით, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით, ზუსტად მიგნებული ნაციონალური აქცენტებით და, რაც მთავარია, დოკუმენტურობით სწორედ ამ საჭირო მნიშვნელობების შემცველია. დოკუმენტურობა ელგუჯა თავბერიძის ერთ-ერთი სარწმუნო, სანდო არგუმენტია. მისი წიგნი „ქარის ფრთები“ ძველი ამბების ქრონიკაა და ამ ტექსტის შეფასებისას მხოლოდ მხატვრული მნიშვნელობით ვერ შემოვიფარგლებით, რადგან ქუთაისელთა მეხსიერებას შემორჩენილი იღბლიანი ამბების გამხატვრულებას თავისი ისტორიული დატვირთვაც გააჩნია. მწერლისთვის დამახასიათებელი სტილური ექსპრესია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები ამბებს იმ შთამბეჭდაობას ანიჭებს, რომელიც ჩვენს ისტორიულ-კულტურულ მოცემულობაში ელგუჯა თავბერიძის შემოქმედებით თავისთავადობას უზრუნველყოფს. მწერალი მრავალი ნაშრომის ავტორია, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დოკუმენტური პროზის ჟანრში გამოცემული მისი წიგნები: „კოლიმგრაფი“, „აკაკის ლანდი“, „მარშალი და მარშლის შვილი“, „ნისლის ტიხარი“, „თოვლი მკათათვეში“ და ა.შ. ელგუჯა თავბერიძის დოკუმენტურ პროზაზე საუბრისას მარინე ტურავა აღნიშნავს: „ეს არის პირწმინდად დოკუმენტური პროზა, ნონფიქშენი, სადაც მინიმუმამდე დაყვანილი მხატვრული გამონაგონი. მხატვრული სინთეზი მხოლოდ ფაქტებისა და მოვლენების სწორად,

თანმიმდევრულად, გააზრებულად დალაგებისას არის გამოყენებული, თანაც ისე, რომ დოკუმენტური მასალა თავად ქმნის ტიპურ სოციალურ თუ პოლიტიკურ გარემოს, აცოცხლებს რეალობას. მასალის შერჩევის ხარისხი და ესთეტიკური შეფასება აფართოებს დოკუმენტური ლიტერატურის ინფორმაციულ ხასიათს“ (ტურავა 2014: 227).

ელგუჯა თავბერიძის „ქარის ფრთების“ ჟანრულ სპეციფიკაზე საუბრისას კვლავ მწერალს უნდა მოვუსმინოთ: „ძმაო ხოფეროს! ძველი ამბების ქრონიკის მეორე წიგნს უფრო ზოგადი სახელი – „ქარის ფრთები“ – დავარქვი. პირველს, ჩემზე არანაკლებ მოგეხსენება, „ხეზე ასვლა“ ერქვა და ნოველების კრებულად მონათლეს. არადა, დოკუმენტურობით, ქალაქისა და ეპოქის იგივეობით, ერთი მთლიანი თხზულებაა, რომელშიც სათქმელ-სატკივარი სხივივით იშლება. გახსოვს? რა დაგავიწყებდა! – რიონის სათავეს ძალიან-ძალიან რომ მივუახლოვდით და მერე იქიდან წამოსულები ხევებს, ღელეებს, ნაკადულებს, მდინარეებს, ერთი სიტყვით, შენაკადებს ვითვლიდით, რაღაცნაირად აქაც ასეა – არის ერთი, იმ ერთს მიბმული, მაგრამ მაინც განტოტვილი დანარჩენი. ესეც ხომ გაგიგონია – ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვისო, – პირდაპირი გაგებით, ბუნებრივია, არა, მაგრამ გადატანითი მნიშვნელობით აქაც ასეა. ასეა და რა ვქნა!“ (თავბერიძე 2017: 4). როგორც ვხედავთ, ტექსტის მთლიანობაზე ჩვენი მოსაზრებები ბუნებრივად ემთხვევა ავტორისას და მისი მხატვრულ-დოკუმენტურ რომანად აღქმის ყველა საფუძველი სახეზეა. მართალია, საერთო სათაურის ქვეშ მოქცეული მისი ქვეთავები ცალკე ნოველებადაც იცოცხლებენ, მაგრამ მათ ერთი სათაური კრავს – „ძველი ამბების ქრონიკა“ და ტექსტის მხატვრულ-დოკუმენტურ რომანად სახელდება გამართლებულია.

კონსტიტუციურია მოსაზრება, რომ ნებისმიერ ინტერკულტურულ ალუზიას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი და დასაშვებობა, როცა მწერალი მშობლიურის წინაშე მოიხდის ვალს. მას მუდმივად უნდა ჰქონდეს იმის შეგრძნება, რომ ბოლომდე არ დახარჯულა „ადგილის დედისთვის“. ვინაიდან სათქმელი, დასალაგებელი, მატთანში ჩასაკირი ქართულ რეალობას არასოდეს გამოელევა, ელგუჯა თავბერიძის რომანების კონცეპტუალურად დატვირთული მხატვრული სამყარო ამ მიზნის ირგვლივ ერთიანდება. მისი პერსონაჟების ხასიათი, შინაარსი, ქცევა და მოქმედების საყვარელი სივრცე ქუთაისია. ეს ქალაქი მწერლისთვის არის მეხსიერების ადგილი და ნაციონალური იდენტობის ერთ-ერთი გამორჩეული, სიმბოლური გარემო. საერთო ქართულ გარემოში დეტალიზაციის ეს ფორმა ცხადყოფს მწერლის იმ პასუხისმგებლობას, რომელიც „ძველი ამბების ქრონიკაში“ პროექტირდება და ქვეყნის მატთანში იკავებს კუთვნილ ადგილს. სწორედ მეხსიერება გვაძლევს საშუალებას გავიაზროთ საკუთარი იდენტობა და ამასთან ერთად ჩვენი ადგილი მსოფლიო კულტურულ სივრცეში. ქალაქი ქუთაისი ელგუჯა თავბერიძემ არაერთი მხატვრული ტექსტით მონიშნა ქართულ მწერლობაში. მისი რომანი „ქარის ფრთებიც“ ამ მაგისტრალურ

ხაზს უკავშირდება და შემოდის იმ ციკლში, რომელიც მთავარი კითხვების ქვეშერთიანდება: „გახსოვს? რა დაგავიწყებს?“ სოციალურ-ფსიქოლოგიური ეპოქალური მოვლენებისა და ამბების მხატვრულ სამოსში მოქცევით მწერალი მკითხველს სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში ეხიდება.

მწერალი ნინო სადღობელაშვილი აღნიშნავს: „ელგუჯა თავბერიძე სწორედ ასეთი მწერალია – ქუთაისის საიდუმლო იცის. შესაბამისად, როგორც ყველა საიდუმლოს მცველი რაინდი, ისიც დიდი პასუხისმგებლობითა და დელიკატურობით ეკიდება საქმეს – თავის მიერ შექმნილ მხატვრულ-დოკუმენტურ ქსოვილში ქუთაისის არამხოლოდ პანო, არამედ სული იშლება. ეს ერთი შეხედვით თვალთ უხილავი არსი, სინამდვილეში ყველა დეტალსა და მოვლენაში, რაც მთავარია – ადამიანებში გამოვლენილი“ (სადღობელაშვილი 2023).

ელგუჯა თავბერიძის ძველი ამბების ქრონიკის სათაურიც სწორედ „თვალთ უხილავმა“ განსაზღვრა და იგი გამდიდრებული ძმების – გოკიელების ქრონიკაში ბაბუასა და შვილიშვილის დიალოგიდან არის მოაზრებული:

- ბაბუ, ქარს ფრთები აქვს?
- აქვს, ბაბუ, აქვს, განა უფრთებოდ იფრენდა და იქარბორბალებდა?
- რომ არ უჩანს, ბაბუ?
- განა, რაც მიმაღულია და არ ჩანს, არ არსებობს, აქვს, აქვს ქარს ფრთები. „ის, რაც არ უჩანს“ ელგუჯა თავბერიძესთან ხილული ხდება და საჭირო მნიშვნელობით იტვირთება. პერსონაჟები, რომელთა მეშვეობით იქმნება კოლორიტული ეროვნული ლანდშაფტი და ურბანული მითოლოგია, დაუვიწყარ სახეებად რჩებიან მკითხველის მეხსიერებაში.

რეალური ადამიანები რომანში იწყებენ ახალ სიცოცხლეს, სადაც უკვე სიკვდილი არ ეშუქრებათ. ელგუჯა თავბერიძის ძველი ამბების მთავარი პროტაგონისტები რეალური ადამიანები არიან, აქტორები ხელშესახებად ცოცხალია და ამბებიც ავთენტური. ისინი ქუთაისის ემპირიულ რეალობაში ცხოვრობდნენ, მწერალმა მტვერი გადააცალა ამბებს და მხატვრულ ფოლიანტად აქცია.

როგორც აღვნიშნეთ, ელგუჯა თავბერიძის თხრობის ძირითადი სტრუქტურა ერთ საბაზისო ნარატივზე დგას. მწერალს იმგვარად აქვს გააზრებული მარკირებები, რომ ამ სტრუქტურის ჩამოშლის საშიშროება არასოდეს იგრძნობა. ყველა ამბავი, განურჩევლად მისი მხატვრულ ტექსტად ქცევის მიზეზისა, ერთ სივრცეში, დამახასიათებელი დინამიკითა და თხრობის ტაქტიკით იკინძება. ადამიანური სისუსტე თუ სიძლიერე, შიში, სიხარბე და ნაყროვანება, სულგრძელობა და სულმოკლეობა, ელგუჯა თავბერიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მწერალ-ფსიქოლოგის, ეპოქის მცოდნის, იმ ეპოქის ადამიანთა ავან-ჩავანის მესაიდუმლოს დაწერილია“ (თავბერიძე 2017: 66).

ელგუჯა თავბერიძის მხატვრულ ტექსტში გვხვდება როგორც პატარა ადამიანების, ისე ცნობილი სახეების ამბები. მასთან შემთხვევითი არც



პერსონაჟი და არც ამბავია. ცუცუნისას ეროტიკულ თავგადასავალშიც ეპოქას სუთქვა იგრძნობა და ქალაქის ისტორიას ავსებს. „შავი კატის“ პერსონაჟები დიდი ხანია სახლობენ ქართულ მეხსიერებაში თავისი ღვაწლით, სისუსტეებით და ეს უკანასკნელი იმდენად ბუნებრივად მოჩანს ელგუჯა თავბერიძის მონათხრობ კიკანტურ ამბავში, რომ ნიკონიკოლაძისა და იონა მეუნარგიას ავტორიტეტს არაფერი აკლდება; უფრო მეტიც, მათი საზოგადოებრივი პროფილი უფრო რელიეფური და მომხიბლავი ხდება. პერსონაჟებს არ სჭირდებათ ხელოვნურობა, ზეკაცობა. ნიკონიკოლაძის ამბავიც მკითხველისთვის თავზარდამცემი მოულოდნელობა არ არის. თხრობა ისეთია, რომ მკითხველი კიდეც ერთხელ რწმუნდება, რომ, მიუხედავად ამ ამბისა, არც ერთ მათგანს ერის ინტერესებისთვის არასოდეს უღალატია. ელგუჯა თავბერიძის ეს ნარატივიც ამის ირგვლივ კონცენტრირდება, ავსებს ნიკონიკოლაძის ღვაწლსა და საზოგადოებრივ პროფილს.

ძველი ამბების ქრონიკაში ძმები გოკიელების ამბავი ბევრი რამით იპყრობს ყურადღებას. ჩვენი აზრით, ეს ამბავი ერთ-ერთი წამყვანია, რომელზეც დგას რომანი. ძმები გოკიელებისა და მათი ბუღალტრის დიალოგი ქარის აწყვეტილი თარეშის ფონზე შედგება. ქარი ერთგვარად სიმბოლურ როლს ასრულებს გააზრებისათვის. გოკიელები ფულის ფილოსოფიაზე მსჯელობენ: „უფულობა ჯობია დიდ ფულობას. უფულო კუჭს რომ ამოივსებს, მშვიდდება, ფულიანს გაძღომის შემდეგ ეწყება შფოთი და დავიდარაბა. ფული მანამაა სასურველი, სანამ სახლს აავსებდეს, აავსებს და სუნთქვას შეგიხუთავს, გულს გაგიჩერებს მისი სული“ (თავბერიძე 2017: 92). გაბუღალტრებული დავით ჯაფარიძე იმ ტოტსა ჭრის, რომელზეც ზის, მაგრამ იხტიბარს არ იტებს და გამდიდრებულ გოკიელებს იმ რეალობას ახსენებს, რომელიც ყოველთვის კანონზომიერად თანმდევია მათნაირი ადამიანებისა. „ფულს დიდი კუჭი, დიდი მადა მოყოლია. იმის ამოყორვას უნდება მთელი სიცოცხლე, ანუ ფულს ფულს ამატებ, ის ბატონობს შენზე და არა შენ მასზე. ჯიბეში ორი შაური რომ გიჭყავის, რაც გინდა, იმას უზამ, სახლი და კარი ფულით რომაა აშმორებული, ყოველწამს უნდა წმინდო აშმორებული ჰაერი“ (თავბერიძე 2017: 92).

ძმები გოკიელების ამბავი გრძელდება „უზნის ჯოხშიც“. ქუთაისური ბიზნესელიტის თავგადასავალი სახალისოდაა მოთხრობილი. აქაც „ღმერთო, მიშველე“ რეფრენივით გასდევს მონათხრობს. გოკიელები ამის გარეშე არაფერს ამბობენ, არც უზნის ჯოხს იცილებენ, ამაშია მათი წარმატების საიდუმლო – ჭორაობს ქუთაისი. არადა, საიდუმლო სხვაშია – ღმერთს რომ გრძნობენ და მოღალატე, „თვალეზმიბლეტილ“ ნოქართანაც მართლები რჩებიან. ფულის ფილოსოფიაზე მსჯელობას მწერალი აგრძელებს გამდიდრებული თერძის მიხეილ შნეიდერის ისტორიაშიც. ამბავს ელგუჯა თავბერიძე ასე ასათაურებს – „ოხრად დაგრჩება ფული და ოქრო“. შნეიდერი ხარჯავდა ცოტას, იღებდა ბევრს. ელგუჯა თავბერიძე „გობსკის სინდრომს“ მონიშნავს ქართულ მხატვრულ რეალობაში და

კიდევ ერთხელ ასაბუთებს, რომ ფულის გავლენა ვერ იხსნის ადამიანს სიკვდილისგან. ქუთაისელ ოლიგარქსაც უმტყუნა გულმა. „ძალიან სწყუროდა სიცოცხლე, რად მინდა ფული და ოქრო, უჩემოდ არაფერიც არ მინდაო – უთქვამს და კიევის უნივერსიტეტის პროფესორს სოპეშკოს ოპერაციაზე ექვსი ათასი მანეთის სანაცვლოდ მოელაპარაკა. ამ ამბიდან ათი წლის მერე გაქალაქისთავებული ილია ჩიქოვანი გახარებული აღნიშნავდა – დიდი მეცადინეობით, როგორც იქნა, ქალაქის ბიუჯეტი ორი ათას მანეთამდე გავზარდეთო. მიხეილ შნიეიდერს ოპერაციამ ვერ უშველა, იგი გარდაიცვალა, ელგუჯა თავბერიძე ამ ამბავს იმის დასაჯერებლად ამხატურულებს, რომ „ფულის მოყუჩებით გულს ვერ გაიყუჩებთ, გულის ძაფი თუ გაგიწყდა, ოხრად დაგრჩებად ფული და ოქროც“ (თავბერიძე 2017: 333).

ქრონიკა „თეთრი მზე თეთრ ხიდზე“ ქართული ბედოვლათობის ამბავს ჰყვება. სალიტერატურო კრიტიკაში გაჩნდა მოსაზრება, რომ მას „კლასიკური, თითქმის ჩეხოვისებური დასაწყისი აქვს, თუმცა რა შორს მივიღვართ?! – ჭეიშვილისებური“ (სოსო ჭუმბურიძე). მთავარი პერსონაჟი, გერმანული წარმოშობის გიორგი ედუარდის ძე ფონ-შულცი, რომელიც სამხედრო ინჟინერი, კაპიტანი, არქიტექტორი და ქალაქის ხმოსანია, თავგამოდებით იბრძვის თეთრი ხიდისა და ბაგრატის ტაძრის ნგრევის შესაჩერებლად. სამწუხაროდ, ტომით გერმანელმა მოხელემ ტომით ქართველებს ეს საკითხი პრობლემად ვერ უქცია. ნოველის ფინალში ცა ყვითლდება და მზე თეთრდება. მწერალი ბუნების ანომალიით სიმბოლო-ლურად იმ რეალურ სატკივარზე მიგვანიშნებს, რომელმაც ქართველს ეროვნული ენერჯია გამოაცალა. იგი თავის საგანძურს ვერ პატრონობს, ფერშეცვლილია მისი ეროვნული ღირსება და ცნობიერება. „გაკვირვებული დადიოდა ფონ-შულცი, ვერ გაეგო, რატომ ირიდებდა ქალაქის გამგეობა, რატომ აგზავნიდა მეორისკენ, მეორედან – მესამისკენ, მესამიდან – პირველისკენ. გალენჩებული იდგა თეთრ ხიდზე კონსტანტინე გუგუშვილი. ბაგრატის ნანგრევებს ვერ ხედავდა, სად დაიკარგაო, უკვირდა. ცა ყვითელი ჩანდა, მზე – თეთრი. თეთრი მზე თეთრ ხიდზე“ (თავბერიძე 2017: 230).

„მდინარის ამღვრეული ძირის“ ქრონიკაც ამ თემას აგრძელებს. როგორც ვეთს ულმოხელი დრო და ისტორიული ვითარება ქართველის ბუნებას. მისი მთავარი პერსონაჟი იასონი იარაღის ტარების აკრძალვას განიცდის. მას ყმაწვილობიდან მცნებასავით შეუსისხლხორცებია, რომ: „ქართველი თუნდაც ჩამინებული, ხმალ-ხანჯალ-თოფს, დამბაჩას ხელით თუ ვერ მიწვდება, გაუჭირდება ქართველობაო“ (თავბერიძე 2017: 235). „იარაღი ქართველისათვის ნამუსად, სინდისად, ღირსებად გაჩენილა, სინდისი გაძვირდა, იარაღის აყრაც უსინდისობის ნიშანიაო“ (თავბერიძე 2017: 235). იასონს ეს დასკვნა მისმა დროებამ გამოატანინა. მან რეალურად იგრძნო მოახლოებული ეროვნული საფრთხეები. იმპერატორის ქართველებისთვის იარაღის აყრის ბრძანება ერთობ გააზრებული აქტია, რომელსაც იასონი

კარგად გრძნობს: „ქართველებისათვის იარაღი მარტო იარაღი არაა, ვინმეს მოსაკვდინებლად ან შესაშინებლად კი არ აგვისხამს, ჩვენი ეროვნული სიამაყეა, ეროვნულობის ნიშანია. ცისარტყელას შვიდი ფერიდან ერთი რომ გამოაკლო, ცისარტყელა აღარაა, ექვსფერიანი ცისარტყელა ვის უნახავს, ასევეა ქართველი უიარაღოდ, ფერი დააკლდება“ (თავბერიძე 2017: 238). ელგუჯა თავბერიძის სათქმელიც სწორედ აქ მოიყრის თავს – ეს არის იმპერიის ქართველთა დაბეჩავების სურვილით შეზავებული ერთმორწმუნეობის პოლიტიკის ცნობილი ამბავი. ასეთი ნარატივებით სავსეა ქვეყნის ისტორია და მწერალმა კარგად იცის, რა ფასი აქვს ამასთან გაბრძოლების თითოეულ ისტორიას. მას არც ის პასაჟი გამოეპარება, როცა ახალწვერულვაშაშლილი ყმაწვილი მდინარეში იასონის ნაფერებ ღირსების სიმბოლოს – დამბაჩას შენიშნავს. მდინარის ამღვრეული ძირი სიმბოლურად ისტორიული რეალობაა, რომელმაც ვერ დაფარა ქართველთა იდენტობის სახე-სიმბოლოები. საგულისხმოა, რომ ელგუჯა თავბერიძის მებორნე მინაგოს ქრონიკაში „პატარა ადამიანის“ პრობლემაა, თუმცა რუსი მოხელის მიერ მინაგოს გაციმბირება ამ მნიშვნელობის ამბავთა რიგში შეიძლება მოვიანოთ.

ბუნებრივია, ქუთაისური ქრონიკების ელგუჯა თავბერიძისეულ მხატვრულ ვარიანტებში არის მიჯნურობის ამბებიც, რომელსაც მწერალი თავისებური „მაკვარანცხობით“ ჰყვება და რომელშიც, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტი იკვეთება საქართველოს უახლესი ისტორიის გასააზრებლად. ამ ნარატივის პირველწყარო რეზო გაბაშვილის მიერ შემონახული ამბავია იმის თაობაზე, როგორ შერჩა რუს ალისაზე რომანტიკულად გამიჯნურებულ თავადიშვილს ხელში ფეხმჩატე ჩრდილოეთის ასული. „ალისას განუმეორებელი სილამაზით გადარეულს თავგზა აებნა, აქამომდე სიყვარული არ განეცადა, წამიერი გატაცება ეგონა. იაპონიასავით ფსხრიკ გრძნობას როგორ დავემონებო, იმახდა, დაემონა კი არა, სანთელს მიკრული ფარვანასავით იწვოდა... ჩალეკურ-ლივერ-ჩასატვერებული თავადიშვილი ალისას დასდევდა აჩრდილივით, სერიოზული გადაწვეტილებაც კი მიიღო და ბედის დაკავშირებაც გადაწყვიტა ალისაზე, მაგრამ ერთხელ თავის რჩეულს ისეთ უხერხულ პოზაში გადააწყდა, რომ ყველაფერი ნათელი გახდა. გაწბილებულმა წერილი დაუტოვა თავის ტურფას: „ია უეზჯაიუ იზ კუტაისი, პრაშია ალისა“, მერე გაახსენდა, რაც მოხდა, გადაშალა და ჩაასწორა – „ტაში ვედრო“ (თავბერიძე 2017: 396). ელგუჯა თავბერიძის ამ ქრონიკასაც იგივე აფირმაცია აქვს – „რუსი ალისას“ ნდობა არ შეიძლება დავიდრე ქართველები საბოლოოდ არ დაკარგავენ ნამუსის ეროვნულ ქუდს, მასთან განშორება უნდა შედგეს. მწერლის ამ ჩანაფიქრს კარგად ეხმიანება „ჭონების ომის“ ქრონიკაც. მიუხედავად იმისა, რომ ამბავი ჭონების – შავერდიანცებისა და ოვანეზიანცების კონფლიქტზეა აგებული, მასში მონიშნულია ადამიანური ყოფის მათრგანიზებული მთავარი ფასეულობა - სინდისი და მისი მნიშვნელობა: „ქუდი ძველ დროში პატიოსნების სიმბოლოდ



რომ მიიჩნეოდა, ამიტომ დაუწყვილდა ნამუსს და გაჩნდა ნამუსის ქული. ნამუსის ქუდს მაშინ ახდიდნენ კაცს, თუ კაცი უნამუსო საქმეს ჩაიდენდა“ (თავბერიძე 2017: 238).

ელგუჯა თავბერიძის პერსონაჟები ძველი ამბების ქრონიკიდან დროის მიღმა დგანან. ყველა ამბის კონტექსტში იკვეთება აქტუალურობა და იგი თანადროულად განიცდება. ქართველთა ნაციონალური ბუნების მოდელირება გლობალიზაციის საუკუნის თანმდევია და ეს შესაძლოა კანონზომიერ პროცესადაც განიხილებოდეს, თუმცა აკულტურაციის უკიდურესობებს გადარჩენილი ქართველი ერისთვის დღეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ისეთი ნარატივების შერჩევა, რომელიც ჩვენს ეროვნულ ლანდშაფტს არ გააუფასურებს. „ნავთიპარია კიზირიების“ ფენომენი დღესაც ცოცხალია და მასთან ბრძოლაში მწერლობაც უნდა ჩაერთოს. ელგუჯა თავბერიძის მიერ აღდგენილი სეილანას ბიზნესისტორია ადამიანური ამბავია, მაგრამ მწერლის მიერ შერჩეულ ამ დოკუმენტურ ნარატივსაც შორსმიმავალი მიზნები აქვს – ჩვენი ქვეყნის უზარმაზარ პანოზე მონიშნოს არაეთიკურობის, გაუტანლობის, დაუნდობლობის მინიატურები, რომელსაც საფუძველი ერთი – შური აქვს, შედეგი კი – მრავალი და ერთნაირად დამანგრეველი. „არადა, რას მერჩიან, კაცო, ერთნი - ღვინო რატომ არ გიძმარდებაო, მეორე – ოქროს მედალი და ქების სიგელი მე გაშოვნინეო“... ყველა სეილანა და ეზეკი ბაბუს დანაბარებით ხსნის ამ მოცემულობას, „შურით გადარეულ კაცს ერიდეო. მარცხნივ მოდიოდეს, მარჯვნივ გადადი. შეხვედრა გთხოვოს, აიცილე რამენაირად, დალევაშიც არ გაყვეო...“ (თავბერიძე 2017: 12).

როგორც ცნობილია, ზოგიერთი მწერალი მხოლოდ ენითაც იცნობა. ელგუჯა თავბერიძის ენა მისი შემოქმედების განსაკუთრებული ხიბლია. ცხადია, არც რომანი „ქარის ფრთები“ წარმოადგენს გამონაკლისს. „ფომფლო გორაკები“, „ააგორგოლებდა“, „მტვრისფერი“, „შელალალებული“, „ჩალეკურ-ლივერ-ჩასატევერებული“, „ლხინქეიფა“, „უქარ-ნიავო“. „მთვარეულობამოგონილი“, „გააბაჯიჯგინებს“, „ღუდღუდათვალეებიანი“, „ტუჩბაგემწყაზარი“, „ენაბალნიანი“, „ჭკუადათესილი“ და ა. შ. ელგუჯა თავბერიძის ენობრივი აქსესუარებია. ნამდვილ ამბავზე მორგებულ თხრობას სიტყვათქმნადობა ყოველთვის ანიჭებს განსაკუთრებულობას, ქმნის განუმეორებლობისა და თავისთავადობის ძლიერ ეფექტს. მწერლის ენაზე საუბრისას თამილა ზვიადაძე აღნიშნავს: „ელგუჯა თავბერიძის წიგნი ისეთი სტილური ექსპრესიითაა შესრულებული, რომ ერთი შეხედვით მოსაწყენი ამბებიც საინტერესოდ იკითხება, რადგან ავტორს არასოდეს ღალატობს იუმორის გრძნობა. მისი ენა ლაღი, ბუნებრივი, სალაპარაკო ენასთან მაქსიმალურად მიახლოვებული, მაგრამ აზრობრივი აქცენტების გადანაწილებით გამდიდრებული ენაა. ენობრივი და სტილური თავისებურებები იმაშიც მყდარდება, როგორ შეუძლია ავტორს ამბავი ხან აღმატებულად, ხანაც ირონიით შეაფასოს და ცოცხალი, შეიძლება ითქვას, ცინცხალი სასაუბრო ენის მასალა გამოიყენოს ამისათვის“ (ზვიადაძე 2016: 244).

ელგუჯა თავბერიძე ნამდვილად უნდა ვაღიაროთ მხატვრულ ტექსტში „ცინცხალი“ ენის გამოყენების ოსტატად. იღბლიანი აღმოჩნდა ქუთაისელთა მესხიერებას შემორჩენილი ამბები, რომელთა გამხატვრულება სწორედ მას ერგო წილად. ამ ამბების მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მხატვრულ-ესთეტიკური კრიტერიუმებზე მსჯელობით. რომანს აქვს ისტორიული მნიშვნელობა და იგი მუდმივად გამოსაყენებელ ტექსტად დარჩება, ვიდრე ქართველის ცნობიერებაში იარსებებს ნაციონალური თვითშეგნების, კოლორიტულობისა და თვითშეფასების მათგან მიზნული უნარები.

#### გამოყენებული ლიტერატურა

ზვიადაძე 2017: ზვიადაძე, თ., ენობრივი რესურსის სტილისტიკური ფუნქცია დოკუმენტურ პროზაში, სჯანი. თბილისი, 2017.

თავბერიძე 2017: თავბერიძე, ე., ქარის ფრთები – ძველი ამბების ქრონიკა. ქუთაისი, 2017.

სადღობელაშვილი 2023: სადღობელაშვილი, ნ., ელგუჯა თავბერიძის დოკუმენტური რომანის „ცამეტი წელი“ შესახებ <https://mastsavlebeli.ge/?p=37549> (02.10.2023).

ტურავა 2014: ტურავა, მ., გარღვეული ლაბირინთი. თბილისი, 2014.

**სოლომონ I-ის ბრძოლა  
დასავლეთ საქართველოს  
გაერთიანებისათვის**

**Solomon I's struggle  
for the unification of Western Georgia**

**ჯემალ კარალიძე**

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ბათუმი

**Jemal Karalidze**

Shota Rustaveli State University  
Georgia, Batumi

**აბსტრაქტი**

საქართველოს დამოუკიდებლობისა და გაძლიერებისათვის მოღვაწე მონარქთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს იმერეთის „აღმაშენებლად“ წოდებულ სოლომონ I-ს. ურთულეს საერთაშორისო და საშინაო-პოლიტიკურ ვითარებაში მოუწია ახალგაზრდა სოლომონს ხელისუფლებაში მოსვლა. ოსმალეთის ჰეგემონობა და „ტყვის სყიდვა“, მსხვილ ფეოდალთა თვითნებობა და ღალატი, დასუსტებული ეკლესია, დაცემული ეკონომიკა და კულტურა – აი პრობლემათა ზოგადი ჩამონათვალი, რომელიც მთელი სიმწვავეთ იდგა სოლომონის წინაშე. თვით უახლოესი ადამიანები: დედა, ბაბუა, ბიძებიც კი მის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. ამიტომაც სოლომონს ზოგჯერ არცთუ პოპულარული ნაბიჯების გადადგმა უხდებოდა.

სოლომონ I-ს ფართო მასშტაბის სამოქმედო გეგმა ჰქონდა: ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნა, დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და მისი ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლება. სამ ათეულ წელზე მეტხანს სოლომონი თავდაუზოგავად იბრძოდა დასახული მიზნის მისაღწევად, ჰქონდა დიდი წარმატებებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, რთულმა და წინააღმდეგობრივმა საერთაშორისო ვითარებამ მწვავე შიდა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა პრობლემებმა სოლომონ I-ის დიადი გეგმების სრულად განხორციელება შეუძლებელი გახადა.

საკვანძო სიტყვები: დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნეში, სოლომონ I-ის მოღვაწეობა, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობა.



**ABSTRACT**

Among the monarchs dedicated to the independence and strengthening of Georgia, Solomon I, known as the „builder“ of Imereti, occupies a prominent position. Solomon ascended to power amidst extremely challenging international and domestic political circumstances. Ottoman hegemony, rampant corruption and betrayal among powerful feudal lords, a weakened church, and a struggling economy and culture were among the myriad issues Solomon confronted with severity. Even his closest relatives – his mother, grandfather, and uncles – sometimes opposed him, necessitating unpopular decisions on his part.

Solomon I crafted an ambitious agenda: establishing a robust centralized government and uniting Western Georgia while liberating it from Ottoman dominance. Over more than three decades, Solomon dedicated himself tirelessly to these goals, achieving notable successes. Unfortunately, due to the complex and conflicting international environment and acute domestic political, economic, and social challenges, Solomon I was unable to fully realize his plans.

**Keywords:** Western Georgia in the 18th century, the work of Solomon I, Georgia-Ottoman relations.

საქართველოსთვის თავდადებულ მონარქთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის იმერეთის მეფე სოლომონ I-ს. ურთულეს საერთაშორისო და საშინაო-პოლიტიკურ ვითარებაში მოუწია სრულიად ახალგაზრდა სოლომონს ტახტზე ასვლა.

მან მემკვიდრეობად მიიღო დაუძლურებული, სათავადოებად დაშლილი სამეფო. მისი გამეფების დროისათვის იმერეთის მთავარი ციხეები და შავი ზღვის სანაპირო თურქთა ხელში იმყოფებოდა. მოსახლეობა მოკლებული იყო ხელისუფლების მფარველობასა და უშიშროებას. ირგვლივ ტყვეთა სყიდვა, მკვლელობა, ძალმომრეობა და სიღატაკე სუფევდა (რეხვიაშვილი 1989: 176). მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის უმწვავესმა საგარეო თუ საშინაო პოლიტიკურმა პროცესებმა ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობამდე მიიყვანა „იმერეთი სრულიად აოხრებულ იქნა ცეცხლითა და მახვილითა“ (ბროსე 1998: 345).

ასეთ მძიმე ვითარებაში ხელისუფლებაში მოსულ „სოლომონს ფართო სამოქმედო გეგმა ჰქონდა: მტკიცე სამეფო ხელისუფლების შექმნა, დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და ოსმალთა ბატონობის მოსპობა“ (ბერძენიშვილი 1965: 214).

გამეფებისთანავე 17 წლის სოლომონის წინააღმდეგ შეთქმულებამ იჩინა თავი: ბაბუა ლევან აბაშიძე, როსტომის რაჭის ერისთავი, ორი ზიძა – მამუკა და გიორგი ბატონიშვილები და თვით დედა თამარი მეფეს აუჯანყდნენ და 1752 წელს ტახტიდან განდევნეს. პაპუნა ორბელიანი

ამ ფაქტს ასე გადმოგვცემს: „რაჭის ერისთავი და ლევან აბაშიძე დიდი ჯარით იმერელ მეფეზე წამოვიდნენ, სოლომონ მეფეც წამოვიდა ჯარით, შეიყარნენ, შეიბნენ... მეფე სოლომონ გაიქცა, ახალციხის ფაშას შეეხვეწა. მეფის მამული ააოხრეს“ (ორბელიანი 1854: 443). ამ ფაქტთან დაკავშირებით პროფესორი ს. კუპრაშვილი სამართლიანად მიუთითებს: „ეს ნათელი მაგალითია, თუ როგორ დეგრადირებული იყო მაშინდელ იმერეთის სამეფოში არა მარტო სახელმწიფოებრივი აზროვნება, არამედ ნათესაური ურთიერთობებიც...“ (კუპრაშვილი 2019: 25). სოლომონს სხვა არჩევანი არ ჰქონდა და ახალციხეში გაქცევით უშველა თავს. „მეფობის პირველ ხანებში სოლომონს ოსმალების გარეშე არ შეეძლო ხელისუფლების შენარჩუნება“ (რეხვიაშვილი 1992: 54). ფაშამ სიამოვნებით იკისრა დახმარება, რათა ამით იმერეთის ახალგაზრდა მეფე თავისი გავლენის ქვეშ მოექცია. სოლომონსაც სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. თუმცა შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, რომ მის მიერ დამპყრობთა მოშველიება შენიღბული პოლიტიკური ნაბიჯი იყო. ტახტზე დაბრუნების შემდეგ მეფემ მკაცრად დასაჯა აჯანყების მოთავენი: ღვიძლი დედა იმერეთიდან გააძევა, ასევე მოექცა მამუკა ბატონიშვილსაც, ბაბუას – ლევან აბაშიძეს სამკვიდრო სოფელი კაცხი ჩამოართვა ციხე-სიმაგრითურთ და მონასტრითურთ. დასაჯა მამია IV გურიელიც – ოსმალთა ჯარის დახმარებით დალაშქრა გურია, მამია განდევნა და მისი ძმა გიორგი გაამთავრა. მართალია, მამიამ მალე დაიბრუნა მთავრობა, მაგრამ იძულებული გახდა სოლომონს დამორჩილებოდა. დასჯას გადაურჩნენ რაჭის ერისთავი როსტომი და მისი ძმა – კათალიკოსი ბესარიონი. „შეიწყალა ერისთავი როსტომ და დაადგინა ერისთავად“. ქ. ჩხარტიშვილის აზრით, ეს შეწყალება მეფის სისუსტით იყო გამოწვეული. ვფიქრობთ, იმ ეტაპზე ეს სოლომონის სწორი დიპლომატიური ნაბიჯი იყო. სოლომონს თავისი პოლიტიკის – იმერეთის სამეფოს გაერთიანების, განთავისუფლებისა და გაძლიერების განსახორციელებლად ფეოდალთა შორის ძლიერი მოკავშირე სჭირდებოდა. ამ მიზნით მეფე გაეყარა თავის პირველ ცოლს, აფხაზეთის მთავრის შერვაშიძის ასულ თინათინს და ჯვარი დაიწერა სამეგრელოს მთავრის ოტია დადიანის ასულ მარიამზე. შემოირიგა მამია გურიელი. ტყვის სყიდვისა და მაჰმადიანობის წინააღმდეგ ბრძოლა საზოგადოების მოწინავე ნაწილს, მთელ ხალხს მიაჩნდა აუცილებლად. ამით იქმნებოდა მტკიცე ნიადაგი იმისა, რომ იმერეთის ხალხი მეფის ირგვლივ დარაზმულიყო (რეხვიაშვილი 1989: 179). სოლომონი მიზანმიმართულად შეუდგა ქვეყნისათვის ყველაზე საგანგაშო და დამლუპველი პრობლემის – ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლას, რამაც ფეოდალთა გარკვეული ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. მათთვის ამ ვაჭრობას მნიშვნელოვანი შემოსავალი მოჰქონდა და, ბუნებრივია, არ სურდათ ასე ადვილად დაეთმოთ კეთილდღეობის წყარო“ (კილასონია 2006: 195).

სოლომონის აღნიშნული ღონისძიებები ფეოდალთა ერთი ნაწილის ძლიერ წინააღმდეგობას აწყდებოდა, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს ციხეებში მდგარ თურქულ გარნიზონებთან, იმ დროს თურქთა რაზმები იდგნენ ქუთაისის, ცუცხვათის, ბაღდათისა და შორაპნის ციხეებში. მეფემ მართებულად განსაზღვრა, რომ

მთავარი დარტყმა ოსმალებისათვის მიეყენებინა, რომლებიც ყოველმხრივ აქეზებდნენ ტყვეებით ვაჭრობას. „ახალციხის ფაშამ რამდენჯერმე შემოუთვალა იმერთა მეფეს, ტყვის სყიდვა ძველებურად გაგრძელებულიყო, მაგრამ სოლომონ მეფე მათ მოთხოვნას არ ასრულებდა, მაშინ ოსმალეთის ხონთქარმა სოლომონის დასჯა ბრძანა“ (რეხვიაშვილი 1992: 55). სოლომონ I მტრის წინააღმდეგ საიდუმლო მზადებას შეუდგა. გადამწყვეტი ბრძოლა ხრესილის ველზე გაიმართა. იმერეთის მეფის მხარდასაჭერად მოვიდნენ კაცია დადიანი სამეგრელოს ლაშქრით, მამია გურიელი და სამურზაყანოს მმართველი ხუტუნია შარვაშიძე თავიანთი ლაშქრით. ოსმალთა მხარეზე გამოვიდნენ მეფის ბაბუა ლევან აბაშიძე და როსტომ რაჭის ერისთავი. სოლომონ I-მა გაითვალისწინა და ჩაკეტა ფოთიდან, გურიიდან და ახალციხიდან მომავალი გზები, საიდანაც ოსმალეთს შეეძლო იმერეთში დამატებითი სამხედრო ძალების შემოყვანა.

1757 წლის 14 დეკემბერს, გამთენიისას იმერეთის ლაშქარი თავს დაესხა ხრესილის ველზე დაბანაკებულ თურქებს. ოსმალთა სარდლობა თავდასხმას ელოდა, ამიტომაც არ დაბნეულა და პირველად წარმატებასაც კი მიაღწიეს. მათ ხელთ იგდეს იმერეთის სამეფო დროშაც, თუმცა ქართველთა ლაშქარი არ შერყეულა. სოლომონ მეფემ ხმლით განგმირა თურქთა მთავარსარდალი გოლა ფაშა, რომლის ადგილი ლევან აბაშიძემ დაიკავა, რომელიც ასევე მოკლეს; ამან მტრის ბანაკში არეულობა გამოიწვია. ოსმალთა უმეტესობა გაჟლიტეს, ნაწილი ტყვედ ჩაუვარდათ ქართველებს.

ხრესილზე გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. წარმატებით გაჩაღდა ბრძოლა იმერეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის, რომელიც პირდაპირ ეხმაურებოდა ქართლ-კახეთის გაძლიერებას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში (სინ 1973: 639). აღნიშნული მარცხის გამო ახალციხის ფაშა ჰაჯი-აჰმედი დაახრჩვეს. ხოლო მის ნაცვლად ჰასანი დაინიშნა. სოლომონმა იცოდა, რომ ოსმალები ხრესილთან მარცხს უპასუხოდ არ დატოვებდნენ და მიიღო საჭირო ზომები. მალე 1758 წელს სოლომონ I-მა, ერეკლე II-მ და თეიმურაზ II-მ გორში მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება გააფორმეს. ოსმალეთი იმერეთის სამეფოს დასჯას დაჟინებით ცდილობდა.

1758 წელს ახალციხის ფაშამ ორჯერ დამსჯელი ექსპედიცია მოაწყო იმერეთში. ერთ-ერთი შემოსევის დროს ახალციხიდან შემოჭრილმა ლეკებმა დაარბიეს იმერეთი, ააოხრეს გელათი და ნადავლით გაბრუნდნენ. თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ სოლომონმა ლაშქრის შეყრა და ქართლ-კახეთზე დახმარების თხოვნაც მოასწრო.

1759 წლიდან აქტიურად შეუდგა იმერეთის საშინაო საქმეების მოწესრიგებას. მაჰმადიანობის შესაკავებლად და ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად საჭირო იყო დასუსტებული ეკლესიისა და გაუქმებული კათედრების აღდგენა და გაძლიერება. 1759 წლის დეკემბრის დასაწყისში სოლომონ პირველის ინიციატივით მოიწვიეს დასავლეთ საქართველოს დიდი საეკლესიო კრება. მის მუშაობაში იმერეთის მსხვილ ფეოდალებთან ერთად მონაწილეობდნენ სამეგრელოსა და გურიის მთავრები და ბატონიშვილები, კრებას ესწრებოდა მეფის დაუძინებელი მტერი როსტომ



რაჭის ერისთავიც კრების მუშაობა ერთ თვეს გაგრძელდა და მიიღო როგორც ეკლესიისათვის, ისე მთლიანად დასავლეთ საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. კრებამ ტყვეებით მოვაჭრეთათვის სიკვდილით დასჯა დაადგინა (საქართველოს მეფეები 2000: 261). საეკლესიო კრების სხდომაზე 4 დეკემბერს აღდგენილ იქნა ქუთაისის კათედრა, ეკლესია განთავისუფლდა ყველა სახელმწიფო გამოსაღებისა და სამსახურისაგან, გარდა ლაშქარ-ნადირობისა და „ქვეყნის მოსავალი“ საქმისა (კაკაბაძე 1913: 4-5). კრების მეორე სხდომაზე, 5 დეკემბერს, რომელშიც აფხაზეთის წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ, იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის საერო და სასულიერო ფენის მაღალმა წარმომადგენლებმა იმერეთის მეფეს მორჩილებისა და „ტყვის სყიდვის“ აკრძალვის პირობა მისცეს. საეკლესიო კრებამ ტყვის მყიდველნი შეაჩვენა, საერო ხელისუფლებამ კი მათ სიკვდილით დასჯით დაემუქრა (სინ 1973: 641). საეკლესიო კრების მოწვევის მიზანი იყო აღმოეფხვრა ყველა ის სიბილწე და უკანონობა, რომელსაც მოეცვა XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოს ერი და ბერი, ეს იყო მთავარი ამოცანა და ამ შემთხვევაში სოლომონ პირველი მართლაც მეორე დავით აღმაშენებლად მოველინა დასავლეთ საქართველოს. კრებაზე მიღებული დადგენილებები ხელს უწყობდა ეკლესიის ავტორიტეტის გაზრდას, სახელმწიფოს ცხოვრებაში მისი ფუნქციების გაფართოებას, ეკონომიკურ გაძლიერებასა და დამოუკიდებლობას. უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ის, რომ კრებამ გადააყენა თანამდებობებიდან უღირსი სასულიერო პირები და მათ ნაცვლად ღირსეულნი აღაზევა (აბაშიძე... 2020: 391).

1759 წლის საეკლესიო კრებამ დასაბამი მისცა ახალ პერიოდს დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიერიდან ეკლესია მტკიცედ უჭერდა მხარს ცენტრალურ ხელისუფლებას.

საეკლესიო საქმეების მოწესრიგების პარალელურად სოლომონ I შეუდგა არანაკლებ მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებას, რომელიც სახელმწიფო (სახაზინო) ქონების გაზრდას ითვალისწინებდა. პირველ რიგში, მეფე სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდა ქვეყნის თავდაცვის ძირითადი პუნქტების – ციხეების დაუფლებას. მან გიორგი და ნიკოლოზ აბაშიძეებისგან იყიდა ხარაგაულისა და ჩხერის ციხეები. მოდინახეს ციხე მეფეს გადასცეს ქაიხოსრო და ნიკოლოზ წერეთლებმა, ხოლო კაცხის ციხე მეფემ ჩამოართვა მოლაღატე ლევან აბაშიძეს (ბურჯანაძე 1950: 75). სოლომონი ოსტატურად იყენებდა მსხვილ ფეოდალთა შორის არსებულ დაპირისპირებას. მან დააწინაურა: წერეთლები, აგიაშვილები, იაშვილები, ლორთქიფანიძეები, მაჭავარიანები, წულუკიძეები. ასევე, გულმოდგინედ იმრავლებდა სოლომონი სახასო გლეხებსაც. სახელმწიფო მიწებზე დაასახლა ხრესილის ბრძოლიდან ტყვედ წამოყვანილი მაჰმადიანები.

ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლის წარმატებით წარმართვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სოლომონ პირველის მიერ

შექმნილ, საქართველოს ისტორიაში მანამდე უცნობ „ფიცის კაცთა“ ინსტიტუტს. „ფიცის კაცი“ იყვნენ თავად-აზნაურთა შემდეგი გვარების წარმომადგენლები: ლორთქიფანიძეები, ავალიანები, მესხები, იოსელიანები, ლოლობერიძეები, მიქაბერიძეები, ყიფიანები, ქორქიშვილები, იაშვილები, უგრეხელიძეები, გრიგალაშვილები და ჭაბუკიანები (რეხვიაშვილი 1982: 54). ფიცის კაცები წელიწადში ერთხელ, 15 მაისს, იკრიბებოდნენ და მეფის ერთგულებაზე ფიცს დებდნენ. ომიანობის შემთხვევაში მათ 1000 მეომარი გამოჰყავდათ. ფიცის კაცებს ზევრი პრივილეგია გააჩნდათ, მაგრამ პასუხისმგებლობის მაღალი მოთხოვნებიც ეკისრებოდათ. სიმხდალე თუ პასიურობა მათ არ ეპატიებოდათ.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა იმერეთის მეფეს მთელ დასავლეთ საქართველოში დიდი ავტორიტეტი და აღიარება მოუტანა. სოლომონის ღონისძიებები: ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება და ურჩი დიდგვაროვნების ალაგმვა, ეკლესიის გაძლიერება, ტყვის სყიდვის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა, სამხედრო რესურსების გაძლიერება, ქართლ-კახეთის სამეფოსთან მჭიდრო თანამშრომლობა ოსმალთა შემოჭოტებას იწვევდა. მათ 1760-1765 წლებში რამდენჯერ მოაწყვეს თავდასხმა იმერეთის სამეფოზე.

1760 წელს ახალციხის ფაშამ ოფიციალურად მოითხოვა „ტყვის სყიდვის“ აღდგენა, რაზეც სოლომონმა უარით უპასუხა. სულთანმა იმერეთზე გალაშქრების ბრძანება გასცა. 1760 წელს იმერეთში ოსმალეთის 20-ათასიანი დამსჯელი ლაშქარი შემოიჭრა. სოლომონმა მტერი დაამარცხა და განდევნა. 1763 წელს იმერეთს კვლავ შემოუტია 13-ათასიანმა ოსმალთა ჯარმა, სოლომონმა მტერი ამჯერადაც დაამარცხა.

1764 წელს სულთანმა კვლავ დიდი ჯარი გამოგზავნა იმერეთში. ოსმალებს სერიოზული სამზადისი ჩაეტარებინათ და მრავალრიცხოვანი ლაშქარი შეეკრიბათ. მათ თან მოჰყავდათ იმერეთის ტახტის პრეტენდენტი, სოლომონის ბიძაშვილი, თეიმურაზ მამუკას ძე, რომელიც გამეფების შემთხვევაში ოსმალებს იმერეთში „ტყვის სყიდვის“ აღდგენას ჰპირდებოდა (სინ 1973: 642-643). 1765 წელს ოსმალებმა გურია დაიკავეს. ჰასან ფაშამ მამია I გურიელი გადააყენა და მისი ძმა გიორგი გაამთავრა. ოსმალებმა მხარდაჭერა დადიანსაც მოსთხოვეს, რომელიც იძულებული გახდა მტრისათვის სურსათი მიეცა და ისინი სამეგრელოს ტერიტორიაზე გამოეზამთრებინა. 1766 წელს ოსმალთა ჯარი იმერეთს შეესია და 31-დღიანი ალყის შემდეგ, სექტემბერში, სვერის ციხე აიღო, ქუთაისში შესულებმა თეიმურაზ მამუკას ძე მეფედ დასვეს. მტერი ცდილობდა სოლომონის შეპყრობას, მაგრამ ვერ შეძლეს, რადგან სოლომონ მეფემ თავი მოდინახეს ციხეს შეაფარა, რომელიც მას ქაიხოსრო და ნიკოლოზ წერეთლებმა გადასცეს. მეფე ამაოდ ელოდა რუსეთისგან დახმარებას. მან მომხრეები შეკრიბა, ლეკთა რაზმიც დაიჭირავა და მალე მთელი იმერეთი დაიკავა. მოღალატე თეიმურაზი თურქებს შეეფარა. რაჭის ერისთავი ისევ თეიმურაზს მიემხრო.

ოსმალები იმერეთში ახალი ლაშქრობის სამზადისს შეუდგნენ, თუმცა ერჩიათ შეთანხმებით საქმის მოგვარება. არც სოლომონი იყო

დარწმუნებული, რომ მეფობას დამოუკიდებლად დაიბრუნებდა. ამიტომ მან ერეკლე მეორეს სთხოვა ოსმალეთთან დაზავებაში შუამდგომლობა ეკისრა. მოლაპარაკებაში ერეკლეს ელჩთან ერთად სოლომონის ძმა გაენათელი ეპისკოპოსი იოსებიც მონაწილეობდა. 1767 წელს იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთს შორის გაფორმდა ზავი. სოლომონის მეფის თავდადებულმა ბრძოლამ აიძულა ოსმალეთის ხელისუფლება კომპრომისზე წასულიყო. 1767 წელს სტამბოლში გაფორმებული ხელშეკრულებით პორტა იმერეთს სცნობდა არა ვასალურ, არამედ მფარველობაში მყოფ სახელმწიფოდ (კილასონია 2006: 199). მაგრამ ერთგულების ნიშნად იმერეთის მეფეს სულთნისათვის ყოველწლიურად 60 ქალი უნდა გაეგზავნა, თუმცა სავალდებულო აღარ იყო, რომ ეს ქალები ქართველები ყოფილიყვნენ. ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი „ტყვის სყიდვის“ აღდგენაზე, რაც იმერეთის მეფის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს (მარკოვა 1966: 136). მალე გამოჩნდა, რომ სოლომონის მხრიდან ეს შეთანხმება მოჩვენებითი იყო (რეხვიაშვილი 1989: 195).

1768 წლის პირველ ნახევარში სოლომონი გადამწყვეტ ბრძოლაზე გადავიდა თეიმურაზისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ; ჩხარის მახლობლად, ცხრაწყაროსთან, ბრძოლაში სოლომონმა გაიმარჯვა. თეიმურაზი გაიქცა, მაგრამ მალე დაატყვევეს. მეფემ იგი მუხურის ციხეში გამოკეტა, საიდანაც ცოცხალი აღარ გამოსულა. ციხეში ჩასვეს ბრძოლაში დატყვევებული გიორგი ბატონიშვილიც (სინ 1973: 646).

საერთაშორისო ვითარების გართულების გამო 1768 წლის 25 სექტემბერს სულთანმა მუსტაფა III-მ სოლომონ I-ს ფირმანი გამოუგზავნა, რომელშიც სცნობდა მის მეფობას იმერეთში (გოგოლაური 2016: 11). შეთანხმების პირობები ასეთი იყო: სოლომონ I სულთანსა და ახალციხის ფაშას ერთგულ სამსახურს გაუწევდა; აბაშიძეს ზიანს არ მიაყენებდა; ოსმალები მათთან მყოფ მიძევლებს სოლომონ მეფეს გადასცემდნენ, საქართველოში ვაჭრობა, როგორც ადრე, შეზღუდვებისა და აკრძალვების გარეშე უნდა გაგრძელებულიყო. დასაზუსტებელი იყო სვერის ციხის საკითხი – ოსმალები მას დაანგრევდნენ თუ სოლომონს გადასცემდნენ. სოლომონ I აღნიშნულ პირობებს დათანხმდა და მან კვლავ დაიბრუნა იმერეთის ტახტი (გულდური 2021: 172). სოლომონის მოწინააღმდეგე ფეოდალთა დასაყრდენს როსტომ რაჭის ერისთავი წამოადგენდა. გამეფების დროიდან იგი ყოველთვის მეფის მოწინააღმდეგეთა მხარეზე იყო. 1768 წელს ტახტის დაბრუნების შემდეგ მეფემ რაჭის დამორჩილება გადაწყვიტა და 1769 წლის 28 იანვარს ჯარით რაჭის საერისთავოს შეუტია. ერისთავმა ახალციხის ფაშასა და ყაზარდოელებს მიმართა დახმარებისათვის, მაგრამ უშედეგოდ. დამარცხებული ერისთავი გაიქცა. რაჭაში მყოფმა სოლომონმა რუსეთის ელჩები მიიღო. რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომი მიმდინარეობდა, სოლომონი კი რუსეთის მხარეზე გამოსვლას აპირებდა. ამიტომ იმუხამად მან ერისთავთან შერიგება ამჯობინა, მაგრამ 1769 წლის აგვისტოში, როდესაც საქართველოში რუსთა ჯარი შემოვიდა, იმერეთის მეფემ რაჭის საერისთავოს საბოლოო გაუქმება გადაწყვიტა. მანამდე, 1769 წლის მაისში, სოლომონმა საეკლესიო კრებას გადააყენებინა მოლაპატე



აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი ბესარიონი. იგი რაჭის ერისთავ შოშიტასა და იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ის ასულის მარიამის ძე, რაჭის ერისთავ როსტომის ძმა იყო. 1742-1769 წლებში მას ეჭირა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის თანამდებობა. ბესარიონი აქტიურად იყო ჩართული იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. სოლომონ პირველის კურსის საპირისპიროდ, რომლის მიზანიც დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და მეფის ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნა იყო, ბესარიონმა მხარი დაუჭირა ცენტრალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს, კერძოდ, თავის ძმას, რაჭის ერისთავ როსტომსა და მის მოკავშირეს, თავის დისწულს – კაცია დადიანს (საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები 2000: 162-163).

1768 წელს სოლომონის მოწინააღმდეგეთა მიერ ახალციხეში დახმარების თაობაზე მოსალაპარაკებლად გაგზავნილი ბესარიონი ახალციხის ფაშამ შეიპყრო, თუმცა მან შეძლო გამოქცევა, მაგრამ იმერეთში ვეღარ დაბრუნდა და სამეგრელოში გადავიდა დისწულ კაცია დადიანთან, რომელმაც იგი ოდიშის „კათალიკოსად“ დანიშნა. ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ტახტზე სოლომონის უმცროსი ძმა, გაენათელი მიტროპოლიტი იოსები დაადგინეს (აბაშიძე... 2020: 395). ამგვარად, 1773 წლამდე, ბესარიონ კათალიკოსის გარდაცვალებამდე, დასავლეთ საქართველოში ორკათალიკოსობას ჰქონდა ადგილი.

კათალიკოს ბესარიონის გადაყენებისა და საქართველოში რუსეთის სამხედრო კონტინგენტის შემოსვლის შემდეგ მეფემ ერისთავი და მისი ოჯახი ვარციხეში შეიტყუა. „სოლომონმა კათალიკოსი იოსები (მეფის ძმა) გამოიყენა როსტომის წინააღმდეგ... რაჭაში კათალიკოსი გაგზავნა და ერისთავი სტუმრად მოიწვია. იოსებს სოლომონმა აღუთქვა, როსტომს საარაკოდ მივიღებო. კათალიკოსმა ბარძიმზე დაფიცებით დაარწმუნა ერისთავი ხელშეუხებლობაში. იმედმოცემული როსტომი დიდი ამალით და სურსათ-სანოვანით ეწვია მეფეს. მეფემ პირობა დაარღვია, ერისთავი და მისი შვილები სასტიკად დასაჯა... შეძრწუნებულმა კათალიკოსმა ძმას მოსთხოვა, მისთვის ამოეწვა თვალები... იოსებმა გელათის ტაძარში ოფიციალურად გამოაცხადა უარი ღვთისმსახურებაზე და გარდაცვალებამდე მართლაც აღარ ჩაუტარებია წირვა-ლოცვა (მჭედლიძე... 2008: 198).

სოლომონმა როსტომის დასასჯელად ხელსაყრელი დრო შეარჩია. იოსების ფიცში დარწმუნებული როსტომ ერისთავი შვიდი ვაჟიშვილითა და ლაშქრით მეფეს ვარციხის სასახლეში ეწვია. კურდღლებზე ნადირობის მოყვარული ერისთავი მეფემ გეგუთში იაშვილების მამულში მიიწვია, შვილებთან ერთად შეიპყრო და თვალები დასთხარა. რაჭის საერისთავო გააუქმა, მამულების ძირითადი ნაწილი სამეფო საკუთრებად გამოაცხადა, ნაწილი თავის ძმას, კათალიკოს იოსებს, ხოლო ნაწილი თავის ერგულ წულუკიძეებსა და წერეთლებს გადასცა. ამრიგად, 17-წლიანი ბრძოლა, რომელიც ხან ფარულად და ხან აშკარად მიმდინარეობდა მეფესა და ერისთავს შორის, სოლომონის გამარჯვებით დამთავრდა (რეხვიაშვილი 1982: 66). აბაშიძეთა საფეოდალო სახლის დამარცხების შემდეგ რაჭის

საერისთავოს გაუქმება ქვეყნის ცენტრალიზაციის გზაზე მეორე დიდი გამარჯვება იყო.

იმერეთის მეფე ცდილობდა რუსეთის სამხედრო ძალის გამოყენებით ქვეყნიდან ოსმალთა გარნიზონების განდევნას.

სოლომონმა ისარგებლა ასპინძასთან ახალციხის ფაშას დამარცხებით და თურქებისაგან ცუცხვათისა და შორაპნის ციხეები გაათავისუფლა. მეფემ ქალაქი ქუთაისიც დაიკავა და მის ციხეს ალყა შემოარტყა. 1770 წლის ივნისში ტოტლებენი იმერეთში გადმოვიდა. 2 ივლისს სოლომონი და ტოტლებენი ბაღდადის ციხეს შემოადგნენ. ოსმალეთის გარნიზონი, რომელსაც ახალციხის ფაშას დახმარების იმედი აღარ ჰქონდა, დანებდა. ამის შემდეგ რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა ძალებმა ქუთაისის ციხეს შეუტყეს და აიღეს. მალე სოლომონსა და ტოტლებენს შორის ურთიერთობა დაიძაბა. საბოლოოდ ტოტლებენი სუხოტინმა შეცვალა, რომელიც კარგად ვერ ერკვეოდა საქართველოს საკითხში. მან, რჩევის მიუხედავად, ზაფხულში დაიწყო ფოთის ალყა, რაც მარცხით დასრულდა.

ფოთთან დამარცხების შემდეგ ოსმალებმა გააძლიერეს თავდასხმები ქვემო გურიის სოფლებზე, რასაც დაემატა სუხოტინის გაუმართლებელი ჩარევა გურიის საშინაო საქმეებში. ქობულეთის თავადი მამუკა თავდგირიძე აქტიურად იბრძოდა ოსმალთა წინააღმდეგ. თურქები ქობულეთის მხარეში ციხისძირიდან შემოიჭრნენ და ხინო დაიკავეს. 1772 წლისთვის ხინო გურიის სამთავროს ჩამოაშორეს, მამუკა თავდგირიძემ სცადა ოსმალთა შეჩერება; იგი ცოლ-შვილითა და პირუტყვის ჯოგებით საჯავახოს დადგა და სოლომონ I-ის დახმარებას ელოდა, მაგრამ უშედეგოდ. მალე მან გურიელისაგან სამფლობელოდ მიიღო აკეთი და იქ დამკვიდრდა. მალე რუსეთის ჯარმა საქართველო საერთოდ დატოვა.

ახალციხის ფაშამ ისარგებლა რუსეთის ჯარის წასვლით და სოლომონის წინააღმდეგ დადიანი და შერვაშიძე წააქეზა. სოლომონმა ერეკლეს სთხოვა დახმარება და ამის შემდეგ დადიანი იმერთა მეფის წინააღმდეგ აღარ გამოსულა. ერეკლემ ჯარი დაძრა სოლომონის დასახმარებლად. ეს რომ გაიგეს, ოსმალთა ჯარმა სასწრაფოდ უკან დახევა გადაწყვიტა, მაგრამ სოლომონმა მტერი მაინც დაამარცხა.

1768-1774 წლების ომის შედეგად ოსმალეთის იმპერიის ძლიერება შესუსტდა. მათ ვერ შეძლეს სოლომონ პირველის დამორჩილება და იმერეთის ციხეების კვლავ დაკავება. სულთანმა იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო იმით, რომ რუსეთმა სცნო მისი უფლებები დასავლეთ საქართველოზე, მაგრამ ეს უფლებები ნომინალური იყო. 70-იანი წლებიდან იმერეთის სამეფო კიდევ უფრო გაძლიერდა. დასავლეთ საქართველოს მთავრები ქედს უხრიდნენ გაძლიერებულ იმერთა მეფეს და მის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლას ვერ ბედავდნენ. ისინი სოლომონის რიდით ოსმალეთს ხარკს აღარ უხდიდნენ, თუმცა სოლომონის მდგომარეობა მყარი არ იყო. განსაკუთრებით დადიანი არ წყვეტდა მეფის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან კავშირს. 1776 წელს სოლომონმა გურიის რაზმების თანხლებით სამეგრელოზე გაილაშქრა, რამდენიმე ციხე აიღო და დადიანი დაიმორჩილა. იმავე წელს სოლომონს ერთგულება დაუდასტურა გურიის ახალმა მთავარმა გიორგი V-მ. სოლომონის წარმატებებმა ოსმალეთის

ხელისუფლება აიძულა შეეცვალა მასთან ურთიერთობის ხასიათი. 1776 წლის ოქტომბერში იმერეთს ელჩები ეწვივნენ სულთნის ფირმანითა და ძვირფასი საჩუქრებით.

ურთულესი საშინაო თუ საგარეო-პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, სოლომონი ოსტატურად ახერხებდა საფრთხეების მოგერიებასა და სახელმწიფოს თანმიმდევრულად განამტკიცებდა. ასეთ ვითარებაში იმერეთის საშინაო და საგარეო წარმატებებს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ტახტის მემკვიდრის ალექსანდრე ბატონიშვილის 1778 წელს მამისადმი განდგომამ. მას მხარს უჭერდნენ მეფისადმი მტრულად განწყობილი სახლთუხუცესი დავით აბაშიძე, მოურავი თამაზ მესხი, მერაზ ნიჟარაძე, სვიმონ მიქელაძე და წერეთელი.

სოლომონმა ერთგული წერეთლებისა და წულუკიძეების მხარდაჭერით შეძლო აჯანყებულთა დამარცხება, ალექსანდრეს მომხრეები სასტიკად დასაჯა.

ოსმალეთი ცდილობდა დასავლეთ საქართველოზე გავლენის შენარჩუნებასა და იმერეთისათვის მოკავშირე სამეგრელოს სამთავროს ჩამოშორებას. კაცია დადიანმა დახმარებისათვის სოლომონს მიმართა. იმერეთ-გურიის ლაშქარი დადიანის მისაშველებლად გაეშურა. ბრძოლა გაიმართა 1779 წლის ბოლოს რუხის ციხესთან და ქართველთა ლაშქრის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

ოსმალებმა ტაქტიკა შეცვალეს და დაიწყეს დასავლეთ საქართველოს ციხეების გარნიზონებით გაძლიერება, მაგ., ანაკლიის, ფოთის, კინტრიშის (ქობულეთის) ციხეები. მოუხშირეს გურიისა და იმერეთის სოფლებზე მარბიელ თავდასხმებს.

აჭარის ფეოდალების ხშირი თავდასხმების საპასუხოდ სოლომონმა 1781 წლის 21-29 ივლისს აჭარაზე ილაშქრა, მაგრამ იმერეთიდან ამ მთიან მხარეში შეჭრა ძნელი აღმოჩნდა და მეფე უშედეგოდ დაბრუნდა (სინ, 1973: 666). სოლომონ მეფე კარგად ხვდებოდა, რომ მრავალრიცხოვანი შინაური თუ გარეული მტრის მოსაგერიებლად აუცილებელი იყო ძლიერი მოკავშირის პოვნა. ასეთ მოკავშირედ სოლომონს ერთმორწმუნე რუსეთი ესახებოდა, რაც კიდევ უფრო ძაბავდა ოსმალეთთან ისედაც რთულ ურთიერთობას.

1783 წლის ნოემბერში სოლომონს ოსმალეთის ელჩები ეწვივნენ სულთნის საჩუქრებითა და ფირმანით, რომელშიც სულთან იმერეთის მეფისაგან რუსეთთან ურთიერთობის შეწყვეტას მოითხოვა. მეფემ ელჩები უარით გაისტუმრა. სოლომონს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლა.

სოლომონ პირველი მთელი თავისი მოღვაწეობის პერიოდში უდიდესი ენთუზიაზმით იბრძოდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა და აღორძინებისათვის. ამის დამადასტურებელია 1784 წელს ბათუმზე მოწყობილი ლაშქრობა. 1784 წლის დასაწყისში აჭარის მმართველმა აბულბეგ ხიმშიაშვილმა ოსმალთა დავალებით გაილაშქრა გურიის სამთავროზე. ხიმშიაშვილის ლაშქარი გურულებმა სასტიკად დაამარცხეს და გარეკეს, ხოლო აბდულ-ბეგი ბრძოლაში დაიღუპა.



ამ თავდასხმის გამო სოლომონმა პროტესტით მიმართა ახალციხის ფაშას, რომელმაც თავი იმართლა, მიუვალ მთებში მცხოვრებ აჭარლებს ვერ ვაკონტროლებო. აბდულ ხიმშიაშვილის ლაშქრობა გახდა საბაზი სოლომონის ლაშქრობისა ქობულეთ-ბათუმის შემოსაერთებლად. მიუხედავად იმისა, რომ ლაშქრობა საიდუმლოდ მზადდებოდა, დადიანის მეშვეობით ოსმალებმა მაინც გაიგეს. 1784 წლის 4 მარტს სოლომონი 6 000 მეომრით ბათუმის მიმართულელებით დაიძრა, აიღეს ქობულეთის ციხე, ჩაქვის მხარე და ბათუმამდე მიაღწიეს. უკან მომავალ ქართველთა ლაშქარს 9 მარტს ციხისძირთან ჩასაფრებული დახვდა ოსმალთა და მაჰმადიან ქართველთა ლაშქარი. სოლომონი დამარცხდა და ძლივს გადაურჩა ტყვეობას. იგი ვახტანგ გურიელმა გამოიყვანა ბრძოლის ველიდან თავისი ცხენით. აღნიშნული მარცხი მძიმედ განიცადა სოლომონმა და მალე, 1784 წლის 23 აპრილს, მოულოდნელად გარდაიცვალა. იგი გელათის ღვთისმშობლის ტაძარში დაკრძალეს.

სოლომონ პირველმა უდიდესი კვალი დატოვა არა მარტო იმერეთის, არამედ სრულიად საქართველოს ისტორიაში. იგი თავდაუზოგავად ებრძოდა როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრებს. ისწრაფოდა ქვეყნის გაერთიანებისა და განთავისუფლებისათვის. სამართლიანად მიუთითებს მიხეილ რეხვიაშვილი: „არც ერთ მეფეს იმერეთის სამეფოს ოთხსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ისეთი სახელი არ დარჩენია, როგორც სოლომონ პირველს. მას დიდად აფასებდნენ როგორც თანამედროვენი, ისე შთამომავლობა, ვითარცა სწორუპოვარ სარდალს, წინგამხედ პოლიტიკოსს“ (რეხვიაშვილი 1989: 279).

#### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- აბაშიძე... 2020: აბაშიძე ზ., ბახტაძე მ., ჯანელიძე ო., საქართველო და ქართველები, მესამე გამოცემა. თბილისი, 2020.
- ბერძენიშვილი 1965: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, II. თბილისი, 1965.
- ბროსე 1998: ბროსე მ., საქართველოს ისტორია. ბათუმი, 1998.
- ბურჯანაძე 1950: ბურჯანაძე შ., სოლომონ პირველის პირველი პერიოდი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XII. თბილისი, 1950.
- გოგოლაური 2016: გოგოლაური რ., რუსეთ-თურქეთის ომები და სამხრეთ საქართველოს საკითხი. თბილისი, 2016.
- გულდური 2021: გულდური ქ., იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობიდან XVI-XVIII საუკუნეებში (ოსმალური და ქართული წყაროების მიხედვით). სადოქტორო დისერტაცია. ბათუმი, 2021.
- კაკაბაძე 1913: კაკაბაძე ს., საეკლესიო რეფორმისათვის სოლომონ პირველის დროს. თბილისი, 1913.
- კილასონია 2006: კილასონია ა., ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში XVI-XIX საუკუნეებში. თბილისი, 2006.
- კუპრაშვილი 2019: კუპრაშვილი ს., სოლომონ I და სოლომონ II. თბილისი, 2019.

- მჭედლიძე... 2008: მჭედლიძე გ., კეზევაძე მ., ქუთაისი-გაენათის ეპარქია (ისტორია და თანამედროვეობა), ქუთაისი, 2008.
- ნარკვევები 1973: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბილისი, 1973.
- ორბელიანი 1854: ორბელიანი პ., ამბავნი ქართლისანი. ქართლის ცხოვრება II. სანკტ-პეტერბურგი, 1854.
- რეხვიაშვილი 1982: რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო XVIII საუკუნეში. თბილისი 1982.
- რეხვიაშვილი 1989: რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო 1462-1810. თბილისი, 1989.
- რეხვიაშვილი 1992: რეხვიაშვილი მ., იმერეთის მეფენი – სოლომონ პირველი და სოლომონ მეორე. ქუთაისი, 1992.
- საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები 2000: საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები. რედაქტორი: რ. მეტრეველი. თბილისი, 2000.
- საქართველოს მეფეები 2000: საქართველოს მეფეები, რედაქტორები: მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი. თბილისი, 2000.
- Маркова 1966: Маркова О. П., Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, Москва, 1966.

**ზმნისწინთა ფონეტიკური ნაირსახეობები  
ზემოიმერულში**

**Phonetic Varieties of Verb Prefixes  
in Upper Imeretian**

**მარიამ კობერიძე**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, გორი

**Mariam Koberidze**

Cori State University  
Georgia, Cori

**აბსტრაქტი**

ზმნისწინი ზმნის ერთ-ერთი რთული და საინტერესო ნაწილია. ამას განაპირობებს მისი რაოდენობა, ფუნქცია და ის ფონეტიკური ცვლილებები, რაც მასთან დაკავშირებით დიალექტებში გვხვდება.

სტატიაში გაანალიზებულია ზმნისწინის შემადგენელი ო ხმოვნითი ელემენტის ზოგი ფონეტიკური ცვლილების (ასიმილაციის, დისიმილაციის) შედეგად წარმოქმნილი ვარიანტების პარალელური გამოყენების შემთხვევები ზემოიმერულში. კვლევა ემყარება სხვადასხვა დროს ჩაწერილ და გამოქვეყნებულ ტექსტებს.

კვლევის აქტუალობასა და სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქრონოლოგიურად შესწავლილია დიალექტური მასალა, გამოვლენილია ო ხმოვნის შემცველ ზმნისწინებში დიალექტური ვარიანტები და ანალოგიური შემთხვევები (იცვლება თუ არა ერთი და იმავე წესით პოზიციის მიხედვით) იმერულთან და ქართული ენის სხვა დიალექტების მონაცემებთან შეპირისპირებით.

გამოქვეყნებული დიალექტური ტექსტების ქრონოლოგიურად შესწავლის საფუძველზე დადასტურდა, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში არსებული ზმნისწინები მო-, ამო-, გამო-, გადმო-, შემო-, ჩამო-, წამო- ზემოიმერულში ფონეტიკური ცვლილების შედეგად წარმოადგენილია შემდეგი სახით: მო→მა; მო→მე; მო→მუ; ამო→ამე; გამო→გამა, გამო→გამე; გადმო→გადმე; შემო→შამე; შემო→შემე; ჩამო→ჩამე; წამო→წამე. გაანალიზებულ მასალაში არ გვხვდება მიმო- ზმნისწინის ფონეტიკური



ცვლილება. ჩაწერილ დიალექტურ ტექსტებში მოქმედი ხშირად სალიტერატურო ენის ფორმების პარალელურად ზმნისწინის რამდენიმე დიალექტურ ვარიანტს იყენებს.

კვლევამ აჩვენა, რომ ო ხმოვნის შემცველ ზმნისწინთა ფონეტიკური ცვლის პოზიცია და შედეგი მსგავსია იმერულისა და ქართული ენის სხვა დიალექტებისა. ო ხმოვანი იცვლება მომდევნო მ- ობიექტური პირის ნიშნის, პრეფიქსისეული (ე-, ი-, უ-) და ფუძისეული ხმოვნის გავლენით.

საკვანძოსიტყვები: იმერული დიალექტი, ზემოიმერული მეტყველება, ზმნისწინი, ფონეტიკური ცვლილებები.

#### ABSTRACT

Preverbs represent one of the most complex and intriguing categories within verbs, owing to their quantity, function, and the phonetic changes observed across dialects. This article examines cases where variants arise due to phonetic changes (such as assimilation and dissimilation) of the vowel element 'o' in preverb constructions. The study is based on texts recorded and published across different periods.

The significance and novelty of this research lie in its chronological examination of dialectal materials, identifying variations in verb prefixes containing the vowel 'o' (whether they change uniformly depending on position) through comparison with data from Imeruli and other Georgian dialects.

Based on the chronological analysis of published dialectal texts, it has been confirmed that the verb prefixes in the Georgian literary language - mo-, amo-, gamo-, gadmo-, shemo-, chamo-, tsamo- - manifest phonetic changes in Zemoimeri as follows: mo→ma; mo→me; mo→mu; amo→ame; gamo→gama; gadmo→gadme; gamo→game; shemo→shame; shemo→sheme; chamo→chame; tsamo→tsame. It was observed that there is no phonetic change in mimo- before the verb. In the recorded dialectal texts, speakers often use multiple dialectal variants of preverbs alongside forms from the literary language.

The research indicates that the positions and outcomes of phonetic changes in verbs containing the vowel 'o' are similar to those found in Imeruli and other Georgian dialects. The 'o' vowel undergoes changes under the influence of the preceding m-object marker, prefixes (e-, i-, u-), and root vowels.

**Keywords:** Imeretian dialect, Upper Imeretian speech, verb prepositions, phonetic changes.

ზმნისწინი ზმნის ერთ-ერთი რთული და საინტერესო კატეგორიაა. ამას განაპირობებს მისი რაოდენობა, ფუნქცია და ის ფონეტიკური ცვლილებები, რაც მასთან დაკავშირებით დიალექტებში გვხვდება. ქართულ სალიტერატურო ენაში არსებული ზმნისწინები (ა-, გა-, და-, ჩა-, წა-, შე-, მო-, მი-, შე-, მიმო-, გამო-, ჩამო-, შემო-, წამო-, გადა-, გადმო-) ფონეტიკური ცვლილების შედეგად ქართული ენის დიალექტებში შეიძლება მოგვევლინოს სხვადასხვა სახით. ზმნისწინებში წარმოდგენილი ოთხი ხმოვანი: ა, ე, ი, ო ცვლილებისას იძლევა როგორც იდენტურ, ასევე განსხვავებულ შედეგებს (ჯორბენაძე 1998: 610).

იმერული ქართული ენის კილოებიდან გამოირჩევა გავრცელების არეალითა და დიალექტური თავისებურებებით. ქართველურ ენათმეცნიერებაში ამ დიალექტის შესახებ არაერთი გამორჩეული გამოკვლევა და ანგარიშგასაწევი ნაშრომები მოგვეპოვება.

იმერული აერთიანებს ზემოიმერულსა და ქვემოიმერულ კილოკავებს. ზემოიმერული გავრცელებულია ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურისა და ზესტაფონის რაიონებს (ახლანდელ მუნიციპალიტეტებს) (ძოწენიძე 1973: 228).

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია ზმნისწინის შემადგენელი ო ხმოვნითი ელემენტის ზოგი ფონეტიკური ცვლილების (ასიმილაციის, დისიმილაციის...) შედეგად წარმოქმნილი ვარიანტების პარალელური გამოყენების შემთხვევები ზემოიმერულში. კვლევა ემყარება სხვადასხვა დროს ჩაწერილ და გამოქვეყნებულ დიალექტურ ტექსტებს (გიგინეიშვილი... 1961; ძოწენიძე 1948; გაჩეჩილაძე 1956; ლეჟავა 1958; ძოწენიძე 1973).

კვლევის აქტუალობასა და სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქრონოლოგიურად შესწავლილია დიალექტური მასალა, გამოვლენილია ო ხმოვნის შემცველ ზმნისწინებში დიალექტური ვარიანტები და ანალოგიური შემთხვევები (იცვლება თუ არა ერთი და იმავე წესით პოზიციის მიხედვით) ქვემოიმერულისა და ქართული ენის სხვა დიალექტების მონაცემებთან შეპირისპირებით.

ზემოიმერულში მო- ზმნისწინის პარალელურად რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი დასტურდება.

მო→მა: პირველი ობიექტური პირის მ- ნიშნის მეზობლობაში (მეორე და მესამე პირში ო არ იცვლება). მაგ.: ამათმა ცოლი მამიკლეს; თავს ნუ მამჭრი; მამეცი ე ჯოხი (ლეჟავა 1956: 175).

მამკლა იმ ოხერმა... მე ცოტა სარჯელი მამცეს; ამადამ უნდა მამპაროსო ი ზანდუკი... აღარ მამითფინა გულმა და ვესროლე ქვა; უნდა მამიტანო ე ხალიჩაცაო (ძოწენიძე 1973: 29, 345). შდრ. ქვემოიმერული: მე ქე მამკლა აგერ; გვერჩი მამხვთა (გაჩეჩილაძე 1956: 141).

ყურადღებას იქცევს მიმღეობიანი ფორმები: მამტანი, მამყვანი, მამრიგებელი, გამამცემი, გამამთხოვებელი (შდრ. ისეთი ფორმები, სადაც მიმღეობის მ- არაა, მო ზმნისწინი დაცულია: მოტანილი, მოყვანილი, მორიგებული, გამოცემული, გამოთხოვილი...). ეს გვაფიქრებინებს, რომ მო ზმნისწინის ხმოვანზე გავლენას უნდა ახდენდეს მ თანხმოვნის მეზობლობა

(ლეჟავა, 1958: 175). მამავალი საქმეიო (ძოწენიძე 1973: 353).

ზმნის ობიექტურ წყობაში, მეორე და მესამე პირში მო- ზმნისწინი ცვლილებას არ განიცდის. მაგ.: მოუტანა ქუდი ხელმწიფესა; ეს ქალიც თან მოიყვანეს (გიგინეიშვილი... 1961: 144, 449).

ქ. ძოწენიძის აზრით, მო- ზმნისწინი ხშირად მა-ს სახეს იღებს, როცა მას სონორი მ მოსდევს. ეს მისთვის იმდენად დამახასიათებელია, რომ ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშნეულობად გამოდგება ზემოიმერულის ქვემოიმერულისაგან გასამიჯნავად (ძოწენიძე 1973: 244). მსგავსი ფორმები (მამე, მამცა) დადასტურებულია ოკრიბულ მეტყველებაშიც (კახაძე 1954: 172).

მო- ზმნისწინში ო ხმოვნის ა-დ ცვლას დისიმილაციის მოქმედებით ხსნიან (კუბლაშვილი 1959: 149).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ზემოთ აღნიშნულ ცვლილებას დასაბამი უნდა მისცემოდა ო პოზიციაში და მხოლოდ შემდეგ გაეფართოებინა მოქმედების არე იმ გარემოცვაში, სადაც ამ ფონეტიკური ცვლილების საფუძველი არ არსებობს (თოფურია 1925: 131). ამ მონაცვლეობას ერთგვარი კანონზომიერება ახასიათებს: ო იქცევა ა-დ მაშინ, როდესაც ზმნის თავკიდურ ზგერად გვაქვს ი ხმოვანი, ან მ ბილაბიალური თანხმოვანი. სხვა ზგერების წინ მო- უცვლელი რჩება (სალარიძე 1978: 21; კობერიძე 2015: 53-54).

იმერხეულში დაახლოებით ასეთივე სურათია, მაგრამ შესამჩნევია ისიც, რომ თითქმის ყოველთვის ასეთი ცვლილება ხდება იქ, სადაც საფუძველია მომზადებული ასიმილაციისათვის. იმერხეულში იშვიათად დასტურდება მა მეორე პირის ფორმებთანაც. მაგ.: ჩემი თორუნანი გამაგატანო; შენ იქიდამ მაგიტანო?! (ფუტკარაძე 2016: 116).

მო→მა ფონეტიკური ვარიანტი მ- პრეფიქსის წინ გვხვდება ფშაურში, ქართლურში, კახურში (მარტიროსოვი... 1956: 35; იმნაიშვილი 1974 ა: 80; ჯორბენაძე 1998: 613; კობერიძე 2015: 53).

ლ. ლეჟავა მიიჩნევს, რომ აქ გავლენას ახდენს მომდევნო მ თანხმოვანი (შდრ.: მა-მ-გვარე, შა-მო-იტანე), მაგრამ თავის მხრივ შეიძლება შამო-რთული პრეფერბის ო-ც შეიცვალოს (შამეიტანა, შამოუტანა, შამამტანა) (ლეჟავა 1958: 175).

კახურში მო ზმნისწინის ო ელემენტის ანით შეცვლა ზოგჯერ შეპირობებულია ზმნის პირთა ცვლით. მაგალითად, პირველ სუბიექტურ და მეორე ობიექტურ პირთან ჩვეულებრივ გვევლინება მო-, ხოლო პირველ ობიექტურ და მეორე, მესამე სუბიექტურ პირებთან – მა- (მე მოვიტანე, მე მოვჭერი; შენ მოგიტანე, შენ მოგიჭრი; მე მამიტანე, მე მამიჭრი; შენ მაიტანე, შენ მაშჭერი, მან მაიტანა, მან მაშჭერი) (მარტიროსოვი... 1956: 89-90).

ქართლურში ასეთი შეპირობება არ გვაქვს, მაგრამ იგრძნობა ერთგვარი მიდრეკილება, რომ პირველ ობიექტურ პირთან ჩვეულებრივ იყოს მა-, ხოლო მეორე ობიექტურ პირთან – მო- (იმნაიშვილი 1974ა: 89-90; კობერიძე 2019: 106).

ზემო იმერეთის მოსაზღვრე ქართლის სოფლებში მო→მა ფონეტიკური ვარიანტი გვხვდება ა ხმოვნის წინ კონტაქტური სრული რეგრესული



ასიმილაციის საფუძველზე: ყარაულმა ბატონს მახსენა; ღამე მააქუჩებენ.

მო→მე.

ა) ო ხმოვანს ე იმსგავსებს სრული რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის საფუძველზე ე პრეფიქსის წინ სუბიექტური წყობისას. მაგ.: უნდა მეედუღებია წყალი ამ ქვაბითი (გიგინეიშვილი... 1961: 459).

მეენატრა ქმართან წასვლაი; რაძახა თვალში მეეწონა მარიაკს (მოწენიძე 1973: 233).

შდრ. ქვემოიძერული: ახლა მეება ზოვშვს თავიო; მოხერხებით უნდა მეეკლა (გაჩეჩილაძე 1956: 116).

ოე კომპლექსში ასიმილაცია მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კილოებისათვის. აღმოსავლურ კილოებში პროცესი კიდევ უფრო შორს მიდის და ასიმილირდება რთული ამო, ჩამო, გამო, წამო ზმნისწინების პირველი ხმოვანიც. ეს მოვლენა ქართლურის გავლენის შედეგად ზემო იმერეთის წიფის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში დასტურდება: გემემეკიდა, გემევიდა, წემემეწია, ჩემემემტვრია... (მოწენიძე 1973: 229).

ანალოგიური შემთხვევები დადასტურებულია გურულში, ლეჩხუმურში, ფერეიდნულში, ქართლურში, მესხურში (მიძიგური, 1954: 51, 167, 207, 131).

გ. ცოცანიძე ფშაური დიალექტის სათანადო მასალაზე დაყრდნობით აანალიზებს პრეფიქსულ მორფემათა მიჯნის ხმოვანთა მიმდევრობებს, სადაც ე-ე და ი-ე მიმდევრობებს მიიჩნევს ასიმილაციური პროცესის შედეგად მიღებულად (ცოცანიძე 1978: 55-58).

ბ) ო იცვლება ე-დ ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ი- პრეფიქსის წინ. მაგ.: მეილაპარაკეს, ხელმწიფეს უთხრეს ვეზირებმა; ხო ვეღარ მეიპარავსო?! ადგა და მეიწვია ე ხემწიფეი; ხელმწიფეს მევიწვევ და პატივს ვცემო; ქალს რო მევიყვანდით, საჩექმე უნდოდა ბატონს; მეილაპარაკეს ამ მძებმა (გიგინეიშვილი... 1961: 145, 459).

მეიყვანეთ ესა და კაპიტანი; თავის მოჭრა მეინდომა; მოკლამს შველს, მეიტანს (მოწენიძე 1973: 333, 334).

გ) ვიდ ფუძიანი ზმნის წინ: მევიდა დედინაცვალი წირვიდან; მევიდენ სამივეი (გიგინეიშვილი... 1961: 463).

მევიდეს აქანა! (ლეჟავა 1958: 174).

მევიდა მოხუცებული კაცი; მეორე დღეს მევიდა გოგოსან სხვა ბერიკაცი (მოწენიძე 1973: 333, 334, 355).

ე-პრეფიქსიან ზმნებში მო- ზმნისწინის გამოყენებისას კახურში დასტურდება ორი ფონეტიკური ნაირსახეობა: მო-ე-ტან-ა → მე-ე-ტან-ა (აე→ეე ასიმილაციით), მეორე მხრივ, მო-ე-ტან-ა→მუ-ე-ტან-ა (ოე→უე დისიმილაციით). ოღონდ გასათვალისწინებელია: პარალელური ვარიანტები თავს იჩენს იმ დიალექტებშიც (მაგალითად, გურულში), სადაც მა-, როგორც წესი, არ გამოიყენება (ჯორბენაძე 1998: 621).

დ) მო→მუ. ო ხმოვანს უ იმსგავსებს სრული რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის საფუძველზე უ- პრეფიქსის წინ. მაგ.: გელს მუუტანა ხორცი, ქე ჭამა; ვირს მუუტანა თივა; არ მუუტანდენ თითოეულ ცხენზე

(გიგინეიშვილი... 1961: 460, 463).

მუუტანეს სუყოლაფერი; მესამეც მუუმატე; ბერმა ბეჭედი მუუტანა (ძოწენიძე 1973: 356, 331).

ა-მო-, გა-მო-, გა-დ-მო-, შე-მო-, ჩა-მო-, წა-მო- რთულ ზმნისწინებში ჩვეულებრივ იცვლება მეორე კომპონენტი – მო.

ამო→ამე.

ა) ვიდ ფუძიან ზმნასთან: ამევიდა ეს ბიჭი ოქროთი გატყეპილი (გიგინეიშვილი... 1961: 445).

ბ) ე-პრეფიქსის წინ: ამეილოეწყალიდიდიორშიმოთი (გიგინეიშვილი... 1961: 459).

ამეილეფ გაზაფხულზე; კვიტაიმ ამეიტანა (ძოწენიძე 1973: 358, 360).

ე) მ-პრეფიქსის წინ: ამამიყვანე აქიდანო; ამამიტანე და წამილე სახშიდაო (ძოწენიძე 1973: 358, 360).

გამო ზმნისწინის პარალელურად დასტურდება ფონეტიკური ვარიანტები:

გამო→გამე.

ა) ე-პრეფიქსის წინ: გამეენტო ამ კაცეფს; გამეესალმნენ ერთმანეთს, დაკოცნეს და წევიდენ (გიგინეიშვილი... 1961: 445, 484).

გოგოს გამეეღვიძა; გამეეყვანათ მერე (ძოწენიძე 1973: 315, 333).

ბ) ი-პრეფიქსის წინ: გამეიზარდა ერთი კაცი ამ სოფელში; გამეიხედა, კაი ჩაცმული არი; გამევიდა ჯარი (გიგინეიშვილი... 1961: 445, 484).

გამეიქცა უკან ეს კაცი; გამეიყვანა ჭინჭრაკამა ძმები; წყალთა შუა გამეიარე; სხვაში ვერაფერი გამევისადექე; მოვჭრიხეს, გამევიტან (ძოწენიძე 1973: 315, 345, 356, 381).

გ) ვედ სუფიქსიან ზმნასთან: გამევიდა ჯარი (გიგინეიშვილი... 1961: 484).

გამევიდა გარეთა წყალთა შუა გამეიარე; გამევიდა ერთი დევი სახურავზე (ძოწენიძე 1973: 345).

გამო→გამა.

ა) მ-პრეფიქსის წინ: გამამადგება ესი; გამამადგა, როგორ არ გამამადგა; მე გამამადგეს კარში; ღონე გამამაკტა (ძოწენიძე, 1973: 347, 349).

გამო ზმნისწინის პარალელურად გამა ფონეტიკური ვარიანტი დასტურდება ქართლურშიც. მაგ.: ე ნახირ რო გამარეკავ; გამამიგზავნე ქალიო (იმნაიშვილი 1974 ბ : 85).

გადმო→გადმე.

ი-პრეფიქსის წინ: გადმეიარა ე თა (ძოწენიძე 1973: 356).

წამო→წამე.

ა) ვიდ ფუძიან ზმნასთან: უკანა ფეხებით წამევიდა (გიგინეიშვილი... 1961: 445).

წამევიდა ისე საქმე, რო მაჩვენეს ქალი; წამევიდენ და ძირულას ზეით მოდიან თურმე (ძოწენიძე 1973: 333, 404).

ბ) ი-პრეფიქსის წინ: წამეილო ქვაბი (გიგინეიშვილი... 1961: 445).

წამეილო ამ ბიჭმა; ბიჭმა წამეიხედა; წამევილეთ; წამეიყვანა თურმე

(მოწენიბე 1973: 355, 359, 360).

ჩამო→ჩამე.

ა) ვიდ ფუძიანი ზმნების წინ: ჩამევიდნენ ცხენებიდან (გიგინეიშვილი... 1961: 445).

ჩამევიდა ქალბატონი (მოწენიბე 1973: 367).

ბ) ი- პრეფიქსის წინ: ჩამეიყვანდენ ცხენებს (გიგინეიშვილი... 1961: 445).

ამიტომ თუ ჩამევიტანეთ ჭალაში (მოწენიბე 1973: 386).

შემო→შამე. ცვლილებას განიცდის პირველი კომპონენტის ხმოვანიც.

ა) ი- პრეფიქსის წინ: შამეიყვანე შიგნით და იყონო (მოწენიბე 1973: 367).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „შე- ზმნისწინის ხმოვნური შედგენილობის შეცვლაში ო-ს უნდა ედვას წილი. ამიტომ თუ მოსალოდნელია შემო-ზმნისწინი, ყველგან გვაქვს შამო“ (მოწენიბე 1948: 42).

იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნურ მეტყველებაში შემო- გვაქვს შამა და შამე-ს სახითაც (გაჩეჩილაძე 1956: 141).

ბ) ე-ს წინ: ფული შამეელია ( მოწენიბე 1973: 397).

შემო→შემე.

შემეირტყა ლეკური ( მოწენიბე 1973: 378).

განხილული ვარიანტები გამოიყენება სალიტერატურო ენაში არსებული ზმნისწინების (მო-, ამო-, გამო-, ჩამო-, შემო-, წამო-, გადმო-) პარალელურად. მაგ.:

გამოულეველი იყო პური და ყოლიფერი; გამოუსვა პირში; გამომიგზავნე სუფრაო; თემზს ამოხოჭდა ბევრს; მამაჩემსაც უსვრია თოფი და იმ კაცსაც თემოეფში მოხვთერია; ჩამოვიდა ე ქვაბი (გიგინეიშვილი... 1961: 445, 446, 459, 460).

გამოიფოთლება ვენახი; დედაკაცმა გამოაჩინა ბიჭი; ჭაჭასაც მალლა ამოიტანს (მოწენიბე 1973: 339, 340, 341).

ამრიგად, გამოქვეყნებული დიალექტური ტექსტების ქრონოლოგიური შესწავლისას დადასტურდა, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში არსებული ო- ხმოვნის შემცველი ზმნისწინები (მო-, ამო-, გამო-, ჩამო, შემო-, წამო-, გადმო-) ზემოიმერულში ფონეტიკური ცვლილების შედეგად წარმოდგენილია შემდეგი სახით: მო→მა; მო→მე; მო→მუ; ამო→ამე; გამო→გამა, გამო→გამე; გადმო→გადმე, წამო→წამე; ჩამო→ჩამე, შემო→შამე; შემო→შემე. გაანალიზებულ საილუსტრაციო მასალებში არ გვხვდება მიმო- ზმნისწინის ფონეტიკური ცვლილება. ჩაწერილ დიალექტურ ტექსტებში მთქმელი ხშირად სალიტერატურო ენის ფორმების პარალელურად ზმნისწინის რამდენიმე დიალექტურ ვარიანტს იყენებს.

კვლევაში აჩვენა, რომ ზემოიმერულისათვის დამახასიათებელი ო- ხმოვნის შემცველ ზმნისწინთა ფონეტიკური ცვლის პოზიცია და შედეგი მსგავსია ქართული ენის სხვა დიალექტებისა.



## დამოწმებული ლიტერატურა

- გაჩეილაძე 1956: გაჩეილაძე პ., იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VIII. თბილისი, 1956.
- გიგინეიშვილი... 1961: გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი. თბილისი, 1961.
- თოფურია 1925: თოფურია ვ., ქართლური. არილი. თბილისი, 1925.
- იმნაიშვილი 1974 ა: იმნაიშვილი გრ., ქართლური დიალექტი. ტ. I. თბილისი, 1974.
- იმნაიშვილი 1974 ბ: იმნაიშვილი გრ., ქართლური დიალექტი. ტ. II. თბილისი, 1974.
- კახაძე 1954: კახაძე ო., ოკრიბულის თავისებურებანი. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, თბილისი, 1954.
- კობერიძე 2015: კობერიძე მ., ზმნისწინთა ზოგი ფონეტიკური ცვლილებისათვის ქართლურში, ენა და კულტურა, №14. ქუთაისი, 2015.
- კობერიძე 2019: კობერიძე მ., ზმნისწინთა ფონეტიკური ნაირსახეობები თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში (შუშანა ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართლის“ მიხედვით). ქართველური მემკვიდრეობა, ქუთაისი, 2019.
- კუბლაშვილი 1958: კუბლაშვილი კ., ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში, საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი), თბილისი, 1958.
- ლეჟავა 1958: ლეჟავა ლ., ზემომიერული მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IX-X. თბილისი, 1958.
- მარტიროსოვი... 1956: მარტიროსოვი ა., იმნაიშვილი გრ., ქართული ენის კახური დიალექტი (გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ). თბილისი, 1956.
- სალარიძე 1978: სალარიძე თ., ალგეთის ხეობის ქართლური, თბილისი, 1978.
- ფუტკარაძე 2016: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი მეორე. ბათუმი, 2016.
- ცოცანიძე 1978: ცოცანიძე გ., ფშაური დიალექტი. თბილისი, 1978.
- ძიძიგური 1954: ძიძიგური შ., ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან. თბილისი, 1954.
- ძოწენიძე 1948: ძოწენიძე ქ., ქვემომიერულის უხუთური მეტყველება. აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიკის შრომები, VIII. ქუთაისი, 1948.
- ძოწენიძე 1973: ძოწენიძე ქ., ზემომიერული კილოკავი. თბილისი, 1973.
- ჯორბენაძე 1998: ჯორბენაძე ბ., დიალექტოლოგია, ტ. II. თბილისი, 1998.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8053>

**იმერეთის ეპისკოპოსი  
გიორგი (ალადაშვილი)**

**Giorgi (Aladashvili),  
Bishop of Imereti**

**ირაკლი ლორთქიფანიძე**

გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია  
საქართველო, ქუთაისი

**Irakli Lortkipanidze**

Gelati Theological Academy and Seminary  
Georgia, Kutaisi

**აბსტრაქტი**

XIX-XX საუკუნეებში საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიაში არაერთი ღირსეული მღვდელმთავარი მოღვაწეობდა, მათ შორის არის იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი (ალადაშვილი).

1908 წლის 1 თებერვალს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გიორგი (ალადაშვილი) დაადგინეს იმერეთის ეპარქიის მმართველად, რომელსაც 1917 წლამდე განაგებდა.

წარმოდგენილ პუბლიკაციაში, საარქივო დოკუმენტებისა და იმდროინდელი პრესის მასალების მიხედვით, განხილულია 1908-1917 წლებში ეპისკოპოს გიორგის მოღვაწეობა იმერეთის სამიტროპოლიტოში. საარქივო დოკუმენტების მიხედვით საუბარია ქუთაისის სასულიერო სემინარიის აღდგენის შესახებ. აქვე წარმოდგენილია საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალების ჩანაწერები, რომლებშიც შეეხება ეპისკოპოს გიორგის ეპარქიიდან გათავისუფლებას.

სტატიაში გამოქვეყნებული საარქივო დოკუმენტების უმრავლესობა პირველად ქვეყნდება.

საკვანძო სიტყვები: იმერეთის ეპარქია, ეპისკოპოსი გიორგი ალადაშვილი, ქუთაისის სასულიერო სემინარია.

**ABSTRACT**

During the 19th and 20th centuries, numerous distinguished clergy served in the Apostolic Orthodox Church of Georgia, including Bishop Giorgi (Aladashvili) of Imereti.

On February 1, 1908, Bishop Giorgi (Aladashvili) of Guria-Samegrelo was appointed as the head of the Imereti diocese, a position he held until 1917.

This publication discusses Bishop Giorgi's tenure as Samitropolit of Imereti from 1908 to 1917, based on archival documents and contemporary press materials.

Archival documents mention efforts towards the restoration of the Kutaisi Theological Seminary. Additionally, records from the sessions of the Temporary Government of the Georgian Church discuss Bishop Giorgi's dismissal from his diocese.

Most of the archival documents presented in this article are being published for the first time.

**Keywords:** Imereti Diocese, Bishop Giorgi Aladashvili, Kutaisi Theological Seminary.



*„ყოვლადსამღვდელო გიორგის ცდა  
ყოველთვის იქითკენ არის  
მიმართული,  
რომ იმერეთის სამღვდელოებას  
ემსახუროს  
კეთილად და უვნებლად”*

ზ. ჭიჭინაძე

ეპისკოპოსი (შემდგომში მიტროპოლიტი) გიორგი – ერისკაცობაში დავით გიორგის ძე ალადაშვილი – დაიბადა 1849 წელს სოფელ არბოშიკში (სიდნალის მაზრა), მღვდლის ოჯახში. 1875 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1879-1883 წლებში სწავლობდა კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა ღვთისმეტყველების კანდიდატის



ხარისხით. 1899 წლის 25 სექტემბერს აღიკვეცა ბერად და აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. 1902 წელს დაინიშნა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს (დავითგარეჯი) წინამძღვრად და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად. 1905 წლის 24 სექტემბერს თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში აკურთხეს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად (სსსა, ს. 119, ფ. 39-40).

#### იმერეთის ეპისკოპოსად დადგენა (1908 წელი)

1908 წლის 1 თებერვალს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გიორგი გადაიყვანეს იმერეთის ეპარქიის მმართველად (სსსა, ს. 119, ფ. 39-40).

1908 წლის 30 მარტს გაზეთი „მწყემსი“ წერდა: „იმერეთის ეპისკოპოსი ყოვლადსამღვდელო ლეონიდი, უწმიდესი სინოდის განკარგულებით, გადაყვანილ იქმნა გურია-სამეგრელოს კათედრაზე და მის ადგილზე გადმოყვანილ იქმნა ყოვლადსამღვდელო გიორგი. არავითარი ცნობა არ არის, თავის სურვილით შესცვალეს მღვდელმთავრებმა თავიანთი კათედრები, თუ რაიმე მიზეზის გამო, მათდა დაუკითხავად გადაიყვანეს...“ (მწყემსი, №5-6, 1908: 3).

იმერეთის ეპისკოპოს გიორგის ქუთაისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძარში (სობოროში) მღვდელი იოანე კერესელიძე მისასალმებელი სიტყვით მიეგება, საიდანაც ამონარიდს მოვიყვანთ: „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა! ასე აღტაცებით მიეგება მორწმუნე ებრაელთა ერი იესო ქრისტეს შესვლას ქალაქ იერუსალიმში. ეგრეთვე აღტაცებით ვეგებებით ჩვენ, თქვენი ყოვლადუსამღვდელოესობის მობრძანებას ამ ღვთის ტაძარში... დღეს ჩვენში ქრისტესაგან ნამცნევი სიყვარული ძლიერ დასუსტებული არის. ვიმედოვნებთ, ყოვლადუსამღვდელოესო მეუფეო, ამ სამწუხარო მოვლენას მიაქცევთ უმთავრესად თქვენს მწყემსმთავრულ ყურადღებას და აღადგენთ თქვენდამო რწმუნებულ იმერეთის სამწყსოსა შინა ძველებურ ქრისტიანულ სიყვარულობას მწყემსთა და სამწყსოთა შორის...“ (მწყემსი, №5-6, 1908: 3).

იმერეთის ეპისკოპოს გიორგის შესახებ ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „ყოვლადსამღვდელო გიორგის მოქმედება და მართვა-გამგეობა არის მშვიდი და წყნარი. საქმის ახმაურება და აფორიაქება ამას არაფრად მიაჩნია, ამიტომაც ყოველთვის თავის სამწყსოში წყნარად და უჩინრად მოქმედებს და ყველას წინაშე იმას სცდილობს და ემსახურება, რომ ყოველთვის მშვიდობით და სიყვარულით შესრულდეს ყველაფერი...“ (ჭიჭინაძე 1916: 290).

1908 წლის 15 მარტს არქიმანდრიტი პიროსი (ოქროპირიძე) გელათის მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტ ნიკიფორეს (კანდელაკი) წერდა: „მისს მაღალღირსებას, გელათის მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ნიკიფორეს: „გთხოვთ, გამოუცხადოთ თქვენდა რწმუნებულს მონასტრის კრებულს, რომ ღვთისმსახურების შესრულების დროს, მოიხსენიონ იმერეთის ეპისკოპოსი სამღვდელმთავრო კათედრაზე დანიშნული, ყოვლადსამღვდელო ეპისკოპოსი გიორგი. ბლალოჩინი მონასტრებისა,

არქიმანდრიტი პიროსი“ (ქიმ, 466/2221).

#### ეპარქიაში მიმოსვლა (1908 წელი)

ეპისკოპოსი გიორგი სხვადასხვა დროს ეწვია იმერეთის ეპარქიის ეკლესია-მონასტრებს. აღნიშნული ვიზიტების შესახებ ცნობები შემოგვინახეს იმდროინდელმა საარქივო დოკუმენტებმა და პრესამ.

1908 წელს ეპისკოპოსი გიორგი ეწვია ჭიათურას, მღვდელმთავრის ვიზიტის შესახებ მღვდელი ბესარიონ ვაშაძე წერს: „21 ივნისს, დღით შაბათს, დაბა ჭიათურაში მოზრძანდა იმერეთის ეპისკოპოსი, ყოვლადსამღვდელო გიორგი საქველეთუბნის ეკლესიის საკურთხებლად - თაბაგრებში. ეკლესიის კურთხევის შემდეგ ყოვლადსამღვდელო ორი დღე დარჩა ჭიათურაში, მისმა მეუფებამ ინახულა საზოგადოებისაგან აღრჩეული საეკლესიო ადგილი (მწყემსი, №13-14, 1908: 11-12). 24 ივნისს, ყოვლადსამღვდელომ იწინა ხალხთან მოლაპარაკება ეკლესიის შესახებ. მოლაპარაკების შემდეგ ჭიათურის საზოგადოებას აღუთქვა, თავის მხრით, შესაფერისი დახმარება და ლოცვა-კურთხევით ნებართვა იმავე ადგილზედ ეკლესიის აშენებისათვის... ყოვლადსამღვდელომ მწყემსმთავრული დარიგება და ლოცვა-კურთხევა უბოძა საზოგადოებას და იმავე დღეს, 24 ივნისს, წაბრძანდა ქ. ქუთაისში“ (იქვე).

საინტერესოა იმერეთის ეპისკოპოს გიორგის სახელზე გაგზავნილი წერილები და თხოვნები, რომლებიც სხვადასხვა შინაარსისაა. 1908 წელს იმერეთის ეპისკოპოს გიორგის ვახანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმა გიორგი არევაძემ მიმართა თხოვნით: „ჩემმა უკიდურესად შეჭირვებულმა მდგომარეობამ, რომელიც განაპირობა მრევლის უკიდურესად გაღარიბებამ და იმან, რომ არ ვიღებ ჯამაგირს ახალი სარგოს მიხედვით, უზარმაზარი ოჯახის რჩენამ, რომელიც რვა სულისგან შედგება: ცოლი, ექვსი შვილი, რომელთაგან სამი სკოლებში ჩემი ხარჯით სწავლობენ, და მატერიალურმა სიღარიბემ მაიძულა მოგმართოთ უმორჩილესი თხოვნით, რათა შეხვიდეთ ჩემს გამოუვალ მდგომარეობაში და გამომიწოდოთ მოწყალე ხელი დასახმარებლად, რათა შევძლო იმ შეჭირვებული მდგომარეობიდან თავის დაღწევა, რომელშიც ამჟამად ვიმყოფები. გთხოვთ, არ მითხრათ უარი ხაზინიდან შემწეობის დანიშვნაზე, ან იმ დამატებით თანხაზე, რომელსაც გასცემს წმინდა სინოდი იმერეთის ეპარქიის ღარიბ სამრევლოთა სასარგებლოდ“ (ქცა, ფონ. 21, ან. 1, ს. 23316, ფ. 186).

#### საქართველოს საეგზარქოსოს დროებითი მმართველი

1908 წლის 28 მაისს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის კიბეებზე ასვლის დროს ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს საქართველოს ეგზარქოსი ნიკონ სოფიისკი (ბუბულაშვილი 2022: 644).

გამოძიება დაევალა გამომძიებელ ი. გ. მალინოვსკის, პროკურორ ნ. პ. ფიოდოროვის მეთვალყურეობით. წინასწარ დასკვნაში მალინოვსკი ასახელებდა მკვლელობის ერთადერთ მოტივსა და სავარაუდო განმზახორციელებლებს. კერძოდ, არა ფაქტებისა და კონკრეტული მონაცემების, არამედ ლოგიკური დასკვნებისა და მსჯელობის საფუძველზე, მალინოვსკი ასკვნის, რომ მკვლელებად უნდა განხილულიყვნენ ე. წ.

ავტოკეფალისტები (Гамахария 2016: 26-62).

1908 წლის 29 მაისს იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი ბლალაოჩინე-ბისადმი გამოცემულ ცირკულარში წერს: „ტელეგრამის შედეგად, რომელიც გადმომცეს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორიდან, მისი წევრის, ბაქოს ეპისკოპოსის ყოვლადსამღვდელო გრიგოლის სახით, გავალებთ, გასცეთ განკარგულება თქვენდამი რწმულეზული ოლქისადმი თქვენს საბლალაოჩინო ოლქის ყველა ეკლესიაში წლის განმავლობაში ა/წ 28 მაისს ქ. ტიფლისში ტრაგიკულად დაღუპული საქართველოს მღვდელმთავრის, ყოვლადსამღვდელო ნიკონის მოხსენიების შესახებ და პირველი პანაშვიდი ქუთაისის ყველა ეკლესიაში აღესრულოს დღესვე. გიორგი, იმერეთის ეპისკოპოსი“ (ქცა, ფონ. 21, ს. 23476, ფ. 3).

1908 წლის 31 მაისს საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა იმერეთის ეპისკოპოს გიორგის წერდა, რომ საქართველოს საეგზარქოსოსა და საქართველოს ეპარქიის ხელმძღვანელობა დროებით დაეკისრა ბაქოს ეპისკოპოსს, ყოვლადსამღვდელო გრიგოლს „აღნიშნული განკარგულების შესახებ ეცნობოს თქვენს ყოვლადუსამღვდელოებს“ (ქცა, ფონ. 21, ს. 23476, ფ. 6).

რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, საქართველოს ეგზარქოსოს მოვალეობას ასრულებდა ბაქოს ვიკარ-ეპისკოპოსი გრიგოლ ვახნინი (ბუბულაშვილი 2022: 645).

ეგზარქოს ნიკონის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის უწმინდესი სინოდი არ ჩქარობდა ახალი მღვდელმთავრის დანიშვნას. თითქმის წელიწად-ნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში საეგზარქოსოს განაგებდა ბაქოს ვიკარ-ეპისკოპოსი გრიგოლი (ვახნინი), რომელსაც უსაფრთხოების დაცვის მიზნით კაზაკთა დაცვა დაჰყვებოდა (იქვე: 657).

1909 წელს, საქართველოს საეგზარქოსოს დროებითი მმართველის, ეპისკოპოს გრიგოლის (ვახნინი) შვებულებაში ყოფნის დროს, წმინდა სინოდმა საქართველოს ეპარქიის მმართველობა იმერეთის ეპისკოპოს გიორგის დააკისრა.

1909 წლის 16 ივნისს შედგენილ დოკუმენტში ვკითხულობთ: „საქართველოს ეპარქიის მმართველობა და წარმომადგენლობა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში, ეპისკოპოს გრიგოლის შვებულების პერიოდში დაეკისროს თქვენს ყოვლადსამღვდელოებს“ (ქუცა, ფონ. 21, ს. 24123).

1909 წლის 24 აგვისტოს გაზეთი „ივერია“ წერდა: „ექსარხოსის თანამდებობის აღმასრულებელმა ყოვლადსამღვდელო გიორგიმ თანამდებობიდან გადააყენა ქვიშხეთის მღვდელი მამა ლორია, რომელსაც მემამულეთა საწინააღმდეგო აგიტაციის გაწევა ბრალდება“ (ივერია, №34, 1909: 1). აღნიშნული ფაქტის შესახებ 1909 წლის 25 აგვისტოს გაზეთი „ჩანგი“ წერდა: „საქართველოს საექსარხოსოს დროებით მმართველმა, იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ თანამდებობიდან გადააყენა ქვიშხეთის (ქართლი) სამრევლოს მღვდელი ლორია, რომელიც პროპაგანდას ეწეოდა გლეხებში, რომ მათ არ გადაეხადათ მემამულეთა სასარგებლოთ დაწესებული გადასახადი“ (ჩანგი, №43, 1909: 3).

1911 წლის 13 დეკემბერს გელათის მონასტრის წინამძღვარი



არქიმანდრიტი ნიკიფორე (კანდელაკი) გარდაიცვალა.

1911 წლის 27 დეკემბერს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი წერდა: „ა/წ 13 დეკემბერს გარდაიცვალა ჩემდამი რწმუნებული ეპარქიის, გაენათის ღვთისმშობლის შობის სახელობის პირველი კლასის მონასტრის არქიმანდრიტი ნიკიფორე (კანდელაკი). დროებით მონასტრის ხელმძღვანელობა, ქუთაისთან მისი სიახლოვისა (9 ვერსი) და მშვენიერი გზების არსებობის გამო, საკუთარ თავზე ავიღე, ხოლო ადგილზე ჩემს მოადგილედ დავნიშნე ბერი, ილუმენი ანთიმოზი...“ (ქცა, ფონ. 21, ს. 24814).

„თუკი სინოდალური კანტორა რაიმე მიზეზის გამო, არ დაეთანხმება ჩემს თხოვნას და ამჯობინებს საგანგებო წინამძღვრის დანიშვნას, ამ შემთხვევაში გთხოვთ, აღძრათ შუამდგომლობა ამ მონასტერში ჩემდამი რწმუნებული ეპარქიის მოწამეთას მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ ნესტორის (ყუბანიევის) გადმოყვანის თაობაზე, მისივე თხოვნის თანახმად. უკეთესი კანდიდატი არა მარტო მე არ მყავს, არამედ მთელს საეგზარქოსოში არ ვიცი ვინაა ბერთა შორის უფრო შესაფერის პირს...“ (იქვე).

1912 წლის 11 აპრილს საქართველო-იმერეთის წმინდა სინოდის კანტორის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „იმერეთის ეპისკოპოს გიორგის, დაევალოს გაენათის ღვთისმშობლის შობის მონასტრის მმართველობა, წინამძღვრის უფლებით...“ (იქვე). იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი გელათის მონასტერს 1917 წლამდე, ეპარქიის მმართველობიდან გადაყენებამდე, წინამძღვრობდა.

1912 წლის 6 მაისს, იმპერატორის ბრძანებით, იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი დაჯილდოვდა წმინდა ანას I ხარისხის ორდენით. აღნიშნულის შესახებ წმინდა სინოდის ობერპროკურორმა ეპისკოპოს გიორგის აცნობა: „ყოვლადსამღვდელო მეუფეო, იმპერატორმა გულმოწყალედ ინება, რომ ამა წლის 6 მაისისათვის, მისი იმპერატორობითი უდიდებულებების დაბადების დღისთვის, მოგანიჭოთ თქვენს ყოვლადუსამღვდელოებსა წმინდა ანას I ხარისხის ორდენი (ქცა, ფონ. 21, ს. 25433, ფ. 1).

გიგზავნით წმინდა ანას I ხარისხის ორდენის ნიშნებს და ჩემს სასიამოვნო მოვალეობად მივიჩნევ, მოგილოცოთ, მოწყალო მეუფეო, ეს ყურადღება თქვენი დამსახურებისა და ღვაწლის მიმართ...“ (იქვე).

1912 წლის 17 მაისს, ეპისკოპოსი გიორგი ობერპროკურორის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: „თქვენო აღმატებულება, მოწყალო ხელმწიფეო ვლადიმერ კარლის ძე! მივიღე თქვენი აღმატებულების 1912 წლის 29 აპრილის №4741 წერილი და წმინდა ანას I ხარისხის ორდენის ნიშნები და გულწრფელ მადლიერებას გამოვთქვამ...“ (ქცა, ფონ. 21, ს. 25433, ფ. 2).

ეპარქიაში მიმოსვლა (1913 წელი)

*„მშვენიერ სურათს წარმოადგენდა ცხენზე მჯდომი,  
ლომბიერი სახის გამომეტყველი  
სამღვდელო და საერო პირთა თანხლებით,  
მთის კალთების აღმართ-დაღმართზე  
ამავალ-ჩამავალი უხუცესი მღვდელმთავარი“*

დეკ. პლატონ ცეციტიშვილი

1913 წლის მაისში ეპისკოპოსი გიორგი ეწვია იმერეთის ეპარქიაში შემავალ თორმეტ ეკლესია-მონასტერს. აღნიშნული ვიზიტის შესახებ დეკანოზი პლატონ ცეციტიშვილი წერს: „1913 წლის 27-31 მაისს, იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ მოინახულა კაცხის მონასტერი და სამრევლო ეკლესია, 28 მაისს კი კაცხის მეორე ეკლესია, ასევე საკურწეს, ქვაციხეს, ბილას და თავასას სოფლებში არსებული ეკლესიები. 29 მაისს, მუჯირეთისა და სკანდის ეკლესიები. „სკანდელებს მღვდელმთავრება ეტყობოდა. მღვდელმთავარმა მიმართა მათ დამშვიდებული სიტყვით, სხვათა შორის უთხრა მათ: „მე, შვილებო, მოვედი თქვენთან რათა მშვიდობა მოვიტანო...“ (პლატონ 1913: 5).

3 მაისს ყ-დ სამღვდელმთავრომ დატოვა სკანდე და განაგრძო მგზავრობა. მშვენიერ სურათს წარმოადგენდა ცხენზე მჯდომი, ლმობიერი სახის გამომეტყველი, სამღვდელმთავრო და საერო პირთა თანხლებით, მუზურის საზღვართან მთის კალთების აღმართ-დაღმართზე ამავალ ჩამავალი უზუცესი [მ]ღვდელმთავარი.

ყოვლადსამღვდელმთავრომ ინახულა მაჩიტოურის და თხილთაწყაროს ეკლესიები... შემდეგ გაემგზავრა დ. ჩხარში, ინახულა ჯერ ბაზარს გარეთ შტატის ეკლესია. აქ ეპისკოპოსს შეხვდა დიდძალი ხალხი და ჩხარის ყველა სასწავლებლის მოწაფეები. მისცა მათ მწყემსთავრული დარიგება. ლოცვა-კურთხევის აღების დროს ეკლესიაში გალობდა ჩხარის სამინისტრო სასწავლებლის მოწაფეებიდან შემდგარი მგალობელთა გუნდი რუსულად. მღვდელმთავარმა მოსთხოვა მათ იგალობონ ქართულადაც, მაგრამ გამოჩნდა, რომ მათ ერთი საეკლესიო საგალობელიც არ იცოდნენ ქართულად. მღვდელმთავრის შეკითხვაზე „რისთვის არ იცით ქართული გალობაო“ მასწავლებელმა უპასუხა: „ქართულს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ჩვენი უფროსები და არც ჩვენ ვასწავლითო“ (პლატონ 1913: 8).

„...გაემგზავრა ყვირილაში, საიდანაც წაბრძანდა ქუთაისს. ასე დაამთავრა მგზავრობა ყ-დ სამღვდელმთავრომ გიორგიმ. ოთხი დღის მგზავრობა მღვდელმთავრისა ჩვენ ყურადღებას იპყრობს თავის არაჩვეულებრივი უბრალოებით“ (იქვე: 10).

1913 წლის 16 ივნისს იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილი) აკურთხა ქუთაისის საღორის საავადმყოფო (ამჟამად ქუთაისის საეკლესიო საავადმყოფო). აღნიშნულთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „ქ. ქუთაისის საავადმყოფო სახლის კურთხევა“: „16 ივნისს, კვირას მისმა მეუფებამ ყოვლადსამღვდელმთავრომ გიორგიმ კრებულთურთ აკურთხა საღორიაზე ახლად აგებული ქალაქის საავადმყოფო სახლი. კურთხევას დიდი საზოგადოება დაესწრო... კურთხევის წინ მისმა მეუფებამ შემდეგი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას: „...დღევანდელი დღე ქუთაისისათვის შესანიშნავი დღეა. დღეს ქუთაისი დღესასწაულობს თავის კაცთმოყვარეობის და ტანჯულ მოძმეთა ზედა მზრუნველობის დღესასწაულს. ღმერთმა მისცეს ქუთაისს და ყოველთა ქალაქთა და სოფელთა ჩვენისა მამულისა და სამშობლოსასა რაც შეიძლება მეტი ასეთი დღესასწაულობა სიყვარულისა და ნუგეშისცემისა სასარგებლოდ მოყვასა. მე, როგორც თვენთან ერთად, კეთილმორწმუნენო მსმენელნო, ვხარობ

დღევანდელი დღესასწაულით...“ (შინაური საქმეები, №21-22, 1913: 3).

1914 წლის 16 ივნისს გაზეთი „იმერეთი“ წერდა: „12 ივნისს, გელათში გაემგზავრა ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზი გიორგი მონასტრისა და საეკლესიო მამულების დასათვალიერებლათ. ყოვლადსამღვდელო გიორგიმ დაათვალიერა, აგრეთვე, დავით აღმაშენებლის საფლავი და საჭიროთ იცნო მის საფლავთან კედელზე დახატული ყოფილიყო დავით აღმაშენებლის დიდი სურათი, როგორც დიდ ეკლესიაში არის...“ (იმერეთი, №80, 1914: 3).

1914 წლის 29 იანვარს მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა ყრილობას სწერდა: „როგორც ცნობილია დეპუტატებისთვის, უკვე 18 წელია, რაც ვმუშაობ ქართული ეკლესიის ბრწყინვალე წარმომადგენლის, იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მრავალმხრივ შესწავლაზე. დიდი შრომა, მრავალი უძილო ღამე და ხარჯები მხვდა წილად ამ დროის განმავლობაში, და, მაღლობა უფალს, თქვენს წინაშე ჩემი მრავალტომიანი ნაშრომის პირველი ტომი და უამრავი მასალა, რომელიც ეყოფა 10-15 ასეთ ტომს. მაღლობა ღმერთს ასევე იმისთვის, რომ ჩემი შრომა არ დარჩა საზოგადოების თანაგრძნობის გარეშე: გამომეხმაურა სამღვდელოება, გამომეხმაურა პრესა, ცალკეული პირები...“ (ქცა, ფონდი 21, ს. 25563).

1915 წლის ნათლისღების დღესასწაულზე ეპისკოპოსმა გიორგიმ ქუთაისის ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძარში (სობოროში) ღვთისმსახურება აღასრულა: „6 იანვარს, ნათლისღებას, ქუთაისის საკათედრო ტაძარში მწირველი იყო იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი. წყლის კურთხევას ხალხი ბლომათ დაესწრო“ (იმერეთი, №2, 1915: 2).

1915 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა ჩვენი ქვეყნის სასიქადულო მგოსანი აკაკი წერეთელი.

1915 წლის 30 იანვარს გაზეთი „იმერეთი“ წერდა: „28 იანვარს, დღის 6 საათზე საკათედრო ტაძარში პანაშვიდი გადაიხადა იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგი. ეს პანაშვიდი გადახდილ იქნა აკაკის დასაფლავების მომწყობი კომიტეტის თაოსნობით, რასაც დიდძალი ხალხი დაესწრო. არამც თუ ტაძარი ქუჩებიც კი ხალხით იყო სავსე. პანაშვიდის გადახდის შემდეგ დიდებული სიტყვა წარმოსთქვა ყოვლადსამღვდელო გიორგიმ. პანაშვიდის გადახდის დროს ქუთაისში ყველა სავაჭროები დაკეტილი იყო...“ (იმერეთი, №20, 1915: 3).

#### ქუთაისის სასულიერო სემინარიის აღდგენა (1916 წელი)

იმერეთის ეპისკოპოს გიორგის (ალადაშვილი) დიდი ძალისხმევით აღდგა ქუთაისის სასულიერო სემინარია. მან ეს საკითხი ორჯერ დასვა სინოდის წინაშე. ამის აუცილებლობას იმით ასაბუთებდა, რომ გაიზარდა ახალგაზრდობის ლტოლვა სასულიერო განათლებისადმი“ (მჭედლიძე, ... 2008: 330).

1914 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს ეგზარქოსს იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი წერდა: „მის ყოვლადსამღვდელოება პიტირიმს, ქართლ-კახეთის არქიეპისკოპოსს, საქართველოს ეგზარქოსს“: „დასავლეთ



საქართველოს ფარგლებში მდებარეობს სამი ეპარქია: იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და სოხუმის, რომლებშიც 1200-ზე მეტი სამრევლო ირიცხება. არცერთ ამ ეპარქიაში არ არსებობს სასულიერო სემინარია სასულიერო პირთა სათანადო კანდიდატების მოსამზადებლად, რის გამოც ამ ეპარქიათა მღვდელმთავრები იძულებულნი არიან მღვდლებად დანიშნონ პირები, რომლებიც ნაკლებად არიან მომზადებულნი მოძღვრის მნიშვნელოვანი მსახურებისთვის...“ (ქცა, ფონ. 21, ს. 25847).

იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი გულისტკივილით აღნიშნავდა: „ამის შედეგად, ხალხის ქრისტიანული განათლების საქმე მართლმადიდებელი ეკლესიის სულისკვეთებით იმდენად სუსტადაა, რომ გლეხებს შორის შეიძლება წავაწყდეთ რელიგიური უცოდინარობის უკიდურეს შემთხვევებს. ქალაქ ტიფლისში არსებული მართლმადიდებლური სასულიერო სემინარია ვერასდროს იძლეოდა და ახლაც ვერ მოგვცემს მღვდლობის საკმარის კანდიდატებს დასავლეთ საქართველოსთვისაც, რომელიც სამი ეპარქიისგან შედგება... წარმოვიდგინოთ რა ჩემს შეხედულებებს, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოებავ, გთხოვთ, აღძრათ შუამდგომლობა წმინდა სინოდის წინაშე ქალაქ ქუთაისში მომავალი 1915/1916 სასწავლო წლიდან საგანგებო ექვსკლასიანი სასულიერო სემინარიის გახსნის შესახებ...“

თქვენი ლოცვის მთხოვნელი, უდიდესი პატივისცემითა და ერთგულებით...“ (ქცა, ფონ. 21, ს. 25847, ფ. 33-34).

1915 წლის 23 აგვისტოს იმერეთის ეპისკოპოს გიორგის საქართველოს ეგზარქოსი მთავარეპისკოპოსი პიტირიმი (ოკნოვი) სწერდა: „მის ყოვლადუსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოს გიორგის“: „თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, მოწყალეო მეუფეო, ქუთაისის სასულიერო სემინარიაში უმცროსი კლასების გახსნასთან დაკავშირებით, აუცილებლად მიმაჩნია, გახსნასთან დაკავშირებული ყველა საკითხის ადგილზე გასარკვევად, მივლინებულ იქნას ქ. ქუთაისში ტიფლისის სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი მელქისედეკი. გთხოვთ, მოწყალეო მეუფეო, თქვენის მხრივ, აღმოუჩინოთ თქვენი მხარდაჭერა რექტორს, რათა სწრაფად და წარმატებით შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება, და გასცეთ შესაბამისი განკარგულება... არქიეპისკოპოსი პიტირიმი, საქართველოს ეგზარქოსი“ (ქცა, ფონ. 21, საქმე 25847, ფ. 35).

ზაქარია ჭიჭინაძე წერს: „იმერეთში სემინარიის გახსნის შესახებ კარგა ხანი ეცადა ყოვლადსამღვდელო გაბრიელი, ბევრი წვალების და ცდის შემდეგ, იმერეთ ეღირსათ სემინარია და იგი გახსნილ იქმნა ქუთაისში, მაგრამ არ გავიდა დიდი დრო და ქართველთა სიჩქარის, მოუფიქრებლობის და გაუფრთხილებლობის წყალობამ, ეს სემინარია ერთ დღეს უცხად დაკეტილ-დაკარგული იქმნა ქართველთათვის... მათმა მეუფებამ დაიწყო ცდა და უკანასკნელ ეღირსა იმერეთს კვლავ ქუთაისში სემინარის გახსნა, ანუ დაკარგულის პოვნა, განახლება. ქუთაისში სემინარიის გახსნის საქმე უკვე მთავრობამაც გამოაცხადა ოფიციალურად. ამ გვარად, ყოვლადსამღვდელო გიორგის მღვდელმთავრობის დროს, იმერეთის ერს მიეცა სემინარიის დაარსების უფლება და ამის გახსნა. ასეთია თვით ყოვლადსამღვდელოს აზრი, რომ „აჩქარებულსა ქებულსა, სჯობს სიბრძნე დაგვიანებულიო“

(ჭიჭინაძე 1916: 291).

იმერეთის ეპარქიის მმართველობიდან განთავისუფლება (1917 წელი)

1917 წლის 18 მარტს საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას იმერეთის სამღვდელოების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ მღვდელმა სპირიდონ ლეკვეიშვილმა წერილით მიმართა, რომელიც მოსმენილ იქნა 21 მარტის სხდომაზე. წერილში ვკითხულობთ: „...1917 წ. მარტის 17, პირველი საათის ნახევარზე, მოხდა კრება იმერეთის სამღვდელოების აღმასრულებელი კომიტეტისა, რომელზედაც მორიგი საკითხების განხილვისას დაადგინა შემდეგი: ეცნობოს საკათალიკოზო დროებითაღმასრულებელ კომიტეტს ჩვენი წარმომადგენელის საშვალეებით, რათა გათავისუფლებულ იქმნეს ეპისკოპოსი გიორგი იმერეთის ეპარქიის მართვა-გამგეობისაგან, ვინაიდან, ღრმა მოხუცებულებისა გამო და თავის მიმართულებით არ შეესაბამება დღევანდელ მომენტს. სრულიათ უკავშირდება-რა საერთო, საქართველოს საეკლესიო საქმეებში საკათალიკოზო დროებით მმართველობას, იმერეთის სამღვდელოების აღმასრულებელი კომიტეტი იტოვებს თავისუფლებას ადგილობრივ ეპარქიის შინაურ საქმეების მოწყობა მოწესრიგებაში.

გაიგზავნოს მღვდელ მიხეილ ბუაჩიძე საკათალიკოზო კომიტეტთან ზემო აღნიშნულ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად“ (შიოლაშვილი... 2016: 26).

ც ნ ო ბ ა II: მღვდელმა მიხ[ეილ] ბუაჩიძემ... ყოვლადსამღვდელო გიორგის შესახებ სთქვა, რომ ის არავითარ საქმეში ხელმძღვანელობას ვერ გვიწევს, ქადაგებას ვერ ამბობს, რადგან არც ეხერხება. მისი ხელქვეითები - ნათესავები უზნეოდ იქცევიან და სხვ. თუ ეხლავე არ დაკმაყოფილდა იმერეთის სამღვდელოების დადგენილება, კომიტეტი იძულებულ შეიქნება დაიშალოს (იქვე).

ც ნ ო ბ ა III: ამ საკითხმა გამოიწვია ცხარე კამათი; მომეტებული რიცხვი წევრთა იმ აზრისანი იყვნენ, რომ ეხლა დათხოვნა ეპისკოპოსისა ყოვლად უადგილო იქნება; ეს მოვლენა გამოიწვევს უთანხმოებას, ჩვენ დაწყობილ საქმეს არევ-დარევს და ამით მტერს გავახარებთ. იყო გამოთქმული ის აზრიც, რომ ეპისკოპოსი გიორგი არ შეეფერება ეხლანდელ დროის მოთხოვნილებათა, მაგრამ მისი დათხოვნა მათაც სცნეს უდროვო მოქმედებათ. ს[ერგი] გორგაძემ განაცხადა, რომ კანონიურად, თვინიერ საეკლესიო კრებისა, ჩვენ მღვდელმთავრის დათხოვნა არ შეგვიძლია, ეს ჩვენ უფლებას აღემატება, თუნდაც რომ გიორგი მართლა ღირსიც იყოს დათხოვნისა. დეკანოზმა თალაქვაძემ აღნიშნა, რომ იმერეთის სამღვდელოება უკანონოდ მოიქცა, მას ჩვენ ნებადაურთავად არ უნდა დაენიშნა არავითარი კომიტეტი. ეპისკოპოსმა ანტონმა ასეთი შენიშვნა სამღვდელოებისადმი ეხლა უხერხულად სცნო, რადგან ამ შენიშვნას შეუძლიან გააღიზიანოს იგი და ამით აიძულოს ახალი რამ შეცდომა ჩაიდინოს. ყოვლადსამღვდელო ანტონს დაეთანხმა ვ[ასილ] ბარნოვიც, რომელმაც, სხვათა შორის, შენიშნა, რომ კომიტეტის შემადგენლობა არ შეესაბამება ეკლესიის დემოკრატიზაციის იდეას, ვინაიდან იგი შესდგება მხოლოდ სასულიერო პირთაგან და კანონით კი მათში საერთოც უნდა

ერიონ“ (შიოლაშვილი... 2016: 27).

მდივანმა დ[ავით] დავითაშვილმა განაცხადა: „მართალია, ყველამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ეხლა ყოვლადსამღვდელო გიორგის იმერეთიდან მოშორება უდროვოა და მოუხერხებელი, მაგრამ მე მინდა გულწრფელად აღვიარო, რომ აქ არამც თუ არავითარი უხერხულობა არ იქნება, არამედ სამართლიანობას გამოიჩენდა ჩვენი მმართველობა, ვინაიდან ყველამ კარგად იცის, რომ ეპისკოპოს გიორგის იმერეთის სამღვდელოება ეხლა კი არ იწუნებს, არამედ დიდი ხანია უკმაყოფილო იყო. ჩემის აზრით, თუკი მთავარეპისკოპოსის პლატონის საქციელს, - რომ იგი 12 მარტს შემდეგ არ აპირებს გასვლას, - ვუძახით უკანონობას, რატომ იგივე სახელი არ უნდა ვუწოდოთ ჩვენის მღვდელმთავრის ისეთსავე საქციელს. ამისთვის დავასკვნი, რომ ყოვლადსამღვდელო გიორგი თვითონვე უნდა გადასდგეს“ (შიოლაშვილი... 2016: 27).

გ ა ნ ა ჩ ი ნ ე ს: გამოეცხადოს მღვდელს მიხ[ეილ] ბუაჩიძეს გადასაცემად კომიტეტში, რომ დროებითმა მმართველობამ ეხლა უდროოთ მიიჩნია ყოვლად სამღვდელო გიორგის დათხოვნა და ამიტომ სთხოვს იმერეთის სამღვდელოების კომიტეტს ცოტას ხნით შეაჩეროს თავისი განაჩენი, რათა მმართველობამ შეიძლოს საქმის გამორკვევა და შემდეგ ზომების მიღება. ამასთანავე ეცნობოს იმერეთის კომიტეტს, რომ გამოძიება საქმისა მიენდობა მმართველობის ერთ-ერთ წევრს, რომელიც, სხვათა შორის, მოაწესრიგებს კომიტეტების დაარსების საკითხს. ყოველშემთხვევაში, რაიმე ურიგობის მოხდენის ასაცილებლად, ეხლავე დაბარებულ იქმნას იმერეთიდან ეპისკოპოსი გიორგი და სამღვდელოების დასაშოშმინებლად გაგზავნილ იქმნას ერთი წევრთაგანი (იქვე).

ხელს აწერენ: სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე ეპისკოპოსი ლეონიდი; ანტონი, ეპისკოპოსი გორისა; დეკ. კ. ცინცაძე; პ. კიზირია; დეკ. კორნ. კეკელიძე; ვ. ბარნოვი; დ. ნახუცრიშვილი; იპ. ვართაგავა; სოლ. ახვლედიანი; ს. გორგაძე; პ. ბარათაშვილი; ს. მგალობლიშვილი; მღვდელი პოლიევკტოს კარბელაშვილი; მდივანი-წევრი: დ. დავითაშვილი“ (იქვე: 27-28).

1917 წლის 17 მარტის იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობით იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი (ალადაშვილი) 1917 წლის აპრილში გამოიწვიეს იმერეთიდან და იმერეთის ეპარქიის მმართველობა დროებით გადაეცა იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების აღმასრულებელ კომიტეტს.

ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს: „ყოვლადსამღვდელო გიორგის ცდა ყოველთვის იქითკენ არის მიმართული, რომ იმერეთის სამღვდელოებას ემსახუროს კეთილად და უვნებლად. ფრთხილია ყველაფერში, მაგრამ, ვინაიდან ჩვენს დროში, დაკარგვა რამის კი ადვილია და პოვნა კი ერთობ ძნელი. ამის მაგალითები ჩვენ ბევრი გვაქვს ჩვენს ცხოვრებაში, იტყვის ხოლმე ყოვლადსამღვდელო. მთელი საუკუნის განმავლობაში ქართველი ერი სულ დაკარგვის გზაზე იდგა და შეძენით კი ვერას იძენდაო. შეიძლება ზოგი ერთებისათვის ყოვლად სამღვდელოს ასეთი სიწყინარე და სიფრთხილე არ არის მოსაწონი, ვინ იცის, ესეც შეიძლება,



მაგრამ რა გაეწყობა, ეს გარემოება არ არის დასაწუნი...“ (ჭიჭინაძე 1916: 290).

1917 წლის 12 აპრილს ქუთაისში გამომავალი გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ წერდა: „იმერეთის ეფისკოპოსი ყოვლადსამღვდელო გიორგი საქართველოს კათალიკოსატის მთავარ კომიტეტის დადგენილებით განთავისუფლებულ იქმნა თანამდებობიდან. გიორგი ეპისკოპოსის მოვალეობას დროებით შეასრულებს არქიმანდრიტი ნაზარი“ (ჩვენი ქვეყანა, №3, 1917: 2).

1917 წლის 11 სექტემბერს გაიმართა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ტვილელი მიტროპოლიტი ლეონიდი.

კრებას ესწრებოდნენ:

ეპისკოპოსები კირონი, პიროსი, ანტონი, არქიმანდრიტი ნაზარი, დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე, მღვდელი პოლიევკტოს კარბელაშვილი, მღვდელი ვასილ კარბელაშვილი, გენერალი ვასილ გაბაშვილი, დავით ნიქარაძე, მიხეილ მაჩაბელი, რაჭდენ დათეშიძე, გრიგოლ ყიფშიძე, იპოლიტე ვართაგავა, ნიკოლოზ ხახუტაშვილი, თედო სახოკია, ივანე ბერიაშვილი, იაკობ ცინცაძე, დავით ნახუცრიშვილი, პეტრე მირიანაშვილი, დავით დავითაშვილი, პართენ გოთუა, ივანე აფხაზი, ნიკოლოზ მელიქიშვილი.

წევრი-მდივანი: დავით დავითაშვილი.

მ ო ს მ ი ნ ე ს: 2. ზეპირი განცხადება ყოვლადუსამღვდელოესის თავმჯდომარისა ტვილელ მიტროპოლიტისა ეპისკოპოს გიორგის უმწეოდ დარჩენის შესახებ.

მიტროპოლიტმა განაცხადა, რომ ეპისკოპოს გიორგის მარიამობისთვიდან ჯამაგირის გამოგზავნა მოუსპეს; მას არავითარი სახსარი საცხოვრებლად არა აქვს რა. ეხლა ავადმყოფობს და უმწეობისა გამო საშინლად გმინავს, თითქმის სტირის. აუტანელია მისი მდგომარეობა და ამისათვის სთხოვს კრებას ყურადღება მიაქციოს მის ყოფას: ან ჯამაგირი ეძლიოს სანამ პენსიას მიიღებს, ან ფული სესხად მიეცეს და ეს სესხი გამოერიცხოს შემდეგ პენსიიდან.

ც ნ ო ბ ა: I. მცირე კამათის შემდეგ კრებამ საჭიროდ დაინახა ამ საგანზე იმერეთის საბჭოსთან მოლაპარაკება.

ც ნ ო ბ ა: II. ეპისკოპოს გიორგის დათხოვნის შემდეგ საკითხი პირველად აღიძრა მარტში. იმერეთის სამღვდელოების აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოგზავნა დროებით მმართველობაში დეპუტაცია თხოვნით, რათა ეპისკოპოსი გიორგისა და ეპარქიის საქმეთა გამგებლობისაგან დათხოვნილ იქმნას, ვინაიდან, იგი მოხუცებულობისა გამო და თავის მიმართულებით არ შეესაბამება დღევანდელ მომენტსაო. პირადად დეპუტატმა მღვდელმა ბუაჩიძემ განაცხადა, რომ ეპისკოპოს გიორგის ხელქვეითები - ნათესავები უზნეოდ იქცევიან და ამასთანავე დასძინა, თუ იმერეთის სამღვდელოების დადგენილება ეხლავე არ დაკმაყოფილდა კომიტეტი იძულებული შეიქმნება დაიშალოს (შიოლაშვილი... 2016: 271-272).

ეს საკითხი მოსმენილ იქმნა 21 მარტის კრებაზე. მმართველობამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიიღო რა მხედველობაში, რომ ეხლა ეპისკოპოს გიორგის დათხოვნა უდროო იყო, სხვათა შორის, განაჩინა, სთხოვოს იმერეთის აღმასრულებელ კომიტეტს, ცოტას ხნით შეაჩეროს

თავისი განაჩენი, რათა მმართველობას შეეძლოს საქმის გამოძიება. ამასთანავე სამღვდელთა დასაშოშმინებლად საჭიროდ სცნო ერთ-ერთი წევრის გაგზავნა და ეპისკოპოს გიორგის ტფილისში დაბარება (შიოლაშვილი... 2016: 271-272).

თანახმად ამ გადაწყვეტილებისა, ეპისკოპოსი გიორგი დაბარებულ იქმნა, იგი აღდგომის დროს ტფილისში იყო, მაგრამ მერე ისევ დაბრუნდა ქუთაისში თითქმის მმართველობისათვის სრულებით მოულოდნელად. ამის შემდეგ იმერეთის კომიტეტისაგან ხელახლად გამოგზავნილ იქმნა სამი წევრი ტრ[იფონ] ჯაფარიძე, ი[ერონიმი] არსენიშვილი და მღვდელი ამბროსი ფოფხაძე. ამ დეპუტაციამ მოიტანა ქალაქი, რომელშიაც კომიტეტი აცხადებდა თავის განცვიფრებას იმის შესახებ, რომ ეპისკოპოსი გიორგი ისევ დაბრუნდა იმერეთში. კომიტეტი აცხადებდა, რომ თუ ეპისკოპოსი გიორგი დაუყოვნებლივ არ იქმნა დათხოვნილი, შეიძლება 13 აპრილის კრებაში რაიმე უსიამოვნება მოხდეს და მაშინ იგი თავისუფალი იქნება ყოველგვარ პასუხისმგებლობისაგან (იქვე).

ხანგრძლივი კამათის შემდეგ დროებითმა მმართველობამ 5-6 აპრილის კრებაზე განაჩინა: „ვინაიდან ყოველადუსამღვდელთა გიორგის დარჩენა, როგორც გამოირკვა მოყვანილი ცნობებიდან, იმერეთის ეპარქიაში აწინდელ მომენტს და საეკლესიო საქმეთა მდგომარეობას არ შეესაბამება, წინადადება მიეცეს, თავი დაანებოს ეპარქიას და ტფილისში დაუყოვნებლივ ჩამოსვლის შემდეგ, სრულიად საქართველოს ეკლესიის მმართველობასთან შეთანხმებით, ამოირჩიოს დროებითი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო ეპარქიის მართვა-გამგეობა გადასცეს სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებითის მმართველობის იმერეთის განყოფილებას“. ამის შემდეგ ხელახლად იქმნა გამოწვეული ეპისკოპოსი გიორგი და კიდევ დარჩა ტფილისში. მაისში შემოიტანა თხოვნა, რათა მარიამობისთვის დამღვევამდე მიეცეს თავისუფლება, რის შემდეგაც ის აღარ იმსახურებს. მისი თხოვნა შესრულებულ იქმნა და ეს კიდევაც ეცნობა იმერეთის განყოფილებას“ (შიოლაშვილი... 2016: 273-274).

გ ა ნ ა ჩ ი ნ ე ს: ამ საქმის განხილვა გადაეცეს იმავე კრებას, რომელიც მოწვეულ იქნება ჟურნალის პირველ მუხლში აღნიშნულ საკითხის გადასაწყვეტად.

1917 წლის სექტემბერში საეკლესიო კრებამ იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი გაათავისუფლა ეპარქიის მმართველობისაგან. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) წერდა: „ავტოკეფალიის აღდგენას ადგილი ჰქონდა 1917 წლის მარტის 12/25. არ გასულა ამის შემდეგ ერთი თვეც, რომ ქუთაისიდან გამოაძევეს ფრთხილი, ცხოვრებაში გამობრძმედილი, წინდახედული და შორსმჭვრეტელი ეპისკოპოსი გიორგი, კაცი, რომელმაც 1905 წლის რევოლუციისადმი თანაგრძნობისათვის არც ერთი თავისი ეპარქიის მღვდელი არ დააჩაგვრინა უწმიდეს სინოდს, მაშინ, როცა მეზობელ ეპარქიებში სულ სხვანაირად დატრიალდა „რევოლუციონერ მღვდელთა“ ბედი“ (მწიგნობრობა ქართული 2010: 399).

1917 წელს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, გაუქმდა იმერეთის ეპარქია, რომლის ბოლო მმართველი მღვდელმთავარი

იყო ეპისკოპოსი გიორგი (ალადაშვილი).

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ბუბულაშვილი 2022: ბუბულაშვილი ე. , საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის დროს (1811-1917 წწ.). თბილისი, 2022.

მწიგნობრობა ქართული 2010: მწიგნობრობა ქართული. მრავალტომეული, ტ. 10. თბილისი, 2010.

მჭედლიძე... 2008: მჭედლიძე გ., კეზევაძე მ., ქუთაის-გაენათის ეპარქია (ისტორია და თანამედროვეობა). ქუთაისი, 2008.

პლატონ 1913: პლატონ [ცეციტიშვილი], ყვირილა, 1913.

შიოლაშვილი... 2016: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები (1917 წლის 13 მარტი – 14 სექტემბერი). გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ისტორიის დოქტორებმა ნინო შიოლაშვილმა და ირინა არაბიძემ. თბილისი, 2016.

ჭიჭინაძე 1916: ჭიჭინაძე ზ., ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოღობერიძე და ქართული სტამბა. ტფილისი, 1916.

Гамахария 2016: Джемал Гамахария, Материалы об убийстве Экзарха Грузии Никона (Софийский) и некоторые вопросы церковной истории (1908-1913), 2016.

სსსა: სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღ. 1, საქმე 119.

ქიმ: ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, 466/2221.

ქცა: ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 21. ან.1. საქმე 23316, 23476, 24123, 24814, 25433, 25563, 25847.

### გაზეთები

ივერია 1909: გაზეთი „ივერია“, №34, 1909.

იმერეთი 1914: გაზეთი „იმერეთი“, №80, 1915.

იმერეთი 1915: გაზეთი „იმერეთი“, №20, 1915.

იმერეთი 1915: გაზეთი „იმერეთი“, №2, 1915.

მწყემსი 1908: გაზეთი „მწყემსი“, №5-6, 1908.

მწყემსი 1908: გაზეთი „მწყემსი“, №13-14, 1908.

შინაური საქმეები 1913: გაზეთი „შინაური საქმეები“, №21-22, 1913.

ჩანგი 1909: გაზეთი „ჩანგი“, №43, 1909.

ჩვენი ქვეყანა 1917: გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“, №3, 1917.



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8054>

**XIX საუკუნეში მოღვაწე ქართველი ქალი –  
დომინიკა ერისთავი**

**The 19<sup>th</sup> - century public woman -  
Dominika Eristavi**

**მარიამ მარჯანიშვილი**

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი  
საქართველო, ქუთაისი

**Mariam Marjanishvili**

Kutaisi State Historical Museum  
Georgia, Kutaisi

**აბსტრაქტი**

ქართველი ქალის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ჩაბმა განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. ამ დიდ მოვლენას ილია ჭავჭავაძემ „ახალი ხანა“ უწოდა.

იმდროინდელ ლიტერატურულ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ აქტივობებში ახალი რაკურსით წარმოჩნდნენ ქართველ ქალთა ინიციატივით შექმნილი ლიტერატურული სალონები.

ქართველი ქალები საზოგადოებრივი აზროვნების ცენტრში განსაკუთრებით მაშინ მოექცნენ, როცა ისინი აქტიურად ჩაებნენ ეროვნულ-განთავისუფლებელ, მშობლიური დედა-ენისა და თეატრის აღორძინებისათვის ბრძოლაში. ქალები ასევე თავს იყრიდნენ ისეთი კულტურული კერების გარშემო, როგორც იყო ქართული ჟურნალ-გაზეთები: „დროება“, „ივერია“, „თეატრი და ცხოვრება“, „ქართული ბიბლიოთეკა“, „აკაკის თვითური კრებული“ და სხვა.

ქართველი მოღვაწე მწერალი ქალების ინიციატივით თანდათანობით ფეხს იდგამდა საყმაწვილო ჟურნალები, მუშათა თეატრები, სამკითხველოები, ქალთა პროფესიული სკოლები და საქალებო გიმნაზიები.

არანაკლები იყო ქართველი ქალის როლი პოლიტიკასა და სახელმწიფო მართვა-გამგეობაშიც. ასე რომ, საზოგადოებრივი ფორმაციის ცვლასთან ერთად ასპარეზზე გამოვიდა ქალთა ახალი თაობა, რომლებიც საგანმანათლებლო სისტემაში ჩართულნი ახალ ამპლუაში გამოჩნდნენ. მათ შორის აღსანიშნავია პოეტი, მწერალი, მთარგმნელი, გაზეთ „ივერიის“

პირველი კორექტორი ქალი, ჟურნალ „ნობათის“ რედაქტორი, პოლიტიკოსი და „ქართველ ქალთა საზოგადოების“ დამაარსებელი დომინიკა ერისთავი, რომლის ლიტერატურული ფსევდონიმი იყო „განდეგილი“.

დ. ერისთავმა სასტიკად გაილაშქრა ცარიზმის ჩამორჩენილობის, კარჩაკეტილობის, ობივტელური შეხედულებების წინააღმდეგ და ქართველი ქალის უფლებების მოსაპოვებლად თავდადებული ბრძოლა გააჩაღა. მას ღრმად სწამდა, რომ ქალთა მამაკაცებთან გათანასწორება იქნებოდა საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნის უდიდესი ფაქტორი. ყოველი დიდი შემოქმედებითი ნიჭი იქ წარმოიშობა, სადაც დედაკაცი მონა კი არა, თავისუფალი ადამიანია. იგი წერდა: „დედაკაცი საფუძველია მეცნიერების, იგი ბურჟია ოჯახის, ერისა და საზოგადოების. დედაკაცი ერთადერთი უტყუარი საზომია ერის სულიერი ძლიერების. რამდენათ მთლიანი და თავისუფალი პიროვნებაა დედაკაცი, იმდენად საღია - საზოგადოება, ეს წვეთი კაცობრიობის ოკეანესი“.

დ. ერისთავი ქალის თანასწორუფლებიანობის, ემანსიპაციისა და მოქალაქეობრივი უფლებების მოპოვებისათვის სიტყვითა და კალმით მებრძოლი ქართველი ქალი იყო, რომელსაც შემდგომ ბევრი მიმდევარი გაუჩნდა.

საკვანძო სიტყვები: XIX საუკუნეში მოღვაწე ქართველი ქალები, დომინიკა ერისთავის მოღვაწეობა, ქართველ ქალთა ორგანიზაცია.

#### ABSTRACT

The mental awakening of Georgian women and their involvement in public activities became particularly noticeable from the 1860s, which Ilia Chavchavadze termed as a significant political event, the „new age“.

In the literary and public discourse of that era, when the national consciousness of the country was awakening, literary salons initiated by Georgian women emerged in a new light.

Georgian women quickly became central to public opinion as they actively participated in the struggle for national liberation, the revival of their mother tongue, and theater. They also congregated around cultural hubs such as Georgian magazines and newspapers like „Droeba“, „Iveria“, „Theatre and Life“, „Georgian Library“, „Akaki Monthly Collection“, and others.

Under the initiative of Georgian women writers, youth magazines, workers' theaters, reading rooms, women's professional schools, and women's gymnasiums gradually took shape.

Georgian women also played a significant role in politics and state administration. With the changing social structure, a new generation of women entered the arena, actively engaging in the educational system and contributing to the national progress of the country. Notable among them was Dominika Eristavi, a poet, writer, translator, the first female proofreader of the „Iveria“ newspaper,

editor of the „Nobat“ magazine, politician, and founder of the „Georgian Women’s Society“, known by her literary pseudonym „Gandegili“.

She was one of the active Georgian women who vehemently campaigned against the backward, restrictive views of tsarism and dedicated herself to the struggle for the rights of Georgian women.

The poetess deeply believed that achieving equality for women would be the most significant factor in transforming the social structure:

„A mother is the foundation of science, the backbone of family, nation, and society. A woman is the true measure of a nation’s spiritual strength. The more established and free a woman is, the more balanced society becomes, like a drop in the ocean of humanity.“

Great creative talent flourishes where women are not enslaved but free individuals.

Dominika Eristavi became a symbol of Georgian women’s fight for equality, emancipation, and citizenship rights, inspiring many followers.

**Keywords:** Georgian women working in the 19th century, work of Dominika Eristavi, Georgian women’s organizations.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ქართველი ქალის გონებრივი გამოფხიზლება და მისი საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმა.

ამ დიდ პოლიტიკურ მოვლენას ილია ჭავჭავაძემ „ახალი ხანა“ უწოდა. ვინაიდან არასოდეს გვყოლია იმდენი გონებაგაღვიძებული, პროგრესული, ლიტერატურის მოტრფიალე, შთამაგონებელი მანდილოსანი, როგორც მაშინ.

თუმცა არ უნდა დავივიწყოთ ქვეყნის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების საქმეში იმ ქალთა როლიც, რომლებიც ლიტერატურულ სალონებში აქტიურობდნენ. მარტო 1832 წლის შეთქმულება ხომ ქართველი ქალის ეროვნულ ინტერესებზე მეტყველებს, რომელიც მანანა ორბელიანის ანუ, როგორც იონა მეუნარგია უწოდებდა, „მადამ რეკამიეს“ სალონში ჩაისახა.

რაც უფრო რთულდებოდა მე-19 საუკუნეში პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნული ჩაგვრის სიმძიმე, მით უფრო ღვივდებოდა ქართველი ქალის გულში პროტესტი ბიუროკრატიული სისტემის წინააღმდეგ.

და ამიტომაც გაიტაცა ქართველი მოღვაწე ქალები დიდი ილიას ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ.

ეს პროცესები არ გამოპარვია ქართველი ქალების დიდ მოამაგეს აკაკი წერეთელს, რომელიც აღნიშნავდა: „ქალები ჩვენი ცხოვრების ჭახრაკები



არიან - ეს პირველი ნაბიჯი კეთილ წარმატებისა მათ ხელშია. ისინი გვიზრდიან შვილებს, ისინი გვივლიან მშობლებს და ისინი ჯერ დედობით და მერე მეუღლეობით მძიმე ტვირთს გვიმსუბუქებენ...

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ხალხის ბარომეტრები არიან. ადრევე მითქვამს და დღესაც ვიმეორებ, რომ დედათა სქესი ისე მაღალ წერტილზე ბევრგან არ მდგარა, როგორც ჩვენში. მე არ მიმაჩნია ის გაზაფხული გაზაფხულად, როდესაც სიცივის გამო მერცხალი არ მოფრენილა. არა მწამს საზოგადოების გამოფხიზლება მაშინ, როდესაც ქალებს სძინავთ“ (წერეთელი 1876: 1-2).

ასე რომ, ქართველი ქალი მე-19 საუკუნის 60-იანი წლების საზოგადოებრივი აზროვნების ცენტში მოექცა და მათი მხარდაჭერით აიდგა ფეხი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ქართულმა თეატრმა, სამკითხველოებმა, ჟურნალ-გაზეთებმა, ქალთა ინიციატივით ჩამოყალიბებულმა სახელოსნოებმა, ქალთა პროფესიულმა სკოლებმა და საქალეო გიმნაზიებმა.

პროგრესულად მოაზროვნე ქალები წლების განმავლობაში ინახავდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, მატერიალურად ეხმარებოდნენ საისტორიო-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას, რომელიც ქალთა მაღალ ეროვნულ შეგნებაზე მეტყველებდა.

„ისინი ქველმოქმედების მიზნით ყელზე თუნუქის ყულაბა ჩამოკიდებულნი ეროვნული საქმისათვის ათას ღონისძიებას აწყობდნენ, რომ ნიჭიერი ახალგაზრდები საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად გაეგზავნათ. ბევრი მათგანი თავიანთ უკანასკნელ ნამზითვ ნივთებსაც ყიდდა ქველმოქმედებისათვის. ყოველივე ამას ქალები აკეთებდნენ სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მძიმე პირობებში, რათა მოეპოვებიათ ეროვნული თავისუფლება და ქვეყნის უკეთესი მერმისი“ (ჩიხლაძე 1976: 7). და, ამიტომაც იმედიანი თვალთ შეჰყურებდნენ დიდი 60-იანელები ქართველი ქალების საზოგადოებრივ მოღვაწეობას და მათ ღვთისმშობლის წილხვედრ ლეგენდარულ გმირებად მოიაზრებდნენ.

მე-19 საუკუნის ქართველ მოღვაწე ქალთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული, კოლორიტული ფიგურა იყო პოეტი ქალი დომინიკა ერისთავი, რომელიც ქართულ მწერლობაში „განდეგილის“ ფსევდონიმიტაა ცნობილი.

დომინიკა ერისთავმა საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქართველი ქალის უფლებების დაცვით დაიწყო და საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი ქალის ჟორჟ სანდის მსგავსად ქალთა თავისუფლების იდეა წამოაყენა. ამიტომაც მას „ქართველ ჟორჟ სანდს“ ემახდნენ. დომინიკას, ისევე როგორც ჟორჟ სანდს, საკმაო სიმწიფის დაძლევიტ მოუხდა ცხოვრების გზის გაკაფვა და სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა. იმდროინდელი მეშჩანური რკალის გარღვევა მაშინ ადვილი როდი იყო.

ქალის დამოუკიდებლობის უფლებებისათვის ბრძოლა დომინიკამ პიროვნული თავისუფლების მოპოვებით დაიწყო და კავშირი სამუდამოდ გაწყვიტა იმ ადამიანთან (იგულისხმება მეუღლე), ვისთვისაც გაუგებარი იყო შემოქმედი ქალის საზოგადოებრივი ინტერესები.

ქალის მოქალაქეობრივი უფლებებისა და საზოგადოებრივი როლის შესახებ „სახალხო გაზეთში“ დომინიკა ერისთავი წერდა: „დედაკაცი საფუძველია მეცნიერებისა. იგი ბურჯია ოჯახის, ერისა და საზოგადოებისა. დედაკაცი ერთადერთი უტყუარი საზომია ერის სულიერი ძლიერების. რამდენად მთლიანი და თავისუფალი პიროვნებაა დედაკაცი, იმდენად საღია საზოგადოება. ეს წვეთი კაცობრიობის ოკეანესი.

ყოველი დიდი შემოქმედებითი ნიჭი იქ წარმოიშობის, სადაც დედაკაცი მონა კი არაა, არამედ თავისუფალი ადამიანია...

დედაკაცს გავლენა აქვს არამარტო შვილებზე, არამედ იგი უდიდესია მამაკაცთადმი ცით გარდმონავლენი... თუ რომ დიდი საკაცობრიო შექმნეს მამაკაცთა ეს დედაკაცის ნებისთ, თუ უნებლიედ ზედ გავლენით. მოსპეთ დედაკაცი, როგორც პიროვნება, მოისპობა ძლიერი შემოქმედება და მოისპობა თვით მშვენიერებაც.

...შეუგნებელი დედა ვერ აღზრდის შეგნებულ მოქალაქეს. ოჯახი დედამ უნდა აქციოს სკოლად, აღზარდოს შვილში ქართული სული, ამცნოს თავისუფლება და მოვალეობა. შეაყვაროს შრომა, თავი იხსნას ნივთიერი სილატაკისაგან. მით ხელი შეუწყოს ქვეყნის ბედნიერებას, უკუაგდოს ამპარტაგნობა, ახსოვდეს, რომ თუ ოდესმე სჭირდება მამულს დედა, დღევანდელ საქართველოს უფრო სჭირია იგი...

დღეს მხოლოდ ქართველ დედას შეუძლია იხსნას ტაძარი წარწყმენდისაგან, ისწავლოს და ასწავლოს და ამით შექმნას სამშობლოს მთლიანობა და კეთილდღეობა“ (სახალხო გაზეთი, №10/90,1904:4).

დომინიკა ერისთავი მტკიცედ და ურყევად იდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების მედროშის – ილია ჭავჭავაძის გზაზე. იგი ახალგაზრდობიდანვე გაიტაცა ერის მესაჭის საქმიანობამ. 1893 წელს გაზეთ „ივერიაში“ ილიას ინიციატივით დაიბეჭდა დომინიკას პირველი ლექსი „ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენების გამო“. იმავე წელს იგი ილიას რეკომენდაციით გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში მუდმივ თანამშრომლად კორექტორის თანამდებობაზე მიიწვიეს. ქართულ სინამდვილეში დომინიკა იყო პირველი კორექტორი ქალი, რომელსაც დიდმა ილიამ თავისი გაზეთის ბედი ანდო. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ წაკითხვის შემდეგ აირჩია მან ფსევდონიმად „განდეგილი“.

დომინიკა ერისთავ-განდეგილი მარტო პოეტი კი არა, არამედ თავისი დროის ჩინებული მოღვაწეც, ბელეტრისტიც, პუბლიცისტიც, კრიტიკოსიც, მთარგმნელიცა და ჟურნალისტიც იყო.

გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე 1894 წელს „განდეგილმა“ გამოაქვეყნა თავისი მოთხრობა „მუნჯი“. მის პირველ მოთხრობას სხვა მოთხრობებიც მოჰყვა: „გოგია“, „ფოთოლი“, „იის კონა“, „ფერია“, „თვალეები“, „კბილეები“, „გვირგვინი“, „ფატმა“, „საშინელი ღიმილი“, „ურწმუნო ბოშა“ და სხვა.

1897 წელს, როცა განდეგილის პატრიოტული მოთხრობა „მარინე“ გამოვიდა, ყველამ ერთხმად აღიარა, რომ დომინიკა ერისთავის სახით მწერლობაში ნიჭიერი ბელეტრისტი მოვიდა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „განდეგილის“ ყველა პროზაული ნაწარმოები რეალისტური ხასიათისაა. მწერალს იშვიათი მხატვრული

თვალი და ლამაზი ლიტერატურული ენა ჰქონდა. მას ეხერხებოდა სიუჟეტის გაშლა, პერსონაჟების გამომწერწვა და წერის მაღალი კულტურა. მისი ფსიქოლოგიური ეტიუდები და ესკიზები დღესაც ინარჩუნებენ მხატვრულ ძალას. თავის მოთხრობებში იგი სასტიკად ილაშქრებდა ქალის ჩაგვრისა და მისი გრძნობების დაუფასებლობის წინააღმდეგ.

იმ მძიმე პოლიტიკური სიტუაციის პირობებში, როდესაც ცარიზმი ყოველგვარ ეროვნულს სდევნიდა, დომინიკა უშიშრად და თავგამოდებით იბრძოდა ქართული ეროვნული კულტურის განვითარებისათვის, რასაც ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები, საპოლემიკო წერილები, ფელეტონები და თარგმანები ცხადყოფდნენ.

1898 წელს ილიას რედაქტორობით ცალკე წიგნად გამოიცა პოეტი ქალის ლექსები, 1910 წელს კი – პატარა მოთხრობებისა და ლექსების წიგნი.

1902 წელს „განდეგილმა“ ქართულ საზოგადოებას თავისივე თარგმნილი გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ წარუდგინა. მას აქაც ილია ჭავჭავაძე ამოუდგა გვერდში და სიამოვნებით იკისრა თარგმანის რედაქტორობა.

დიდი გამარჯვება ხვდა წილად ქართულ სცენაზე „განდეგილის“ მიერ თარგმნილ გრიბოედოვის ნაწარმოებს. გაზეთი „სახალხო ფურცელი“ აღნიშნავდა: „ქართველი ხალხი ტაშის გრიალით ელოდა მწერალი ქალის დომინიკა ერისთავის გამოჩენას“ (ჩიხლაძე 1976: 11).

მართალია, კომედია „ვაი ჭკუისაგან“ ცალკე წიგნად 1902 წელს გამოვიდა, მაგრამ „განდეგილმა“ იგი 1898-1899 წლებში თარგმნა, რომელიც ნაწყვეტების სახით გაზეთ „კვალში“ სისტემატურად იბეჭდებოდა. „განდეგილი“ თარგმნიდა ჰაინეს, რილევის, პოზდნიაკოვის, გრიბოედოვის, გორკის, ტურგენევის, კუპრინის, მარკიზ სონიეს, ნ. ტელეშოვისა და სხვათა შემოქმედებას.

ცნობილია, რომ ყველა შემოქმედის სიდიადე უპირველესად თავისუფლებასა და სულიერ მე-ში გამოიხატება. „განდეგილი“ გახლდათ ქალის თანასწორუფლებიანობისათვის, ემანსიპაციისა და მოქალაქეობრივი უფლებების მოპოვებისათვის სიტყვითა და კალმით მებრძოლი, რათა თავისი ადგილი დაეჭირა საზოგადოებაში და მუდამ სამშობლოს ინტერესებისათვის ეცხოვრა და მის გვერდით ყოფილიყო ყველა გასაჭირში.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგაც კი „განდეგილის“ ორიგინალურ ნაწარმოებებსა თუ თარგმანებში გაისმოდა ბრძოლის ყიჟინა. სწორედ, ამ პერიოდში თარგმნა მან ტურგენევის ნაწარმოები „ბჭესთან“ და გორკის „ძაღლი“.

დომინიკა ერისთავი ავტორია საბავშვო მოთხრობების. იგი კარგად იცნობდა ბავშვთა სამყაროს. წერდა სადა და ბავშვებისთვის გასაგები ენით. „განდეგილი“ თავის საბავშვო მოთხრობებში ქადაგებდა ჰუმანიზმს, ნორჩ თაობას ასწავლიდა მეგობრობას, ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემას, უფროსების დაფასებასა და სიკეთის ნერგვას.

დომინიკა ერისთავის საბავშვო მოთხრობებიდან აღსანიშნავია მოთხრობები: „ბეკეკა“ და „ორი მეგობარი“. ამავე დროს „განდეგილი“ ინტენსიურად და ნაყოფიერად მუშაობდა საბავშვო მოთხრობებსა და



ზღაპრების თარგმანზე. მან თარგმნა კუპრინის მოთხრობები, მარკიზ სონიეს „ესკიმოსის დედაკაცი“, ნ. ტელეშოვის „თეთრი ყანჩა“ და სხვა.

„განდეგილი“ მშობლიური ენის გარდა შესანიშნავად ფლობდა რუსულსა და ფრანგულ ენებს. მრავალმხრივ შემოქმედი ქალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ასევე, მშობლიური ეროვნული ლიტერატურის სხვა ენებზე თარგმნას. ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ განდეგილი არ ყოფილა ნაციონალისტი. იგი მუდამ პატივს სცემდა სხვა ერების კულტურას.

მისი თარგმანი ისევე ბუნებრივად, ძალდაუტანებლად იკითხება, როგორც დედანი. თარგმანშიც მისი ენა მსუბუქია, გასაგები და რითმის ჟღერადობა მუსიკალური.

„განდეგილის“ ლიტერატურული მემკვიდრეობა დღესაც საოცარი ძალით ეხმაურება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემურ საკითხებს.

დომინიკას ინიციატივით 1904 წელს დაარსდა „ქართველ ქალთა საზოგადოება“. ეს იყო ქართველ ქალთა პირველი ორგანიზაცია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის კულტურის განვითარების საქმეში. მას ღრმად სწამდა, რომ ქალთა და მამაკაცთა გათანასწორება საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნის უდიდესი ფაქტი გახდებოდა და ამიტომაც აცხადებდა: „რამდენად თავისუფალია აზროვნებისა და უფლებების მხრივ ქალი და ფართოდაა ჩაბმული საზოგადოებრივ ურთიერთობაში, იმდენად ძლიერია სახელმწიფოს კულტურის დონე, იქ კი, სადაც ქალი დაჩაგრულია და მონაა საზოგადოებრივი წყობილებისა, იმდენად უსუსურია სახელმწიფო და მისი სტრუქტურა“... (სახალხო გაზეთი, №10/90, 1904:4).

დომინიკა ერისთავმა, როგორც ქართველ ქალთა საზოგადოების თავმჯდომარემ გამგეობასთან ერთად გაჭირვებულთა დასახმარებლად „საჩაიე“ დააარსა.

„ამ დროს – ჩვენი საჩაიე, რომელსაც „ძმობის ნუგეშს“ ვეძახდით, ერთ-ერთ კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. აქ იყრიდა თავს ჩვენი ფართო საზოგადოება. დღითა და ღამით „საჩაიე“ სავსე იყო ახალგაზრდობითა და ინტელიგენციით. აქ დადიოდნენ კ. გამსახურდია, ნ. ნაკაშიძე, მარიჯანი, გრიშაშვილი, დარია ახვლედიანი და სხვები.

საჩაიეს შემოსავალი იგზავნებოდა ფრონტისათვის, აჭარელთა დახმარებისათვის, „წმინდა ნინოს“ ლაზარეთში და გაჭირვებულთა დასახმარებლად. საჩაიეს დიდ დახმარებას უწევდა ლევან გოთუას მამა პართელ გოთუა, როგორც საერთაშორისო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე“ (ჩიხლაძე 1976: 14).

აჭარის საქართველოსათვის დაბრუნების საქმესა და მის გაძლიერებას დომინიკა ერისთავმა მხარი აქტიურად დაუჭირა: „ქართველო ქალებო! ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი გულიდან მოგლეჯილს კუთხეს ქართველმა მაჰმადიანელმა ქალებმა შეუნახეს ფაქიზად ეს ენა, რომლითაც „ნინო ღმერთს ადიდებდა“. ქართველმა მაჰმადიანმა ქალებმა უმღერეს მშობლიური „ნანა“ თავიანთ შვილებს და მასთან ერთად შეისისხლხორცეს ის დიდი იშვიათი ღირსება, რომელიც წმინდა ქართული რაინდული სულის თვისებაა“ (ჩიხლაძე 1976: 15).

1914 წელს, როცა თურქებმა აჭარა ააოხრეს და მოსახლეობა გარეკეს ოსმალეთში, თან აიძულეს იარაღით ებრძოლათ მათ მხარეზე. „განდეგილი“ ერთი პირველთაგანი გამოვიდა ძალმომრეობის წინააღმდეგ და მრავალი სტატია გამოაქვეყნა აჭარელთა უმწეო მდგომარეობაზე. იგი არა მარტო სიტყვით, არამედ საქმიანაც გვიჩვენებდა მამულისათვის თავდადებული პატრიოტის სახეს. „ძმურ ნუგეში“ შემოსული ფულით ათობით დაჭრილს ინახავდა ლაზარეთში და, ასევე, ფრონტს ეხმარებოდა ტანსაცმლით, პურით, სანოვაგით და სხვა. ამასთანავე, დომინიკა აგროვებდა თანხებს ქართველ ქალთაგან შემოწირულობით აჭარელ მოძმეთა დანგრეული კერიის აღსადგენად: „ჩვენ ერთი დედ-მამის შვილები ვართ, ერთი ცის ქვეშ დაზადებულნი და აღზრდილნი, რომ არ არის ორი საქართველო, იგი მხოლოდ ერთია ქვეყანაზე და მისი შვილების უბედურება გულს გვიკლავს. რა სარწმუნოებისაც არ უნდა იყოს იგი,“ (ჩიხლაძე 1976: 15). დღენიადაგ მსგავსი პატრიოტული სიტყვებით გამოდიოდა დომინიკა ერისთავი ჩვენი ქვეყნის ეროვნული მთლიანობისათვის. მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა მიმართული იყო ნაციონალური ჩაგვრის, ექსპლუატაციის, ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის მავნე შედეგების აღმოსაფხვრელად.

1906 წლიდან განდეგილი იყო ქართული ყოველკვირეული პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული გაზეთის „ნობათის“ რედაქტორ-გამომცემელი, სადაც აქვეყნებდა პოლიტიკური, ფილოსოფიური და ეკონომიკური ხასიათის წერილებს.

პროგრესულად მოაზროვნე მამულიშვილს კარგად ესმოდა, როგორც ილია აცხადებდა: „ცოდნა – განათლებაშია, განათლება კი – თავისუფლებაა.“ ამასთან ერთად ხედავდა, რომ ქართველ ქალთა თავისუფლებისათვის გადაუდებელი ამოცანა იყო ეკონომიური ზერკეტების ამოძრავება.

ამ მხრივ საყურადღებოა მისი დაინტერესება და ინიციატივა ქართული მარგანეცის დამუშავების საქმეში. რომლის აღმოჩენა აკაკი წერეთელს მიეკუთვნება.

„განდეგილი“ მადნის დამუშავებისათვის საჭირო კაპიტალის განსაზღვრის მიზნით ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებსაც კი აწარმოებდა. რაც თავისთავად შემოქმედი ქალის დიდი პატრიოტული საქმიანობა გახლდათ.

„განდეგილი“ იბრძოდა ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლების მატერი-ალური პირობების გაუმჯობესებისათვის. იგი სასტიკად ილაშქრებდა იმდროინდელი სოციალური უკულმართობის წინააღმდეგ, რაც ავიწროებდა და გასაქანს არ აძლევდა ეროვნული მწერლობის განვითარებას.

ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში იგი აღნიშნავდა: „კაცობრიობის ეს თავისებური სისხლის მსმელ ნადირთა ერთგვარი ხროვა ისე უსამართლო არავისთან და არაფერთან არ არის, როგორც მწერალთან“ (თემი, 1913: 1).

ამ მხრივ საკმაოდ დაუვიწყარია დომინიკა ერისთავის დიდი ამაგი ხალხის საყვარელი და გენიალური პოეტების – ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, იაკობ გოგებაშვილის, შიო მღვიმელისა და ალექსანდრე ხახანაშვილისადმი.

საერთოდ, ქართული კრიტიკა მიუდგომლად აფასებდა „განდეგილის“ ღვაწლს: „ჩვენ განცვიფრებაში მოგყავართ არა მარტო მწერალი ქალის ნაყოფიერ შრომას, არამედ იმ სოციალურ კითხვების ცოდნასაც, რომელიც მას სწორედ აქვს შესწავლილი და გამოსჭვივის მისი პროზით და ლექსით ნაწერებში“ (ჭავჭავაძე 1961: 257).

ასე რომ, დომინიკა ერისთავისათვის დამახასიათებელი სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრების სამზეოზე გამოტანით კიდევ ერთხელ გავიხსენეთ მივიწყებული მოღვაწე ქალი წარსულიდან, რომელიც მაგალითია მომავლისათვის.

#### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

თემი 1913: გაზეთი „თემი“, №111, 18 თებერვალი, თბილისი, 1913.

მარჯანიშვილი 2011: მარჯანიშვილი მ., მარჯანიშვილთა და მესხთა ხომლი. თბილისი, 2011.

სახალხო გაზეთი 1904: გაზეთი „სახალხო გაზეთი“, №10/90, თბილისი, 1904.

ჩიხლაძე 1976: ჩიხლაძე ნ., ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები. თბილისი, 1976.

წერეთელი 1876: წერეთელი ა., შენიშვნა, გაზეთი „დროება“, №24, 7 მარტი, თბილისი, 1876.

ჭავჭავაძე 1961: ჭავჭავაძე ი., მიმოწერა, ტომი X. თბილისი, 1961.



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8055>

**კოტე მარჯანიშვილის  
პირველი საბავშვო ოპერა ქუთაისში**

**The First Children's Opera  
in Kutaisi by Kote Marjanishvili**

**გუბაზ მეგრელიძე**

საქართველოს თეატრალური საზოგადოება  
საქართველო, თბილისი

**Gubaz Megrelidze**  
Theater Society of Georgia  
Georgia, Tbilisi

**აბსტრაქტი**

ეს მოვლენა ნაკლებადაა ცნობილი ქართული თეატრის ისტორიაში და თვით ქუთაისშიც კი. ნაშრომი პირველად იკვლევს ქუთაისში დიდი ქართველი რეჟისორის – კოტე მარჯანიშვილის მიერ საქართველოში პირველად დადგმულ საბავშვო ოპერას. სტატია აგებულია სპექტაკლის მონაწილეთა (ქ. ბოკერია, ლ. გეგეჭკორი, ვ. სირბილაძე, ფარქოსაძე, აკ. შანიძე, ნ. შვანგირაძე,) მოგონებებზე. ამ დადგმამ დიდი გავლენა მოახდინა ბავშვთა მუსიკალური აღზრდის შემდგომ განვითარებაზე; საზოგადოება დაინტერესდა მომავალი თაობის მუსიკალური განათლების განვითარებით, რეპეტიციები მიმდინარეობდა მაღალ პროფესიულ დონეზე, რაც ხელს უწყობდა ნორჩ მსახიობთა შესაძლებლობების გამოვლინებას. რაც მთავარია, ეს სპექტაკლი არ იხსენიება კ. მარჯანიშვილისა და მხატვარ პეტრე ოცხელის შესახებ გამოცემულ არცერთ წიგნსა თუ კრებულში. ეს ნაშრომი ხელს შეუწყობს მათი შემოქმედებითი მემკვიდრეობის სრულყოფილ შესწავლას.

1930 წლის დასაწყისში ქუთაისის მუსიკალური ტექნიკუმის (ამჟამად მ. ბალანჩივაძის სახელობის ქუთაისის მუსიკალური სასწავლებელი) პიონერულმა ორგანიზაციამ (ხელმძღვანელი აკაკი შანიძე) კოტე მარჯანიშვილს მიმართა თხოვნით, რომ მას დაედგა კომპოზიტორ შალვა თაქთაქიშვილის საბავშვო ოპერა „პირველი მაისი“ (მუშაობის პროცესში სათაური შეეცვალა და დაერქვა „ბრძოლა“. ლიბრეტო ლ. გეგეჭკორის). ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ სასწავლებელში არსებული სასულე ორკესტრისა და თვითმოქმედი მუსიკალური წრის ძალებით გამართულ კონცერტს კ. მარჯანიშვილი დაესწრო. კონცერტის შემდეგ მას გაუჩნდა აზრი უფრო მასშტაბური ღონისძიების ჩატარებისა, კერძოდ, დაედგა საბავშვო ოპერა. მოსწავლეთა ასაკი 10-12 წელს არ აღემატებოდა. შესარჩევ კონკურსზე 200-მდე ბავშვი მივიდა სხვადასხვა სკოლიდან, რაც

კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით განხორციელდა. შემდგომ იგი 4-5 რეპეტიციას, მათ შორის, გენერალურ რეპეტიციასაც დაესწრო, მაგრამ პრემიერა მის გარეშე ჩატარდა, ვინაიდან, მოსკოვში გაემგზავრა. სპექტაკლი მომზადდა ქუთაისის დრამატული თეატრის ბაზაზე, სადაც დამზადდა დეკორაციები, კოსტიუმები, რეკვიზიტი. მუშაობის პროცესში თეატრის ტექნიკური პერსონალი დიდი ყურადღებით ეხმარებოდა მოსწავლეთა დადგმას. რეპეტიციებს ატარებდა რეჟისორი ვახტანგ აბაშიძე. პრემიერა 1930 წლის 11 მარტს დიდი წარმატებით შედგა.

საკვანძო სიტყვები: ქართული თეატრის ისტორია, კოტე მარჯანიშვილის შემოქმედება, პირველი საბავშვო ოპერა ქუთაისში.

#### ABSTRACT

This event is little known in the history of Georgian theater and even in Kutaisi. For the first time, this paper examines the children's opera staged in Kutaisi by the great Georgian director, Kote Marjanishvili, marking the first children's opera in Georgia.

The report is based on the memories of the participants of the performance (K. Bokeria, L. Gegechkori, K. Sirbiladze, Farkosadze, Ak. Shanidze, N. Shvangiradze). This staging had a significant impact on the further development of children's musical education. The public became interested in the development of musical education for the next generation. Rehearsals were held at a high professional level, which contributed to the development of the young actors' abilities. Most importantly, this play is not mentioned in any book or collection published about Marjanishvili or the artist Petre Otkheli. This work will contribute to the comprehensive study of their creative heritage.

At the beginning of 1930, the pioneering organization of the Kutaisi Music Technical College (currently the M. Balanchivadze Kutaisi School of Music), headed by Ak. Shanidze, asked Kote Marjanishvili to stage the children's opera by composer Shalva Taktakishvili, „First May“ (the title was changed during the work to „Battle“ with a libretto by L. Gegechkori). Everything started when K. Marjanishvili attended a concert. After the concert, he came up with the idea of a larger-scale event and decided to stage a children's opera. The age of the students did not exceed 10-12 years. About 200 children from different schools came to the selection process, which was led by K. Marjanishvili. Later, he attended 4-5 rehearsals, including the general rehearsal, but the premiere was held without him due to his departure to Moscow. The performance was prepared at the Kutaisi Drama Theater, where decorations, costumes, and props were made. During the process, the technical staff of the theater helped the students with great attention. Rehearsals were conducted by director Vakhtang Abashidze. The premiere took place on March 11, 1930, with great success.

Keywords: History of Georgian theater, work of Kote Marjanishvili, first children's opera in Kutaisi.

ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში ქუთაისის ყოველთვის იყო და არის ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრი, განათლებისა და მეცნიერების, პოეზიისა და ხელოვნების კერა.

მე მინდა გესაუბროთ ქუთაისის ისტორიიდან ერთ უმნიშვნელოვანეს ამბავზე. ეს გახლავთ კოტე მარჯანიშვილის პირველი საბავშვო ოპერა ქუთაისში.

ეს მოვლენა ნაკლებადაა ცნობილი ქართული თეატრის ისტორიაში და თვითონ ქუთაისშიც კი. მოხსენება აგებულია ამ სპექტაკლის მონაწილეთა (ქ. ბოკერია, ნ. შვანგირაძე, ფარქოსაძე, აკ. შანიძე, ლ. გეგეჭკორი, კ. სირბილაძე) მოგონებებზე.

ქუთაისის მუსიკალურ ტექნიკუმში (შემდგომში მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი) გამართულ კონცერტს დაესწრო კოტე მარჯანიშვილი, რომელმაც დამთავრების შემდეგ ტექნიკუმის ხელმძღვანელობას (დირექტორი ვიოლენჩელისტი და დირიჟორი ილია აბაშიძე, დირექტორის მოადგილე, ახალგაზრდა მსახიობი აკაკი შანიძე) მიმართა: „მოიფიქრეთ რაიმე და გამოგვიყენეთ ჩვენ“. გაჩნდა აზრი, რომ დადგმულიყო კომპოზიტორ შალვა თაქთაქიშვილის საბავშვო ოპერა „1-ელი მისი“, რომლის სათაურიც მუშაობის პროცესში კ. მარჯანიშვილმა შეცვალა და „ბრძოლა“ დაარქვა. ლიბრეტო კი მწერალ ლადო გეგეჭკორს ეკუთვნოდა. 150-მდე ბავშვს შეუმოწმეს ვოკალური მონაცემები და პლასტიკა, სპექტაკლის მონაწილეთა შერჩევაში თავად მარჯანიშვილი მონაწილეობდა. იგი რეპეტიციებს 4-5-ჯერ დაესწრო. ძირითადად რეჟისორი ვახტანგ აბაშიძე მუშაობდა. პირველი რეპეტიციის წინასაუბარი კ. მარჯანიშვილმა ჩაატარა და ვახტანგ აბაშიძე წარადგინა, თან გააფრთხილა ახალგაზრდა მონაწილეები, რომ ხშირად იგი ჩაატარებდა რეპეტიციებს და ისინი ყოველთვის მზად უნდა ყოფილიყვნენ მისი „თავდასხმისთვის“ (სწორედ ეს სიტყვა გამოიყენა) და კიდევ – პატივი უნდა სცეთ თქვენს რეჟისორსო. კ. მარჯანიშვილმა კიდევ ერთხელ შეამოწმა მონაწილეთა შესაძლებლობები, მოიწონა მათი მუსიკალური მონაცემები და ისინი ვახტანგ აბაშიძეს ჩააბარა. რეპეტიციები ყოველდღიურად ტარდებოდა სიმღერაში, ცეკვაში გუნდისა და ორკესტრის მონაწილეობით. ოპერის მომზადებას ტექნიკურად ქუთაისის თეატრი ეხმარებოდა დეკორაციებით, კოსტიუმებით, ტექპერსონალიც ყურადღებას არ აკლებდა ნორჩ შემსრულებლებს. საბოლოოდ კი დიდი გემოვნებითა და ოსტატურად შექმნილი სპექტაკლი გამოვიდა.

მხატვარმა პეტრე ოცხელმა ზამთრისა და გაზაფხულის დეკორაციების ესკიზები უშუალოდ მარჯანიშვილის მითითებებით გააკეთა. ბალეტმაისტერად ჯერ ადგილობრივი ქორეოგრაფი შჩერბაცკაია მიიწვია, შემდეგ კი თბილისიდან სერგიევი ჩამოიყვანა. პრემიერა დიდი რეჟისორის გარეშე ჩატარდა, რადგან იგი ამ პერიოდში მოსკოვში გაემგზავრა. როლები ასე განაწილდა: ზამთარი – ქ. ბოკერია, აპრილი – ლ. გეგელაშვილი,



მაისი – ნ. შვანგირაძე. შეივსო გუნდი, ორკესტრი, შეირჩა მოცეკვავეები. მონაწილეთა ასაკი 12 წელს არ აღემატებოდა.


პირველი მოქმედება სუსხიანი ზამთრის სურათს ასახავდა, დათოვლილი მთებითა და მდელოებით. მოდის თოვლის ფიფქები. მთაზე გადმომდგარია თავის ძლიერებაში დარწმუნებული ზამთარი. მთის ფერდობზე განლაგებული იყვნენ ფრთებაკანკალებული ფრინველები. ზამთრის ასეთ პეიზაჟში ჩნდებოდნენ ბავშვები, რომლებიც ცეკვავდნენ, გუნდაობდნენ, ბელურა კი, რომელიც სიცივისგან აკანკალებული დაფარვატებდა სცენაზე, სოლო ცეკვას ასრულებდა, მასობრივ სცენაში კი მაყურებელი ციგებით სპორტულ ცეკვას ხედავდა. ამას „აპრილის“ გამოსვლა მოსდევდა, რომელიც ზამთარს ვერ ამარცხებდა. ბოლო მოქმედებაში კი მაისის შემოსვლა გამარჯვების საერთო აპოთეოზს იწვევდა. წითელი ნათურებით განათებულ სცენაზე მასობრივ ცეკვებში ყვავილები და პეპლები მონაწილეობდნენ, სოლო ცეკვებს ასრულებდნენ: სოფო ჩარკვიანი, ყაზარდინულ ცეკვას – ქ. ბოკერია და მედეა ქუთათელაძე, „მომაკვდავი გედის“ ცეკვას კი – თამარ ქუთათელაძე. მთელი სპექტაკლი ისე იყო გადაწყვეტილი, რომ გადმოცემული იყო არა მარტო ბუნების გამარჯვება, არამედ სიმბოლურად გამოხატულიყო მშრომელი ხალხის გამარჯვება. ამიტომაც იყო, რომ გამარჯვებული მაისის შემოსვლისას სრულდებოდა ბორკილების მსხვრევისა და გამარჯვების ცეკვა. ამ დროს მასობრივ სცენაში ეფექტურად გამოიყურებოდა ყვავილებით ხელში მოცეკვავე ხალხი.

ნ. შვანგირაძე ივონებს: „ვახტანგ აბაშიძე არ ზოგავდა ნიჭსა და უნარს, რათა ბავშვებისთვის მომავლის რწმენა – სწრაფვა სიცოცხლისა და გაზაფხულისკენ ჩაენერგა. მაგონდება, როგორი დამაჯერებლობითა და სითბოთი გვიხსნიდა რეპეტიციებზე ზამთრის დამარცხების აუცილებლობას. ამ სურვილით ხარ შეპყრობილი შენ, აპრილო (ამ პარტიას მღეროდა ლილი გეგელაშვილი, შემდგომში აკად. გ. ჯიბლაძის მეუღლე), მართალია, გაზაფხულის წინამორბედი ხარ, მაგრამ ჯერ კიდევ გზღუდავს ზამთრის სუსხიო. ზამთარმა უნდა გააფრთხილოს მაისის წინამორბედი: „აპრილო, შესდექ, ნუ ჩქარობ!“ – მაგრამ ზამთრისა და გაზაფხულის ჭიდილში უნდა გაიმარჯვო შენ – მაისო, მომმართავდა რეჟისორი. ვახტანგ აბაშიძის მიერ გაზაფხულის ზამთარზე გამარჯვების წარმტაცი, გონებამახვილურად მოფიქრებული და განლაგებული მიზანსცენები უაღრესად მომხიბვლელ სურათს ქმნიდა... ამავდროს მიმეორებდა კოტეს განმარტებებს, რომ უნდა დამემარცხებინა ზამთარი, რომ მისი ძლევა, მართლაც, ძნელია, მაგრამ უნდა გახსოვდეს, ამას მხოლოდ მაშინ შეძლებ, თუ შენი მოძრაობა ყოველთვის იქნება მიზანსწრაფული, უფრო გაბედული. კოტეს ამ ზარსა და სიტყვებს ვახტანგი უფრო მეტად აღრმავებდა და მირჩევდა – „კიდევ უფრო წასწიე წინ მარჯვენა ხელი, აიძულე ზამთარი, გზიდან ჩამოგეცალოს. შენ მარტო გაზაფხული ხომ არ ხარ, ხალხის მაისი ხარ და ხალხიც შენ უნდა გამოგყვეს.“

1930 წლის 11 მარტს ქუთაისის დრამატული თეატრის სცენაზე გამართული პრემიერა დიდი წარმატებით ჩატარდა, მაყურებლით გადაჭედული დარბაზი კ. მარჯანიშვილისა და ვახტანგ აბაშიძის გამოსვლას მოითხოვდა, თუმცა დიდი რეჟისორი ამ დროს უკვე მოსკოვში გახლდათ წასული.



კოტე მარჯანიშვილი



პეტრე ოცხელი



ნ. შვანგირაძე



დეკორაციის ესკიზი

#### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი. ფონდი 1, საქმე №20, №21, საქაღალდე 18, ფურცელი 5-14; 33-38; 62-67. საქართველოს თეატრალური საზოგადოების სამეცნიერო სესიის „კ. მარჯანიშვილის მემკვიდრეობის შესწავლისთვის“ მონაწილეთა: ფარქოსაძის, აკ. შანიძის, ე. ბოკერიას, ლ. გეგეჭკორის, ნ. შვანგირაძის მოგონებები. სტენოგრაფიული ანგარიში. 1956 წლის 21 თებერვალი. შვანგირაძე 1993: შვანგირაძე ნ., დაუვიწყარი შეხვედრები: ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, №2, 1993.



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8056>

**-ობ და -ებ თემის ნიშანთა  
შენაცვლებისათვის იმერულში**

**The suffixes -ob and -eb replace  
thematic markers in Imeretian**

**მაია მიქაუტაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Maia Mikautadze**

Akaki Tsereteli shtate University  
Georgia, Kutaisi

**აბსტრაქტი**

-ებ და -ობ ფორმანტები საკმაოდ გავრცელებული და პროდუქტიულია როგორც ქართულ სამწიგნობრო ენაში, ასევე დიალექტებში. ისინი სხვადასხვა ტიპის ზმნებს დაერთვის და აწმყოსა და მყოფადის წრის მწკრივების მაწარმოებლებად გვევლინება.

-ობ სუფიქსის სხვა თემის ნიშნით ჩანაცვლება დიალექტებში შედარებით იშვიათად ხდება, პირიქით კი – ხშირად. -ებ სუფიქსს კილოებში ხშირად ცვლის ხოლმე სხვა თემის ნიშანი, მათ შორის არის -ობ სუფიქსიც.

ქვემოიმერულში დადასტურდა საინტერესო წარმოება მიტირებს ზმნური ფორმისა. კერძოდ: როდესაც მიტირებს ის მე მას კონტექსტი გულისხმობს ჩვეულებრივ პირდაპირ ობიექტზე მოქმედებას, მის ატირებას, ასეთ დროს თემის ნიშანი -ებ აწმყოსა და მყოფადში უცვლელი რჩება:

აწმყო: მიტირებს ის მე შვილს/გულს/დედას...

მყოფადი: მიტირებს/ამიტირებს ის მე შვილს/გულს/დედას...

და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს კონტექსტი გულისხმობს ლანძღვას/გინებას – დედის ტირებას, აწმყოში -ებ თემის ნიშანი ჩანაცვლებულია -ობ ფორმანტით:

დედას მტირობს ის მე (ნაცვლად მართებული დედას მიტირებს ის მე ფორმისა).

იმერული კილოს აღნიშნულ ფორმებში ენამ არა მხოლოდ

გრამატიკული ომონიმია დაძლია და აწმყოსა და მყოფადის მწკრივებში ფუძეების თანხვედრა აიცილა თავიდან (შდრ., ზემოთ ყურობს ტიპის ზმნები), არამედ დროის თვალსაზრისით გამიჯვნასთან ერთად (მტირობს – მიტირებს), სემანტიკური დატვირთვაც მისცა მათ: ზავშეს მიტირებს და დედას მტირობს...).

საკვანძო სიტყვები: იმერული დიალექტი, ზმნის ფორმაწარმოება, თემის ნიშანთა მონაცვლეობა.

#### ABSTRACT

The -ob and -eb suffixes are commonly used and productive thematic markers in both Georgian trilateral language and its dialects. They are attached to various types of verbs and serve as markers for present and past participles.

The replacement of the -ob suffix with another thematic marker is relatively rare in dialects, whereas the opposite is often true. In Kilos, the -eb suffix is frequently replaced by another thematic marker, including the -ob suffix.

An interesting phenomenon was observed in lower Imeretian concerning the verb form of „mitirs“. Specifically, when the context implies causing someone to cry, the subject marker remains unchanged in both present and past tenses:

Present: He makes me cry, my son/heart/mother... Past: He made me cry, my son/heart/mother...

However, if the context refers to cursing or swearing about someone's mother crying, the subject marker -eb is replaced by the -ob suffix:

She cries for her mother (incorrectly, „mother she cries for her“).

In these forms of Imeruli Kilos, the language not only resolves grammatical ambiguities and avoids stem coincidences in present and past participle forms (compare with above, examining verb types), but also imbues them with semantic distinctions: distinguishing between a child crying and a mother crying.

Keywords: Imeretian dialect, verb formation, topic sign alternation.

-ებ და -ობ ფორმანტები საკმაოდ გავრცელებული და პროდუქტიულია როგორც ქართულ სამწიგნობრო ენაში, ასევე დიალექტებში.

ისინი სხვადასხვა ტიპის ზმნებს დაერთვის და აწმყოსა და მყოფადის წრის მწკრივების მაწარმოებლებად გვევლინება:

-ობ: აცხობს – დააცხობს, ახმობს – გაახმობს, ართობს – გაართობს, აპობს – გააპობს, იპყრობს – დაიპყრობს, ინდობს – დაინდობს, ადნობს – დაადნობს, აქრობს – გააქრობს...

-ებ: აკეთებს – გააკეთებს, აშენებს – ააშენებს, ათამაშებს – აათამაშებს, ამხნეებს –გამხნეებს, ალაგებს – დაალაგებს ...

-ებ ფორმანტი მესამე სერიაშიც გადაჰყვება შესაბამის ფუძეებს: გაუკეთებია, დაულაგებია, გაუმხნეებია ...

ზოგიერთ მოქმედებითი გვარის და მედიოაქტივ ზმნას აწმყოს წრეში თემის ნიშნად -ობ ფორმანტი მოუდის და მყოფადისაში -ებ.

მაგალითად: ცხოვრობს – იცხოვრებს, მეფობს – იმეფებს, ნადირობს –ინადირებს, ფიქრობს – იფიქრებს, ნატრობს – ინატრებს...

ზოგიერთი ზმნა მყოფადის მწკრივებს უზმნისწინოდ იწარმოებს; ასეთ ზმნათა აწმყოსა და მყოფადის ფუძეები ერთმანეთს ემთხვევა და სემანტიკურად, დროის თვალსაზრისით მათი გარჩევა მხოლოდ კონტექსტის საშუალებით ხდება:

**აწმყო**

- მაცხოვრებს ის მე
- მიცხოვრებს ის მე მას
- მათამაშებს ის მე
- მითამაშებს ის მე მას (ზავშვს)
- მარჩენს ის მე
- მირჩენს ის მე მას
- უამბობს ის მას მას
- უყურებს ის მას...

**მყოფადი**

- მაცხოვრებს ის მე
- მიცხოვრებს ის მე მას
- მათამაშებს ის მე
- მითამაშებს ის მე მას (ზავშვს)
- მარჩენს ის მე
- მირჩენს ის მე მას
- უამბობს ის მას მას
- უყურებს ის მას...

ასეთ ომონიმურ ზმნათა არსებობის საფუძველი ძველ ქართულშია, რომელშიც თხრობითი კილოს მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ფორმები ომონიმური იყო და გვარეობით ჯგუფად კილოს კატეგორიის მიღების შემთხვევაში ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა ჯგუფში მოხვდებოდა (დ. მელიქიშვილი).

ქართული ენის დიალექტებში -ობ და -ებ სუფიქსები ხშირად განიცდის ფონეტიკურ საფუძველზე გამოწვეულ ცვლილებებს, ერთი მხრივ და მეორე მხრივ, ამ ფორმანტებს სხვა თემის ნიშნებიც ჩაენაცვლება ხოლმე, ანუ თემის ნიშანთა მორფოლოგიურ მონაცვლეობას აქვს ადგილი (ჯორბენაძე 1998: 641).

-ობ სუფიქსის სხვა თემის ნიშნით ჩანაცვლება დიალექტებში შედარებით იშვიათად ხდება, პირიქით კი – ხშირად.

-ებ ფორმანტს კილოებში ხშირად ცვლის ხოლმე სხვა თემის ნიშანი და მათ შორის არის -ობ სუფიქსიც; მაგალითად, იმერულში აპირობს, აძღობს, ჭიკჭიკობს... ტიპის ფორმები ჩვეულებრივია, ნაცვლად მართებული აპირებს, აძღებს, ჭიკჭიკებს... ფორმებისა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა იმერულში ისეთი ფორმების დადასტურება, სადაც -ობ თემის ნიშნით -ებ-ით ჩანაცვლებას გრამატიკული საფუძველიც აქვს.



კერძოდ, საუბარია იმერულ კილოში ყურობს ტიპის ზმნებზე. ისინი ერთმანეთისგან ფორმოზრევიდაც არჩევენ აწმყოსა და მყოფადის მწკრივებში დადასტურებულ ომონიმურ ზმნურ ფუძეებს.

მაგალითად:

სალიტერატურო ქართული: კაცი უყურებს ფილმს (აწმყო); მოვა, ჩართავს ტელევიზორს და უყურებს ფილმს (მყოფადი).

იმერული: კაცი ყურობს ტელევიზორს (აწმყო), კაცი უყურებს ტევევიზორს (მყოფადი).

ცხადია, ამ ტიპის ფორმებით ენა ცდილობს გრამატიკულ ფორმათა დამთხვევის თავიდან აცილებასა და დროის მიხედვით მათ სემანტიკურ დიფერენციაციას: ყურობს – უყურებს (ნაცვლად: უყურებს – უყურებს).

ყურობს ტიპის ფორმები სხვა დასავლურ დიალექტებშიც გვხვდება, მაგალითად, ლეჩხუმურში.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა შემთხვევამ ქვემოიმერულში, სადაც დავადასტურეთ საინტერესო წარმოება მიტირებს ზმნისა.

კერძოდ: როდესაც მიტირებს ის მე მას კონტექსტი გულისხმობს ჩვეულებრივ პირდაპირ ობიექტზე მოქმედებას, მის ატირებას, ასეთ დროს –ებ თემის ნიშანი აწმყოსა და მყოფადში უცვლელი რჩება:

აწმყო

მიტირებს ის მე შვილს/გულს/დედას...

გიტირებს ის შენ შვილს

უტირებს ის მას შვილს

მყოფადი

მიტირებს/ამიტირებს ის მე შვილს/გულს/დედას...

გიტირებს/აგიტირებს ის შენ შვილს

უტირებს/აუტირებს ის მას შვილს

და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს კონტექსტი გულისხმობს ლანძღვას/გინებას – დედის ტირებას, აწმყოში –ებ სუფიქსი ჩანაცვლებულია –ობ ფორმანტით:

დედას მტირობს ის მე (ნაცვლად მართებული დედას მიტირებს ის მე ფორმისა)

დედას გტირობს ის შენ

დედას ტირობს ის მას.

მაგალითები: მიწაში რო დაძვრება, დედას ტირობს ის თურმე ყველაფერს; იმნაირები არიენ, დედას ტირობენ ყველას; დედას მტირობს, ბიჯო, ე წელი, ისთე მტკივა ...

ე.ი. როდესაც ჩვეულებრივად დედის ტირილზე/ატირებაზეა საუბარი, ასეთ დროს გვაქვს უტირებს ფორმა (დედას უტირებს) და როდესაც გინება იგულისხმება კონტექსტში – ტირობს ფორმა (დედას ტირობს)...

აღსანიშნავია, რომ –ობ თემის ნიშანი –ებ ფორმანტს მხოლოდ აწმყოში ენაცვლება და მხოლოდ აქ არჩევენ სემანტიკურად ტირილსა და გინებას

ერთმანეთისაგან, სხვა შემთხვევაში კი -ებ ფორმანტიანი ზმნური ფორმები უცვლელია და, შესაბამისად, უტირებს ფორმაც საერთოა.

იმერული კილოს აღნიშნულ ფორმებში ენამ არა მხოლოდ გრამატიკული ომონიმია დაძლია და აწმყოსა და მყოფადის მწკრივებში ფუძეების თანხვედრა აიცილა თავიდან (შდრ., ზემოთ ყურობს ტიპის ზმნები), არამედ დროის თვალსაზრისით გამიჯვნასთან ერთად (მტირობს - მიტირებს), სემანტიკური დატვირთვაც მისცა მათ: ბავშვს მიტირებს და დედას მტირობს ...

#### გამოყენებული ლიტერატურა

საღინაძე 2004: საღინაძე რ., ზმნურ ფორმათა გამიჯვნის პროცესები სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში. რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, XXIV. თბილისი, 2004.  
საღინაძე 2005: საღინაძე რ., -ობ სუფიქსიან ზმნათა ფორმები და ნორმირების საკითხები. რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, XXV. თბილისი, 2005.

ჯორბენაძე 1988: ჯორბენაძე ბ., კობაძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბილისი, 1988.

ჯორბენაძე 1989: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, ტ. I. თბილისი, 1989.

ჯორბენაძე 1998: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, ტ. II. თბილისი, 1998.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8057>

**მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედის ქუთაისის პრესა  
ქართველთა ეთნიკური და კულტურული  
იდენტობის დაცვის აუცილებლობის შესახებ**

**In the first quarter of the 20th century,  
the Kutaisi press emphasized the necessity of protecting  
the ethnic and cultural identity of Georgians**

**რუსუდან მიქაუტაძე**

აკაკი წერეთლის სახელწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Rusudan Mikautadze**

Akaki Tsereteli shtate University  
Georgia, Kutaisi

**აბსტრაქტი**

ეთნიკურ თვითშეგნებას ეთნიკური კულტურა და ენა განსაზღვრავს. თუ ეთნოსი კარგავს კულტურულ სპეციფიკას, ის არსებობას წყვეტს როგორც დამოუკიდებელი ეთნოსი. სწორედ ეს საშიშროება დაინახეს ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ და ქართული პრესის საშუალებით, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, გაააქტიურეს ბრძოლა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, მიუხედავად რეპრესიებისა რუსეთის მმართველი წრეების მხრიდან.

ქუთაისში გამომავალი გაზეთები, მიუხედავად ცენზურისა, ცდილობდნენ ხალხის მასებამდე მიეტანათ ბევრი საჭირობოროტო საკითხი, რომელიც გაქრობით ემუქრებოდა ქართველ ერს. ეს ეხებოდა ქართულ ენას, გალობას, ქართული არქიტექტურის ნიმუშებს, არქეოლოგიურ სიძველეებს და ა.შ. მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედის ქუთაისის პრესაში გამოქვეყნებული სტატიების მიზანი იყო ხალხს გაეგო და გაეანალიზებინა ქართული კულტურის მნიშვნელობა, ჩაენერგა მათში სიამაყის გრძნობა იმ მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა, რომლის ცოდნა თითოეული ქართველისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა და ქართული იდენტობის შენარჩუნებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება იყო.



ამავე საქმეს ემსახურებოდნენ ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები. ისინი სხვადასხვა ღონისძიებებით ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის, ეროვნული სიამაყის გრძნობის გაღვივებისათვის. სწორედ მათი დახმარებით ქართულმა საზოგადოებამ მოახერხა შეემეცნებინა საკუთარი კულტურული „მე“ და მოეხდინა თვითიდენტიფიცირება.

საკვანძო სიტყვები: XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქუთაისის პრესა, ქართველთა იდენტობის საკითხი.

#### ABSTRACT

Ethnic self-awareness is defined by ethnic culture and language. If an ethnic group loses its cultural specificity, it ceases to exist as an independent entity. This was the concern Georgian public figures had following the loss of statehood. Through the Georgian press, particularly from the early 20th century onward, they actively resisted Russification policies despite repression from Russian authorities. Newspapers in Kutaisi, despite censorship, aimed to educate the public on pressing issues threatening Georgian identity: the Georgian language, music, architectural samples, archaeological artifacts, and more. Articles in the Kutaisi press sought to make people understand and appreciate Georgian culture, fostering pride in its centuries-old history, which they believed essential for every Georgian and crucial for preserving Georgian identity. Cultural and educational organizations in Kutaisi played a pivotal role in promoting national self-awareness and instilling a sense of pride among Georgians. Through various initiatives, they helped Georgian society rediscover its cultural identity and assert its national consciousness.

**Keywords:** Kutaisi press of the first quarter of the 20th century, the issue of Georgian identity.

თითოეული ადამიანისთვის ეთნიკური თვითმყოფადობა ნიშნავს მის მიკუთვნებულობას კონკრეტული ეთნიკური საზოგადოებისადმი. მისი დახმარებით ადამიანი იდენტიფიცირდება თავისი ეთნიკური ჯგუფის იდეალებთან და სხვა ხალხებს ყოფს თავისი ეთნიკური სტანდარტებიდან გამომდინარე – მსგავსად და განსხვავებულად. ეთნიკური იდენტობა განპირობებულია ეთნოსის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებითა და ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით. ამიტომ ისინი მნიშვნელოვან მდგრადობას იჩენენ და შემოინახებიან მაშინაც კი, როცა ეთნოსის ცხოვრების

პირობები ძლიერ იცვლება. ეთნიკურ თვითშეგნებას ეთნიკური კულტურა და ენა განსაზღვრავს. თუ ეთნოსი კარგავს კულტურულ სპეციფიკას, ის არსებობას წყვეტს როგორც დამოუკიდებელი ეთნოსი. სწორედ ეს საშიშროება დაინახეს ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ და ქართული პრესის საშუალებით, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, გააქტიურეს ბრძოლა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ მიუხედავად რეპრესიებისა მეფის რუსეთის მმართველი წრეების მხრიდან.

მე-20 საუკუნის 10-იანი წლებიდან რუსეთის კოლონიურმა მმართველობამ ნება დართო მის შემადგენლობაში მყოფ სხვადასხვა ერებს მშობლურ ენაზე გამოეცათ ჟურნალ-გაზეთები. მიუხედავად მკაცრი ცენზურისა, ამან საშუალება მისცა ქართველ საზოგადო მოღვაწეებს ხალხის მასებამდე მიეტანათ ბევრი ის საჭირბოროტო საკითხი, რომელიც გაქრობით ემუქრებოდა ქართველ ერს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხებოდა ქართული ენის, ისტორიის, ქართული მუსიკის, საეკლესიო გალობის გაუქმების საკითხებს, ქართული ისტორიულ-კულტურული ძეგლების სავალალო მდგომარეობას. ქუთაისის ქართულმა პრესამ, რომელსაც სათავეში ედგნენ ეროვნულად მოაზროვნე ადამიანები, დაიწყო მთელი რიგი სტატიების ბეჭდვა, რომელთა პათოსი მიმართული იყო ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისაკენ და აღნიშნული საკითხების მიმართ ყურადღების გამახვილებისაკენ. ისინი ცდილობდნენ გასაგები ენით აეხსნათ მოსახლეობისათვის, თუ რა საშიშროების წინაშე იდგა ქართველთა იდენტობა, ზოგჯერ სარკასტულ და შეურაცხმყოფელ ტონსაც არ იშურებდნენ, რათა ქუთაისის ინტელიგენციის თავმოყვარეობაზე ემოქმედათ, ოღონდ დასახულ მიზანს შედეგი მოყოლოდა.

ცარიზმის მესვეურებმა უპირველესად იერიში ქართულ ენაზე მიიტანეს. მათ კარგად ესმოდათ, რომ ენა აყალიბებს ადამიანის პიროვნებას, ეს უკანასკნელი კი ენის საშუალებით აღიქვამს თავისი ხალხის მენტალობას, ტრადიციებსა და ჩვეულებებს, ასევე, სამყაროს სპეციფიკურ კულტურულ სახეს. ენის მეშვეობით ხდება კულტურული იდენტობის გადაცემა თაობიდან თაობაზე, რომ მშობლიური ენის დაუფლებასთან ერთად ისწავლება წინა თაობების მიერ დაგროვილი განზოგადებული გამოცდილება. ამიტომაც განსაკუთრებით ებრძოდნენ ქართულ ენას და ცდილობდნენ მის ამოძირკვას საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან. საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა ქუთაისში, სადაც სახალხო სკოლების პირველი რაიონის ინსპექტორმა გროზდოვმა მოსთხოვა მასწავლებლებს დაეწყოთ მოსწავლეებს რუსულის შესწავლა პირველი კლასის პირველი სემესტრიდან. ამან დიდი დაპირისპირება გამოიწვია ქალაქის თვითმმართველობის სასკოლო კომისიასა და გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციას შორის. დაპირისპირება საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ 1913 წლის ნოემბერში, ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ახალმა დირექტორმა ვიშნევსკიმ გასცა ბრძანება, რომლის თანახმად, ერთკლასიან და ორკლასიან სასწავლებლებში რუსული ენის

არმცოდნე ბავშვებისთვის პირველ ნახევარ წელიწადში რუსულის სწავლება არასავალდებულო გახდა. ეს იყო ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა დიდი გამარჯვება ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში.

ქუთაისის სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციებმა და პრესამ ქართული ენის უფლებების დაცვისათვის ბრძოლა თავიანთი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად გამოაცხადეს. გაზეთ „იმერეთის“ საშუალებით ქართველი ინტელიგენცია დაჟინებით მოითხოვდა, რომ სკოლებში ქართული ენა რუსულთან ერთად სავალდებულოდ გამოცხადებულიყო.

ქუთაისის პრესის კორესპონდენტები ქართული ენის აბუჩად აგდების საქმეში, უპირველეს ყოვლისა, ზრალს თვითონ ადგილობრივ ინტელიგენციას და მათ ოჯახებს დებდნენ, რადგან მათ სათანადოდ არ ჰქონდათ გაცნობიერებული მშობლიური ენის მნიშვნელობა ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებაში. ისინი მწვავე პუბლიცისტური წერილებით ცდილობდნენ მოსახლეობის ფართო ფენების გამოღვიძლებას, საზოგადო პრობლემებისადმი მათ შემობრუნებას. არაერთი სტატია მიემდგვნა ქართველი ინტელიგენციის უმოქმედებას და გადაგვარებას, მათ ინდეფერენტულობას და „უნიადაგო“ ცხოვრებას, რადგან ისინი სირცხვილად მიიჩნევდნენ ქართულად საუბარს. უფრო მეტიც, ზოგიერთი ოჯახი განცხადებითაც კი მიმართავდა სკოლის დირექტორს, რომ მისი შვილი გაეთავისუფლებინათ ქართული ენის შესწავლისაგან.

ქალაქში შექმნილ ამ მდგომარეობას გაზეთმა „კოლხიდა“ დაუპირისპირა ახალი რუბრიკა „შინაური მტრების“ სახელწოდებით, სადაც იბეჭდებოდა სილოვან ხუნდაძის მამხილებელი სტატიები ქართველთა ოჯახების გულგრილობაზე მშობლიური ენის მიმართ. სილოვანი დამაჯერებლად საუბრობდა ქართული ენის დაცვის აუცილებლობის შესახებ და მასში მთავარ როლს ქართველ ქალს აკუთვნებდა. გაზეთმა არაერთი სტატია დაბეჭდა „მოკისკისე, ბანქო-ბაქარა-ფრაპის“ მოთამაშე „კარტველი კალების“ წინააღმდეგ, რომელთაც ქართული არ იცოდნენ და უფრო მეტიც, სირცხვილად მიაჩნდათ დედაენაზე საუბარი. იგი მოურიდებლად აკრიტიკებდა ქართველ ქალთა გაუნათლებლობას, საზოგადოებრივ საქმეთა მიმართ ზერელე დამოკიდებულებას, მიუთითებდა, რომ „რუსეთიდან ნასესხებმა კულტურამ დაამახინჯა ჩვენი ეროვნული თვისებები, უპ. ყოვლისა კი ენა, რომელიც საუკეთესო გამოხატულება იყო ერის გრძნობებისა“ (კოლხიდა, №11, 1911). ს. ხუნდაძეს გვერდით დაუდგნენ იპ. ვართაგავა, ნ. თავდგირიძე, აკ. წერეთელი და სხვები, რომლებიც თავიანთ სტატიებში მახვილი იუმორით, ხშირად კი მწვავე გამონათქვამებით ცდილობდნენ გამოეფხიზლებინათ ქართველი ქალები, გამოეყვანათ ისინი საზოგადოებრივ ასპარეზზე, რათა სათავეში ჩადგომოდნენ შვილების ეროვნულ ნიადაგზე აღზრდის საქმეს. ქალების ნაწილმა კრიტიკას საფუძვლიანად უპასუხა და ამ საქმეში თანაბარი პასუხისმგებლობა დააკისრა მამაკაცებსაც, რადგან სწორედ მათ, ევროპასა და რუსეთში განათლებამიღებულებმა, შემოიტანეს საქართველოში



ის ჩვევები და ფსევდოკულტურა, რამაც შეარყია ქვეყნის ეროვნული თვითშეგნება და აბუჩად აიგდო ენა. გაზ. „კოლხიდას“ რედაქციამ სრულად გაიზიარა ქალთა ეს შეხედულება და მიუთითა, რომ ქართული ენის დასაცავად უნდა დარაზმულიყო მთელი საზოგადოება და მისი არცოდნა ეროვნული თავმოყვარეობისა და ეროვნული თვითშეგნების არქონას დაუკავშირა.

ქუთაისის პრესის ამგვარმა აქტიურმა პოზიციამ შედეგი გამოიღო. მან დააფიქრა ინტელიგენცია დ ხელი შეუწყო ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, რომლებიც ზრუნავდნენ განათლების ეროვნულ ნიადაგზე მოწყობისა და ქართული ენის გადარჩენისთვის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის პროპაგანდისთვის, ისტორიული სიძველეების დაცვისა და შენარჩუნებისთვის.

ქუთაისის პრესის კორესპონდენტებს უნდა ვუმაღლოდეთ ბევრი ძველი კულტურული ძეგლის გადარჩენას, მათი დაცვის აუცილებლობისათვის მოწოდებას და პოპულარიზაციას. თავიანთი სტატიებით ისინი აცნობდნენ ხალხს ერის წარსულ დიდებას, კულტურული ძეგლების ისტორიულ მნიშვნელობას, სთხოვდნენ შეეგროვებინათ და სათანადო ორგანოებისთვის გადაეცათ ისტორიულ-არქეოლოგიური მასალები, ძველი ხელნაწერები, სხვადასხვა არტეფაქტები და ა. შ.

ამ საქმეს ქუთაისში სათავეში ჩაუდგა 1911 წლის 4 დეკემბერს ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. დამფუძნებელ კრებაზე საზოგადოებამ მთავარ ამოცანად დაისახა დაეცვათ და შეეგროვებინათ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოპოვებული ადგილობრივი და საქვეყნო მნიშვნელობის მქონე სიძველეები, რადგან პრესაში არაერთი ცნობა იყო გამოქვეყნებული, თუ როგორ ცდილობდნენ საქართველოში ჩამოსული უცხოელები სხვადასხვა არტეფაქტების ქვეყნიდან გატანას (კოლხიდა, №114, 1911). საისტორიო საზოგადოების წევრებმა: ს. გორგაძემ, კ. კეკელიძემ, ი. აბულაძემ და სხვებმა შეკრიბეს დიდძალი მასალა, ხელნაწერები, არქეოლოგიური სიძველეები, ნუმიზმატიკის ნიმუშები, აღწერეს გელათის მონასტრის მდიდარი ბიბლიოთეკის ხელნაწერები. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს თავადაზნაურთა ოჯახებმაც, რომელთაც ძვირფასი ნივთები უსასყიდლოდ დაუთმეს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ახალი ეროვნული მუზეუმის შესაქმნელად. ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ქართველ ერს მართლაც ბევრი ძვირფასი განძი გადაურჩინა განადგურებასა და ხელყოფას (მიქაუტაძე 2019: 196-208). ქუთათურებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი ბაგრატის ტაძრის ნაშთის დაცვა იყო. საზოგადოების ინიციატივით შეიქმნა ტაძრის ნაშთის დაცვის კომიტეტი, რომელმაც მოუწოდა მოსახლეობას გაეღოთ შემოწირულობები ტაძრის გალავნის გასაკეთებლად, შიდა ეზოს მოსაწყობად, ჩუქურთმიანი ქვების ერთ ადგილზე შესაკრებად. ქუთაისის მუზეუმის ფონდში დაცულია საბუთი, რომლის მიხედვითაც სთხოვენ ქალაქის გამგეობას დაეხმარონ ტაძრის აღმოსავლეთი კედლის გამაგრებაში, რომ არ დაიქცეს (ქსიმ, ფ. 2173, საბ. 1174; ფ. 5286, საბ. 3). ტაძრის

დაცვის კომიტეტმა ეზო ჩაასწორა, გაიტანეს აქედან სასაფლაო, გააშენეს ბაღები, ტაძარს დაუყენეს მცველი, რომ ჩუქურთმიანი ქვები მოსახლეობას სახლში არ წაეღო. ამ ღონისძიებაში ჩართული იყო ქართული ეკლესიაც. ყოვლადუსამღვდელოეს გიორგის მოწოდებით დაიწყო შემოწირულობათა შეგროვება ტაძრის ირგვლივ გალავნის ასაშენებლად. მალე ტაძარი მართლაც შესანიშნავი გალავნით დამშვენდა.

ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დიდი როლი შეასრულა გეგუთის ციხე-დარბაზის ნაშთის გადარჩენაში. მან აღძრა შუამდგომლობა გუბერნატორთან, რომ ციხე-დარბაზის მახლობლად მდგარი რუსული ჯარის ნაწილი გადაეყვანათ სავარჯიშოდ სხვა ადგილას, რადგან მათი საარტილერიო ვარჯიში ძეგლს აზიანებდა. გუბერნატორმა თხოვნა დააკმაყოფილა (მჭედლიძე 1995: 498; სამშობლო, №399, 1916).

ქუთაისის პრესაში გამოქვეყნებული სტატიების მიზანი, რომელიც ეხებოდა ჩვენი ერის კულტურის ისტორიას, იყო ხალხს გაეგო და აღექვა ქართული კულტურის მნიშვნელობა, ჩაენერგა მათში სიამაყის გრძნობა იმ მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა, რომლის ცოდნა თითოეული ქართველისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა და ქართული იდენტობის შენარჩუნების ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება იყო.

ხალხში ქვეყნის ისტორიისა და კულტურის სიყვარულის გაღვივებისათვის ქუთათური საზოგადო მოღვაწეები ცდილობდნენ სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებას. ერთ-ერთი მათგანი იყო საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ 1917 წლის 26 და 27 იანვარს დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღის აღნიშვნა. ამ ღონისძიებით მათ სურდათ ეჩვენებინათ მოსახლეობისთვის ქართული კულტურის სიდიადე, მისი თვითმყოფადობა და განსაკუთრებულობა. ტრიფონ ჯაფარიძემ მსმენელების წინაშე გამოსვლისას აღნიშნა: „ჩვენ გვინდა საზოგადოება თანდათან ისტორიულ სარკეში ჩავახედოთ და თუ ვინმემ თავი ვერ იცნო, სარკეს ნუ დააბრალებს. გახშირებული დაკვირვებით მსგავსება გამოაშკარავდება და ჩვენს წინანდელ სახეს ვიცნობთ“ (სამშობლო, №540, 1917).

ეროვნული იდენტობის შენარჩუნების ერთ-ერთ ღერძს ქართული მუსიკაც წარმოადგენდა. ზოგი რუსი კომპოზიტორი ქართულ ხალხურ მუსიკას „ყვავ-ყორნების ჩხავილს“ ადარებდა. უფრო მეტიც, ეკლესიებიდან იდევნებოდა ქართული მრავალხმიანი გალობა და მისი ჩანაცვლება ხდებოდა რუსული გალობით. ქართული მუსიკის პროპაგანდას ქუთაისში და მთელს საქართველოში დიდი ამაგი დასდო ქართველმა კომპოზიტორმა და შემსრულებელმა კოტე ფოცხვერაშვილმა. მარტო 1916 წლის ზაფხულში მან ჩაატარა 10 ლექცია იმერეთის, გურია-სამეგრელოს ქალაქებსა და დაბებში, ჩრდილო კავკასიის აგარაკებზე (სამშობლო, №344, 1916), ხოლო 27-28 ოქტომბერს ქუთაისის თეატრში გამართა ლექცია-კონცერტები: აქედან მრავალი ახალი სიმღერა, ჰიმნი, საგალობელი, შესრულდა სიმფონიური პოემა „სიმღერა ამირანზე“. თვით კოტე ფოცხვერაშვილმა შეასრულა „ჩანგურული“, „მესტირული“, „დიღინი“, გალობით წაიკითხა ქართული

სახარება. კონცერტზე მან მკაცრად გააკრიტიკა ქართველი საზოგადოება „გადაგვარებული სმენისათვის“, მოუწოდა მათ ჩაენერგათ შვილებისთვის ქართული ჰარმონიული მუსიკის სიყვარული, სკოლებში სასწავლო საგნად შემოეღოთ ქართული მუსიკის კურსი“ (სამშობლო, №471, 1916).

გაზეთი „Закавказская речь“ წერდა, რომ „ეროვნული შეგნების ქმნადობის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენს კ. ფოცხვერაშვილის სიტყვა-მუსიკობანი. მან აუცილებლად დაგვიმტკიცა, რომ სულიერი სიმდიდრის ის ნაწილი, რომელსაც მუსიკა წარმოადგენს, ჩვენთა ძველთაგან ნაანდერძევი, თანამედროვე განვითარებული მუსიკის იდეალი ყოფილა. ...ჩვენი საზოგადოება მოვალეა ცნობილ ქართველ კომპოზიტორს ქართული მუსიკის აღდგენისა და განახლების საქმეში ხელი მოუმართოს და შეეწიოს“. (Закавказская речь, №71, 1916; სამშობლო, №520, 1917).

ქართველი საზოგადო მოღვაწეების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ეს დიდი ძალისხმევა ხელს უწყობდა ქართველი ეთნოსის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებასა და მათში სიამაყის გაღვივებას მდიდარი ქართული კულტურის მიმართ, მის პოპულარიზაციას. ქართველ საზოგადო მოღვაწეებს და პრესას უდიდესი წვლილი მიუძღვით ქართველთა ეთნიკური თვითმყოფადობის შენაჩუნებაში, რადგან მათი დამსახურებით საზოგადოების დიდმა ნაწილმა შეძლო გაეთავისებინა საკუთარი კულტურული „მე იმ კულტურული მახასიათებლების მიხედვით, რომელიც ისტორიულად დამახასიათებელი იყო ჩვენი საზოგადოებისთვის და სწორედ ამ პოზიციებიდან მოეხდინა თვითიდენტიფიცირება.

#### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

კოლხიდა 1911: გაზეთი „კოლხიდა“, №11, №114, 1911.

მიქაუტაძე 2019: მიქაუტაძე რ., ნარკვევები ქართული კულტურის ისტორიიდან. ქუთაისი, 2019.

მჭედლიძე 1995: მჭედლიძე გ., ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები. თბილისი, 1995.

სამშობლო 1916: გაზეთი „სამშობლო“, №344, №399, №471, 1916.

სამშობლო 1917: გაზეთი „სამშობლო“, №540, №520, 1917.

ქსიმ: ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ფონდი 2173, საბ. 1174, ფონდი 5286, საბ. 3.

Закавказская речь 1916: გაზეთი „Закавказская речь“, №71, 1916.



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8058>

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია  
კულტურული მემკვიდრეობის აღდგენისა და  
შენარჩუნებისათვის

Artificial Intelligence Technology for Restoration and  
Preservation of Cultural Heritage

თინათინ მშვიდობაძე

გორის სასწავლო უნივერსიტეტი  
საქართველო, გორი

Tinatini Mshvidobadze

Gori State University  
Georgia, Gori

აბსტრაქტი

ნაშრომში აღწერილია იმერეთის რეგიონში მდებარე სხვადასხვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები; წარმოდგენილია განხორციელებული პროექტები ხელოვნური ინტელექტისა და რობოტოტექნოლოგიის გამოყენებით, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე ასახავს პროგრესს კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად. აღწერილ პროექტებში წარმოდგენილი ტექნოლოგიების გამოყენება, ასევე, მნიშვნელოვანი იქნება იმერეთის რეგიონში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეკონსტრუქციის ხელშესაწყობად. რამდენადაც ტექნოლოგია აგრძელებს განვითარებას და დარგის ექსპერტები უფრო მეტად კომპეტენტური არიან მის გამოყენებაში. არსებობს პოზიტიური პერსპექტივა, რომ ტექნოლოგიების მუდმივი გადრეწვა გამოიწვევს შემდგომ მიღწევებს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და დიגיტალიზაციაში. ციფრული კულტურული მემკვიდრეობის არსებობა კი ხელს შეუწყობს ისტორიის აღრიცხვას, ასევე, კულტურული სიცოცხლისუნარიანობის გამდიდრებას.

საკვანძო სიტყვები: კულტურული ძეგლები იმერეთში, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია, მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დიგიტალიზაცია.

**ABSTRACT**

This work explores various cultural heritage monuments situated in the Imereti region. It presents several projects that have utilized artificial intelligence and robotics technology, showcasing advancements in cultural heritage preservation.

The application of these technologies in the projects described will be crucial for facilitating the restoration of cultural heritage monuments in the Imereti region.

As technology continues to evolve and experts in the field become more proficient in its application, there is optimism that further advancements in the preservation and digitization of cultural heritage will ensue. The existence of digital cultural heritage will contribute significantly to recording history and enriching cultural vitality.

**Keywords:** Cultural monuments in Imereti, artificial intelligence technology, digitalization of material cultural heritage.

იმერეთი ერთ-ერთი უმთავრესი ისტორიული, ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო რეგიონია საქართველოში და მას გეოგრაფიულადაც ცენტრალური ადგილი უკავია.

იმერეთში 400-ზე მეტი ისტორიული ძეგლია, რომლებიც გვიანი ანტიკური ხანიდან მოყოლებული მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ნათელ წარმოდგენას ქმნის ქართული თვითმყოფადი კულტურისა და ისტორიის შესახებ. განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს.

მოწამეთას მონასტერი აგებულია XI საუკუნეში, თუმცა დღევანდელი სახე XIX საუკუნეში მიიღო. მონასტრის დაარსების ისტორია არგვეთის მთავრების – დავით და კონსტანტინე მხეიძეების სახელს უკავშირდება. 1844-1865 წლებში იმერეთის ეპისკოპოსის – დავით წერეთლის ხელმძღვანელობით ლევან, მოსე და ფილიპე ბერიკაშვილებმა მოწამეთას ეკლესია შეაკეთეს და გააფართოვეს. წყალწითელას ხეობა, სადაც მოწამეთას მონასტერი მდებარეობს, ისტორიულად ერთ-ერთი დაწინაურებული მხარე იყო და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ხეობის ძეგლთა შორის კი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მოწამეთას ხუროთმოძღვრულ კომპლექსს (ვაჭრიძე 1985: 11).

გელათის მონასტერი დავით აღმაშენებელმა დააარსა 1106 წელს. მის ანდერძში ვკითხულობთ: „დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და სამკალე შვილთა ჩემთა უსრულად და წამყვა მისთვისაც ტკივილი სამარადისო, აწ შვლმან ჩემმან დიმიტრი სრულ ჰყოს ყოვლითურთ“ (ბახტაძე 2012: 77). გელათის მონასტერი უდიდესი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ: არსენ იყალთოელი, არსენ ბულმაისიმისძე, პეტრე გელათელი, ევდემონ ჩხეტიძე, ექვთიმე საყვარელიძე, გედეონ ლორთქიფანიძე და სხვა. გელათის მონასტერი

მდიდარ ხელნაწერთა ფონდსა და ჭედური ხელოვნების ნიმუშებს ფლობდა, რომლებიც ამჟამად მუზეუმებშია დაცული. დღეს მისი ფრესკების ნაწილი აღდგენილი, მცირე ნაწილი კი კვლავ დაზიანებულია.



სურ. 1. გელათის დაზიანებული ფრესკები

ზაგრატის ტაძარი აგებულია 1003 წელს, ზაგრატ III-ის მეფობის ხანაში. იგი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლია როგორც არქიტექტურული გადაწყვეტით, ასევე, სიმბოლური მნიშვნელობით. ის ჩვენი ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერების სიმბოლოა. აღსანიშნავია, რომ ნაგებობის ჩრდილოეთ სარკმელთან განთავსებულ წარწერაში, რომელიც საქართველოში არაბული ციფრების გამოყენების უძველესი ნიმუშია, მოცემულია ეკლესიის აგების ზუსტი თარიღი: „ოდეს განმტკიცნა იატაკი, ქორონიკონი იყო 223“. XVII საუკუნის დასასრულამდე ძეგლი უვნებლად იყო შემონახული (გაბისონია 2016: 23-30).

შორაპნის ციხე წყაროებში პირველად ძვ. წ. I – ახ. წ. I საუკუნეებში იხსენიება სტრაბონთან. შორაპანი ციხე-ქალაქი ყოფილა. ის იყო დასავლეთ და აღმოსავლეთ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი დამაკავშირებელი რგოლი. ციხის ნაშთებში აშკარად შეიმჩნევა ორი ქრონოლოგიური ფენა – ადრე და გვიანი ფეოდალური ხანა. სიმაგრე მოიცავს სხვადასხვა პერიოდის ნაგებობებს. ციხეს ორი კარი ჰქონია – ჩრდილო-აღმოსავლეთითა და დასავლეთით, სადაც ამჟამად ძველი თაღოვანი ციხის ბურჯია შემორჩენილი. წარსულში ციხე-ქალაქის მთელი ტერიტორია გალავნით ყოფილა შემოზღუდული, რასაც აქ გამოვლენილი ალიზის კედლის ფრაგმენტები და აგურის ნატეხები მოწმობს (ბერაძე 1987: 19).

უბისის მონასტერი – ისტორიული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა ხარაგაულში – აგებულია IX საუკუნეში გრიგოლ ხანძთელის მიერ აფხაზთა მეფის დემეტრეს დახმარებითა და მოწაფეების – ქრისტეფორეს და თეოდორეს თანადგომით. გიორგი მერჩულე აღწერს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“: „მაშინ მამამან გრიგოლ სარწმუნოებისაებრ მეფისა აღაშენა



მონასტერი და უწოდა სახელი მისი უბე და ილარიონ ვინმე იერუსალიმით მოსრული, სარწმუნო მოხუცი დაადგინა მამასახლისად“ (ვეფხვამე 2010: 3-11).

ტაძარში წარმოდგენილია ყველა საუფლო დღესასწაულის ბრწყინვალე კომპოზიცია: ხარება, ბზობა, ჯვარცმა, აღდგომა, ნათლისღება და სხვა. ფრესკებს შორის გამოირჩევა „უბისის წმინდა გიორგის ფრესკა“ და „საიდუმლო სერობა“.

ხელოვნური ინტელექტი და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიები ეხმარება მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის აღდგენასა და ციფრულიზაციას, ვინაიდან ისინი მუშაობენ როგორც არქეოლოგებისა და ისტორიკოსების თანაშემწეები სამუშაო პროცესში.


განვიხილავთ პროექტებს ხელოვნური ინტელექტისა და რობოტო-ტექნოლოგიის გამოყენებით, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე ასახავს პროგრესს კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად. 2022 წლიდან იტალიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (IIT) მეცნიერთა ჯგუფი ახორციელებს ექსპერიმენტულ პროექტს (RePAIR) პომპეის შრომატევადი რეკონსტრუქციის პროცესის დასახმარებლად. პროექტში ჩართული ტექნოლოგიებია: 3-D სკანირება, რობოტოტექნოლოგია, მანქანური სწავლების ალგორითმები და ხელოვნური ინტელექტი.

ძველი რომაული ქალაქი პომპეი, რომელიც განადგურდა და დამარხეს 79 წელს ვეზუვიუსის ამოფრქვევის შედეგად, ახლა მხოლოდ ფრესკების ფრაგმენტებია შემორჩენილი (Brando 2021: 79).

პროექტის შესრულებისას არტეფაქტის ფრაგმენტები დასკანირებულია მაღალტექნოლოგიური კომპიუტერების გამოყენებით, რომლებიც იყენებენ მანქანური სწავლების ალგორითმებს ორიგინალური კონფიგურაციის პროგნოზირებისთვის.

შესწავლილ ინფორმაციაზე დაყრდნობით კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა ადარებს ყველა ფრაგმენტს წყვილებში და აფასებს მათი მსგავსების ხარისხს ფორმების, ვარგისიანობისა და ილუსტრაციების შეხამების საფუძველზე, იმის გასარკვევად, თუ როგორ გამოიყურებოდა ორიგინალური სრული არტეფაქტი. მეორე ეტაპზე ხდება რობოტების სამუშაო ადგილზე ჩართვა (Pinkowski 2021: 103-107). რობოტს უნდა შეეძლოს ამ ნაწილების დამოუკიდებლად სკანირება და ფრაგმენტების სრული სახით გადატანა, ხელოვნური ინტელექტის მიერ წარმოქმნილი დაწყვილებული შედეგების საფუძველზე. რობოტი შექმნილია გენუაში, IIT-ის Humanoid & Human Centered Mechatronics Lab-ში<sup>1</sup>.

<sup>1</sup> The RePAIR Project Begins – Robotics and Digitisation at the Service of Archaeology.” Pompeii. Accessed February 25, 2022. <http://pompeiiites.org/en/comunicati/the-repair-project-begins-robotics-and-digitisation-at-the-service-of-archaeology/>.



სურ. 2. რობოტის მუშაობის პროცესის ილუსტრაცია. წყარო: Courtesy IIT.

პროექტის დასასრულს, დასრულებული ფრესკები გამოიფინება საზოგადოების წინაშე, რათა მნახველებმა განიცადონ უძველესი პომპეი, მკვლევარებმა კი შეძლონ შემდგომი კვლევების ჩატარება. ეს პირველი შემთხვევაა არქეოლოგიის სფეროში, როდესაც ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება ამხელა მასშტაბებზე.




სურ. 3. პომპეის კერამიკის არტეფაქტის ნაჭრები . წყარო: Courtesy IIT.

როგორც პროექტის კოორდინატორი, ვენეციის უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის პროფესორი მარჩელო პელილო აღნიშნავს: „თუ პროექტი წარმატებული იქნება, ტექნოლოგია შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა ფრაგმენტული კულტურული არტეფაქტების აღსადგენად, რომელთა რესტავრაცია რჩება „ადამიანის ხელმისაწვდომობის მიღმა“.

ხელოვნური ინტელექტის დახმარებით ტექნოლოგიების გამოყენების კიდევ ერთი შესანიშნავი მაგალითია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი სახელწოდებით Scan4Reco – კულტურული მემკვიდრეობის

შესანარჩუნებლად (Werkheiser 2022).

ეს პროექტი იყენებს სიღრმისეული სკანირების კამერებს არტეფაქტის მაღალი გარჩევადობის 3D ასლის შესაქმნელად, რათა გადაიტანოს იგი ციფრულ ფაილებში. შემდეგ სენსორის შეგროვებული მონაცემებით კვლევას ემატება მეტი ინფორმაცია ობიექტის ძირეული ფენების შესახებ, რომელთა დანახვა უშუალოდ ადამიანის თვალით შეუძლებელია.



სურ. 4. რობოტის სურათი, რომელიც აღმოაჩენს არტეფაქტის ღრმა დაზიანებას (წყარო: Scan4Reco).

„კონსერვაციის სფეროში გამოყენებული ძალიან სპეციალიზებული სენსორები ახორციელებენ სხვადასხვა ფენის არადესტრუქციულ დიაგნოსტიკურ ანალიზს, რაც ეკვივალენტურია უფრო დესტრუქციული ქიმიური ფენების“, – განმარტავს დოქტორი ანასტასიოს დროსოუ, პროექტის კოორდინატორის მოადგილე<sup>2</sup>.

სენსორის მონაცემები შერწყმულია პროგნოზირებადი მოდელირების ტექნოლოგიებთან ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, რომლის ალგორითმები ახდენენ არტეფაქტის გარეგნობის სიმულაციას. აქედან გამომდინარე, მას შეუძლია შესთავაზოს კონსერვატორებს შესაბამისი რესტავრაცია, რათა დაიცვან არტეფაქტები მათი მდგომარეობის გაუარესებამდე, ან მინიმუმამდე დაიყვანონ არსებული ზიანი.

ლაზერული სკანირება და ფოტოგრამეტრია არის დამატებითი ტექნოლოგიები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კულტურული მემკვიდრეობის დიგიტალიზაციის მზარდ პროგრესში. ამდენად, ციფრული კულტურული მემკვიდრეობის ქონა ხელს შეუწყობს ისტორიის აღრიცხვას, ციფრული ბიბლიოთეკების ჩამოყალიბებას, ასევე კულტურული სიცოცხლისუნარიანობის გამდიდრებას (Denbo 2016: 233-239).

მოგაოს გამოქვაბულები, რომელიც მდებარეობს განსუს პროვინციაში,

<sup>2</sup> Multimodal Scanning of Cultural Heritage Assets for their multilayered digitization and preventive conservation via spatiotemporal 4D Reconstruction and 3D Printing, Scan4Reco, Grant agreement ID: 665091.



ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთში, შეიცავს 2000-ზე მეტ სკულპტურას და 45000 კვადრატულ მეტრზე უნიკალურ და მყიფე ფერწერულ ფრესკებს, რომელთა ასაკი 600-დან 1600 წლამდეა. ამჟამად არქეოლოგები დგანან გამოწვევის წინაშე, შეინარჩუნონ ეს უძველესი ხელოვნების ნიმუშები არსებულ მდგომარეობაში.



სურ. 5. ბუდას ქანდაკება ტანგის პერიოდიდან მოგაოს გამოქვაბულებში  
(წყარო: Krister Blomberg/Wikimedia Commons).

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის უკეთ შესანარჩუნებლად მკვლევარებმა ჩინეთში გამოიყენეს ლაზერული სკანირება და მრავალი ბაზისური მბრუნავი ფოტოგრამეტრია ქანდაკებებისა და ფრესკების ციფრულ ფორმატში გადასაყვანად მომავალი კვლევებისა და შესაძლო ვირტუალური გამოფენებისათვის.

განხილულ პროექტებში მონაწილე მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მათი განხორციელება წარმატებას მიაღწევს და სარგებელს მოუტანს მსოფლიოს სხვა კულტურულ ადგილებს, რომლებიც საჭიროებენ მსგავს ყურადღებას. ხოლო გამოყენებული ტექნოლოგიები, ასევე, შესაძლებელია გამოიყენონ საქართველოსში, კერძოდ იმერეთის რეგიონში, არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეკონსტრუქციის ხელშესაწყობად.

დასკვნა: ხელოვნური ინტელექტი და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიები შეიძლება დაეხმაროს მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის აღდგენასა და ციფრულიზაციას, ვინაიდან ისინი მუშაობენ როგორც არქეოლოგებისა და ისტორიკოსების თანაშემწეები სამუშაოს შესანარჩუნებლად, გარდა ამისა, ისინი მუშაობენ როგორც ინსტრუმენტები ადამიანებისათვის, რათა გამოიყენონ და გააუმჯობესონ თავიანთი სამუშაო პროცესი უფრო მაღალ დონეზე.

სტატიაში წარმოდგენილია პროექტები და მაგალითები, რომლებიც ასახავს დიდ პროგრესს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში. რამდენადაც ეს ტექნოლოგიები აგრძელებს განვითარებას და დარგის

ექსპერტები ხდებიან უფრო მცოდნე და კომპეტენტური ამ ტექნოლოგიების გამოყენებაში. არსებობს პოზიტიური პერსპექტივა, რომ ტექნოლოგიების მუდმივი გაღრმავება გამოიწვევს შემდგომ მიღწევებს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და დიגיტალიზაციაში ადამიანის გამოგონებებით და ადამიანის მეთვალყურეობის ქვეშ.

#### გამოყენებული ლიტერატურა

- ბახტაძე 2012: ბახტაძე მ., რამდენიმე მოსაზრება 1125 წლის ანდერძის შესახებ. თბილისი, 2012.
- ბერაძე 1987: ბერაძე თ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი XI. თბილისი, 1987.
- გაბისონია 2016: გაბისონია პ., ქუთაისის საეპისკოპოსო ისტორია. თბილისი, 2016.
- ვაჭრიძე 1985: ვაჭრიძე პ., მოწამეთა. გაზეთი „ქუთაისი“, №8, 1985.
- ვეფხვაძე 2010: ვეფხვაძე ი., უბისა. ხარაგაული. ქუთაისი. 2010.
- Brando 2021: Brando, M., AI and Robotics are Reconstructing A 2,000-year-old Fresco in Pompeii. Fast Company. pp. 79, 2021.  
<https://www.fastcompany.com/90708962/how-ai-and-robotics-are-reconstructing-a-2000-year-old-fresco-in-pompeii> (20.12.2023).
- Denbo 2016: Denbo S., Digitalizing Cultural Heritage: Historic Preservation and The Mogao Caves in China. Perspectives on History. pp. 233-239, 2016.  
<https://www.historians.org/publications-and-directories/perspectives-on-history/december-2016/digitizing-cultural-heritage-historic-preservation-and-the-mogao-caves-in-china> (20.12.2023).
- Pinkowski 2021: Pinkowski J., Pompeii's Ruins to Be Reconstructed by Robot. pp. 103-107, 2021.  
<https://www.scientificamerican.com/article/pompeii-ruins-to-be-reconstructed-by-robot/> (20.12.2023).
- Werkheiser 2022: Werkheiser G., Artificial Intelligence: Cultural Heritage Required. Cultural Heritage Partners. 2022.  
<http://www.culturalheritagepartners.com/artificial-intelligence-cultural-heritage-required/> (20.12.2023).

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8059>

**ზემოიმერულ კილოკავში არსებული  
გასტრონომიული სალექსიკონო მასალის  
ზოგადი მიმოხილვა**

**A general review of the gastronomic  
dictionary material in Upper Imeretian sub-dialect**

**მარინა მწყერაშვილი**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Marina Mtskerashvili**  
Sukhumi State University  
Georgia, Tbilisi

**აბსტრაქტი**

ენის ლექსიკური შემადგენლობა ემყარება ლექსიკურ ფონდს, რომლისგანაც გრამატიკული წყობის დახმარებით ხდება მთლიანი ენის სისტემის ჩამოყალიბება. აღსანიშნავია, რომ ენა ცვალებადია და მისი ლექსიკური ფონდი დიალექტური სიტყვების ნაზავს წარმოადგენს. ამრიგად, დიალექტური ლექსიკა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა ენისათვის. სწორედ მასშია დაცული ენის უამრავი საინტერესო ფორმა, რაც კვლევების მრავალმხრივი გაშლის საშუალებას იძლევა.

ზემოიმერულ დიალექტში არსებული გასტრონომიული სალექსიკონო მასალის ზოგადი მიმოხილვა მნიშვნელოვანია რეგიონის კულინარიული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად, ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების გასაგებად და რეგიონის საკვებთან ურთიერთობის შესასწავლად.

ზემოიმერული კილოკავის გასტრონომიული ლექსიკის შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, როგორ განვითარდა ეს კონკრეტული კილოკავი რეგიონისთვის უნიკალური კულინარიული ტრადიციებისა და კულტურული პრაქტიკის ზეგავლენით.

რეგიონის სპეციფიკური კულინარიული ლექსიკის შესწავლითა და დოკუმენტირებით შესაძლებელი ხდება ზემო იმერეთის უნიკალური ტრადიციებისა და ენობრივი მემკვიდრეობის დაცვა. უფრო მეტიც, აღნიშნული, ასევე, ხაზს უსვამს მრავალფეროვანი კულტურული პრაქტიკის შენარჩუნებისა და აღნიშვნის მნიშვნელობას.

საკვანძო სიტყვები: იმერული დიალექტი, ზემოიმერული მეტყველება, გასტრონომიული ლექსიკა.



**ABSTRACT**

The foundation of any language lies in its lexical and grammatical structures. Lexical composition, derived from the lexical fund, forms the entire language system through grammatical structure. Languages evolve, incorporating dialectal words into their vocabulary. Dialectal vocabulary is crucial as it preserves diverse linguistic forms, facilitating comprehensive research. Therefore, a comprehensive review of gastronomic lexical material in the Upper Imerian dialect is essential. It aids in conserving regional culinary heritage, understanding local customs and traditions, and exploring the region's food-related interactions.

Studying the gastronomic lexicon of Upper Imeretian sub-dialect illuminates how this specific sub-dialect evolved under culinary traditions and unique cultural practices of the region. This research is imperative for safeguarding cultural traditions, linguistic dynamics, culinary identity, and sociolinguistic significance. Documenting the region's culinary vocabulary helps protect Upper Imerian's distinctive traditions and linguistic legacy, underscoring the significance of preserving and celebrating diverse cultural practices.

**Keywords:** Imeretian dialect, Upper Imeretian speech, gastronomic vocabulary.

ყოველი ენის საფუძველს ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა შეადგენს. ენის ლექსიკური შემადგენლობა ემყარება ლექსიკურ ფონდს, რომლისგანაც, შეიძლება ითქვას, რომ გრამატიკული წყობის დახმარებით ხდება მთლიანი ენის სისტემის ჩამოყალიბება. აღსანიშნავია, რომ ენა ცვალებადია და მისი ლექსიკური ფონდი დიალექტური სიტყვების ნაზავს წარმოადგენს. ამრიგად, დიალექტური ლექსიკა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა ენისათვის. სწორედ რომ მასშია დაცული ენის უამრავი საინტერესო ფორმა, რაც კვლევების მრავალმხრივი გაშლის საშუალებას იძლევა. ამრიგად, ზემოიმერულ კილოკავში არსებული გასტრონომიული სალექსიკონო მასალის ზოგადი მიმოხილვა მნიშვნელოვანია რეგიონის კულინარიული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად, ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების გასაგებად და რეგიონის საკვებთან ურთიერთობის შესასწავლად.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანი მასალაა ლეილა უკლებას „იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა“, რომელიც დეტალურად გადმოგვცემს ამ რეგიონისთვის დამახასიათებელ ტერმინოლოგიასა და მის მნიშვნელობას. დიალექტის სალექსიკონო მასალის შესწავლისას ნათელი გახდა ის, რომ იმერული დიალექტისთვის ძირითადად დამახასიათებელია საკვებთან დაკავშირებული ზმნური ფორმები. მაგალითად: **აკალიფებს** „ალაგებას“ ნიშნავს; ზემო იმერეთში მას ხშირად შემდეგ კონტექსტში გამოიყენებენ: **აკალიფე** ყველაფერი, სტოლზე არაფელი არ დატოვო“ –

რაც მაგიდაზე გაწყობილი სუფრის ისე ალაგებას მოისაზრებ, რომ მასზე ზედმეტი არაფერი იქნეს დატოვებული. ასევე, ზემოთხსენებულში ჭურჭლის პირამდე გავსების გამომხატველი ორი სიტყვა გვხვდება: **ააპიპინებს** და **ააციცინებს**. აღნიშნული სიტყვები ხშირად გამოიყენება: „ვენაცვალე მარუსიას, **ააპიპინებს** სტაქანს ფუცქუნა მაჭრით და ისთე დამიდგამს“; „ჩაის რო დაასხამს, სტაქანს პირამდე **ააციცინებს**“. კარტოფილის შეწვასთან დაკავშირებით ზემო იმერლები სიტყვა **ამოდაგავს** გამოიყენებენ, იმ შემთხვევაში, თუ ვინმეს კარტოფილი ზედმეტად შეეწვება, ზემო იმერეთში მას შემდეგნაირად მიმართავენ: „კარტოფილი რაფრად ჩაგიხრაკია და **ამოდაგავა?**“ (უკლება 2010).

საინტერესოა იმერული დიალექტისთვის დამახასიათებელი სიტყვა **ამოუკიდებს**. იგი აღნიშნავს მოქმედებას, როდესაც პიროვნება გამზადებულ ფაფას ან ფელამუმს ცალკე თეფშზე გახსნილ საფანელს შეამატებს. იმ შემთხვევაში, თუ ზემო იმერეთში ლუკმას ბარაქიანად ამოუწებ საწებელში, ადგილობრივი იტყვის: „ლუკმას ისთე **ამოუტლიაღვებს** ღომს წვენში, ორ ლუკმაზე ჩაყლაპავსო“.

ხმაურით ჭამის დროს სიტყვა **ამწლაკუნებს** გამოიყენება; მაგალითად: „პირს ნუ **ამწლაკუნებ**, ისთე ჭამე“. **ამძაღდება** „გაფუჭების“ შესატყვისად გამოიყენება: „გავახმოთ ნიგოზი მზეზე, თვარა ნედლი თუ იქნა, **ამძაღდება**“.

აქვე წარმოვადგენთ ზემოთხსენებულ კილოკავში გავრცელებულ გასტრონომიული ლექსიკას შესაბამისი სემანტიკით:

იმერული დიალექტი	ქართული მნიშვნელობა	კონტექსტში გამოყენება
აუჩიხჩიხთება	მოშივდება	გული ამიჩიხჩიხთა, მომეცით პატარა პურის ნატეხი
ბრეწოული	ბროწეული	ჩვენ სახლში ტკბილი ბრეწოული გვაქ
ბუდანდარა ქათამი	სხვებისგან გამორჩეული, მსუქანი ქათამი	ბუდანდარა ქათამი ვეღარ დევინახე, ნეტაი სად წევიდა
ბურდანა	სქელი კვამლი	დახურე ფერის კარი, თვარა გამოვარდა ბურდანა
გაადიდგინებს	კარგი კვებით გაასუქებს	რა უჭირთ მაგენს, გაადიდგინებენ ღორებს და ზამთარში დაკლავენ
გააზიზინებს	ბევრს აჭმევს	ძროხებს გაზიზინებულს მიდენიან ტყეში, იქანა რაღა უნდა ჭამონ

გაათანთალებს	ისე გაასუქებს, სულ თანთალს დააწყებინებს	რას აჭუმს ნეტაი ამდენს ამ ლორებს, რო ყოველ ზამთარში გაათანთალებს და ისე კლავს
გააკვრიხინებს	გააფიცებს	დილით დედა გააკვრი- ხინებდა წინა დღის ჭადს და გემრიელად მივირთმევდით გაკრუხუნებულ ჭადს და ყველს
გადაბრუნებული არაყი	ორნახადი არაყი	
გამოტყემლილი	მოხარშული ტყემალივით უფერული	
გამოფურფუტდება	გახდება, გამსუბუქდება	კარგათ უნდა აჭამო ინდოურს, თვარა თლათ გამოფურფუტდება და დასაკლავათ არ ივარგებს
გამოღლუნწა	ხარბად დალია	მიიღგა პირზე და თლათ გამოღლუნწა ერთი დოქი ღვინო
გატიტინებული	სითხით ძალიან ავსებული	ჭიქას ტუჩის მისადები უნდა ქონდეს, ძაან არ უნდა გაატიტინო
გაფუცქული კვერცხი	ნაჭუჭგაცლილი კვერცხი	
გაშმითავს	ხელით გახლექს	დანით კი არ გაჭრის პამიდორს, გაშმითავს და ისტე წამს ვაშლივით
გემბრიელი	გემრიელი	
გულ-ბოყვი	გულ-მკერდი	ხველებას ძაან უხთება თხის ქონი. უნდა გადაადნო თხის ქონი, წოუსვა ტილოზე და თხლათ შემოაფინო გულ- ბოყვზე
გუნებიერად	თავისი გემოვნებით	
გუნქალა	ხორცის მოზრდილი ნაჭერი	კაი გუნქალა ხორცი მივეცი, მარა მაინც არაა ყმაყოფილი



გუნჯალა	ხორცის მოზრდილი ნაჭერი	სუფრაზე კი არ ეწყობ, ეყარა გუნჯალა ხორცები
დააკვარკვალეს	ცომს წვრილ-წვრილ გუნდება დაამრგვალეს	
დაატკიცინებს	დააცხობს	რო მევიდენ სტუმრები, ვატუამ წუთში დაატკიცინა ჭადები
დაჭრილა	ერთგვარი შეჭამანდი	დაჭრი ყოველნაირ წვანილს, ჩაყრი ქოთანში, მოადუღეფ, ჭადის ფქვილს გაქნი, უზამ ხარჩოსავით, მოადუღეფ და გაკეთდება სუპი დაჭრილა, ჩაყრი ჭადს და ჭამ
დოუტვლიადვებს	წვნიანში ამოუწებს ლუკმას	კარგათ დოუტვლიადვებს წვენში, მაგი არ ეშლება
დოფხუჭი	ნამცხვარი, რომელიც სოიოს ფქვილისგან კეთდება	
დოქუნა	პატარა დოქი	გეიქეცი და მეიტანე დოქუნათი წყალი
თათბურა	ღორის შინაგანი ნაწილი (ბადექონი)	
თახთახა	მხალი, მინდვრის მხალი	თახთახა გააკეთე, ძალო?
იტაფება (ამბობენ მხოლოდ კვერცხთან დაკავშირებით)	ტაფაზე იწვება	არ წახვიდე, შენ შამოგარე, კვერცხები იტაფება და ძალო იქნება ყორფელი
კანაფხალი	თეთრი მხალი	ზამთარში კაია კანაფხალი, მოვხარშოთ თავის მურკებიანად, კანაფხსაც ვეძახით
კაჭალი	წენგოშემოცლილი ნიგვზის კაჭალი	
კეჟერა ფხალი	კანაფა ფხალი	
კვანჩხი	მუჭი, პეშვი	

კვანჭი	ღვინის არასასიამოვნო გემო	
კვიჭიჭა	იტყვიან პატარა ხილზე, სიმინდზე, ტაროზე	სიმინდმა სულ კვიჭი ტრუები გაიკეთა
კიტაია ქათამი	ყელტიტველა ქათამი	კიტაია ქათამი ღობის ძირში დავკალი
ლახანა	თეთრი მხალი	სანამ კბილები მქონდა, ძან მიყვარდა მჟავეთ ჩადებული ლახანა
მობიძგვა	რაიმეს თავის მომაგრება	რძე მალე ადულდება, თავი მეიბიძგა
მოდგინავს	გაპუტულ, გასუფთავებულ ფრინველს მდულარე წყალში ამოავლებს, რომ ხორცი გამაგრდეს	ფრინველი მდულარეში კარქათ თუ არ მოდგინე, ხორცი მომჩვარული ექნება და არ ივარგებს
მოკანწლული	ოდნავ მოხარშული	ერთი გაშინჯე. ხორცი ქვა მოკანწლული გონია
მოკბინარი	ოდნავ ცხელი	
მოჟეპილი	ნაადრევად ძირს ჩამოყრილი ხილი	
მოსურგალდება	მოისრისება	
მოტყეპილა	ტყემლით გაკეთებული მინდვრის მხალი	
ნაცერა	ფქვილის გაცრის შემდეგ დარჩენილი ნარჩენი	
ნეკალი	ეკალი	
ჟალტამი	უმწიფარი, მკვახე	ვაშლი ჯერ არ იჭმება, ჟალტამია
სადგამური	შინაური ცხოველი და ფრინველი	დედაჩემმა რო გამათხოვა, არ მომცა სადგამური
სამხევი	საჭმელი	
უჭუპნის	უკრავს თავს ცომს ან ტომარას	

უხარჩავა	ცუდად მოსახარში	რა უხარჩავა გამოდგა ეს ლობიო, სიდლოურია ნეტაი
ფუცქუნა	შუშხუნა მაჭარი	
ნიგვზის ღერჭო	ნიგვზის ნაჭუჭუი	
შეთათქავს	სწრაფად შეწვავს	ჭყინტი ტაროები უცფათ შეთათქეს
შეისტრაფება	ნახევრად შეიწვება, კარგად არ გამოცხვება	
შეტკაცული	კარგად შემწვარი	
შეხანხლული	მთლად რომ არაა მომზადებული	შეხანხლული მწვადები მეიტანეს სუფრასთან
შიშხატი	გემრიელი, ცოტა ცხარეც რომაა	
ჩაფეშვავს	მსხვილად დაჭრის	
ჩაწეწებული	ჩაწებებული	ისტეა ნიგოზი ჩაწეწებული ღერჭოში, ვერაფლით ვერ ამევიღე
ცუნცულა	ჩაკვეთილი (ამოყვანილი) ყველის მონაწყვეტი ნაწილი	ბებო, გვაჭამე რა ცუნცულა
ხანტრაბუცი	კვახის შემწვარი კაკალი	
ხარიკბილა	ერთგვარი მხალი	
ხახავს	ჭრის, შიგანს აცლის (ქათამს)	
ხაპჭო	ნაჭუჭი	

აღსანიშნავია, რომ ზემოიმერულში ხშირად შევხვდებით გადამეტებულ ან ნაჩქარევად ჭამასთან დაკავშირებულ სიტყვებს, რაც შეიძლება მათ კარგ მადიანობასაც მივაწეროთ. ასეთი სიტყვებია:

**გადარეულია ჭამათ** – მადიანად და ხშირ-ხშირად ჭამს: „სოფელში რო წევიყვან ბოვშეს, გადარეულია ჭამათ“;

**გამობესკილი** – კარგად ნაჭამი, გამამდლარი;

**გამოსისტიქინდება** – გამოძლება: „აღაპში მიდის რაჟდენი. იცოცხლე, კარქად გამოსისტიქინდება“;

**გეიგოდრება** – ბევრი საკვების მიღებით გაიბერება: „გუშინ ძროხას ბევრი ნარეცხი დავალევიე და გეიგოდრა მუცელზე“; გეიბესკება – ძალზედ გაძლება, საჭმლით გეიტენება – „ძან გაძლა და გეიბესკა ნესტორა ქორწილში, კუჭი გადევკეტა ზედმეტი ჭამისგან“;



**გეიზეზება** – ძალიან ბევრს შეჭამს: „გლახა ჩოულობა ქონდა ნიკიფორეს, რო წვევიდოდა წოულობაში, ისთე გეიზეზებოდა, სულთქმა უჭირდა“;

**გეისისვება** – ისე გაძღევა, სულთქმა უჭირს: „გაძღევა, გეისისვება კარგათ და მერე თელი დღე მიგდებულია ძილათ“;

**გეიყეყება** – გეიზეზება;

**გობენძლო** – ბევრი ჭამისგან გაბენძლილი: „რა გობენძლო კაცია, ჭამისაგან გადაგვარებული“;

**გოჩანთია** – ბევრის მჭამელი: „შეხედეთ ერთი გოშხეთელიანის ბიჭს, ნამდვილი გოჩანთიაა“;

**დაათორხალეზ** – შეჭამს, შესანსლავს: „დაათორხალა, რაც კვერცხები იყო და დაისვენოს აწი“;

**დადგვლიმავს** – ყველაფერს ჭამს, ანადგურებს, ხრავს;

**დალუკმავს** – ლუკმა-ლუკმა შეჭამს;

**დასუნგალობს** – ხარბად დაეძებს საჭმელს;

**დასუნუნატობს** – დასუნგალობს;

**იზუნება** – ღორულად ჭამს;

**იყეყება** – ძალიან ბევრს ჭამს, ზომას აჭარბებს: „რა ჭიამჭამელი ყავს ამ კუჭში, ისე იყეყება, სულ ვერ ითქვამს“;

**ქამფლავს** – ხარბად ჭამს;

**შეთანთქლავს** – უცბად, მაშინვე, საჩქაროდ შეჭამს: „პურები დააცხვეს, მარა იქვე შეთანთქლავს“;

**შესოსნის** – პირწმინდად შეჭამს, მთლიანად გაათავებს;

**შეყლაპავს** – უცბად შესანსლავს, შეჭამს: „ასთე რავა შეყლაპვს ყველაფერი, ერთი ბეწვა რო არ დატოვებს“;

**წვენი გემოს გადაყვა** – მალე შეიჭამა: „ქათმის წვენი გემოს გადაყვა“;

**ჭამია** – ის, ვინც ბევრს ჭამს: „ვაი, რა ვქნა მე საწყალმა ავი დედინაცვლის ხელში, დავჯდები და კუნტს მეძახის, ავდგები და – სარაყელას, ვჭამე რამე – ჭამიასა, არ ვჭამე და – წუნიასა“;

**ჭიამჭამელი** – გამუდმებული ჭამის სურვილი: „რა ჭიამჭამელი გაქ მაგ მუცელში, ყოველ წუთში რომ ჭამას თხოულობ“ (უკლება 2010).

ზემოიძერულ კილოკავზე გასტრონომიული ლექსიკის შესწავლა აქტუალური საკითხია მისი კულტურული ტრადიციების შენარჩუნების, ლინგვისტური დინამიკის, კულინარიული იდენტობისა და სოციოლინგვისტური მნიშვნელობის გამო. რეგიონის სპეციფიკური კულინარიული ლექსიკის შესწავლითა და დოკუმენტირებით, შესაძლებელი ხდება ზემო იძერული თემის უნიკალურ ტრადიციებსა და ენობრივ მემკვიდრეობის დაცვა. უფრო მეტიც, აღნიშნული, ასევე, ხაზს უსვამს მრავალფეროვანი კულტურული პრაქტიკის შენარჩუნებისა და აღნიშვნის მნიშვნელობას.

#### გამოყენებული ლიტერატურა

**უკლება 2010:** უკლება, ლ., იძერული დიალექტის სალექსიკონო მასალა. თბილისი, 2010.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8060>

**ვერბალური რეალობები  
შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში**

**Verbal realities  
in Shota Nishnianidze's poetry**

**ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Nora Nikoladze-Lomsianidze**  
Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

**აბსტრაქტი**

მეოცე საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შორის, რომელთაც დიდი ამაგი დასდეს მშობლიური ხალხური შემოქმედების ცოდნის, გამოყენებისა და პოპულარიზაციის საქმეს, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს შოთა ნიშნიანიძეს. მიუხედავად ამისა, მისი მხატვრული შემოქმედება ქართული ფოლკლორისტიკის თვალსაზრისით დღემდე შეუსწავლელია. ეს მცირე ნაშრომი პოეტის ფოლკლორული ასპექტით შესწავლის პირველი ცდაა.

შოთა ნიშნიანიძემ არაერთი ხალხური ნაწარმოები გააცოცხლა, შთაბერა მას თავისი პოეტური სული და ქართველ ხალხს მიაწოდა ღრმაიდებური და მაღალმხატვრული შესანიშნავი ორიგინალური ლექსები.

პოეტი თავის მხატვრულ შემოქმედებაში ურთავს ხალხურ ლექს-სიმღერებს, თქმულებას-გადმოცემებს ისტორიული და სახალხო გმირების შესახებ, ანდაზებს, სიტყვის მასალებს, შელოცვებს, წყევლას, კაფიას, ვეცნობით წეს-ჩვეულებებს, რწმენა-წარმოდგენებს, ტრადიციებსა და სხვებს.

ნაშრომში მოყვანილია შესაბამისი ფოლკლორული რეალობები. შოთა ნიშნიანიძე ერთ-ერთი თვითმყოფადი და უაღრესად ეროვნული ქართველი პოეტია, რომლის კალამი ბატონობს მხატვრული სიტყვისა და აზრის საუფლოში. პოეტის ლექსების უმრავლესობას სიუჟეტით, მოტივებით, სახეებით ზეპირსიტყვიერების გავლენა აქვია. ხალხური შემოქმედების გამოყენებით პოეტის ლექსები მეტი ბუნებრიობით, უბრალოებითა და მუსიკალობით გამოირჩევა, რითაც მკვიდრ ადგილს იჭერს თითოეული მკითხველის გულსა და გონებაში.

საკვანძო სიტყვები: XX საუკუნის ქართული პოეზია, შოთა ნიშნიანიძის შემოქმედება, ხალხური მოტივები.

#### ABSTRACT

Shota Nishnianidze holds a prominent position among Georgian figures of the 20th century who greatly contributed to the understanding, utilization, and popularization of native folk creativity. However, his artistic endeavors remain largely unexplored in the context of Georgian folklore. This brief work represents the initial attempt to examine the poet from a folkloric perspective.

Shota Nishnianidze brought numerous folk works to life, imbuing them with his poetic spirit and presenting original poems of profound idealism and high artistry to the Georgian people. Within his artistic oeuvre, the poet integrates folk songs, narratives of historical and folk heroes, proverbs, linguistic materials, incantations, and anecdotes, offering insights into customs, performances, traditions, and more.

Through this study, we highlight pertinent folkloric elements and affirm that Shota Nishnianidze stands as one of Georgia's independent and deeply national poets, whose pen commands the realm of artistic expression and thought. Many of his poems draw influence from oral tradition in terms of plot, motifs, and characters. By incorporating folk creativity, the poet's verses distinguish themselves with a natural, simple, and melodious quality, thereby finding a cherished place in the hearts and minds of each reader.

**Keywords:** Georgian poetry in the 20th century, Shota Nishnianidze's work, folk motives.

მეოცე საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შორის, რომელთა დიდი ამაგი დასდეს მშობლიური ხალხური შემოქმედების ცოდნის, გამოყენებისა და პოპულარიზაციის საქმეს, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს შოთა ნიშნიანიძეს. მიუხედავად ამისა, მისი მხატვრული შემოქმედება ქართული ფოლკლორისტიკის თვალსაზრისით დღემდე შეუსწავლელია. ეს მცირე ნაშრომი პოეტის ფოლკლორული ასპექტით შესწავლის პირველი ცდაა.

შოთა ნიშნიანიძემ არაერთი ხალხური ნაწარმოები გააცოცხლა, შთაბერა მას თავისი პოეტური სული და ქართველ ხალხს მიაწოდა ღრმაიდეური და მაღალმხატვრული შესანიშნავი ორიგინალური ლექსები. მისი ნაწარმოებების შესწავლით ვეცნობით პოეტის თვალსაზრის ხალხური სიტყვიერების სხვადასხვა ჟანრის შესახებ.

პოეტი თავის პოეზიაში ურთავს ხალხურ ლექს-სიმღერებს, ბატონების საგალობელს, თქმულება-გადმოცემებს ისტორიული და სახალხო გმირების



შესახებ, ანდაზებს, სიტყვის მასალებს, ლოცვებს, შელოცვებს, წყევლას, კაფიას; ვეცნობით წეს-ჩვეულებებს, რწმენა-წარმოდგენებს, ტრადიციებს, ხალხურ თამაშობებს, ზეპირსიტყვიერების მატარებლებს, დასაკრავ ინსტრუმენტებს და ა.შ.

პოეტი თავის მხატვრულ მემკვიდრეობაში უხვად იყენებს ხალხურ პოეზიას. მის ლექსებში ზეპირსიტყვიერი ტექსტები შესულია როგორც უცვლელად, ასევე ნაწილობრივი ცვლილებებით. განვიხილავთ რამდენიმე ნიმუშს.

ლექსში „ქართული ლაშქრის საგალობელში“ ინტერპრეტაციით ჩართულია ფრაზა ხალხური ლექსიდან „კიდევაც დაიზრდებიან“:

დევის სისხლში ჩაფშვენო, ჩემო წარსულო, შე ქვივრ-ოხერო,  
დაიზრდებიან ჩვენი ბავშვები, როგორც ალგეთზე მგლები ბოღვერა“  
(გვ.49).

აქვე ჩაწულია ხალხური ლექს-სიმღერის ფრაზა: „ვერ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა“:

„...მათაც ჩაუდგეთ სული ვენახის და თუ მოგიტა სპარსი ან თურქი,  
ვერ გაიხაროს მტერმა, ვენ ნახოს მაგ ბოღლიწოთი გაზრდილი ზურგი“  
(იქვე).

შ. ნიშნიანიძის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვაზს. პოეტმა კარგად იცის, რომ საქართველო ცნობილია ვაზის სამშობლოდ:

„ვაზით და ფრესკით ჩემი მხარე მარად იცნობა  
და საქართველოს ციხეებზე მზის შუბოსანი  
დგას მეციხოვნედ მარადისობა“ (ციხე-ტაძართა საგალობელი, გვ. 8).  
„იგი ვაზს მაცხოვართან და ღვთისმშობელთან აიგივებს:  
იყავ კურთხეული ვაზო მაცხოვარო, ამერ-იმეერის ძუძუ მაწოვარო...  
ჩაიცვ. საქართველოს ვენახის წვრილთვალა,-ღვთით დაგეწინდა რა“  
(ქართული ლაშქრის სადიდებელი, გვ. 50).

ასევე:

„ვიღაც ქალი ბჟოლას სხეპდა და ვაზს უმაგრებდა ჭიგოს,  
მე მეგონა გლეხის ქალი, თურმე ღვთისმშობელი იყო“...  
(ქართული ზღაპარი, გვ. 6).

პოეტი მე-12 საუკუნეში დემეტრე I-ის მიერ შექმნილი „შენ ხარ ვენახის“ დარად უმღერის საყვარელ სამშობლოს, ლექსის სათაურიც ასეთივეა, აი ისიც:

„შენ ხარ ვენახი მზის ფსალმუნნიდან  
და თქმულებიდან ლერწებნაყარი,  
ბიბლიას ყავლი თუ გაუვიდა,  
შენ, ახალ რწმენას თავზე დაგხარით...  
შენ ხარ ვენახი მტრის დარბეული,  
წიგნის ვენახი და ხმლის ვენახი,  
მადლობა შენდა, შე კურთხეულო,  
ასე ჯანმრთელად რომ შეგვენახე...  
მხარში ვუდგავართ შენს ძლიერებას  
საქმით, ოცნებით და სტრიქონებით,

რად გვინდა მეტი ბედნიერება –  
შენ ხარ ვენახი, ჩვენ ჭიგოები“...

(შენ ხარ ვენახი, გვ. 441-442).

შოთა ნიშნიანიძის ლექსებში ხშირად მოიხსენიება ხარი. ხარი ოდითგანვე წმინდა ცხოველად მიაჩნდათ. წარმართული რელიგიის დროს მას კლდეებზე ხატავდნენ, ქარაგმებით წერდნენ მის სახელს; ამიტომაც ამბობს პოეტი:

„წარმართმა გხატე კედლებზე ათას მისნური ქარაგმით  
და ხარი ღმერთად გიწამე, გწირე და გწირე ზვარაკი“ (ხარი, გვ. 20).

„ხარის ნაწილიანობა პოეტს ასე აქვს გადმოცემული:  
ვიღაც შუბლზე ხარს კოცნიდა და მთესვარად ხნულს მისდევდა,  
თურმე ქრისტე ღმერთი იყო, მე მეგონა გუთნისდედა“

(ქართული ზღაპარი, გვ. 6).

„ხარს ღმერთმა მიანდოა კაცის რჩენა-შენახვა:

შენ გთხოვდა კაცის შენახვას უფალი ღმერთი იესო  
და შენაც ერჩოლებოდი შიმშილს და სიღარიბესო“ (ხარი, გვ. 20).

ხარი იყო გამწევი ძალა; მისით ხნავდნენ მიწას, თესავდნენ მარცვლეულს. იგი იყო სატრანსპორტო საშუალებაც. ამიტომაც ხარს პატრონი უნდა აფასებდეს, პატივს სცემდეს, უნდა უყვარდეს ის. პოეტი წერს:

„კოლხის ქალი მყავდა ძიძად – ამორძალი, ენამწარე,  
ნიშა ხარის სიყვარული იმ მხარეში შემასწავლეს“

(ქართული ზღაპარი, გვ. 6).

სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად ხარს, ისე როგორც ადამიანს, სახელს არქმევდნენ: ნიშას, ნიკორას, ღვინიას, შინდას, წიქარას და ა.შ.

უსათაურო ლექსში პოეტი აქებს და ადიდება ნიშა ხარს:

„რიონისპირ ჩავიარე, ჩრდილში იწვა ნიშა ხარი,  
ქართველების საფიცარი ,როგორც ძველისძველი ღმერთი,  
თითქოს უფლის მოციქული - კაცი მისწოლოდა ფერხით“...

„ჩვენო უთქმელო, კეთილო კაცო, გადაჩეხილო ჩვენო ღვინია“ – ამბობს იგი ლექსში „მესიზმრა გიორგი შატბერაშვილი“.

ნიკორა ხარის შესახებ შ. ნიშნიანიძე წერს:

„ნიკორა ბოსტნიდან მომბლაგვლებს, ჩემი წარღვნამდელი ღვთაება,  
გუთანს ეწევა და მიბულრაობს დევების წარმოთქმულ ტაეპად,  
მისი გუშინდელი გუთნისდედა, მისი გუშინდელი მეხრე ვარ  
და ჩემი ბავშვობის ბილიკები, რქებზე ბაწარივით ეხვევა“

(უსათაურო, გვ. 9).

პოეტი ერთგულებასა და სამშობლოსადმი სამსახურში თავის თავს წიქარა ხარს ადარებს:

„მე ვარ მისანი ხარი წიქანა, შენი დვრიტა ვარ მამულ-დედულო,  
ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე, რომ გემსახურო და გიერთგულო...  
შენი უღელი მემჩატოს აგრემც, ქედზე რომ მადგას განაჩენივით,  
არ მომიღერო გეთაყვა სახრე, სიყვარულისთვის ვარ გაჩენილი...  
რამდენჯერ ვმდგარვარ სამოთხის კართან, ქედგახეხილი,

გადატყაული,

ღმერთთან საუბრის და ნიჭის გარდა არაფერი მაქვს დანაშაული“

(უსათაურო, გვ. 5).

პოეტი ლექსებში არ ივიწყებს გუთნისდედებსა და მეზრებს, რომლებიც ხვნა-თესვის დროს ხართან ერთად მნიშვნელოვან როლს არსულებდნენ; მათ მშვიდობიანობის დროს გუთნის ხელსაკიდი ეჭირათ ხელში, მტერთან ბრძოლის დროს კი – ხმალი:

„სისხლს ღვრიდნენ გუთნისდედები, ოფლს ღვრიდნენ მეციხოვნენი,  
გუთნის ტარი და ხმლის ტარი საჭეა ქართულის ცხოვრების“

(ჯარი, გვ. 20).

ასევე, იგი უმღერის შრომის იარაღებსაც:

„ჰე გუთანო, ჰე სახნისო, ჰე ბარო და ჰე ნამგალო,  
ერთიც მიდექ-მოდექით და ჩემი თავი გენაცვალოთ“

(უსათაურო, გვ. 225).

შოთა ნიშნანიძის პოეზიაში საპატიო ადგილი უჭირავს ხალხურ სიმღერებს. აი, ის სიმღერები, რომლებიც ფიგურირებს პოეტის ლექსებში:

„ვეფხი და მოყმე“:

„...ვინც პირველად დაიმღერა „ვეფხი და მოყმე“

იმ გუთნის დედას მზადა ვარ ვეყმო“ ...

(ციხე-ტაძართა საგალობელი, გვ. 8).

„იავნანა“:

„დედაენით, გაზარდნენ, მეგრულ იავნანურით,  
ავთანდილის ანდერძით, ცოტნეს ცხენის თქარუნით

(ბალადა პროფ. ჟორდანიას გმირობაზე, გვ. 45).

„ურმული“:

„ურმულით, გუთნისდედურით სულს დევდნენ მამა-პაპანი  
და მათან ერთად შენც სწიე ქართლის ცხოვრები ჭაპანი“

(ხარი, გვ. 20).

„მრავალჟამიერი“, „ლილეო“, „კრიმანჭული“, „შენ ხარ ვენახი“:

„ქართველი კაცი, თუნდაც ბერი, განა მოცდება,  
მრავალჟამიერს დათესავენ ყანა ბოსტნებად,  
კრიმანჭულს, ლილეს, შენ ხარ ვენახს ათონს დარგავენ,  
ვაზიან ხარდნებს მომართავენ, როგორც საკრავებს“

(უსათაურო, გვ. 63).

„ქართველო, ხელი ხმალს იკარ“:

„მე ვიცი ერთი სერობის ღამე,  
თბილისის კართან ისმის გალობა,  
ქართველო, ხელი ხმალს იკარ! - ამინ!

შენ ხარ ვენახი... შენდა წყალობა“ (კიდევაც დაიზრდებიან, გვ. 14).

ასევე გვხვდება სხვა ხალხური სიმღერებიც, როგორცაა: „ლაშქრული“, „სულიკო“, „ვოუ ნანა“, „სისა ტურა“, „ოდოია“, „ჩაგუნია- ჩაგუნა“, „ჩარი-რამა“, „ჰოპუნა“, „ვარადა“, „მირანგულა“, „ურაიდა-რაიდა“, „მასვი, მაჭამე“, „მალხინე“, „ოუ ჩელა, სიჩარჩელა“ და სხვები. აქვე ვეცნობით საგალობლებს: „შენ ხარ ვენახი“, „ოცდახუთსა დეკემბერსა“ და ბატონების საგალობელს. ამ



უკანასკნელის (ლეგენდისა და ბატონების საგალობლის) ინტერპრეტაციით პოეტს შეუქმნია ლექსი, რომელშიც ფიგურირებს, აგრეთვე, რიცხვი ცხრა:

„ცხრა აკვანში ცხრა ანგელოზს ცხრა ნაწნავი ეწვიმება,  
ერთ ცხრა აკვანს კიდევ დავდგამ, სიდედრს თუ არ ეწყინება...  
ეს აკვანი, ნანაია, ოქროს აკვანია,  
ბაზალეთის ტბაში ვპოვე, უკვე რა ხანია,  
შიგ წევს ღმერთი პაწაწინა, ია, ბატონებო,  
ანგელოზმა ჩააწვინა, ია, ბატონებო...  
მოუოხეთ, უგალობეთ, წითელ ბატონებო,  
დიდი ნიჭი უწყალობეთ, წითელ ბატონებო,  
მიმინოსებრ გამიწვართეთ, ია, ბატონებო,  
ცოტნესავით გამიზარდეთ, ია, ბატონებო,  
საქართველო უდღეგრძელეთ, წითელ ბატონებო...  
ნიშა ხარი უდღეგრძელეთ, წითელ ბატონებო“...

(უსათაურო, გვ. 55).

შოთა ნიშნაინიძის პოეზიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ისტორიულ და სახალხო გმირებს. პოეტმა კარგად იცის, რომ თქმულებებსა და გადმოცემებს ძირითადად მოხუცები ყვებიან. ეს ჩანს ლექსში „ქალაქში თქმული ფშავ-ხევსურული“:

„ხომ არ დაბერდი პაპილავ, მგელავ, ძაღლიკავ, ბათარევ,  
ერდოზე თვლემ და მზეს ლოღნი და ძველ თქმულებებს ამთქნარებ“

(გვ. 213).

ლექსში „ვახტანგ მეფე“ პოეტი გადმოგვცემს თქმულებას ვახტანგ გორგასლის შესახებ, რომ ის ღმერთს უყვარდა, მათან ამყარებდა კავშირს, ღმერთი ეხმარებოდა მტერთან ბრძოლაში, რომ ის პატარაობიდან მგელმა გაზარდა და მგელკაცად აქცია, ჰქონდა მგლის ფერი, მგლის თვალი, მგლის მუხლი, მგლის მადა, თავზე მგლის გამოსახულებით მუზარადი ეხურა (გვ. 61). ასევე, ლექსში „მგლური კანონის ბალადა“ ვახტანგ გორგასალზე წერს:

„...რომში ხარ დაბადებული, თუ გაზრდილი ხარ ალგეთს,  
მტერს მგლურად მიუხტებოდი, აწყევლინებდი სვე-ბედს,  
მეფე ვახტანგი - მგელაკცი, ქართლოსიანთა მეფე“ (გვ. 174).

პოეტი უსათაურო ლექსში ამბობს: „მაგრამ დალოცვილ საქართველოში არ შეიძლება არ იყოს ცოტნე“ (გვ. 89). ასევე, ლექსში „ცოტნე დადიანი“ ვკითხულობთ:

„მთვარის ყაბალახიანი, ღამის ნაბდიანი,  
მიდის მიიჩქარის ცოტნე დადიანი...  
ჩქარობს, ჩქარობს, ჩქარობს ავსებული ურვით,  
ცოტნე დადიანის რაინდული გული“ (გვ. 126).

ცოტნესთან ერთად იგი ლექსებში ხშირად მოიხსენიებს მეფე დემეტრე თავდადებულს, ცხრა ძმა ხერხეულიძეს, სამას არაგველს, ელიზბარ და შალვა ერთისთავებს, ბიძინა ჩოლოყაშვილს, არსენა ოძელაშვილსა და სხვებს:

„...ვერ ივარგებდა კომუნისტებად ხერხეულიძე ცხრა ძმა?“

ან არაგველნი, ან გმირი ცოტნე ანდა დემეტრე თავდადებული?  
(კომუნისტები, გვ. 93-94).

ასევე:

„ეს ზღაჭიანთ კაკოა, ის ოძელაანთ არსენა,  
შალვა, ბიძინა, ელიზბარ- ღმერთმა კურთხევით ახსენა...  
ცოტნეც აქ არი, ბიჭებო, ჭირიმე მისი ჩეროსი, –  
სიმხნე და სიამაყეა სრულიად საქართველოსი“

(ვაზის სიმფონია, გვ. 153).

პოეტი ლექსში „თევდორე“ გადმოგვცემს თევდორე ბერის გმირობასა და თავდადებას სამშობლოსადმი. ლექსს ეპიგრაფად წამდგარებული აქვს: „1609 წელს თრიალეთზე გადმოსული თურქთა დიდი ლაშქარი თევდორე ბერს გადაეყარა და მეგზურობა მოსთხოვა. თევდორემ მტერს გზა-კვალი აუბნია და მიზანს დააშორა. მოტყუებულმა თურქებმა ბერი აკუწეს. ქართველმა ჯარმა დრო მოიგო და მტერი ქვიშხეთთან დაამარცხა“ (გვ. 116).

შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში არცთუ იშვიათად ჩართულია ანდაზები, სიტყვის მასალები, ლოცვები, შელოცვები, წყევლა და სხვა ფოლკლორის მცირე ჟანრები.

ანდაზა „ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწაქალამნად“ ასეა გამოყენებული:

„სანამდე ახალგაზრდა ვარ, სანამდე მუხლში ძალა მაქვს,  
ცა ქუდად არ მიმაჩნია და დედამიწა ქალამნად“

(ცა ქუდად, მიწა ქალამნად, გვ. 24).

ანდაზა „ზღვა კოვზითაც დაილევაო“ ჩართულია ლექსში „ელასა-მელასა ანუ ქართული ნადიმი“:

„...ნავები, ნავები, ნავები მოვზიდოთ,  
იქნება გვეშველოს: ზღვა დაშრა კოვზითო“ (გვ. 37).

ლექსში „ციხე“ პოეტი ანდაზას – „ციხე შიგნიდან გატყდებაო“ ამგვარად იყენებს:

„...და მხოლოდ სიკვდილს ჩავაბარებთ ციხის გასაღებს,  
მოლაყბეების არ გვეშინია, ოღონდ შიგნიდან არ გატყდეს ციხე“

(გვ. 238).

უსათაურო ლექსში წერს:

„მე ერთი ქვეყანა ვიცი, სამოთხის კარია ღია,  
იქ მართლა გვარზე ხტის კვიცი და სხვებიც თავის გზით ვლიან“

(გვ. 280).

ლექსში „მგლური კანონის ბალადაში“ ვკითხულობთ:

მგელი კი ისევ მგელია, არ მორჯულდება მგელი,  
მგლის თავზე სახარებაო, - თქმაა ღიმილის მთქმელი“ (გვ. 173).

ანდაზა „აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ერთიაო“ ასე აქვს გამოყენებული:

„აქლემის ქურდი ნემსის ქურდს ხვდება, ციხეში აგზავნის“ ... (გვ. 404).

საკმაოა სიტყვის მასალაც, ბრძნული გამონათქვამები: „ცეცხლს ნუ ეთამაშებით“ (ბიჭები, გვ. 42); „ტყვიები ლულეებს არასოდეს უბრუნდებიან“

(ჯარისკაცის დაბრუნება, გვ. 72); „მაინც სად ნახეს კვამლი უცეცხლოდ“ (უსათაურო, გვ. 78); „კაცი ღმერთის სწორია“ (შიში, გვ. 86); „სადაც ტახტია, იქვეა დაფნაც და ყულფიც“ (პოეზიის კალენდარი, გვ. 90); „ყველა გზა რომში მიდის“ (რომი, გვ. 106); „ყველაზე სანდო სიყვარულია“ (უსათაურო, გვ. 134); „მე მხოლოდ ეს ვიცი, რომ არაფერი ვიცი“ (სოკრატე, გვ. 316); „მტერიც რომ იყოს, წამოაყენე, ქართველ კაცს უთქვამს“ (ვისი სული გასურს, გვ. 318); „მკვდრები ცოცხლებზე ბევრნი არიან“ (უსათაურო, გვ. 204); „კაცია და გუნება“ (კაცია და გუნება, გვ. 372); „თუ არა ჩანხარ, არაფერს ნიშნავს, თვითონ ღმერთიც ხომ უჩინარია“ (უსათაურო, გვ. 381); „ვერ დაეწევა კუს აქლემი“ (ბედი, გვ. 280); „ქვეყანა საჩალეა“ (სასაართლოში გასაგზავნი ბალადა, გვ. 28), „ენას არა აქვს ძვალი“ (იმერული სატირალი, გვ. 387); „ყმაწვილისათვის ეს ცხოვრება უსასრულოა, მოხუცისათვის ფრიად ხანმოკლე“ (უსათაურო, გვ. 438)...

პოეტის მხატვრულ ნააზრევში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩართულია ადამიანის სამკურნალო და სამეურნეო შელოცვები, ასევე, ლოცვა-ვედრება, ფოლკლორის ერთ-ერთი ჟანრში – ცოცხალი ტყუილი ვეცნობით სხვადასხვა წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებსა და რწმენა-წარმოდგენებს. მის ლექსებში, ასევე, ფიგურირებს ხალხური თამაშობები, სახალხო მთქმელები და დასაკრავი ინსტრუმენტები.

ასე რომ, შოთა ნიშნიანიძე უხვად სარგებლობს ქართული ზეპირსიტყვიერებით. იგი ერთ-ერთი თვითმყოფადი და უაღრესად ეროვნული ქართველი პოეტია, რომლის კალამი ბატონობს მხატვრული სიტყვისა და აზრის საუფლოში. პოეტის ლექსების უმრავლესობას სიუჟეტით, მოტივებით, სახეებით ხალხური შემოქმედების გავლენა ამჩნევია. ზეპირსიტყვიერების გამოყენებით შოთა ნიშნიანიძის ლექსები მეტი ბუნებრიობით, უბრალოებითა და მუსიკალობით გამოირჩევა, რითაც ახლოს მიდის მკითხველის გულთან და გონებასთან.

#### დამოწმებული ლიტერატურა

ნიშნიანიძე 1988: ნიშნიანიძე შ., უპირველეს ყოვლისა, თბილისი, 1988.



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8061>

**ნიკო ნიკოლაძის  
ეროვნული მრწამსის ევოლუცია**

**Evolution of Niko Nikoladze's  
National Belief**

**ავთანდილ ნიკოლაიშვილი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Avtandil Nikoleishvili**

Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

**აბსტრაქტი**

მსგავსად „თერგდალეულთა“ დიდი თაობის ყოველი წარმომადგენლისა, საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემაზე მსჯელობამ ნიკო ნიკოლაძის (1843–1928) პუბლიცისტიკაშიც მეტად მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა. ჩვენი ქვეყნის სამომავლო სახელმწიფოებრივი ბედის განსაზღვრა თავიდანვე იქცა მისი განსაკუთრებული ინტერესის საგნად და მსოფლმხედველობრივი მრწამსის საფუძველთა საფუძველად. მოღვაწეობის პირველ ეტაპზე ნიკო ნიკოლაძე საქართველოს სახელმწიფოებრივი მომავლის ოპტიმალურ გზათა ძიებაში რუსეთთან თანაცხოვრების აუცილებლობის აღიარებამდე მიიყვანა. ისტორიული ვითარებისა და თანადროული სინამდვილის საფუძველიანმა განსჯა-გაანალიზებამ მას მყარად განუმტკიცა რწმენა იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება შორეული პერსპექტივა იყო, რის გამოც აუცილებლად თვლიდა სხვა ქვეყნის მფარველობის ქვეშ თავის შეფარებას და მისი ეროვნული პრობლემების გადაჭრას ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში თანაცხოვრებით. თავისი მოღვაწეობის ადრინდელ ეტაპზე ნ. ნიკოლაძე ასეთ ქვეყნად რუსეთს მიიჩნევდა. მისი აზრით, ჩვენი წინაპრების ერთი ნაწილის მიერ გაკეთებული ამგვარი არჩევანი იმხანად ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა და საქართველოს სამომავლო განვითარება ყველაზე მეტად სწორედ ამ გზით იყო შესაძლებელი.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენათა შემდგომ, რასაც რუსეთის იმპერიის დანგრევა მოჰყვა, საქართველოს სახელმწიფოებრივ

სტატუსთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძემ აზრი მკვეთრად შეიცვალა და ის უკვე აქტიურად მოითხოვდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან ჩვენი ქვეყნის სრულად გამოყოფასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. ეს თვალსაზრისი ნათლად ვლინდება 1918 წლიდან გამოქვეყნებულ წერილებში; საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი მწერალი უკვე პრაქტიკულადაც ერთვება ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაჭრის პროცესში. ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობაში მომხდარი ამგვარი რადიკალური გარდატეხის არსში გასარკვევად განსაკუთრებით საინტერესოა გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის 22, 24 და 27 მარტის ნომრებში გამოქვეყნებული მისი წერილი „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“.

საკვანძო ტერმინები: 60-იანელთა მოღვაწეობა, ნიკო ნიკოლაძის ეროვნული მრწამსი, XIX საუკუნის ქართული პრესა.

#### ABSTRACT

Like every representative of the great generation of „Tergdaleulebi“, the discussion on the problem of Georgia’s political-state orientation took a very important place in the journalism of Niko Nikoladze (1843-1928). Determining the future state destiny of our country became the subject of his special interest and the foundation of his worldview. In the first stage of his work, N. Nikoladze’s search for optimal ways for the state future of Georgia led him to recognize the necessity of coexistence with Russia. A thorough judgment and analysis of the historical situation and contemporary reality firmly strengthened his belief that the formation of Georgia as an independent state was a distant prospect. Therefore, he considered taking refuge under the protection of another country and solving national problems by living together as part of this state. In the earlier stage of his work, N. Nikoladze considered Russia to be such a country. In his opinion, the choice made by a part of our ancestors to seek protection under Russia was the only right decision at that time, and the future development of Georgia was most possible within this framework.

After the bourgeois-democratic revolution of February 1917 and the subsequent events that led to the collapse of the Russian Empire, N. Nikoladze dramatically changed his opinion regarding the state status of Georgia. He actively demanded the complete separation of our country from the Russian Empire and its establishment as an independent state. This point of view is evident in letters published since 1918. After the restoration of Georgia’s independence, the writer became practically involved in the process of solving the state problems of our country. To understand the essence of such a radical change in Nikoladze’s worldview, his letter „The Overthrow of Russia and the Fate of Georgia“, published in the March 22, 24, and 27, 1918 issues of the newspaper „Georgia“, is particularly interesting.

Keywords: The work of the 1960s, the national faith of Niko Nikoladze, the Georgian press of the 19th century.

მსგავსად „თერგდალეულთა“ დიდი თაობის ყოველი წარმომადგენლისა, საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემაზე მსჯელობამ ნიკო ნიკოლაძის (1843–1928 წწ.) პუბლიცისტიკაშიც დაიჭირა მეტად მნიშვნელოვანი ადგილი. ჩვენი ქვეყნის სამომავლო სახელმწიფოებრივი ბედის განსაზღვრა თავიდანვე იქცა მისი განსაკუთრებული ინტერესის საგნად და მსოფლმხედველობრივი მრწამსის საფუძველთა საფუძვლად. მიუხედავად იმისა, რომ ნ. ნიკოლაძის თვალთახედვის არე მეტისმეტად ფართო იყო და თანამედროვეობის პოლიტიკურ-ეკონომიკურ პრობლემათა მისეული განსჯა-გაანალიზება ლოკალური მასშტაბებით არასოდეს შეზოჭილა და მისეული მსჯელობის მიზანსწრაფვას, უწინარეს ყოვლისა, თავისი ქვეყნის სამომავლო პერსპექტივებზე ფიქრი განსაზღვრავდა.

ამთავითვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თავისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე ნიკო ნიკოლაძე საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების ოპტიმალურ გზათა ძიებამ რუსეთთან თანაცხოვრების აუცილებლობის აღიარებამდე მიიყვანა. კერძოდ, ისტორიული ვითარებისა და თანადროული სინამდვილის საფუძვლიანმა ანალიზმა მას თანდათანობით განუმტკიცა რწმენა იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება შორეული პერსპექტივა იყო, რის გამოც აუცილებლად თვლიდა სხვა ქვეყნის მფარველობის ქვეშ თავის შეფარებასა და ეროვნული პრობლემების გადაჭრას ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში თანაცხოვრებით.

თავისი მოღვაწეობის ადრინდელ ეტაპზე ნ. ნიკოლაძე ასეთ ქვეყნად რუსეთს მიიჩნევდა. მისი აზრით, ჩვენი წინაპრების ერთი ნაწილის მიერ გაკეთებული ამგვარი არჩევანი იმხანად ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა და საქართველოს სამომავლო განვითარება ყველაზე მეტად, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ გზით იყო შესაძლებელი.

ნ. ნიკოლაძის ეს თვალსაზრისი არამც და არამც არ ყოფილა კონიუნქტურული განსჯის შედეგი. ამ დასკვნის გამოტანამდე იგი მოვლენათა საფუძვლიანმა გაანალიზებამ მიიყვანა. თუმცა ყოველივე ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ნ. ნიკოლაძე იმთავითვე მორჩილად და სიტყვის უთქმელად შეურიგდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას და ამ თვალსაზრისით ყოველგვარი პერსპექტივა ფუჭი ოცნების საგნად მიაჩნდა, რასაკვირველია, არა.

ეს რომ ასე არაა, ამას ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე ადასტურებს მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე წლებში, მისი დიდი თანამედროვეების მსგავსად, ნ. ნიკოლაძეც რომანტიკული გულანთებულობით ოცნებობდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე. მაგრამ ცხოვრებისეული სინამდვილის არსში ჩაღრმავებისა და არსებული რეალობის საფუძვლიანი ანალიზის შედეგად იგი იმის აღიარებამდე მივიდა, რომ იმხანად ამის გაკეთება შეუძლებელი იყო.



რასაკვირველია, ამ აზრთან შეგუება მისთვის, როგორც თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნებისათვის, იოლი საქმე არ იქნებოდა. არც შეგუება და ამიერიდან მისი ცხოვრების უმთავრეს მიზანსწრაფვად რუსეთის იმპერიაში საქართველოს თანაცხოვრების ყველაზე ოპტიმალური ფორმის ძიება იქცა. უმთავრესი შედეგი, რითაც ეს ძიება დაგვირგვინდა, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ავტონომიის მოთხოვნა იყო, იდეა, რომელსაც XIX-XX საუკუნეების სხვა დიდ ქართველ მამულიშვილთა მნიშვნელოვანი ნაწილიც უჭერდა მხარს.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენათა შემდგომ, რასაც რუსეთის იმპერიის დანგრევა მოჰყვა, საქართველოს სამომავლო სახელმწიფოებრივ სტატუსთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძემ აზრი მკვეთრად შეიცვალა და ის უკვე აქტიურად მოითხოვდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან ჩვენი ქვეყნის სრულად გამოყოფასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. ეს თვალსაზრისი ნათლად ვლინდება 1918 წლიდან გამოქვეყნებულ წერილებში; საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი მწერალი უკვე პრაქტიკულადაც ერთვება ჩვენი ქვეყნის წინაშე მწვავედ მდგარი სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაჭრის პროცესში.

როგორც უკვე ითქვა, თავისი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში ნ. ნიკოლაძე რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნას იმხანად არსებული პოლიტიკური მდგომარეობიდან ერთადერთ რეალურ გამოსავლად მიიჩნევდა და, რაგინდ პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენოს, ქართველ ხალხში ანტირუსული სულისკვეთების მომძლავრების გამო შეშფოთებასაც კი გამოხატავდა, რადგანაც ფიქრობდა, რომ ამ იდეის განვითარებას ჩვენი ქვეყნისათვის საკმაოდ „დიდი ზიანის მოყენებაც შეეძლო“ და საქართველოს „სასაკლაოზე მიყვანაც“ (მისი სიტყვებია).

მკითხველს, ბუნებრივია, სავსებით მართებულად გაუჩნდება კითხვა: რა ედო საფუძვლად პუბლიცისტის ამგვარ შეშფოთებას და რატომ ჰგვრიდა ესოდენ შიშს ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების დონის ამაღლება, რასაც ლოგიკურ შედეგად ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის გაღვივება უნდა მოჰყოლოდა?

ერთ-ერთი პირველი სტატია, რომელშიც ნ. ნიკოლაძემ თავისი ეს თვალსაზრისი ნათლად და მკაფიოდ გამოხატა, 1865 წელს გაზეთ „კოლოკოლში“ გამოქვეყნებული სტატია იყო – „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“ (იხ.: ნიკოლაძე 1962: 250–273). როგორც ხსენებული სტატიიდან ვიგებთ, მისი შეშფოთების საფუძველს ამ შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის სამომავლო ეკონომიკური განვითარების ნაკლებად საიმედო პერსპექტივა წარმოადგენდა. ნ. ნიკოლაძე იმ დროისათვის ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, როცა ქვეყანა ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი გახდებოდა. მისი რწმენით, ამის მიღწევას საქართველო ვერც მარტო შეძლებდა და ვერც ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან კავშირის დამყარებით. მისთვის ერთადერთი

დამხმარე და პარტნიორი ამ შემთხვევაში მხოლოდ რუსეთი შეიძლება და ყოფილიყო.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად გავიაზროთ ნ. ნიკოლაძის თვალსაზრისი ამ საკითხთან დაკავშირებით, დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს დასახელებული წერილიდან: „ჩვენი ღრმა რწმენით, – წერდა იგი, – ერთგული მისწრაფება რომ გამარჯვებითაც დაგვირგვინდეს და საქართველომ საფრანგეთისა და ინგლისის მფარველობა მოიპოვოს (ჩვენთვის ერთიც და მეორეც სულ ერთია), საქართველო აშკარად და საკმაოდ დაჰკარგავს თავის იმედებს იმის შესახებ, რომ წარმატებით გადაიჭრა სამართლიანი და გონიერი საზოგადოებრივი წყობილების საკითხი, რომელიც მას აღელვებს. ევროპის სახელმწიფოებმა, თუ საქმე გამარჯვებით დაგვირგვინდება, საქართველო რომ ევროპის შინა პროვინციების დონემდეც კი აამაღლონ, საქართველო მაშინაც წაგებული დარჩება და მხოლოდ პოლიტიკური წყობილების მხრით მოიგებს“ (ნიკოლაძე 1962: 265).

როგორც ვხედავთ, საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემაზე მსჯელობის დროს ნ. ნიკოლაძე აშკარად და არაორაზროვნად უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ ევროპულ სახელმწიფოებრივ სივრცეში ჩვენი ქვეყნის მოხვედრა აშკარად უპერსპექტივო და ნაკლებად სასარგებლო საქმე იქმნებოდა.

ამით იგი ფაქტობრივად პრინციპულად დაუპირისპირდა XIX საუკუნის იმ დიდ მამულიშვილთა ერთგულ-სახელმწიფოებრივ თვალთახედვას, რომელთაც ევროპის ქვეყნებთან საქართველოს დაახლოება ჩვენი სამომავლო განვითარების ყველაზე პერსპექტიულ გზად მიაჩნდათ.

ნ. ნიკოლაძის ამგვარი ერთგულ-სახელმწიფოებრივი მრწამსის ერთგვარ პარადოქსულობას კიდევ უფრო აძლიერებდა ის გარემოება, რომ ამ შეხედულებას ევროპული ცხოვრებისეული სინამდვილის ღრმად და საფუძვლიანად მცოდნე პიროვნება გამოთქვამდა, წლობით თავადაც ევროპაში ნაცხოვრები დიდი მოაზროვნე.

ევროპასთან საქართველოს დაკავშირების მიზანშეუწონლობაზე საუბარს ნ. ნიკოლაძე რუსეთთან თანაცხოვრების პოზიტიურ მხარეთა დახასიათებით განაგრძობდა. მისი აზრით, „რუსეთის მფლობელობის უპირატესობას ევროპის მფლობელობასთან შედარებით“, უპირველეს ყოვლისა, რუსეთში არსებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ის ფორმა წარმოადგენდა, რომელსაც შეეძლო ნამდვილი სარგებლობა მოეტანა საქართველოსთვის.

ნ. ნიკოლაძის თქმით, ეს იყო მიწისა და ყოველგვარი სხვა საკუთრების სათემო განაწილება, აგრეთვე, ხალხის შრომისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათემო ორგანიზაცია. საქართველოსთვის ასეთი წყობილების სარგებლიანობას ნ. ნიკოლაძე იმაში ხედავდა, რომ იგი ყველა სხვა წყობილებაზე მეტად შეუწყობდა ხელს ხალხის კეთილდღეობის რეალურად დამყარებას. მართალია, ნ. ნიკოლაძეს არც რუსეთის თემი მიაჩნდა იდეალად, მაგრამ თვლიდა, რომ იგი ბევრად უფრო მისაღები იქნებოდა ჩვენი საზოგადოებრივი წყობილებისათვის, ვიდრე ევროპაში გაბატონებული „ინდივიდუალიზმის ყოველნაირი პრინციპები“.

ასეთია საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემის ნიკო ნიკოლაძისეული განსჯა ხსენებული სტატიის მიხედვით, დაფუძნებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე.

ერთ-ერთი უმთავრესი არგუმენტი, რითაც ნ. ნიკოლაძე რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნას ამართლებდა, ის იყო, რომ იგი რუსეთს, ამერიკასთან ერთად, XX საუკუნის ყველაზე პერსპექტიულ და მძლავრ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას უწინასწარმეტყველებდა. მისი მტკიცებით, XX საუკუნეში სწორედ ეს სახელმწიფოები გახდებოდნენ კაცობრიობის მბრძანებლები.

ნ. ნიკოლაძის ნააზრევში მკვეთრად გამოხატული პრორუსული პოზიცია არა მარტო იმ უმძიმესი საგარეო-პოლიტიკური ვითარებით იყო დასაბუთებული, რომელიც XVIII საუკუნის საქართველოში შეიქმნა, არამედ წინარე საუკუნეების რთული მოვლენებითაც და ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობითაც. «ქვეყნის პოლიტიკას, – წერდა, მაგალითად, იგი 1913 წელს, – როგორც მისი ბუნების ნამდვილ ძალებს – ადამიანის, ხალხის სურვილი კი არა ამ ქვეყნის მდგომარეობა სჭედს. პოლიტიკა ახალი მოდური შლიაპკა კი არაა, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე ჰკიდია, ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამაპაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება... სანამ შავი ზღვიდან გასავალი სრუტე ოსმალს ხელშია, სანამ სამხრეთით ოსმალეთი და სპარსეთი გვაკრავს, აღმოსავლეთით – ლეკი და თათარი, ჩრდილოეთით – რუსი, ბევრი რომ ვიწრიალოთ, იმ პოლიტიკას ვერ ავცდებით, რომელიც აურჩევიათ საქართველოს უაღრეს გმირებს, ბევრი ცდის, ძებნის და მსხვერპლის შემდეგ. უკეთესი რომ შესაძლო ყოფილიყო, განა მათ დაემალებოდა? ჩვენზე ცოტად სწყუროდათ ვითომ დამოუკიდებლობა, ჩვენზე ნაკლებ უყვარდათ საკუთარი გვირგვინი?.. სანამ საბოლოო გზას დაადგებოდნენ, სანამ გვირგვინს ერის არსებობას შეწირავდნენ, ყოველი საშუალება სინჯეს, ყოველი ღონისძიება იხმარეს, თვით სარწმუნოების შეცვლასაც შეჰპირდნენ რომის პაპს და ფრიდრიხ დიდს. უცრემლოდ ვერ გადაიკითხავს კაცი ამ სამი საუკუნის მეცადინეობის აღწერას მატთანში. რაც ამდენს ამისთანა თაობას აუგია, აუცილებლად უცვნიათ, იმას ერთი ჯგუფი, გინდ ერთი თაობა ვერ შესცვლის. სანამ ოსმალს, ან სპარსეთის ადგილს რომელიმე სხვა რასსა ან მეფობა არ დაიჭერს, საქართველოსათვის არავითარი სხვა პოლიტიკა არ იარსებებს, იმის გარდა, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ იძულებით საქართველოს უგონიერესი პატრონები... რა ძალამ და აუცილებლობამ ეს მდევები გასტეხა, ის ახლაც უცვლელად არსებობს, მას ვერც ჩვენ მოვერევით... ბუნების წინააღმდეგ ყოველი ცდა ამაოა და სასტიკად ისჯება“.

დამოწმებულ ფრაგმენტში გამოხატული ამგვარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სკეპტიციზმი ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტურ ნააზრევში 1918 წლამდე ვლინდება მეტ-ნაკლები მასშტაბებით. ასე რომ, მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით, საქართველოს რუსეთთან შეერთება „ერთი კაცის საქმე ან შეცდომა კი არ იყო, არამედ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული და



კულტურული განვითარების ნაყოფს“ წარმოადგენდა, რადგანაც მაშინ სხვა გზა და საშველი არ არსებობდა და „ასე რომ არ მომხდარიყო, ქართველობა გადაგვარდებოდა და უმაღლესის კულტურის მწარმოებლის მაგიერ უმდაბლესს მწყემსურს დაადგებოდა“ („ახალი ივერია,“ 1914 წ. №20).

რუსეთთან საქართველოს შეერთების განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს არგუმენტად ნ. ნიკოლაძე იმ გარემოებას მიიჩნევდა, რომ საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ბედი წარსულში ყოველთვის იქით იყო მიმართული, საიდანაც სინათლე და მოძრაობა მოდიოდა. პუბლიცისტის აზრით, „შემცდარი იყო ის, ვინც ფიქრობდა, ვითომც რომელიმე მეფეს, წოდებას ან თაობას თავის ნებაზე შეძლებოდა საქართველოს აქეთ თუ იქით მოზრუნება. სანამ განათლება და ცხოვრება ბიზანტიაში ენთო, საქართველოს მზესუმზირასავით თვალი იქითკენ ეკავა. როცა სპარსეთი აყვავდა ინდოეთის კულტურაზე დაწაფებით, ჩვენი აღორძინებაც მისკენ მიიმართა... პეტრე დიდის და ეკატერინე მეორის ამაგმა რუსეთი რომ გააჩაღა, საქართველოც ძალაუნებურად მან წარიტაცა“ (საქართველო, 1917, №274).

მაგრამ, რუსეთთან თანაცხოვრების პოზიტიური მხარეების ამგვარი გაცნობიერების მიუხედავად, ნ. ნიკოლაძე იმასაც კარგად ხედავდა, რომ რუსული ყოფა და იმპერიის განაპირა მხარეებში არსებული არარუსული საზოგადოებრივი ცხოვრება ორი სრულიად განსხვავებული ელემენტი-საგან შედგებოდა და ეს ორი ცივილიზაცია, ორი ეროვნული წარსული, ხშირად ძალზე მწვავედაც უპირისპირდებოდა ერთმანეთს. ნ. ნიკოლაძის აზრით, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ხელისუფლებას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა ამ დაპირისპირების მშვიდობიანად გადაწყვეტისათვის, რაც მას თანაბრად მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდა როგორც რუსეთისათვის, ისე ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის.

პრობლემის ამგვარი მოგვარების ერთადერთ გზად ნ. ნიკოლაძეს ერთმანეთის „ყურადღებანი გაცნობა“ ესახებოდა, ერთმანეთის ხასიათების შესწავლა, ერთმანეთის განსაკუთრებულობებსა და ნაკლოვანებებთან შეგუება. მისი აზრით, დროთა განმავლობაში მხოლოდ ამ გზით წარიშლებოდა უსწორობანი და ამოივსებოდა ის უფსკრული, რომელიც ამ ორ მხარეს თიშავდა ერთმანეთისაგან (ნიკოლაძე 1964: 241).

სამწუხაროდ, პუბლიცისტის ასეთი თეორიული მსჯელობანი მხოლოდ გულუბრყვილო სიტყვიერ სურვილად დარჩა, ვინაიდან იმპერიის განაპირა მხარეებში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა, პირველ ყოვლისა, თავად ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგი იყო და არა ცალკეული „ცუდი მოხელეების“ დამსახურება. ნ. ნიკოლაძის აზრით, უწინარესად სწორედ ამით იყო განპირობებული ის გარემოება, რომ ხალხთა საპრობილედ სახელდებულ რუსეთის იმპერიაში ერთა შორის თანასწორობისა და ჰარმონიული ურთიერთობების დასამყარებლად პრაქტიკულად არაფერი კეთდებოდა.

იმის გამო, რომ ქართველი ხალხის ბედი მტკიცედ აღმოჩნდა გადაჯაჭვული რუსეთთან და მის „საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას ნიადაგი გავლენა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის იღბალზე“, ნ. ნიკოლაძე

აუცილებლად მიიჩნევდა, ჩვენს საზოგადოებას უფრო მეტი დაინტერესება გამოეჩინა რუსეთში მიმდინარე მოვლენებისადმი. იგი თვლიდა, რომ ამ თვალსაზრისით ჩვენში არსებული ვითარება არადაამაკმაყოფილებელი იყო და „ჩვენი საზოგადოება რუსეთს არ იცნობდა, მისი მდგომარეობის გაგებას არ ცდილობდა, მისი ხალხის ხასიათს და გარემოებას არ აკვირდებოდა და მის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას ნიადაგ თვალს არ ადევნებდა“, რასაც „დიდად სამწუხარო მოვლენად“ მიიჩნევდა (ნიკოლაძე 1963: 368).

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, მკაფიოდ გამოხატულ ამგვარ რუსოფილურ პოზიციას ნ. ნიკოლაძისათვის ოდნავადაც არ შეუშლია ხელი რუსული კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ეროვნული თვითმყოფადობის აქტიურ დამცველ მამულიშვილად და უკომპრომისოდ იბრძოდა იმპერიული ხელისუფლების ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ნ. ნიკოლაძის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მრწამსის გააზრების დროს რამდენიმე სიტყვა მის ენობრივ პოზიციაზეც უნდა ითქვას. მას კაცობრიობის განვითარების შემაფერხებელ მოვლენად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ ყველა ერთ ერთ ენაზე არ მეტყველებდა და ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ადამიანები უსათუოდ მივიდოდნენ ამ პრობლემის გადაწყვეტამდე (ნიკოლაძე 1964: 346). მისი აზრით, ამ სანატრელი დროის დადგომამდე ქართველი კაცი, რომელსაც განგებამ რუსეთის სახელმწიფოში არგუნა ცხოვრება, მხოლოდ მშობლიური ენითა და შინ ჯდომით არ უნდა შემოფარგლულიყო და თავისი მოღვაწეობის ასპარეზად მთელი იმპერია უნდა გაეხადა. „მე იმ პირებს არ ვეკუთვნი, – წერდა, მაგალითად, 1876 წელს უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნებული ნიკო ქართველი მკითხველისადმი მიმართულ წერილში, – რომელნიც ფიქრობენ, რომ შენტვის სარგებლობის მოტანა მარტო შენს საკუთარ ენაზე შეიძლება, მარტო შენს საკუთარ სახლში, შენთან ჯდომით და ლაპარაკით“ (ნიკოლაძე 1964: 362).

ევროპაში ცხოვრებამ ნ. ნიკოლაძე ღრმად დაარწმუნა იმაში, რომ მთავარი ის კი არ იყო, კაცი სამშობლოში იცხოვრებდა თუ არა, არამედ ის, რეალურად რას გაუკეთებდა თავის ქვეყანას.

რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიური სახელმწიფოებრივი სტატუსის ძიებამ ნ. ნიკოლაძე ფედერალიზმის პრინციპის აღიარებამდე მიიყვანა. იგი მიიჩნევდა, რომ, რეალურად არსებული ვითარების გათვალისწინებით, სწორედ ეს იყო ერთადერთი მართებული გზა „მრავალ-სჯულიანობით, მრავალ-ენიანობითა და მრავალ-მოდგმობით“ გამორჩეული ჩვენი ქვეყნისათვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაკმაყოფილებისა.

ფედერალიზმისადმი გამოვლენილმა ამგვარმა ინტერესმა კიდევ უფრო დიდი მასშტაბი შეიძინა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში. კერძოდ, რუსეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველაზე მეტად მისაღები ფორმის ძიებამ ნ. ნიკოლაძე იმხანად იმის აღიარებამდე მიიყვანა, რომ არსებულ ვითარებაში ისეთი

სახელმწიფოს შექმნა იყო მიზანშეწონილი, რომელიც მხოლოდ „გარეშე საკითხების“ ცენტრალიზებულ მართვას მოახდენდა, დანარჩენი დარგები კი „შინაურ განმგებლობას“ დარჩებოდა (საქართველო, 1917, №156). ასე რომ, მისი თქმით, „რაც უფრო მეტ დამოუკიდებლობას მისცემდა რუსეთი თავის შემადგენელ ელემენტებს, იმდენად ძლიერი იქნებოდა მათი ბუნებრივი მიდრეკა ველიკორუსული ძლიერი ცენტრისაკენ“.

როგორც ცნობილია, ნ. ნიკოლაძის ამგვარი სურვილის მიუხედავად, მოვლენები სულ მალე იმგვარად განვითარდა, რომ რუსეთის იმპერიის რამენაირი ფორმით გადარჩენა შეუძლებელი შეიქნა. საბედნიეროდ, ნ. ნიკოლაძე უსწრაფესად გაერკვა მოვლენათა არსში და ეროვნული ავტონომიზაციის ყოველგვარ ფორმაზე პრინციპულად უარის თქმით მან თავისი თეორიული წერილებითაც და პრაქტიკული მოღვაწეობითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და რეალობად ქცევის საქმეში.

ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობაში მომხდარი ამგვარი რადიკალური გარდატეხის არსში გასარკვევად განსაკუთრებით საინტერესოა გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის 22, 24 და 27 მარტის ნომრებში „რიონელის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული მისი წერილი „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“.

ხსენებული პუბლიკაცია უაღრესად საინტერესო, პირველ ყოვლისა, იმითაა, რომ, თავისი მანამდელი წერილებისაგან განსხვავებით, ნ. ნიკოლაძე უკვე არა მარტო სიტყვიერად გამოდიოდა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების უაღტერნატივო მოთხოვნით, არამედ აქტიურ პრაქტიკულ მონაწილეობასაც იღებდა ამ საქმის რეალურად განხორციელებაში.

კერძოდ, წერილის დასაწყისში მწერალი უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ „ოდესღაც უზარმაზარი რუსეთი“ ისე „დაიმსხვრა, დაიგლიჯა და დანაწილდა, რომ მისი კვლავ აღდგენა და გამთელება შეუძლებელი იყო“. ამ უდიდესი ისტორიული მოვლენის პოზიტიურ მხარედ ნ. ნიკოლაძე არა მარტო იმ ფაქტს მიიჩნევდა, რომ რუსეთის იმპერიის დამსხვრევას შედეგად რუსული კოლონიალიზმის კირთებისაგან ამ იმპერიის მიერ დაპყრობილ-დამონებული ხალხების განთავისუფლება მოჰყვებოდა, არამედ იმასაც, რომ „რუსეთის დამსხვრევით ქვეყნის პირიდან“ ფაქტობრივად „ევროპის ჟანდარმიც აღიგვებოდა“.

ხსენებული პუბლიკაციისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ნ. ნიკოლაძემ ის მანკიერებანიც წარმოაჩინა მკვეთრი რადიკალიზმით, რაც რუსეთის იმპერიის ნაწილად საქართველოს გადაქცევას მოჰყვება შედეგად. პუბლიცისტის შეფასებით, „მოყვრათ და მეგობრათ მოწვეული რუსი მალე გარდაიქცა ჩვენში ბატონათ და სასტიკ მტარვალათ. დიდი ზიანი ნახა ბედშავმა საქართველომ ამ შეუსაბამო კავშირით, ბევრი ჭირი და ვარამი, ტანჯვა, ვარამი და აწიოკება განიცადა მან რუსის მთავრობისაგან და სალდათ-ჩინოვნიკებისაგან, ბევრი უმანკო სისხლი დაიღვარა საქართველოში, ბევრი ღირსეული შვილი კოლხეთ-ივერიისა დაიღუპა ციმბირის ტუნდრებში, აურაცხელი



დამცირება გამოცადა ქართველმა ერმა, აუარება მიწა-მამული ჩამოერთვა მას და ზედ დაასახლეს უცხო ტომნი, განსაკუთრებით რუსები და სომხები.

არამც თუ საგაზეთო წერილით, მთელი ფორმებითაც კი ვერ ამოშრეტს კაცი იმ საშინელებას, რაც ხვდა წილად საქართველოს რუსის მთავრობის წყალობით ამ 120 წლის განმავლობაში. ეს იყო სატანური პოლიტიკა ერის გარუსების, გადაგვარების, მოსპობის, გაღატაკებისა და განადგურების. რუსის მთავრობამ მოსპო ჩვენში ქართული მართვა-გამგეობა, ეკლესია, შკოლა, სასამართლო და ნაცვლათ დაამყარა ყველაფერი რუსული. მან მოიწადინა ქართული სულის ამოგლეჯა, ე. ი. ჩაიდინა ის, რაც არ ჩაიდინეს ჩვენში აზიის უსაშინლესმა მტარვალებმა 2000 წლის განმავლობაში“.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის კოლონიური პოლიტიკისადმი ნეგატიური დამოკიდებულება ნ. ნიკოლაძეს თავისი ცხოვრების ყველა ეტაპზე ჰქონდა, თავისი ანტირუსული თვალთახედვა ასეთი მკვეთრი რადიკალიზმით მას ფაქტობრივად მანამდე არასოდეს გამოუხატავს. მწერლის მსოფლმხედველობაში მომხდარი ამგვარი რადიკალური გარდატეხა პირდაპირი შედეგი იყო 1917-1918 წლებში რუსეთსა და საქართველოში განვითარებული იმ უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა, რომელთაც არსებითად შეცვალეს ამ ქვეყნების იმჟამინდელი რეალობაცა და სახელმწიფოებრივი მომავალიც.

#### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ახალი ივერია 1914: გაზეთი „ახალი ივერია“, №1, 20, 1914.

ნიკოლაძე 1913: ნიკოლაძე ნ., ჩემს პოლიტიკაზე. თბილისი, 1913.

ნიკოლაძე 1962: ნიკოლაძე ნ., თხზულებანი, ტომი I. თბილისი, 1962.

ნიკოლაძე 1963: ნიკოლაძე ნ., თხზულებანი, ტომი III. თბილისი, 1963.

ნიკოლაძე 1964: ნიკოლაძე ნ., თხზულებანი, ტომი IV. თბილისი, 1964.

ნიკოლეიშვილი 2014: ნიკოლეიშვილი ა., ქართველ მწერალთა ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი. ორტომეული. ქუთაისი, 2014.

ნიკოლეიშვილი 2023: ნიკოლეიშვილი ა., ეროვნული პრობლემა ქართულ მწერლობაში (1917-1921 წლები). თბილისი, 2023.

რიონელი (ნიკოლაძე) 1918: რიონელი (ნ. ნიკოლაძე), რუსეთის დამხოზა და საქართველოს ბედი. გაზეთი „საქართველო“, 22, 24, 27 მაისი, 1918.

საქართველო 1917: გაზეთი „საქართველო“, №156, 274, 1917.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8062>

**ბრიტანელი მოგზაური და მწერალი  
ჯონ ბუჩან ტელფერის იმერეთის შესახებ**

**British Traveler and Writer  
John Buchan Telfer about Imereti**

**ოთარ ნიკოლეიშვილი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Otar Nikoleishvili**  
Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

**აბსტრაქტი**

XIX საუკუნის იმ უცხოურ წყაროებს შორის, რომლებიც იმერეთის ისტორიის, ყოფითი კულტურისა თუ ადათ-ტრადიციების შესახებ მოგვითხრობს, აუცილებლად უნდა დავასახელოთ 1876 წელს ლონდონში ორ ტომად გამოცემული წიგნი „ყირიმი და ამიერკავკასია“, რომლის ავტორია გაერთიანებული სამეფოს ფლოტის კაპიტანი, ლონდონის სიძველეთა საზოგადოების წევრი, მოგზაური და მწერალი ჯონ ბუჩან ტელფერი.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1870-იან წლებში ბრიტანელმა მწერალმა სამი წელი რუსეთის იმპერიაშიც დაჰყო, რა დროსაც ორჯერ ყირიმსა და კავკასიაშიც იმოგზაურა. ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული ვიზიტების დროს ჯონ ბუჩან ტელფერს საქართველოს არაერთი ქალაქი და კუთხე მოუნახულებია, წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ ზემოხსენებული წიგნის მხოლოდ იმ მონაკვეთს შევეხებით, რომელშიც იმერეთის შესახებაა გამახვილებული ყურადღება. ბრიტანელი ავტორის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას განსაკუთრებულად ფასეულს ხდის ის ფაქტი, რომ იგი მრავალფეროვანია და მეტწილად უშუალოდ მის მიერ მიღებულ შთაბეჭდილებებს წარმოადგენს.

მიუხედავად ჯონ ბუჩან ტელფერის ხსენებულ წიგნში არსებული ცალკეული უზუსტობებისა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული წიგნი უთუოდ უნდა იქნეს მიჩნეული მრავალმხრივ მნიშვნელოვან წყაროდ შესაბამისი პერიოდის იმერეთისა და ზოგადად

საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

**საკვანძო სიტყვები:** უცხოელი მოგზაურები საქართველოში, XIX საუკუნის უცხოური წყაროები იმერეთის შესახებ, ბრიტანელი მოგზაური და მწერალი ჯონ ბუჩან ტელფერი.

#### ABSTRACT

Among the 19th-century foreign sources that provide insights into the history, culture, and traditions of Imereti, mention must be made of the book „The Crimea and Transcaucasia; being the narrative of a journey in the Kouban, in Gouria, Georgia, Armenia, Ossety, Imeritia, Swannety, and Mingrelia, and in the Tauric range“, published in London in 1876 in two volumes. This work was authored by John Buchan Telfer, a captain in the United Kingdom fleet, a member of the Society of Antiquaries of London, and a traveler and writer.

It is noteworthy that during the 1870s, Telfer spent three years in the Russian Empire and made two journeys to the Crimea and the Caucasus. While Telfer did not visit many cities and regions of Georgia during his travels to the country, I will focus here only on the section of his book that pertains to Imereti. The value of the information provided by Telfer lies in its diversity and in the firsthand impressions he gathered.

Despite certain inaccuracies in Telfer’s work, „The Crimea and Transcaucasia“ must be regarded as a multifaceted and significant foreign source for studying the history of Imereti and Georgia as a whole.

**Keywords:** Foreign travelers in Georgia, 19th-century foreign sources about Imereti, British traveler and writer John Buchan Telfer.

XIX საუკუნის იმ უცხოურ წყაროებს შორის, რომლებიც იმერეთის ისტორიის, ყოფითი კულტურისა, თუ ადრე-ტრადიციების შესახებ მოგვითხრობს, აუცილებლად უნდა დავასახელოთ 1876 წელს ლონდონში ორ ტომად გამოცემული წიგნი „ყირიმი და ამიერკავკასია“ (The Crimea and Transcaucasia; being the narrative of a journey in the Kouban, in Gouria, Georgia, Armenia, Ossety, Imeritia, Swannety, and Mingrelia, and in the Tauric range). მისი ავტორია გაერთიანებული სამეფოს ფლოტის კაპიტანი, ლონდონის სიძველეთა საზოგადოების (Society of Antiquaries of London) წევრი, მოგზაური და მწერალი ჯონ ბუჩან ტელფერი (John Buchan Telfer 1830-1907). სამწუხაროდ, ამ პიროვნების შესახებ ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალა ინტერნეტში ნაკლებად მოიპოვება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით



საინტერესოა მისი გარდაცვალების შესახებ სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების (Royal Geographical Society) ჟურნალში (The Geographical Journal) დასტამბული ნეკროლოგი, საიდანაც ვიგებთ, რომ ჯ. ბ. ტელფერი აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1853-1856 წლებში გამართულ რუსეთ-თურქეთის ყირიმის ომში, რისთვისაც დაჯილდოებულ იქნა ბალტიური მედლით (7).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1870-იან წლებში ბრიტანელ მწერალს სამი წლით რუსეთის იმპერიაშიც უცხოვრია, რა დროსაც რუს ქალბატონ ეკატერინა მურავიოვაზე დაქორწინებულა. სწორედ ამ პერიოდში უმოგზაურია მას ყირიმსა და კავკასიაში ორჯერ (The Geographical Journal 1907: 97-98). ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული ვიზიტების დროს მას საქართველოს არაერთი ქალაქი და რეგიონი მოუწახვლებია, წარმოდგენილ ნაშრომში ზემოხსენებული წიგნის მხოლოდ იმ მონაკვეთს შევვებებით, რომელშიც იმერეთის შესახებაა გამახვილებული ყურადღება. ბრიტანელი ავტორის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას განსაკუთრებულად ფასეულს ხდის ის ფაქტი, რომ იგი მრავალფეროვანია და მეტწილად უშუალოდ მის მიერ მიღებულ შთაბეჭდილებებს წარმოადგენს.

მიუხედავად ჯონ ბუჩან ტელფერის ხსენებულ წიგნში არსებული ცალკეული უზუსტობებისა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული წიგნი უთუოდ უნდა იქნეს მიჩნეული მრავალმხრივ მნიშვნელოვან წყაროდ შესაბამისი პერიოდის იმერეთისა და ზოგადად საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

იმერეთში მოგზაურობასთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებებზე საუბრის დროს ჯ. ბ. ტელფერი გამორჩეულ ყურადღებას რეგიონის უმთავრეს ქალაქ ქუთაისთან და მის უმდიდრეს ისტორიასთან დაკავშირებული ამბების მოთხრობას უთმობს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ისტორიული მოვლენების აღწერის პროცესში ბრიტანელი მწერალი არაერთ უცხოურ წყაროსა და ისტორიკოსის ნააზრევს იშველიებს. ამდენად, მიუხედავად რიგ შემთხვევებში დაშვებული ფაქტობრივი უზუსტობებისა, ნაშრომში წარმოდგენილი ავტორისეული შეხედულებები მაინც ძალზე ფასეულად და ყურადსაღებად უნდა ჩაითვალოს. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებთ შესაბამის ციტატებს წიგნიდან:

„იმერეთის მთავარი ქალაქი, რომელსაც პროკოფიუსი (იგულისხმება ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი – ო. ნ.) კუტაიად მოიხსენიებდა, აიეტის რეზიდენციას წარმოადგენდა, სადაც 3000 წლის წინ კოლხეთში ლაშქრობის დროს, საბერძნეთის გმირების მეთაურმა იაზონმა მოხუცი მეფის ქალიშვილის მოჯადოებით ნანატრი ოქროს საწმისი მოიპოვა...

როგორც საქართველოს ისტორიულ ქრონიკებში ვკითხულობთ, იმერეთის სამეფოს უძველესი სახელწოდება ეგრისი იყო, მაშინ როდესაც იგი პატრიარქ თარგამოსის ერთ-ერთი ვაჟის - ეგროსის სამეფოს ნაწილს წარმოადგენდა. მეექვსე საუკუნეში ეგრისი ლაზეთს მიეკუთვნა, კუტაიას

კი ქუთათისიუმი ეწოდა...

აფხაზეთის პირველმა მეფემ ლევანმა (აქ ავტორი გულისხმობს აფხაზთა სამეფოს მეფეს ლეონ II-ს (778-792), თუმცა მისი მოღვაწეობის წლები შეცდომით არის მითითებული - ო. ნ.)... ქალაქს დამცავი ციტადელი შემოავლო და ანაკოფიის შემდეგ იგი მის მეორე დედაქალაქად აქცია; ეს ქალაქი ამჟამად ქუთაისია (Koutais), რომელიც რიონის სანაპიროებზეა გაშენებული და ულამაზესი პეიზაჟებითაა გარშემორტყმული...

რიონის მარჯვენა ნაპირზე მდებარე გორაკზე მასიური ნაშთებია მიმოფანტული, რომელიც, დიდი ალბათობით, პროკოპიუსის მიერ ნახსენები უქიქერიონის ციხესიმაგრე უნდა იყოს. ამ სამეთაურო პოზიციის ბოლო სიმაგრე 1769 წელს გენერალმა ტოტლებენმა გაანადგურა, როგორც თავად მეფისა და მისი აჯანყებული ქვეშევრდომების მიერ მიწვეულმა მოკავშირემ, თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი იმერეთში შესულ რუსულ ძალებს ედგა სათავეში.

მთის მწვერვალზე წმიდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი დიდებული საკათედრო ტაძრის ნანგრევებია. ეს ტაძარი საქართველოს მეფის - ბაგრატ III-ის მიერ იქნა აგებული. იგი ბიზანტიური, თუ რომაული ჯვრის ფორმისაა, რომლის ნავის სიმაღლე 112, ტრანსეპტების სისქე კი 83 ფუტი იყო; საკათედრო ტაძარი სომხური და ბიზანტიური არქიტექტურის ნაზავს წარმოადგენს და საქართველოში მსგავსი სტილის პირველი ნაგებობაა. ამ დროიდან მოყოლებული, ყველა ეკლესია მსგავსი ფორმით იგებოდა...

1691 წელს ტაძრის ტერიტორიაზე დაზანაკებულმა თურქებმა კათედრალი გაანადგურეს, მისი მარმარილოს სვეტები კი სამცხეში გადაიტანეს...

ბაგრატი, მისი ვაჟი გიორგი I და მათი რამდენიმე მემკვიდრე ამ საკათედრო ტაძარშია დაკრძალული, თუმცა სამეფო საფლავების ადგილსამყოფელი დაკარგულია...

კათედრალის აღმოსავლეთით XIV საუკუნეში ქართველების მიერ პატარა ეკლესია იქნა აგებული, რომელიც თურქების მიერ 1671 წელს მეჩეთად გადაკეთდა, ამჟამად კი იგი ტყვია-წამლის საწყობად გამოიყენება, რუსი დარაჯი იცავს, რის გამოც ჩვენ მასთან მიახლოების საშუალება არ მოგვეცა“ (Telfer 1876: 30-34).

ჯ. ბ. ტელფერის წიგნში საინტერესოდ არის აღწერილი და შეფასებული ქუთაისში იმხანად არსებული სავაჭრო-ეკონომიკური მდგომარეობა. ხსენებულ საკითხზე საუბრის დროს ბრიტანელი ავტორი ხაზგასმით მიუთითებდა იმ უარყოფით როლზე, რომელიც რკინიგზის გვერდის ავლამ მოახდინა ქალაქის განვითარებაზე. მოგზაური გაცემბას გამოხატავს როგორც ქუთაისში იმხანად არსებულ ძალზე მაღალ ფასებთან, ისე ქალაქის ვიზუალურ მხარესთან დაკავშირებით. იგი იმდენად მოხიბლულა ქუთაისის სილამაზით, რომ მისი აღწერის დროს აღმატებულ ეპითეტებსაც ხშირად იყენებს ხოლმე. მეტი სიცხადისათვის მოვიყვანო

შესაბამის ციტატას წიგნიდან:

„ციტადელის ძირში არის ლა ფერმე (La Ferme – აღნიშნული სიტყვა ფრანგულია და ქართულად ნიშნავს ფერმას – ო. ნ.) და ბოტანიკური ბაღი, სადაც ლამაზი კორპის ხეები, საოცარი მაგნოლიები და დაფნებია. მდინარის გადაკვეთისას ჩვენ წავედით ბაზრობაზე. გრძელ პასაჟებიან ქუჩებში გაკეთებული დახლებისა და მაღაზიების მეპატრონეები ძირითადად სომხები და ებრაელები არიან, რომლებსაც, როგორც ჩანს, საკმარისი ოდენობით მცირე ბიზნესი ჰქონდათ ხელთ. ქუთაისის მნიშვნელობა და მისი ვაჭრობა სერიოზულად დააზარალა ქალაქიდან ხუთი მილის დაშორებით ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობამ, რომელიც, როგორც ამბობენ, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გზითა და რამდენიმე მიწათმფლობელის ინტერესების გათვალისწინებით მოხდა.

ბაზრობის მთავარ განმასხვავებელ ნიშანს მზინვარე შავ ფერში ლამაზად შესრულებული ორნამენტები წარმოადგენს... არსებობს მრავალი სახის ადგილობრივი ქსოვილი, რომელიც უხეში და წყალგუმტარი მასალისაა. ფასები ქუთაისშიც მაღალია, სადაც უცხო ადამიანი კვლავ აწყდება იმ ამაზრუნ პრაქტიკას, როდესაც მას იმაზე მეტს სთხოვენ, ვიდრე თავად ვაჭარი არის მზად გადაიხადოს თავის საქონელში“ (Telfer 1876: 34).

ზემოთ განხილული არაერთი საკითხის გარდა, ბრიტანელი ავტორი ეთნოგრაფიული კუთხითაც გვთავაზობს მისეულ ანალიზს. კერძოდ, ჯ. ბ. ტელფერის მიერ წიგნში დეტალურადაა აღწერილი ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ საზოგადოებაში სხვადასხვა კლასობრივ წარმომადგენელ ქალთა და მამაკაცთა ჩაცმულობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხსენებულ თემაზე საუბრის დროს ბრიტანელი მოგზაური იმ დროისათვის ფართოდ დამკვიდრებულ მავნე ტრადიციას იმეორებს და ქართველებად მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებლებს მოიხსენიებს, იმერლებს კი ცალკე ეთნიკურ ჯგუფად გამოყოფს. ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებთ თავად წიგნის ავტორს:

„იმერეთში ქალების ჩაცმულობა ქართველებისას ჰგავს, რომლებსაც ისინი გარეგნული სიკარგითაც ბევრად სჭარბობენ და, სიმართლე ითქვას, უხეშობითაც. თუმცა, მიუხედავად ამისა, რაოდენ ნათელიც უნდა იყოს ქართველების თვალები, ისინი მაინც იმერლებს ემონებიან...

მამაკაცები ჩოხას (ტექსტში ტანისამოსი მოხსენიებულია როგორც ჩეკმეტი (tchekmett) – ო. ნ.) – ჩერქეზების გრძელკალთიან ქურთუკს ატარებენ, წელზე შემოკრული ლამაზი ქამრითა და მკერდის ორივე მხარეს „ვაზნის მილებით“ (k'hazyr)...

მუშათა კლასის წარმომადგენლები დიდ, ფართო ქურთუკებში ან განიერ პიჯაკებში არიან გამოწყობილნი. ეს კომპლექტი მუქი ყავისფერი ან ნაცრისფერი ადგილობრივი ქსოვილისგანაა დამზადებული; ფეხზე ისინი ქალამანს (kalabany), იგივე „სანდალს“, ატარებენ, თავზე კი ფაფანაკი (papanaky) ახურავთ – ტყავის, ქსოვილის ან აბრეშუმის პატარა ნაჭერი, რომელიც ნიკაპის ქვეშ სიმებით არის დამაგრებული; ხავერდის



ფაფანაკი, რომელსაც დიდგვაროვნები ატარებენ, ორნამენტებითა და ოქროსა და ვერცხლის ნაქარგებითაა მორთული. იმერლები, როგორც წესი, დაჯილდოებულნი არიან სქელი ბუჩქოვანი თმის სიმრავლით, რომელსაც ისინი საკმარის დაცვად მიიჩნევენ წვიმისა და სიცხისგან! მუსულმანი დამპყრობლები მათ ბაშაშიკებს (bashashyk), იგივე „შეუნიღბავ თავებს“ უწოდებდნენ (Telfer 1876: 34-35).

ზოგადად წერიტი ინფორმაციების გარდა, ჯ. ბ. ტელფერი საქართველოს იმჟამინდელი საზოგადოების წინაშე მდგარ არაერთ პრობლემაზეც ამახვილებს ყურადღებას. ამ კუთხით იგი განსაკუთრებულ ხაზგასმას ქალთა უფლებების შელახვასა და ადრეული ქორწინების მანკიერ პრაქტიკაზე აკეთებს. წიგნში საინტერესო ცნობებია მოცემული იმდროინდელ ქუთაისში გამორჩეული ადგილისა და მნიშვნელობის მქონე წმინდა ნინოს სემინარიასთან დაკავშირებითაც. ამ მხრივ ჯ. ბ. ტელფერი სამართლიანად შენიშნავს, რომ როგორც ზემოხსენებული სასწავლებელი, ისე კავკასიაში არსებული გოგონათა ყველა სკოლა, პირდაპირ იყო დაქვემდებარებული რეგიონის მეფისნაცვლის ოჯახის პოლიტიკურ ნებას. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მოვიყვანთ შესაბამის ადგილს წიგნიდან:

„წმინდა ნინოს სემინარია მშვენიერი შენობაა, სადაც სამოცდაათამდე პატარა ქალწული კეთილსინდისიერად, სისუფთავესა და წესრიგში იღებს განათლებას; თუმცა მოჩვენებითად კარგი დისციპლინა აშკარად ტოვებს უკეთესის სურვილს. აქ ყველა ეროვნებისა და აღმსარებლობის შვილები იღებენ განათლებას, თუმცა იმერელებს, ქართველებსა და სომხებს შორის გავრცელებული ადრეული ქორწინების პრაქტიკის გამო, მოსწავლეები იშვიათად იღებენ რაიმე კვალიფიკაციას. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, ქალს თექვსმეტი წელი მაინც უნდა ჰქონდეს შესრულებული გათხოვებამდე, ხშირია ადრეულ ასაკში ქორწინებებიც კი, რაც კანონის დარღვევით მოქმედებასა და მის უგულებელყოფას უწყობს ხელს. ადრეული ქორწინების ტრადიცია შესაძლოა იმ დროიდან იღებდეს სათავეს, როდესაც ამ მხარის მაჰმადიანი მმართველების ავტორიტეტმა სიხარბემ საფრთხის ქვეშ დააყენა ყველა ახალგაზრდა ქალის თავისუფლება და ღირსება, რომლებსაც ხშირად ყიდდნენ კიდეც მათი სასტიკი ნათესავები და მეურვეები...“

სემინარიასთან ახლოს არის სკოლა ღარიბებისთვის (Ragged School – მსგავსი ინსტიტუცია, როგორც საქველმოქმედო დაწესებულება, XIX საუკუნეში არსებობდა გაერთიანებულ სამეფოში – ო. ნ.); სწავლება ორივე დაწესებულებაში რუსულ ენაზე, თუმცა ნაკლებ იმედის მომცემი შედეგებით, მიმდინარეობს. წერისა და არითმეტიკის გარდა, სემინარიაში ფრანგულიც ისწავლება.

კავკასიაში მოქმედი გოგონათა ყველა სკოლა მის საიმპერატორო უმაღლესობას, დიდ ჰერცოგინია ოლგა ფეოდოროვნას ექვემდებარება. იგი გენერალ-გუბერნატორის მეუღლეა (აქ ბრიტანელი ავტორი გულისხმობს 1863-1881 წლებში კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ რომანოვის მეუღლეს

ოლღა ფიოდოროვნას (Grand Duchess Olga Feodorovna of Russia - 1839-1891), რომელიც დაბადებით სესილია ავგუსტა ბადენელი (Cäcilie Auguste of Baden) იყო (ო. ნ.); პროვინციის გუბერნატორის ქალბატონი მათ მფარველად მიიჩნევა“ (Telfer 1876: 35-37).

გარდა ზემოთ განხილული საკითხებისა, ჯ. ბ. ტელფერი ისეთ სპეციფიკურ პრობლემასაც ეხება, რომელიც ღვინით ვაჭრობის აკრძალვასთან იყო დაკავშირებული. ავტორის შეფასებით, აღნიშნულ აკრძალვას არა მხოლოდ კონკრეტული სფეროს განვითარებისთვის დაუსვამს დადი, არამედ მოსახლეობის დიდი ნაწილის ფინანსური მდგომარეობისთვისაც. აი, როგორ არის ყოველივე ზემოთქმული ჯ. ბ. ტელფერის წიგნში გადმოცემული:

„იმერეთის აზნაურები ხშირად რთულ ვითარებაში არიან. „რატომ არ ყიდით თქვენს სიმინდს და ღვინოს?“ – გავესაუბრე ერთს, ვინც ჩიოდა, რომ დიდი ქონების მიუხედავად, მას არასოდეს ჰქონდა ნაღდი ფული, მათ შორის კარგი მოსავლის მიღების შემდეგაც კი. მისი თქმით, „თუ მოსავალი კარგია, რა თქმა უნდა, მაშინ სხვებიც ჩემსავით კარგად უზრუნველყოფილნი არიან და მათ არ სჭირდებათ შეძენა; მაშ, როგორ გავყიდო! ამდენად, ჩვენ ერთმანეთს ვუმასპინძლებით, ვილხენთ და ვსვამთ. ხოლო თუ სეზონი ცუდია, ბუნებრივია, ვერ გავყიდი მას, რაც ჩემი მოხმარებისთვის არის საჭირო; ასე რომ, თავად მიხვდებით, რამდენად ძნელია ნებისმიერი ჩვენგანისთვის ფულის ოდესმე ხელში ქონა!“ (Telfer 1876: 38).

აღსანიშნავია, რომ ჯ. ბ. ტელფერის მიერ აღწერილი ღვინით ვაჭრობის აკრძალვა რუსეთის იმპერიას კიდევ არაერთგზის გამოუყენებია ეკონომიკურ სადამსჯელო ზომად კავკასიელთათვის, რის შედეგადაც რეგიონის მოსახლეობას კონტრაბანდული ალემ-მიცემობისათვის მიუყვია ხელი. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას რამდენიმე უცხოური წყაროც ადასტურებს. ერთ-ერთი მათგანია 1922 წელს ლონდონში გამოცემული წიგნი „მოხეტიალის დღიურები: რამდენიმე მოგონება ინდოეთში, შორეულ აღმოსავლეთში, რუსეთში, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და კიდევ სხვადასხვა მხარეში მოგზაურობათა შესახებ“, რომლის ავტორიცაა ბრიტანელი ადვოკატი, ჟურნალისტი და მწერალი კარლ ერიკ ბეჩჰოფერ რობერტსი (Carl Eric Bechhofer Roberts – 1894-1949). იგი გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდა კიდევ ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ, ქალაქ ბათუმში. რაც შეეხება რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიაში ღვინით ვაჭრობის აკრძალვის შედეგად წარმოქმნილ პრობლემებს, იგი კ. ე. ბ. რობერტსის ზემოხსენებულ წიგნში შემდეგნაირადაა აღწერილი:

„კავკასიაში ღვინო კონტრაბანდულ საქონლად ომის (იგულისხმება I მსოფლიო ომი – ო. ნ.) დაწყებისთანავე იქცა, მაშინ როდესაც რუსეთის იმპერიის მთელს ტერიტორიაზე ყველა სახის ძლიერი სასმელის გაყიდვა იქნა აკრძალული საჯაროდ. თუმცა მოსალოდნელი არ იყო, რომ ღვინის ისეთი მწარმოებელი და მომხმარებელი ქვეყანა, როგორც კავკასია, ამ აკრძალვას დაემორჩილებოდა. გარეგნულად ჩვენ ეს გავაკეთეთ. ვაზი ჩვენს

პლანტაციებში ჯერ კიდევ იმდენად ახალგაზრდა იყო, რომ მისგან კარგი ღვინის დაყენებას ვერ შევძლებდით, ამიტომ სხვაგან გადავწყვიტეთ მისი შოვნა“ (Roberts 1922: 138-140).

ჯ. ბ. ტელფერის ხსენებულ წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი გელათის მონასტრის აღწერას. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ საკითხზე საუბრის დროს ბრიტანელი ავტორი საკმაოდ ვრცელ ისტორიულ ექსკურსსაც გვთავაზობს. ჯ. ბ. ტელფერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მის მიერ ამ კუთხით დაშვებული რამდენიმე ფაქტობრივი შეცდომისა, ავტორისეული მონათხრობი შეესაბამება სიმართლეს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გელათის გარდა, ტექსტში მოწამეთის მონასტერიცაა მოხსენიებული. ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად დავიმოწმებთ შესაბამის ციტატას:

„დილის 11 საათზე ქუთაისი დავტოვეთ და გელათის სახელგანთქმული მონასტრისაკენ გავემართეთ. გზად მისი უბრწყინვალესობა გუბერნატორის მიერ ჩვენთვის გამოგზავნილი იმერეთის მილიციის ოფიცერი მიგვაცილებდა, თავაზიანი და გონიერი კომპანიონი, რომელიც თავისუფლად საუბრობდა რუსულად.

ქალაქის დატოვებისას გავიარეთ ებრაული კვარტალი, სადაც ბევრი ლამაზე სახე დავინახეთ... ჩვენ შევხვდით რამდენიმე ორთვალას, რომელსაც ხარი მიათრევდა... იგი აფხაზური წარმომავლობისაა და მას ძირითადად იმერეთსა და გურიაში იყენებენ... მონასტერთან მისასვლელი გზა ციცაბო და უხეშია. მიუხედავად იმისა, რომ გელათი ქალაქიდან მხოლოდ ექვსნახევარი მილის დაშორებით მდებარეობს, ჩვენ მაინც საათ-ნახევარი დაგჭირდა ორცხენშებმული ეტლით ამ მანძილის დასაფარად.

გელათის მონასტერი მაღალი დამცავი გალავნის შიგნით მდებარეობს და საეპისკოპოსო ტაძარსაც მოიცავს, რომელიც გიორგი II-მ თავისი მფარველის სახელზე ააგებინა. იგი მიცვალებულთა განსასვენებელიცაა. თავად სახელწოდება კი, მ. ბროსეს მოსაზრებით, ბერძნული სიტყვიდან – „დაბადება“ მომდინარეობს. ტაძარი ღვთისმშობლის შობის სახელზე არის ნაკურთხი. ზუსტად არცერთი საბუთით არ არის ცნობილი, თუ როდის და ვის მიერ იქნა დაარსებული ეს ეკლესია, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი დავით II აღმაშენებელმა ააღდგინა, რომელიც 1089-1125 წლებში იყო ქართლისა და აფხაზეთის მეფე. მეცამეტე საუკუნეში იგი არღუნმა (Arghouny) დაარბია. დავით V-ის ძებნის დროს მან იმერეთი ააოხრა, მუსულმანთა ბატონობის დროს კი იგი კვლავ აღდგა და 1519 თუ 1529 წელს მისი სტატუსი საეპისკოპოსომდე ამაღლდა...

საგანძურში დაცულია ბიზანტიური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში – იმერეთის მეფეთა გვირგვინი, დამშვენებული მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების გამოსახულებებით, ასევე, მარგალიტებითა და მდიდარი ძვირფასეულობით უხვად შემკული ოქროს ნაქსოვი ქუდი. აქვეა ოქროს ქსოვილისგან დამზადებული სამეფო და საეკლესიო სამოსი, მარგალიტებითა და ძვირფასი თვლების საოცარი სიუხვით მოქარგული



უზარმაზარი ოქროს ბეჭედი, რომელსაც, როგორც ამბობენ, დიდი დავითი ატარებდა, აგრეთვე რამდენიმე ჭიქა და სხვა ნატიფი, დახვეწილი წრიული ფორმის თხელი ოქროთი დაფარული ვერცხლის ჭურჭელი და თეფშის ფრაგმენტი, რომელზეც ლომზე გადამჯდარი წმინდა იერონიმეა გამოსახული.

რელიკვიათა შორისაა ღვთისმშობლის შავი პორტრეტი, რომელიც წმინდა ლუკა მახარობლის მიერაა შესრულებული... ყველაზე ძველია იოანეს სახელით ცნობილი მხსნელის გამოსახულება, რომელიც, სავარაუდოდ, 800 წლისაა.

კიდევ ერთი გამოსახულება აწყურისაა, რომელიც სპონტანურად შეიქმნა და თავად ღვთისმშობელმა გადასცა წმინდა ანდრიას საქართველოში გამგზავრების წინ, ქრისტიანობის გასავრცელებლად.

სამლოცველოში რამდენიმე მეფეა დაკრძალული, რომელთა საფლავებიც მასიური ქვის ფილებითაა მორთული, მათგან ერთი კი მიიჩნევა, რომ დავით აღმაშენებლის განსასვენებელი უნდა იყოს...

საკურთხეველში იყო ჯვრის ფირფიტებით მორთული რკინის კარიბჭის ნაწილი, რომელიც, გადმოცემის თანახმად, დავით მეფის მიერ წამოღებული დერბენდის ერთ-ერთი კარი უნდა ყოფილიყო; მაგრამ, მ. ბროსეს მოსაზრებით, ეს განჯის, ამჟამინდელი ელიზავეტოპოლის, კარიბჭის ნაწილია. იგი 1138 წელს დავითის ძემ და მემკვიდრემ დიმიტრი I-მა ჩამოიტანა. მისი ნეშტიც, სავარაუდოდ, იმავე სამლოცველოშია.

არსებობს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ აქ არის დაკრძალული თამარ მეფეც. ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ იგი ვარძიაში გადაიყვანეს; თუმცა ვახუშტი მისი გარდაცვალების შესახებ ჩანაწერში ამტკიცებს, რომ დედოფლის ცხედარი რამდენიმე დღის განმავლობაში ჯერ მცხეთაში იქნა გადასვენებული, ბოლოს კი იგი გელათში დაკრძალეს დიდი მეფეებისა და მისი წინაპრების საფლავებს შორის...

ცოტა მოშორებით იდგა სოხასტერის დედათა მონასტერი, რომელიც ბოლო პერიოდში ამ მონასტერთან არასასურველი სიახლოვის გამო დაკნინდა, ამჟამად კი სულაც ინგრევა; ზემოთ, კლდეებს შორის, ეკლესიის უკან, კლდეში ჩალრმავებული უამრავი პატარა სავანეა, თუმცა ჩვენ მათ სამეზობლად სიმაღლეზე აღარ ავსულვართ.

გელათი საუკუნეების მანძილზე ბაგრატიდების, იმავე ბაგრატიონების საყვარელი სამარხი იყო. მიიჩნევენ, რომ ბაგრატიონები ბიბლიური დავითიდან მომდინარეობდნენ და მათ 1800 წლამდე უწყვეტად ეკავათ საქართველოს სამეფო ტახტი...

საქართველოს ტახტზე ბაგრატიდის მიერ პირველი მოსვლა გურამს (Gouram) უკავშირდება, რომელიც ხოსროიდთა დინასტიის წარმომადგენლის ვახტანგ გორგასლის შთამომავალი იყო ქალის ხაზით...

საქართველოს მეფეთა ტახტზე ბაგრატიდებმა ხოსროიდები შეცვალეს; რომელთა წინაც არშაკიდები იყვნენ, მის წინ ნებროთიანები, სულ თავიდან კი ქართლოსიანები, რომლის სახელწოდებაც თარგამოსის

შვილ ქართლოსთანაა დაკავშირებული.

გელათსა და ქუთაისს შორის, მაგრამ „წითელი მდინარის“ საპირისპირო მხარეს, მოწამეთის (Metzamety) კიდევე ერთი, დიდებული მონასტერია; სადაც ქართულ ეკლესიაში პატივსაცემი ორი მოწამის – დავითისა და კონსტანტინეს საფლავებიცაა, რომლებიც 730 წელს დაიღუპნენ“ (Telfer 1876: 40-48).

საქართველოში ყოფნის დროს ჯ. ბ. ტელფერი არაერთ საინტერესო პიროვნებას შეხვედრია, რომელთაგანაც აუცილებლად უნდა დავასახელოთ ალპინისტთა კლუბის (Alpine Club) წევრები. აღსანიშნავია, რომ ხსენებული ორგანიზაცია 1857 წლის 22 დეკემბერს იქნა დაარსებული ლონდონში და დღესაც მოქმედ უძველეს ალპინისტურ კლუბს წარმოადგენს. რაც შეეხება ჯ. ბ. ტელფერის მიერ მოხსენიებულ პირებს, ისინი იყვნენ: ფლორენს კროუფორდ გროუვი (Florence Crauford Grove – კლუბის პრეზიდენტი 1884-1886 წლებში), ჰორას უოკერი (Horace Walker – კლუბის პრეზიდენტი 1890-1892 წლებში), ადოლფ უორბარტონ მური (Adolphus Warburton Moore – იმდროისათვის ალპინისტური კლუბის მდივანი) და ფრედერიკ გარდნერი (Frederick Gardner). მათი კავკასიაში ყოფნის მთავარ მიზანს კი, როგორც ინტერნეტით მოძიებული წყაროებიდან ირკვევა, იალბუხსა და ყაზბეგზე ექსპედიციის მოწყობა ყოფილა, რაც წარმატებით განუხორციელებიათ კიდეც. რაც შეეხება ჯ. ბ. ტელფერის ზემოხსენებულ პიროვნებებთან შეხვედრას, იგი წიგნში შემდეგნაირადაა აღწერილი:

„დიდი სიამოვნება მქონდა, ქუთაისში მეორედ შევხვედროდი ალპინისტური კლუბის ოთხ წევრს, რომლებიც ახლახან ჩამოვიდნენ ინგლისიდან და იმ ექსპედიციაში ირიცხებოდნენ, რომელსაც რამდენიმე დიდი მთის ქედი უნდა დაელაშქრა. მე სასიამოვნოდ გავატარე სასტუმროში დრო მათ საზოგადოებაში და მოხარული ვიყავი, რომ შესაძლებლობა მომეცა ასეთ შესანიშნავ მეგობრებთან ერთად მემოგზაურა, მაგრამ, ვინაიდან ჩვენი მიზნები განსხვავდებოდა, ჩემი და მათი გზები კი სხვადასხვა მიმართულებით მიდიოდა, მე დიდი სინანულით დავემშვიდობე მათ და ისევ მარტო აღმოვჩნდი. ისინი კი დღისით ონში უნდა წასულიყვნენ ფეხით, რაჟის მაზრაში“ (Telfer 1876: 38-39).

მნიშვნელოვანია, რომ წიგნის იმ ნაწილში, სადაც სვანეთში გასამგზავრებლად სამზადისია აღწერილი, ჯ. ბ. ტელფერი ქუთაისის, როგორც დასავლეთ საქართველოს ტურისტული ჰაზის, ფუნქციაზეც ამახვილებს ყურადღებას. ზემოთქმულის გარდა, ნაშრომის ეს მონაკვეთი იმითაცაა ყურადსაღები, რომ ბრიტანელი მწერალი თხოობის დროს რამდენიმე საინტერესო პიროვნების შესახებაც გვაწვდის ინფორმაციას. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ლეჩხუმის მაზრის იმდროინდელი ხელმძღვანელი, რომელსაც უდიდესი ყურადღება გამოუჩენია ბრიტანელი სტუმრის მიმართ. თუმცა, მიუხედავად ამისა, წიგნში მისი სახელი მოხსენიებული არ არის. გარდა ამისა, ჯ. ბ. ტელფერი კიდევე ერთი საინტერესო ადამიანის შესახებაც საუბრობს, რომელსაც,

როგორც ფრანგული ენის მცოდნეს, დიდი დახმარება გაუწევია მისთვის. ხსენებული პიროვნება პოლ (პავლე) ბაკუას (Paul Bakoua) სახელითაა მოხსენიებული. სხვა დამატებითი ინფორმაცია მის შესახებ ჯ. ბ. ტელფერის ხსენებულ წიგნში მოცემული არაა. მიუხედავად ამისა, ჩემ მიერ მიკვლეულ იქნა ფლორენს კროუფორდ გროუვის წიგნი „ყინვაგამძლე კავკასიონი“, რომელშიც პოლ ბაკუა ქართულის გარდა, რუსული, თურქული და ფრანგული ენების მცოდნედაცაა მოხსენიებული (Grove 1875: 17). სვანეთში ჯ. ბ. ტელფერის გასამგზავრებლად სამზადისი და ზემოთქმულ პიროვნებებთან მისი შეხვედრა კი წიგნში შემდეგნაირადაა აღწერილი:

„უდავოა, რომ ქუთაისი ყველაზე მოსახერხებელი ადგილია სვანეთში გასამგზავრებლად. გონივრული არ არის მოგზაურს ამ მაზრაში მარტო მოგზაურობა ურჩიო; ამიტომ სამოგზაურო ჯგუფი არანაკლებ ოთხი ადამიანისგან მაინც უნდა შედგებოდეს, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად უნდა იყოს კარგად შეიარაღებული, კარვით აღჭურვილი პიროვნებები და სამზარეულოს ჭურჭლისა და საკვების კარგი მარაგი, მარილისა და ნამცხვრების საკმარისი რაოდენობის ჩათვლით, რადგან მთაში პური უგემურია... აქედან გამომდინარე, ცხენები ქუთაისში უნდა იყიდო, სადაც მათი ფასი დაახლოებით 70 მანეთია, მოხმარების შემდეგ კი მისი გადაყიდვაცაა შესაძლებელი. დიდი სირთულე არ იქნება სვანეთისთვის გიდების ლაილაშში უზრუნველყოფა (ამ რეგიონში ბრიტანელი ავტორის მოგზაურობის დროისათვის ლეჩხუმის მაზრა (1867-1930 წწ.), ალპანისა და ცაგერის გარდა, სვანეთის საბოქაულოსაც მოიცავდა და მის ადმინისტრაციულ ცენტრს სწორედ სოფელი ლაილაში წარმოადგენდა – ო. ნ.), რომელიც 42 მილითაა დაშორებული ქუთაისს, მაგრამ თუ მათი პოვნა ამ ქალაქში შეუძლებელი გახდა, ახალი მამაკაცების შერჩევამდე, დასახმარებლად ნებისმიერ შემთხვევაში მათ ქუთაისის პოლიციის უფროსს ან ლაილაშის მამასახლისს უნდა მიმართონ.

სვანეთში მოგზაურობისთვის მზადების პროცესში, ქუთაისში მყოფმა იმ მაზრის ხელმძღვანელმა გაიგო რა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორიის მონახულებას ვაპირებდი, გამოიჩინა კეთილგანწყობა და დამპატიჟა, რათა თან გავყოლოდი ინსპექტირების ტურში, რომელიც მას მაშინვე უნდა განეხორციელებინა ენგურის ზემო ხეობაში. შეუძლებელია, უცნობი ადამიანის მხრიდან ასეთი მოულოდნელი თავაზიანობის სრულად შეფასება, რადგან ეს მოწვევა ჩემთვის თითქმის უცნობ რეგიონში მოგზაურობის პერსპექტივას, სრული დაცვით, ყველა უპირატესობითა და კომფორტით უზრუნველყოფდა, მაღალი რანგის რუს ჩინოვნიკ თანამგზავრთან ყოფნის სიამოვნებასთან ერთად, კავკასიის ყველაზე ბარბაროს და არასტუმართმოყვარე მოსახლეობას შორის. მე მაშინვე გავთავისუფლდი ყოველგვარი სიძნელისა და მღელვარებისგან, რადგან ჩემი გეგმები საგრძნობლად შეიცვალა იმ განსაკუთრებულად ხელსაყრელი გარემოებების გათვალისწინებით, რომლებშიც ჩემი დაგეგმილი მოგზაურობა უნდა განხორციელებულიყო, ხოლო პოლკოვნიკმა კეთილ-



განწყობილი დაჟინებით მოითხოვა ცხენების, ბარგისა და სურსათ-სანოვანის საკითხების მასთან შეთანხმება, ჩვენი გამგზავრება კი დილისთვის გადაწყდა“ (Telfer 1876: 48-49).

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ჯონ ბუჩან ტელფერის წიგნი „ყირიმი და ამიერკავკასია“ გადაუჭარბებლად შეიძლება იქნეს მიჩნეული მრავალმხრივ მნიშვნელოვან უცხოურ წყაროდ შესაბამისი პერიოდის იმერეთისა და ზოგადად საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

#### გამოყენებული ლიტერატურა

გურული 2017: გურული ვ., საქართველოს ახალი ისტორია. წიგნი I. თბილისი, 2017.

ტყეშელაშვილი 2007: ტყეშელაშვილი ლ., გელათი „მეორე იერუსალიმი, სხვა ათინა“. ქუთაისი, 2007.

Grove 1875: Grove F. C., The Frosty Caucasus' A Ccount of A Walk Through Part of The Range and of a Scent of Elbruz in the Summer of 1874. London, 1875.

Roberts 1922: Roberts C. E. B., A wanderer's log: being some memories of travel in India, the Far East, Russia, the Mediterranean & elsewhere. London, 1922.

Telfer 1876: Telfer J. B., The Crimea and Transcaucasia; being the narrative of a journey in the Kouban, in Gouria, Georgia, Armenia, Ossety, Imeritia, Swannety, and Mingrelia, and in the Tauric range, Volume II. London, 1876.

The Geographical Journal, including the proceedings of the Royal Geographical Society, Vol. XXX – July to December 1907. London, 1907.

<https://www.britishmuseum.org/collection/term/BIOG131546>(დამოწმება: 10.01.2024).

<http://www.alpine-club.org.uk/> (დამოწმება: 10.01.2024).

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8063>

**იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) –  
ქართული ენის დამცველი**

**Bishop Gabriel (Kikodze) of Imereti -  
defender of the Georgian language**

**ლევან ტყეშელაშვილი**

გელათის სასულიერო აკადემია  
საქართველო, ქუთაისი

**Levan Tkeshelashvili**  
Theological Academy of Gelati  
Georgia, Kutaisi

**აბსტრაქტი**

XIX საუკუნის დასაწყისში ქართული სამეფო-სამთავროები იძულებითი წესით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. რუსული მმართველობა შეეცადა საგანმანათლებლო სივრცეში ქართული ენა სრულად ამოეღო და მის ნაცვლად რუსული ენა დაემკვიდრებინა. ქართული ენის დაცვის საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძეს (1860-1896), რომელსაც თავად რუსული განათლება ჰქონდა მიღებული, თუმცა კარგად უწყობდა იმ საფრთხის შესახებ, რაც ქართულად განათლების მიღების აკრძალვას შეიძლება გამოეწვია. გაბრიელ ეპისკოპოსი აღნიშნულ საკითხში შეუვალა და არ ერიდებოდა მაღალი რანგის რუს ჩინოვნიკებსა და თვით საქართველოს ეგზარქოსს. იგი რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით არგუმენტირებულად ასაბუთებს ქართველთათვის მშობლიურ ენაზე სწავლის უპირატესობასა და აუცილებლობას, თუმცა არ უარყოფს ქართულის შემდეგ რუსული ენის შესწავლის აუცილებლობას.

გაბრიელ ეპისკოპოსი წერილში დაუფარავად აცხადებს, რომ რუსული მმართველობის პირობებში დაფარული უკიდურესი საშუალებებით საქართველოში სამღვდელთა წაერთვა წმინდა უფლება, რათა აღზარდონ მართლმადიდებელი მრწამსით ხალხი და ამის გამო სამრევლო სკოლების მთავარი მიზანი გახდა რუსული ენის შესწავლა რელიგიის ნაცვლად. ამგვარ მიდგომას ქართველი მღვდელმთავარი გაუკუღმართებულ სწავლებას უწოდებს, რადგან ამ შემთხვევაში ქართველები ვერ იღებდნენ სარწმუნოებრივ განათლებას და ეს კიდევ უფრო მეტ პრობლემას იწვევდა.

ვფიქრობთ, გაბრიელ ეპისკოპოსის წერილი მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო; მღვდელმთავარი ხსნის და უარყოფს რუსული იმპერიის მხრიდან მომდინარე საფრთხეებს, აქარწყლებს მათ და ესარჩლება ქართველ სამღვდლოებს. ამასთანავე, მიუთითებს რუსული განათლების უარყოფით მიდგომებზე, რაც პრობლემებს იწვევდა ქართველ ხალხში.

**საკვანძო სიტყვები:** ქუთაის-გაენათის ეპარქია, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე), საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა.

#### ABSTRACT

In the early 19th century, the Georgian principalities were forcibly incorporated into the Russian Empire. The Russian government attempted to eradicate the Georgian language from educational settings and replace it with Russian. Bishop Gabriel Kikodze of Imereti (1860-1896) made a significant contribution to the preservation of the Georgian language. Gabriel, an uncompromising figure, confronted high-ranking Russian officials and even the Exarch of Georgia, presenting factual arguments for the importance and necessity of Georgians learning their native language, while acknowledging the value of also learning Russian alongside Georgian.

In his letters, Bishop Gabriel openly criticized the Russian authorities for stripping the clergy in Georgia of their sacred right to educate people in the Orthodox faith. Under Russian rule, parish schools shifted focus from religious education to the study of the Russian language, depriving students of religious instruction and exacerbating societal issues. Bishop Gabriel's correspondence is intriguing from multiple perspectives; it elucidates the threats faced by the Georgian clergy under Russian rule, critiques Russian educational policies that caused unrest among the Georgian populace, and defends the integrity of the Georgian language“.

This version aims to clarify and enhance the original text for better readability and accuracy.

**Keywords:** Kutaisi-Gaenati Eparchy, Bishop Gabriel (Kikodze) of Imereti, struggle against Soviet language policy.

XIX საუკუნის დასაწყისში ქართული სამეფო-სამთავროები იძულებითი წესით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. რუსული მმართველობა შეეცადა, საგანმანათლებლო სივრცეში ქართული ენა სრულად ამოეღო და მის ნაცვლად რუსული ენა დაემკვიდრებინა. ქართული ენის დაცვის საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელ ქიქოძეს (1860-1896), რომელსაც თავად რუსული



განათლება ჰქონდა მიღებული, თუმცა მან კარგად უწყოდა იმ საფრთხის შესახებ, რაც ქართულად განათლების მიღების აკრძალვას შეიძლება გამოეწვია. გაბრიელ ეპისკოპოსი აღნიშნულ საკითხში შეუვალა და იგი არ ერიდება მაღალი რანგის რუს ჩინოვნიკებსა და თვით საქართველოს ეგზარქოსს და რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით არგუმენტირებულად ასაბუთებს ქართველთათვის მშობლიურ ენაზე სწავლის უპირატესობას და აუცილებლობას, თუმცა არ უარყოფს ქართულის შემდეგ რუსული ენის შესწავლის აუცილებლობას. გაბრიელ ეპისკოპოსმა სხვადასხვა დროს მტკიცედ დაიცვა ქართული ენა, იგი ასევე იცავდა ქართველ სამღვდელოებას, რომელიც ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა. პუბლიკაციაში პირველად ქვეყნდება გაბრიელ ეპისკოპოსის წერილის ძირითადი ნაწილი.

გაბრიელ ეპისკოპოსი ყველას საკადრის პასუხს სცემდა, ვინც ქართული ენის წინააღმდეგ ილაშქრებდა, მათ შორის გადაგვარებულ რენეგატ ქართველებსაც. ცნობილია, რომ მან საკადრისი პასუხი გასცა მეფის სენატორ, მონარქისტ გიორგი მუხრანსკის, რომელიც თავის ბროშურაში ურცხვად ამტკიცებდა ქართველი ხალხისა და მისი ენის შთანთქმის აუცილებლობას. გაბრიელმა გარუსებულ ქართველს საპასუხო წერილით მიმართა: „ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი არის ენა, მაშასადამე ისიც საჭირო არის ხალხის ბედნიერებისათვის... თუ ენას ასე დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტესად ძნელია და შეუძლებელი ხალხისთვის მისი მოსპობა“ (სხირტლაძე 1965: 180-181). გაბრიელ ეპისკოპოსმა კარგად აუხსნა გადაგვარებულ ქართველს ქართული ენის ღირსებები: „შენ ამბობ, რომ მცირე ხალხი თავის ღარიბი ენის საშვალეებით ვერ მიიღებს ცივილიზაციასო... რა დაგიშალა შენ ქართული ენის ცოდნამ? ...ქართველის და სომხების ენა თუმცა მცირე ხალხის ენები არის, მაგრამ არა ღარიბი. ამ ენებს აქვს მწიგნობრობა, ლიტერატურა, სამღვდლო წერილი და მრავალნი წმ. მამათა წერილნი ნათარგმნი; ამ ორ ენაზე ყოველი მეცნიერება და აზრი გამოითქმის; მათ აქვს ორი ათასი წლის მეტი ისტორია“... (მოამბე 1896: 97). მშობლიური ენის უფლებათა დაცვისათვის ბრძოლა გაბრიელ ეპისკოპოსმა განუყოფელად დაუკავშირა ქართულ ენაზე სწავლების აუცილებლობის მოთხოვნას. ეს ყველაზე მეტად იანოვსკისთან გამართულ ბრძოლაში გამოჩნდა (ნიკოლეიშვილი 1990: 31).

1892 წლის 24 მაისს რუსეთის წმინდა სინოდის ობერ-პროკურორის კანცელარიიდან გაბრიელ ეპისკოპოსი იღებს წერილს და აუწყებენ მღვდელმთავრის მიერ გაგზავნილ 18 იანვრით დათარიღებულ (№2610) კითხვებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო კავკასიაში საკვირაო სკოლების მდგომარეობაზე. მათ აცნობეს სახალხო განათლების მინისტრს (ფონდი 21, საქმე №18910).

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსისადმი გამოგზავნილი წერილი:

წერილში საუბარია საიდუმლო მრჩეველ იანოვსკის განცხადებაზე: „სამღვდელოებას შორის ძალზე ცოტანი არიან ისეთები, რომლებიც საკმარისად არიან მომზადებული კანონის სწავლებაში, ასევე, რუსული ენის ცოდნაში. სოფლის სამღვდელოებაში შეხვედები ისეთებსაც, რომლებიც საერთოდ ვერ ფლობენ რუსულ ენას. ქართველური ხალხების ჯგუფებს

მიეკუთვნებიან: ქართლელები, იმერლები, მეგრელები და სვანები. პირველი ორი ენა ძალზე ახლოა ერთმანეთთან, მაგრამ ორი უკანასკნელი ენა იმდენად შორია ქართველური ენისაგან, რომ სვანები და მეგრელები ვერც ერთმანეთს, ვერც ქართველებს და ვერც იმერლებს ვერ უგებენ. მეგრული და სვანური ენები უფრო შორს დგანან ქართული ენისაგან, ვიდრე პოლონური და ჩეხური რუსული ენისაგან“.

იგი წინააღმდეგი იყო, ასევე, რომ ქართველებს ესწავლებინათ სკოლებში, რადგან არ ენდობა მათ: „თუკი ხელმძღვანელმა არ იცის რუსული ენა, როგორ უნდა მოხდეს ამ საგნის სწავლება, ასევე სკოლის მასწავლებლებად არიან ქართველები, რომლებიც არ არიან სანდონი ჭეშმარიტი სარწმუნოების გავრცელებაში, რადგან ისინი ცხადად ამბობენ, რომ სამრევლო სკოლებში მთავარი ამოცანა არ არის გავრცელდეს რუსული ენა და კულტურა და რომ სარწმუნოების გადაცემა შესაძლებელია ქართული საეკლესიო წიგნებით. სკოლებში, რომლებიც ეკუთვნის ქართველ სამღვდლოებს და თავად არიან მასწავლებლები, ახალგაზრდა ქართველებში ტრიალებს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი ქართველი სამღვდლოება მონდომებულია გაავრცელოს ქართული ენა“...

აღსანიშნავია, რომ იანოვსკი თავის ვერაგ გეგმებს სარწმუნოების საფარველში მალავს და აღნიშნავს, რომ ქართული ენით ვერ მოხდება სარწმუნოების გადაცემა. ამას ამბობს იმ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ მეზუთე საუკუნეში გადათარგმნეს წმიდა წერილი ქართულ ენაზე, რომელმაც თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს ჯერ კიდევ შუასაუკუნეებში მიაღწია. თუმცა მისი მიზანი სულ სხვაა, რადგან ქართულ სკოლებში ასწავლიან ქართველი სამღვდლო პირები, ამის გამო ახალგაზრდა ქართველებში ძლიერია დამოუკიდებლობის იდეა, ანუ იანოვსკის გულისწუხილი არა სარწმუნოების გავრცელება, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეაა.

იანოვსკი შეგნებულად ავრცელებს სიცრუეს, რადგან წერილში აღნიშნავს, რომ ქართველი სამღვდლოება თითქოს მეგრელ და სვან ბავშვებს თავდაპირველად ასწავლის ქართულ ენას, ხოლო შემდეგ რუსულს. იგი წუხს, რომ საეკლესიო წიგნები ქართულ ენაზეა და თავში მოსდის აბსურდული იდეა, ღვთისმსახურების წიგნები ითარგმნოს მეგრულ და სვანურ ენებზე.

მისივე აზრით, „რას აკეთებს სამღვდლოება და მათი სკოლები? იმავე საფუძველზე ქართველ ხალხთა საეკლესიო წიგნები ქართულ ენაზეა, მეგრელ და სვან ბავშვებს, უპირველეს ყოვლისა, ასწავლიან ქართულ ენას, ხოლო შემდგომ რუსულ ენას. ორი ენის სწავლება კი ორ წლის განმავლობაში შეუძლებელია, ამიტომ ისინი, რასაკვირველია, ცდილობენ უფრო ქართული ენა შეასწავლონ. ქრისტიანული სწავლებისა და რუსული კულტურის გავრცელების ინტერესებშია, რომ სამეგრელოსა და სვანეთში საეკლესიო და სახალხო სკოლებში სასურველი იქნება ღვთისმსახურების წიგნები გადათარგმნილ იქნეს აღნიშნულ ენებზე. აღსრულდეს ღვთისმსახურება მათ ენებზე და მათ ნიადაგზე დაიწყოს რუსული ენის სწავლება სკოლებში, როგორც ეს ხდება სასწავლო დაწესებულებებში, მაგრამ ეს მხოლოდ

საეკლესიო სკოლებში უნდა მოხდეს. მიემართოს სასწავლო უწყებას, რათა გამოიცეს ლოცვები მეგრულ და სვანურ ენებზე. ხალხი, რომელმაც არ იცის ქართული ენა, ვერ გებულობს ღვთისმსახურებას, ამიტომ თითქმის არ დადის ეკლესიებში. ეს ახალი არგუმენტია სამღვდელოებისათვის, რათა ბავშვებს ასწავლონ ქართული ენა“. „მეგრულ ენაზე ლოცვებისა და ლიტურგიის გადათარგმნა სასწავლო უწყებას უკეთესად გარდაქმნის, უკუგდებული იქნება სამღვდელოების მცდელობები გადათარგმნის პროცესში შეცდომების დაშვებისა, მაგრამ არავინ არ მიუთითა შეცდომებსა და მათ გამოსწორებაზე. არის მცდელობანი ქართული ენის გავრცელებისა და ამ ენაზე ღვთისმსახურების ჩატარებისა. ქართული ენა არა მხოლოდ ღვთისმსახურების დროს გამოიყენება ეკლესიებში, არამედ კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების სასწავლებლებშიც აფხაზ ბავშვებს ასწავლიან ქართულ ენას“.

„ისე ძლიერია ქართული ენის მიმართ ლტოლვა, მისი გავრცელება და ღვთისმსახურების ჩატარება ქართულ ენაზე, რომ აფხაზები, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვთ ქართველური ხალხების ჯგუფთან, ღვთისმსახურებას აწარმოებენ ქართულ ენაზე, ასევე სკოლებსა და სასწავლებლებში ბავშვები ქართულად სწავლობენ. უკანასკნელ ხანებში მიღწეულ იქნა, რომ სოხუმის ეპისკოპოსად კვლავ დანიშნულიყო რუსი ეროვნების პიროვნება და მიღწეულ იქნა შეთანხმება ლოცვები შესრულებულ იქნეს აფხაზურ ენაზე, ასევე, გაიცა დაპირება, რომ ყურადღება მიექცეს აფხაზეთის სკოლებში დაინერგოს რუსულ ენაზე სწავლება“ (ფონდი 21, საქმე №18910, ფ. 4).

იანოვსკის იმპერიალისტური შეხედულებები მრავალი თვალსაზრისით არის მიუღებელი, მისი წერილი საფრთხეს უქმნიდა ქართველთა ეროვნულ ერთობას, ქართული ენის სკოლებიდან გაძევება კი კიდევ უფრო გააძლიერებდა რუსიფიკაციას, ამასთანავე, დაუშვებელი იყო საღვთისმსახურო წიგნების თარგმნა მეგრულად და სვანურად, რადგან ქართველების სახელმწიფო და საეკლესიო ენა საუკუნეების განმავლობაში იყო ქართული ენა. იანოვსკი ასევე ეწინააღმდეგება ქართული ენის გავრცელებას აფხაზეთში, რადგან იმპერიისთვის მიუღებელი იყო ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულიყო ქართული ენა. ქართველი სამღვდელოება კი ასეთ რთულ დროს დიდ საქმეს აღასრულებდა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია რუს მოხელეს. გაბრიელ ეპისკოპოსმა იანოვსკის შეთითხნილ ბრალდებებს არგუმენტირებული პასუხი გასცა.

მან საპასუხო წერილი გაუგზავნა საქართველოს ეგზარქოს პალადის 1892 წლის აგვისტოში, წერილი არის მეტად საინტერესო და მოვიყვანოთ მის ძირითად ნაწილს: „მაქვს პატივი მოგახსენოთ ჩემი აზრი კავკასიის სასწავლო ოლქის გამოხმაურებას ქართველი სამღვდელოების მიმართ გამოთქმულ უკმაყოფილებას რელიგიურ-მორალური განათლების შესახებ. ამგვარი შეფასება უაღრესად შეურაცხმყოფელია საქართველოს საეგზარქოსოს მთელი სამღვდელოებისა და ქართველი ხალხის მიმართ. სამღვდელოებას ბრალი ედება, თითქოს მათ არ შეუძლიათ გადასცენ დაწყებითი სახალხო განათლება, ამასთანავე ისინი პოლიტიკურად



არასანდონი არიან და ქართველ ხალხსა და ახალგაზრდებში ტრიალებს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ (იანოვსკის) გამოხმაურების შინაარსი ტოვებს დანოსის შთაბეჭდილებას. უნდა ვთქვა, რომ ასეთი უკიდურესად შეურაცხმყოფელი ბრალდებები არ დასტურდება არავითარი ფაქტებით“.

#### დამოუკიდებლობის იდეა

გაბრიელ ეპისკოპოსი საეკლესიო კანონების მოშველიებით ცდილობს დაასაბუთოს ქართულ ენაზე სწავლების აუცილებლობა, რადგან მოციქულებმა სულიწმინდის გარდამოსვლის შემდეგ ქრისტიანობა იქადაგეს სხვადასხვა ენებზე. იგი წერს: „რასაკვირველია ამგვარი აზრი ძალიან სახიფათოა მთელი ხელისუფლებისათვის, მაგრამ ისმის კითხვა, ვინ შეიძლება იყოს საქართველოს ეკლესიის მწყემსნი, ნუთუ ქართველები არა? ნუთუ რწმუნებულმა არ იცის, რომ ქრისტიანთა სულიერი მწყემსნი აუცილებლად უნდა იყოს იმავე წარმომავლობისა და ხალხისა, რომელსაც ეკუთვნის მათი სამწყსო... ეს არის ყველაზე მთავარი კანონი ქრისტიანული ეკლესიის მართვისას, ამისთვის გარდამოვიდა მოციქულებზე სული წმინდა და ასწავლა მათ სხვადასხვა ენებზე, რათა ყველა ხალხსა და ტომს გაეგონა ქრისტეს ჭეშმარიტების შესახებ თავთავიანთ ენებზე. როგორი იქნება ხალხის მოქმედება, რომელთაც არ ეცოდინებოდათ, ენა, წესები და ადათები თავისი სამწყსოსი?“

„საქართველოში ზუსტად ისე აღმოცენდნენ სახალხო სკოლები, როგორც რუსეთში და ნელ-ნელა მრავლდება სამღვდელოების დახმარებით. უკვე სამოციან წლებში ჩემს მშობლიურ იმერეთის ეპარქიაში, ჩემი ბრძანებით დაიწყო სამრევლო სკოლების დაარსება, ისინი რამდენიმე ათეული იყო და შემდეგ სწრაფად გამრავლდა მათი რიცხვი. შემდეგ ქუთაისის გუბერნიაში დაარსდა სახალხო სკოლების დირექცია, ყველა სკოლა გაიხსნა სამღვდელოების მიერ. დირექტორების სურვილით დაკეტეს აღნიშნული სკოლები და მათ ნაცვლად დაიწყეს სოფლის სახალხო სკოლების დაარსება. აღნიშნულ სოფლის სკოლებში მასწავლებლებად აიყვანეს უმეტესწილად ისინი, რომლებიც ასწავლიდნენ სამრევლო სკოლებსა და სასულიერო სასწავლო დაწესებულებებში. უმრავლესად სამინისტროს სახალხო სკოლების აღმზრდელებად არიან სასულიერო დაწესებულებების წარმომადგენლები და სამღვდელო პირთა შვილები. ამრიგად, სასულიერო სასწავლებლების აღმზრდელებად უმეტესად სამინისტროს სახალხო განათლების მასწავლებლები არიან, ისმის კითხვა, რატომ ვერ შეძლებენ ისინი სასკოლო საქმის კარგად აღსრულებას?“

#### რუსულ ენას არ ასწავლის ქართველი სამღვდელოება

„ის არ არის კმაყოფილი ზოგიერთი ქართველი სასულიერო პირით, თითქოს ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანის წარმოსახვით მიიჩნევენ, რომ რუსული ენა ყველა ადგილობრივს არ სჭირდება. საიდან შეძლო რწმუნებულმა გაერჩია ასეთი აზრები, ზოგიერთი ქართველის საიდუმლო წარმოდგენები. ის წინასწარმეტყველი, ყოვლისმცოდნე და ყველგანმყოფი არ არის. უმჯობესი იქნებოდა მას ერვენებინა სად, როგორ და ვინ გამოთქვა ეს რწმუნება. აღნიშნული განცხადების გასაიდუმლოება არ არის

დადასტურება. არა, ეს ყველაფერი სრულებით საპირისპიროდაა. მთელი რუსეთის სახელმწიფოში არ არის ისეთი ერი (ფონდი 21, საქმე №18910, ფ. 5), რომელსაც ასე მხურვალედ უნდა შეისწავლოს რუსული ენა, როგორც ქართველებს.

მაღალი წარმომავლობის არარუსი საზოგადოება ჯერ კიდევ პატარა ასაკიდან ასწავლის თავის შვილებს რუსულ ენას და არა ქართულ ენას. მე შემიძლია დავასახელო ათეულობით ქართველი მაღალი წოდების თავადის გვარი, რომელთაც რუსული ენა უფრო უკეთ იციან, თავისი მშობლიური ქართული ენა კი – ცუდად. რუსული ენა განსაკუთრებით ვრცელდება ქალაქებში. არ ვფიქრობ, რომ კირილე პეტროვიჩმა არ იცოდეს ყველა ეს მაგალითი და რის საფუძველზე ფიქრობს ის, რომ სამღვდელოებას სურს ამგვარად, რათა რუსული ენის შესწავლა მოხდეს განსხვავებულად. პირიქით, სასულიერო წოდება ისე იქცევა, როგორც რუსეთში, საქართველოში რატომაც განსხვავებული განათლება, ვსწავლობთ უმეტესად სახელმწიფო ენას, მაგრამ გასაკვირია და დაუჯერებელია ბრალდება ქართველი სამღვდელოების მიმართ, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ თითქოს სამღვდელოთა შორის მისი სიტყვებით (იანოვსკის) სამრევლო სკოლების სარწმუნოების მასწავლებელთა შორის ტრიალებს თითქოს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა. სკოლის მასწავლებლებად ირჩევენ პატიოსან მოზარდებს, ეს ახალგაზრდა ხალხი თითქმის ბავშვები არიან 15-18 წლისანი და მათ მიაწერო ამგვარი ბრალდება, უბრალოდ სასაცილოა. თუკი ასეთი ბრალდება იქნებოდა აღძრული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებათა აღმზრდელებზე, შესაძლოა ამას ჰქონოდა გარკვეული საფუძველი“...

თითქოს მეგრელები და სვანები არ არიან ქართველები და სამღვდელოება მათ ძალით ასწავლის ქართულ ენას.

გაბრიელ ეპისკოპოსი წერილში აღნიშნავს, რომ იანოვსკი უკმაყოფილოა სამღვდელოებით, თითქოს ისინი ცდილობენ გაავრცელონ ქართული ენა მეგრელებსა და სვანებს შორის, ის თვლის, რომ ეს საქმე პოლიტიკასთან არის დაკავშირებული. ამბობს, რომ მეგრელები და სვანები არ შეიძლება ჩავთვალოთ ქართველებად, ისინი განსაკუთრებული ტომები არიან, ამიტომ მათთვის საჭიროა განსაკუთრებული და არა ქართული განათლება. ბოლოს და ბოლოს მათთვის საჭიროა გადაითარგმნოს მათ ენაზე წმინდა წერილი, საღვთისმსახურო წიგნები და სხვა.<sup>1</sup>

გაბრიელ ეპისკოპოსი აღნიშნავს: „სამწუხაროდ, მე არ დავიწყებ მსჯელობას იმაზე, თუ რომელ ხალხს ეკუთვნის მეგრელები და სვანები. გულლიად ვიტყვი, რომ გაკვირვებული ვარ, ასეთი კითხვა როგორ უნდა დასვა! სვანები, განსაკუთრებით კი მეგრელები, არ არიან ისეთი ველურები,

1. კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების შეკვეთით 1864 წელს შედგენილ იქნა და გამოცემული სვანური ანბანი, „ლუმნუ ანბანის“ სახელწოდებით. 1889 კირილე იანოვსკის მოთხოვნით რუსეთის აკადემიიდან საგანგებოდ მოწვეულმა პროფესორმა ალექსი გრენმა რუსული გრაფიკის საფუძველზე შეადგინა მეგრული ანბანი, რომლის წინასიტყვაობაში აღნიშნავდა, რომ მეგრული ხალხი იჩაგრება ქართველებისაგან და მას თავისთავადობის შესანარჩუნებლად შევუდგინე ეს დამწერლობაო (ბუბულაშვილი 2022: 392-393).

რომლებმაც ვერ შეძლეს თავისი წინაპრების ცხოვრებით განსაზღვრონ რომელ ხალხს ეკუთვნიან. ისინი ამ კითხვაზე ყოველთვის და ყველგან პასუხობენ ერთსა და იმავეს, რომ არიან ქართველები. სამწერლობო ენა მათთვის არის და იქნება ქართული ენა. აგრეთვე, ღვთისმსახურების ენა იყო და იქნება ქართული ენა. ყველა უძველესი წარწერა ეკლესიების კედლებზე, ძეგლებზე, სიგელ-გუჯრებში, პერგამენტებზე შესრულებული არის ქართულ ენაზე. ბევრმა ბოროტმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ წმინდა წერილის ამაღლებული აზრები უნდა გადაითარგმნოს თითქოს მეგრულ ენაზე. ერთხელ უკვე ყოფილა მცდელობა, რომ გადაეთარგმნათ მეგრულ ენაზე საღვთო ლიტურგია და უცდიათ კიდევაც მსახურება მეგრულ ეკლესიებში, მაგრამ ეს მცდელობა დამთავრებულა ძალზე უშედეგოდ, ხალხმა არ ისურვა ასეთი ლიტურგიის მოსმენა, ბოლოს კი შეწყდა ასეთი ღვთისმსახურება“. გაბრიელ ეპისკოპოსი მტკიცედ იცავს ქართველთა ერთობას, ის ფაქტების მოყვანით აქარწყლებს გადაგვარებული რუსი მოხელის უსუსურ მცდელობას, რომ როგორმე განხეთქილება ჩამოაგდოს ქართველებში, ამგვარი მცდელობა იყო იმპერიალისტური მიდგომა, რათა ქართველი ხალხი გაეთიშა ერთმანეთისგან და საბოლოოდ დაექსაქსა ისინი.

გაბრიელ ეპისკოპოსმა წერილში მოიყვანა ასეთი მაგალითი: ოსური ენა, რომელიც უფრო მდიდარი და უკეთესი ენა ყოფილა, ვიდრე მეგრული და სვანური ენები. ოსურ ენაზე გადათარგმნეს ღვთისმსახურების წიგნები და წმინდა წერილი, ეს წიგნები დაურიგებიათ ოსეთის ყველა ტაძარში, რასაც მოჰყვა შემდეგი: ყველაზე წმინდა გამოხატულება და უმთავრესი დოგმატი, კერძოდ, სიტყვა „განკაცება“ ოსურად გადაითარგმნა ასე „პიროგი ხორციით“. ამის გამო ყველა ნათარგმნი ეგზემპლარი უკან დააბრუნეს და განადგურდა. რთულია საღვთო წიგნები თარგმნო მწირო ენებზე, აქედან გამომდინარე, საღვთო წიგნების გადათარგმნა გამოიწვევს ერესს და განხეთქილებას.

იგი საუბრობს იანოვსკის დამსახურების შესახებ კავკასიაში ხალხის განათლებაზე გაწეულ ღვაწლზე. თუმცა იქვე შენიშნავს, რომ ის ეყრდნობა თავის ორ თანაშემწეს და არ შეეძლო თავად მოეძიებინა ცნობები აღნიშნულ საკითხებზე. ცნობები შედგენილია გაუფრთხილებლად შესაბამისი სარწმუნო ფაქტების გარეშე. ის აღიარებს, რომ არ შეუძლია გაასამართლოს კირილე პეტროვიჩის თანაშემწეები ამგვარი გაუფრთხილებლობის გამო. ცნობების შეგროვება იოლი საქმე იყო და სამღვდელოების მიმართ გამოთქმული ბრალდებები არ არის მართალი არცერთი კუთხით. იმერეთის ეპისკოპოსი იცავს ქართველ სამღვდელოებას და ცდილობს, არ დაძაბოს ურთიერთობა კირილე იანოვსკისთან, რაც მთავარია, იგი ყველა ბრალდებას უსაფუძვლოს უწოდებს და შესაბამისი არგუმენტებით აქარწყლებს მათ.

ქართული სამღვდელოება აფხაზეთში მიზანმიმართულად ავრცელებს ქართულ ენას. შემდეგ იგი ეხმიანება იანოვსკის მორიგ ბრალდებას, თითქოს ქართველი სამღვდელოება აფხაზეთში მიზანმიმართულად ავრცელებს ქართულ ენას სკოლის მეშვეობით, რომ ქართულ ენაზე ბავშვების სწავლება და ღვთისმსახურების აღსრულება არ შეიძლება. „ქართველებსა და ქართველ სამღვდელოებას არ ჰქონდა სკოლების მართვის უფლებამოსილება, რადგან



ის იმართება განსაკუთრებული უწყებით კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მიერ. ისინი საღვთო კანონს და სხვა საგნებს სწავლობენ რუსულ ენაზე. რაც შეეხება ღვთისმსახურებას, უნდა ვაღიარო, რომ ერთი შეხედვით შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ და საეჭვოდაც, რომ აფხაზეთში ღვთისმსახურება აღესრულებოდა და ახლაც აღესრულება არა სლავიანურ ენაზე. საქმე ის არის, რომ აფხაზეთის სამღვდელოებას არ შეუძლია სლავიანურ ენაზე ჩაატაროს მსახურება რუსული ენის არცოდნის გამო. ან რატომ ფიქრობს ვინმე, რომ აფხაზეთის სამღვდელოება ყველა ქართველი ეროვნებისა იყო, იმიტომ რომ იქ სხვა არავინ იყო და დღესაც არ არიან იქ რუსი სამღვდელოების წარმომადგენლები.

კავკასიის სასწავლო ოლქის მხრიდან წამოსული ბრალდებები სამღვდელოების მიმართ ძალიან მნიშვნელოვანი და მგრძნობიარეა არა მარტო ქართველი სამღვდელოების, არამედ მთელი ქართველი ხალხისთვის, ამიტომ გაბრიელ ეპისკოპოსი აგრძელებს გამომხაურებას. 1. პირველი ბრალდება ქართველი სამღვდელოების მიმართ, თითქოს მათ არ შეუძლიათ აწარმოონ სასკოლო საქმე და განსაკუთრებით ასწავლონ რუსული ენა, გიპასუხებით, ეს წარმოადგენს სრულიად შეუძლებელ მოთხოვნას სამრევლო საეკლესიო სკოლების მიმართ, ის (იანოვსკი) ითხოვს, რომ მოსწავლეებმა სკოლებში კარგად ისწავლონ რუსული ენა. ამის თქმა იოლია, მაგრამ ძალიან რთულია შესრულება. როგორი სახითაა შესაძლებელი ორწლიან პერიოდში 8-12 წლის ბიჭებმა, გარდა წერა-კითხვისა, ორ ენაზე შეისწავლონ კატეხიზაციის ყველა საწყისი, საღვთო ისტორია და ყველაფერთან ერთად კარგად ისაუბრონ რუსულად და წერონ გააზრებულად?! ვიმეორებ, რომ ეს გაუაზრებელი და შეუძლებელია. ბევრ გიმნაზისტსა და სემინარისტს საერთო მოსამზადებელ კლასებში 9-12 წლიდან კურსის გავლის შემდეგაც კი არ შეუძლიათ სრულად და სწორად რუსულ ენაზე საუბარი. აქ კი მცირეწლოვანი ბავშვებისაგან ითხოვენ, რომ ორ წელიწადში სწორად წერონ და იკითხოონ რუსულად... გაბრიელ ეპისკოპოსი კარგად ერკვევა პედაგოგიურ საკითხებშიც, როდესაც შენიშნავს, რომ ორწლიან სასწავლებელში შეუძლებელია ქართული და რუსული ენების სრულყოფილად შესწავლა, იანოვსკის ასეთი ბრალდებები კი უსაფუძვლოა და არაპედაგოგიური.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია გაურკვეველობა იანოვსკის გამომხაურებაში, რომელიც ეხება სამრევლო-საეკლესიო სკოლებს და მდგომარეობს შემდეგში: „ჩემი აზრით, ის პირდაპირი მნიშვნელობით იყენებს კანონს სკოლების მიმართ. მისი მიზანია, როგორც ეს ყველასთვის არის ცნობილი და ეჭვგარეშეა, მართლმადიდებელი ეკლესიის მორალურ-რელიგიური პირველდაწყებითი აღზრდა-განათლება ხალხისა; იკამათო ამაზე, ვფიქრობ არ აქვს აზრი. სოფისტები, ლიბერალები და ყველა, ვინც მეტად თუნაკლებად დაშორებულია მართლმადიდებელი სარწმუნოებიდან, მოწადინებულია მისცენ ხალხს ნახევრად წარმართული განათლება, ბევრჯერ ეცადნენ სამღვდელოებისთვის ხელიდან გამო-ეცლიათ ეს საქმე, მაგრამ დღევანდელ ღვთივკურთხეულ სამეფოში მოხერხდა იგი გადასცემოდა“.

გაბრიელ ეპისკოპოსი წერილში დაუფარავად აცხადებს, რომ რუსული

მმართველობის პირობებში დაფარული, უკიდურესი საშუალებებით საქართველოში სამღვდელთა წაერთვა წმინდა უფლება, რათა მართლმადიდებელი მრწამსით აღზარდონ ხალხი და ამის გამო სამრევლო სკოლების მთავარი მიზანი გახდა რუსული ენის შესწავლა რელიგიის ნაცვლად, ამგვარ მიდგომას ქართველი მღვდელმთავარი გაუკუღმართებულ სწავლებას უწოდებს, რადგან ამ შემთხვევაში ქართველები ვერ იღებდნენ სარწმუნოებრივ განათლებას და ეს კიდევ უფრო მეტ პრობლემებს იწვევდა.

ვფიქრობთ, რომ გაბრიელ ეპისკოპოსის წერილი მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო, მღვდელმთავარი ხსნის და უარყოფს რუსული იმპერიის მხრიდან მომდინარე საფრთხეებს, აქარწყლებს მათ და ესარჩლება ქართველ სამღვდელთა, ამასთანავე მიუთითებს რუსული განათლების უარყოფით მიდგომებზე, რაც პრობლემებს იწვევს ქართველ ხალხში.

გაბრიელ ეპისკოპოსი XIX საუკუნის ერთ-ერთი თავდადებული საეკლესიო მოღვაწეა, რომელიც არ უშინდება მაღალი რანგის რუსი მოხელეების კრიტიკას და საქართველოს ეგზარქოსს უგზავნის ისეთ წერილს, რომელშიც ნათლად და გასაგებად აყალიბებს თავის შეხედულებებს. გაბრიელ ეპისკოპოსის დამსახურებაზე საუბრობდა 1896 წლის 10 მარტს, მღვდელმთავრის დაკრძალვის დღეს, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი: „გმადლობს შენ ენაცა მშობლიური, ენა, რომელიცა მდიდარ ჰყავ შენ ქადაგებითა, ენა, რომლისთვისაცა ებრძოდი შენ მედგრად იმ განუსჯელ პირთა, რომელთაცა ენა პეტრიწისა, გიორგი მთაწმინდელისა და ამბროსი მქადაგებლისა უარყვეს, ვითარცა უვარგისი და გამოუდგარი მეცნიერებისათვის, შენ იყავ ერთად ერთი მაღალი ხარისხის მქონი ქართველი, რომელიც გამოესარჩლე ჩვენს ენას“ (კელენჯერიძე 2006: 230).

#### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- ბუბულაშვილი 2022: ბუბულაშვილი ე., საქართველოს ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში. თბილისი, 2022.
- კელენჯერიძე 2006: კელენჯერიძე მ., გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა). თბილისი, 2006.
- მომხმე 1896: ჟურნალი „მომხმე“, გაბრიელ ეპისკოპოსის წერილი თ. გიორგი კონსტანტინეს ძის მუხრანბატონის მიმართ. N3, 1896.
- ნიკოლეიშვილი 1990: ნიკოლეიშვილი ა., გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე). თბილისი, 1990.
- სხირტლაძე 1965: სხირტლაძე ს., გადანახული საგანძური. თბილისი, 1965.
- ქცსა: ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 21, საქმე №18910.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8064>

**ვიკტორ ნოზაძე და „ვეფხისტყაოსანი“**

**Viktor Nozadze and „Vepkhistaosani“  
(The Knight in the Panther Skin)“**

**ლალი ურდულაშვილი**

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Lali Urdulashvili**

Tbilisi Educational University  
Georgia, Tbilisi

**აბსტრაქტი**

მე-20 საუკუნის ქართველ რუსთველოლოგთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ემიგრანტ მეცნიერს ვიკტორ ნოზაძეს. სამშობლოდან გამგზავრების შემდეგ იგი სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ევროპაში. ვიკტორ ნოზაძე გარდაიცვალა საფრანგეთში, დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

მეცნიერის რუსთველოლოგიური „განკითხვანი“ ფასდაუდებელი მნიშვნელობისაა და დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას. დიდი ხნის განმავლობაში მკვლევრის ნაშრომები უცნობი იყო ქართველი საზოგადოებისათვის კონიუნქტურის გამო. მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრეში იცნობდნენ მას, როგორც რუსთველის პოემის „მჩხრეკელს“. მიუხედავად იმისა, რომ უცხოეთში ვ. ნოზაძე მოკლებული იყო მისთვის საჭირო ლიტერატურას, მეგობართა დახმარებით ის მაინც თავდაუზოგავად მუშაობდა პოემის „თარგმანებაზე“.

მეცნიერმა შექმნა ენციკლოპედიური მნიშვნელობის მონოგრაფიები: ფერთამეტყველება, ბუნებისმეტყველება, მზისმეტყველება, ვარსკვლავთმეტყველება, ღმრთისმეტყველება, საზოგადოებათმეტყველება, მიჯნურთმეტყველება.

მკვლევარმა თავისი ფართო ერუდიციისა და ბუნებრივი ტალანტის წყალობით პოემის არაერთ ბუნდოვან ადგილს მოჰფინა ნათელი, მოგვცა მანამდე შეუსწავლელი სტროფების მისეული ინტერპრეტაცია.

ვ. ნოზაძემ თავისი შრომებით შექმნა სრულიად ახალი ეტაპი რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში.

საკვანძო სიტყვები: ვიკტორ ნოზაძის შემოქმედება, რუსთველოლოგიური ნაშრომები, „ვეფხისტყაოსანი“.



**ABSTRACT**

The emigrant scientist Viktor Nozadze holds a special place among Georgian rustvelologists of the 20th century. After leaving his homeland, he lived and worked in Europe until the end of his life. Viktor Nozadze passed away in France and is buried in the Georgian cemetery of Levili.

The scientific contributions of Viktor Nozadze are invaluable and remain relevant to this day. For a long time, his works were unknown to Georgian society due to economic circumstances. He was recognized only within a narrow circle of specialists as a scholar of Rustveli's poem. Despite facing difficulties in obtaining the necessary literature abroad, V. Nozadze tirelessly collaborated with friends on translating the poem.

The scientist authored encyclopedic monographs: on color speech, natural speech, solar speech, star speech, social speech, divine speech, and intimate speech. Thanks to his broad erudition and natural talent, he illuminated many obscure passages of the poem and provided his own interpretations of previously unstudied stanzas.

With his works, V. Nozadze opened a completely new chapter in rustvelological science.

**Keywords:** Viktor Nozadze's work, Rustvelological works, „The Knight in the Panther's Skin“.

ერის სულიერი ხატი ყველაზე უკეთ ეროვნულ ეპოსში საცნაურდება, ამიტომაც ცხოველმყოფელი ზემოქმედების უნარით აღბეჭდილი ნაწარმოები იქცევა ხოლმე ერის საუკეთესო თვისებათა გამომხატველ ემბლემად. სწორედ ასეთი სწორუპოვარი მნიშვნელობის მქონეა ქართველთათვის „ვეფხისტყაოსანი“. ბოროტების დათრგუნვის, სიკეთის გამარჯვებისა და დამკვიდრების იდეა უძველესი დროიდან მოდის. ამ მარადიულ იდეას ახალი, უფრო კონკრეტულ-ადამიანური შუქი შესძინა ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ. ქრისტიანობამ სცადა პიროვნების შინაგან არსს ჩაღრმავებოდა, მის სულში ჩაეხედა, იქ აღმოეჩინა ბოროტსა და კეთილს შორის გაშლილი ბრძოლის ველი. საკუთარ სულში „ველად გაჭრა“ პირადი მეს შესაცნობად და დასამკვიდრებლად არის იმ დიდი ნათლის გამოვლენა, რომელიც უცილობლად ბნელის გვერდით აღიქმება. საკითხის ამგვარი შემოზრუნება უღრმეს ქრისტიანულ მსოფლგაგებას ეფუძნება. ნესტანის საპოვნელად მიმავალი ავთანდილი საკუთარი თავისა და შესამღებლობების რეალიზებისა და არდაკარგული სატრფოს მოსაპოვებლადაც მიემართება. ეს არის ის დიდი მისტერია, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ყოველგვარ ტანჯვაზე, გვემაზე ამაღლებით ეზიარება სულიერების უდიდეს მშვენიერებას და ღვთის ნებითა და ადამიანური ძალისხმევით ამქვეყნიურ ბედნიერებას მიაღწევს.

„ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ შესწავლას ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში სათავე დაუდო ვახტანგ მეექვსემ და მას შემდეგ დღემდე გრძელდება პოემის კვლევა. გამოჩენილ რუსთველოლოგთა პლეადას ამშვენებს ემიგრანტი მეცნიერი ვიკტორ ნოზაძე. მან თავისი სიცოცხლის სამ ათეულ წელზე მეტი მიუძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ „ჩხრეკას“, როგორც თავად ამბობდა და შექმნა ენციკლოპედიური მნიშვნელობის „განკითხვანი“. ესენია:

1. ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება
2. ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება
3. ვეფხისტყაოსნის ბუნებისმეტყველება
4. ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება
5. ვეფხისტყაოსნის საზოგადოებამეტყველება
6. ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება
7. ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება.

როგორც მეცნიერის ძმა, გიორგი ნოზაძე მიუთითებს, ვიკტორმა ნახევრად დამუშავებული სახით დატოვა შემდეგი შრომები: გონებამეტყველება, სულთმეტყველება, მჭევრმეტყველება, ფსიქოლოგიის მეტყველება, ნებამეტყველება, ტანთმეტყველება, გულთამეტყველება.

საინტერესოა ვიკტორ ნოზაძის ცხოვრების გზა და სამოღვაწეო ასპარეზი. მეცნიერი დაიბადა საჩხერის რაიონის სოფელ წირქვალში 1893 წლის 17 სექტემბერს. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლობდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, რომელსაც განაგებდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე იოსებ ოცხელი. გიმნაზიის წარჩინებულ მოსწავლეთა შორის ვიკტორი უსაჩინოესი იყო. სასწავლებლის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ ვ. ნოზაძემ სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1919 წელს, მთავრობის გადაწყვეტილებით, ვ. ნოზაძე სხვა ახალგაზრდებთან ერთად ცოდნის გასაღრმავებლად და კვალიფიციური განათლების მისაღებად ევროპაში გაემგზავრა. 1921 წელს მან დააარსა ჟურნალი „კავკასიონი“, რომელსაც თავადვე რედაქტორობდა. სხვადასხვა დროს გამოსცემდა ჟურნალ-გაზეთებს შემდეგი სახელწოდებით: „მამული“, „ქართლოსი“, „თეთრი გიორგი“, „საქართველო“. 1961 წლიდან იგი სამუდამოდ დამკვიდრდა პარიზის ახლოს მდებარე სოფელ ლევილში, სადაც თავისი სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა. 1975 წლის 24 აპრილს ის გარდაიცვალა, დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ვიკტორ ნოზაძემ თავისი გული და გონება, განათლება საქართველოზე ზრუნვას შეაღია. ის დაუცხრომლად იღვწოდა ქართული კულტურისა და მეცნიერების გამდიდრებისათვის. კიტა ჩხენკელის გარდაცვალების შემდეგ ვ. ნოზაძე აქტიურად ეხმარებოდა შვეიცარიელ ქართველოლოგებს ქართულ-გერმანული ლექსიკონის შედგენაში.

როგორც სათანადო მასალის შესწავლის საფუძველზე ირკვევა, ვ. ნოზაძეს პოემის მეცნიერული კვლევა სრულიად შემთხვევით დაუწყო. თავდაპირველად მისთვის თარგმანისა და დედნის შედარება

თავშესაქცევი ვარჯიში იყო, მაგრამ სულ მალე ეს გონიერი გართობა სერიოზულ მეცნიერულ ინტერესში გადაიზარდა. გასათვალისწინებელია ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა, რომელშიც ვ. ნოზაძე ემიგრაციაში იმყოფებოდა. იგი მოკლებული იყო საქართველოში გამოცემულ საჭირო ლიტერატურას, თუმცა სამშობლოში მყოფი მეგობრები ყოველმხრივ ცდილობდნენ მის დახმარებას. მკვლევარი თავდაუზოგავად მუშაობდა რუსთველის გენიალური პოემის „თარგმანებაზე“. როგორც თავად აღნიშნავს, „ვეფხისტყაოსანი“ იყო მისი სულის უზენაესი გამოხატულება, ღვთაებრივი სიბრძნე და ნათელი. ასე იშვა ჭეშმარიტად დიდი მეცნიერული აღლოთი, ხალასი ნიჭიერებითა და საქმის ღრმა ცოდნით გაჯერებული ენციკლოპედიური მნიშვნელობის რუსთველოლოგიური ნაშრომები.

მოკლედ მიმოვიხილავთ იმ სიახლეებს, რომლებიც მეცნიერმა პოემის მხატვრული მზის კონტექსტში კვლევისას წარმოაჩინა.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ მზის პრობლემა პოემაში რუსთველოლოგიური კვლევის არაერთ საკვანძო საკითხს მოიცავს. ვიდრე უშუალოდ პოემის მზის პრობლემის კვლევას შეეხებოდეს, ვ. ნოზაძე თავის მონოგრაფიაში ვრცლად და დაწვრილებით მიმოიხილავს მზის სახეს მსოფლიოს უძველეს ხალხთა წარმოდგენებში. მეცნიერი ადგენს პაგანური ქართული სამყაროს მიმართებას მზესთან, როგორც ციურ მნათობთან და ასტრალურ ღვთაებასთან. ვ. ნოზაძე ხაზგასმით მიუთითებს, რომ ქართულ აზროვნებასა და მწერლობაში ქრისტიანობამ, წარმართობისაგან განსხვავებით, სხვაგვარი მსოფლგაგება და შეხედულებანი დაამკვიდრა. მითოსურმა სახეებმა ერთგვარი მეტამორფოზა განიცადა, მათ სპეციფიკური ესთეტიკური ღირებულება მიენიჭა. ქრისტიანობის დამკვიდრებასთან ერთად, მზემაც შინაარსობრივი სახეცვლილება შეიძინა. ქრისტიანობამ ის ღვთაების ხატად აღიარა, თუმცა არც მისი, როგორც მნათობის, ასტრალური გაგება წარუხოცია. ქართული ქრისტიანული აზროვნება და მწერლობა მზისა და ნათლის ესთეტიკას დაეფუძნა. სათანადო კვლევის შედეგად ვ. ნოზაძე პოემის მზის სამგვარ ფუნქციაზე მიუთითებს:

1. ასტრონომიულ-ასტროლოგიური მნიშვნელობა;
2. მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია;
3. ღვთაებრივი ასპექტი.

გამოვეფთ ვ. ნოზაძის მიერ ინტერპრეტირებულ რამდენიმე ტაეპს პოემის მზესთან მიმართებით.

ერთი მათგანია ის ეპიზოდი, როცა ავთანდილი ტარიელთან ბრუნდება შეთანხმების კვალად:

„მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა,  
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,  
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა“.

ვ. ნოზაძის განმარტებით, ზაფხულის მოწურვილობა ნიშნავს ზაფხულის დასასრულს. ეს არის პერიოდი 23 აგვისტოდან 21 სექტემბრამდე. ამ ზოდიაქოს ეწოდება ქალწული ანუ საროს ტანი, რომელიც ზუსტად



ესადაგება ზაფხულის მოწურვილობის ჟამსო. აღნიშნულ კომენტართან დაკავშირებით გვინდა შევნიშნოთ, რომ მეცნიერს მხედველობიდან გამორჩა რამდენიმე მომენტი. ჯერ ერთი, „მწვანე“ არ ნიშნავს თივას, გამხმარ ბალახს, არამედ ლორთქოს, ახლად ამოსულს. მეორეც, ავთანდილს პაემანზე არ დაუგვიანია. იგი შეჰპირდა ტარიელს ზაფხულის მოსვლამდე, ანუ გაზაფხულის მიწურულს მოვალე და დანაპირები კიდეც შეასრულა. ავთანდილმა რომ ზღვა გადმოლახა და ხმელეთზე გადმოვიდა, პაემანის დრო უკვე დამდგარიყო. იდგა მაისი. ავთანდილი ვარდებს ისე კოცნიდა, როგორც თინათინის ლაწვებსო. შევნიშნავთ, რომ მეცნიერი ამ შემთხვევაში არ ითვალისწინებს სიტყვა „მოწურვილის“ შინაარსს. მოწურვილი ნიშნავს მოახლოებულს, კარზე მომდგარს, ხოლო მიწურული – უკვე გასულს, ყოფილს. სტროფის შინაარსი ასე უნდა აიხსნას: კარს იყო მომდგარი ზაფხული, დრო, როცა მიწა ბალახით იფარებოდა. ავთანდილი დროულად მივიდა პაემანზე ზაფხულის მოწურვილობის, ანუ მოახლოების დროს, ვარდობის თვეში.

ვ. ნოზაძის მეცნიერულ ყურადღებას იპყრობს რუსთველის პოემის შემდეგი ტაეპები:

„ცუდი არის დამზრალისა გასართობად წყლისა ბერვა,

ცუდი არის სიყვარული, ქვეით კოცნა, მზისა წვერვა“.

ვ. ნოზაძის აზრით, აქ იგულისხმება საყოველთაოდ გავრცელებული ტრადიცია – მზის თაყვანების ნიშნად ხელზე ამბორი (ადორაციო), მაგრამ კოცნის ეს რიტუალი ეკუთვნის არა ჩამავალ, არამედ ამომავალ, ამოწვერილ მზეს. მკვლევრის დასკვნით, „ქვეით კოცნა“ გაგებულ უნდა იქნეს როგორც მიწაზე მდგომის კოცნა იმ დროს, როცა მზე მწვერვალზე იმყოფება.

ვფიქრობთ, ტაეპი მზის წვერვას ამოწვერვის აზრით კი არ აშინაარსებს, არამედ ჩაწვერვის მნიშვნელობას ანიჭებს. თუ გავითვალისწინებთ წინა ტაეპის აზრს, მივიღებთ ასეთ შინაარსს: დამზრალი და გაყინული წყლის გასათბობად სულის ბერვა არ ივარგებს, იგი უფრო მეტად გაცივდება. ასევე ცუდია იმგვარი სიყვარული, როცა მზის ჩასვლისას ხელზე კოცნას ვმართავთ, რადგან ეს წესი სრულდება დილით, მზის ამოსვლისას. სტროფის შინაარსობრივი კონსტრუქცია ასეთია: როგორც გაყინულ წყალს გასათბობად სულის ბერვას არავინ დაუწყებს, ასევე მზის ჩასვლისას ხელზე კოცნას არავინ დაიწყებს.

ვ. ნოზაძე გულდასმით აანალიზებს ავთანდილის გალობაში რუსთველის მიერ მზის პირველ ადგილზე დასახელების ფაქტს მეოთხის ნაცვლად. ის ასკვნის, რომ გალობა შესრულებულია ასტრალური თეოლოგიის ყველა წესის დაცვით. მას ამოსავლად უდევს ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მზე არის მნათობთა შორის უპირველესად აღიარებული. წინამორბედ მეცნიერებთან შედარებით უკეთესი და უფრო ზუსტი იმიტომ გამოვიდა ვ. ნოზაძის თვალსაზრისი, რომ აღნიშნული მასალისასახსნელად მან მოიმარჯვა ერთობსაჭირო ტერმინი – „ასტრალური თეოლოგია“. ასტრალური თეოლოგიის შუქზე საკვლევი ტაეპებისა და სიტყვა-თქმების არსი ნათელი და მწყობრი ხდება და ეჭვისათვის ადგილი აღარ რჩება.

მეცნიერის ყურადღებას იპყრობს შემდეგი ტაეპები:

„მომცნეს ფრთენი და ავფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა, დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა“.

ვ. ნოზაძე ამ შემთხვევაში ზუსტად არ მიუთითებს, თუ რომელი რელიგიურ-ფილოსოფიური სკოლის დებულებაა სიკვდილის შემდეგ სულის მზეზე აფრენის რწმენა, მხოლოდ, მისი ფიქრით, ეს რწმენა სავსებით ეთანადება და მთლიანად ეფუძნება ასტროლოგიურ-თეოლოგიურ წარმოდგენებს. ჩვენი მხრივ კი შევნიშნავთ, რომ არა მარტო მეფეთა და უფლისწულთა, ანუ ღვთივცხებულთა, სული მიფრინავს მზეზე, არამედ უბრალო ადამიანთა სულებიც, თუ ისინი მეფეებისათვის დაეცნენ: „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რზიან“, – ამბობს ტარიელი. უეჭველია, რომ ზეცა და მზე ამ შემთხვევაში ერთმანეთს გულისხმობს.

ვ. ნოზაძის მეცნიერულ ინტერესს იწვევს ტარიელისადმი მიმართული ნესტანის სიტყვები: „მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი“.

ადგენს რა სიტყვა „წილის“ მნიშვნელობას, ვ. ნოზაძე კატეგორიულად დაასკვნის, რომ კონკრეტულ პასაჟში რუსთველის ხედვა ეფუძნება ასტროლოგიურ მსოფლგაგებას და მას არაფერი აქვს საერთო არც სუფისტურ მსოფლხედვასა და არც მანიქეიზმთან.

„ვეფხისტყაოსანში“ მზის ასტროლოგიურ-ასტრონომიული ფუნქცია მკაფიოდ არის წარმოდგენილი ვ. ნოზაძის „მზისმეტყველებაში“. აღნიშნული თვალსაზრისით, ვ. ნოზაძის მეცნიერული წინსვლა იმანაც შეაპირობა, რომ მან ასტრალური თეოლოგიის საფუძველზე პოემის ზოგი მანამდე ბუნდოვანი ადგილი „განანათლა“, ხოლო ზოგი მცდარი წარმოდგენა დაძლია.

ვ. ნოზაძის, როგორც მეცნიერის, დამსახურებად უნდა ჩაითვალოს იმის მიგნებაც, რომ მზე პოემაში უმაღლესი არისტოკრატიული წრის ეთიკური ნორმების გამომხატველიცაა. პოემის პერსონაჟები ერთმანეთს სახელით კი არ მიმართავენ, არამედ ესთეტიკურად: ლომო, მზეო.

განუსაზღვრელია ვ. ნოზაძის მეცნიერული დამსახურება რუსთველოლოგიის განვითარებაში. მან შექმნა ახალი ეტაპი ამ მიმართულებით.

#### გამოყენებული ლიტერატურა

ნოზაძე 2006: ნოზაძე ვ., ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება, ტ. III. თბილისი, 2006.

რუსთაველი 2022: რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი. თბილისი, 2022.

შარაძე 1991: შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. I. თბილისი, 1991.

ხინთიბიძე 1993: ხინთიბიძე ე., შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“. თბილისი, 1993.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8065>

**სურსნენა - დავით კლდიაშვილის  
მოთხრობების ფაბულა  
(ელგუჯა თავბერიძის „ეჭვის პერანგის“ მიხედვით)**

**Superstition - plot of Davit Kldiashvili's stories  
(according to Elguja Tavberidze's „The Shirt of Doubt“)**

**ნესტან ფიფია**

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Nestan Pipia**  
Tbilisi Educational University  
Georgia, Tbilisi

**აბსტრაქტი**

დავით კლდიაშვილის შემოქმედებითი პრინციპი ეყრდნობა კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურულ-ესთეტიკურ საფუძველს, შეუფარავ სიმართლეს. გამოირჩევა თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით. მისი მხატვრული ქმნილებების მეტაფორად იქცა „ცრემლიანი ღიმილი“, მაგრამ ღიმილს ვერ გააკარებ მოთხრობათა ციკლს, გულისხმიერი ცრემლებითა დასულის კვილით რომიკითხება, ცრურწმენის შედეგად ადამიანთა სამყარო რომ მოუცავს ეჭვს, სასოწარკვეთას, გაუცნობიერებელ სისასტიკეს. ამ თვალსაზრისით განხილულია მოთხრობები: „შერისხვა“, „მსხვერპლი“, „მიქელა“. ეს მოთხრობები, მწერლის ხელწერის შესაბამისად, ხასიათდება ფსიქოლოგიური სიღრმით, გრძობათა ფაქიზი ანალიზით, დამაჯერებლობით. ერთ-ერთი უმძიმესი მოვლენა, ცრურწმენით ნაკვები, იყო „კუდიანობა“, მისი სულიერ-ფსიქოლოგიური საფუძველი შიშია – შინაგანი სიმრთელის რღვევა.

ცრურწმენა, გარკვეული აზრით, ფაბულაა დავით კლდიაშვილის რამდენიმე მოთხრობის. ელგუჯა თავბერიძე „ეჭვის პერანგში“ მხატვრულ-მეცნიერული ალღოთი ახასიათებს პერსონაჟებს, აანალიზებს მათი ქმედებების საფუძველს, აღწერს კუდიანობასთან დაკავშირებულ რიტუალებს (ჭიაკოკონობა, ჭეჭეთობა). განიხილავს კუდიანობის ცრურწმენის მხატვრულ სიუჟეტად გარდაქმნის პირველ ცდას ქართულ ლიტერატურაში – ალ. ორბელიანის „არაკი ტარტაროზისა ანუ კუდიანების ღამე“.

ავტორის თქმით, „ეჭვის პერანგის“ შთაგონების წყარო ყოფილა



იმდროინდელი პრესა, რომელსაც ძალიან კარგად იცნობს. ცრურწმენა ცნობიერების ბორკილია, რაც ხელს უშლის ჭეშმარიტ, კანონზომიერ სიცოცხლეს.

სტატიაში გამოკვეთილია განსაკუთრებული ტიპაჟი – მარინე (მოთხრობაში „მსხვერპლი“). ის, განსხვავებით მწერლის ზოგადი სახის პერსონაჟებისგან, უმეტესად ბედის მორჩილებით რომ გამოირჩევიან, მებრძოლი ქალია. ჩვენი კვლევის საგანი იყო ფსიქოლოგიური პროცესი ცრურწმენის სიბნელისა და სისასტიკისა, რასაც წამლევკავი ძალა აქვს, ამას ეწირება სრულიად მარტო დარჩენილი მარინე. კვლევის ამ მიმართულებას არსებით სიღრმეს ჰმატებს „ექვსის პერანგი“. ხაზი გავუსვით ამ მიზეზ-შედეგობრივ, მხატვრულ-დოკუმენტურ ჯაჭვს. შეიძლება ითქვას, რომ ელგუჯა თავბერიძის „ექვსის პერანგი“ ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და საჭირო წიგნია.

საკვანძო სიტყვები: იმერეთი მხატვრულ შემოქმედებაში, ცრურწმენა დავით კლდიაშვილის მოთხრობებში, ელგუჯა თავბერიძის „ექვსის პერანგი“.

#### ABSTRACT

Davit Kldiashvili's creative principle is rooted in the literary-aesthetic foundations of critical realism and the pursuit of undisguised truth. His work is distinguished by thematic and genre variety. A „smile with tears“ has become a metaphor for his artistic creations, which evoke both heartwarming tears and soulful introspection. Through superstition, the human world is depicted as filled with doubt, despair, and unconscious cruelty. In this context, we discussed stories such as „Anger“, „Victim“, and „Michela“. These narratives, true to the author's style, exhibit psychological depth, subtle analysis of emotions, and a sense of believability.

Among the most challenging events influenced by superstition is „tailing“, whose spiritual and psychological core revolves around fear and the breakdown of internal resolve. Prejudice, according to some opinions, forms the basis of several of Kldiashvili's stories. Elguja Tavberidze's „The Shirt of Doubt“ approaches characters with an artistic-scientific lens, examining the motivations behind their actions and describing rituals associated with „tailing“ (chiakakonoba, chechetoba). Tavberidze discusses the first attempt in Georgian literature to transform the superstition of „tailing“ into an artistic narrative - Al. Orbeliani's „Arak Tartaroz, or Night of the Tailed Ones“.

The author cites the press of his time as a significant source of inspiration for „The Shirt of Doubt“, which he knows intimately. Superstition, portrayed as a shackle on consciousness, impedes genuine and lawful living.

We identified a unique character type - Marine (the „victim“ in the story). Unlike the writer's usual characters, who typically exhibit obedience to fate, Marine is portrayed as a fighter. Our research focused on the psychological process behind the darkness and cruelty of superstition, which holds a narcotic allure that ultimately overcomes Marine when she finds herself utterly alone. „The Shirt of Doubt“

significantly deepens this line of inquiry. It underscores a cause-and-effect artistic-documentary chain.

In conclusion, Elguja Tavberidze's „The Shirt of Doubt“ emerges as an important and essential book from this perspective.

**Keywords:** Imereti in artistic creativity, prejudice in Davit Kldiashvili's stories, Elguja Tavberidze's „Shirt of Doubt“.

დ. კლდიაშვილის შემოქმედებითი პრინციპი ეყრდნობა კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურულ-ესთეტიკურ საფუძველს – შეუფარავ სიმართლეს. თავისი მხატვრული სამყაროს დახასიათებაც მოგვცა მწერალმა: „მოკლე მოგონებებში არაფერი შეფერადებული არ იქნება. მხოლოდ სინამდვილე, სინამდვილე, რომელსაც გადაუხრელად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში“ („ჩემი ცხოვრების გზაზე“).

დ. კლდიაშვილმა ცხადყო, რომ ცხოვრების სინამდვილე ძალიან ღრმად და ამოუწურავი, ხოლო მისი განსახიერების საშუალებები შემოუსაზღვრელი. როცა ვსაუბრობთ ცხოვრებაზე, როგორც „გარედან შემოსულ სინამდვილეზე“ მხატვრულ სამყაროში და ამ შთაგონებით ქმნადობის პროცესზე, დახვეწილ ფორმულად ჟღერს არისტოტელეს სიტყვები „პოეტიკაში“, რომ მხატვრული შემოქმედება არის „გარედან შემოსული მასალის გაშრობა, გაწესიერება, გალამაზება, განსახოვნება“. რაოდენობრივი თვალსაზრისით საგანგებო ყურადღებას არ იქცევს დავით კლდიაშვილის შემოქმედება (ერთი უმთავრესი მიზეზი ამისა: მთელი მისი ფიზიკური და სულიერი ძალები თითქმის ოცდაათწლიანმა სამხედრო სამსახურმა შეიწირა. ასევე, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა.), მაგრამ კითხვით ნაცვალსახელებში: როდის? რამდენი? როგორ? მხატვრული შემოქმედების შეფასებისას უმნიშვნელოვანესია – როგორ? და აქ გვაქვს უყოყმანო პასუხი: ბრწყინვალედ, განუმეორებლად, ჭეშმარიტი ოსტატობით. „დავით კლდიაშვილი როგორც მწერალი ერთიანია, მთლიანი, თავის თავში, თავის მწერლურ პოზიციაში ღრმად დარწმუნებული“ (მინაშვილი 2013: 575). მიუხედავად რაოდენობრივი დასაზღვრულობისა, თემა-ტური და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. „ცრემლიანი ღიმილი“ დ. კლდიაშვილის შემოქმედების მეტაფორად იქცა, მაგრამ ღიმილს ვერ გააკარებ მოთხრობათა ციკლს გულისმიერი ცრემლებითა და სულის კვილით რომ იკითხება. ცრურწმენის შედეგად ადამიანთა სამყარო რომ მოუცავს ეჭვს, სასოწარკვეთას, გაუცნობიერებელ სისასტიკეს.

ცნობილია, რომ „შერისხვა“ და „მხვერპლი“ (ნაწარმოებების არსს ქვემოთ მოგახსენებთ) 1894 წელს დაუწერია. უკანასკნელი „მოამბის“ რედაქტორს ალექსანდრე ჭყონიას გაუგზავნა, ის ბარათით მადლობას უხდის და ამასთანავე გოცებულობა: „ნუთუ მართლა ასეთი სიბნელით არის მოცული სოფლის ცხოვრება, საჭიროა უფრო შენელება სურათის“ (იქვე: 573) მაგრამ რეალისტმა მწერალმა რჩევა არ მიიღო, უფრო მეტიც, ნანობდა: აჩქარებით ბევრი გამომრჩაო.

დ. კლდიაშვილი მხატვრულად მხოლოდ „აწესიერებდა, აშრობდა“

და განსხვავებულ ადამიანებს ზოგად ხასიათს ანიჭებდა, ამიტომ არ ცვლიდა, „არ ანელებდა“ ამ სურათებს. ასეთი მოთხრობების ფაბულის სიცხადე, რეალობა მხატვრულ-დოკუმენტურ სტილში სრული სისავსით წარმოაჩინა ელგუჯა თავბერიძემ წიგნში „ექვსის პერანგი“. წინასიტყვაობაში ავტორი გვამცნობს: „თხზულებებში, წერილებში, მოგონებებში გამხელილი მეცხრამეტესაუკუნელი ქართველების (და არა მარტო მათი) ფიქრი, შიში და ძრწოლა მეორედ მოსვლასა, კუდიან ვარსკვლავსა და კუდიანებზე, რამდენადაც მოვახერხეთ, შეულამაზებლად მოგიყვებით“ (თავბერიძე 2020). ამ შეულამაზებელ თხრობაში არის საარქივო მასალაც, იმდროინდელი პრესიდან ინფორმაციებიც, თვით დ. კლდიაშვილის ნაწარმოებებიდან პასაჟები; პარალელები პროტოტიპებთან თუ აღწერილი ბუნებრივი მოვლენების (წყალდიდობა, გვალვა) ნამდვილობასთან იმ პერიოდში. ნაწარმოების შვიდი თავი იყოფა ქვეთავებად და მკითხველსა თუ დავით კლდიაშვილის შემოქმედების მკვლევარს აწვდის საინტერესო მასალას, „გაშნოიანებულს“ მხატვრული ენით.

„ღიმილმიუკარებელი“, „სურათშესანელებელი“, „მსხვერპლისა“ და „შერისხვის“ ათი წლის შემდეგ იქმნება „მიქელა“ (1904). ეს მოთხრობები, მწერლის ხელწერის შესაბამისად, ხასიათდება ფსიქოლოგიური სიღრმით, გრძნობათა ფაქიზი ანალიზით, დამაჯერებლობით.

„შერისხვაში“ სიუჟეტი ვითარდება კაცია საგუნაშვილის პრობლემის საფუძველზე: სოფელი მის მიწას ისაკუთრებს, გზისთვის ძველი გამოუსადეგარია. მრავალთა შორის, ვინც ეს გადაწყვეტილება სწორად ჩათვალა, კაცია მხალგაზრდა გლეხი, ანდრია, წმიდა გიორგიზე გადასცა.

ხატზე გადაცემა თითქოს მტყუან-მართლის გარჩევას, დელიგირებას, ღმერთისთვის გადაცემას გულისხმობს. ეს არის მრისხანების ნაყოფი, „სადაც გაბოროტება და მრისხანებაა, იქ თავმდაბლობის სული არ დაივანებს“ (წმიდა იოანე ოქროპირი – ღსმე 2007: 274). და კაციაც ბოზოქრობს, იბრძვის. მტყუან-მართლის გარჩევა კი არ უნდა, „დაავალა“ წმიდა გიორგის ანდრიას დასჯა და აქვს მოლოდინი, ანდრიას თავს დატეხილი სასჯელით უნდა დაკმაყოფილდეს.

ანდრიამ იცის, უსაფუძვლო გადაცემის შიში არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ არ სიამოვნებს: „რაზე უნდა წაგაყენოს ხატთან ტყუილუბრალოდ კაცმა?“

უნდა აღინიშნოს, ამ მოთხრობაში ცრუმორწმუნე (უფრო მცირედ მორწმუნე ეთქმის) მხოლოდ კაციაა. მღვდელი, კაცია ცოლი – დოდო, ანდრია უფრო გაცნობიერებულ დამოკიდებულებას ავლენენ შექმნილი კონფლიქტისა თუ სარწმუნოებრივი საკითხებისადმი. კაცია „წმიდა გიორგისაც ემდუროდა შეგვიანებისთვის. ბერმა კაცმა იმ ზომამდისაც მიაღწია, რომ ხმამაღლა დაუწყო წმინდანს მდურება“ (კლდიაშვილი 2017: 243). უარი თქვა ზიარებაზე, აღდგომა ჩაუმწარდა, რადგან ანდრია დაუსჯელია.

დოდო ცრემლებით ითხოვს შენდობას, უპირისპირდება წმინდანის მგომბელ, ზიარებისგან განდგომილ ქმარს, მოითხოვს მისგან ხატს შენდობა სთხოვოს. კაცია გაკერპებულ-გაჯიუტებულია.

რატომ არის კაცია ცრუმორწმუნეობამდე მისული, მცირედ მორწმუნე?



მას ხატი, ზიარება, უფლის სამართალი სათავისოდ უნდა. საღვთო სამართალი მისი ხედვის თანაზიარი უნდა იყოს, სხვა შემთხვევაში ზურგს აქცევს.

შთამბეჭდავია კაცის აღსასრული: ის შინაგანი, გამოუთქმელი სინანულით იტანჯებოდა, სიკვდილის მოახლოებისას მღვდელი მოუყვანეს. თითქოს გაჯიქდა, მაგრამ მალევე „ვეება დეგვაცი ბავშვივით ატირდა, სიტყვების უთქმელად. ამ მწარე საცოდავად მოთქმამ მღვდელს გული აუზვილა. ცრემლებით თვალებზე ის გულმხურვალედ ლოცულობდა და თან ნუგეშს აძლევდა საცოდავ მოხუცებულს... კაცია ეზიარა“ (იქვე: 248). ასეთი ჯანსაღი სულიერი ხედვა ნაკლებად ჩანს კლდიაშვილის სამყაროში, მაგრამ „შერისხვის“ ბოლოს გვხვდება გულსაკლავი ცრუმორწმუნეობის დასტური სოციუმში.

სოფელმა არ იტირა კაცია. „ღმერთს ვაწყენინებთ, რომ მისი მგომბელი ვიტერთ!“ (იქვე).

მოთხრობაში „მსხვერპლი“ გაცილებით მძიმე, ალოგიკურ აზროვნებამდე მისული ცრურწმენის, ე.წ. „კუდიანობის“ შესახებ დამკვიდრებული ხედვის ტრაგიკული შედეგი, მაგრამ შედეგამდე თვით პროცესია აღწერილი; როგორ თრგუნავს, იმორჩილებს, პიროვნულ ინდივიდუალობას ქოლავს მარინეში დედამთილი.

კუდიანობის თემა მოთხრობაში პირველად სწორედ დედამთილს, ფეფენას, უკავშირდება. მისი მაზლი ონისიმე ცოლს (სოფიოს) უბრაზდება: „მისი კუდიანობის შენისთანა დედაკაცებს ეშინოდესო“, მაგრამ სიუჟეტის განვითარება გვიჩვენებს, რომ ქვეცნობიერად არც ონისიმეა ამ შიშისგან თავისუფალი.

ფეფენა ცილს სწამებს სიცოცხლით სავსე მარინას, ქმრის ღალატში დებს ბრალს. „ვის გაუგონია გათხოვილი ქალის კისკისი, გაუთავებელი სიმღერა, ცეკვა-თამაში ისე, როგორც ამან იცის?“ (კლდიაშვილი 2017: 259) და თუ ასე ლაღია, ღალატიც შეუძლია. ონისიმე ცდილობს უდანაშაულო ქალის დაცვას. ფეფენა შხამს ანთხევს, სოფელში ყველა ერიდება შეპასუხებას, რადგან „მთელი ქვეყანა კუდიანობას სწამობს“.

შეურაცხყოფილ, მოძალადე ქმარსა და დედამთილს გამოქცეულ მარინეს ფეფენას კუდიანობის შიშით ონისიმე და სოფია ვერ იფარებენ.

დაუცველი მარინე დანებდა: „მიიკარგა, სოფლად მოსიარულე არავის უნახავს“ და სოფელმა „ექვსის პერანგი“ მოქსოვა: „ყველამ დაამტკიცა, რომ ფეფენამ თავის საწადელს მიაღწია: მარინე დაიმორჩილა და კუდიანობაში გარია“ (კლდიაშვილი 2017: 266)

ორწმუნა მარინემ, რომ ფეფენას მომრევი აღარავინ არის და სრულად დამორჩილდა, გატყდა. ლადო მინაშვილის აზრით; „ის რაც ცხოვრებისეულია, ნიშანდობლივია და გამოსახატავადაც რთული – დანებების პროცესის ჩვენება, მის განსახიერებას უძღვნა დავით კლდიაშვილმა მოთხრობა „მსხვერპლი“ (მინაშვილი 2013: 576). თითოეული პერსონაჟი მწერალმა საოცარი სისავსით დაგვიხატა. ფსიქოლოგიური წიაღსვლები დამარწმუნებელია და ამიტომაც მძიმე ემოციებს იწვევს მკითხველში. მოულოდნელია მარინეს უარი მამასთან შინ დაბრუნებაზე.

ტირილით ამოგოდებული: „ჩემო მამა... მომკლავენ, მამა! ვაიმე!“ ამ ეპიზოდში მთავრდება ძველი მარინე და იწყება ახალი: დათრგუნული, ინდივიდუალობაწაშლილი. ამ მოვლენის სულიერ-ფიზიოლოგიური საფუძველი შიშია. „ის ამდაბლებს სულს, ართმევს მას ძალებს და უნარებს. სავსებით აჩლუნგებს კიდეც მას“ (გაბრიელ ეპისკოპოსი 1993: 141). შიში ფეფენას უძლეველობის, ქმრისა და დედამთილის ძალადობის შედეგია; მრისხანე და ბოროტი სულის გავლენაა, ზოგჯერ გავლენა საგანგებო, საშიშია, „ისინი იწვევენ გონების მოქმედების მოშლას, ან სულიერ დაავადებას“ (იქვე: 142). შინაგანი სიმრთელის რღვევის ეს შემთხვევაა მარინეს მდგომარეობა. საგულისხმოა, რომ მარინე განსაკუთრებული ტიპაჟია დავით კლდიაშვილის მხატვრული სამყაროს ქალთა სახეებში. ის სიცოცხლით სავსეა, იბრძვის, მაგრამ მარცხდება, რადგან ერთი ადამიანიც კი არ აღმოჩნდა, ვინც თანადგომას შეძლებდა; მშობლებიც კი, ცრურწმნით დაბნელებულები, სურვილის მიუხედავად, შვილს ვერ შევლიან.

მაკა ჯოხაძის მოსაზრებით, უმეტესწილად დავით კლდიაშვილის „ქალთა ტიპაჟები ისევე სქემატურად და უღიმღამოდ გამოიყურებიან, როგორც ზღაპრულ კომპეზში ჩაკეტილი ე.წ. პერსონაჟი მზეთუნახავები. ისინი თავიანთ მხსნელ მიჯნურებს გულხელდაკრეფილნი ელიან და თუნდაც უმცირესი ფიზიკური და გონებრივი ენერჯის გაღება არასოდეს უწყევთ“ (ჯოხაძე 2016: 2012). მარინე გამონაკლისია. ის ცრურწმენასა და მის შედეგებთან ბრძოლაში ფიზიკურადაც და სულიერადაც დაიშრიტა. „მსხვერპლში“ ამ ახალგაზრდა ქალის მსხვერპლობით მხილებულია ფანატიზმი და მისი ტრაგიკული შედეგები.

მამას იმედს, საყრდენს, ქომავს, ვისაც უნდა ეხსნა შვილი – მოუყვანია ვინმე „ღვთისნიერი ვასილი“, რომ გაარკვიონ მარინეს კავშირი ეშმაკეულთან – კუდიანობა. ეს არის მარინეს საბოლოო დაშრეტა. ის „გამოტეხა“ ვასილმა. ქალმა „აღიარა“ კუდიანობა, აღწერა, როგორ დაიმორჩილა დედამთილმა. „გამოტეხილი დიდ ხანს არ იცოცხლებსო“, – სჯერათ სოფელში. ნიშანდობლივია: ვისაც კუდიანობას შესწამებდნენ და ამ წამებას ვერც გადაურჩებოდა, „გამოტეხილი“ კვდებოდა. რამდენად რეალური იყო მსგავსი ამბავი და შეიძლება თუ არა ვიგულისხმოთ მოთხრობის ფაბულა, ამის პასუხი გვაქვს ე. თავბერიძის „ეჭვის პერანგში“. ავტორს დამოწმებული აქვს „ივერიის“ 1890 წლის 2 მაისის ნომრის უჩვეულო ამბები: „მიქელ გაბრიელი (გურიაში)“, ნიკო ნიკოლაძის მონათხრობი ამავე ნომერში „ვენახების წამლობა“. აქტუალური იყო კუდიანობის შიში, შიშს კი ფართო თვალები აქვს: კუდიანად მიაჩნდათ ხნიერი ადამიანები, შავი და ხშირი თმით დაზადებული ჩვილები. ნიკო ნიკოლაძის მოგონებით, „წყალში დამტკიცება“ იგივე „გამოტეხვა“ იყო. ფიცარზე დაკრული ადამიანი თუ არ ჩაიძირებოდა, კუდიანობაც უმტკიცდებოდა. „წყალში ჩაუძირავებს საზეიმოდ დაღვადნენ. არავინ ფიქრობდა, იქნებ ვცდებით, იქნებ სულაც უსამართლოდ ვდაღვავთო, პირიქით, ყველას სჯეროდა, რომ სამართალმა იზეიმა. კუდიანი და ჯადოქარი გამოავლინეს და საზეიმოდ დასაჯეს“. (თავბერიძე 2020: 32).

ამ სულისშემძვრელ ამბავს რომ კითხულობ, ცდილობ გაიაზრო;

როგორ შეიძლება ადამიანი ამ სისასტიკემდე მივიდეს? შიში და ცრურწმენა (ცრურწმენით ნაკვები შიში) კვებავს თავდაცვის ამ უსაშინლეს არჩევანს. ამავე დროს მას აქვს სულიერ-ფსიქოლოგიური საფუძველი. ფსიქოლოგთათვის ალბათ სახელდარქმეულია ასეთი ფსიქოტიპები, სასულიერო იერარქიაც სათანადო მიზეზ-შედეგობრივ კავშირში განიხილავს. შიშისა და ცრურწმენის, თავდაცვის ცხოველური ინსტინქტის შემზარავი ამზავია გადმოცემული „მიქელაში“.

გლებკაცას, მიქელას, ავადმყოფობით ამოუწყდა მთელი ოჯახი, რძლისა და ორი შვილიშვილის გარდა. მათგან ერთი, სპიდონა, მალევე დაავადდა. უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსულმა ბაბუსა უთხრა: „ერთი წლით გამომაბრუნესო.“ დაიზაფრა მიქელა, იმედი გაქარწყლდა. ეძებს გამოსავალს და იბოვა: „სპიდონას კარავში გევიყვან“, საფრთხეს გაირიდებს და დედულეთში გახიზნულ ნესტორას იმედად დააბრუნებს კერიაზე.

„-სახლის გამწმენდი დაგვჭირდება, ბატონო!“ – ეუბნება რძალი. ასეთი გამწმენდი „ჟამგამოვლილი“ ალექსი ბოჭორიძე ეგულება მიქელას. საოცარი დამაჯერებლობით, სიცხადით არის აღწერილი მიქელას გულგრილობა და გამეტებული სპიდონას გულისტკივილი: „თავად იცოდა, რომ აღარ იყო ამა სოფლისა, მაგრამ მაინც გული ეჩაგრებოდა, რომ უკვე ხელს იღებდნენ მასზე, რომ ოჯახიდან რიცხავდნენ“ (კლდიაშვილი 2017: 229).

მიქელამ მოიყვანა სახლის „გამწმენდი“. მან სათითაოდ დაფხიკა, დამდულრა სახლის თითოეული ძელი. ამ ფორიაქში ბაბუსა თითქმის მიავიწყდა კარავში გაყვანილი, ავადმყოფი შვილიშვილი. მან უსაჭმელობა აიტანა, მაგრამ უწყლობა – ვერა, წყლის სათხოვნელად ძლივს ალას-ლასებულს ბაბუა გაუწყრა. „გამწმენდილი სახლიდან“ გაერიდა და ჯობით აწვდიდა საკვებს. სიფრთხილე სასტიკ გულგრილობაში გადაეზარდა მოხუცს, ოჯახის დარჩენილი წევრების გადარჩენის ცდაში საბოლოოდ სპიდონა შემოდგომის წვიმებით მოვარდნილ წყალდიდობას ემსხვერპლა. მიქელას მეზობელიც ურჩევს: „ნამეტანი დიდი წყალი აწვება გზის ნაპირს, კარვისკენ არ გახეთქოს, მიეშველე რაცხა! (იქვე: 233). საფრთხე რეალურია. შფოთავს რძალიც: „იმ ბოვშს დახედვა უნდა კიდევ“.

„რა ვუყო ახლა მე!“

„ამ ღამის წერა ყოფილაო“, – პასუხობს და ბუზღუნით წასული ცდილობს წყალს მიმართულება მაინც შეუცვალოს. დილით „კარავი აღარსად იყო... სადაც კარავი იყო, იმის ქვევით რაღაც დამრგვალებულს მოჰკრა თვალი მიქელამ...“

სპიდონა ეგდო გაუნძრევლად.

იგი მკვდარი იყო“ (იქვე: 235).

ასე გავიდა წუთისოფლიდან ოჯახისგან მოკვეთილი ავადმყოფი ჭაბუკი. კუდიანობის შიში საიქიოგამოვლილი შვილიშვილის შინ ყოფნას უკავშირდებოდა: „თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც ნიშნავს კუდიანთან, ჩვეულებრივისგან განსხვავებულ ადამიანთან ურთიერთობას“ (თავბერიძე 2020: 251).

„ეჭვის პერანგში“ ვკითხულობთ, სიუჟეტის სინამდვილიდან არისო; დავითის დის, კეკელას, მოგონებით, მარიამობის 14-ში 1895-წლისა, ასეთი მოვარდნილი ნიაღვარი ყოფილა, ხოლო 28-29 ოქტომბერს „მართლაც ცისა



და მიწას გამაერთიანებელი წარღვნა მოვიდა; ყველაფერი, რაც წინ დახვდა, წალეკა და წახვეტა“ (თავბერიძე 2020: 53). სერგო კლდიაშვილის მოგონებით, ეს ამბავი მათ მეზობლად ტუპერკულოზისგან სიკვდილშეჩვეულ ოჯახს გადახდა. კეკელაც ყვებოდა, რომ დავითი ხშირად უჩვენებდა იმ სახლს, რომელშიც „მიქელას“ ნესტორას პროტოტიპი ცხოვრობდა.

„ექვსის პერანგის“ VII თავი – „ურწმუნოების ჩადრი“ საინტერესოდ აღწერს თქმულებებს კუდიანობის შესახებ. (1872 წელს „დროებაში“ გამოქვეყნებული დიმიტრი მეღვინეთუხუცესის შვილის და გადმოცემების მიხედვით) ეს არის მსჯელობა წარმართული რიტუალის (ჭიაკოკონობის) გადაზრდა ქრისტიანულ დატვირთვაში – ბოროტის დამარცხება.

ელგუჯა თავბერიძე „ექვსის პერანგში“ მხატვრულ-მეცნიერული ალღოთი ახასიათებს პერსონაჟებს, აანალიზებს მათი ქმედებების საფუძველს. განიხილავს კუდიანობასთან დაკავშირებულ რიტუალებს: ჭიაკოკონობა, ჭეჭეთობა. განიხილავს კუდიანობის ცრურწმენის მხატვრულ სიუჟეტად გარდასახვის პირველ ცდას ქართულ ლიტერატურაში – ალ. ორბელიანის „არაკი ტარტაროზისა ანუ კუდიანების ღამე“.

ავტორის განმარტებით, „ექვსის პერანგამდე“ სათაურად ჩაფიქრებული ჰქონდა „კუდიანი ვარსკვლავი და კუდიანები“, „ვაი, შენს ლუარსაბსა“ (პოსტმოდერნისტული თაობით), ხოლო შთაგონების წყარო იყო იმდროინდელი პრესა, რომელსაც ძალიან კარგად იცნობს მწერალი.

ცრუმორწმუნეობა დარღვეული კოსმიური ჰარმონიის, პირველ-ქმნილი ცოდვის შემდეგ თან სდევს კაცობრიობას სხვადასხვა ფორმით, საფუძვლით, ხანგრძლივობით. ცრუმორწმუნეს ბევრი რამ ჭეშმარიტებად მიაჩნია გარე სამყაროში და აინტერესებს, ემორჩილება გაუცნობიერებელ შიშს. ცრუმორწმუნეობა განუვითარებელი ადამიანის ბორკილია, რომელიც ხელს უშლის ნამდვილ სიცოცხლეს, პროგრესს, ადამიანურ ყოფას. სწორედ ასეთი ირაციონალური, ჭეშმარიტი რწმენის აბსოლუტურად კონტრასტული მოვლენა – ცრურწმენა არის ფაბულა, თითქმის პერსონაჟი დ. კლდიაშვილის განხილულ მოთხრობებში. ამის მიზეზ-შედეგობრივი გაცნობიერებისა და კვლევისთვის მნიშვნელოვანი და საჭირო წიგნია ელგუჯა თავბერიძის „ექვსის პერანგი“.

#### გამოყენებული ლიტერატურა

გაბრიელ ეპისკოპოსი 1993: გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი, 1993.

თავბერიძე 2020: თავბერიძე ე., ექვსის პერანგი. ქუთაისი, 2020.

კლდიაშვილი 2017: კლდიაშვილი დ., მოთხრობები. პიესები. თბილისი, 2017.

მინაშვილი 2013: მინაშვილი ლ., დავით კლდიაშვილი. წიგნში: მინაშვილი ლ., ევგენიძე ი., ქართული ლიტერატურა, ტ. II. თბილისი, 2013.

ღსმე 2007: ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია. თბილისი, 2007.

ჯოხაძე 2012: ჯოხაძე მ., ჩემი დავით კლდიაშვილი. თბილისი, 2012.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8066>

**ზემო იმერეთი და  
აკაკი და გიორგი წერეთლები**

**Upper Imereti and  
Akaki and Giorgi Tsereteli**

**მანანა ჯაჯია**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Manana Kajaia**  
Georgian Technical University  
Georgia, Tbilisi

**აბსტრაქტი**

იმერეთიდან წამოსული XIX საუკუნის ქართული მწერლობის ორი თვალსაჩინო წარმომადგენელი ქართველ მამულიშვილთა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე და ქართული საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრება ძირეულად შეცვალეს.

ზემო იმერეთის წარმომადგენლები – აკაკი და გიორგი წერეთლები ენერგიულად იღვწოდნენ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ სარბიელზე და უშუალო მონაწილეობას იღებდნენ იმდროინდელი ყველა მნიშვნელოვანი, საჭირობო პრობლემის დასმასა და გადაწყვეტაში.

მათი მოქალაქეობრივი მრწამსის შინაარსს განსაზღვრავს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები. ისინი თავიანთი დიდი განსწავლულობითა და მოღვაწეობის მრავალფეროვნებით ტიპური 60-იანელები არიან.

როგორც ცნობილია, გიორგი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელთან ერთად, ჭაბუკობიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე იტვირთა მძიმე და საპასუხისმგებლო მისია ხელოვანისა და, ამავე დროს, ერის მოძღვრისა. ამ დიდი ტვირთის სიმძიმის ქვეშ იგი ერთი წუთითაც არ მოხრილა და ღირსეულად, როგორც ეს რჩეულ ადამიანს, ერის გულის მესაიდუმლეს შეჰფერის, წმინდად დაიცვა ქართველი მწერლისა და მოღვაწის სახელი.

მნიშვნელოვანია აკაკი წერეთლისა და გიორგი წერეთლის თბილი, მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ქუთაისის გიმნაზიიდან დაიწყო და

კიდევ უფრო განმტკიცდა აკაკის ჟურნალ „კრებულში“ მუშაობის შემდეგ.

უაღრესად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ როგორ მიიღო რომელიმე მწერლის შემოსვლა ქართულ მწერლობაში საზოგადოებამ, რა მხარეები შეამჩნიეს ქართველმა კრიტიკოსებმა ფასეული ამა თუ იმ მწერლის თხზულებებში, რა მომენტები გამოყვეს და წამოსწიეს წინ.

უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა აკაკი წერეთლის აზრი გიორგი წერეთლის შემოქმედებაზე. გიორგი წერეთლის შემოქმედების თაობაზე აკაკის არ გამოუქვეყნებია ვრცელი წერილები, რომლებშიც განხილული იქნებოდა მწერლის შემოქმედება. მაგრამ ის, რაც აკაკის გიორგი წერეთლის შესახებ უთქვამს, ძალიან მნიშვნელოვანია ამ უკანასკნელის დასახასიათებლად.

ერთი სიტყვით, აკაკი სრულიად გარკვეულად მიუთითებს, რომ გიორგი წერეთელი გამოირჩევა დიდი ნაყოფიერებით, პროდუქტულობით, რაც მისი შრომისმოყვარეობის გამოხატულებაცაა, მაგრამ, ამასთანავე, და ამის გამოც, მისი ნაწერები უთანაბრობით ხასიათდება. იგი ბევრს წერს, მაგრამ ნიჭიერებით მხოლოდ მისი ნაწერების ნაწილია აღბეჭდილი, დანარჩენს ნაჩქარობა და დაღლილობა ეტყობა.

ამგვარად, მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია აკაკი წერეთლის მიერ გიორგი წერეთლის შემოქმედებითი ღვაწლის დადებითად შეფასება

საკვანძო სიტყვები: XIX საუკუნის ქართული მწერლობა, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, აკაკი გიორგი წერეთლის შემოქმედების შესახებ.

#### ABSTRACT

Two prominent representatives of 19th-century Georgian literature from Imereti belong to the group of Georgian patriots who emerged in the 1860s and profoundly impacted Georgian public and literary life.

Representatives of Upper Imereti, Akaki and Giorgi Tsereteli, actively participated in public and literary life, addressing and solving the crucial issues of their time. Their civic beliefs were shaped by the ideals of the national-liberal movement. They epitomize the intellectuals of the 1860s, distinguished by their broad education and diverse activities.

As is well known, Giorgi Tsereteli, along with Ilia Chavchavadze and Akaki Tsereteli, carried the weighty and honorable duty of artist and educator of the nation from youth until death. Under this burden, he upheld the name of Georgian literature and public service with unwavering dignity, characteristic of a respected national figure.

The warm friendship between Akaki Tsereteli and Giorgi Tsereteli, which began in Kutaisi Gymnasium and grew stronger during Akaki's collaboration in the



„Krebuli“ magazine, is noteworthy.

It is crucial to consider how the public received the emergence of each writer in Georgian literature, what aspects Georgian critics noted in their works, and which moments they emphasized.

Akaki Tsereteli's opinion on Giorgi Tsereteli's work is particularly intriguing. While Akaki did not extensively publish letters discussing Giorgi's work in detail, his insights are pivotal in characterizing Giorgi Tsereteli. In essence, Akaki emphasizes Giorgi Tsereteli's remarkable productivity and industriousness, which sometimes results in unevenness in his writing. While he produces prolifically, only certain pieces exhibit true talent, with others appearing rushed and fatigued.

Thus, Akaki Tsereteli's positive assessment of Giorgi Tsereteli's creative output is both intriguing and significant.

**Keywords:** Georgian writing of the 19th century, Akaki Tsereteli, Giorgi Tsereteli, works of Akaki and Giorgi Tsereteli.

*„ვისაც აწმყოში წილი არ უდევს, იმას მომავალი აღარ ერგება და არც წარსულს უნდა ეპოტინებოდეს“.*  
*„მშობლიურ ნიადაგზე თუ არ დგას კაცი, მისი შუქი ბევრს ვერ გაანათებს და ვერც ვერავის გაათბობს“.*  
*„სიტყვა თესლია! ხნული კი კაცის გული; აქ ჩავარდნილი სიტყვა არა ჰქრება, მხოლოდ დრომდე მიმალულია და ნელ-ნელა ღვივის, რომ შემდეგ თავი იჩინოს!“*

/აკაკი წერეთელი/

მეტად საყურადღებოა აკაკი წერეთლისა და გიორგი წერეთლის პირადი დამოკიდებულება. ორივენი ზემო იმერეთის შესანიშნავი სოფლებიდან იყვნენ: აკაკი – სხვიტორიდან, გიორგი დაბადებული იყო გორისაში. იმერეთიდან, ამ შესანიშნავი კუთხიდან, წამოსული ადამიანები ყოველთვის გამოირჩეოდნენ თავიანთი კულტურით.

სიყრმის წლებიდან დაწყებული მთელი ცხოვრების განმავლობაში ისინი ღრმა პატივისცემით ეპყრობოდნენ ერთმანეთს. უშუალო ურთიერთობანი, რომელიც მათ შორის ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში დამყარდა, ამ ორ შესანიშნავ პიროვნებას ყოველთვის უადვილებდა გაუგებრობათა და დაძაბულობათა დაძლევას.

წერეთლების პირადი ურთიერთობის გაღრმავებას განსაკუთრებით

შეუწყო ხელი აკაკის ინტენსიურმა თანამშრომლობამ ჟურნალ „კვალში“, რომელიც გიორგი წერეთელმა 1893 წელს დააარსა. სწორედ „კვალში“ დაიბეჭდა აკაკის ზოგიერთი შესანიშნავი ლექსი: „განთიადი“, „ჭალარა“ და სხვა, ფელეტონები „ცხელ-ცხელი ამბების“ სათაურით და ავტობიოგრაფიული მოთხრობა „ჩემი თავგადასავალი“.

გიორგი წერეთლის შემოქმედების თაობაზე აკაკის არ გამოუქვეყნებია ვრცელი კრიტიკული წერილები, რომლებშიც ვრცლად იქნებოდა განხილული მწერლის შემოქმედება. მაგრამ ის, რაც აკაკის გიორგი წერეთლის შესახებ უთქვამს, უაღრესად მნიშვნელოვანია ამ უკანასკნელის დასახასიათებლად.

XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულში არის დაწერილი აკაკის სახუმარო ლექსი „მესტვირული“, რომელშიც მისთვის დამახასიათებელი ენამახვილობით არიან შექმნილი გასული საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი მოღვაწენი. გიორგი წერეთელზე მგოსანი ამბობს:

„გიორგი ჩვენში ყველაზე  
უფრო შრომისმოყვარეა,  
მაგრამ მისი ნაწერები  
სხვადასხვაა, ორგვარია:  
ერთი ნიჭიერი არის,  
მეორე კი ზღაპარია!  
მგონია თუ იმ ერთ კაცსა  
ორი თავი აბარია,  
როცა ერთი გამოჩნდება,  
მეორე ჩრდილს აფარია,  
საზოგადოდ კი ის კაცი  
ჩვენში კარგი ლამაზარია!“<sup>1</sup> (წერეთელი 1950: 392).

ერთი სიტყვით, აკაკი სრულიად გარკვეულად მიუთითებს, რომ გიორგი წერეთელი გამოირჩევა დიდი ნაყოფიერებით, პროდუქტულობით, რაც მისი შრომისმოყვარეობის გამოხატულებაა, მაგრამ, ამასთანავე, და ამის გამოც, მისი ნაწერები უთანაბრობით ხასიათდება. იგი ბევრს წერს, მაგრამ ნიჭიერებით მხოლოდ მისი ნაწერების ნაწილია აღბეჭდილი, დანარჩენს კი ნაჩქარობა ეტყობა.

მიუხედავად მცირე მოცულობისა, საყურადღებოა აკაკის ერთი პატარა წერილი, „ჭრელი ფიქრები“, რომელიც „კვალის“ 1894 წლის №23-ში დაიბეჭდა. მასში აკაკი გიორგი წერეთლის „მგზავრის წიგნების“, ანუ „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკას“ ერთ-ერთი მთავარი გმირის – კუდაბზიკას საკმაოდ თავისებურ ღრმად გააზრებას იძლევა, გადმოგვცემთ ამ წერილის შინაარსს:

„ის ახალი ტიპები, რომელიც თვალწინ ხორცშესხმით დაგვიყენა „მგზავრის წიგნის“ ავტორმა გიორგი წერეთელმა – ეს გახლავთ „კუდაბზიკა“

1. აკაკის ეს ლექსი გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“ (N1) 1880 წელს.

თუ „დონ კიხოტი“, დამძვლებული რაინდობის ტიპია, უსუსური და სწორედ ვერ გაგებულ კულტურის ნაყოფი. ეს ტიპები არიან ნაციონალური ტიპები დღევანდელი ჩვენი ცხოვრებისა“ (წერეთელი 1894: 3). როდესაც კუდაბზიკა თავის გახრეკილ ბაზზე თავს უქინჩავს, დეზებს გვერდებში უჩხუკუნებს და ახტუნებს, სრული დარწმუნებულია, რომ რაშზე ვზივარო და უნდა თავი ზეცას მიაჭიროს, მაგრამ როდესაც მისი რაში, მუცლის ტკივილით გამწარებული, მიწაზე კოტრიალს დაიწყებს, „კუდაბზიკა“ სასოება-დაკარგული დედამიწაში აპირებს ჩამგრენას. ამგვარი ტიპები, რასაკვირველია, მსოფლიო ტიპებიც არიან, მაგრამ, კერძოდ კი ნამდვილი ნაციონალური ტიპია დღევანდელი ჩვენი ცხოვრებისა. დასამტკიცებლად გადავავლოთ თვალი ამ 30 წლის ხანას ჩვენი ცხოვრებისას, უმეტესობაში დავინახავთ „დონ კიხოტებს“, „ფალსტაფებს“ და „კუდაბზიკებს“. ავიღოთ თუნდაც ჩვენი ლიტერატურა, სულ ამგვარი რაინდებით არის ავსილი. ის ჩვენი პუბლიცისტები, რომლებიც თითქოს ასკინკილას თამაშობენ, დღეს აქ არიან და ხვალ იქ, წინდა-პაიჭივით იცვლიან აზრსა და მიმართულებას... და იგივე „ფალსტაფები“ არ არიან? ის ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც პირველად გამოდიან ჩვენში დიდი თავმომწონებით, ისე უკუ იქცევიან ხოლმე და თავს ანებებენ არა თუ მწერლობას, ქართველობასაც, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მათი სათავმოყვარეო შედეგი გაუცრუვდათ, რითი არ ჰგვანან ჩვენს – „კუდაბზიკას“ ცხენის მუცლის ტკივილის გამო დედამიწასთან გასწორებულს? თვით ჩვენი მკითხველი საზოგადოება ქების ტაშს უკრავს ამ რაინდებს და ჩვენი სჯობია სხვისასო, ამბობს, რა არის, თუ არა იგივე შემკრებლობითი „კუდაბზიკობა“. ასევე, ლაპარაკია იმ ახალგაზრდა პუბლიცისტებზე, რომლებიც გულწრფელად ემსახურებიან თავიანთ სამშობლოს და არაჩვეულებრივი „კუდაბზიკური მხნეობით“ (იქვე: 3-4). აკაკი წერეთელი, მიუხედავად იმისა, რომ კუდაბზიკას „მსოფლიო ტიპად“ თვლის, მაინც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი ნამდვილი ნაციონალური ტიპია დღევანდელი ჩვენი ცხოვრებისა.

როგორც ვხედავთ, აკაკი გიორგი წერეთლის მიერ მართლაც ოსტატურად დახატული „კუდაბზიკას“ სახით ღრმა და საინტერესო გააზრებას გვთავაზობს, რომელსაც სადღეისოდ არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. როგორც ინდივიდუალური, ასევე „შემკრებლობითი კუდაბზიკობა“ ზოგჯერ ახლაც ძალიან მკვეთრად იჩენს თავს ქართულ სინამდვილეში.

აკაკის ეკუთვნის გიორგი წერეთლის ერთი შესანიშნავი დახასიათებაც. მასში, ჩვენი აზრით, იგი ძალიან ზუსტად, ადამიანის ფსიქიკის თავისებურებათა გათვალისწინებით იძლევა თანამოკალმის საკმაოდ საინტერესო პორტრეტს. იგი გიორგი წერეთლის უმთავრეს დადებით თვისებად შრომისმოყვარეობას მიიჩნევს. ეს ყველაფერი მან წარმოადგინა „ჩემი თავგადასავლის“ II წიგნში (1908).

„გიორგი წერეთელი იმდენად მშრომელი იყო, რომ თავის დაღალვას



ვედარ შეატყობდა ხოლმე, როგორც ოჯახში ხელმოკლე კაცი რომ ვედარავისა ხედავდა ჩვენში, ყველაფერს თვითონ ეპოტინებოდა: რედაქტორიც იყო, გამომცემელიც, წერდა პუბლიცისტურ სტატიებს, კრიტიკულ გარჩევებს, ლექსებს, პროზებს, მოთხრობებს, რომანებს და კომედია-დრამებს. ამავე დროს ეპოტინებოდა ისტორიკოსობას, არქეოლოგობას, ფილოლოგობას და ბოლოს კომერციასაც“ (წერეთელი 1958: 109).

განსაკუთრებით კარგად აქვს შენიშნული აკაკის გიორგი წერეთლის მდიდარ შემოქმედებით მემკვიდრეობაში ნაკლებად მხატვრული ღირსების ნაწარმოებთა არსებობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. იგი წერს: „ზემოთ ვთქვი: დაღალვას ვერ ტყობილობდა-მეთქი, სწორედ მითაც აიხსნება, რომ მის შრომას ორგვარი ბეჭედი აზის: ზოგს ნიჭისა და ზოგს მოქანცვისა“ (იქვე: 109). დაღლა, მოქანცულობა, როგორც შემოქმედებითი ენერჯის კლების მიზეზი და, აქედან გამომდინარე, ნიჭის მაღლის მოკლებაც, საბოლოო ჯამში კი, ნაწარმოების მხატვრული ხარისხის დაბალი დონე – ასე შეიძლება გავხსნათ აკაკის მიერ ძალიან სადად და ზუსტად ჩამოყალიბებული აზრი.

აქვე აკაკი ისხენებს გიორგი წერეთლისათვის ხუმრობით სახელის შერქმევის ფაქტს და წერს: „...ბევრჯერ მიმხელია მისთვის, მაგრამ რას გავხდებოდი, ის თავისას არ იშლიდა და მეც, რომ მეტი გზა აღარ დამრჩა, დავცინე: ორთავა დავუძახე – ამით მე მისი არც წყენა მდომებია, და არც დაცინვა, მინდოდა მხოლოდ მეტი შრომა მომეშლევინებინა, მაგრამ რა გამოვიდა. ის სიკვდილამდე ის გიორგი დარჩა და ჩემზე კი სამარადისოდ გულნატკენი იყო“ (იქვე: 110). როგორც ვხედავთ, მგოსანი „მესტვირულში“ ხუმრობით ნათქვამ სიტყვებს იხსენებს: „მგონია თუ იმ ერთ კაცსა ორი თავი აბარია“ (იქვე: 392).

აკაკი, ბუნებრივია, როგორც მწერალი, სხვაზე უკეთ გრძნობდა გიორგი წერეთლის ნაკლოვან მხარეებს, მაგრამ, ამავე დროს, უშურველად აფასებდა მისი შემოქმედების უდავო ღირსებებსაც.

„მის ნაშრომ-ნაღვაწს ისე უნდა უყურებდნენ, როგორც ოქროს მადნეულის ძარღვს: უნდა გაარჩიო, გარეცხო, რამოდენიმე ფუთი სილა-ტალახი მოაშორო, რომ მერე გამოაჩინო რამდენიმე ოქროს მარცვალი. გიორგის თხზულებასაც, როცა გაიმტკიცება, ბევრი ხელის-ხელ საგოგმანებელი საგანი გამოაჩნდება, რომელიც საბოლოოდ გასტანს. მისი პირდაპირი დანიშნულება პროზაიკობა იყო... სხვები რომ არ ვახსენოთ ამის დასამტკიცებლად, მარტო „მამიდა ასმათი“ და „რუხი მგელიც“ კმარა (იქვე: 110).

ასევე აფასებს აკაკი „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკას“, „რომ შიგა და შიგ დაღალვა არ ეტყობოდეს, ერთი უკეთეს თხზულებათაგანია ქართულ ენაზე, ერთი სიტყვით, ის პირველთაგანია მესამოცე წლების მოღვაწეობაში“ (იქვე).

აი, ასეთი იყო დიდი მგოსნის შეხედულება გიორგი წერეთელზე.

ამრიგად, გიორგი წერეთელი XIX საუკუნის სამოციანი წლების

ქართველ მოღვაწეთა იმ სახელოვან ჯგუფს ეკუთვნის, რომელმაც ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა აღმართა. მან სოციალური და ეროვნული პრობლემების დასმითა და გადაწყვეტით არა მარტო გაამყარა ილიასა და აკაკის პოზიცია, არამედ მათთან ერთად ქართული აზრისა და მწერლობის განვითარების ახალი გზა გაკაფა. გიორგი წერეთლის მთლიანი მემკვიდრეობა გამოხატავდა ქართველი ხალხის თანამედროვე თავისუფალი ცხოვრებისა და ნათელი მომავლის სურვილებს.

#### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

წერეთელი 1950: წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული, ტ. I. თბილისი, 1950.

წერეთელი 1958: წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. VII. თბილისი, 1958.

კვალი 1894: გაზეთი „კვალი“. ტფილისი, №23, 1894.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8067>

**გვარსახელით გადმოცემული ისტორიული და  
ტრადიციული ყოფის ზოგიერთი საკითხი  
(იმერეთში და იმერეთიდან მიგრირებულ გვართა  
ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)**

**Some Issues of Historical and Traditional Existence  
Conveyed by Surnames  
(According to the Ethnographic Material  
of Surnames that Migrated from Imereti and to Imereti)**

**დავით შავიანიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Davit Shavianidze**

Akaki Tsereteli Shtate University  
Georgia, Kutaisi

**აბსტრაქტი**

ხალხის მეხსიერებაში (მუზეუმ-არქივში) არსებული ეთნოგრაფიული მასალა საიმედო პირველწყაროა ეთნოლოგიის, ეთნოსის ისტორიის, კულტურის ისტორიის, გეოგრაფიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, რელიგიის ისტორიის, მითოლოგიის, ფოლკლორისა და ეთნოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით საკითხების კვლევის საქმეში.

ეთნოგრაფიული მასალა ახალი მონაცემების, განსხვავებული შედეგებისა და თეორიების საფუძველია. შესაბამისად, ჩვენი კვლევის მიზანია საანალიზო თემის შესაბამისი, „ცხოვრების რიგის“ ამსახველი, ქართველოლოგიისთვის, მეცნიერების სხვადასხვა სფეროსთვის, მკითხველისათვის საინტერესო და გამოსაყენებელი ეთნოგრაფიული მასალების მრავლად მიწოდება.

წარმოვადგინთ სხვადასხვა მიზეზთა გამო იმერეთიდან გადასახლებულ და იმერეთში მიგრირებულ საგვარეულოთა (ქაშიბაძე; ჭაღალიძე, ჩირგაძე, გოგობია, არქანია, ბულია, ჩეგიანი, ქუთათელაძე, ხიხაძე, ახალაძე, ახოზაძე, მალრაძე, აბრამიშვილი, მაისურაძე, სვანაძე,



სათმანიძე, აბაშიძე, ქარცივაძე) „ოღლობის“ დროინდელი გვარების, გვარის მეორე მემკვიდრეობითი სახელების, ყოფის სხვადასხვა მიმართულება-მახასიათებლების, ისტორიების ამსახველი ეთნოლოგიური კვლევის შედეგებს.

უახლესი მასალების შესწავლით ირკვევა:

ა) „კაცთან და ხატთან მებრძოლი“ კომუნისტებისგან, მათზე „სარფის, რაღაცის გამო აყოლილ“ ქართველთა ნაწილისგან თავსდატეხილი „ჭირის“ (რელიგიის დევნა, ეკლესია-მონასტრების ნგრევა, თვითშეგნების, ეთნიკურ-კულტურულის განადგურება, ზოგადად, ტრადიციული ცხოვრების წესის ჩამოშლა) შესახებ;

ბ) აჭარელის, სხვა რელიგიაზე გადასული ქართველების ჩვენგანვე ეთნიკური ნიშნით, „თათრად“, „სომხად“, „აზერად“ მოხსენიების, რწმენა-რელიგიურობაზე დაცინვის შესახებ;

გ) როგორ მოახერხეს „წაქეზებულმა“ აფსუებმა, რომ დღეს „ჩვენის მიმტაცებელები იმისებენ სვან-მეგრელებით დასახლებული აფხაზეთის საზღვარს ენგურამდე“;

დ) „უკეთ ყოფნის საჭიროებისთვის“ სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციის, ხშირ შემთხვევაში სოფლის საერთოდ დაცლის შესახებ;

ე) ქვეყნისთვის თავდადების შემნახველი ისტორიული მეხსიერების, „შემდგარ-გამართული“ ყოფის წესის უმნიშვნელოვანესი მიმართულების, „ქალთაგან ქართულობის გადარჩენის“ ვალდებულების, მიდგომის შესახებ;

ვ. „ეპიდემია“ და „საწყევარი“ ტერმინები გამოიყენება მტერთაგან „მართლად ყოფნობის, შენგანვე უზრუნველყოფის“, „ქართულისთვის მოფიქრებული ყოველგვარი ჭირის“ წინააღმდეგ მომართული ქმედებების სახელად.

ეთნოსის კულტურული ცხოვრების, თვითშეგნება-იდენტობის, ეროვნული გადაუგვარებლობის გადარჩენის საქმეში უმთავრესია ქვეყნისთვის თავდადების, მისი გადამრჩენი ტრადიციულ-რწმენითი ცხოვრების წესის შემნახველი ისტორიული მეხსიერება.

საკვანძო ტერმინები: იმერეთის ეთნოგრაფიული ყოფა, ქართული გვარსახელები, მიგრირებული გვარები საქართველოში.

#### ABSTRACT

Ethnographic material found in the people's memory (museum-archive) is a reliable primary source in the research of issues studied in various fields such as ethnology, history of ethnos, cultural history, geography, sociology, psychology, history of religion, mythology, folklore, and ethnological science.

Ethnographic material is the basis for new data, new and different results, and theories. Accordingly, one of the goals of our research work is to provide as much

ethnographic material as possible, relevant to the research topic. This material reflects the „order of life“, and is interesting and useful for the reader, Kartvelology, and various fields of science.

We present the surnames of clans who were exiled from Imereti and migrated to Imereti (Kashbadze, Chaghalidze, Chirgadze, Gogokhia, Arkania, Bulia, Chegiani, Kutateladze, Khikhadze, Akhaladze, Akhobadze, Maghradze, Abramishvili, Maisuradze, Svanadze, Satmanidze, Abashidze, Kartsivadze) during the period of „Oghloba“. The results of the ethnological research depict the second hereditary names of the surnames, different characteristics of their existence, and their stories.

By studying our latest materials, it becomes clear: a. About the „plague“ (persecution of religion, destruction of churches and monasteries, destruction of self-consciousness, ethnic-cultural erosion, and the general destruction of the traditional way of life) by the communists, who fought against both man and icon, including Georgians who were harassed by them. b. About the references to Adjara, where Georgians who converted to another religion were derogatorily called „Tatar“, „Armenian“, „Azeri“, mocking their faith and religiosity. c. How the „provoked“ Abkhazians managed to cross the border of Abkhazia, inhabited by Svan-Megrelians, as far as the Enguri River. Despite this, Abkhazia was and remains a country of Georgians, distinguished only by its unique ethnographic characteristics. d. About the migration of the population from villages „for the need of a better life“, often leading to the complete emptying of villages. e. About the historical memory of dedication to the country, the most important aspect of the „consistency-oriented“ way of being, and the commitment to „saving Georgianity through women“. f. The terms „epidemic“ and „curse“ are used to describe the actions directed against the enemies of Georgia, reflecting the deep-seated resistance to threats against Georgian identity and cultural integrity.

In the matter of preserving the cultural life of the ethnos, self-awareness, national integrity, and the historical memory of dedication to the country, the preservation of its traditional-religious way of life is of utmost importance.

**Keywords:** Ethnographic existence of Imereti, Georgian surnames, migrated surnames in Georgia.

ქართულ გვართა, საგვარეულოთა წარმომადგენლების შიდა მიგრაციის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალით გადმოცემული ისტორიებით ირკვევა ქვეყნის პოლიტიკური დაშლით, სოციალურ-ეკონომიკური გარემოებებით განპირობებული ახალი ან უკვე ცნობილის შემავსებელ-ამსახველი, განსხვავებული სინამდვილე:

ა. გვიან და ახლო წარსულის საუკუნეების საქართველოში, ოსმალთსგან, რუსთსგან და „რუსკომუნისტებისგან“ რწმენის, „შენი ცხოვრების წესრიგის“ ჩამოშლისკენ მიმართული, „შემოსახლებული, მხარდაჭერილი უცხო ტომელებისგან მოკერძილი ჭირის“ შესახებ; ახალ ინფორმაციას ვიღებთ თვითშეგნება-იდენტობის, ტრადიციულის გარე და შინაურ მტერთაგან დამაზიანებელ ქმედებებზე;

ბ. უკეთესი ცხოვრების, სოციალურ-ეკონომიკური პირობების უზრუნველყოფაზე მომართული „ადამიანის ცხოვრების პოლიტიკის“, ქვეყნის სოციალურ-კულტურულ განვითარებულობის შესახებ;

გ. ეროვნულ-ყოფითის შენარჩუნება-გადარჩენა-განვითარების უზრუნველყოფელი ხედვის („სატვირთი“), ქვეყნის შესახებ;

დ. ჩვენ მიერ მოძიებული, სხვადასხვა მიმართულების კვლევისთვის საჭირო, ინფორმაციული თვალსაზრისით საინტერესო მასალა საუკეთესო წყაროა არა მხოლოდ ქართველოლოგიური მეცნიერებებისათვის.

იმერეთში ჩამოსახლებული და იმერეთიდან საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში გადასახლებული გვარების ისტორიებით ასახული რწმენა-რელიგიურობისა და ყოფით-კულტურული ცხოვრების სხვადასხვა საკითხის კვლევის ამ ჯერზე განვიხილავთ საქართველოს ისტორიაში ერთ, ყველაზე ცუდით გამორჩეული პერიოდის, „კაცთან და ხატთან მებრძოლ, „ჭირის მომტან“ „რუსკომუნისტთაგან“ დევნით მოტანილი მენტალურ-რელიგიური პრობლემების ამსახველ ახალ მასალებს; უცხოთაგან და „შინაგაყიდულთაგან“ ხელოვნურად მოგვრილი „საწყევარისთვის“ („ჭირი“, „ჟამი“) „ეპიდემიის“ რქმევის და ამ „ჟამის ჩამომყენებელბთან“ დაპირისპირების, „ცოდნიანი ქმედებების“ შესახებ.

საანალიზო ნაშრომში ჩვენ მიერ მოხმობილ მასალას შევუდარებთ მსგავსს საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან. სხვათაგან გამოქვეყნებულ და გამოკვლეულ მასალებთან ჩვენეულის თანხვედრა განპირობებულია ქართველთა საერთო ისტორიით, სოციალური ჯგუფების ცხოვრების წესით, სხვადასხვა ლოკალური ყოფით-კულტურული, თუმცა საერთო თვითშეგნებით შექმნილი ასპექტებით.

ცნობილი, რომ საბჭოთა რეჟიმმა მიტროპოლიტი ნაზარი და მასთან ერთად მღვდელნი: სიმონ მჭედლიძე, გერმანე ჯაჯანიძე, იეროთეოზ ნიკოლაძე, პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე დახვრიტეს ([https://www.nplg.gov.ge/wik-idict/i-ndex.php/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A2-%E1%83%A0%E1%83-%9D%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98\\_%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98\\_\(%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9F%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90\)](https://www.nplg.gov.ge/wik-idict/i-ndex.php/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A2-%E1%83%A0%E1%83-%9D%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98_%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98_(%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9F%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90))).

#### ეთნოგრაფიული მასალა:

ოკრიბის მკვიდრის - ყარამან ხიხამის ქუთაისში, „საფიჩხიაზე“ გადასახლებულმა შვილმა ივანემ შემთხვევით გადაარჩინა 1924 მიტროპოლიტ ნაზარისთან ერთად დახვრეტილი სასულიერო პირი.



შეზღუდვისას ტყეში ფიჩხის შესაგროვებლად შესულ ივანეს კვნესის ხმა შემოესმა მიწაყრილიდან. ივანე სახლში ჩუმად მკურნალობდა სახელდახელოდ გაჭრილ საფლავში ჩაყრილი, დახვრეტილი სასულიერო პირებიდან შემთხვევით გადარჩენილ ერთს. გამოჯანმრთელების შემდეგ სასულიერომ ივანეს სახლი დალოცა და დატოვა. ბოლშევიკების რეპრესიების შიშით, ივანეს ამბავი და ამ პიროვნების ვინაობა შვილებისათვის იმ დროს გაუმხელია (სამწუხაროდ, გადარჩენილი სასულიეროს ვინაობის შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ ჯერჯერობით, ვერც ერთი საისტორიო და საარქივო მონაცემით – ხაზი ჩვენია), როცა ბავშვები „მიხვდებოდნენ, სიმართლეს დაინახავდნენ, თანაც, დაჭერას ვინ დაემბდა, დახვრეტა-გადასახლების შიში იყო გადავლილი“.

რა თქმა უნდა, შესაძლოა ჩვენ მიერ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალა ეჭვქვეშ დააყენო, თუმცა იგი მომავალი კვლევისთვის აუცილებელ ვალდებულებას გვისახავს.

მომავალი კვლევის ვალდებულებას გვისახავს მესხეთიდან, ხარაგაულში, სოფელ ჩხერში მიგრირებული და მერე აქედან „გაშლილი“ **„სამსჯვალის მცველი“** ლურსმანაშვილების (<ფურცელად> გვარის ისტორია.

#### **ეთნოგრაფიული მასალა:**

„ქრისტეს წამების ჯვრიდან წინაპრის მიერ წარმოდებული ლურსმანის გამო ლურსმანაშვილად წოდებულ გვარი სიწმინდის სასოებით შემნახველობის გამო განდიდებულებად ყოფილან მიჩნეული“.

„რუსკომუნისტების“ რეპრესიებისა და რწმენის, საკუთარი ეთნიკურ-კულტურულის განადგურების იდეოლოგიისა და პოლიტიკის მიუხედავად, ხალხში შენარჩუნდა უფლისადმი აღთქმის, აღთქმულის ასრულების, აღთქმულით ცხოვრების, წმინდა ადგილთა და სიწმინდეების გადამალვა-გადანახვის ბუნებითი სურვილი, ვალდებულება.

„შველივით წყნარი და უწყინარი, იმერეთში **„ხაჭაპურად“**, **„კოკორად“**, **„მახმახად“**, **„ბორად“**, **„კაჭუნად“**, **„ხრაკად“**, **„მელიად“**, **„კოხიად“** ცნობილი შველიძეების „ჯიშა და გენში ძედ ყოფნის მამაყებელი, ეროვნულობის ნიშანი იყო საკუთარი ქართველობის და რწმენის შველა“: „აჭარიდან, ხულოდან მიგრირებულან იმერეთში, ღორეშაში, იმისთვის, რომ „საკუთარი ჯვარის რწმენა და მატარებლობის სურვილ-უფლება შეენარჩუნებინათ“.

იმერეთიდან გურიაში გადასახლებულ **ქუთათელაძეს** კომუნისტი ხატმებრძოლეობის, ეკლესია-მონასტრების ნგრევის დროს, ოზურგეთის სოფელ **ასკანაში** დანგრეული ტაძრიდან გადაუმალავს ხატები.

პროფესორ თამაზ ბერაძის მოსაზრებით, ილორი, ყოფილი სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტში (შეუერთდა ქ. სამტრედიას), თავის დროზე ილორის წმ. გიორგის ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენდა და სახელწოდებაც აქედან უნდა მიეღო (<https://georgianencyclopedia.ge/pdf-export/26800>).

ადგილობრივები სამტრედიის რაიონში სოფელ ილორის არსებობას ოჩამჩირიდან გადმოსახლებულებს უკავშირებენ. აღნიშნულის მიზეზი შეიძლება იყოს ცოდნის შენარჩუნების სურვილი, რომ ოჩამჩირეში მდებარე ილორის წმინდა გიორგის სალოცავიც ქართულია.

**ეთნოგრაფიული მასალა:**

„ილორის“ ძალაგამოყოლებულებს რომ თავიანთი სალოცავის მადლი სხვებისთვისაც გაენაწილებინათ, ახალ საცხოვრისში, ცხენის წყლის მარცხენა სანაპიროზე დაუარსებიათ სოფელი **ილორი**“.

**შედარებისთვის:** აჭარის სოფელ ჟანევრის მკვიდრ **მელიქაძეების** გვართან ყოფილა დაკავშირებული ამ სოფლის პირვანდელი სახელი **მელიქშინდა:** „წმინდა კაცი ყოლიენ და მისი სახელი დუურქმევიენ სოფლიზა. შემდეგ საწყევარი ჟამი გაჩენილა და დარქმევია ჟანევრი“.

ქართველთა კულტურული ცხოვრების, თვითშეგნება-იდენტობის, ეროვნული გადაუგვარებლობის გადარჩენის საქმეში ტრადიციულ-რწმენით წესთან ერთად უმთავრესია ქვეყნისთვის თავდადების შემნახველი მეხსიერება.

**ეთნოგრაფიული მასალა:**

„დეენა ქართველისთვის უცხო არ იყო და ისიც, სისხლში ქრისტიანობაგამჯდარი, მოდგმით რომ ჰქონდა მოტანილი და ჯიშად ქცეული, საკუთარის გადარჩენისთვის სხვადასხვა ღონისძიებებს მიმართავდა, ლეგენდებით ასაზრდოებდა თაობების სასამშობლოო შეგნებას“.

...ჟამ ავბედით საზარში, ომში, შფოთში, სისხლი, ცრემლი დაიღვარა.

თუმც განმტკიცდა მადლით, გამარჯვება იზეიმა გვარმა მარად...

ღმერთმა მადლით უმსუბუქოს სამშობლოსთვის სატვირთალი...

იმერეთის მკვიდრი, მესხური წარმოშობის **ადეიშვილების** მიერ ლექსით თქმული **„თავგადახდენილი“**, ქართულ საგვარეულოთაგან საკუთარის შენარჩუნება-გადარჩენისთვის ბრძოლის ისტორიის შემნახველი სწავლებაა (მთხრობელი: ალ. სულიაშვილი. ოკრიბა, სოფელი გურნა. 1993).

მგავსი, „რწმენიან-სახელიანი წარსულის“ ქონის ქართულობისთვის მახასიათებელი ისტორიები გვხვდება საქართველოს სხვადასხვა მხარეში.

**შედარებისთვის:** **ცხუკუშერის** მკვიდრის - ემელიანე **სვანიძის** თქმით, მთავარანგელოზის ტაძარი კომუნისტების დროს დანგრევის მერე სვანიძეების გვარის ერთ შვილიშვილს, დემურს აღთქმა დაუდვია და აუშენებია ტაძარი „იმის ფიქრით, რომ თუ წინააღმდეგობა არ გაუწევია სვანიძეებს ტაძრის ნგრევისთვის, ესეც მონაწილეობის მიღებაა“.

ხალდეს მკვიდრი **ჩეგიანების** გასათხოვარმა ქალიშვილმა ანამ მხოლოდ სვიმონ **ბაბლუანის** შვილი, ბექნუ მოიწონა საქმროდ. ჩეგიანების უარის მიუხედავად, ქალი ბექნუმ მოიტაცა მამაკაცების სათიბიდან სახლში მობრუნებამდე. ჩეგიანების სამტრო მოქმედებას სვიმონმა დაასწრო მახვშებთან ერთად ელჩობით, რომ „სამოყვროს ერთობა ჯობია სუფთა, საღონებიანი და არა მტრობით გაჯერებული“. ამის მიუხედავად, ანას მიერ დაწუნებული საქმროებისაგან და ხეშვილში მიწის მისაკუთრების მსურველთაგან შექმნილმა „ხროვამ“ გადმოიბირეს სოფლის მცხოვრებთაგან ნდობაგამოცხადებული „უკეთური“ „ბადიში“ ბაბლუანებისა და მისი გამთქმელობით ამოხოცეს ყველა ბაბლუანი. ფეხმძიმე ანას შვილმა **გიორგიმ**

კი დედისგან ხატზე დადებული ფიცისამებრ გააგრძელა და გაამრავლა ბაბლუანების გვარი<sup>1</sup>.

სოფელ ჩოჩხათში დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე ტრადიცია ყოფილა მაცხოვრის ხატის სოფლისთვის შემოტარება ლიტანიობის თანხლებით, „**ხატის ჩოჩხა-ჩოჩხა**“ და სოფელს დარქმევია **ჩოჩხატი**. „სოფლის შემდგომინდელი სახელია **ჩოჩხათი**“.

ცაცხვის მეგრული სახელიდან მომდინარე სოფლის, ჩოჩხათის შესახებ არსებული, ჩვენგან მოძიებული მასალის განსხვავებული ლეგენდაც რწმენის შენარჩუნება-გაძლიერებაზეა გათვლილი, რომ ხალხს საკუთარის, ზოგადად ღმერთის რწმენა არ განელებოდა.

მჩოჩავი ხატის სახელია დღემდე ცნობილი ლეგენდით, თუმცა ისტორია ოსმალობის პერიოდს უკავშირდება. ხატის ისტორია მოდის XIX საუკუნის შუა წლებამდე, ვიდრე გადამალეს ბოლოჯერ და დააბრძანეს ღვედის ეკლესიაში (<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A9%E1%83%-9D%E1%83%A9%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98>).

საკვლევი, მართლა ახლდა თუ არა იმერეთის მხრიდან ჭვანას ხეობაში მოსული **ქარციძის-ქარცივაძეების** შთამომავლები სოფელ ტაკიძეებში მდებარე, **შალიკაშვილის** ციხეში გაჩერებულ გიორგი სააკაძეს, თუმცა ექვგარეშეა ეთნოგრაფიული მასალით<sup>1</sup> აღწერილი ის სინამდვილე, რომ საკუთარი ქართველობის გადარჩენის საგზლად წინაპრები მართლა იყენებდნენ „ცოდნას“, რომ „კაი საქმიზა იყო მონდომებული სულ ძველი; რომ ჩვენ დღეიზა გეკონებოდა ცხოვრების საშუალება“.

რეპრესიებმა ქართველში ვერ გააქრო „მართლად ყოფნობის, ანუ შენთვის სამოთხის კარის გახსნის და უფალთან მისვლის შესაძლებლობის“ მიღწევის რწმენა.

სიმონ ახალაძე ცოლ-შვილთან ერთად დასახლდა იმერეთის სოფელ **ჟონეთში**. ამის შემდეგ სოფელი ეპიდემიამ მოიცვა და სიმონის ოჯახსაც შეეხო. გადაურჩა ერთი მცირეწლოვანი შვილი. შიმშილსა და სიმონმა გადაწყვიტა ღამით წასულიყო ნაკადულში და სალოცავში უფლისათვის პატიება ეთხოვა. უფლის წინაშე აღიარა ცოდვები, მოინანია ბატონის მკვლელობა, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი ცუდი ბატონისგან გაათავისუფლა. უფალს თხოვა შვილის გადარჩენა და აღუთქვა, რომ ყოველ სამ წელიწადში ერთხელ 10 მაისს უფლის სახელზე შეწირავდა „წითელ, რქებ აყრილ უნაკლო მოზვერს“. გარდაცვალების მერე კი ამ ყოველივეს მისი შთამომავლობა განაგრძობდა.

ხარაგაულის სოფელ ფარცხნალას „კახორის წმინდა გიორგის“ ეკლესიასთან დაკავშირებით, ერთი თქმულების მიხედვით, „ადრე ამ ადგილას ძალიან ღამაზი ირემი ბინადრობდა. თურმე ირემი იშვიათად ეჩვენებოდა ხალხს და გამოსვლის დროს რკინის ჯვარს უსვამდა ენას. ეს იშვიათი ირემი მოუკლავს ერთ ახალგაზრდა მონადირეს. ამის შემდეგ მონადირეც დაღუპულა და მთელი მისი ოჯახიც. ხალხმა ამ წმინდა ადგილას წმინდა გიორგის პატივებისთვის ააშენა სალოცავი. აქ ყოველ წელს მომლოცველები მიდიან უფლის სახელის სახსენებლად“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> მსგავსი ინფორმაცია მოპოვებული აქვთ: ევა მარგიანს, ჯემალ და ნოდარ ბაბლუანებს, ისტორიკოს ჯოტო ჩეგიანს.

<sup>2</sup> ალექსანდრე გელაშვილის მონათხრობი იდენტურია პროფესორ ჯულიეტა რუხაძის და ჩვენ მიერ ხანში ჩაწერილი მასალის (შავიანიძე, 2007: 68).



იმერეთის მკვიდრთა და აქედან გადასახლებულთა გვარსახელების კვლევით ირკვევა ნეგატიური ენერგიების ერთობლიობის, „ადამიანის შენგან განკითხვა-განსჯის“ ამსახველი ქმედება, წყევლის და მისი **„მოხსნის/(დაკარგვა)“** რიტუალების შესახებ, რომ „გულსაკლავა და ცუდ, მაგალითად, „იმან თუ გააკეთა?“, არ დარჩენილიყო და ერთმანეთი არ დაგვეზიანებინა“.

მსგავსი მაგალითები დაიძებნება ყველგან საქართველოში. შედარებითვის, ეთნოგრაფიული მასალა სამეგრელოდან: **გოგობიას, არქანიას, ბულიას და ჩეგიანების** მეუღლეებმა „არად დაგიდეს ვაშინერს“ და ირმებმაც ისინი გადააქციეს ქვებად; სხვა გადმოცემით, წინ მდგომი ქალი ხის როკად, ხოლო უკან მდგომნი ქვებად. ამის შემდეგ დაუფიციათ: „ოღონდ წყევლა არ მოსვლოდათ, გამრავლებულიყვნენ და არქანია, გოგობია და ბულია ერთმანეთზე არ შეუღლებოდნენ“.

შევნიშნავთ, რომ წყევლის „მოხსნის“ შემთხვევები გამოირიცხებოდა მაშინ, როცა საქმე ეხებოდა მტერს, გარეს და შინას“.

ეთნოგრაფიული მასალა:

სოფელ ქვიტირში, დღევანდელი საჯარო სკოლის წინ მდებარე ტერიტორიაზე, იდო ვეებერთელა ქვა, რომლის გვერდითაც დასობილი იყო პალო და იქვე იდო უროც. კვირის ერთ-ერთ დღეს მღვდლის წინამძღოლობით მთელი სოფელი მიდიოდა ამ ადგილას. პირველად მღვდელი აიღებდა ამ უროს, დაჰკრავდა პალოზე და დასწყევლიდა დამნაშავეს, ქვეყნის მოღალატეს, საკუთარის გამყიდველს, საკუთარისთვის ეპიდემიის მომტანს. შემდგომ ყველა ასე გაიმეორებდა. ვინც ამას არ გააკეთებდა, სწორედ ის მიაჩნდათ დამნაშავედ.

მოხმობილი ეთნოგრაფიული მასალით, „ეპიდემია“ უცხოთა და **„შინაგაყიდულთა“** ნამოქმედარის აღმნიშვნელ სახელია და „კაცმა მოუმარჯვა კიდევაც სიტყვა **„საწყევარი“**, მიუყენა წყევლა“.

რუსთა და საქართველოს სხვა დამპყრობელთა მიზანი იყო ეთნიკურ-კულტურული ორგანიზმის ჩამოშლა. საქართველოს ეთნოგრაფიული ერთეულების მკვიდრთა ნაწილისთვის განსხვავებული რელიგიურისა და რელიგიურით შექმნილი ყოფითი მახასიათებლების მონიშვნით კონფლიქტი ქართველთა შიგნით, ქართველთა საქართველოში მკვიდრ ეთნიკურ ჯგუფებთან კონფლიქტს ასაფუძვლებდა.

აღნიშნულის მიუხედავად, ირკვევა ზოგადად მიუღებელი ცხოვრების წესის, რწმენა-რელიგიურობის საფუძველზე ეთნიკური ნიშნით გარჩევის შემთხვევების შესახებ.

სხვადასხვა კუთხის მკვიდრი, სხვა რელიგიაზე გადასული ქართველების, ჩვენგანვე ყველგან, იმერეთში, სხვა რეგიონებშიც ეთნიკური ნიშნით **„თათრად“**, **„სომხად“**, **„აზერად“** დღემდე მოხსენიება ეთნიკურობაზე „მტრის წისქვილზე წყლის დამსხმელი“ დარტყმა.

ქვემო ქართლში, ბოლნისსა და მისი თემის სოფლებში იმერეთიდან ჩასახლებული **ახობაძეების, მალრაძეების, აბრამიშვილების, მაისურაძეების** წარმომადგენლები გვიყვებიან საკუთარ გვარებზე და გვესაუბრებიან

ბოლნისის რაიონში არსებული ეთნიკური სიჭრელით გამოწვეულ ყოვით-კულტურულ პრობლემებზე<sup>3</sup>.

**ეთნოგრაფიული მასალა:**

„ჩვენ რომ სიძულვილი გვქონდეს, ეს ხალხი აქ არ უნდა იყოს. შემოგვისახლა რუსმა და აზერები ქართველებივით გვეყვანან. შემოგვისახლეს სომეხი და გვაჯობეს. სომეხი სამხედრო ვალდებულებისგან, ბევრი რამისგან ათავისუფლებდა კაცს, თავის გატანა რომ უჭირს, რა ქნას? გადავიდა სომხის სარწმუნოებაზე. ახლა ვხვდებით, რატომაც შემოასახლეს და რას ნიშნავდა სომხის ქმედება, მაგრამ მაინც ვაშავებთ, ჩვენც სომხებს ვეძახით, მათი რელიგიის აღმსარებელ ჯიშით ქართველებს. გაიგეს ჩვენი ხასიათი და გვირტყამენ სუსტ ადგილებში. მიგვაჩვიეს თავის მანქანებით რუსებმა იმას, რაც ახლა გვჭირს, უმუშევრობას. ჩვენც გამოვიპარეთ მტრის ეს ჩანაფიქრი. ახლანდელ „მესვეურთა“ მიზანიც იგივეა. „არაა სამუშაო“ მიატოვო სოფელი, წახვიდე უცხოეთში. და მივდივართ, აღარ ვსინჯულობთ ადგილზე. იცლება ქვეყანა. არაა მიზანი“? (მთხრობელი: თ. წიკლაური-ადამაშვილი. ბოლნისი. 2018).

მურა დათვებით არიან ეს აზერბაიჯანელები. სიტბო რავარც დადგება, გამოვლენ და მიძვრებიან მიწაში, ამუშავებენ, საზრდოობენ ჩვენი ფულით. ჩვენზე ყიდიან, ხდები მათზე დამოკიდებული. მეცხრე კლასელს ათხოვებენ, რომ მეტი შვილიანობა მოასწრონ, უმრავლესობაში დარჩნენ. ქართულსაც სწავლობენ სათავისოდ გამოსაყენებლად. შენ აღარ დარჩები შენ ქვეყანაში, ისაა უმრავლესობა. მიწა ჩემია, ქართულია ენა ჩემიო, იტყვის თუ დაჭირდა და იქნება შენი მისი. ჩვენმა ძველებმა ბევრში გვაჯობეს. მტერი როდის არ გყავდა? გამინდორება უნდოდა ჩვენი, მაგრამ შევძელით და პურის მომყვან ქვეყნად დავრჩით. დღეს აღარც ვართ და ვინც ვართ, იმათგან ბევრს არ უნდა...“ (მთხრობელი: ჯ. ურუმაშვილი. სოფ. ქვეში. 2018).

**შეადარე:** აჭარაში საბჭოთა კავშირამდე აქაურთა უმრავლესობა მუსლიმი იყო. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ დაიწყო ქრისტიანობისკენ მიბრუნების პროცესი. შეიძლება ითქვას, რომ დღეს აჭარაში ნახევარ-ნახევარზეც აღარაა რელიგიური ნიშნით განსხვავებულობა. მუსულმანობას ინარჩუნებენ ასაკოვანი, სამოც წელს გადაშორებულ მკვიდრთა ნაწილი. მესხეთში გამუსულმანებამ ქართველთა ნაწილის ეროვნულობის დაკარგვა (მთხრობელის მიერ აღნიშნული, სავარაუდოდ, მხოლოდ მესხეთის მკვიდრთა ნაწილზე უნდა გავრცელდეს - ხაზი ჩვენი)<sup>4</sup> და თურქეთში გადასვლა გამოიწვია, აჭარაში ეს პროცესი ვერ განხორციელდა, მაჰმადიანობის აქ შედარებით გვიან და, ღონიერათ ფეხის ვერმოკიდების გამო. ოსმალს სარწმუნოების მიღებამ ვერ გაგვათურქა (მთხრობელი: ჯ. ფუტკარაძე. სოფ. მახალაკიძეები. 2018).

<sup>3</sup> ცნობილია აღნიშნულის გამოსასწორებელი ღონისძიების შესახებაც. 1940-იან წლებში ქართველების მოზრდილი ჯგუფი ბოლნისსა და მის სოფლებში ჩაასახლეს რაჭა-ლეჩხუმიდან და ზემო იმერეთიდან.

<sup>4</sup> შდრ., როლანდ თოფჩიშვილი წერს, რომ XIX ს-ის სხვადასხვა წლების მოსახლეობის აღწერის მასალებით, სამცხეში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები, მიუხედავად იმისა, რომ მათმა ნაწილმა ენაც დაკარგა, 1886 წლის საოჯახო სიებში ეროვნების გრაფაში ქართველი ჩააწერინეს; „ოდლობით“ ჩაწერილებმა თავიანთი ქართული გვარებიც მიაწერინეს. თუმცა მართლმადიდებელი და კათოლიკე ქართველები მათ „თათრებად“ მოიხსენიებდნენ (თოფჩიშვილი 2005).

სოფელ **ხაბელაშვილების, ოქროყანის, ყელადუმის, ნერიას** მკვიდრი, იმერეთიდან მიგრირებულები და არა მხოლოდ შენიშნავენ იმ უდიდეს პრობლემაზე, რომელსაც ე.წ. აჭარელის როგორც „თათრის“ დაცინვა ჰქვია; აქვთ მაგალითები, როცა „ცეკას“ ბიუროზეც კი მოუსმენიათ **„ქუჩქუჩი“**: „ამ აჭარაში ასეთი განათლებული თათარი საიდანო?“, რომ აღნიშნულს მერე მოჰყვება შენგანაც **„წამოკვრა“** და ესაა ერთობის დიდხნიანი დამაზიანებლობა“.

ეთნიკურობის შესაცვლელად გამოყენებულმა მანქანებმა ვერ გააჩინა ქართველობაში **„მართალ-შემცდარის ხედვის წყალგამყოფი“**; „შენგან მსგავსი, ერის ერთობის დამაზიანებელი პოლიტიკის მიყოლა მოღალატეობაა“ – გეტყვიან ყველგან, საქართველოში.

იმერეთის მკვიდრი გვარების ისტორიები ბევრ ინფორმაციას გვაწვდიან საქართველოს იტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – აფხაზეთში ჩამოსახლებულ აფსუათა „წამრთმევი, მოძალადური ბუნების, ბოლშევიკთა წაქეზებით და ზურგმობით გულმოცემული მოქმედებების შესახებ“.

#### **ეთნოგრაფიული მასალა:**

„ჩვენის მიმტაცებლები კომუნისტების დროში უფრო გამადიანდნენ. აფსუების მხარდაჭერა რუსმაც გააგრძელა საბჭოეთის დაშლის მერე და მიიმისა სვანმეგრელებით დასახლებული აფხაზეთის საზღვარი ენგურამდეზე“.

აღნიშნულის შესახებ ყვებიან აფხაზეთიდან იმერეთსა და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეში მიგრირებული გვარების (**ფაიქიმე, ქაშიზაძე, ლანჩავა, მაწკებლაძე, უკლება, გვარმინი, ვეკუა, აფშილავა>აბშილავა, ქეცბაია>ჩაჩიზაია, ანჩაბაძე (>ანჩიზაია ადგილობრივი ვარიანტით); კაპატაძე<ტაბატაძე...**) შესახებ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალები (შავიანიძე 2005; 2015; 2021).

კვლევამ შეგვახსენა ისტორიული სინამდვილე, საბჭოთა ხელისუფლების მიერ XX საუკუნის მეორე მეოთხედში რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთ-სამეგრელოს მოსახლეობის აფხაზეთში ჩასახლების შესახებ. 1937-1953 წლებში აფხაზეთში, საკოლმეურნეო მშენებლობასთან დაკავშირებით, დასავლეთ საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან მოსახლეობის ჩასახლება მიმდინარეობდა. ქართველების ჩასახლება გამოუყენებელ მიწის მასივებზე მოხდა. იმავდროულად, მიმდინარეობდა რუსების, უკრაინელების, სომხებისა და სხვათა შემოდინების პროცესი. ეს ფაქტიც გამოწვეული იყო ობიექტური რეალობით: ინდუსტრიალიზაციის კურსის გატარება – სამრეწველო საწარმოების შექმნა, მხარის ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისება, პირველ რიგში, ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების ექსპლოატაციაში შესვლა. მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ავტონომიური რესპუბლიკის გარედან მუშახელსა და კვალიფიციურ საინჟინრო-ტექნიკურ კადრებს მოითხოვდა (ხორავა 2023).

ამის გამო, რესპუბლიკის მოსახლეობაში აფხაზეთა ხვედრითი წილის მნიშვნელოვნად შემცირებას ხალხი შეცდომით არქმევს საქართველოს „ცკ“-ს გადაწყვეტილებას აფხაზეთში ქართველთა დემოგრაფიული მდგომარეობის გამომსწორებელი ღონისძიების სახელს.



**ეთნოგრაფიული მასალა:**

ბერიას გაქართველება უნდოდა აფხაზეთის. ლეჩხუმში საერთოდ სოფელი არ არის, რომ არ წაეყვანა. ეს 40-იან წლებში გადასახლებული... (მთხრობელი: ანტ. გოლეტიანი. სოფ. ნაკურალეში. 2017).

„ოჯახური ბეჩობა“ იყო იმის საფუძველი, რომ აჭარლებმა აღარ იცოდნენ საკუთარი ძირძველი გვარები, თუმცა იყო პირიქითა შემთხვევებიც. ოღლობაში „ახალ“ გვარებად<sup>5</sup> „იხდიდნენ“ წინაპრების ქართულ გვარებს.

**ჭვანას ხეობის სოფელ ინჭვირეთის მკვიდრმა ჭალალიძეებმა (/ჭალალიძენი)** ადრინდელი, იმერელი წინაპრის გვარი ქართველიშვილი გაიხადეს „ახალ გვარად“ და დაირქვეს „გურჯისტანოლი“.

აღნიშნულ საკითხზე საუბრის დროს გვეუბნებიან, რომ, მაგალითად, იგივე „გურჯისტანოლი“ სანათესაოა, „გობეგია“.

„გობეგია“, დიდაჭარის ექსპედიციის დროს დადასტურებული „გვარის სიგელის“, სვანური „კავის“, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული გვარის მეორე მემკვიდრეობით სახელთა სახელწოდებების იდენტურია (შავიანიძე 2022: 188; შავიანიძე 2009, 2010).

იმერულ გვართა კვლევის შედეგები თანხვედრილია საქართველოს სხვადასხვა მხარეში მოძიებული იმ მასალების, რომლებიც აღწერენ „უკეთ ყოფნის საჭიროებისთვის“ სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციის, ხშირ შემთხვევაში სოფლის საერთოდ დაცლის შესახებ.

სოფლის დაცლის ყველასათვის ნაცნობ პირობებად სახელდება: უმუშევრობა და მით გამოწვეული უსახსრობა; უგზოობა; უწყლობა; უგაზობა; კუთვნილი ფართობიდან მიღებული მწირი წლიური შემოსავალი ისეთია, რომ გასავალს ვერც ფარავს; ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების უქონლობა...

მსგავს მიზეზებზე გვესაუბრებიან, მაგალითად, იმერეთიდან მიგრირებული, ჭვანას მკვიდრი **ამაღლობელები**.

საკითხზე საუბრიდან ირკვევა ახალი ტერმინის „**მოზამთრე**“ შესახებ.

**დასკვნის სახით:**

**„გადამრჩენელი რუსის“** მიზანი იყო ეთნიკურ-რელიგიური დევნა.

რეპრესიების მიუხედავად, ნარჩუნდებოდა საკუთარ ეთნიკურს, ეროვნულ-კულტურულს გადამრჩენისთვის ბრძოლის ცოდნა-ვალდებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვიტყვით, რომ ხალხის მეხსიერებაში (**/მუზეუმ არქივი**) მოძიებული ეთნოგრაფიული მასალა საიმედო წყაროა ეთნოსის ისტორიის, ეთნოლოგია-ისტორიის, კულტურის ისტორიის, გეოგრაფიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, რელიგიის ისტორიის, მითოლოგიის, ფოლკლორისა და სხვა მეცნიერებებისთვის საკვლევი საკითხების შესწავლის საქმეში.

ეთნოგრაფიული მასალა ახალ და განსხვავებული შედეგებზე გასვლის, ახალი დასკვნების მიღების საუკეთესო პირველწყაროა.

<sup>5</sup> არამართებულია, რომ ჭვანას ხეობაში მკვიდ ქართველთა დიდი ნაწილი ოღლობაში გაგვარებულ წინაპრისებულ გვარებს იხსენებენ „ახალ“ გვარად.

**დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები**

**თოფჩიშვილი 2005:** რ. თოფჩიშვილი, რ., ეთნოისტორიული ეტიუდები. თბილისი, 2005.

**თქმულება სვიმნიშზე: როგორ გაუმკლავდა ერთი სვანური სოფელი ოსთა ლაშქარს 1985** – „ახალი სვანეთი“, 1985 წელი, ევა მარგიანის მონათხრობის მიხედვით (<https://www.shin.ge/index.php/2015-08-11-07-18-26/traditsiebi/1054-tkmuleba-svimnishze-rogor-gaumklavda-erti-svanuri-sopeli-osta-lashkars>) (დამოწმება 31.12. 2023).

**მეტრეველი 2019:** ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი აჭარა, პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ნ. მგელაძე, რედაქტორი რ. მეტრეველი. ბათუმი, 2019.

**მიტროპოლიტი ნაზარი** - [https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98\\_%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98\\_%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9F%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90](https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98_%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9F%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90) (დამოწმება 16.01.2024).

**პალ 2015:** პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტომი V, შეადგინა და რედაქცია გაუკეთა მზია სურგულაძემ. თბილისი, 2015.

**შავიანიძე 2005:** შავიანიძე, დ., ოკრიბა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი). ქუთაისი, 2005.

**შავიანიძე 2007:** ქართული გვარსახელები (ბაღდათის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). ქუთაისი, 2007.

**შავიანიძე 2009:** 2009 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია დიდაჭარაში, ტბელ აზუსერისძის ხსენებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2009.

**შავიანიძე 2010:** ქართული გვარსახელები (ზემო აჭარის რამდენიმე სოფლის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა“, 2010.

**შავიანიძე 2015:** შავიანიძე, დ., სამეგრელო (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), ქუთაისი, 2015.

**შავიანიძე 2021:** შავიანიძე, დ., სვანეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი). ქუთაისი, 2021.

**ხორავა 2023:** ხორავა ბ., ეთნიკური პროცესები აფხაზეთში (უძველესი დროიდან დღემდე). <https://smr.gov.ge/uploads/Files/afxazeti.pdf> (დამოწმება 30.12. 2023).

<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A9%E1%83%9D%E1%83%A9%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98> (დამოწმება 28.12. 2023).

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8068>

**ფრიდონ ხალვაშის „სამი სიმონეთი“ და  
რამდენიმე ფრაგმენტი  
საქართველოს ისტორიიდან**

**Fridon Khalvashi's „Sami Simoneti (Three Simoneti)“  
and Some Fragments  
from the History of Georgia**

**მალხაზ ჩოხარაძე**

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ბათუმი

**მურმან გორგოშაძე**

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ბათუმი

**Malkhaz Chokharadze**

Shota Rustaveli State University  
Georgia Batumi

**Murman Gorgoshadze**

Shota Rustaveli State University  
Georgia Batumi

**აბსტრაქტი**

ფრიდონ ხალვაშის ლექსი „სამი სიმონეთი“ დაწერილია 1970 წელს. ლექსის იდეურ საფუძველს საქართველოს ისტორია ქმნის, ასევე, ხალხში გავრცელებული ზეპირი ისტორიები, რომლის თანახმად ოსმალთა შემოსევების დროს აჭარაში, ჭოროხისპირას მდებარე სოფელ სიმონეთიდან მოსახლეობის ნაწილი აიყარა, იმერეთში გადასახლდა და თავიანთ ახალ დასახლებას ისევ სიმონეთი უწოდა. მესამე სიმონეთი, საანალიზო ლექსის მიხედვით, თურქეთში მდებარეობს და იგი მუჰაჯირთა დაარსებულია. საქარიას პროვინციის გეიგეს რაიონის სოფელ ილიმბეში მართლაც ფიქსირდება ტოპონიმი სიმონეთი, რომელიც მიგრანტების მიერ მოტანილი და დამკვიდრებული სახელია ერთ-ერთი უზნისა. ილიმბეში ქართველ მუჰაჯირთა, კერძოდ, მარადიდიდან და აჭარის სიმონეთიდან მე-19 საუკუნის ბოლოს გადასახლებული მუჰაჯირების შთამომავლები



ცხოვრობენ.

ლექსის თემატური რკალი, სათაურის გარდა, გაცხადებულია ეპიგრაფში: „მე ვიცნობ სამ სიმონეთს: პირველი სოფელი ჭოროხთანაა, მეორე – იმერეთში, მესამე – ბურსასთან, თურქეთში“.

ნაშრომში განხილულია ფრიდონ ხალვაშის აღნიშნული ლექსი, ასევე, სამი სოფლის წარსულისა და თანამედროვეობის ის დეტალები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება რეალობის მხატვრულ ინტერპრეტაციას – იგულისხმება პოეტური ხატების მიმართება ობიექტურ რეალობასთან. შესაბამისად, ანალიზისთვის მხატვრულ ტექსტებთან ერთად გამოყენებულია როგორც საისტორიო თხზულებები, ასევე, კოლექტიური მეხსიერების მასალები: ხალხური ისტორიები, ლეგენდები, გამითებული თუ გაზღაპრებული ნარატივები...

ნიშანდობლივია, რომ ძველ თუ ახალ ხალხურ ისტორიებთან ერთად სიმონეთელთა თანამედროვე კონტაქტების შთამაგონებელი მხატვრული ტექსტებიც აღმოჩნდა.

ცალკეულ პირთა ინტენსიური კონტაქტები 90-იან წლებში დაიწყო. 2001 წელს შედგა პირველი ორგანიზებული შეხვედრები სოფლების წარმომადგენლებს შორის აჭარასა და იმერეთში. 2003 წელს იმერეთიდან აჭარაში ჩამოიტანეს მოზრდილი ქვის ჯვარი და სოფლის თავში დაამონტაჟეს. 2023 წლის მაისში დაიწყო ეკლესიის საძირკვლის გათხრა. 23 მაისს, სვიმონ კანანელის ხსენების დღეს, საძირკველი აკურთხეს. ხალხური ისტორიის კიდევ ერთი გამოძახილი ისაა, რომ ეკლესიის მშენებლობა დაიწყო სვიმონ კანანელის სახელობე.

საკვანძო სიტყვები: ფრიდონ ხალვაშის პოეზია, ლექსი „სამი სიმონეთი“, გადმოცემები სოფელ სიმონეთზე.

## ABSTRACT

Fridon Khalvashi's poem „Sami Simoneti (Three Simoneti)“ was written in 1970. The ideological basis of the poem is the history of Georgia, along with the oral stories spread among the people. According to these stories, during the Ottoman invasion, part of the population from the village of Simoneti, located on Chorokhispira in Adjara, moved to Imereti and named their new settlement Simoneti. The third Simoneti, according to the analysis of the poem, is located in Turkey and was founded by Muhajirs. In the village of Ilimbei, Gayve District, Sakarya Province, the toponym Simoneti is indeed recorded, as it is the name of one of the districts established by migrants. Descendants of Georgian emigrants, particularly those from Maradidi and Simoneti of Adjara at the end of the 19th century, live in Ilimbei.

The thematic arc of the poem, in addition to the title, is announced in the epigraph: „I know three Simoneti: the first village is near Chorokh, the second - in Imereti, the third - near Bursa, Turkey“. The article discusses Fridon Khalvashi's

poem and the details of the past and present of the three villages, which are directly related to the artistic interpretation of reality. This involves the relation of poetic imagery to objective reality. Accordingly, along with artistic texts, both historical writings and collective memory materials are used for analysis: folk stories, legends, written or fictionalized narratives.

It is significant that, along with old and new folk stories, inspiring artistic texts of modern contacts with Simoneti were also found. Intensive contacts between individuals began in the 90s. In 2001, the first organized meetings between representatives of the villages in Adjara and Imereti were held. In 2003, a large stone cross was brought from Imereti to Adjara and installed at the head of the village. In May 2023, the foundation of a church was begun. On May 23, the day of commemoration of Simon the Canaanite, the foundation was consecrated. Another echo of folk history is that the construction of the church began in the name of Simon the Canaanite

**Keywords:** Poetry of Fridon Khalvashi, poem „Three Simoneti,“ narratives about the village of Simoneti.

### „სამი სიმონეთი“

ფრიდონ ხალვაშის „სამი სიმონეთი“ დაწერილია 1970 წელს. ლექსის იდეურ საფუძველს საქართველოს ისტორია ქმნის. უფრო ზუსტად, სამხრეთ საქართველოს ისტორიის ტრაგიკული ფურცლები. ლექსი სერგო კლდიაშვილს ეძღვნება და თემატური რკალი, სათაურის გარდა, გაცხადებულია ეპიგრაფში: „მე ვიცნობ სამ სიმონეთს: პირველი სოფელი ჭოროხთანაა, მეორე - იმერეთში, მესამე - ბურსასთან, თურქეთში“ (ხალვაში 2000: 137).

სათქმელის მხატვრული ინტერპრეტაცია ემყარება მონოლოგს: ლექსი აჭარაში ჭოროხთან არსებული სოფლის მონოლოგია. სოფელი ადამიანური ენით გვიამბობს თავგადასავალს, რომელიც „ცეცხლია იმხელა, ჰგავს სამასი წლის ჩაუმქრალ კოცონს“... ბუნებრივია, „სამას წელში“ იგულისხმება ოსმალეთის აგრესია, სამხრეთ საქართველოს დაპყრობა და იქ ბატონობა. ამ ისტორიული მოვლენების შედეგი იყო მოსახლეობის გამაჰმადიანება. ოსმალთამდე სოფელი ჩვეულებრივი ქართული სოფლის ცხოვრებით ცხოვრობდა და საამაყოც ბევრი ჰქონდა:

„ჩემი ზარი რეკავდა,

ჩემი ჯვარი ენთო,

ცა მეხურა, ვით თამარს გვირგვინი“, – ასე ათქმევინებს სოფელს პოეტი.

ოსმალთა მიერ ვითარება შეიცვალა. გამაჰმადიანების პროცესი თაობათა ცნობიერების ისტორიაც იყო. ვინც ომიანობას გადაურჩა, არჩევანის წინაშე დადგა. სიმონეთელთა ნაწილმა საქრისტიანო საქართველოს მიაშურა და იქ დასახლდა:

მომადგა მაჰმადი, გული ვერ მიენდო...

თავს უშველა მკვიდრმა ჩემმა სირბილით.

იმერეთში მიაგნო სწორედ ჩემფერ ალაგს,

ფუძე ჩადო, წერგი ჩარგო, დაირქვა სიმონეთი...

ჭოროხისპირა სოფელში ვინც დარჩა, გამაჰმადიანდა, თუმცა მიწა-მამულის სიყვარული, ქართული ცნობიერება, დედაენა შეინარჩუნა და შეინახა:

მერე ალაჰს მე ქართულად

დავუძახე ღმერთი, –

რალა მექნა, ჩვენებურად

ვუერთგულე რწმენას,

მაგრამ ორივ სიმონეთში

გვწამდა მხოლოდ ერთი, –

საქართველო და ქართული,

ჩემი ნენეს ენა.

ავბედიტმა დრომ იმერეთისა და აჭარის სიმონეთში მცხოვრებ ძმებს დიდი ხნით მოუსპო ურთიერთობის შესაძლებლობა. თუმცა მიგრაციათა ისტორია არც ამით დასრულებულა: სამუსლიმანო საქართველო, ქვეყნის სხვა ნაწილებთან ერთად, რუსეთის შემადგენლობაში მოექცა. ერთი იმპერია მეორემ შეცვალა. რუსეთ-ოსმალეთის ომებს ახალი უბედურება მოჰყვა – მუჰაჯირობა. ჭოროხისპირა სიმონეთიდან ბევრი აიყარა და თურქეთის სიღრმეში გადასახლდა:

რამხელაა დუნია, ეს ოხერი, ტიალი,

სახლკარმიტოვებულმა, გუდანაბადაკრულმა,

მუჰაჯირმა ბედკრულმა სად არ იხეტიალა...

ავტორი ეხება მუჰაჯირთა პირველი თაობის ტრაგიკული ცხოვრების დეტალებს. ბუნებრივია, ეს უბედურება ახალი საცხოვრებელი მიწა-მამულის ძებნელი სიმონეთელების ყოფაშიც აისახა:

ბოლოს სასოწარკვეთილს,

თურქეთს, ბურსას მახლობლად,

მოეწონა მალლობი მწვანე ჩვენებურივით,

დადგა ფაცხა, აშენა ბაღჩა და მოსახლობა

და უბიდან ნაფშვენი მიწა თესა პურივით.

სიმონეთი დაარქვა კარ-მიდამოს უმაღვე,

გული თუმც დაიამა, ტკივილები მეტია...

მიუხედავად ყველაფრისა, ლექსი მაინც ოპტიმისტურად სრულდება: ქართული სოფელი სულის სიმტკიცით გამოირჩევა და სიამაყის მთავარი საფუძველიც ეს არის:

სული ვერ წააქციეს...

მამულს შვილნი ვუმრავლეთ,

– ერთი ვიყავ, დღეს ქვეყნად

სამი სიმონეთი ვარ.

რაც აქამდე ითქვა, ეს მხოლოდ ლექსის მოკლე წარდგინებაა. ქვემოთ შევხებით პოეტური ხატების მიმართებას, ერთი მხრივ, ობიექტურ



რეალობასთან, მეორე მხრივ – ლეგენდებთან. შესაბამისად, ვეყრდნობით როგორც საისტორიო თხზულებებს, ასევე, კოლექტიური მეხსიერების მასალებს, ხალხური ისტორიების გამითებულ თუ გაზღაპრებულ ინტერპრეტაციებს, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებში ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციების მასალებს და ა.შ.

### სვიმონ კანანელი

სიმონეთში (აჭარაში) საეჭვოდ არ მიაჩნიათ, რომ სოფლის სახელწოდება სვიმონ კანანელიდან მომდინარეობს. მათი აზრით, ამ შესაძლებლობის ერთ-ერთი მყარი საფუძველი სიმონეთის ადგილმდებარეობაცაა.

მოციქულთა მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის ქადაგების შესახებ მოსაზრებები მყარად არის დამკვიდრებული ისტორიოგრაფიაში. ქართლის ცხოვრება იუწყება, რომ ანდრია პირველწოდებული საბერძნეთისა და მცირე აზიის გავლით „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების“ (ქართლის ცხოვრება 1955: 39). ანდრია პირველწოდებულის, სვიმონ კანანელის, მატათას სამისიონერო მოღვაწეობის ადგილებად სხვადასხვა წყაროში დასახელებულია აფსარი, აჭარა, კლარჯეთი, ტაო, სამცხე და სხვანი (დიასამიძე 1999: 23, 29).

უძველესი დროიდანვე ზღვისპირიდან (მაგალითად, ძველი აფსარიდან, ანუ გონიოდან) სწორედ ჭოროხისპირას გადიოდა მნიშვნელოვანი გზა, ერთი მხრივ, სამხრეთისკენ, ჭოროხის აუზის სიღრმისკენ, მეორე მხრივ, სამცხე-ჯავახეთისკენ – აჭარისწყლის ხეობის გავლით. ჭოროხის მარცხენა ნაპირზე, მახოში, რომელიც სიმონეთის მოსაზღვრე სოფელია, არცთუ მოზრდილ მდინარეზე, ჭოროხის შესართავთან, დღემდე მყარად დგას შუა საუკუნეების ქვის თალიანი ხიდი. ხიდის მიმდებარედ, წყაროსთან, დასტურდება ტოპონიმი **სასვენია**. გზის მონაკვეთებზე თვალსაჩინოა ქვაფენილისა თუ საფეხურების ნაშთები. სიმონეთს გადაღმა, ასევე, ჭოროხისპირა სოფელ მარადიდში შემორჩენილია ამ გზის შთამბეჭდავი ფრაგმენტები (მარადიდი 2020: 199)... ამდენად, საფუძველი ხალხში არსებული ლეგენდისა, რომ მოციქულთა საქართველოში მოგზაურობის გზა, შესაძლოა მართლაც გასულიყო სოფელ სიმონეთზე, ამავე ხალხის აზრით, ხსენებული გზის არსებობაცაა. გონიოდან კლარჯეთისკენ მიმავალი მოციქულები აუცილებლად გაივლიდნენ იმ ტერიტორიას, სადაც ახლა სოფელი სიმონეთია. შესაბამისად, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ განსაკუთრებულ სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს სიმონეთელთა განზრახვა სოფელში სვიმონ კანანელის სახელზე ეკლესიის აგებასთან დაკავშირებით.

### მიგრაციათა ქრონიკა

ამ ეკლესიის ამზავს ქვემოთ მივუბრუნდებით. მანამდე შევხებით ხალხური ისტორიის იმ ფრაგმენტს, რომელიც ლექსში აისახა. იგი გაცილებით უფრო გვიანდელ ეპოქას ეხება და მიემართება როგორც აჭარის, ასევე იმერეთის სიმონეთს.

ამ ისტორიის თანახმად, ოსმალების დაპყრობითი ომების დროს, მას შემდეგ, რაც სამხრეთი საქართველოს მიწა-წყალი თანდათან მოექცა ოსმალეთის იმპერიაში, ქრისტიანული მრწამსის გადასარჩენად ჭოროხისპირა სიმონეთის მოსახლეობის ნაწილი აიყარა, იმერეთამდე იარა და იქ დასახლდა. ახალ დასახლებას ისევ სიმონეთი უწოდა.

დღეს ამ ლეგენდის შესახებ ორივე სოფელში იციან. მაინცდამაინც ჭოროხისპირა სიმონეთთან დაკავშირებული ძველი ისტორიების მოძიება ჭირს, მაგრამ სამხრეთიდან მიგრირებულთა ხსოვნას თანამედროვე მოსახლეობის მეხსიერებაც ინახავს... არაერთ კითხვას ბადებს სოფლის სახელის ხალხური ეტიმოლოგიაც. ცხადია, მეცნიერებაში ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებები ფიგურირებს (ჯაჯანიძე 1968: 4; ჭუმბურიძე 1987: 500, საითაძე 1918: 9 და სხვ.)... მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მთავარი ის კი არ არის, ზეპირი ისტორიის რომელიმე შრეს გავიზიარებთ თუ არა, არამედ ის, რომ ასეთი ისტორია არსებობს და იგი ადამიანურ ურთიერთობათა ახალი რეალობის საფუძველი ხდება.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჭოროხის აუზი (და არა მხოლოდ ჭოროხის აუზი) იცნობს ქართველთა მიგრაციის ანალოგიურ მაგალითებს. რაკილა ჩვენი მიზანი არ არის მიგრაციათა გეოგრაფიის კვლევა. მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ და ამას დავეჯერდებით:

1. უპირველესად დავიმოწმებთ ექვთიმე თაყაიშვილს, რომელიც ოსმალეთის პერიოდის ტაო-კლარჯეთის შესახებ წერდა: „ვისაც არ სურდათ გამაჰმადიანება, გადასახლდნენ ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში. ამათ რიცხვში უფრო წარჩინებული გვარები არიან: შალიკაშვილი, ციციშვილი, ავალიშვილი, ჯაყელი, დიასამიძე, გოგორიშვილი, თავდგირიძე, ხიმშიაშვილი, კაკვასიძე, დოლენჯიშვილი, ხერხეულიძე, თაქთაქიშვილი, ქობულაშვილი (ქობულისძე), სუმბათაშვილი, ზედგენიძე, თუხარელი, გუგუნავა და სხვანი“ (თაყაიშვილი 2016: 431).

2. რაკილა გადასახლებულ წარჩინებულ გვართა შორის დასახლებულია შალიკაშვილიც, ძალაუნებურად გვახსენდება სერგო კლდიაშვილის (კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ ლექსი სერგო კლდიაშვილს ეძღვნება) ჩანაწერი: „ჩემი ახალგაზრდობის წლებში სიმონეთში ცხოვრობდა გლეხი ოქრუა ლიკლიკაძე. ღრმად მოხუცი იყო. ძველი ამბების მოყოლა უყვარდა... ერთხელ მან მითხრა: – თქვენ, კლდიაშვილები, მესხეთიდან გადმოსულები ხართ. წინანდელი თქვენი გვარი შალიკაშვილი იყო. როცა თურქებმა მესხეთი დაიპყრეს, მაშინდელი ჩვენი მეფე იქედან გადმოვიდა იმერეთში. მესხეთიდან თან გადმოჰყვა თქვენი წინაპარი კლდია შალიკაშვილი და აქ, სიმონეთში, დასახლდა. ახლა აქ რომ ფანჩულიძეები, სულამანიძეები, საპანაძეები, გიორგაძეები და ლიკლიკაძეები სახლობენ, ესენიც მესხეთიდან გადმოსული არიანო“. სერგო კლდიაშვილი მიუთითებს, აგრეთვე, კონკრეტული დოკუმენტის შესახებ, რომელშიც შალიკაშვილთა და სხვათა მიგრაციის ამბავი დასტურდება (საითაძე 2018: 13).

3. იური სიხარულიძე მდინარე ჭოროხთან, სოფელ მარადიდში, (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) ქუთურეთის უბანში მიუთითებს

ტოპონიმ „თოდრიეთის“ არსებობის შესახებ. მარადიდი კლარჯეთის, კერძოდ, ლივანას (ნიგალის, ლიგანის) ერთ-ერთი განაპირა სოფელია სიმონეთის ზემოთ. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ამჟამად თოდრიები ქუთურეთს აღარ ჩანან. მაგრამ „ლივანიდან მოსულების“ ხსოვნა დღემდე შემონახული აღმოსავლეთ გურიაში (სოფ. იანეული) მოსახლე თოდრიებში (სიხარულიძე 1995:10).

4. ჭოროხის აუზში გაფანტული ტოპონიმები მრავალგვარი ვარაუდის საფუძველს ქმნის, მით უმეტეს, რომ ჯერაც შესაძლებელია დეტალების ძიება, მიგრაციების დინამიკასა თუ სხვა ფაქტორებზე მსჯელობა. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ეს ვითარებაც ქართული რეალობის ნატეხებია, თანაც – არცთუ მწირად შემორჩენილი... ამგვარი ტოპონიმები მრავლადაა შავშეთ-კლარჯეთშიც და ტაოშიც. აქ მხოლოდ დავასახელებთ ჩვენ მიერ წლების განმავლობაში ჩაწერილ ზოგიერთ ტოპონიმს, ხოლო ასოციაციებზე აღარ ვილაპარაკებთ. ისედაც ცხადია, რომ ეს მცირედიც საკმაოდ საინტერესო სურათს ქმნის და ვითარების მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა: გორგოშეთი, გამიშეთი, კახიეთი, მიქელეთი, წითელეთი, მახათეთი, დევაძევი, დოლენჯიანკარი, კრავეკარი, დვალეკარი, პანდაძე, ქურდაძე, ჯარბაზე/ჭარბაძე, ბალაძე, ბუკაძე, კილაძე, შარაძე და სხვანი (ტაო 2020: 491).

ეს მაგალითები უფრო იმისთვის მოგვყავს, რომ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ომიანობის პერიოდში სამხრეთ საქართველოდან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის აყრა-გადასახლების თავისებურებანი, რაც მწერალს (ამ შემთხვევაში „სამი სიმონეთის“ ავტორს) ობიექტური რეალობის მხატვრულ ინტერპრეტაციათა მრავალმხრივ შესაძლებლობას აძლევდა. არც ისაა საეჭვო, რომ ეს მხატვრული ინტერპრეტაცია სწორედ რეალობასთან მიმართებით არის საინტერესო, მიუხედავად იმისა, კონკრეტულად ჭოროხისპირა სიმონეთიდან ჩასახლებულის ხსოვნა შემორჩა თუ არა იმერეთის სიმონეთის თუნდაც ერთ ოჯახში. ან კიდევ, სიმონეთი აჭარიდან წაღებული ტოპონიმია თუ ადგილობრივი, ჯერ კიდევ ოსმალობამდეა გაჩენილი თუ ოსმალობის ჟამს, ძველი სვიმონეთია თუ სომიანეთი...

#### **სიმონეთიდან სიმონეთამდე: 21-ე საუკუნე**

როგორც ჩანს, ძველ თუ ახალ ხალხურ ისტორიებთან ერთად მხატვრული ტექსტებიც აღმოჩნდა შთამაგონებელი იმისა, მეოცე საუკუნის მიწურულს სიმონეთლებმა ერთმანეთი რომ მოიკითხეს, მოძებნეს და იპოვეს კიდევ.

ჯერ იყო ცალკეულ პირთა ინტენსიური კონტაქტები 90-იან წლებში, მერე – ორგანიზებული შეხვედრები სოფლების წარმომადგენლებს შორის. ჭოროხისპირა სიმონეთში ერთ-ერთ ასეთ შეხვედრას ფრიდონ ხალვაშიც ესწრებოდა და იქაც წაიკითხა უკვე ყველასთვის ნაცნობი ლექსი „სამი სიმონეთი“.

პირველად იმერეთიდან ჩამოვიდნენ აჭარაში 2001 წლის 7 მაისს. ეს იყო მოციით და სითბოთი გამორჩეული შეხვედრა. იმავე



წელს, შემოდგომაზე, 13 სექტემბერს, იმერეთში ჩავიდნენ აჭარის სიმონეთიდან, საჩუქარიც სიმბოლური შეარჩიეს: ტრადიციული ქართული ჩუქურთმებიანი აკვანი. ანალოგიური შეხვედრები იყო 2002 და 2003 წლებში, ისევ 7 მაისს და 13 სექტემბერს. 2003 წელს იმერეთიდან საჩუქრად ჩამოიტანეს ქვის მოზრდილი ჯვარი, რომელიც დამონტაჟდა სოფელში (იმ ადგილს „წიფლები“ ჰქვია). იმავე წლებში დაიწყო საუბარი ჭოროხისპირა სიმონეთში ეკლესიის მშენებლობაზე.

მისტიკური შრე ძველი და ახალი ისტორიის ამ ფრაგმენტებისა ისაა, რომ, როგორც ითქვა, თქმულების თანახმად, მოსახლეობის ნაწილი ჭოროხისპირა სიმონეთიდან რწმენისა და სიცოცხლის გადასარჩენად აიყარა. სოფელი კი დიდი ხნის განმავლობაში იყო ოსმალო დამპყრობლის ხელში. შემდეგ იყო რუსეთის იმპერია, შემდეგ - საბჭოთა კავშირი და და ათეიზმის ეპოქა... მისტიკური წრე შეიკრა მაშინ, როცა იმერეთის სიმონეთიდან, სადაც, ხალხური ისტორიის თანახმად, იმ ძველ დროში ჭოროხისპირიდან გახიზნულები ჩასახლდნენ, ჩამოიტანეს ჯვარი... ვინ იცის, იქნებ იმ ჩასახლებულთა შთამომავლებმაც...

მიმდინარე წლის 6 მაისს, გიორგობას ჭოროხისპირა სოფლის ცენტრში, 2003 წელს დამონტაჟებული ჯვრის მახლობლად, დაიწყეს ეკლესიის საძირკვლის გათხრა. 23 მაისს, სვიმონ კანანელის ხსენების დღეს, საძირკველი აკურთხეს. ხალხური ისტორიის კიდევ ერთი გამოძახილი ისაა, რომ ეკლესიის მშენებლობა დაიწყო სვიმონ კანანელის სახელზე.

რაც შეეხება თურქეთის სიმონეთს, კონტაქტის მცდელობა იყო, მაგრამ ორგანიზებულ შეხვედრებამდე საქმე არ მისულა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ აჭარის სიმონეთში იმ ძველი მოსახლეობის შთამომავალთაგან ერთეულები თუ ცხოვრობენ. ჟამთა ავბედობით გამოწვეულმა მიგრაციებმა არაერთხელ დაცალა სოფელი და წასულთა ადგილებს ახალი მოსახლეობა იკავებდა - ახლოდან თუ შორიდან მოსულები...

### **მუჰაჯირობა და მესამე სიმონეთი**

ჭოროხისპირა სიმონეთს, როგორც ითქვა, მიგრაციის კიდევ ერთი დიდი ტალღა შეეხო მუჰაჯირობისას: რუსეთ-ოსმალეთის 1878-79 წლების ომის შემდგომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გადასახლდა. „სახლკარმიტოვებულმა, გუდანაზადაკრულმა, მუჰაჯირმა ბედკრულმა“ კი ბევრი იხეტიალა და თურქეთის შიდა პროვინციებში დამკვიდრდა. მართალია, მუჰაჯირთა დასახლებების შესახებ დღეს საკმაოდ ბევრი ინფორმაცია არსებობს, დაზუსტებით მაინც ვერ ვიტყვით, თურქეთში, ბურსას (შეიძლება იგულისხმებოდეს ბურსას პროვინცია ან ამ პროვინციის ცენტრალური ქალაქი) მახლობლად არსებულ სიმონეთში რომელ სოფელს გულისხმობდა ფრიდონ ხალვაში. ცნობილია, რომ პოეტი 1968 წელს თურქეთში იმყოფებოდა ქართველ მწერალთა ჯგუფთან ერთად, მას შეხვედრები ჰქონდა ქართველებთან სტამბოლში, ბურსაში და ა.შ. მოსალოდნელია მასპინძელ ქართველთა შორის სიმონეთელ მუჰაჯირთა შთამომავლებიც ყოფილიყვნენ; შესაძლოა ისიც, რომ პოეტს თავადაც ენახა სიმონეთი, როგორც მუჰაჯირთა შთამომავლების რომელიმე სოფელი ან

უბანი, ან გაეგონა მის შესახებ... დასაშვებია, აგრეთვე, 1970 წელს დაწერილ ლექსში ავტორს სიმონეთელ მუჰაჯირთა სოფლის არსებობა დაეშვა, როგორც შესაძლებლობა.

ნიშანდობლივია, რომ მუჰაჯირთა მრავალ დასახლებაში (განსაკუთრებით ნიგალიდან მიგრირებულთა დასახლებებში) ერთი საინტერესო ტენდენცია შეიმჩნევა: მუჰაჯირებს ახალი სამოსახლოსთვის ან მისი უბნებისთვის ბევრგან ფუძე-სოფლის სახელი უწოდებიათ. მართალია, ოფიციალური გეოგრაფიული ნომენკლატურა წინათაც არსებობდა და დღესაც არსებობს, მაგრამ ხალხის მეხსიერებამ ძველიც შეინახა. მაგალითად: ქოჯაელის, საქარიას, ბალიქესირის თუ სხვა პროვინციებში სოფლების ე.წ. შინაური მოხმარების ტოპონიმად დღემდეა შემორჩენილი მუჰაჯირთა ფუძესოფლების სახელები: ბორჩხა თოხვეთი, მურკვეთი, ქართლა, ზომოთა, ხატილა, ქომოთა ხატილა, გეველი, ავანა, არხვა და ა.შ. (ჩოხარაძე 2016: 86).

ტოპონიმი სიმონეთი 2018 წელს დავაფიქსირეთ საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ილიმბეიში. საქარია ბურსას მეზობელი, თურქეთის მარმარილოს ზღვის რეგიონში მდებარე პროვინციაა. ილიმბეის ერთ-ერთ უბანს ჰქვია აშკარად მიგრანტების მიერ მიტანილი „სიმონეთი“. სოფელში ზოგიერთი ჩვენი კითხვა უპასუხოდ დარჩა. უფრო იმიტომ, რომ „ზომო“ უბნებიდან (ფარცახი, სიმონეთი) ბევრმა იცვალა ადგილი და დაბლობისკენ „ჩამოჩოჩდა“. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ილიმბეი მარადიდელ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელია (მარადიდი 2020: 178), ხოლო მუჰაჯირობის პერიოდში ჭოროხისპირა სიმონეთი ქვედა მარადიდის თემის ნაწილად ითვლებოდა (ფრენკელი 2012: 175); საყურადღებოა ერთი დეტალიც: სოფელში გვითხრეს, რომ დიდი ხნის წინათ აქ აქჩაკოჯადან (დუზჯეს პროვინცია) გადმოსახლებულა ქართული ოჯახები. მეორე მხრივ, აქჩაკოჯას რაიონის სოფელ მელენაღზიშიც გვიამბეს იქიდან ილიმბეიში გადასახლებული ოჯახების შესახებ. მეტის დაკონკრეტება ვერც იქ შეძლეს, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ მელენაღზის ქართული მოსახლეობის ნაწილი სიმონეთელია.

საქარიას პროვინციაში სიმონეთელ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ, აგრეთვე, ქოჯაალის რაიონის სოფელ დემირაჩმაში და, შესაძლოა, ქოზლუქშიც (ჩოხარაძე 2016: 114). საკუთრივ ბურსას პროვინციაში სიმონეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლება ჩვენ არ შეგვხვედრია, თუმცა გამორიცხვით ვერ გამოვრიცხავთ.

სიმონეთიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ თურქეთის შავი ზღვის რეგიონის პროვინციებშიც, მაგრამ, ბუნებრივია, ამჯერად მხოლოდ „ბურსას მახლობლად“ მდებარე დასახლებებს ვეხებით.

ამრიგად, ცხადია, რომ „სამი სიმონეთი“ რეალობის თავისებური და საინტერესო მხატვრული ინტერპრეტაციაა და ხსენებული სოფლების წარსულისა და თანამედროვეობის არაერთ დეტალს უკავშირდება. იგულისხმება, უპირველესად, პოეტური ხატების მიმართება ობიექტურ რეალობასთან და მათ შორის თანამედროვე სიმონეთელთა ცხოვრებასთან.

---

**გამოყენებული ლიტერატურა**

- დიასამიძე 1999:** დიასამიძე ბ., ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში. ბათუმი, 1999.
- თაყაიშვილი 2016:** თაყაიშვილი ე., თხზულებანი ოთხ ტომად, ტომი I. თბილისი, 2016.
- კლდიაშვილი 1975:** კლდიაშვილი ს., თხზულებათა კრებული, ტომი III. თბილისი, 1975.
- მარადიდი 2020:** მარადიდი, მონოგრაფია. ავტორები: მალხაზ ჩოხარაძე, მამია ფალავა, ნათელა ფარტენაძე, თინა შიომვილი, ზაზა შაშიკაძე, რუსლან ბარამიძე, თამარ ჩოხარაძე. თბილისი, 2020.
- საითიძე... 2018:** საითიძე გელა (გიორგი) , საითიძე გოჩა, სიმონეთი და მისი ერთი „ნიჭით დაჯილდოებული ოჯახი“. თბილისი, 2018.
- სიხარულიძე 1995:** სიხარულიძე ი, ნიგალი. ბათუმი, 1995.
- ტაო 2020:** ტაო, მონოგრაფია, ავტორები: მამია ფალავა, მერი ცინცაძე, მათა ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიომვილი, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, მერაბ ხალვაში, ჯიმშერ ჩხვიმიანი, ჯემალ კარალიძე. ბათუმი, 2020.
- ფრენკელი 2012:** ფრენკელი ალ., ნარკვევები ჩურუქ-სუზე და ბათუმზე. თბილისი, 2012.
- ქართლის ცხოვრება 1955:** ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I. თბილისი, 1955.
- ჩოხარაძე 2016:** ჩოხარაძე მ., ქართული ენის გეოგრაფია თურქეთში, წიგნი I, მარმარილოს ზღვის რეგიონი. ბათუმი, 2016.
- ჭუმბურიძე 1987:** ჭუმბურიძე ზ., დედაენა ქართული. თბილისი, 1987.
- ხალვაში 2000:** ხალვაში ფ., თხზულებანი სამ ტომად, ტომი I, თბილისი, 2000.
- ჯაჯანიძე 1968:** ჯაჯანიძე პ., სომიანეთი-სიმონეთი (ტოპონიმიკური ძიებანი), გაზეთი „ქუთაისი“, 27 თებერვალი. ქუთაისი, 1968.



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8069>

**გიორგი წერეთელი  
სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებაში**

**Giorgi Tsereteli in the Memories  
of Soprom Mgaloblishvili**

**მაგდა ჭიჭაბერიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი  
**ეკატერინე შაკიაშვილი**  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Magda Chikaberidze**

Georgian Technical University  
Georgia, Tbilisi

**Ekaterine Shakiashvili**

Georgian Technical University  
Georgia, Tbilisi

**აბსტრაქტი**

გიორგი წერეთლის სახე საინტერესოდ ცოცხლდება ხალხოსანი მწერლის – სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებებში. მემუარისტი მას კარგად იცნობდა, მასთან პირადი და საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა. სოფრომ მგალობლიშვილის შეფასებით, გიორგი წერეთელი სამოციანელთა გუნდის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ის მრავალმხრივი მოღვაწე იყო, უპირველესად კი – ბელეტრისტი და პუბლიცისტი.

სოფრომ მგალობლიშვილი აღნიშნავს გიორგი წერეთლის განსაკუთრებულ პიროვნულ თვისებებს: „იგი დიდი ორგანიზატორი იყო, დროს ალღოს ამღები“. მან დააარსა გაზეთი „დროება“, „სასოფლო გაზეთი“, ჟურნალი „კრებული“, შემდეგ კი – გაზეთი „კვალი“. გაზეთ „კვალის“ გამოცემისას შეამჩნია მესამე დასელთა მიმართულების ჩასახვა და გზა გაუხსნა თავის გაზეთში.

მემუარისტის დახასიათებით, გიორგი წერეთელი ძალიან მოძრავი და ენერგიული კაცი იყო. იგი ხშირად დადიოდა საქართველოს ახლად შემოერთებულ მხარეებში: ქობულეთში, აჭარაში, შავშეთში... ის

დაუახლოვდა მაჰმადიან ქართველებს და სხვებსაც ამისაკენ მოუწოდებდა. ხშირად ესაუბრებოდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლს და სთხოვდა, გასცნობოდა მაჰმადიან ქართველებს, ეამბო მათთვის, თუ ვინ იყვნენ ისინი ძველად და რა როლს თამაშობდა მათი მხარე ძველ საქართველოში.

სოფრომ მგალობლიშვილის თქმით, გიორგი წერეთელი ილაშქრებდა რუსიფიკაციის წინააღმდეგ. მან გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლს ასევე სთხოვა, პროტესტი გამოეთქვა ეკლესიებში მეგრული წირვა-ლოცვის შემოღების წინააღმდეგ. გრიგოლმა, რომელიც თვითონაც ამის წინააღმდეგი იყო, მთავრობას ოფიციალური განცხადებით მიმართა.

მემუარისტის თქმით, გიორგი წერეთელმა ბევრი ცუდი ნახა, მაგრამ მაინც არ შეუწყვეტია ბრძოლა და „ამ ბრძოლაში პოულობდა სიტკბობას“.

სოფრომ მგალობლიშვილი განიცდიდა, რომ გიორგი წერეთელი კრიტიკოსებისაგან სათანადოდ არ იყო დაფასებული. არავინ კისრულობდა მისი თხზულებების ტომებად გამოცემას.

მოგონებებში საინტერესოდ არის აღწერილი მემუარისტისა და გიორგი წერეთლის საქმიანი ურთიერთობა, რომელშიც მჟღავნდება დიდი მოღვაწის პიროვნული თვისებები: შეუპოვრობა, გაბედულება, მიზანსწრაფულობა. საზოგადოდ, სოფრომ მგალობლიშვილი გიორგი წერეთლის შესახებ ბევრ ისეთ დეტალს გვაცნობს, როგორსაც სხვა მემუარისტებთან არ ვხვდებით. ეს კი მის მოგონებებს განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული მემუარული ლიტერატურა, სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებები, გიორგი წერეთელი.

## ABSTRACT

Giorgi Tsereteli's persona comes to life interestingly in the memories of the public writer, Soprom Mgaloblishvili. The memoirist knew him well and had both personal and business relationships with him. According to Soprom Mgaloblishvili, Giorgi Tsereteli is one of the prominent representatives of the 60s generation. He was a multifaceted individual, primarily a novelist and publicist.

Soprom Mgaloblishvili highlights Giorgi Tsereteli's special personal qualities: „He was a great organizer and a time saver“. Tsereteli founded the „Droeba“ newspaper, „Sasoflo Gazeti“, „Krebuli“ magazine, and later the „Kvali“ newspaper. While publishing the „Kvali“ newspaper, he noticed the development of the third movement and paved the way for his newspaper.

According to the memoirist, Giorgi Tsereteli was a very mobile and energetic man. He often visited the newly joined regions of Georgia: Kobuleti, Adjara, Shavsheti... He got close to Muslim Georgians and encouraged others to do the same. He frequently spoke with Bishop Grigol of Guria-Samegrelo and urged him to educate Muslim Georgians about their ancient history and the role their region played in ancient Georgia.

Soprom Mgaloblishvili also noted that Giorgi Tsereteli campaigned against Russification. He asked Bishop Grigol of Guria-Samegrelo to protest the introduction of the Megrelian liturgy in churches. Grigol, who was also against it, addressed the government with an official statement.

Although Giorgi Tsereteli faced many challenges, he continued to fight and „found enjoyment in this fight“, according to the memoirist. Soprom Mgaloblishvili's appreciation of Tsereteli is evident, and someone is even publishing his works in a volume.

The memoirs provide an interesting description of the business relationship between Soprom Mgaloblishvili and Giorgi Tsereteli, revealing the great figure's personal qualities: perseverance, courage, and determination. In general, Soprom Mgaloblishvili shares many details about Giorgi Tsereteli that are not found in other memoirs, adding special value to his memories.

**Keywords:** Georgian memoir literature, memories of Soprom Mgaloblishvili, Giorgi Tsereteli.

გიორგი წერეთელი სამოციანელთა გუნდის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. „როგორც თითქმის ყველა სამოციანელი, ისიც გამოირჩა თავისი მრავალმხრივი საქმიანობით; იყო გამოჩინებული ჟურნალისტი-რედაქტორი... ამასთანავე, იგი იყო თვალსაჩინო პუბლიცისტი, თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში, როგორც ქართულში, ასევე რუსულში და არა მარტო ადგილობრივში. ეწეოდა მეცნიერულ მუშაობას, ისტორიკოსობდა, არქეოლოგობდა... წერდა ბუნებისმეტყველების საკითხებზე. მას ბევრი უწერია განათლების შესახებ, თეატრალური რეცენზენტის მძიმე ტვირთსაც კისრულობდა, მწერლობდა, წერდა ლექსებს, პოემებს, დრამატულ ნაწერებს...“ (მინაშვილი 2017: 125).

გიორგი წერეთლის სახე საინტერესოდ ცოცხლდება ხალხოსანი მწერლის სოფრომ მაგლობლიშვილის (1851-1925) მოგონებებში. მათ პირადი და სამსახურებრივი ურთიერთობა აკავშირებდათ. მემუარისტი გიორგი წერეთლის შესახებ ისეთ ცნობებს გვაწვდის, როგორსაც სხვაგან ვერ შევხვდებით. ეს კი სოფრომ მაგლობლიშვილის მოგონებებს განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს.

მემუარისტის თქმით, „სამოციანი წლები საქართველოში ოქროს ასობით არის აღსაბეჭდი“ (მაგლობლიშვილი 1938: 122). ასპარეზზე გამოვიდნენ ისეთი დიდი მოღვაწენი, როგორებიც არიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, პეტრე უმიკაშვილი, სერგი მესხი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები. მათ ყველა დარგში მოღვაწეობა უწევდათ, რადგან საკეთებელი საქმე ბევრი იყო, გამკეთებელი კი – ცოტა. „ერთი და იგივე მოღვაწე-მწერალი ბელეტრისტიც იყო, პოეტიც, პუბლიცისტიც,



არქეოლოგ-ისტორიკოსიც“ (იქვე: 123). ასე მოღვაწეობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე... სოფრომ მგალობლიშვილის შეფასებით, „გიორგი წერეთელი ცნობილია უფრო როგორც ბელეტრისტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, მისი „ჩიკოლიკი, კიკოლიკი“, „მამიდა ასმათი“, „ლომკაცი“ და სხვა დაუვიწყარი იქნება ქართულ მწერლობაში“ (მგალობლიშვილი 1938: 122-123).

მემუარისტი მიუთითებს გიორგი წერეთლის ბუნების იმ ნიშან-თვისებაზე, რომლითაც მკვლევრები ხსნიან როგორც მის პრაქტიკულ საქმიანობას, ისე მის შემოქმედებას; კერძოდ, „გიორგის დიდი ღვაწლი გამოიხატება იმაში, რომ იგი დიდი ორგანიზატორი იყო, დროს ალღოს ამღები: მან დააარსა „დროება“<sup>1</sup>, „სასოფლო გაზეთი“<sup>2</sup>... ჟურნალი „კრებული“<sup>3</sup>, შემდეგ „კვალი“<sup>4</sup> (იქვე: 123). ლიტერატორი ლადო მინაშვილი აღნიშნავს, რომ გიორგი წერეთელს, „პირველ ყოვლისა, გამოარჩევს ძალიან განვითარებული სიახლის გრძნობა. იგი კარგად გრძობს სიახლეს ცხოვრებაში და მოთხოვნილება აქვს მის მხარეს დადგეს; მას არავინ არ ავალდებულებს, არავინ არ აძალეებს, ის თავად გრძობს დროის მოთხოვნილებათა ცვლილებებს და თავის საქმიანობაშიც ამის დამიხედვით შეაქვს სათანადო შესწორებები... ასეთია გიორგი წერეთელი მხატვრულ შემოქმედებაშიც. აქაც მან თანამედროვეობის გამომხატველი თემა შემოიტანა ჩვენს ლიტერატურაში. ასეთია მისი 90-იან წლებში გამოქვეყნებული „პირველი ნაბიჯი“<sup>4</sup>, და ასეთია აკაკი წერეთლის მიერ საუკეთესოებად აღიარებული „რუხი მგელი“ და „მამიდა ასმათი“ (მინაშვილი 2013: 253-254)<sup>5</sup>. დროის ალღოს გამძაფრებული გრძნობა იყო ისიც, რომ გიორგი წერეთელმა გაზეთ „კვალის“ გამოცემისას შეამჩნია მესამე დასელთა ახალი მიმართულების ჩასახვა და „მამინავე თავის „კვალში“ მისცა მათ ბინა“ (მგალობლიშვილი 1938: 123).

სოფრომ მგალობლიშვილის გადმოცემით, 1893 წელს ილია ჭავჭავაძემ „ივერია“ მეველეს (დავით მიქელაძეს) გადასცა. მან შეადგინა ახალი რედაქცია, საიდანაც ძველი თანამშრომლები „გამოცოცხეს“. სოფრომ მგალობლიშვილი გაზეთ „კვალს“ შეეკედლა, რომელთანაც ქალაქ ფოთიდან თანამშრომლობდა. იგი იხსენებს, თუ როგორ აქეზებდა რედაქტორი გიორგი წერეთელი გაეგრძელებინა ბეჭდვა სურათებისა – „დღიური ბიძია თომასი“. ნაწარმოებმა ქართველ თავად-აზნაურთა უკმაყოფილება და აღშფოთება გამოიწვია, რის გამოც გაზეთმა ბევრი მტერი შეიძინა და გამომწერებიც დაკარგა. მემუარისტი გვაცნობს გიორგი წერეთლის რამდენიმე წერილს,

<sup>1</sup> გიორგი წერეთელმა გაზეთი „დროება“ დააარსა 1866 წელს.

<sup>2</sup> „სასოფლო გაზეთი“ დაარსდა 1868 წელს. გიორგი წერეთელი მას რედაქტორობდა 1873 წლამდე.

<sup>3</sup> ჟურნალი „კრებული“ გამოდიოდა 1871-1873 წლებში „დროების“ დამატების სახით.

<sup>4</sup> „კვალი“ დაარსდა 1893 წელს, გამოდიოდა 1903 წლამდე

<sup>5</sup> აკაკი წერეთელი: „იმის ნაშრომ-ნაღვაწს ისე უნდა უყურებდნენ, როგორც ოქროს მადნეულის მარღვს: უნდა გაარჩიო, გარეცხო, რამოდენიმე ფუთი სილა-ტალახი მოაშრო, რომ მერე გამოარჩიონ რამდენიმე ოქროს მარცვალი. გიორგის თბზულებასაც, როცა გაიმტკიცება, ბევრი ხელისხელ საგომანებელი საგანი გამოაჩნდება, რომელიც საბოლოოდ გასტანს. მისი პირდაპირი დანიშნულება პროზაიკოსობა იყო და რეალური სკოლის მამამთავრადაც ჩვენში ის უნდა ჩაითვალოს და არა სხვა ვინმე. რადგანაც ის სხვებზე ადრე იყო. სხვები რომ არ ვახსენო, ამის დასამტკიცებლად მარტო „მამიდა ასმათი“ და „რუხი მგელიც“ კმარა (წერეთელი 1989: 104).

რომლებშიც მჟღავნდება მისი პიროვნული თვისებები: შეუდრეკელობა, გაბედულება, მიზანსწრაფულობა. პირველი წერილი თარიღდება 1894 წლის 13 იანვრით: „მძაო, სოფრომ, შენმა სურათმა „ბიძია თომას ნაამბობმა“ საშინელი აურზაური აგვიტეხა: ერისთავები ყალყზე დადგენ, ჩვენ ვართ შიგ აწერილიო, კოტე ერისთავი როგორ გაგვილანძღეთო! არც ერთმა ერისთავმა „კვალი“ აღარ გამოიწერა, ამისთვის შენი მოვალეობაა, რაც აქ მოგვაკლე ხელის მომწერლები, მად შეგვისრულე, თორემ გაზეთი ვეღარ შეძლებს გონორარი მოგცეს შენ ლამაზ სტატიებში, აბა, დაფაცურდი, ბევრი ხელის მომწერლები იშოვნე და ფული მოგვაწვდინე მათგან. ამასთანავე შენი მჭრელი ხელის ნაშრომსაც ნუ მოგვაკლებ. ტასომ სიყვარულით მოგიკითხა. შენი მოყვარული გ. წერეთელი“ (მგალობლიშვილი 1938: 124).

სოფრომ მგალობლიშვილი დაფაცურდა, გამომწერებიც იშოვა და ფულიც მიაშველა „კვალს“, თან ახსნა-განმარტება მიაყოლა: „არავინ ერისთავთაგანი არ მყოლია სახეში და თუ ვინმემ თავისი მახინჯი სახე იცნო სარკეში, რა ვქნაო“ (იქვე).

მემუარისტის დახასიათებით, გიორგი წერეთელი ძალიან მოძრავი, ფრიად ენერგიული კაცი იყო. ხშირად დადიოდა საქართველოს ახლად შემოერთებულ მხარეებში – ქობულეთში, აჭარაში, შავშეთში... „პირველად გიორგი გაეცნო მაჰმადიან ქართველობას, მან პირველმა შეიტანა მაჰმადიან ქართველობაში შეგნება იმისა, რომ ერთი ეროვნებისანი არიან იგინი დანარჩენ ქართველებთან, ელაპარაკებოდა ძმობასა და ერთობაზე“ (იქვე: 126). ის სხვა ქართველ მოღვაწეებსაც ამისკენ მოუწოდებდა, როგორც სასულიეროთ, ისე საეროთ“. სოფრომ მგალობლიშვილი თავად იყო შემსწრე, როგორ ესაუბრებოდა გიორგი წერეთელი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლს და სთხოვდა, გასცნობოდა მაჰმადიან ქართველებს, „ეამბნა მათთვის, თუ ვინ იყვნენ ისინი ძველად, რა როლს თამაშობდა მათი მხარე ძველს საქართველოში“ (იქვე: 126).

გიორგი წერეთელი ენერგიულად ილაშქრებდა რუსიფიკაციის წინააღმდეგ. მან გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლს ასევე სთხოვა, პროტესტი გამოეთქვა ეკლესიებში მეგრული წირვა-ლოცვის შემოღების წინააღმდეგ. ეპისკოპოსმა, რომელიც თვითონაც „სულითა და გულით წინააღმდეგი იყო ამ ლოცვებისა და დაუფარავი მომხრე ქართულის სწავლებისა სამეგრელოს სკოლებში“, მთავრობას ამის შესახებ ოფიციალური განცხადებით მიმართა“ (იქვე).

სოფრომ მგალობლიშვილის თქმით, „ბევრი მწარე დრო ნახა გიორგიმ თვის სიცოცხლეში, მაგრამ მაინც მედგრად იბრძოდა და ამ ბრძოლაში პოულობდა სიტკბოებას“ (იქვე: 129).

მემუარისტი განიცდის, რომ გიორგი წერეთელი – ეს დაუღალავი და გულწრფელი მოღვაწე – ჩვენი კრიტიკისაგან ხეირიანად არ არის დაფასებული. არც არავინ კისრულობს მისი თხოვრებების ტომებად გამოცემას. სამწუხაროა ასეთი გულცივობა გიორგისადმი. „კარგი იქნება, რომელიმე გამომცემელი იკისრებდეს გიორგის ნაწერების სრულს გამოცემას“ (იქვე: 127).

უნდა ითქვას, რომ სოფრომ მაგლობლიშვილის ეს სურვილი დღემდე სურვილად რჩება. გიორგი წერეთლის თხზულებათა მეტ-ნაკლებად სრული კრებული, სამწუხაროდ, არც ამჟამად არსებობს.

დასკვნის სახით:

სოფრომ მაგლობლიშვილი უშუალო მოწმე და მონაწილეა იმ მოვლენებისა, რომელსაც თავის მოგონებებში აღწერს. ის კარგად იცნობს გიორგი წერეთელს, მის წრესა და გარემოს. ინტერესს იმსახურებს მემუარისტისა და გიორგი წერეთლის პირადი და საქმიანი ურთიერთობა, რომელშიც მჟღავნდება დიდი მოღვაწის პიროვნული თვისებები. ის გაბედულ, საქმიან, მოძრავ, „დროს ალღოს ამღებ“, პროგრესულ ადამიანად წარმოგვიდგება.

#### გამოყენებული ლიტერატურა

ევგენიძე... 2013: ევგენიძე ი., მინაშვილი ლ., ქართული ლიტერატურა ოთხ ტომად, ტომი II. თბილისი, 2013.

მაგლობლიშვილი 1938: მაგლობლიშვილი ს., მოგონებანი. ტფილისი, 1938.

მინაშვილი 2017: მინაშვილი ლ., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბილისი, 2017.

წერეთელი 1989: წერეთელი ა., რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. III. თბილისი, 1989.



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8070>

**ქართული სინამდვილე და გენდერული საკითხი  
იმერეთის მაგალითზე  
(დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერების“ მიხედვით)**

**Georgian reality and gender issue  
on the example of Imereti  
(According to „Irine’s happiness“ by Davit Kldiashvili)**

**სოფიკო ჟუმბურიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Sophiko Chumburidze**

Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

**აბსტრაქტი**

დავით კლდიაშვილს ქართულ მწერლობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მის შემოქმედებაში მკაფიოდ აისახა XIX საუკუნის ბოლო ათწლეულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ სინამდვილეში არსებული პრობლემები.

მართალია, აქ ერთი კონკრეტული კუთხის (იმერეთის) ამბებია ასახული, მაგრამ დიდი მწერლობა ხომ განზოგადების იშვიათ უნარსაც გულისხმობს. იმერელი მამაკაცის თვალთ დანახული გენდერული საკითხიც ასევე ბუნებრივად უნდა განვაზოგადოთ, თანაც არა მხოლოდ ქართული, ზოგადსაკაცობრიო მასშტაბითაც.

წლების განმავლობაში მკვლევრები დავით კლდიაშვილის შემოქმედებას ძირითადად სოციალურ და მხატვრულ-ესთეტიკურ ჭრილში განიხილავდნენ. ბოლო დროის მხატვრულ ლიტერატურაში გენდერული კვლევების წინ წამოწევამ გვიჩვენა, რომ ის ამ მხრივაც გამორჩეული ავტორია. გენდერული პრობლემის კვლევის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა პიესა „ირინეს ბედნიერება“. აქ აშკარად იკვეთება მამაკაცთა შეხედულება ისეთი საკითხების მიმართ, რასაც დღეს გენდერულ პრობლემატიკას მივაკუთვნებთ. აღნიშნული პიესა კარგად გვიჩვენებს, თუ როგორ თრგუნავს ქალს გენდერული და სოციალური სტერეოტიპები.

დავით კლდიაშვილმა ამ პიესის საფუძველზე დაანახა მშობლებს, რომ ქალიშვილებს თავად ვერ გადაუწყვეტენ, რა არის „ბედნიერება“, რომ აუცილებელია აღიარონ მათი პიროვნული თავისუფლება და პატივი სცენ მათს გრძნობებს.

დღეს, როცა გენდერული საკითხი ესოდენ აქტუალურია, „ირინეს ბედნიერება“ კარგად წარმოაჩენს, თუ როგორ უარყოფითად აისახება კულტურული, გენდერული თუ სოციალური სტერეოტიპები ზოგადად ქალის ბედზე.

ირინეს ბედის ჩვენებით მწერალი გამოკვეთს იმ ემპირიულ სინამდვილეს, რაც გაბატონებული იყო ქვეყანაში. მწერალმა წარმოაჩინა პრობლემა, რომელიც დღესაც აქტუალურია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ დღეს იმავე პრობლემის უცვლელი არსი ახალი ტერმინით, უფრო ზუსტად, ამ სინტაგმით გამოიხატება: „გენდერული საკითხი“.

საგულისხმო და მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ „ირინეს ბედნიერება“ დღეს ქართული თეატრის განსაკუთრებული ინტერესის სფეროში მოექცა. მას არაერთ სცენაზე დგამენ, უმეტესად ახალგაზრდა რეჟისორები. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ გენდერული საკითხი აქტუალურობას არ კარგავს. რეჟისორებიც ძირითადად ამ პრობლემას გამოკვეთენ და ყურადღებას ჩვენთვის საინტერესო ასპექტებზე ამახვილებენ.

აღნიშნული ფაქტი დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში განხილვის კიდევ უფრო სერიოზულ საფუძველს ავლენს.

საკვანძო სიტყვები: დავით კლდიაშვილის შემოქმედება, გენდერული საკითხი, პიესა „ირინეს ბედნიერება“.

## ABSTRACT

Davit Kldiashvili, a prominent figure in Georgian literature, addresses significant social and gender issues in his works, particularly highlighted in his play „Irine’s Happiness“. This play delves into the complexities of gender roles and societal expectations prevalent in Imereti, Georgia, during the late 19th and early 20th centuries.

Kldiashvili’s ability to generalize local issues to broader societal contexts is noteworthy. Through „Irine’s Happiness“, he portrays the struggles faced by women due to cultural and social stereotypes. The play critiques the paternalistic attitudes of parents who decide their daughters’ futures without considering their personal freedom or desires. This theme resonates powerfully today, amidst ongoing discussions on gender equality and women’s autonomy.

In the context of contemporary gender studies, Kldiashvili’s work gains recognition for its insightful portrayal of how gender norms restrict and oppress

women. „Irine’s Happiness“ serves as a poignant reminder of the enduring relevance of these issues across different cultures and historical periods.

Moreover, the play’s enduring popularity in Georgian theater underscores its continued relevance. Directors and audiences alike are drawn to its exploration of gender dynamics and the societal pressures that shape women’s lives. This ongoing interest reflects a broader recognition of Kldiashvili’s contribution to world literature, as his works transcend local specificity to address universal themes.

Thus, Davit Kldiashvili emerges not only as a significant literary figure in Georgian history but also as a prescient commentator on gender issues whose insights continue to resonate in contemporary discourse. His portrayal of Irine’s fate remains a compelling testament to the struggles against gender stereotypes and the quest for individual autonomy and happiness.

**Keywords:** Creativity of Davit Kldiashvili, gender issues, play „Irine’s Happiness“.

დავით კლდიაშვილს ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი შემოქმედების მიმართ ინტერესიც არასოდეს ნელდება. მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით ის საფუძვლიანადაა შესწავლილი და სათანადოდ შეფასებულიც. ჩვენი სტატიის ძირითად სიახლედ კი დავით კლდიაშვილის პიესის, „ირინეს ბედნიერების“, გენდერული კუთხით განხილვა გვესახება. მართალია, პიესის გმირები იმერეთში ცხოვრობენ, მაგრამ პრობლემები, რომელთაც ავტორი წამოჭრის, ზოგადსაკაცობრიოა. უთუოდ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ქართული თეატრი განახლებული ინტერესით მიუბრუნდა ამ დრამატურგიულ შედეგს. ნიშანდობლივია, რომ მას ძირითადად ახალგაზრდა რეჟისორები დგამენ.

დღეს, როცა გენდერული საკითხი ესოდენ აქტუალურია, ეს პიესა კარგად წარმოაჩენს, თუ რა უარყოფითად აისახება კულტურული, გენდერული თუ სოციალური სტერეოტიპები ზოგადად ქალის ბედზე.

სოციალურად მაღალ საფეხურზე მდგარი კაცისგან გლეხის გოგოს გაუბედურების მაგალითი რომ იშვიათი არ იყო იმ საზოგადოებისთვის, ამას არაერთი იმდროინდელი ავტორის შემოქმედება გვიდასტურებს. ირინეს თავგადასავალიც ამის უპირობო გამოხატულებაა.

შეძლებულ აზნაურს, აბესალომს, ერთი ნახვით მოეწონა ირინე და მისი დაპატრონება მოინდომა (კლდიაშვილი 1952: 10). წოდებრივი მდგომარეობით თავგასული ყმაწვილი არაფრად აგდებს ირინეს საქმროს: „ვიღაცა ჩანჩურა როდამაშვილის გულისათვის ყოველივე სიამოვნება უნდა მოვიკვლო... აბა კაცი ის ყოფილა – ჩვენ არაფერი!“ (კლდიაშვილი 1952: 10).

აბესალომის ანტიპოდად შეიძლება ჩავთვალოთ როდამაშვილი,



რომელიც აღშფოთებული წამოიძახებს: „რა არის, ამ ყმაწვილ ქალს რომ ჩასცივებია, მოსვენებას არ აძლევს, წამოავლებს ხელს და აჯირგალებს, თითქოს სათამაშო იყოს მისი“ (კლდიაშვილი 1952: 12). მწერალი ამ პასაჟით გლუბ მამაკაცში უფრო მეტად უსვამს ხაზს ჯენტლმენობას, ქალისა და საზოგადოებისადმი პატივისცემას.

პიესის ყველაზე ტრაგიკული გმირი ირინეა, რომელიც უმანკოების სიმბოლოდაც შეიძლება ჩავთვალოთ. ის აშკარად ამჟღავნებს აბესალომისგან შორს ყოფნის სურვილს, მაგრამ მამაკაცი ყველა მხრიდან ავიწროვებს, აბესალომი მატყუარა, მოძალადე, ლოთი და უზნეოა, შესაბამისად, ის არ ერიდება ათასნაირ ტყუილს, რომ გამოუცდელი ქალი ყალბი სიყვარულითა და ფიცით გააბრიყვოს. შეიძლება ითქვას, რომ დავით კლდიაშვილმა აბესალოს სახით ზოგადად ქალის მიმართ იმდროინდელი საზოგადოების დამოკიდებულება გამოხატა.

პიესაში ირინეს ტრაგიზმს განსაზღვრავს სტერეოტიპი, რომლის თანახმადაც, მშობელს შვილის თანხმობის გარეშე შეეძლო მისი ბედის გადაწყვეტა, ვითომცდა მისივე „ბედნიერების“ სახელით. ეს სტერეოტიპი იმდროინდელ საზოგადოებაში ღრმად იყო გამჯდარი, რაც დავით კლდიაშვილის სხვა ნაწარმოებებშიც („უბედურება“, „დარისპანის გასაჭირი“) აისახა. ირინეს მამას, ფილიპეს, რომელიც გაკოტრებული აზნაურია, თავის გადარჩენის ერთ-ერთ გზად საკუთარი ქალიშვილის ხეირიანად გათხოვება ეჩვენება. ირინეს აღფრთოვანებული განუცხადებს, შენს ხელს ჩინებული ყმაწვილი აბესალომ სალამთაძე მთხოვსო. მამა ფიქრობს, რომ მისი გოგონა მდიდარი ქმრის ხელში ბედნიერი იქნება, აბა, ტყუილა ჰყავს კარგი გოგო, რომ უბრალო ვინმეს მიათხოვოს?! მას სჯერა (ანდა, სურს დაიჯეროს) აბესალომის ნათქვამი, – თქვენი ქალიშვილი მიყვარს, ცოლად უნდა შევირთო და იმედია, არ დამიწუნებთო. ირინე ბევრს ეუარა მამას, – აბესალომს ცოლად ვერ გავყვებიო და მიზეზად სხვისი სიყვარული დაასახელა. ამის გამგონე მამა აღშფოთდა, რას ჰქვია სიყვარული, რომელი თავმოყვარე ქალიშვილი საუბრობს შენსავით ასე მოურიდებლად სიყვარულზე, ამდენი ლაპარაკის ნებას რომ გაძლევ, სულელი მე ვარ, შენი უჭკუობით ამ დიდ ბედნიერებას ვერ დაგაკარგვინებო.

მამა დარწმუნებულია, რომ მომავალში ქალიშვილი მადლობასაც კი ეტყვის. ფილიპეს ამ დამოკიდებულებით დავით კლდიაშვილმა გამოამზეურა საზოგადოება, რომელშიც ქალი იყო უფლებაყრილი, უძლური, რომელსაც სიყვარულზე საუბარსაც კი სირცხვილად უთვლიდნენ. ავტორმა საზოგადოება დააფიქრა იმ უსამართლობაზე, როდესაც თუნდაც უსაყვარლესი მშობელი განუსაზღვრავს ქალს, ვის დაუკავშიროს ცხოვრება და ვისთან იქნება მისი ქალიშვილი „ბედნიერი“.

საზოგადოებაში არსებული გენდერული პრობლემების ძირითადი მიზეზი რომ სოციალურია, ეს პიესაში არაერთგზის გამოჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ ფილიპეს ვიქტორი აფრთხილებს, აბესალომ თქვენი ქალიშვილის შესაფერისი არ არის, „აბესალოსთანა ხასიათის ყმაწვილები

საოჯახოდ არ გაუჩენია ღმერთს და როცა შემცდარან და შემთხვევით მოჰკიდებინა ოჯახს, იქ სიკვითე ჯერ არავის უნახავსო“ (კლდიაშვილი 1952: 30), მაგრამ გაკოტრებულ, სიდუხჭირეში მყოფ ფილიპეს არ უნდა, შეძლებულ ოჯახს ქალიშვილის მითხოვებაზე უარი უთხრას და მატერიალური კეთილდღეობა მოაკლოს ქალიშვილს. ვიქტორის სიტყვებს – „თქვენი ქალიშვილი როდამაშვილს მიათხოვეთ, მათ ერთმანეთი უყვართ, მართალია, მდიდარი ოჯახი არ აქვს, მაგრამ ირინე ბედნიერი იქნებაო – ფილიპე უპასუხებს, სალამთაძე რომ უარით გავისტუმრო, დამოყვრებაზე უარი ვუთხრა როდამაშვილის გულისთვის, ქვეყანა სიცილით მოკვდებო“ (კლდიაშვილი 1952: 30). წოდებრივმა და ფინანსურმა მდგომარეობამ გადააწყვეტინა ფილიპეს ირინეს „გაბედნიერება“.

ქორწინების შემდეგ მალევე გამართლდა ვიქტორის სიტყვები; აბესალომი ბევრი სხვა მამაკაცის მსგავსად, მოძალადე ქმარი აღმოჩნდა, ცოლზე გული აიყარა, ეჭვიანობს როდამაშვილის გამო. საშინელ დღეში იყო ირინე, რომელსაც სახელსა და პატიოსნებას თავად ქმარი უბღალავდა სრულიად უმიზეზოდ. ქმრის ასეთმა საქციელმა ზოგიერთს ეჭვიც კი აღუძრა, ვაითუ ქალი რამეში დამნაშავეაო.

დავით კლდიაშვილმა აბესალოს სახით ამხილა ყველა ეჭვიანი, ამპარტავანი, თითქოს თავმოყვარე, ცოლის მიმართ უგრძნობი მამაკაცი, რომელთაც საერთოდ აღარ აინტერესებდათ მეუღლის გრძნობები დაქორწინების შემდეგ. „გულში, გულში ჩახედეთ და მერე ილაპარაკეთ!.. ვძულდე, ვეძაგებოდე, ყოველგვარი სისაძაგლით აივსოს ჩემზე გული, ოღონდ სხვას, სხვას ნუ შეამჩნევინებს, სხვას ნუ ახვედრებს ამაში, თორემ მაგისი სიყვარული სრულიად არ მეჭირვება მე!... რა ჯანდაბად მინდა – ოღონდ ქვეყანაში ვაჟკაცობის სახელს ნუ მისვრის ტალახში და სასაცილოდ ნუ მიხდის!“ (კლდიაშვილი 1952: 48).

როგორც ვხედავთ, უსაფუძვლო ეჭვიანობით შეპყრობილი აბესალო ცოლს ყოველგვარი მეზიზის გარეშე ადანაშაულებს ღალატში. ის ვერ ეგუება ირინესა და როდამაშვილის წარსულ ისტორიას, ფიქრობს, რომ ქალის გულში ისევ როდამაშვილი იკავებს ადგილს. აბესალოს ასეთი დამოკიდებულება ირინეს მიმართ დიდი უსამართლობაა. მან თავიდანვე ყველაფერი კარგად იცოდა, მაგრამ საკუთარი სურვილების დასაკმაყოფილებლად გამოიყენა ქალი... ირინეს ერთ-ერთი თითქოსდა მხარდამჭერი პიესაში ვიქტორია, რომელიც აბესალოს ეუბნება, – ცრუ წარმოდგენებსა ხარ აყოლილი, ამით კი სიცოცხლეს იმწარებ თავადაც და უმწარებ ახლობლებსაცო.

დავით კლდიაშვილმა პიესის ფინალურ სცენაში ირინეს პერსონაჟს სიძლიერე შესძინა. ამით „სუსტ“ სქესს დაანახა, რომ უსამართლო დამცირება არ აიტანონ და ხმა აიმაღლონ. უდანაშაულო, უმანკო ირინე უპირისპირდება ქმარს, რომელმაც უსაფუძვლოდ მოსდო ქვეყანას მისი უნამუსობის ამბავი, თვითონ კი პატიოსანი კაცი გამოჩნდა. „შენი უწმინდურობა ჩემზე გადმოიტანე, შე გლახა, გლახა, მე მწამებ უპატიოსნობას!! თვითონ რა კაცი ბრძანდები?“ (კლდიაშვილი 1952: 57). ირინე ხმას იმაღლებს ქმრის მიმართ, რომელსაც იქით უწოდა გაფუჭებული და უპატიოსნო და ეს

ლოგიკურადაც ახსნა: „რადგან თვითონ არ გაქვს პატიოსნება, ამას სხვაშიც ვერ დაინახავ, ამიტომ ყველა შენსავით ბილწი გგონიაო“ (კლდიაშვილი 1952: 57). ირინეს სიტყვებში უკვე, აშკარად ჩანს ქმრის მიმართ ბუნებრივად გაჩენილი ზიზღი. რომელიც არა მარტო ქმარს, არამედ იმ გარემომცველ საზოგადოებასაც ეკუთვნოდა, ერთი ნაბიჯიც რომ არ გადადგა უდანაშულო ქალის დასაცავად.

ახესალომ ირინეს მიერ ნათქვამი მწარე სიმართლე ვერ აიტანა, იუკადრისა და ხანჯალი აიღო ხელში. პიესა კი ირინეს ამ სიტყვებით მთავრდება: „ნეტავი მართლა და მოვეკალი... მაინც ამით არ გათავდება?.. აი, ჩემი ბედნიერება, მამა!.. ხომ ხედავ?.. ხომ ბედნიერი ვარ! ხომ ბედნიერი ვარ, ჩემო მამა, ა?!“ (კლდიაშვილი 1952: 58).

დავით ლდიაშვილმა პიესის ასეთი დასასრულით გვიჩვენა, რომ მშობლები ქალიშვილებს თავად ვერ გადაუწყვეტენ, რა არის „ბედნიერება“, რადგან ხშირად მშობლების არჩეული და დასახული გზა „ბედნიერებისკენ“ ქალისთვის, პირიქით, უბედურებისკენ მიმავალი გზა აღმოჩნდება ხოლმე. აუცილებელია, მშობლებმა აღიარონ შვილების პიროვნული თავისუფლება და პატივი სცენ მათს გრძნობებს.

მკვლევარ ბეჟან ბარდაველიძის შეფასებით, „ქართულ მწერლობაში დავით კლდიაშვილმა დაამკვიდრა ე.წ. ასახვის ობიექტივისტური სტილი; მან მინიმუმამდე შეამცირა წინარე ისტორიები, პერსონაჟთა პირდაპირი პორტრეტული დახასიათებანი, უარყო ყოფისა და პეიზაჟის ვრცელი აღწერილობანი. მისი მხატვრული შემოქმედება აღბეჭდილია ტრაგიკულ-დრამატულის და კომიკურ-იუმორისტულის იმ ესთეტიკური იერსახით, რომელსაც ტრადიციის მიხედვით „ცრემლნარევ სიცილს“ ან „სიცილნარევ ცრემლს“ უწოდებენ“ (ბარდაველიძე 1986: 245).

დავით კლდიაშვილმა „ირინეს ბედნიერებით“ (1897) საზოგადოება დააფიქრა არა მხოლოდ ქალის განცდებსა და სურვილებზე, არამედ იმ ტრაგედიაზეც, რომელიც ახლდა იძულებით გადაწყვეტილებებს.

დავით კლდიაშვილის პიესაში ნათლად იკვეთება საზოგადოებაში გამჯდარი ყავლგასული სტერეოტიპების დამღუპველობა. ირინეს ბედის ჩვენებით მწერალმა გამოკვეთა პრობლემა, რომელიც დღესაც აქტუალურია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ დღეს იმავე პრობლემის უცვლელი არსი ახალი ტერმინით, უფრო ზუსტად, ამ სინტაგმით გამოიხატება: „გენდერული საკითხი“.

#### გამოყენებული ლიტერატურა

ბარდაველიძე 1986: ბარდაველიძე ბ., დავით კლდიაშვილი. თბილისი, 1986.  
კლდიაშვილი 1952: კლდიაშვილი დ., თხზულებანი, ტომი II. თბილისი, 1952.

კლდიაშვილი 1961: კლდიაშვილი დ., პიესები. თბილისი, 1961.



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8071>

**იმერული ლექსიკა  
თენგიზ თოფურიძის წიგნში  
„ეთნოგრაფიული ჩანაწერები“**

**Imer vocabulary in Tengiz Topuridze's book  
„Ethnographic Notes“**

**ლუიზა ხაჭაპურიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

**Luiza Khachapuridze**

Georgian Technical University  
Georgia, Tbilisi

**აბსტრაქტი**

თენგიზ თოფურიძე, პოეტი, მთარგმნელი, საჯარო მოხელე, დაიბადა 1970 წელს ქუთაისში. დაამთავრა თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტი და ქუთაისის მრავალპროფილიანი დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, შემდეგ – თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტი. მუშაობდა ცენტრალურ და რეგიონულ სახელისუფლებო სტრუქტურებში წამყვან თანამდებობებზე. პირველი ლექსები ადრეულ ბავშვობაში გამოაქვეყნა. სხვადასხვა დროს იყო ლიტერატურული გაზეთ „ცაის“ რედაქტორი, გაზეთ „სპორტული ქუთაისის“ რედაქტორის მოადგილე, საბავშვო ლექსების კრებულ „ლილეს“ თანაავტორი. მისი ლექსები, ნოველები, პუბლიცისტური წერილები იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მისი ლექსები შესულია ანთოლოგიაში „1980-90-იანი წლების ქართველი პოეტები“ (2010). გამოცემული აქვს თარგმანები: ჩინური პოეზიის მცირე ანთოლოგია – „ჩინური პეიზაჟური ლირიკა“ (1998), ლუ სინის რჩეული თხზულებების კრებული „მოწოდება“ (2001), მენჯემენტის სახელმძღვანელო „ლიდერობა და მართვის თანამედროვე პრინციპები“ (2012), 2017 წელს მიენიჭა საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხი.

2017 წელს დატოვა სამშობლო. ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს ნიუ იორკში. ახლახან გამოსცა წიგნი „ეთნოგრაფიული ჩანაწერები“. მასში ტკივილიან-სიყვარულიანი გახსენებაა სამშობლოსა და განვლილი ცხოვრების, ასევე, წერს ემიგრანტული ცხოვრების შესახებ, ადარებს და მსჯელობს მშობლიური და უცხო კულტურის აკვარგიანობაზე, ცხოვრების

წესზე.

მწერალს წიგნში საოცარი სიზუსტით მოჰყავს XX საუკუნის 80-90-იანი წლების დროინდელი იმერული/ქუთაისური ყოფისთვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები. აქ გვხვდება როგორც საყოფაცხოვრებო ლექსიკა (სერვანტი, ატამანკა, სეკვოიაჟი, ფრანცუსკები, დაღვრიალება, მაიმახი, ჯლიგვი...), ასევე, თამაშების სახელწოდებები (ომობანა/ დრახდრახობია, ბრის ილი მიაუ, შტაბობანა, პარტიზანობანა, ამის პატრონმა რა ქნას, გაფუჭებული ტელეფონი...), მათ შორის საბანქო თამაშებიც (პიანიცა, კაზიოლი, დურაკა, აჩკო, კონჩინა, ტუალეტი, ვერიუ ნე ვერიუ, ტირი – ძირითადად რუსული ლექსიკა), 90-იანების მასწავლებელთა ლექსიკა და ჭაბუკებისათვის დამახასიათებელი საბჭოთა სიტყვა-თქმანი (ჩემი კუჭი ვთოხლე, დავაყენე ნა რავნე, ვილკები გაიყარა, დავაპაშოლე, ჩავიბრატე).

ზემოთ განხილული ლექსემები ყოველგვარი ისტორიის გარეშეც გადმოსცემენ იმ პერიოდის ჩვენი ბედკრული ქვეყნის მოსახლეობისა და ქართული ენის სავალალო მდგომარეობას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თოფურიძის ჩანაწერებში მოხსენიებული და ჩვენ მიერ გაანალიზებული ლექსემებისა თუ სიტყვა-თქმანთა უმეტესობა გამოცემულ ლექსიკონებში არ არის ფიქსირებული. ამდენად, ეს მასალა დიდი შენაძენია ქართული დიალექტური ლექსიკონისათვისაც.

საკვანძო სიტყვები: თენგიზ თოფურიძის წიგნი „ეთნოგრაფიული ჩანაწერები“, იმერული ლექსიკა, ეთნოლინგვისტური ტერმინოლოგია.

#### ABSTRACT

Tengiz Topuridze, a poet, translator, and civil servant, was born in 1970 in Kutaisi. He graduated from the Faculty of Economics of TSU and the Faculty of Journalism of Kutaisi Multi-Profile Independent University, and later from Tbilisi State Institute of Business. He held leading positions in central and regional governmental structures. Topuridze published his first poems during early childhood. Over time, he served as editor of the literary newspaper „Tsai“, deputy editor of the newspaper „Sportuli Kutaisi“, and co-author of the collection of children’s poems titled „Lile“. His poems, novels, and journalistic letters appeared in Georgian magazines and newspapers, and his poems are featured in the anthology „Georgian Poets of the 1980s-90s“ (2010). Topuridze has also translated works, including a small anthology of Chinese poetry titled „Chinese Landscape Lyrics“ (1998), a collection of Lu Xin’s selected works „The Call“ (2001), and a management manual „Leadership and Modern Principles of Management“ (2012). In 2017, he was awarded an honorary doctorate in government.

In 2017, he left his homeland and currently resides and works in New York. Recently, he published the book „Ethnographic Notes“, which reflects poignant and affectionate memories of his homeland and past life. The book also delves into the lives of immigrants, examining the loss of native and foreign cultures and ways of life. Notably, Topuridze accurately cites lexical items characteristic of the Imeri/Kutaisi

period of the 1980s-90s.

The book includes everyday household vocabulary such as „Servantika“, „Atamanka“, „Sequoyage“, „Francuskebi“, „Daghvrialeba“, „Maimakh“, „Jligvi“, as well as names of games like „Omobana/Drachdrachobia“, „Bris ili Meow“, „Shtabobana“, „Partisanobana“, „What can the owner of this do“, and „broken phone“. „It also covers card games such as „Pianitsa“, „Kaziol“, „Duraka“, „Achko“, „Konchina“, „Toilet“, „Veryu Ne Veryu“, „Tiri“, predominantly using Russian vocabulary. Additionally, Topuridze discusses the lexicon of teachers and young people characteristic of the 1990s and Soviet times, including phrases like „I dug my stomach“, „I put Na ravne“, „the wolves split up“, „I split them“, „I broke them“ word for word.

The lexemes mentioned above vividly convey the difficult circumstances of the population during that period in our fortunate country and the Georgian language of that time. It's worth noting that most of the lexemes or words documented in Topuridze's notes, as analyzed by us, are not documented in published dictionaries. Therefore, this material is a valuable addition to the Georgian dialect dictionary.

**Keywords:** Tengiz Topuridze's book „Ethnographic Records“, Imeretian vocabulary, ethnolinguistic terminology.

#### ძირითადი ნაწილი

თენგიზ თოფურიძე, პოეტი, მთარგმნელი, საჯარო მოხელე. დაიბადა 1970 წელს ქუთაისში. დაამთავრა თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტი და ქუთაისის მრავალპროფილიანი დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, შემდეგ – თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტი. მუშაობდა ცენტრალურ და რეგიონულ სახელისუფლებო სტრუქტურებში წამყვან თანამდებობებზე. პირველი ლექსები ადრეულ ბავშვობაში გამოაქვეყნა. სხვადასხვა დროს იყო ლიტერატურული გაზეთ „ცაის“ რედაქტორი, გაზეთ „სპორტული ქუთაისის“ რედაქტორის მოადგილე, საბავშვო ლექსების კრებულ „ლილე“-ს თანაავტორი. მისი ლექსები, ნოველები, პუბლიცისტური წერილები იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მისი პოეზიისა და თარგმანების კრებული 2007 წელს გამოიცა. ლექსები შესულია ანთოლოგიაში „1980-90-იანი წლების ქართველი პოეტები“ (2010). გამოცემული აქვს თარგმანები: ჩინური პოეზიის მცირე ანთოლოგია - „ჩინური პეიზაჟური ლირიკა“ (1998), ლუ სინის რჩეული თხზულებების კრებული „მოწოდება“ (2001), მენეჯმენტის სახელმძღვანელო „ლიდერობა და მართვის თანამედროვე პრინციპები“ (2012), 2017 წელს მიენიჭა „საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხი (<http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php>).

2017 წელს დატოვა სამშობლო, ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს ნიუ-



იორკში. ახლახან გამოსცა წიგნი „ეთნოგრაფიული ჩანაწერები“.

მასში ტკივილიან-სიყვარულიანი გახსენებაა სამშობლოსა და განვლილი ცხოვრების, ასევე წერს ემიგრანტული ცხოვრების შესახებ, ადარებსა და მსჯელობს მშობლიური და უცხო კულტურის აკვარგიანობაზე, ცხოვრების წესზე.

წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ეს წიგნი ნიუ-იორკში დავეწერე, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ნაწილ-ნაწილ. ვწერდი კვირის თითქმის ყველა დღეს, თორმეტსაათიანი სამუშაო დღის ბოლოს ძლივს მოტოვებული ორი-სამი საათის განმავლობაში... კომპიუტერთან ჩაძინებამდე. ვწერდი ხანგრძლივად, ემოციურად, შელამაზების გარეშე და საბოლოოდ, ბიოგრაფიული ესეს თუ დღიურების მსგავსი ნაწერი გამომივიდა.“

არ ვიცი, რამდენად შესამჩნევი და მისაღები იქნება მკითხველისთვის ყოველი დღის ერთმანეთისგან განსხვავებული განწყობით განპირობებული წერის ცვალებადი მანერა, აზრებს შორის ემოციური რეზონანსი, ექსპრესიულობა, ზოგან თავშეუკავებლობაც... მაგრამ ვფიქრობ, მთავარია, გულწრფელად გადმოვეცი ის, რასაც განვიცდიდი და განვიცდი დღემდე, რასაც ვფიქრობდი, რაც მსურდა გადმომეტანა ფურცელზე და სხვებისთვისაც გამეზიარებინა“ (თოფურიძე 2023: 4).

მწერალს წიგნში საოცარი სიზუსტით მოჰყავს XX საუკუნის 80-90-იანი წლების დროინდელი იმერული/ ქუთაისური ყოფისთვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები. აქ გვხვდება როგორც საყოფაცხოვრებო ლექსიკა (ყოველდღიური ყოფა, თამაშების სახელწოდებები, მათ შორის საბანქო თამაშებიც, მასწავლებელთა ლექსიკა), ასევე ჭაბუკებისათვის დამახასიათებელი საბჭოთა სიტყვა-თქმანი.

საანალიზო სალექსიკონო მასალაზე თვალის გადავლებაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი ცხოვრების ტკბილ-მწარე ეთნოგრაფიულ ყოფაზე.

საყოფაცხოვრებო ლექსიკა

ყოველდღიური ყოფა (ლექსიკონებში ფიქსირებული):

ავარა – ხულიგანი, უსაქმოდ მოხეტიალე (ქეგლ). ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა აღნიშნული სიტყვა უკავშირდებოდეს 60-იანი წლების საქართველოში ძალიან პოპულარულ ინდურ ფილმს „ბატონი 420“, იგივე „ავარა“ და აქედან იყოს დამკვიდრებული.

აცვენილი – ხულიგანი, თავზე ხელაღებული (ქეგლ).

ბაქიბუქი – ტრაბახი, კვებნა (ნეიმანი 1978).

გაბუნძულება – უღირსად გაგდება: „გააბუნძულა მატყუარა“, „გაბუნძულდა შერცხვენილი“ (ბუნძული - უშნოდ სირბილი - ბერიძე 1912).

დატკვირვა – ძვლის გახვრა; იტყვიან კაცზეც: „ნუ გადამიყვან ჭკუაზე, თორე დაგტკვირავ“ (ტკვირა – კვნეტა. ქეგლ).

დოში – ორაგულის ლორი. გვხვდება განმარტებით ლექსიკონში „შებოლილი ზუთხის გვერდების ანაჭერი“ (<https://www.ganmarteba.ge>).

მაიმახი – ულამაზო, შეუხედავი. დასტურდება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში (1991) „ფეხმრუდის“ მნიშვნელობით.

სერვანტი – ჭურჭლის კარადა (servante – ფრანგ.) დაბალი ბუფეტი

სასადილო ჭურჭლისათვის (ჭაბაშვილი 2006).

სეკვოიაჟი / საკვოიაჟი (sac ჩანთა და voyage მგზავრობა) – ხელში დასაჭერი სამგზავრო ჩანთა (ჭაბაშვილი 2006).

პიწკად – ფრთხილად რისამე ხელში აღება; აზიზი, მომეტებული სიფრთხილით რამეს მორიდება (ქეგლ).

ფინჩხვა / ფურჩხენა – ფინჩხა ნამცეცის მნიშვნელობით გვხვდება ქართულ კილო-თქმათა ლექსიკონში, მაგრამ სახელზმნის სემანტიკური ვარიაციები, რაც თოფურიძესთან გვხვდება: ჩაფურჩხენა, – დაფუნჩილი პურის სითხეში ჩაყრა; დაფურჩხენა – ნამცეცების დაყრა; დაფინჩხვა – ცომეულის დანამცეცება, ლექსიკონებში არ ფიქსირდება. გურულ დიალექტში (2014) დასტურდება ფუნჩხვა (ფუნჩხავს) ფორმა.

შტოფი – ღვინის ჭურჭელი, დაშტოფვა – დაკემსვა. აღნიშნული ლექსემები ლექსიკონებში ასეა განმარტებული: 1. შტოფი – დიდი ბოთლი, დაახლოებით 3 ლიტრი ტევადობის, 2. შტოფი – აბრეშუმის მიძიმე დეკორატიული ქსოვილი.

ჩაპროშნა – ემოციური კოცნა (ქეგლ-ში გვაქვს პროში – დიდი სქელი, გადმობრუნებული ტუჩი; აქვეა პროშტი / პროშტის – ვულგარულად კოცნა).

წვიპზე – უკიდურესად დაძაბული, ჩახმახივით შემართული, დასტურდება გურულში შეწვიპვა ფორმა, რაც „შემართვას“ ნიშნავს.

ჯლიგვი – ქათმის ფრთის ფრაგმენტი, მომცრო ბარკალი (გვხვდება ქეგლ-ში იმავე მნიშვნელობით)

ლექსიკონებში არ დასტურდება:

ანგეში, ანგეშივით კაცი – მაღალი, სიმპათიური ადამიანი (ლექსიკონებში ვერ მოვიძიეთ). დასტურდება ზ. გორგილაძის პოეზიაში ლამაზის, წარმოსადგის მნიშვნელობით: „ბიჭი ვიყავ მზეპერანგა, მოხეთქილი, ანგეში“ (გორგილაძე 1973: 51).

ატამანკა – რბილი დივანი. არ დასტურდება ლექსიკონებში.

გაბრიანცებული – გადამთვრალი. არ დასტურდება ლექსიკონებში.

დაღვრიალება – ყოჩაღად მოქცევა, მონდომებით რაიმეს გაკეთება, ლექსიკონებში ვერ მოვიძიეთ ამ მნიშვნელობით. მაგრამ გვაქვს ღვრიალა – ასე ეძახდნენ ბავშვის სათამაშოს იმერეთში, რომელიც მაფიანი კაკალი იყო, ძაფს გაჭიმავდნენ და მასზე წამოცმული კაკალი ტრიალებდა (ბერიძე 1912). აღნიშნული ზმნაც, ვფიქრობთ, „ღვრიალა“ სიტყვის ანალოგიითაა შექმნილი მოგვიანებით. ჩვენ მიერ ექსპედიციების დროს ჩაწერილ იმერულ მასალებში ყოჩაღ, მარჯვე ადამიანზე იტყვიან: „დაღვრიალდა (დატრიალდა) და ყველაფერი უცებ მოაწესრიგა“ (მასალები 1994-2005).

მოწუწუკული – ცოტა, დაზომვით გაცემული (ლექსიკონებში ვერ მოვიძიეთ ამ ფორმით, მაგრამ გვაქვს წუწუკი და ვფიქრობთ, აღნიშნული სიტყვაც მას უკავშირდება).

სირისტანი – სუსტი, უღონო / იგივე სპირიდონ მცირიშვილი. сырость (რუს.) – უმი. ჩვენში გადმოვიდა, როგორც ნესტიანი. ლექსიკონებში არაა.

უნაირო – უზნეო (ნაირი – მსგავსი, სადარის მნიშვნელობით გვხვდება ნეიმანის სინონიმთა ლექსიკონში. უნაირო კი არსად ფიქსირდება, თუმცა აშკარად ნაირი-დან უარყოფის მაწარმოებელი უ-ო აფიქსებით მიღებული

ფორმას.

ფრანგულსკები – მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი (სიტყვასიტყვით ფრანგულები). არ გვხვდება უცხო სიტყვათა ლექსიკონშიც.

ფრონცქი – მოდურად ჩაცმული, გაპრანჭული. გუგლის საძიებო სისტემაში ხშირად გამოყენებული ლექსემაა, მაგრამ არაა ლექსიკონებში.

საყოფაცხოვრებო სიტყვა-თქმანი:

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქვემოთ მოყვანილი შესიტყვებები თუ ლექსიკური ერთეულები სათანადო (განმარტებითი, ფრაზეოლოგიური) ლექსიკონებში ასახული არაა, თუმცა გუგლის საძიებო სისტემაში იძებნება.

ბიშტი ბოლოკი / ბუს კვერცხები – უფასური, არაფერი .

ბეკოს ჯორი – ჯიუტი.

გამოიხედე თვალებში – სიმართლე დაინახე, გააცნობიერე, გონიერება გამოიჩინე, აზრზე მოდი.

ვინცობისაა – იმ შემთხვევაში თუ... - არ დასტურდება ლექსიკონებში არც მისი სინონიმური ვარიანტი ვინცობაა, მხოლოდ რუსულ-ქართულ ლექსიკონში სიტყვის „Чаяние“ განმარტებისას ავტორი წერს, მოულოდნელად, ვინცობაა ([http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&id\\_srch=b87b329c8bba3dc152566992b28ce6ad&il=en&p=1&visualtheme=gw\\_brand](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&id_srch=b87b329c8bba3dc152566992b28ce6ad&il=en&p=1&visualtheme=gw_brand)).

თვალებში გამოხედული ადამიანი – ჭკვიანი, ქიციც იცის და ქიცმაცურიც.

იაკინთეს თხა – გაოცებული, გაოგნებული ადამიანი. „იყურები იაკინთეს თხასავით“.

მკერდი სტო პიატზე – მაღალმკერდიანი ქალბატონი

ნეჟნი მაროჟნი – ძალიან ნაზი. დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში (2006) ფიქსირდება, როგორც ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებული რუსულ სიტყვათა კომბინაცია. მაგრამ აქვე შევნიშნავთ, რომ აღნიშნული გამოთქმა ჩვენც შეგვხვდებოდა ექსპედიციებისას იმერეთის ისეთ სოფლებში, სადაც ებრაელებს არასოდეს უცხოვრიათ. ამიტომ ვფიქრობთ, ეს უფრო ქუთაისური მეტყველებისთვის იყო დამახასიათებელი და აქედან დასტურდებოდა ებრაულშიც.

რა მოხელე ჩიქვანია – რა პროფესიისაა? რას წარმოადგენს? ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა გამოთქმა უკავშირდებოდეს ჩიქვანების, იგივე ჩიქოვანების, გვარს, რომლებიც ლეჩხუმის დიდგვაროვნები იყვნენ, შემდეგ კი მათმა ერთმა შტომ სამეგრელოში გადმოინაცვლა, ისარგებლა იმერეთ-სამეგრელოს დაპირისპირებით და 1704 წელს დადიანობა მიიღო (იხ. კაცია დადიანი: კოპალიანი 2002; ლორთქიფანიძე... 2012; სოსელია 1977: 311).

ციბადის მოზვერი – უმისამართოდ, არეულად მავალი ადამიანი.

ხვალეც შენია – ერთბაშად არ დაიხარჯო, გადაანაწილე.

სიძველის აღმნიშვნელი გამოთქმები:

მადამ კუკუს / ადამ კუკუს დროინდელი / ა დამის დროინდელი (ლექსიკონებში გვაქვს: ადამის ჟამი) / ნიკოლოზის დროინდელი / ტროცკის დროინდელი.

სალექი რეზინის სახეობები:



პედროს/ დონალდოს / სიგარეტის კევი, გამიზახინი – 30 კაპიკიანი საღებო რეზინი, ეს უკანასკნელი სხვებთან შედარებით ყველაზე ძვირი იყო და თუ გქონდა, ესე იგი, „მაგარი“ იყავი.

თამაშების სახელწოდებები:

ომობანა / დრახდრაზობია; პაროლობანა (პაროლის გათქმა ხელების გადაგრეხით); შტაბობანა; პარტიზანობანა; დამალობანა; დაჭერობანა; მგელობანა; ამის პატრონმა რა ქნას; გაფუჭებული ტელეფონი; ლაფტა; ორდროშობანა; კენტი და ლუწი; ბრის ილი მიაუ; მარკობანა; ვისი სული გასურს; ზამთრის სასახლის აღება – თოვლის გუნდებით თამაში.

საბანქო თამაშები:

პიანიცა, კაზიოლი, დურაკა, აჩკო, კონჩინა, ტუალეტი, ვერიუ ნე ვერიუ, ტირი – ძირითადად რუსული ლექსიკა.

90-იანების მასწავლებელთა ლექსიკა»

თუ არ ისწავლი, წასულხარ მამაჩემის მამასთან; თუ არ ისწავლი, პროფტექნიკურში გაგადებ / მენაგვე გამოხვალ / შავი მუშა / კურტნის მუშა / მალაროს მუშა გამოხვალ.

ინსტიტუტში თუ არ ჩააბარებ, წაგიყვანენ ჯარში, წაგიყვანენ ავღანეთში და ჩაგაძაღლებენ.

მიმართვის ფორმები: ლენჩებო, დებილებო, დებილის შვილებო, უპატრონობო...

გოგონებისადმი მიმართვა: ძროხებო, თხებო.

იმ პერიოდის ახალგაზრდებში ძალზე ხშირად გამოიყენებოდა „უწყინარი საბჭოთა სიტყვა-თქმანი, რაც ჭაბუკისათვის მთავარი საგანმანათლებლო პროგრამა იყო და იგი სრულწლოვანებამდე 2-3 წლით ადრე იწყებოდა. ეს იყო საბჭოთა კრიმინალური ჟარგონი და შერეული სიტყვა-თქმანი, ძირითადად რუსულ-ქართული სიტყვების აბსურდული კომბინაცია, რომელთა მნიშვნელობა და კონტექსტი ყველამ ვიცოდით“ (თოფურიძე 2023: 29):

აბა ჰე, აბა, ჰო – სტიმულის მომცემი წამოძახილი.

ახსენი რა ცხოვრებით ცხოვრობ – თქვი, ვინ ხარ, რას წარმოადგენ?

დავაყენე ნა რავნე – დავსვი, საქმე გავურჩიე.

ეკაიფე ჯო დასენს – პასუხი გახუმრებაზე.

ვილკები გაიყარა – პრინციპები დაიცვა.

ზდაროვა ბიჭებს, ტუფლები გვიჭერს – ერთგვარი მისალმების ფორმა, ხოლო მასზე პასუხი იყო: ჩაიცვი დიდი, აღარ მოგიჭერს.

ჟვსს – ჟიზნ ვორომ, სმერტ საბაკამ / ბოგ საზდალ ვორა, ჩორტ პროკურორა – მთავარი კრიმინალური სენტენცია:

ჩაფჯდეთ, ძმა – ჩავიცუცქოთ და საქმე გავარჩიოთ.

ჩემი კუჭი ვთოხლე – გაკვირვების გამოხატვა.

ქურჩური ცხოვრების მიმდევართა გამოთქმები:

სმალიხ ლეტ, სჩასტიუ ნეტ.

ნე ზაბუდუ მაწ რადნოიუ ი ატცა პადლეცა.

კაროჩე – მოკლედ გითხრა.

ჩალიჩობ რამეს? – რას საქმიანობ?

იმენა ვოლკია – ძალიან მაგარია, საუკეთესოა.

ბაითი ავწიეთ – სახლი გავქურდეთ.

ჩემი კაი ბუდულია – გაუგებარ სიტყვათა კომბინაცია.

სტო ტიში (რუს. ასი ათასი) – პასუხი დაცემინებაზე, პა პალამ (რუს. ნახევარი) – სამაგიერო პასუხი.

დავაპაშოლე (რუს. Рашил – წადი, მომწყედი თავიდან) – დავახვევინე.

ჩავიბრატე - დავაპაშოლეს ანტონიმი, ანუ დავიმეგობრე (რუს. Брат – ძმა).

90-იანებში უკვე შემოვიდა ერთგვარი დამოუკიდებლობის გამომხატველი გამოთქმა: „არა, ბიჯოს, მოსკოვს შევეკითხები“ – ეს ნაკარნახევ ცხოვრებაზე მსუბუქად გამარჯვებული საბჭოთა ქართველის დაქადნება გახლდათო – შენიშნავს მწერალი.

საბჭოთა საქართველოში „კაპიტალისტური გაელვება“ იყო ბიტლზების ვარცხნილობა და სათვალეები მაკარტნები და ცრემლები (დასაკეცი კომპაქტური სათვალე).

ამ დროს კი „საბჭოთა ჟურნალ გაზეთებში ხატავდნენ კარიკატურებს დიდმუცლიანი ამერიკელი ძია სემი სიგარეტითა და ატომური ბომბით ხელში“, – წერს თ. თოფურიძე.

ჩვენ მხოლოდ მცირე ნაწილს შევხებით იმ მდიდარი სალექსიკონო მასალიდან, რაც ავტორს მოყვანილი აქვს თავის წიგნში. ზემოთ განხილული ლექსემები ყოველგვარი ისტორიის გარეშეც გადმოსცემენ იმ პერიოდის ჩვენი ბედკრული ქვეყნის მოსახლეობისა და ქართული ენის სავალალო მდგომარეობას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თ. თოფურიძის ჩანაწერებში მოხსენიებული და ჩვენ მიერ გაანალიზებული ლექსემებისა თუ სიტყვა-თქმათა უმეტესობა გამოცემულ ლექსიკონებში არაა ფიქსირებული. ამით ეს მასალა დიდი შენაძენია ქართული დიალექტური ლექსიკონისათვისაც.

თ. თოფურიძე ტკბილ-მწარე მოგონებების გვერდით ემიგრანტთა მძიმე ცხოვრებაზეც წერს: „ძალ-ღონე გამოგვაცალა იმის კეთებამ, რაც ახლოს არაა ჩვენს პროფესიასთან, არასოდეს გვიკეთებია და არც გულს უხარია! როცა ავად ვარ ან სევდა შემომაწვება, ზვიად რატიანის ლექსი მახსენდება: „[ღმერთო] ნუ გახდი ავად, ვინც მარტოა, მით უფრო – ღამით, მით უფრო – როცა სხვაგანაა, სხვაგან და მარტო“ (თოფურიძე 2023: 107).

ვუსურვებ მას და ყველა ქართველს მონატრებულ სამშობლოში დაბრუნებასა და დაფუძნებას, მათი ოცნების – „ყველამ თავად ააშენოს საკუთარი ქვეყანა“ – ასრულებას, მაშინ საერო, საყოფაცხოვრებო ლექსიკაც სხვა იქნება, მკვიდრად ქართული.

**გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები**

- ბერიძე 1912: ბერიძე ვ., სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. პეტერბურგი, 1912.
- გორგილაძე 1973: გორგილაძე ზ., ლექსები. თბილისი, 1973.
- თოფურიძე 2023: თოფურიძე თ., ეთნოგრაფიული ჩანაწერები. თბილისი, 2023.
- კოპალიანი 2002: კოპალიანი დ., ნარკვევები ლეჩხუმის წარსულიდან, კაცია დადიანი. ქუთაისი, 2002.
- ლექსიკონთა ბაზა - <http://www.nplg.gov.ge/gwdict/> (დამოწმება 11.01.2023).
- ლორთქიფანიძე... 2012: ლორთქიფანიძე მ., ჯაფარიძე ო., მუსხელიშვილი დ., მეტრეველი რ., საქართველოს ისტორია 4 ტომად, ტ. III. თბილისი, 2012.
- მასალები 1994-2005: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. ტარიელ ფუტყარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მასალები (1994-2005 წწ).
- ნეიმანი 1978: ნეიმანი ალ., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. თბილისი, 1978.
- ორბელიანი 1991: ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული. თბილისი, 1991.
- რატიანი 2005: რატიანი ზ., ნუ გახდი ავად, ვინც მარტოა, მით უფრო – ღამით, ლექსები. თბილისი, 2005.
- რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1983.
- სოსელია 1977: სოსელია, ო., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. II. თბილისი, 1977.
- ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა - <https://idioms.tsu.ge/> (დამოწმება 11.01.2023).
- ქეგლ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.
- შარაშიძე 2014: შარაშიძე, გ., გურული ლექსიკონი. თბილისი, 2014.
- ძოწენიძე 1974: ძოწენიძე, ქ., ზემოიმერული ლექსიკონი. თბილისი, 1974.
- ჭაბაშვილი 2006: ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, 2006.
- <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php> (დამოწმება 11.01.2023).



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8072>

**მუხრან მაჭავარიანის პოეზიის ენა  
(სიტყვაწარმოება, დიალექტიზმები, ჟარგონები)**

**On the Mukhran Machavariani's language of poetry  
(word formation, dialectisms, slang)**

**მანანა ხვიციანი**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Manana Khvingia**  
Sokhumi shtate University  
Georgia, Tbilisi

**აბსტრაქტი**

მუხრან მაჭავარიანის შემოქმედება ძალიან სანტერესოა ენობრივი თვალსაზრისით. პოეტი ქართულ წიაღში „იჩხრიკებოდა და ეძებდა“, რათა არ დაკარგულიყო ბევრი მივიწყებული სიტყვა, გაეცოცხლებინა და, ასევე, ახალი სიტყვები დაეზრუნებინა მათთვის.

კვლევის მიზანია მკითხველმა გაიცნოს მუხრან მაჭავარიანის პოეზიის ენა, რამდენად მდიდარია მისი ლექსები მსუყე ქართულით. ყოველი სიტყვა ნაფიქრი და ნაფერებია.

მუხრანი თავის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს აკუთვნებს დიალექტებს, ასევე, ძველ, მივიწყებულ სიტყვებს, რითაც მათ სხვა ელფერი ეძლევა, ფერადდება, სიტყვები უზრუნდება და იძენს შინაარსობრივ დატვირთვას. პოეტი მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე საქართველოს კუთხეებში მიმოზიარებულ მარგალიტებს აგროვებს და ფერადოვნად აქსოვს, რითაც ქმნის ენის ერთიანობის სილამაზეს.

მუხრან მაჭავარიანი „რკინის კალმოსანია“. იგი ქმნის და უშიშრად შემოაქვს ახალი სიტყვა. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ იგი სიტყვათშემოქმედი.

პოეტი, როგორც თავად ამბობს, ეძებს და თავად არ იცის, პოვნამდე როგორი იქნება და რომ მიაგნებს, მაშინ სიტყვა თავიდან იბადება, იძენს ელფერს, ხმოვანებას, ზოგჯერ შინაარსსაც კი. მუხრანი წერს: „დიდი მკრეხელობაა პოეტური ლექსისადმი მხოლოდ გრამატიკული მიდგომა!“ მის მიერ შექმნილი სიტყვები გამოირჩევა სილამაზით, მუსიკალური

ხმოვანებით, პოეტური სიფაქიზით. ისინი მკითხველში პირველივე წაკითხვისთანავე ღრმად იდგამს ფესვს და მას შემდგომ მუხრანისეულს უწოდებენ.

მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში უხვად გვხვდება არქაული სიტყვები. იგი მათ არ ერიდება და ამაზე თავისი აზრი გააჩნია: „არ შეიძლება არქაიზმად ჩაითვალოს სიტყვა, რომელიც ცოცხლობს თუნდ ერთ დიალექტშიც კი“, თუმცა იქვე აღნიშნავს: „აუცილებელი ზომიერების დაცვით, თანაც დღეს, როდესაც ასე წაგვლეკა ამა თუ იმ ენიდან შემოსულმა უცხო ტერმინებმა. პოეტი არ ერიდება ჟარგონებს, რითაც ხაზგასმულია მისი დამოკიდებულება ამა თუ იმ პერსონაჟისა თუ მოქმედებისა, რომლებიც მისთვის, როგორც მოქალაქისათვის, პოეტისა და, ზოგადად ადამიანისათვის, მიუღებელია:

„ტელეეკრანზე ვხედავ როცა მე ამ გარეწარს,  
კალო თავისი ვინც ამ ქვეყნად უკვე გაღწა...“ და ა.შ.

მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში არსებული არქაიზმები, დიალექტიზმები, ქართული ენის სიღმისეული ცოდნით შექმნილი ნეოლოგიზმები კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს მის უფაქიზეს დამოკიდებულებას ენისადმი. მუხრან მაჭავარიანის ლექსების კითხვისას აუცილებელი და საჭიროა ყოველი სიტყვის გააზრება, რათა ჩასწვდე პოეტის ნაფიქრს, სიყვარულს, რასაც მშობლიური ენის ფესვები ჰქვია.

საკვანძო სიტყვები: მუხრან მაჭავარიანის პოეზიის ენა, დიალექტიზმები, ჟარგონი.

#### ABSTRACT

Mukhran Machavariani's work is exceptionally intriguing from a linguistic perspective. The poet wandered deep into the heart of Georgia, tirelessly seeking out forgotten words, reviving them, and breathing new life into them.

The goal of this research is to introduce readers to Mukhran Machavariani's poetry and highlight the richness of the Georgian language within his verses. Each word is carefully considered and imbued with nuanced meaning.

Machavariani assigns a special place in his work to dialects and ancient, forgotten words, using them to add different shades of color and imbue them with meaningful content. Throughout his career, the poet has collected pearls from various regions of Georgia and seamlessly weaves them into his compositions. Machavariani can be likened to an „iron man“ of words, fearlessly introducing new vocabulary and crafting them into poetic gems.

The poet describes his process as a search, often uncertain of what he will find until he does, at which point the word is reborn with its own tone, sound, and sometimes even new meaning. Machavariani asserts, „It is sacrilege to approach a poetic verse solely through grammar!“ His words are renowned for their beauty, musicality, and poetic resonance, deeply embedding themselves in the reader's consciousness from

the first encounter, which he calls „Mukhrani“.

Archaic words abound in Mukhran Machavariani's poetry, which he embraces without reservation. He asserts, „A word that survives in any dialect cannot be considered archaic“, while acknowledging the need for balance amidst the influx of foreign terms. The poet does not shy away from using slang, using it to underscore his stance on various characters and actions that he finds objectionable as a citizen, poet, and individual: „When I see such villains on the TV screen, the barn floor is where they belong, having already left this world...“

Thus, the archaisms, dialects, and neologisms in Mukhran Machavariani's poetry reflect his deep respect and commitment to the Georgian language. Understanding each word is crucial when delving into Machavariani's poems, as they reveal the poet's thoughts and profound love for the roots of his native language.

**Keywords:** Language of Mukhran Machavariani's poetry, dialectics, slang.

მუხრან მაჭავარიანის პოეზია არა მარტო ლიტერატურის მკვლევართათვის არის საინტერესო, არამედ ლინგვისტთათვისაც. როგორც ლევან ზრეგაძე წერს: „უპირველესი, რაც მისი ლექსების კითხვისას ყურადღებას მიიპყრობს, არის ენა. მასთან გვერდიგვერდ თანაარსებობს უახლესი და ძველი ქართული, დაბალი სტილისა და მაღალფარდოვანი მეტყველების მანერა“ (ზრეგაძე 2019: 7). ელგუჯა მაღრაძე კი პოეტს „ჩაკირტიკებულ მკვლევარსა და სიძველეთა მჩხრეკელს“ ადარებს. მეცნიერი მის დახასიათებას ასე აგრძელებს: „ჩვენი ყოფის ისეთი ჩამიებული მკვლევარი და მცოდნე, როგორც მუხრანია, მწერლობაში კი არა, ალბათ, მეცნიერებაში ცოტა თუ მოიძებნება“ (მაღრაძე 1979: 149).

მე წავიკითხე წერილები მამულზე უზომოდ გულშემატკივარი კაცისა და გავიცანი მუხრან მაჭავარიანი არა როგორც პოეტი, არამედ როგორც ენის მკვლევარი. მართლაც, რაოდენ ბედნიერია თავად, როდესაც აღმოაჩენს, „მკვდარი სიტყვა“ „თურმე ცოცხალი“ ყოფილა. იგი წერს: „კლასიკურ ლიტერატურაში არსებული ლექსიკის გარდა, ყოველი სიტყვის, ან „მკვდარ“ სიტყვად ან „დიალექტად“ გამოცხადება და ამ მოტივით თანამედროვე ლიტერატურაში მათი გამოყენების კატეგორიული აკრძალვა (რასაც ჩვენი რედაქციები სჩადიან), – აი, რა მიმაჩნია ენის განზრახ გადატაკებად.

ეს მაშინ, როცა არ არსებობს არავითარი „დიალექტი“ თვინიერ ზმნათა.

ეს მაშინ, როცა სიტყვა, რომელიც შენ „მკვდარი“ გგონია, ცოცხალია თურმე“.

თავად მუხრან მაჭავარიანი, როგორც უკვე აღინიშნა, დიდი მოწიწებით ეფერება ყოველ სიტყვას, იჩხრიკება და ეძებს. „მე მიყვარს ლექსიკონში კირკიტი“, – ამბობს იგი და მკითხველს იძულებულს ხდის, აძებნინოს ამ თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა, მისი წარმომავლობა, გაახსენოს



მივიწყებული.

მართლაც, ძალზე საინტერესოა, როგორ ახერხებდა მუხრან მაჭავარიანი იმ რთულ პერიოდში გაეცოცხლებინა და არ დაეკარგა ბევრი ქართული სიტყვა, ასევე, დაემკვიდრებინა ახალი და სიცოცხლე შთაებერა.

მუხრანი თავის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს აკუთვნებს დიალექტებს, ასევე, ძველ, მივიწყებულ სიტყვებს. ამით მათ სხვა ელფერი ეძლევა, ფერადდება, სიცოცხლე უბრუნდება.

პოეტმა თავის ლექსიკონში უზვად შეიტანა საქართველოს ყოველი კუთხის დიალექტი (გარდა ზმნებისა: მევიდა, წევიდა, შავიდა და სხვა), არ არსებობს არავითარი „დიალექტი“, არსებობს მხოლოდ სინონიმები, რაც ენის სიმდიდრეს მოწმობს“ (მაჭავარიანი 2013გ: 138). წერილში „მხატვრულ-სტილისტიკური მახასიათებლები მუხრანის ლექსში („რამდემიმე შტრიხი)“ ვკითხულობთ: „განსაკუთრებით აღსანიშნავი ერთი რამ არის: დიალექტური ფორმები ყოველთვის მოზომილად გვხვდება მუხრანის ლექსში – მოზომილად“ (ვაშაკიძე... 2019: 80).

დიალექტიზმები:

„რა ყურადღებით უსმენდა ფრინველთ

სამყურა მინდვრის, - ლორთქო, ყურცქვიტა (მაჭავარიანი 2013ა: 62).

ლორთქო – ახლად ამოყრილი, ნორჩი ყლორტი (უნივერსალური ლექსიკონი).

„წვიმას გადაულია, მიწა სოველია“ (იქვე: 66).

სოველია – სველი; იმერული დიალექტი, გვხვდება გალაკტიონის „თოვლში“;

„ლამე დაეცა ყაჩაღი, –

ყანყრატო გამოულადრა“ (იქვე: 114).

ყანყრატო – სასულე ხორხი (ნეიმანი 1978: 447).

„ვეწევი პრიმას, –

მეყურება ჭიკჭიკი ჩიტის“ (იქვე: 133).

მეყურება-მესმის

„თვარა,

ხომ იცი ღმერთი რავარია!“ (იქვე: 288).

თვარა – თუარა

რავარია – როგორია

„მტერი გვეჭარბებოდა მიწვივ“ (იქვე: 417).

მიწვივ -ირგვლივ

„წუთისოფელი როცა მიყელვს, –

თიხად ქე მაინც გამომიყენე“ (იქვე: 395).

მიყელვს – ყელვა – გზის გადაჭრა, წინ დახვედრა (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=56&t=42337>).

ქე – მაინც

ერთი პირხმელი ამბობს ქირქილით:

– შენი შოთიაგ გაუმაგრიათ!“ (მაჭავარიანი 2013ბ: 158).

შოთიაგ – კნინობითი ფორმა.

გაუმაგრიათ – გამაგვრა. გაზიდვა, ბევრი რამის გატანა (ჯავახური

ლექსიკონი); ძაგვრა – გათოკვა, შეკოჭვა.

„თეთრად ანათებს

შეგდებული

ცაში ზადიმი!“ (მაჭავარიანი 2013ბ: 174).

ზადიმი – კუთხ. (იმერ.) ქვევრის სარქველი, ხისა.

„მანამდე არ გაღეჭა რა ქაჯის ღრანჭებმა!“ (იქვე: 195).

ღრანჭი – ყბა (ქიზიყური დიალექტი).

„ეს ვინცხაა, – მურვანზე ყრუა!“ (იქვე: 197).

ვინცხა – ვიღაცა (იმერული დიალექტი).

„რაც გავაღწიე ღრანტით შუკაზე

და ვიზურგევი წელი ერგასი“... (იქვე: 218).

ღრანტი – ყელი.

ვიზურგევი – ვიტვირთე.

„ვინც არ მიყვარდა, –

მან ხომ მიკვანტა!-

ვინაც მიყვარდა,

მანცა მიკვანტა“ (იქვე: 242).

კვანტი – სარმა.

მიკვანტა – მიღალატა.

„საქართველოში იმნაირი მოხდა სიგლახე!“ (იქვე: 259).

სიგლახე – ცუდი, უღირსი, სამარცხვინო საქციელი. კუთხ. (იმერ. გურ. რაჭ. ლეჩხ.: [https://ena.ge/explanatoryonline?fbclid=IwAR0uJdrfvxe\\_FHnc0GnsVii2g29EiBlArAyxjDzMegnKnxFdTTDjDFsmiK0](https://ena.ge/explanatoryonline?fbclid=IwAR0uJdrfvxe_FHnc0GnsVii2g29EiBlArAyxjDzMegnKnxFdTTDjDFsmiK0)-განმარტებითი ლექსიკონი).

„ძამა, ჯიმა და ძამიკო...“ (იქვე: 295) – ძმა: იმერულად, მეგრულად და, ზოგადად, ქართულად!

„რა დამავიწყებს:

გივი ძნელამემ

რავა

გაშალა სუფრა ელანძე!“ (მაჭავარიანი 2013 გ: 5).

რავა – როგორ კუთხ. (იმერ. გურ. რაჭ.).

ელანძე – იმწუთასვე. კუთხ. (გურ.) ზმნს. თავდაპირველად. ერთ ლანდზე; შემდეგ: ერთ წუთას, საჩქაროდ, უცებ.

„ამაზრზენს ხდიდა ქუჩას როცა რეგვენთ ქიჩმაჩი“ (იქვე: 107).

ქიჩი – კუთხ. (ხევს., ფშ., მთიულ., ერწ.-თიან.) – საქსოვი დაზვის (ყდების) ნაწილი, რომლითაც ქსელს ჭიმავენ. საშვერის გარა, რომელიც ერთ დონეზე დგას, უჭირავს აქეთ-იქით ყდებზე დასმულ ორ ქიჩს ([https://ena.ge/explanatoryonline?fbclid=IwAR0uJdrfvxe\\_FHnc0GnsVii2g29EiBlArAyxjDzMegnKnxFdTTDjDFsmiK0](https://ena.ge/explanatoryonline?fbclid=IwAR0uJdrfvxe_FHnc0GnsVii2g29EiBlArAyxjDzMegnKnxFdTTDjDFsmiK0)-განმარტებითი ლექსიკონი).

ქიჩმაჩი – ფაცური, გაწევ-გამოწევა. დაქიჩმაჩება – გადაჭარბებული მონდომებით დაწყება საქმისა, დაფაცურება (ჟყონია 1910: 56).

ზმნები, ნასახელარი ზმნები და სიტყვათწარმოება

განთვითეულდა ყველაფერი შუქით უეცრად (მაჭავარიანი 2013ა: 78).

განთვითეულდა – ნაწარმოები ნაცვალსახელისაგან დიალექტური

ფორმით.

„ყველაფერში რომ არ დურთო“ (მაჭავარიანი 2013ა: 369).

დურთო – უკითხავად თავის ჩაყოფა რაიმე საქმეში.

„წუთისოფელი როცა მიყვლებს, –

თიხად ქე მაინც გამომიყენე“ (იქვე: 395).

მიყვლებს, – „ჟამთა გამოვლა და ხანთა შემოკლება“ (სულხან-საბა, „სიტყვის კონა“ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=40409>).

„გაზაფხულია საქართველოში,

მზე დაბტნობია ყველაფერს ირგვლივ“ (მაჭავარიანი 2013ბ: 4).

„აქ იყო კალო,

აქ იყო კვერი;

დღეს კომბაინი სწვევია დაბას

და ასევედებს მსუბუქი სევდით,

რაც იყო, – იგი! –

რაც არის არის-ამას!“ (იქვე: 167).

...„ეთვალხუჭება

ვაი-ვაგლახს ჩვენსას მსოფლიო“... (მაჭავარიანი 2013გ: 95).

ეთვალხუჭება - თვალს ხუჭავს, არ უნდა სიმართლის დანახვა

„შემოეღევა ხალისი ვიდრე, –

ემილაგება ქარი სიმინდებს“ (მაჭავარიანი 2013ა: 11).

ემილაგება (შილი) – ეკინკლაგება.

არქაული ფორმები:

„კრიალა ზეცას მთოვარე ამკობს.

გზაზე ლასლასით მიდის სევარა...  
და ერთი წამით სოფელი ნამყომ

მსუბუქი სევდით მოასევადა“ (მაჭავარიანი 2013ბ: 168).

მთოვარე – მთვარე.

„და.. მკერდში უცებ

გალხვა გული, –

გალხვა და... ტანში მიმოფენტა

ტფილ, მხიარულ ნაკადულებად“ (მაჭავარიანი 2013გ: 95).

გალხვა – გალღვა ([nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=46&t=351367](http://nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=46&t=351367)).

ტფილი – თბილი.

„მუნთქვესვე ფეხზე წამოხტა ყველაყა“ (მაჭავარიანი 2013ა: 223).

მუნთქვესვე – იმწამსვე.

„ჩამომზღვეული სვეტიცხოვლით დრტვინავს ფასუნჯი“ (მაჭავარიანი 2013ბ: 144).

„ჩამომზღვეული – ჩამოქცეული.

„არ მოგვანატრა ლახტი და გურზი...“ (იქვე: 225).

გურზი – ფოლადის ძველებური საბრძოლო იარაღი, სახელურის მქონე წვეტებიანი სფერო. ხელში სატრიალებელი სპორტული იარაღი.

„ეს ჭინჭილაა, –

მამაჩემმა რაც დამიტოვა;



ძილარხენი,  
 ღვთის წინაშე,  
 ვარ ამიტომაც“ (მაჭავარიანი 2013ბ: 163).  
 ძილარხენი – დამშვიდებული (კომპოზიტი).  
 „...აწ ხამუშ-ხამუშ სევდით მეგარსვის“ (იქვე: 218).  
 გარსი, მეგარსვის – მფარავს  
 „საცაა მიწას აუვა ბოლი:  
 ზეცაა ლურჯი.  
 მზეა კაპრაში (იქვე: 268).  
 კაპრაში – წითელ-მოწითალო (სულხან-საბა, „სიტყვის კონა“, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=40409>).  
 კახეთში ასე განმარტავენ: რომელიც კარგა შადებილი ღვინო არ არის, იმას კაპრაში ჰქვია. რომელიც კარგაა შეღებილი, იმას შავი ღვინო ჰქვია. კაპრაში გამოვიდოდა მაშინ, როცა დედა ცოტა მოგვივიდოდა.  
 „მორჩა! – გათავდა! – წარიტრა!“ (მაჭავარიანი 2013გ: 15).  
 წარიტრა – წარვიდა, წარემართა (ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი).  
 „ჰყრია სოფელში აქა-ის  
 ღამის ძონძებში ჯერ კიდევ...  
 მთაზე სკუპია ცისკარი,  
 ვით ბოლოცეცხლა ჩერგილზე (იქვე: 55).  
 ჩერგილი – მელეული, ძნა  
 „შავად დააჩნდა შაბარდუხი ცის  
 გუმბათის ყვიჟილს“... (იქვე: 75).  
 ყვიჟილი – ლურჯ-მოიისფრო-საშუალო.  
 „მოჰკითხოს უნდა  
 დღემ ხვალისამ ეს სისხლის თქემ,  
 იმ კაცზე მეტად, –  
 ჯვარს ვინც გვაცვა, იმ კაცის ქეშიკო!“ (იქვე: 88).  
 ქეშიკი – მცველი. ამ ტერმინებს დავით ჩუბინაშვილი ამატებს მსტოვარს (//აეშავს), ჯაშუშს და კერკეტინს;  
 ჟარგონი:  
 „სულაც არ მიკვირს ეს ამბავი ემე, სხვათა შორის, –  
 ყველას თვისი აქვს მულამი სახელის შოვნის“ (მაჭავარიანი 2013ბ: 164).  
 მულამი – შნო, შესაძლებლობა.  
 „ტელეეკრანზე ვხედავ როცა მე ამ გარეწარს,  
 კალო თავისი ვინც ამ ქვეყნად უკვე გაღეწა...“ (იქვე: 169).  
 გარეწარი – უღირსი, ნამუსგარეცხილი ადამიანი.  
 „დუქანში ხაშის დგას ოხშივარი.  
 სუფრას ვაჟკაცი ხელმძღვანელობს დაშოშიანი“ (მაჭავარიანი 2013ბ: 217).  
 დაშოშიანი – ამ შემთხვევაში ნაგულისხმევა: მთელი არსებით მოქეიფე, უდარდელი.  
 „საქართველოში სუფევს დომხალი...“ (იქვე: 264).

დომხალი – არეულობა.

ამგვარად, მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში არსებული არქაიზმები, დიალექტიზმები, ქართული ენის სიღმისეული ცოდნით შექმნილი ნეოლოგიზმები კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს მის უფაქიზეს დამოკიდებულებას ენისადმი. მუხრან მაჭავარიანის ლექსების კითხვისას აუცილებელი და საჭიროა ყოველი სიტყვის გააზრება, რადგანაც ისინი მოითხოვს ქართული ენის საფუძვლიან ცოდნას, გარდა ლიტერატურული ქართულისა, უნდა იცოდეს დიალექტებიც, რათა გაიგოს მის პოეზიაში მარგალიტებად მიმოზნეული ჩვენი სათაყვანო კუთხეთა მეტყველება. რა თქმა უნდა, მუხრან მაჭავარიანმა იცის, რომ ეს „არც ერთადერთი და არც უმთავრესი ხერხია!“ პოეტი, როგორც თავად ამბობს, ეძებს და თავად არ იცის, პოვნამდე როგორი იქნება და რომ მიაგნებს, მაშინ სიტყვა თავიდან იბადება, იძენს ელფერს, ხმოვანებას, ზოგჯერ შინაარსსაც კი. მუხრანი წერს: „დიდი მკრეხელობაა პოეტური ლექსისადმი მხოლოდ გრამატიკულ მიდგომა!“ (მაჭავარიანი 2013გ: 69).

მე სრულიად ვეთანხმები ამ დიდ ადამიანს, რომელიც წერს, რომ „არ შეიძლება არქაიზმად ჩაითვალოს სიტყვა, რომელიც ცოცხლობს თუნდ ერთ დიალექტშიც კი“, მაგრამ აუცილებელი ზომიერების დაცვით, თანაც დღეს, როდესაც ასე წავგლეკა ამა თუ იმ ენიდან შემოსულმა უცხო ტერმინებმა, რომელთა შეატყვისი ნამდვილად გაგვაჩნია. მსჯელობას დავასრულებთ ამონარიდით ბატონი მუხრანის წერილიდან: „არქაული სიტყვებით წარამარობა, ისეთივე პროვინციალობა, პოზიორობა და მატრიაზობაა, ვითარცა მავანის უცხო ტერმინოლოგიით ტლიკინი, ოდეს მშობლიურ ენაში უხვად მოპოვება ამ უცხო სიტყვათა ბადალი“ (იქვე: 171).

#### გამოყენებული ლიტერატურა

- ბრეგაძე 2019: ბრეგაძე ლ., მუხრან მაჭავარიანის პოეტიკის მარკერები. ჟურნალ. „ენა და კულტურა“, ტ. IV. თბილისი, 2019.
- ვაშაკიძე... 2019: ვაშაკიძე თ., ციციშვილი რ., მხატვრულ-სტილისტიკური მახასიათებლები მუხრანის ლექსში (რამდენიმე შტრიხი). ჟურნალი „ენა და კულტურა“, ტ. IV. თბილისი, 2019.
- მალრაძე 1979: მალრაძე ე., „გულითა მართლით“. თბილისი, 1979.
- მაჭავარიანი 2013ა: მაჭავარიანი მ., თხზულებანი 3 ტომად, ტ. I. თბილისი, 2013.
- მაჭავარიანი 2013ბ: მაჭავარიანი მ., თხზულებანი 3 ტომად, ტ. II. თბილისი, 2013.
- მაჭავარიანი 2013გ: მაჭავარიანი მ., თხზულებანი 3 ტომად, ტ. III. თბილისი, 2013.
- ნეიმანი 1978: ნეიმანი ალ., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, მე-3 გამოცემა. თბილისი, 1978.

**ინტერნეტრესურსები**

სულხან-საბა „სიტყვის კონა“: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=40409> (დამოწმება: 01.11.2023).

ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა: წიგნი I, შემდგენელი: ალ. ღლონტი, თბილისი, 1974: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=56&p=4&w1=%E1%83%93&w2=%E1%83%A3> (დამოწმება: 02.22.2023).

ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი 2008: 16800 სიტყვა. შემდგენილია ილ. აბულაძის, აკ. შანიძის, ივ. იმნაიშვილისა და სხვა ავტორთა ლექსიკონური წყაროების მიხედვით. შემდგენელი: გრიგოლ რუხაძე; რედაქტორი: გვანცა კოპლატაძე. დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. თბილისი, 2008 <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=index&d=44> (დამოწმება: 02.11.2023).

ჭყონია 1910: ჭყონია ი., სიტყვის-კონა. საბა-სულხან ორბელიანი და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები. სანკტ-პეტერბურგი, 1910. <http://dSPACE.gela.org.ge/bitstream/123456789/7531/1/Sitkvis%20Kona%201910.pdf> (დამოწმება: 02.11.2023).

ჯავახური ლექსიკონი: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=28> (დამოწმება: 01.11.2023).

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=56&t=42337> (დამოწმება: 01.11.2023).

<http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=index&d=44> (დამოწმება: 02.22.2023).

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=56&t=42337> (დამოწმება: 01.11.2023).



DOI: <https://doi.org/10.61491/yk.15.2023.8073>

**გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის პრინციპები  
და რიკოტის ავტომაგისტრალის მშენებლობა**

**Principles of Environmental Responsibility and  
the Construction of the Ricoti Highway**

**მზია ხოსიტაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

**Mzia Khositashvili**

Sokhumi shtate University  
Georgia, Tbilisi

**აბსტრაქტი**

გლობალური დათბობა და მისგან გამოწვეული წყალდიდობები, მეწყერი და სხვა ბუნებრივი კატასტროფები თანამედროვე სამყაროს სულ უფრო მეტს საფრთხეს უქმნიან. ამას ემატება მრავალი დიდი და მცირე ორგანიზაციის საქმიანობა, რომლებიც ნარჩენების წარმოქმნით, ჰაერისა და წყლის დაბინძურებით, ბუნებრივი რესურსების გამოყენებით თუ ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის გაწეული სამუშაოების წარმოებით ირიბ და პირდაპირ ზეგავლენას ახდენენ ბუნებრივ გარემოზე. გარემოზე ზემოქმედება განსაკუთრებით თვალშისაცემია ურბანული განაშენიანების, გზებისა და ავტომაგისტრალის მშენებლობისას.

ბოლო წლებში საქართველო გრანდიოზული და მასშტაბური საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობითა და მოწყობით გამოირჩევა. საქართველო, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, ადგილობრივი და უცხოური ტვირთების გადაზიდვის თვალსაზრისით დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. ამ გარემოებამ დააჩქარა აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის მოდერნიზებისა და გაუმჯობესების პროექტების სისრულეში მოყვანა.

საავტომობილო ტრასების მშენებლობას შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს გარემო, ლანდშაფტი. ცვლილება ცხოველებისა და ფრინველების სამყაროში შეჭრასთან ერთად იწვევს მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუარესებას.

სტატიაში ხაზგასმულია ავტომაგისტრალის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს გარემოზე ზემოქმედების უარყოფითი ზეგავლენა

და ის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის პრინციპები, რომლებსაც უნდა ასრულებდნენ სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელი ქვეყნები და ორგანიზაციები. ეს ეხება როგორც პრევენციულ ღონისძიებებს, ასევე, გარემოსდაცვითი რისკების მართვას და გარემოზე მომხდარი ზეგავლენის სწორად შეფასებას. აღნიშნულია, რომ საქართველო მიერთებულია ყველა იმ საერთაშორისო დეკლარაციას, სტანდარტსა და შეთანხმებას, რომელიც გათვალისწინებულია მაგისტრალების პროექტირებისა და მშენებლობის დროს, რაც უზრუნველყოფს რიკოთის გზის მაღალ ხარისხსა და უსაფრთხოებას.

რიკოთის მაგისტრალის მშენებლობამდე განისაზღვრა გარემოზე შესაძლო უარყოფითი გავლენა და შემუშავებულ იქნა შემარბილებელი ღონისძიებები, რაც გულისხმობს ბუნებრივ ლანდშაფტებში მინიმალურ ჩარევას, გათვალისწინებულია გრუნტის ნაგებობების სტაბილურობის დაცვა არამდგრად ფერდობებზე, ზეგავლენა მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე, სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

სტატიაში ასახულია გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად პროექტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი პრინციპებისა და შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა.

**საკვანძო სიტყვები:** გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალი, ეკოსისტემა.

## ABSTRACT

Global warming and the resultant floods, landslides, and other natural disasters increasingly threaten the modern world. Additionally, the activities of numerous large and small organizations directly and indirectly affect the natural environment through waste generation, air and water pollution, depletion of natural resources, and infrastructural development. The impact on the environment is particularly evident in urban development and the construction of roads and highways.

In recent years, Georgia has initiated several large-scale highway construction projects. Since gaining independence, Georgia has become a crucial transit country for domestic and foreign cargo transportation, prompting the modernization of the East-West highway.

Highway construction can significantly alter the surrounding landscape, contributing to biodiversity loss and habitat degradation, thereby impacting the social and economic conditions of local residents.

The article underscores the adverse environmental effects of highway construction and reconstruction, emphasizing the importance of adhering to principles of environmental responsibility by countries and organizations undertaking such projects. This entails implementing preventive measures, managing environmental risks, and conducting thorough environmental impact assessments. Notably, Georgia adheres to international declarations, standards, and agreements governing highway

design and construction, ensuring the quality and safety of projects like the Ricoti road.

Prior to constructing the Ricoti Highway, thorough assessments were conducted to anticipate potential negative environmental impacts. Mitigation measures were developed to minimize interference with natural landscapes, protect unstable ground structures, and mitigate impacts on vegetation, fauna, and the socio-economic environment.

The article evaluates the adequacy of environmental protection measures outlined in the project and assesses efforts made to mitigate adverse environmental impacts.

**Keywords:** Environmental responsibility, East-West highway, ecosystem.

გლობალური დათბობა და მისგან გამოწვეული წყალდიდობები, მეწყერები და სხვა ბუნებრივი კატასტროფები თანამედროვე სამყაროს სულ უფრო მეტს საფრთხეს უქმნიან. ამას ემატება მრავალი დიდი და მცირე ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც ნარჩენების წარმოქმნით, ჰაერისა და წყლის დაბინძურებით, ბუნებრივი რესურსების გამოყენებით თუ ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის გაწეული სამუშაოების წარმოებით ირიბ და პირდაპირ ზეგავლენას ახდენენ ბუნებრივ გარემოზე. გარემოზე ზემოქმედება განსაკუთრებით თვალშისაცემია ურბანული განაშენიანების, გზებისა და ავტომაგისტრალების მშენებლობისას.

ბოლო წლებში საქართველო გრანდიოზული და მასშტაბური საავტომობილო მაგისტრალების მშენებლობითა და მოწყობით გამოირჩევა. მათგან მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი რიკოთის მაგისტრალური გზა, რომლის რეკონსტრუქციის პროცესში მძიმე ტექნიკით გადაივსო მდინარე ძირულის ხეობა, აშენდა ესტაკადები და გვირაბები, რამდენიმე გვირაბის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ გარე სამყაროსგან მოწყვეტილი აღმოჩნდა სოფლები: ვერტყვიჭალა, ხუნევი, გედსიმანია, ბჟინევი და ვერტყვილა, ადგილი ჰქონდა მეწყერულ პროცესებსაც. გაჩნდა ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები.

ეს გზა, რომელიც აღმოსავლეთს დასავლეთთან აკავშირებდა, ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო როგორც კომუნიკაციის, ასევე ვაჭრობისთვის. ისტორიული წყაროებიც მოწმობენ, რომ შუა საუკუნეებში ყველა სავაჭრო ქარავანი აქ გადიოდა, თუმცა დავითის მეფობის დროს მთავარი გზა არა სურამიდან, რიკოთის გავლით, არამედ ძირულას ხეობაში შედიოდა. ამ გზის მნიშვნელობასა და აუცილებლობას ის ფაქტიც განსაზღვრავდა, რომ ქართლის ერისთავების ადგილსამყოფელიც სწორედ სურამი იყო (ბერძენიშვილი 1966: 36).



საქართველო, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, ტურიზმის, ადგილობრივი და უცხოური ტვირთების გადაზიდვის თვალსაზრისით დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის მოდერნიზებასა და გაუმჯობესებას, რასაც მასშტაბური სამუშაოების წარმოება მოჰყვა. გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსაც ჩატარებულა რიკოთის უღელტეხილის ხაშური-ზესტაფონის გზის რეკონსტრუქცია. მაშინ რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 25 ხიდს, აშენდა 16 და 80-იან წლებამდე კიდევ უნდა აშენებულიყო 9 ხიდი (Министерство автомобильных дорог ГССР 1978: 1). ყველაზე რთულად ითვლებოდა ჩუმათელეთი-რიკოთის მონაკვეთი რელიეფური მდგომარეობის, კლიმატური პირობებისა და მეტეოროლოგიური მოვლენების გამო.

ყოველი საგზაო მაგისტრალი წარმოადგენს ბუნებრივი გარემოდან მოწყვეტილ საკმაოდ დიდ მანძილზე გაჭიმულ ზოლს. იგი ხელოვნურად ჯდება ავტოტრანსპორტის მოძრაობაში. რასაკვირველია, გზა ბუნებრივი ლანდშაფტისა და ეკოსისტემისთვის უცხო სხეულს წარმოადგენს. საავტომობილო ტრასების მშენებლობას შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს გარემო ლანდშაფტი. ცვლილება ცხოველებისა და ფრინველების სამყაროში შეჭრასაც იწვევს.

ავტოტრასების გარემოზე არაკეთილსასურველ ზემოქმედებათა რიცხვში შედის:

- ჰაერის დაბინძურება ტოქსიკური ნივთიერებებით ავტომობილების მიერ გაფრქვეული გაზით;
- საწვავ-საპოხი მასალების შემადგენლობაში არსებული მავნე კომპონენტების მოხვედრა ნიადაგსა და წყალქვეშა წლებში;
- ახლომდებარე წყლის დაბინძურება;
- ხმაური, ვიბრაცია, იონიზირებული გამოსხივება მოძრავი ტექნიკიდან;
- სატრანსპორტო გადაადგილებებისას წარმოშობილი მტვერი.

როგორც არ უნდა იყოს შერჩეული გზა ავტომაგისტრალისთვის, ადგილი ყოველთვის ვერ იქნება უდაბური და დაუსახლებელი, საგზაო სამუშაოების წარმოებას ხშირად თან სდევს ტყის გაჩეხვაც. გარემოზე ზემოქმედება ხდება გზის გაყვანისთვის საჭირო ტექნოლოგიური პროცესებითაც, როცა იჭრება ნიადაგურ-ვეგეტატიური ფენა, მუშაობს სპეცტექნიკა, სხვადასხვაგვარი მექანიზმები, მოძრაობს ავტოტრანსპორტი, ითხრება ქვაბულები და ტრანშეები, ხდება ლანდშაფტების დანაწევრება და ტერიტორიების მოწყვეტა, გზის საფარების აღმართვა, საგზაო მშენებლობის მიზნით იწარმოება სამშენებლო მასალები, ნარჩენები გროვდება გზის მშენებლობის მთელ მონაკვეთზე და ა.შ.

გაწეული სამუშაოების ხანგრძლივობის მიუხედავად, გარემო ბინძურდება ნავთობროდუქტების გაჟონვის შედეგად, როდესაც ხდება სპეცტექნიკის საწვავით შევსება და მათი ექსპლუატაცია, მტვრის წარმოქმნა მანქანების გადაადგილებისას და სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებისას, არანაკლებ მნიშვნელოვანია მომუშავე ტექნიკის ხმაური.

საავტომობილო გზების პროექტირებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს არსებულ ბუნებრივ ლანდშაფტებში მინიმალური ჩარევის ვარიანტებს. გათვალისწინებული უნდა იყოს ტყის მასივების, გარეული ცხოველების მიგრაციის გზებისა და ბუნებრივი წყალსაცავების ბინადრების შენარჩუნების შესაძლებლობა. ავტომაგისტრალების გადება არ შეიძლება ნაკრძალებისა და სხვა დაცული ტერიტორიების ზონებზე. მდინარეები, კურორტები, დასასვენებელი სახლები, ასევე, უნდა რჩებოდნენ დაცული ზონების მიღმა. ტყის მასივებში გამავალ გზებზე ბუნებრივი განიავებისათვის ქარის მიმართულებაც კი უნდა იყოს მხედველობაში მიღებული. შესაბამისად, გზებისა და ავტომაგისტრალების მშენებლობისას აუცილებელია ბუნებაზე მოქმედი ფაქტორების სწორი შეფასება და უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინება.

ამგვარ სამუშაოებში მონაწილე სუბიექტები თავის თავზე უნდა იღებდნენ გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას, იქნება ეს პრევენციული ღონისძიებები, გარემოსდაცვითი რისკების მართვა თუ გარემოზე მოხდენილი ზეგავლენის სწორად შეფასება. საერთაშორისო დონეზე მრავალი კონვენცია, დეკლარაცია და შეთანხმება არეგულირებს გარემოსდაცვით საკითხებს, შემუშავებულია მრავალი საერთაშორისო შეთანხმება, სტანდარტი და დეკლარაცია. კონვენციაზე ხელმომწერი მხარეები ვალდებულია იღებენ ჯერ კიდევ დაგეგმვის ეტაპზე შეაფასონ გარემოზე ზემოქმედება.

საქართველო წარმოადგენს მხარეს ამ სახის ყველა გარემოსდაცვით შეთანხმებაში, ასევე, სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა ბიზნესკომპანიისთვის შეთანხმების პუნქტების შესრულება. ეს საკითხები გათვალისწინებულია რიკოთის გზის პროექტირებისას და უზრუნველყოფს მაგისტრალის მაღალ ხარისხსა და უსაფრთხოებას. საავტომობილო გზების დეპარტამენტმა პასუხისმგებლობა დააკისრა კონსულტანტ კომპანიებს, რომლებმაც საერთაშორისო ექსპერტების გუნდთან ერთად შეიმუშავეს გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები. მათვე დაევალიათ ყოველდღიური ეკოლოგიური ზედამხედველობა მიმდინარე და შესრულებულ სამუშაოებზე.

რიკოთის მაგისტრალის მშენებლობამდე განისაზღვრა გარემოზე შესაძლო უარყოფითი გავლენა და შემუშავებულ იქნა შემარბილებელი ღონისძიებები თითოეული პუნქტისათვის - ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, ხმაურსა და ვიბრაციაზე, წყლის გარემოზე, იხტოფაუნასა და წყლის ჰაბიტატებზე, ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებაზე, გრუნტის ნაგებობების სტაბილურობაზე არამდგრად ფერდობებზე, ნიადაგის ნაყოფიერებასა და ხარისხზე, ზემოქმედებაზე მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე, სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედებაზე, ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლებზე, სამშენებლო ბანაკებზე.

იმერეთის ბუნებრივი რესურსების კვლევისას სპეციალისტები რეგიონში გახშირებულ წყალდიდობებს, ღვარცოფებს, ეროზიულ პროცესებს, მეწყრებსა და სხვა უარყოფითი მოვლენებს ტყეების უდიერად

მოხმარებას უკავშირებდნენ (ჟორდანია 2008: 119). სწორედ ამიტომ რიკოტი-ჩუმათელეთის მასშტაბური მაგისტრალის მშენებლობისას, განსაკუთრებით წვიმების პერიოდში, საზოგადოების ინტერესი მიმართული იყო მეწყრული პროცესების გააქტიურებასა და მასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე.

გეოლოგიური პროცესების განვითარების რისკების შესამცირებლად, როგორც წესი, მიმართავენ სხვადასხვა სახის საინჟინრო ჩარევას როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის პერიოდში. განსაკუთრებით დამრეც ფერდობებზე შესაძლებელია აქტიური ფენების მოხსნა და დახრის კუთხის შემცირება, დამცავი ზღუდეების მოწყობა და ა.შ.

შემარბილებელ ღონისძიებად შემუშავდა ფერდობების დატერასება, გამწვანება, ფერდობების დატკეპვნა და დრენაჟების მოწყობა, რაც აისახა სამუშაოთა შესრულების სახელშეკრულებო ვალდებულებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობამ საფრთხის წინაშე დააყენა რეგიონში მოხინაძრე 24 ძუძუმწოვარა ცხოველი, მათ შორის წითელ წიგნში შეტანილი შავი დათვი და ფოცხვერი. იმის მიუხედავად, რომ დათვი, ტყის კატა, კავკასიური მგელი, წავი, კავკასიური ციყვი, შველი და სხვა სახეობები ახალი საავტომობილო მაგისტრალის სიახლოვეს არ ბინადრობენ, წარმოდგენილი ვარიანტებიდან გამოირიცხა ის პროექტი, სადაც ჩაიხერგებოდა ცხოველებისათვის წყალთან მისასვლელი ბილიკები. შემარბილებები ღონისძიებებით განისაზღვრა ცხოველთა რეპროდუქტიულ ქცევაზე ზეგავლენის საკითხებიც. ცხოველთა მიგრირების და უკან დაბრუნების შემთხვევებისთვის ახალი მაგისტრალის ზევით და ქვევით, მათთვის დადგენილი წესების შესაბამისად, მოეწყობა გასასვლელი წყლის რესურსებთან მისასვლელად (იგულისხმება განსხვავებული ზომის ცხოველებისათვის სხვადასხვა დაშორებები წყაროებამდე: დიდი ზომის ცხოველებისთვის დადგენილია 1-3 კმ., საშუალო ზომის – 1 კმ., მცირე ზომის ცხოველებისთვის – 200-300 მ.). გზის სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში ცხოველების ტრავმებისგან და დაღუპვისგან თავის ასარიდებლად თხრილებსა და ორმოებზე გათვალისწინებული იყო გადასასვლელიებად ხის დაფების დამაგრება.

რაც შეეხება ფრინველებს, მართალია, სამშენებლო სამუშაოები ყველგან იწვევს ფრინველების დაფრთხობასა და მათ დეზორიენტაციას, ტყის საფარის გაშენება და გამწვანების დაგეგმილმა ღონისძიებებმა სამუშაოების დასრულების შემდეგ ხელი უნდა შეუწყოს მათ შეჩვეულ ადგილებში დაბრუნებას. აღსანიშნავია, რომ ჩვეულებრივ ტყის ტიპურ ბინადარ ფრინველთა: ქორის, კოდალების, ბელურასნაირებთა, ქედნების, ჩხიკვების, სკვინჩების, ჩიტბატონების, ბუების სახეობების გარდა, გაზაფხულობით სხვა ფრინველების რიცხვი ათეულებს აღწევს.

მცენარეულ საფარსა და ტყის ეკოსისტემაზე ზემოქმედება უფრო მაღალია. ამიტომ ნიადაგის ფენის დასაცავად მიმართავენ ხოლმე გამიშვლებული ფერდობების გატყიანებას, მათ დატერასებასა და მრავალწლიანი ნარგავების გაშენებას. როგორც წესი, ხეების მოჭრამდე გასცემენ ეროვნული სატყეო სააგენტოდან, მთავრობიდან დადგენილების



შესაბამის ნებართვას. განხორციელებული სამუშაოების შემდეგ კი მოსარგებლე ვალდებულებას იღებს აღადგინოს ტყის საფარი და საკომპენსაციოდ დარგოს ერთის ნაცვლად სამი ანალოგიური სახეობა, იმ შემთხვევაში, თუ ხე-მცენარე წითელ წიგნშია შეტანილი – 1 : 10-თან შეფარდებით უნდა დაირგოს.

ზემოთ ნახსენებ დაცულ ტერიტორიებსა და არქიტექტურულ ძეგლებს რაც შეეხება, ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკი საკმაოდ შორს მდებარეობს – 6 კმ.-ზე მეტია საავტომობილო მაგისტრალიდან. სოფელ ჩუმათელეთსა და ხევთან არ დაუფიქსირებიათ კულტურული ან ისტორიული ძეგლი, რომელსაც მიმდინარე მშენებლობა საფრთხეს შეუქმნიდა, თუმცა სოფელ ხევში წარსულში გათხრების დროს ნაპოვნი ძველი ნივთები არ გამორიცხავს შემთხვევითი აღმოჩენების ალბათობას.

სამშენებლო ნარჩენებსა და მშენებელთა ბანაკებს რაც შეეხება, გარემოსდაცვითი პრინციპების გათვალისწინებით, მშენებლების ადგილსამყოფელი უნდა მოეწყოს შედარებით დეგრადირებულ და მცენარეებით მწირ ნიადაგზე, დაცული უნდა იყოს შრომის პირობები, უსაფრთხოება, მცენარეული საფარის ზიანის საკომპენსაციოდ განსაზღვრულია ხეების დარგვა და მოვლა, ნარჩენების რეგულარული შეგროვება, წყლის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად შემარბილებელი ღონისძიებების გატარება მშენებლობის ყველა ეტაპზე და, რაც მთავარია, მუშებისთვის შესაბამისი ინსტრუქციების ჩატარება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალიდან მოწყვეტილი აღმოჩნდა რამდენიმე სოფელი, რამაც გამოიწვია ადგილობრივ მცხოვრებთა ადგილმონაცვლეობა. ამ გარემოებასთან დაკავშირებით პროექტით გაითვალისწინეს მიწისა და აქტივების დროებითი დაკარგვაც, შექმნაც და ავტომაგისტრალის მიმდებარე ფართობებით სარგებლობის შეზღუდვაც. ამასთან ერთად, მათ დაეკარგათ ის შემოსავალი, რომელსაც იღებდნენ არსებულ საავტომობილო გზებთან განთავსებული სავაჭრო ობიექტებიდან.

ისტორიულად დასავლეთ საქართველოსკენ მიმავალი გზა ყოველთვის იყო მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ადამიანებისთვის შემოსავლის წყარო. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, გორიდან დაახლოებით 50 კმ.-ის მანძილზე მდებარე სოფელ ალთან, რომელსაც ფრანგი მოგზაური ჟან შარდენიც აღწერს (ყაუხჩიშვილი 1975: 279), გზის განუყოფელი ნაწილი – სავაჭრო დუქნები იყო განთავსებული, მათი რაოდენობა 61-ს აღწევდა (ჯიქია... 2009: 286).

ავტომაგისტრალის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ სურამთან, შრომასთან და ზესტაფონთან უნდა მოეწყოს სპეციალური სავაჭრო მოედნები, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას საკუთარი პროდუქციის უსაფრთხო და კეთილმოწყობილ გარემოში რეალიზების საშუალება ექნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშენებელი კონტრაქტორის ხელშეკრულებაში აისახა ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით სამშენებლო სამუშაოებზე ადგილობრივი მუშახელის 70%-ის დასაქმება.

შეიძლება ითქვას, რომ რიკოთის ავტომაგისტრალის მშენებლობა ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო-საფინანსო ორგანიზაციების მოთხოვნების შესაბამისად ყველა სამართლებრივი ჩარჩოების დაცვითა და ალტერნატიული ვარიანტების გათვალისწინებით მიმდინარეობდა. შემუშავდა ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის მშენებლობისთვის გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები. იმედს ვიტოვებთ, რომ ყველა პრევენციული ღონისძიება ექსპლუატაციაში შესული 51 გვირაბისა და 97 ხიდის უსაფრთხოების გარანტია იქნება და ყველა ის ვარაუდი, რაც უკავშირდება გარემოს პირვანდელი სახით აღდგენას, გამართლდება.

#### გამოყენებული ლიტერატურა

- ბერძენიშვილი 1966: ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქაში. თბილისი, 1966.
- ჟორდანია 2008: იმერეთის ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პესპექტივები. მთავარი რედაქტორი: ი. ჟორდანია. თბილისი, 2008.
- ყაუხჩიშვილი 1974: ჟან შარდენის მოგზაურობა აღმოსავლეთსა და სპარსეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ევროპული წყაროების სერიის რედაქტორი: ს. ყაუხჩიშვილი. თბილისი, 1974.
- ხოფერია 2012: ხოფერია ლ., კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო. თბილისი, 2012.
- ჯიქია... 2009: 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, ს. ჯიქია, ნ. შენგელია. თბილისი, 2009.
- Министерство автомобильных дорог 1987: О реконструкции дороги Хашури-Зестафони, Тбилиси, 1987.
- <http://www.georoad.ge/?lang=geo&act=project&func=menu&uid=1547533682> (დამოწმება: 28.01.2024).

**ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წლიური  
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

---

**XV**

**2023**

**ავტორთა მონაცემები  
CONTRIBUTORS**



---

## ავტორთა მონასემები

**ნანა აბულაძე**

ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი,  
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 593 336 067.

ელ.ფოსტა: abuladze777@gmail.com

**მანანა ბანძელაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ფილოსოფიის დოქტორი.

ტელ.: +995 593 323 460.

ელ.ფოსტა: manana57@yahoo.com

**დალი ბეთხოშვილი**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 555 488 129.

ელ.ფოსტა: dali.betkhoshvili@yahoo.com

**ომარ გვეტაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 448 232.

ელ.ფოსტა: gioslovak@mail.ru

**თამარ გოგოლაძე**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 251 272.

ელ.ფოსტა: tamilagogoladze@gmail.com

**მურმან გორგოშაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
ფილოსოფიის დოქტორი.

ტელ.: +995 551 205 556.

ელ.ფოსტა: murman.gorgoshadze@bsu.edu.ge

**ლალი გოჩიტაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,  
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ტელ.: +995 593 339 497.

ელ.ფოსტა: laligochitashvili@yahoo.com

**ეკა დადიანი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.

ტელ.: +995 598 101 472.

ელ.ფოსტა: dadaniekaa@gmail.com; eka.dadiani@atsu.edu.ge

**ლაშა დეისაძე-შარვაშიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული ლექტორი, ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 555 980 369.

ელ.ფოსტა: lasha.deisadze1@atsu.edu.ge

**ვაჟა დანელია**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სოციოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 778 701.

ელ.ფოსტა: vajadanelia@gmail.com

**თორნიკე დვალი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ტელ.: +995 577 225 132.

ელ.ფოსტა: tokodvali@gmail.com

**იამზე ვაშაკიძე**

კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 591 986 405.

ელ.ფოსტა: iamzevashakidze@gmail.com

**ნინო ვახანია**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 963 810.

ელ.ფოსტა: vakhnianino@yahoo.com

**თამილა ზვიადაძე**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 963 811.

ელ.ფოსტა: zviadadzetamila25@gmail.com

**მარიკა თედორაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 668 603.

ელ.ფოსტა: maritedoradze@gmail.com

ეთერ ინჭკირველი  
კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.  
ტელ.: +995 595 778 558.  
ელ.ფოსტა: e\_intskirveli@yahoo.com

მარინე კაკაჩია  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
განათლების დოქტორი.  
ტელ.: +995 577 963 815.  
ელ.ფოსტა: kakachia@hotmail.com

სალომე კაპანაძე  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული  
პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.  
ტელ.: +995 599 555 020.  
ელ.ფოსტა: salomesokhumi@yahoo.com

ჯემალ კარალიძე  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის,  
არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,  
ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი.  
ტელ.: +995 577 179 770.  
ელ.ფოსტა: Jemal.karalidze@bsu.edu.ge

მარიამ კობერიძე  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.  
ტელ.: +995 577 251 275.  
ელ.ფოსტა: maikoberidze@gmail.com

ირაკლი ლორთქიფანიძე  
გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორი,  
ისტორიის დოქტორი, ბიბლიოთეკის გამგე და სამეცნიერო ხელმძღვანელი.  
ტელ.: +995 557 943 435.  
ელ.ფოსტა: lortirakli@gmail.com

ქეთევან მარგიანი  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.  
ტელ.: +995 577 963 825.  
ელ.ფოსტა: ketmargiani@yandex.ru



**მარიამ მარჯანიშვილი**  
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი,  
ფილოლოგიის დოქტორი.  
ტელ.: +995 595 142 007.  
ელ.ფოსტა: Mari\_teron@yahoo.com

**თეონა მაჭავარიანი**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის  
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მკვლევარი, დოქტორანტი  
ტელ.: +995 551 081 690.  
ელ.ფოსტა: tmachavariani6@gmail.com

**გუბაზ მეგრელიძე**  
საქართველოს თეატრალური საზოგადოება,  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.  
ტელ.: +995 571 450 330.  
ელ.ფოსტა: gubazm@yahoo.com

**მაია მიქაუტაძე**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.  
ტელ.: +995 598 893 420.  
ელ.ფოსტა: mikautadzemaia@gmail.com; maia.mikautadze@atsu.edu.ge

**რუსუდან მიქაუტაძე**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ისტორიის დოქტორი.  
ტელ.: +995 577 782 223; +995 577 472 256.  
ელ.ფოსტა: rusudan.mikautadze@atsu.edu.ge

**თინათინ მშვიდობაძე**  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი.  
ტელ.: +995 555 118 379.  
ელ.ფოსტა: tinikomshvidobadze@gmail.com

**მარინა მწყერაშვილი**  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.  
ტელ.: +995 577 619 352.  
ელ.ფოსტა: mtskerashvilimari2@gmail.com

**ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.  
ტელ.: +995 591 223 688.  
ელ.ფოსტა: nora.nikoladze@atsu.edu.ge

**ავთანდილ ნიკოლეიშვილი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართული ფილოლოგიის  
დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ტელ.: +995 577 282 861.

ელ.ფოსტა: avtandil.nikoleishvili@gmail.com; avtandil.nikoleishvili@atsu.edu.ge

**ოთარ ნიკოლეიშვილი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 555 689 899.

ელ.ფოსტა: otar.nikoleishvili@gmail.com; otar.nikoleishvili@atsu.edu.ge

**ლევან ტყეშელაშვილი**

გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია, ისტორიის და ხელოვნებათ-  
მცოდნეობის კათედრის გამგე, პროფესორი, ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 593 276 533.

ელ.ფოსტა: tkeshelashvililevani564@gmail.com

**ლალი ურდულაშვილი**

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 599 961 992.

ელ.ფოსტა: laliurdulashvili@yahoo.com

**ნესტან ფიფია**

ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 595 096 550.

ელ.ფოსტა: nest100a@gmail.com

**მანანა ქაჯაია**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 599 994 453.

ელ.ფოსტა: manana\_qajaia@yahoo.com

**დავით შავიანიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 599 494 770.

ელ.ფოსტა: david.shavianidze@atsu.edu.ge

ეკატერინე შაკიაშვილი  
თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.  
ტელ.: +995 577 375 439.  
ელ.ფოსტა: e.shakiashvili@gtu.ge

მალხაზ ჩოხარაძე  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.  
ტელ.: +995 577 722 202.  
ელ.ფოსტა: malkhaz.chokharadze@bsu.edu.ge

დარეჯან ჩხიროძე  
ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ტექნიკის აკადემიური დოქტორი.  
ტელ.: +995 568 824 540.  
ელ.ფოსტა: darejan.chkhirodze@gmail.com

რიტა წაქაძე  
ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის  
მოადგილე.  
ტელ.: +995 593 377 969; +995 595 212 721.  
ელ.ფოსტა: tsakadzerita22@gmail.com

მაგდა ჭიქაბერიძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.  
ტელ.: +995 555 342 553.  
ელ.ფოსტა: mchikaberidze@gmail.com

სოფიკო ჭუმბურიძე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის დოქტორი.  
ტელ.: +995 593 428 486.  
ელ.ფოსტა: Chumburidze.sofikoo@gmail.com

ლუიზა ხაჭაპურიძე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ფილოლოგიის დოქტორი.  
ტელ.: +995 577 668 601.  
ელ.ფოსტა: luizakhachapuridze@yahoo.com; luiza.khachapuridze@atsu.edu.ge

მანანა ხვინგია  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.  
ტელ.: +995 577 175 005.  
ელ.ფოსტა: mananakhvingia@gmail.com



---

**მზია ხოსიტაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა  
დოქტორი.

ტელ.: +995 599 796 264.

ელ.ფოსტა: artprstudio@gmail.com; khositashvilimzia12@gtu.ge

**მარინა ჯღარკავა**

თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,  
მეცნიერ-თანამშრომელი, დოქტორანტი.

ტელ.: +995 568 748 414.

ელ.ფოსტა: marijgari@gmail.com

---

**CONTRIBUTORS****Nana Abuladze**

Dadiani Palaces History and Architectural Museum. Doctor of Philology.

Tel.: +995 593 336 067.

Email: abuladze777@gmail.com

**Manana Bandzeladze**

Akaki Tsereteli State University. Associate professor, Academic Doctor of Philosophy.

Tel.: +995 593 323 460.

Email: manana57@yahoo.com

**Dali Betkhoshvili**

Samtskhe-Javakheti State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 555 488 129.

Email: dali.betkhoshvili@yahoo.com

**Magda Chikaberidze**

Georgian Technical University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 555 342 553.

Email: mchikaberidze@gmail.com

**Malkhaz Chokharadze**

Batumi Shota Rustaveli State University. Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 722 202.

Email: malkhaz.chokharadze@bsu.edu.ge

**Daredjan Chkhirodze**

Kutaisi University. Associate Professor, Academic Doctor of Technology.

Tel.: +995 568 824 540.

Email: darejan.chkhirodze@gmail.com

**Sophiko Chumburidze**

Akaki Tsereteli State University. Doctor of Philology.

Tel.: +995 593 428 486.

Email: Chumburidze.sofikoo@gmail.com

**Eka Dadiani**

Akaki Tsereteli State University. Associate Professor, Doctor of Philology, Head of the Scientific-Research Center of Kartvelology.

Tel.: +995 598 101 472.

Email: dadianiekaa@gmail.com; eka.dadiani@atsu.edu.ge

**Vaja Danelia**

Georgian Technical University. Social Doctor of Science.

Tel.: +995 577 778 701.

Email: vajadanelia@gmail.com

**Lasha Deisadze-Sharvashidze**

Akaki Tsereteli State University. Invited lecturer, Doctor of History.

Tel.: +995 555 118 379.

Email: lasha.deisadze1@atsu.edu.ge

**Tornike Dvali**

Georgian Technical University. Candidate of Technical Sciences.

Tel.: +995 577 225 132.

Email: tokodvali@gmail.com

**Lali Gochitashvili**

Georgian Technical University. Professor, Candidate of Technical Sciences.

Tel.: +995 577 251 272.

Email: laligochitashvili@yahoo.com

**Tamar Gogoladze**

Gori State University. Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 251 272.

Email: tamilagogoladze@gmail.com

**Murman Gorgoshadze**

Batumi Shota Rustaveli State University. Professor, Candidate of Philosophical Sciences.

Tel.: +995 551 205 556.

Email: murman.gorgoshadze@bsu.edu.ge

**Omar Gvetadze**

Akaki Tsereteli State University. Professor, Philology Candidate of Sciences.

Tel.: +995 577 448 232.

Email: gioslovak@mail.ru

**Eter Intskirveli**

Caucasus University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 595 778 558.

Email: e\_intskirveli@yahoo.com

**Marina Jgharkava**

Arnold Chikobava Institute of Linguistics of TSU. Research Associate, PhD student.

Tel.: +995 568 748 414.

Email: marijgari@gmail.com



**Manana Kajaia**

Georgian Technical University. Associate Professor.

Tel.: +995 599 994 453.

Email: manana\_qajaia@yahoo.com

**Marine Kakachia**

Sokhumi State University. Associate Professor, Doctor of Education.

Tel.: +995 577 963 815.

Email: kakachia@hotmail.com

**Salome Kapanadze**

Grigol Robakidze University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 599 555 020.

Email: salomesokhumi@yahoo.com

**Jemal Karalidze**

Batumi Shota Rustaveli State University. Associate Professor, Doctor of History, Head of the Department of History.

Tel.: +995 577 179 770.

Email: Jemal.karalidze@bsu.edu.ge

**Luiza Khachapuridze**

Akaki Tsereteli State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 668 601.

Email: Luizakhachapuridze@yahoo.com; Luiza.khachapuridze@atsu.edu.ge

**Mzia Khositashvili**

Georgian Technical University. Doctor of Social Sciences.

Tel.: +995 599 796 264.

Email: artprstudio@gmail.com; khositashvilimzia12@gtu.ge

**Manana Khvingia**

Sokhumi State University. PhD student.

Tel.: +995 577 175 005.

Email: mananakhvingia@gmail.com

**Mariam Koberidze**

Gori State University. Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 251 275.

Email: maikoberidze@gmail.com

**Irakli Lortkipanidze**

Gelati Theological Academy and Seminary. Professor, Doctor of History,  
Head of the Library and Scientific Supervisor.

Tel.: +995 557 943 435.

Email: lortirakli@gmail.com

**Teona Machavariani**

Akaki Tsereteli State University. Kartvelology Research Center. Research fellow,  
PhD student.

Tel.: +995 551 081 690.

E-mail: tmachavariani6@gmail.com

**Mariam Marjanisvhili**

Kutaisi State Historical-Ethnographic Museum. Doctor of Philology.

Tel.: +995 595 142 007.

Email: Mari\_teron@yahoo.com

**Ketevan Margiani**

Sokhumi State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 963 825.

Email: ketmargiani@yandex.ru

**Gubaz Megrelidze**

Georgian Theater Society. Doctor of Arts.

Tel.: +995 571 450 330.

Email: gubazm@yahoo.com

**Maia Mikautadze**

Akaki Tsereteli State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 598 893 420.

Email: mikautadzemaia@gmail.com; maia.mikautadze@atsu.edu.ge

**Rusudan Mikautadze**

Akaki Tsereteli State University. Associate Professor, Doctor of History.

Tel.: +995 577 782 223; +995 577 472 256.

Email: rusudan.mikautadze@atsu.edu.ge

**Tinatin Mshvidobadze**

Gori State University. Associate Professor, Doctor of Engineering Sciences.

Tel.: +995 555 118 379.

Email: tinikomshvidobadze@gmail.com

**Marina Mtskerashvili**

Sokhumi State University. PhD student.

Tel.: +995 577 619 352.

Email: mtskerashvilimari2@gmail.com

**Nora Nikoladze-Lomsianidze**

Akaki Tsereteli State University. Doctor of Philology.

Tel.: +995 591 223 688.

Email: nora.nikoladze@atsu.edu.ge

**Avtandil Nikoleishvili**

Akaki Tsereteli State University. Professor, Philology Candidate of Sciences,  
Head of the Department of Georgian Philology.

Tel.: +995 577 282 861.

Email: avtandil.nikoleishvili@gmail.com; avtandil.nikoleishvili@atsu.edu.ge

**Otar Nikoleishvili**

Akaki Tsereteli State University. Associate Professor, Doctor of History.

Tel.: +995 555 689 899.

Email: Otar.nikoleishvili@gmail.com; otar.nikoleishvili@atsu.edu.ge

**Nestan Pipia**

Zugdidi Shota Meskhia State Teaching University. Associate Professor,  
Doctor of Philology.

Tel.: +995 595 096 550.

Email: nest100a@gmail.com

**Ekaterine Shakiashvili**

Georgian Technical University. Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 375 439.

E-mail: e.shakiashvili@gtu.ge

**Davit Shavianidze**

Akaki Tsereteli State University. Associate Professor, Doctor of History.

Tel.: +995 599 494 770.

E-mail: david.shavianidze@atsu.edu.ge

**Marika Tedoradze**

Akaki Tsereteli State University. Assistant Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 668 603.

E-mail: maritedoradze@gmail.com

**Rita Tsakadze**

Kutaisi Ilia Chavchavadze Public Library. Deputy Director.

Tel.: +995 593 377 969.

E-mail: tsakadzerita22@gmail.com

**Levan Tkeshelashvili**

Gelati Theological Academy and Seminary. Professor, Doctor of History, Head of the  
Department of History and Art Studies.

---

Tel.: +995 593 276 533.

Email: tkeshelashvililevani564@gmail.com

**Lali Urdulashvili**

Tbilisi Educational University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 599 961 992.

E-mail: laliurdulashvili@yahoo.com

**Nino Vakhania**

Sokhumi State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 963 810.

Email: vakhanianino@yahoo.com

**Iamze Vashakidze**

Caucasus University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 591 986 405.

Email: iamzevashakidze@gmail.com

**Tamila Zviadadze**

Sokhumi State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 963 811.

Email: zviadadzetamila25@gmail.com



**კომპიუტერული უზრუნველყოფა -  
ეპატერინე ბარბაძე**

**გარეკანის დიზაინი -  
გელა ღაჭავაძე**